საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

მიხეილ სამსონაძე

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში

(ვაჭრობა, მრეწველობა)

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1980

მრავალრიცხოვანი ფაქტიური მასალის საფუძველზე ნაშრომში ნაჩვენებია სასაქონლო ურთიერთობის განვითარების სურათი და დონე მეცხრამეტე საუკუნის პირველი მესამედის საქართველოში. შესწავლილია საერთო ქართული ბაზრის ჩამოყალიბების პროცესი, ვაჭრობის განვითარების ხასიათი და ტენდენციები.

ავტორი არკვევს მრეწველობის ფორმათა თანმიმდევრულ განვითარებას განსახილველი ხანის საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სავაჭრო კაპიტალის თანდათანობით შეკრას ქვეყნის მრეწველობაში და ამის საფუძველზე მის გადაქცევას სამრეწველო კაპიტალად.

ნაშრომში განხილულია ცარიზმ ს ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში და ამ პოლიტიკის გავლენა ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო განვითარებაზე.

ავტორი შეისწავლის რა განსახილველი ხანის საერთო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათს, იძლევა მის შეფასებას და მიიჩნევს მას საქართველოში ახალი კაპიტალისტური ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და თანდათანობით გაძლიერების ეპოქად.

რედაქტორი პროფ. გ. პაიჭაძე

Ს $\frac{10604}{М\ 607(06)-80}$ 180—80

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1980

შესავალი

საქართველოს XIX საუკუნის ისტორიის მკვლევართათვის ამოსავალია ვ. ი. ლენინის ცნობილი დებულება, რომელიც მთელი კავკასიის მიმართაა გაკეთებული და რომელიც მეცნიერული სიღრმით ზუსტად მიანიშნებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაგისტრალურ ხაზს აღებულ ეპოქაში: „რუსეთის მიერ მისი (ე. ი. კავკასიის. — მ. ს.) ეკონომიური „დაპყრობა“ გაცილებით უფრო გვიან მოხდა, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა...“[1] ამ ლაკონიური თეზისის მეცნიერული შინაარსის გახსნა მთელი XIX ს. საქართველოს ისტორიის მარქსისტულ-ლენინური გააზრების შესაძლებლობას იძლევა.

1783 წლის ტრაქტატი, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შევიდა, ორი ქვეყნის ორი ხალხის საუკუნოვანი ურთიერთობის ლოგიკური შედეგი იყო. ამ ისტორიული აქტით ცარიზმმა არა მარტო დასახა და ფაქტობრივად გადაწყვიტა ამიერკავკასიის ძირითადი პოლიტიკური ერთეულის.— ქართლ-კახეთის სამეფოს შემოერთების საკითხი, არამედ მოუფლიოს ამცნო ამ რეგიონში (ამიერკავკასიაში) თავისი ერთპიროვნული ბატონობის პრეტენზიები. ამ ამოცანების განხორციელების გზაზე ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება (1801 წ.) პირველი და მთავარი ნაბიჯი იყო, მაგრამ მისი წარმატებით დამთავრებისათვის ცარიზმს, სულ ცოტა, სამი საკითხი მაინც უნდა გადაეწყვიტა: 1. ამიერკავკასიის სხვა დამოუკიდებელ თუ ნახევრად დამოკიდებულ პოლიტიკურ ერთეულებზე თავისი გავლენა მათი ფაქტობრივი შემოერთებით დაესრულებინა; 2. ირანისა და თურქეთის სახელმწიფოებთან ომებში, რომლებიც ამიერკავკასიას ოდითგანვე თავის გავლენის სფეროდ და ზოგჯერ შემადგენელ ნაწილადაც განიხილავდნენ, ამ რეგიონში თავისი ერთპიროვნული ბატონობის უფლება უნდა დაემტკიცებინა და 3. შემოერთებული რეგიო-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 703.

ნების (პოლიტიკური ერთეულების) საზოგადოება (ადგილობრივი ელემენტი) ახალი რეჟიმის უფლებამოსილებაში, ძალაში და უპირატესობაში უნდა დაერწმუნებინა.

პირველი ამოცანის გადაწყვეტაში არსებითი როლი შეასრულა სამეგრელოს სამთავროსა და იმერეთის სამეფოს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლამ (1803—1804 წწ.), ხოლო შემდეგ იმერეთის სამეფოს გაუქმებამ (1810 წ.). ამით რუსეთმა საბოლოოდ განიმტკიცა მდგომარეობა დასავლეთ ამიერკავკასიაში და სხვა ქართული სამთავროების გაუქმების საკითხი უკვე ფაქტიურად შეესაფერის პოლიტიკურ სიტუაციაზე და ცარიზმის სურვილზე იყო დამოკიდებული. მეორე ამოცანის გადასაწყვეტად რუსეთის ხელისუფლებას ოთხი ომის გადატანა მოუხდა (1804—1813 წწ. და 1827—1829 წწ. ირანთან და 1806—1812 და 1826—1828 წწ. თურქეთთან), რომლის მსვლელობაშიც რუსეთის მხედრობამ ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერითა და დახმარებით ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა, თანმიმდევრულად გათავისუფლა რა აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიები, გაუქმა ახალციხის საფაშო და საქართველოს დაუბრუნა საუკუნეების მანძილზე მისგან მოწყვეტილი ეს მეტად მნიშვნელოვანი რეგიონი.

ქართველმა ხალხმა, ისევე როგორც ამიერკავკასიის სხვა ხალხებმა, ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ რუსეთის ბრძოლისადმი დამოკიდებულებით, აქტიური მხარდაჭერით, ფიზიკური და ეკონომიკური მონაწილეობით საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ იგი უყოყმანოდ იღებდა ქართველი პოლიტიკოსების იმ ისტორიულ გადაწყვეტილებას, რომელიც ქვეყნის აღდგომისა და გამოხსნის საქმეს რუსეთის ორიენტაციას უკავშირებდა.

მეორე მხრივ, ახალი, უცხო, ხალხისათვის შეუჩვეველი რეჟიმის დამყარებამ, ცარიზმის მოხელეთა უსულგულობამ, უვიცობამ, შექრთამეობამ და ხშირად ძალადობამ, სამხედრო ბეგარამ, გადასახადების სიმძიმემ და სხვ. ქართველ მშრომელ მოსახლეობაში ანტირეჟიმული განწყობილება გააღვივა. ეს განწყობილება დაემთხვა და გადაეჯაჭვა ანტიფეოდალური სულისკვეთების თანდათანობით გაძლიერებას, რის შედეგადაც XIX საუკუნის პირველი მეოთხედი მშრომელი მოსახლეობის მასობრივი გამოსვლების, პროტესტებისა და აჯანყებების არნახული აზვირთებით აღინიშნა (1804 წლის მთიულეთის, 1810 წლის იმერეთის, 1812 წლის კახეთის, 1819—1820 წლის იმერეთ-გურიის აჯანყებები).

ტახტის დაკარგვისადმი შეურიგებელი ბაგრატიონთა სახლის ზოგიერთი წევრი და პოლიტიკური უფლებების დაკარგვით განაწყენებული თავადაზნაურობა მოხერხებულად სარგებლობდა მშრომელი მოსახლეობის ანტიფეოდალური და ანტირეჟიმული განწყობილებით და ცდილობდა იგი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ამ მცდელობებიდან არაფერი გამოვიდა. ცარიზმმა აღვილად აღკვეთა ყველა ეს გამოსვლა, ხოლო 1832 წლის შეთქმულების მარცხის შემდეგ ქართველმა თავადაზნაურობამ საბოლოოდ აიღო ხელი ძველი რეჟიმის აღდგენისა და პოლიტიკური უფლებების დაბრუნების ოცნებაზე.

ამრიგად, ფაქტობრივად აღარ არსებობდა ძალა (საგარეო თუ საშინაო), რომელიც რამდენადმე რეალურად წინ აღუდგებოდა ამიერკავკასიაში ცარიზმის ბატონობას.

XIX საუკუნის პირველი მესამედი ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთების ეპოქაა. ამ პერიოდში ეს მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული პროცესი ფაქტობრივად დასრულდა. საქართველოსათვის ამ ისტორიული აქტის ობიექტურად პროგრესული მნიშვნელობა საუკუნეების განმავლობაში დაშლილი და დაქუცმაცებული ქვეყნის გაერთიანებაში, დაკარგული ნაწილების დაბრუნებაში, შაჰმადიანური ჩამორჩენილობის გარემოცვიდან თავის დაღწევაში და ევროპული ცივილიზაციისკენ გზის გახსნაში გამოიხატებოდა.

ქართველ ხალხს პროგრესი მოუტანა არა ცარიზმის ბიუროკრატიულმა რეჟიმმა, არამედ რუს ხალხთან, რუსეთის იმპერიაში შემავალ სხვა ჩაგრულ ხალხებთან ერთ ოჯახში მოქცევამ. ცარიზმი რუსი ხალხის მტერი იყო. იგი ქართველი ხალხის მეგობარი ვერ იქნებოდა. ამიერიდან მოძმე ხალხებს მხარდამხარ უნდა ებრძოლათ საერთო მტრის — ცარისტული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

რუსეთის შეერთებამ საქართველოს შედარებით მშვიდობიანი ცხოვრება მოუტანა და შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა დაუსახა.

ამგვარად XIX საუკუნის პირველ მესამედში ცარიზმის მთელი გულისყური, ენერგია და ძალები ამიერკავკასიის და კერძოდ, საქართველოს პოლიტიკური შემოერთების დასრულებისაკენ იყო მიმართული და მისი ეკონომიკური ათვისებისათვის მას ჯერჯერობით არ ეცალა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ძვე-

ლი, ტრადიციული გზით მიდიოდა, იმ განსხვავებით, რომ შედარებით მშვიდობიანობის დამყარებამ და ზოგმა ღონისძიებამ, რომელიც ეკონომიკური ცხოვრების მოწესრიგებისაკენ იყო მიმართული, ეს განვითარება მნიშვნელოვნად დააჩქარა, სწორედ ეს აზრია გატარებული ფ. ენგელსის შეფასებაში: «...Весь оккупированный русскими Закавказский край с Тифлисом в качестве его центра может считаться скорее самостоятельным государством, чем составной частью могущественной империи»[2].

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დადგენილად ითვლება, რომ საქართველოში ფეოდალიზმის ბატონობის ხანა XIX საუკუნის 60-იან წლებში მთავრდება. მაგრამ მკვლევრები ერთობ განსხვავებული აზრისანი არიან კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვისა და მისი წყობად გაფორმების (ჩამოყალიბების) საწყისი პერიოდის განსაზღვრაში და შესაბამისად ბურჟუაზიული რეფორმების გატარების შინაგანი აუცილებლობით ახსნაში. მკვლევართა ერთი ნაწილი საქართველოში კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბების ეპოქად XVIII საუკუნის მეორე ნახევარს მიიჩნევს (ს. კაკაბაძე, გ. ნათაძე, პ. როგავა, ა. ხახანაშვილი), სხვანი კი XIX საუკუნის 60-იან წლებს (ზ. ანჩაბაძე, მ. დუმბაძე, ფ. მაჭარაძე). მათ შორის არიან სხვაგვარი პერიოდიზაციის მომხრეებიც, რომელთაგან ყველაზე გავრცელებული და შეიძლება ითქვას აღიარებული შეხედულებით საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისის თვალსაზრისით ძირითადი გარდატეხის ხანა XIX საუკუნის 30-იან—60-იან წლებზე მოდის (ი. ანთელავა, დ. გოგოლაძე, პ. გუგუშვილი, ე. ორჯონიკიძე, შ. ჩხეტია, ე. ხოშტარია და სხვ.) XIX საუკუნის 20 — 30-იანი წლები კი საქართველოში ცარიზმის აქტიური კოლონიალური პოლიტიკის დაწყების პერიოდია. ამრიგად, ხსენებული კონცეფციის თანახმად საქართველოში ახალი, ხანის დადგომა ამ პოლიტიკის დაწყებას ემთხვევა და, გარკვეული აზრით მას უკავშირდება.

მართალია, კაპიტალისტური ტიპის შედარებით მსხვილი საწარმოების გაჩენა, არსებული მასალების მიხედვით, 20-იანი წლების ბოლოდან განსაკუთრებით ხშირია, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამგვარი საწარმოების ძიება მის წინა პერიოდში (XIX საუკუნის პირველ მეოთხედში) სათანადო სიღრმით არ ტარდებოდა.

---

[2] К. Маркс, ф. Энгельс, Сочинения, т. 9, М., 1957, с. 573.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ რიგი სპეციალური გამოკვლევებისა XIX საუკუნის პირველი მესამედის სამრეწველო განვითარების ისტორიის შესწავლის საკითხს ფაქტიურად არც კი აუნებენ, ხოლო ის ნაშრომები, რომლებიც ქრონოლოგიურად მთელ მე-19 საუკუნეს მოიცავენ, სოციალურ-ეკონომიკური და და ძირითადად სამრეწველო განვთარების საკითხების შესწავლას არსებითად 20—30-იანი წლებით იწყებენ[3].

საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება იმან განაპირობა, რომ, როგორც მიჩნეულია, საქართველოს XIX საუკუნის პირველი მესამედი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათით უფრო XVIII საუკუნეს უახლოვდება (ეკუთვნის) ვიდრე XIX საუკუნის დანარჩენ პერიოდს, ამის გამო XIX საუკუნის პირველი მესამედის ისტორიის შესწავლა ფეოდალიზმის ხანის მკვლევრების კომპეტენციაში მოექცა, ხოლო ახალი ისტორიის მკვლევართათვის ქრონოლოგიურ ჩარჩოდ XIX საუკუნის 30-იანი—90-იანი წლები იქნა დაწესებული.

ფუნქციების ამგვარმა მექანიკურმა განაწილებამ, თუმცა იგი არსებითად სწორ შეხედულებაზე იყო დამყარებული, ის უარყოფითი შედეგი გამოიღო, რომ ფეოდალიზმის ისტორიის მკვლევრები XIX საუკუნის პირველ მესამედს, სოციალურ-ეკონომიკური და განსაკუთრებით სავაჭრო სამრეწველო განვითარების თვალსაზრისით, თითქმის არ შეისწავლიდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ XVIII საუკუნის ვითარებასთან შედარებით ამ ხანებში რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია, ხოლო კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების საკითხის შემსწავლელი მკვლევრები კი ამ პერიოდს ერთგვარად ზედაპირულად უყურებდნენ; მას ზოგადი მიმოხილვისა და შემდგომი პერიოდის საკითხების შესწავლისათვის ერთგვარი ფონის სახით თუ შეეხებოდნენ.

---

[3] П. В. Гугушвили, Развитие капитализма в промышленности Грузии и Закавказья XIX—XX вв., т. 1, 1957; Г. Бакрадзе, Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX в., Тб., 1958; Э. В. Хоштария, Очерки социально-экономической истории Грузии, 1974; დ. გოგოლაძე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830—1864), თბ., 1959; ე. თრჯონიკიძე, ვაჭრობა და ვაჭართა ფენა რეფორმამდელი ხანის საქართველოში, თბ., 1974; И. Г. Антелава, Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хоштария, К вопросу о генезисе капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тб., 1967 და სხვ.

მკვლევრები, რომლებიც კი XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს შეისწავლიან ერთხმად აღნიშნავენ ამ პერიოდში იმგვარი ხასიათის ფაქტებს, რომლებიც ტიპიური ფეოდალური ურთიერთობისათვის უცხონი არიან. თუმცა სხვადასხვაგვარ შეფასებას აძლევენ მათ: ზოგი მიიჩნევს კაპიტალისტური ურთიერთობის სპორადიულ ელემენტებად, ზოგი ჩანასახებად, ზოგი კი უკვე ჩამოყალიბებულ კაპიტალისტურ წყობად; მაგრამ, რატომღაც, არც ერთი მკვლევარი დღემდე გულდასმით არ დაკვირვებია თუ რა ბედი ეწიათ მათ XVIII საუკუნის უშუალოდ მომდევნო პერიოდში, — XIX საუკუნის პირველ მესამედში და შესაბამისი მასალების ძიებაც საგანგებოდ არ უწარმოებიათ.

ანგვარად, განსახილველი პერიოდის ქვეყნის საავაჭრო-სამრეწველო განვითარების საკითხები არამცთუ ცალკე მონოგრაფიული შესწავლის საგანი არ გამხდარა, არამედ ზოგად გამოკვლევებშიც კი სათანადო სიღრმით არ გაშუქებულა.

ამავე დროს აღებული პერიოდი მრავალი მიზეზის გამო განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. საქართველოს რუსეთთან შეერთებას, როგორც ითქვა, ქვეყანაში შედარებითი მშვიდობიანობის დამყარება მოჰყვა. ქვეყნის სხვადასხვა ნაწილების ერთი მმართველობის ქვეშ გაერთიანებამ კი გაადვილა მათ შორის საქონელგაცვლისა და სხვა ეკონომიკური ურთიერთობის პროცესების მიმდინარეობა. ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლების რიგმა ადმინისტრაციულმა ღონისძებებმა (სათავადოთა პოლიტიკური უფლებების, კერძო ბაჟების, ზოგიერთი შინაბაჟის გაუქმებამ და სხვ.) მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის არნახულმა გაფართოებამ და ამ ურთიერთობის ხასიათმა (გატანითი ვაჭრობის გაძლიერებამ) ერთობ დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის მრეწველობაზე და სხვ.

XIX საუკუნის პირველი მესამედის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის გულდასმით შესწავლის გარეშე ძნელია სწორად გავიგოთ და შევაფასოთ ის მოვლენები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მის მომდევნო პერიოდში, უფრო მეტიც, მის გარეშე შეუძლებელია სრული და ამომწურავი შეხედულება ვიქონიოთ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რიგ მოვლენებზეც. ეს სხვა გარემოებებთან ერთად იმითაც არის განპირობებული, რომ

ადგილობრივი ხელისუფლება, ცდილობდა რა გარკვეულიყო ქვეყუნის ეკონომიკური ცხოვრების თავისებურებებში, გულდასმით აკვირდებოდა და შეისწავლიდა მას; იმართებოდა ცხოველი მიმოწერა, აზრთა გაზიარება და ა. შ., ხოლო რუსული ბიუროკრატიული აპარატის საქმის წარმოების ხასიათმა კი ისტორიულ მეცნიერებას ის დიდი სამსახური გაუწია, რომ მოცემული პერიოდისათვის ჩვენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ამსახველი გაცილებით მეტი და გაცილებით ძვირფასი მასალები შემოგვრჩა წინა პერიოდთან შედარებით.

ყველაფერმა ამან განსაზღვრა წინამდებარე ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები: — XIX საუკუნის პირველი მესამედი.

*

*

XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანა ფეოდალიზმის ბატონობის ეპოქაა. მაგრამ ამავე პერიოდში თავსდება ახალი კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბებისა და ფორმირების პროცესი. ამგვარად ეს არის ეპოქა ორი წყობის („უკლადის") თანაარსებობისა,— გარდამავალი ეპოქა. ამავე დროს თუ ფეოდალური წყობა ჩვენს ისტორიოგრაფიაში საკმაოდ დეტალურად და ღრმადაა შესწავლილი, როგორც აღინიშა, კაპიტალისტური „უკლადის" ჩასახვისა და ჩამოყალიბების საკითხში მკვლევრები ერთიანი აზრის არ არიან, რაც იმის მაჩვენებელია, რომ აღნიშნული საკითხების შესწავლა შორსაა დასრულებისაგან. ეს, როგორც ითქვა, განსაკუთრებით შეეხება XIX საუკუნის პირველ მესამედს, რომლის მდიდარი და მნიშვნელოვანი მასალა ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ სათანადო სიღრმით არ არის შესწავლილი და გააზრებული.

ამის გამო, განსახილველი ხანის ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო განვითარების სურათის აღდგენისას, წინამდებარე ნაშრომში ძირითადი აქცენტი გადატანილია კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბების პროცესის დახასიათებაზე და იმ დამშლელ ზეგავლენაზე, რასაც ეს პროცესი ძველ, ფეოდალურ წყობაზე ახდენდა.

კაპიტალისტური წყობის ჩასახვა-განვითარების სურათის წარმოდგენა შეუძლებელია ვაჭრობისა და სავაჭრო კაპიტალის განვითარების საკითხების შესაბამისი დამუშავების გარეშე. სავაჭრო კაპიტალი, ფეოდალიზმის ვითარებაში კაპიტალის ერთადერთი

თავისუფალი ფორმაა, რომელსაც საშუალება აქვს მრეწველობაზე თანდათანობითი ზეგავლენით სამრეწველო კაპიტალად გადაქცევისა. საქონელგაცვლის განვითარების დონე განსაზღვრავს სასაქონლო მეურნეობის ჩამოყალიბების დონეს და ხარისხს, იწვევს შინაგანი ბაზრის გაფართოებას, სასაქონლო ურთიერთობა სასაქონლო მეურნეობის განვითარების, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს შორის სამეურნეო სპეციალიზაციის ჩამოყალიბების საფუძველია. სასაქონლო მეურნეობა არსებითად კაპიტალისტური მეურნეობაა, ე. ი. განსაზღვრულ ეტაპზე კაპიტალისტურ მეურნეობად იქცევა.

ამავე დროს განსახილველი ხანის საქართველოს ვაჭრობისა და სავაჭრო კაპიტალის განვითარების საკითხები შესაბამის ლიტერატურაში სათანადოდ არ არის გაშუქებული. ამან განაპირობა განსახილველი ხანის საქართველოს ვაჭრობის განვითარების შესწავლის აუცილებლობა და, ჩვენი აზრით, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების წამოწევა, როგორიცაა: სავაჭრო ბურჟუაზიის ჩამოყალიბების თავისებურებები, საშინაო ვაჭრობისა და საშინაო ბაზრის გაფართოების საკითხი, ვაჭართა რაოდენობის და სავაჭრო კაპიტალის ზრდის პრობლემები და სხვ.

ცნობილია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასაქონლო მეურნეობაზე დაყრდნობილ საგარეო ვაჭრობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში და ახალი კაპიტალისტური ურთიერთობის ჩამოყალიბებაში: მარქსის მთითებით მანუფაქტურა წარმოიშობა იქ, სადაც ხდება მასობრივი წარმოება გაზიდვის მიზნით, საგარეო ბაზრისათვის.

წინამორბედ ავტორთა ნაშრომებში საქართველოს საგარეო ვაჭრობის დახასიათებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მაგრამ ჩვენი აზრით სათანადო სისრულით არ არის განხილული ცალკეულ რეგიონებთან (ქვეყნებთან) საგარეო ვაჭრობის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკისათვის, სრულიად უმართებულოდ შეუსწავლელია განსახილველი ხანის ვაჭრობა რუსეთთან, მაშინ როდესაც XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან როგორც ეს სავსებით სწორად აქვს შემჩნეული ვ. გაბაშვილს და სხვა ავტორებს, საქართველოსათვის ამ ვაჭრობის მნიშვნელობა თანდათან მატულობს და წამყვანი ხდება. რუსეთთან ვაჭრობის ცალკეული ფაქტები და რუსეთის ბაზრებზე ქართული საქონლის გატანა აღნიშნული აქვთ მკვლევრებს ვ. გამრეკელს და ე. ორჯონიკიძეს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ რუსეთთან ვაჭრობამ და განსაკუთრებით რუსეთში და ჩრდილოეთ კავკასიაში ქართული ნაწარმის, განსაკუთრებით ქსოვილების, გატანამ, უაღრესად დიდი როლი შეასრულა ქვეყნის სამეურნეო განვითარებაში და მასში ახალი კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბებაში.

ზემოხსენებულ ავტორთა გარდა საქართველოს ვაჭრობის საკითხების განხილვისას ჩვენ ვითვალისწინებდით: პ. გუგუშვილის, ს. კაკაბაძის, შ. ეფრემიძის, კ. კუციას, შ. მესხიას, ტ. ტაკიძის, დ. კაციტაძის, ა. კიკვიძის, ა. ფანცხავასა და სხვა ავტორთა ნაშრომებს.

კ. მარქსის განმარტებით „ფეოდალური წარმოების წესიდან გადასვლა ხორციელდება ორგვარად. მწარმოებელი ხდება ვაჭარი და კაპიტალისტი... ანდა ვაჭარი, ეუფლება უშუალოდ წარმოებას"[4]. „კაპიტალის" ავტორი შემდეგ ამ დებულებას ასე აზუსტებს: „მაშასადამე გადასვლა ხდება სამგვარად: პ ი რ ვ ე ლ ი, ვაჭარი პირდაპირ მრეწველად იქცევა; ამას ადგილი აქვს ვაჭრობაზე დაფუძნებული ხელოსნობის დარგებში, განსაკუთრებით ფუფუნების საგანთა მწარმოებელ დარგებში, რომლებიც ნედლი მასალითა და მუშებითურთ ვაჭრებს შემოაქვთ უცხოეთიდან, როგორც მეთხუთმეტე საუკუნეში იტალიაში შემოჰქონდათ კონსტანტინოპოლიდან; მ ე ო რ ე, ვაჭარი თავის შუამავლებად (middlemen) ხდის წვრილ ოსტატებს, ანდა უშუალოდ ყიდულობს დამოუკიდებელი მწარმოებლებისაგან. იგი მას ნომინალურად დამოუკიდებელს ტოვებს და უცვლელად ტოვებს მისი წარმოების მეთოდს; მ ე ს ა მ ე, მრეწველი ხდება ვაჭარი და უშუალოდ აწარმოებს დიდი მასშტაბით ვაჭრობისათვის"[5].

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მრეწველობაში კაპიტალიზმის გენეზისის საკითხები ძირითადად დასახელებული პ ი რ ვ ე ლ ი გზის („ვაჭარი პირდაპირ მრეწველად იქცევა") ან მისი სახეშეცვლილი ფორმების შესწავლის საფუძველზე განიხილებოდა. პ. გუგუშვილის, გ. ბაქრაძის, ე. ხოშტარიას, დ. გოგოლაძის, ა. კოპლავაშვილის და სხვ. ავტორთა მონოგრაფიებში აღწერილი კაპიტალისტური საწარმოები რომელთა გაჩენა 20-იანი წლების ბოლოდან მოკიდებული მთელ რეფორმამდელ პერიოდშია შემჩნეული, ძირითადად სწორედ ამგვარ კატეგორიას მიეკუთვნებოდ-

---

[4] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. მესამე, წ. 1, თბ., 1959, გვ. 423.
[5] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. მესამე, წ. 1, თბ., 1959, გვ. 425.

ნენ. ისინი უპირატესად ვაჭრებისა და სხვა საქმოსნების მიერ ეწყობოდნენ რუსული და ევროპული მსგავსი საწარმოების მაგალითითა და მიბაძვით, იქიდან შემოჰქონდათ მანქანა-იარაღები, და შემოჰყავდათ ოსტატები და ა. შ. ასე იყო კასტელას აბრეშუმსახვევ საწარმოში, ზუბაშვილის შაქრის ქარხანაში, იმერლიშვილის არყის ქარხანაში, ანდრიევსკის ტყავის ქარხანაში და ა. შ.

თვით იმ საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მკვლევრებს XVIII ს. მეორე ნახევარში აქვთ შემჩნეული, ამგვარად წარმოშობილად მოსჩანან: ზარბაზნების ქარხანა რეინეგსის ინიციატივით მოეწყო, სამთომადნო ქარხნები მოწვეული ბერძნების ძალით მუშაობდნენ და სხვ.

თავისთავად რამდენად დიდი მნიშვნელობა და გავლენაც არ უნდა ჰქონდეს დასახელებული გზით წარმოშობილ კაპიტალისტურ საწარმოებს ქვეყნის საერთო განვითარების ხასიათსა და დონეზე, ეს პროცესი ქვეყნის შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგად ყოველთვის შეიძლება არც კი იქნეს მიჩნეული. ისინი ბუნებრივი გზით ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებულად შეიძლება არც კი ჩაითვალოს, რადგან უცხო მაგალითზე, უცხო ძალების შემწეობით არიან დანერგილნი, და თუ ამგვარი გზით აღმოცენებული საწარმოების გვერდით და პარალელურად არ შეიმჩნევა კაპიტალისტური საწარმოების აღმოცენების პროცესი წვრილი სარეწების თანდათანობითი გაფართოებისა და ამ გზით უშუალო მწარმოებლის ვაჭრად და კაპიტალისტად გადაქცევისა, ან სავაჭრო კაპიტალის მიერ წარმოების თანდათანობით დაპყრობისა და ამგვარად სამრეწველო კაპიტალად გადაქცევისა, ხსენებული გზით წარმოშობილი კაპიტალისტური ბუნების საწარმოთა კანონზომიერება შეიძლება საეჭვოც კი გახდეს. ერთი სიტყვით, შეიძლება საეჭვოდ გახდეს თუ რამდენად შეესაბამებიან და ასახავენ ისინი ქვეყანაში ახალი კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბებას.

ყოველივე ამის გამო წინამდებარე ნაშრომში ძირითადად განხილული და დახასიათებულია სწორედ ფეოდალიზმიდან გადასვლის, ჩვენი აზრით, ძირითადი და ორგანული გზები: ერთი მხრივ, მწარმოებლის თანდათანობით გადაქცევა ვაჭრად და კაპიტალისტად, ხოლო მეორე მხრივ, ვაჭრის მიერ წარმოების თანდათანობით დაპყრობა და ამრიგად სავაჭრო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალად გადაქცევა. მით უმეტეს, რომ ყოველ შემთხვევაში XIX ს.

პირველ მესამედში, ახალი წყობის ჩამოყალიბების პროცესი ძირითადად სწორედ ამ გზებით მიმდინარეობდა. რადგან განსახილველი ხანის სამრეწველო განვითარებაში უპირატესი ადგილი საფეიქრო წარმოებას ეკავა, ხოლო, ამ დარგის რევოლუციური ბუნების გამო, ახალი ურთიერთობის ელემენტები მასში განსაკუთრებით ადვილად და სწრაფად იკაფავენ გზას, აღნიშნული საკითხები ძირითადად, საფეიქრო (განსაკუთრებით ბამბეულის) წარმოების განვითარების მაგალითების მიხედვით იქნება განხილული.

ცხადია, ამ პროცესების შესწავლა მოითხოვდა რიგი სხვა საკითხების დამუშავებას, ფაქტების დადგენას და ა. შ. რასაც ნაშრომში გარკვეული ადგილი ეთმობა.

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა განსახილველი ხანის საქართველოს სამრეწველო განვითარების საკითხების შესწავლაში დღესდღეობით არსებული ვითარება და ამ თვალსაზრისით წინამდებარე ნაშრომის ამოცანები. ამასთან ერთად ვახსენეთ ზოგიერთ ავტორთა ნაშრომები, რომლებიც ჩვენს საკვლევ ეპოქასთან და პრობლემებთან განსაკუთრებით ახლოს დგანან. უნაკლო ნაშრომი ძნელი წარმოსადგენია, წინააღმდეგ შემთხვევაში ისტორიული მეცნიერება დიდი ხანია ამოწურავდა თავის ასპარეზს. ისტორიული მეცნიერების განვითარება გულისხმობს სულ ახალახალი პრობლემების დასმას, წყაროთმცოდნეობითი საფუძვლის გაფართოებას, მეთოდოლოგიური ხერხების დახვეწას. ამდენად, თუ რომელიმე ნაშრომის ცალკეულ არასრულყოფილებაზე მივუთითეთ ეს ცხადია არ ნიშნავს ამ ნაშრომთა როლისა და მნიშვნელობის უგულვებელყოფას. პირიქით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ თითოეული დასახელებული ნაშრომი თავისი დროის ისტორიული მეცნიერების დონის შესაფერისი იყო და მის ამაღლებას, მეტ-ნაკლებად ემსახურებოდა.

ავტორს არა აქვს პრეტენზია საკვლევი პრობლემის ისტორიოგრაფიის გაშუქებისა. ვფიქრობთ, ამგვარი სამუშაოს ჩატარება არც არის აუცილებელი, რადგან ეს საკითხები საკმაოდ სრულადაა დამუშავებული ი. კაჭარავას, ვ. გუჩუას, ე. ხოშტარიას, ნ. როდონიასა და სხვ. მკვლევართა ისტორიოგრაფიულ ნაშრომებში, მაგრამ, ამავე დროს, საჭიროა აღინიშნოს, რომ წინამდებარე გამოკვლევაში აღძრული საკითხების დამუშავების, მიღებული დებულებებისა და დასკვნების ჩამოყალიბების პროცესში ავტორი ითვალისწინებდა ყველა იმ მიღწევას, რაც ქართულ ისტორიულ

და ეკონომიკურ მეცნიერებას საკვლევი და მისი მომიჯნავე პრობლემების დამუშავებაში გააჩნია. ნ. ბერძენიშვილის, ს. კაკაბაძის, გ. ნათაძის, პ. გუგუშვილის, ა. კიკვიძის, შ. მეხიას, ალ. ფირცხალაიშვილის, პ. რატიანის, ი. ანთელავას, ი. კაჭარავას, ვ. გაბაშვილის, ნ. ქოიავას, ვ. ჩანტლაძის, ა. ფანცხავას, დ. უჩანეიშვილის, ივ. სურგულაძის, გ. მარგიანის, ე. ხოშტარიას, დ. გოგოლაძის, გ. ბაქრაძის, თ. ბერიაშვილის, ვ. გუჩუას, ნ. როდონაიას, გ. აკოფაშვილის, მ. ეფრემიძის, ვ. გამრეკელის და სხვა ავტორთა ნაშრომების გათვალისწინებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა წინამდებარე გამოკვლევის სხვადასხვა საკითხებზე ავტორის შეხედულებების ჩამოყალიბებაში.

ავტორმა გაითვალისწინა რუსი და სხვა მოძმე რესპუბლიკების მეცნიერ-ისტორიკოსთა და ეკონომისტთა მიღწევები გვიანფეოდალური ხანის, კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების ისტორიის პრობლემების დამუშავებაში.

ნაშრომი მნიშვნელოვან წილად ეყრდნობა ივ. ჯავახიშვილის, ე. თაყაიშვილის, ა. ცაგარელის, ნ. ბერძენიშვილის, ი. დოლიძის, ივ. სურგულაძის, შ. ბერძნიშვილის, დ. ფურცელაძის, დ. უჩანეიშვილის, ვ. გამრეკელის, აპ. როგავას და სხვ. დოკუმენტების პუბლიკაციებს.

იგი ძირითადად დაწერილია საარქივო მასალების საფუძველზე, რომელიც უპირატესად საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში და სხვა არქივსაცავებშია დაცული და რომელთა დიდი ნაწილი ავტორს პირველად შემოაქვს მეცნიერულ ბრუნვაში.

ამ მასალის დამუშავებას ავტორს უადვილებდა მარქსისტული მეთოდოლოგიის მომარჯვება და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ფუძემდებლური დებულებებისა და მითითებების გულდასმით გათვალისწინება.

I. საშინაო ვაჭრობის განვითარება

1. ვაჭრობის განვითარების ტრადიციები

საქართველოს ვაჭრობას მეტად ხანგრძლივი ისტორია აქვს. მისი დიდი ტრადიციების წარმოსადგენად საკმარისია აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ X—XI საუკუნეებში საქართველოს ქალაქები და საკუთრივ ვაჭართა ფენა იმ ძალად გამოდიან, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. უკვე დავით აღმაშენებლის პოლიტიკა მნიშვნელოვან წილად „იყო სავაჭრო კაპიტალის პოლიტიკა (თვით დავითი ხომ ამ წრეების მიერ იყო გამეფებული)"[1]. შემდგომშიც ვაჭართა ფენა ქვეყნის ცენტრალიზაციის დასაყრდენ და ფეოდალთა ცენტრიდანული მისწრაფების საწინააღმდეგო ძალად გვევლინება.

XIII საუკუნიდან მოკიდებული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასახული ტენდენცია მკვეთრად დამუხრუჭდა. მონღოლთა შემოსევების უარყოფითი მნიშვნელობა პირდაპირპროპორციული იყო დაპყრობილი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონისა. ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს ის ფიზიკური, მატერიალური, თუ კულტურულ-პოლიტიკური გაჩანაგება, რაც ქვეყანამ განიცადა XIII—XV საუკუნეების ძნელბედობის ხანაში; როცა „საფრთხე დაუდგა აღმოსავლეთის ცივილიზაციას", და დამოუკიდებელი არსებობა შეწყვიტეს ისეთმა კულტურულმა ქვეყნებმა როგორიც იყო ბიზანტია, სომხეთი, შაქი, შირვანი. საქართველო „ველურთა ზღვაში მოქცეულ კუნძულს"[2] დაემსგავსა. ყველაზე მეტად დამპყრობთა შემოსევების სიმძიმე ქალაქებმა განიცადეს: დაეცა ხე-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII, თბ., 1974, გვ. 195.

[2] იქვე, გვ. 239.

ლოსნობა, შემცირდა ვაჭრობა (საბაჟოების სიმრავლე, გზების მოშლა, ხიფათი).

თითქმის სამასწლიანი ძნელბედობის მანძილზე განუზომელი ზარალის ფასად, საქართველომ მაინც მოახერხა თავისი თვითმყოფადობის შენარჩუნება და ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ, თუმცა რთული პოლიტიკური ვითარება საქართველოში XVIII საუკუნემდე გაგრძელდა (ფეოდალური დაქუცმაცებულობა და ამის შედეგები, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილების მაჰმადიანური მეზობელი სახელმწიფოების გავლენის სფეროებში მოქცევა, ისტორიული ტერიტორიების დაკარგვა და ა. შ.) და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად შეფერხდა, რაც ხშირად სოციალური ურთიერთობის მახინჯი ფორმების წარმოქმნასაც კი იწვევდა, მაგრამ ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება არ შეწყვეტილა, რასაც მოწმობს წარმოების საშუალებათა განვითარება (სახვნელი იარაღები, მეტალურგია, ტექნიკური კულტურების გავრცელება), არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების მეშვეობით რომ დგინდება. ამასვე მოწმობს შრომის ტექნიკური დანაწილების ფაქტები, რაც აშკარად დასტურდება იმ პერიოდის არა მარტო ხელოსნობაში, არამედ სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებშიც, რომლის ანარეკლი დღემდე შემორჩა ქართულ ლექსიკას (გუთნისდედა, მეხრე, მეურმე, მეზვრე და ა. შ...).

საწარმოო ძალთა განვითარება, სასაქონლო ურთიერთობის დონე, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და ამიერკავკასიის ეკონომიკური ცენტრის როლი, რომელიც საქართველომ შეინარჩუნა, განსაზღვრავდნენ ვაჭრობის განვითარების შედარებით მაღალ დონეს პოლიტიკური თვალსაზრისით ქვეყნისათვის ყველაზე მძიმე წლებშიც კი.

ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა შედარებითი მშვიდობიანი ცხოვრების გარკვეულ ხანგრძლივობას და ქვეყნის ცალკეული ცენტრების კავშირს მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობასთან. შავ ზღვაზე ოსმალეთის გაბატონების ეპოქაში ვაჭრობისა და საერთოდ საქალაქო ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით დასავლეთთან შედარებით მნიშვნელოვნად უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში[3].

---

[3] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, XVI—XVIII სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი

XVIII საუკუნიდან (განსაკუთრებით მეორე ნახევრიდან) საქართველოში შედარებით მყარი პოლიტიკური ვითარება დამყარდა და ამან მაშინვე იქონია გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათზე, რაც შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და სასაქონლო ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებაში გამოიხატა.

XVIII და XIX სს. დასაწყისის საბუთები ნათლად მოწმობენ, რომ საქართველოში (უმეტესად ქალაქებში) ყიდვა-გაყიდვის საგანია ყველაფერი, რაც კი შეიძლება ადამიანმა მოიხმაროს (ისეთი საგნებიც კი, როგორიცაა ძეძი შესაღობად, ბარის ტარები, მწვანილის თესლები, ლობიო, ფიჩხი, ჭანჭური, თუთა და ა. შ.) ნიშანდობლივია, რომ ყველაფერი ეს შემთხვევით კი არ იყიდება, არამედ სისტემატურად და ყველაფერი ზემოჩამოთვლილი შემთხვევითი ზედმეტი პროდუქტები კი არ არის, არამედ საგანგებოდ, გასაცვლელად, ბაზრისათვის არის დამზადებული[4], ამას არაერთი საბუთი გვიდასტურებს. XVIII საუკუნის დასაწყისის ქართული სამართლის ძეგლიდან „დასტურლამალი"-დან აშკარად ჩანს, რომ თბილისსა და მის გარეუბნებში სპეციალურად ითესებოდა გასასყიდი ბოსტნეული და მწვანილი, რაზედაც საგანგებო გადასახადი იყო დაწესებული: „ხოლო რომელსაც ბაღის პატრონს ამა ხარჯში გამორევა არ უნდოდეს, ის გასასყიდელს მწვანილს ნუ დასთესავს და ნურც ხარჯში მოუდგების. თუ დასთესოს — ნესვი, საზამთრო, კიტრი, ლობიო, ბადრიჯანი, ნიორი, თავი ხახვი, კომბოსტო, ჭარხალი, ამ რიგი რამ დასთესოს, თავის საყოფი მწვანილი დასთესოს თორემ სხვას კი ნუ დასთესავს"[5]. ერთ-ერთ უფრო გვიანდელ კანონპროექტში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ხელოსნები „საქმეს გამოიყვანდნენ თავიანთი მუშაობით გასასყიდლად"[6]. ეს რომ შემთხვევეთი განცხადება არ არის, და მას რეალური სა-

---

აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობის შუქზე, კრ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, I, თბ., 1966, გვ. 193.

[4] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ტ. 1, 1938; ტ. II, თბ., 1953; იგ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, ტ. II, თბ., 1974, გვ. 138—139.

[5] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო იგ. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 546—547.

[6] სამოქალაქო სჯულვილება, ტექსტი, საძიებელი და ლექსიკონი გამოსცა დ. ფურცელაძემ, თბ., 1966, გვ. 138.

ფუძველი ჰქონდა, აშკარად ჩანს XVIII—XIX სს. საბუთების ანალიზიდან. იმ უამრავ მასალაში, რომელიც აურაცხელ სავაჭრო გარიგებას თუ ოპერაციას შეიცავს, მეტად იშვიათად გვხვდება ხელოსნობაში საქონლის შეკვეთით დამზადების ფაქტები. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ხანებში ქართულ ქალაქურ ხელოსნობაში შეკვეთით მუშაობა ისპობა. წარმოების ამ სახემ კიდევ დიდხანს შეინარჩუნა მნიშვნელობა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს იმის მაჩვენებელია, რომ სასაქონლო წარმოება იკრება და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს (შეიძლება წამყვანსაც) ქართულ ქალაქურ ამქრულ ხელოსნობაში, რომელიც ფეოდალური ურთიერთობის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს.

სასაქონლო წარმოების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მასტიმულირებელია ფულადი რენტის შემოღება. სასაქონლო ურთიერთობის პირობებში ფეოდალი დაინტერესებულია შრომამიგებითი და პროდუქტადი რენტა ფულადი რენტით შეცვალოს. მართალია, გლეხობა ამას ეწინააღმდეგება, მაგრამ საბოლოოდ ეს პროცესი მას მაინც უბიძგებს, რათა თავისი ნაწარმის სულ უფრო მეტი ნაწილი გაიტანოს ბაზარზე და ამით შინავაჭრობის განვითარებას შეუწყოს ხელი. მაგრამ როცა პროცესი პირუკუ სახეს იღებს, როცა უკვე არა ფეოდალები, არამედ გლეხები იბრძვიან ნატურით გადასახადის ფულადი გადასახადით შეცვლისათვის, რასაც განსახილველი ხანის არაერთი საბუთი მიუთითებს. აქ უკვე ეჭვსგარეშეა, რომ მაღალგანვითარებული სასაქონლო წარმოების არსებობასთან გვაქვს საქმე: XIX საუკუნის დასაწყისში ფულადი გადასახადების შემოღების სურვილს გამოთქვამენ იმერეთის რიგი სოფლების ყმა გლეხები[7], უფრო ადრე XVIII საუკუნის 80-იან წლებში იმერეთის აჯანყებული გლეხობის ძირითადი მოთხოვნა ყველა საბატონო ბეგარა გამოსაღებების ერთიანი ფულადი გადასახადით შეცვლა იყო[8]. XIX საუკუნის დასაწყისში ნატურით გადასახადის შეცვლას ფულადით ითხოვენ ქართლ-კახეთის რიგი სოფლების გლეხები[9]. საბუთების მითითებით ხშირი იყო შემთხვევები როცა გლეხები ბაზარზე ყიდულობდნენ პროდუქტებს, რათა საბატონო თუ სახელმწიფო ნატურალური ბეგარა გადაეხადათ. ცხადია, ეს გლეხები სასაქონლო წარმოებაში არიან ჩაბმულნი

---

[7] სცსია, ფ. 254. აღწ. 1, საქ. 805, ფურც. 123, 125, 126.

[8] ЦГВИА. ф. ВУА, оп. 1/194, д. 416/2, л. 30.

[9] სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 804, ფურც. 25; 54.

და მათთვის ნატურალური რენტის ფულადი რენტით შეცვლა არა ნარტო მისაღებია, არამედ სასურველიც.

XVIII საუკუნის, მეორე ნახევარში, როგორც ითქვა, საქართველოში შედარებით სტაბილური ვითარება დამყარდა, აღმოსავლეთში ერეკლე II-ს, ხოლო დასავლეთში სოლომონ I-ის ენერგიულმა ღონისძიებებმა მართლაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ქვეყნის მდგომარეობა, მაგრამ, ცხადია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დამბრკოლებელი გარემოებები არ მოსპობილა. საქართველოში ამ თვალსაზრისით ნორმალური ვითარება არ დამყარებულა არამცთუ XVIII, თვით XIX საუკუნის დასაწყისშიც კი. პირიქით XVIII საუკუნის მიწურულში ქვეყნის პოლიტიკური ვითარება მნიშვნელოვნად გამწვავდა.

კავკასიელ მთიელ ფეოდალთა გაუთავებელი თვადასხმები და თარეშები, ტყვეთა სყიდვის ბარბაროსული პროცესი დასავლეთ საქართველოში, ქიშპი და ბრძოლა ცალკეულ ფეოდალებსა და მთავრებს შორის, მტერთა თავდასხმების მუდმივი საშიშროება, მნიშვნელოვნად აბრკოლებდა ვაჭრობის განვითარებას. მაგრამ სასაქონლო მეურნეობის განვითარების პროცესი, როგორც ჩანს, იმდენად ძლიერი იყო, რომ მრავალრიცხოვანი დამბრკოლებელი გარემოებების პირობებშიც კი სავაჭრო კავშირები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს შორის არამცთუ არ წყდებოდა, გარკვეულად კიდეც ძლიერდებოდა. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა ქვევით გაგრძელდება. აქ კი უნდა აღინიშნოს, რომ უმართებულოდ მიგვაჩნია ის მკვლევართა შეხედულებები, რომლებიც XVIII საუკუნის საქართველოში ვაჭრობის განვითარებაში ვერავითარ პოზიტიურ ძვრებს ვერ ხედავენ. მაგალითად, აკად. პ. გუგუშვილის აღნიშვნით „ე. წ. ახალი დროიდან“ მოყოლებული თვით XIX საუკუნემდე ამიერკავკასიაში ვაჭრობა და მრეწველობა არამც თუ ნაკლებად ვითარდება, არამედ უფრო ხშირად, ქვეყნის საერთო პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაქვეითებასთან ერთად სულ ეცემა და კნინდება“[10]. ამ მეტად სერიოზული დებულების დასამტკიცებლად ავტორს მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა მოაქვს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მთელი ეს მასალა მხოლოდ იმას ამტკიცებს, თუ რა მძიმე პირობებში ხდებოდა საქართველოს საშინაო ბაზრის

---

10 დაწვრ. იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. 1, თბ., 1949, გვ. 67—106.

ჩამოყალიბება. მაგალითად, იგი იშველიებს პ. ორბელიანის ცნობას ლეკთა თარეშის შესახებ ქართლში: „შეიკრა გზები მტრისაგან, რომ მგზავრი აღარ გაატარეს, აღარც ზემო ქართლიდამ ჩამოუშვეს და აღარც ახალციხის ქვეყნიდან ქარავანი, ამით ქალაქ ტფილისის ძვირობა შეიქნა და ხალხი დიდად შეწუხდნენ. გაბრძანდა ბატონი საქართველოს ჯარით რომელი ქალაქში ახლდნენ, მიბრძანდა დადგა მცხეთას, შემოეყარა საერისთაოების ჯარი, დაიყენა გზებზე, გაიხსნა გზები და უკუაგდო მტერი, ჩავიდა ურიცხვი პური, ღვინო, თუ რაც რაფერი საზრდო, აივსო ქალაქი ყოვლითა სანოვაგითა"[11]. ამ ცნობაში მტერთა შემოსევების შემაფერხებელი მნიშვნელობის გვერდით, განსაკუთრებით, ჩვენი აზრით სწორედ ის იქცევს ყურადღებას, რომ საქართველოს კუთხეებს შორის ეკონომიკური კავშირურთიერთობა იმდენად ძლიერი ჩანს, რომ მიმოსვლის დროებით შეფერხებას ასეთი მძიმე შედეგები გამოუღია.

სასაქონლო მეურნეობის არ არსებობის დასადასტურებლად ავტორს გიულდენშტედტის ცნობა მოაქვს: „ყველა კომლს აქვს თავის ეზოში ვენახისა და ხილის ბაღი. სოფლად მისდევენ აგრეთვე მეაბრეშუმეობას, მეჯოგეობას, მაგრამ აწარმოებენ მხოლოდ საკუთარ მინიმალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და საბატონო თუ სახელმწიფო გადასახადების დასაფარავად"[12]. უდავოა, რომ გიულდენშტედტის საქართველოში მოგზაურობის მასალები არაერთ ძვირფას ცნობას შეიცავენ ქვეყნის იმდროინდელი სამეურნეო სურათის აღსადგენად, მაგრამ ისიც უდავოა, რომ მისი ყველა ცნობის უკრიტიკოდ მიღებამ შეიძლება შეცდომაშიც შეგვიყვანოს. იგივე ავტორი, სხვა ადგილას იმავე კახეთის სოფლის მეურნეობის დახასიათებისას აღნიშნავს (იგულისხმება კახეთის სხვა რაიონი, სხვა სოფელი): „ყველგან ბაღებში იყო ყურძენი, ბროწეული, ლეღვი და ყველა სახის ნაყოფი, რაც ევროპაშია გავრცელებული; მეაბრეშუმეობა საკმაოდ მნიშვნელოვანია. ყოველი ოჯახი წლიურად იღებს 2—4 ფუთ აბრეშუმის პარკს, ხოლო გირვანქას ყიდიან 60—90 კაპიკად"[13]. აქედან კი გამოდის, რომ ოჯახების გარკვეულ ნაწილს მხოლოდ აბრეშუმის პარკის

---

[11] იხ. პ. გ ო გ ო შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

[12] იქვე, გვ. 73.

[13] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. 1, თბ., 1962, გვ. 35.

გაყიდვით შეეძლო წელიწადში 144 მანეთი შემოსავალი მიეღო, რაც საშუალო გლეხური ოჯახის მთელი წლის ბიუჯეტს უდრის. ცხადია აქ „საკუთარ მინიმალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ“ წარმოებაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ სახეზეა აშკარა სასაქონლო წარმოება. ამ საკითხებზე ჩვენ გაკვრით ზევითაც შევეხერეთ ყურადღება, XIX საუკუნის პირველი მესამედის მასალებზე დაყრდნობით მათ შესაბამის პარაგრაფში უფრო დაწვრილებით განვიხილავთ, მანამდე კი უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად რთული პოლიტიკური ვითარებისა, მიუხედავად არაერთი დამაბრკოლებელი მიზეზის არსებობისა უკვე, ყოველ შემთხვევაში, XVIII საუკუნეში აშკარაა სასაქონლო ურთიერთობისა და სასაქონლო წარმოების შემდგომი განვითარების ტენდენციის არსებობა.

როგორც ითქვა ვაჭრობის განვითარების ერთ-ერთი დამაბრკოლებელი გარემოება, XVIII საუკუნეში ლეკთა თარეშების გაძლიერება იყო, მაგრამ რამდენად პარადოქსალურადაც არ უნდა მოჩანდეს ეს განცხადება, მუხედევად ამ მოვლენის დიდი სერიოზულობისა და სიმძიმისა, მიუხედევად იმ უდიდესი ზარალისა, რომელსაც იგი ქართულ ეკონომიკას აყენებდა, ლეკთა თავდასხმებს არამცთუ არ შეუჩერებია საქართველოს სავაჭრო განვითარება, მას არ აღუკვეთია ქართველ ვაჭართა მიმოსვლა თვით ლეკთა სოფლებშიც კი. ამ თვალსაზრისით ყველაზე მძიმე (1784—1787) წლებშიც კი, როდესაც პორტას უშუალო მითითებით ახალციხის საფაშო საქართველოზე ლეკთა სისტემატური და გეგმაზომიერი თავდასხმების ორგანიზატორის როლში გამოდის, როცა მთიელ ფეოდალებს საქართველოზე თავდასხმებისაკენ უბიძგებდა არა მარტო ნადავლის შოვნის ტრადიციული სურვილი, არამედ თურქეთისაგან საგანგებოდ დანიშნული სურსათი და ჯამაგირებიც კი, საქართველოს ვაჭრებს მიმოსვლა არ შეუწყვეტიათ არც ახალციხის საფაშოში და არც კავკასიის მთიანეთში. როგორც ჩანს, გარდა საგანგებო ზომებისა, რომლებსაც ვაჭართა ფენის წარმომადგენლები ამ საშიშროების თავიდან აცილებისათვის ზიმართავდნენ, საერთოდ ვაჭრებს წინა აზიაში რაღაც ტრადიციით ჩამოყალიბებული იმუნიტეტიც გააჩნდათ, რის გამოც ვაჭრობა თვით მეომარ ქვეყნებს შორისაც არ წყდებოდა.

საქართველოს ვაჭართა ფენის მოქმედების ასპარეზი მეტად ვრცელი იყო. იგი მოიცავდა არა მარტო ადგილობრივ ბაზარს და მნიშვნელოვან კომერციებს აწარმოებდა კავკასიისა თუ მახლობელი აღმოსავლეთის ბაზრებზე, არამედ მეტად დიდ საშუამავლო ვაჭრობას ეწეოდა აღმოსავლეთის მეზობელ ქვეყნებს შორისაც. ვფიქრობთ, ეს გარემოება, საშინაო ბაზრის ჩამოყალიბებისა და გაფართოების პროცესის მიმდინარეობასთან ერთად უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ქართველი ვაჭრებისათვის უცხოა საავაჭრო პრივილეგიების იურიდიული (უფლებრივი) გაფორმებისათვის ბრძოლა. მოუხედავად ვაჭრობის მაღალი განვითარებისა, საქართველოში საავაჭრო გილდიები არ ჩამოყალიბებულა. XVI—XVII სს. მიჯნაზე, და შეიძლება უფრო აღრეც, ქალაქის მოსახლეობაში მიმდინარე ქონებრივი დიფერენციაციის საფუძველზე გამოიყოფა შეძლებულ ვაჭართა ძლიერი ფენა, რომელიც თავისი პრივილეგიური მდგომარეობის იურიდიული გაფორმებას ეცდრაფვის. ერთი მხრივ, ქალაქის მცხოვრებთა ცალკეული, განსაკუთრებით ეკონომიკურად ძლიერი და დაწინაურებული ნაწილი, რომელსაც, უეჭველია, ძირითადად ვაჭრები შეადგენენ, სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით ახერხებენ გაბატონებულ (პრივილეგირებულ) წოდებრივ კატეგორიებში გადასვლას და საქართველოში ჩნდება არამცთუ ვაჭარ-აზნაურთა, არამედ ვაჭარ-თავადთა გვარებიც კი (როგორც ცნობილია, ამ პროცესს თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს მთელი XIX საუკუნის მანძილზე, რამაც შესანიშნავად პოვა ასახვა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში—ლ. არდაზიანი, გ. ერისთავი, ა. ცაგარელი და სხვ.), მეორე მხრივ, რაკი ამგვარ წარმატებას მხოლოდ ერთეულები აღწევდნენ, ქალაქის ეკონომიურად ძლიერი და დაწინაურებული ნაწილი ცდილობდა გამოყოფოდა ქალაქის მცხოვრებთა მასას და თავისი იურიდიული უფლებებით პრივილეგირებულ წოდებას დაახლოებოდა. როგორც ჩანს, მეტ-ნაკლებად იგი ამას ახერხებდა კიდეც. ვახტანგ VI სამართლით ვაჭართა ოთხი კატეგორიიდან პირველი ორი აზნაურს უთანაბრდება[14].

---

[14] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ., 1963, გვ. 489, მუხ. 30—33.

არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ იმავე ხანებში მიმდინარეობს ვაჭართა ფენის ერთიან სოციალურ ინსტიტუტად, ბურჟუაზიულ კლასად ჩამოყალიბების პროცესი, ა. ფირცხალაიშვილის დაკვირვებით, ვახტანგის სამართალში მოხსენიებული ვაჭრების ოთხ კატეგორიაში იგულისხმება არა მოქალაქეთა დაყოფა, არამედ საერთოდ სხვადასხვა ქალაქების ვაჭრები რომლებიც ფეოდალური სამართლით, მათი შეძლებისა და ღირსების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფოდა[15]. ეს დებულება, რომელიც კარგახანია გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში[16], მეტად მნიშვნელოვნად მოსჩანს. საქმე ის არის, რომ საქართველოს ვაჭართა ფენა წოდებრივად ერთგვაროვანი არ იყო. გარდა მოქალაქეთა კატეგორიისა, ვაჭართა ფენის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა სახელმწიფო, საეკლესიო თუ სამონასტრო ყმები. როგორც აღინიშნა, ვაჭართა გარკვეული ნაწილი (ცალკეული წევრები) თავადთა და აზნაურთა წოდებასაც კი ეკუთვნოდა. ნიშანდობლივი სწორედ ისაა, რომ ასეთ ვითარებაში ფეოდალური სამართალი ვაჭართა დიფერენცირებას ახდენს არა წოდებრივი, არამედ ეკონომიკური პრინციპის მიხედვით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იგი ამ ფენას მათი წოდებრივი კუთვნილების მიუხედავად განიხილავს როგორც ერთიან სოციალურ ინსტიტუტს. ცხადია, ნათქვამში იმას არ ნიშნავს, რომ უკვე XVIII საუკუნის დასაწყისში ვაჭართა წოდებრივ მდგომარეობას აზრი დაკარგული ჰქონდა, მაგრამ თვით წოდებრივი კუთვნილების საქმეშიც ჩანს განმსაზღვრელი ეკონომიკური მდგომარეობა, შეძლებულობა იყო.

ჩვენს განსახილველ პერიოდში (XIX ს. პირველ მესამედში) ვაჭართა უმრავლესობა ყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ამ ფაქტმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რუსული ხელისუფლების სავაჭრო პოლიტიკაზე საქართველოში: ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული შეიქნა ხელი აეღო გილდიების შემოღებაზე, რადგან გილდიაში შესვლა რუსული კანონმდებლობით მხოლოდ პირადად თავისუფალ კაცს შეეძლო. საქართველოში ამ წესის გატარება ვაჭართა ფენას მნიშვნელოვნად შეამცირებდა, რაც

---

[15] ა. გ. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ი შ ვ ი ლ ი, „მოქალაქეთა“ საკითხებზე, თსუ შრომები, XXXV, 1949, გვ. 172.

[16] Ш. А. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, с. 179.

ერთი მხრივ, ვაჭრობის დაცემას, ხოლო მეორე მხრივ, ყმა ვაჭრების მფლობელ ფეოდალთა დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა.

მასალების სიმცირე საშუალებას არ გვაძლევს თვალი გავადევნოთ ქართველ ვაჭართა ბურჟუაზიულ კლასად ჩამოყალიბების პროცესს. მაგრამ, როგორც ჩანს, უკვე XVII საუკუნეში ამ პროცესის მიმდინარეობა აშკარაა: გამოდიან რა საერთოდ ქალაქის მცხოვრებთა (მოქალაქეთა) სახელით ქართველი ვაჭრები უკვე ამ დროს მკვეთრად უპირისპირდებიან ფეოდალურ წრეებს ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის კარდინალურ საკითხებში. ფარსადან გორგიჯანიძის თხზულება ამის აშკარა მოწმობაა[17]. უფრო გვიან იგივე პროცესი აშკარად შეინიშნება, იესე ბარათაშვილის „ცხოვრება ანდერძში"[18].

XVII—XVIII საუკუნეებში იზრდებოდა ვაჭართა ფენების გავლენა ქალაქების წვრილ ვაჭრულ-ხელოსნურ მასებზე. ისინი მარჯვედ სარგებლობდნენ მოქალაქეთა გარეგნული ერთიანობით, რომლის საფუძველი, ერთი მხრივ ქართველ ფეოდალთა აღზევებული მდგომარეობა, ხოლო მეორე მხრივ ქალაქის ნკვიდრთა ერთმორწმუნეობა იყო[19] და ხშირად ახარხებდნენ თავისი ინტერესების შესაბამისად წარემართათ ქალაქის მცხოვრებთა დაბალი ფენების კლასობრივი ბრძოლა. 1638 წელს როსტომ მეფემ მსხვილი ფეოდალის ნოდარ ციციშვილის აჯანყება თბილისის მცხოვრებთა სასწრაფოდ შეკრებილი ლაშქრის დახმარებით ჩაახშო. ს. კაკაბაძე თვლის, რომ ამ დახმარების საპასუხოდ 1639 წელს გამოიცა განჩინება ციხის კართან ბაჟის აღების მოწესრიგების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა იქ არსებული თვითნებობისა და უსამართლობის აღკვეთას[20] და რომელიც აშკარაა პირველ რიგში, სწორედ ვაჭართა ფენის ინტერესებს შეესაბამებოდა. 1969 წელს ვაჭრული ზედაფენის წარმომადგენლებმა მოამზადეს ქალაქის სომხური მოსახლეობის დიდი გამოსვლა კათოლიკე მისიონე-

---

[17] როსტომ მეფის ცხოვრება: გადმოწერილი საქართველოს ისტორიიდან გორგიჯანიძის მიერ თხზულისა, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 301.

[18] იესე ბარათაშვილის ცხოვრება ანდერძი, თბ., 1950.

[19] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თბილისის მოქალაქეთა კლასობრივი და პოლიტიკური მისწრაფებები XVI—XVIII საუკუნეებში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, II, თბ., 1970, გვ. 162.

[20] С. К а к а б а д з е, Крестьянский вопрос и крестьянские движения в Восточной Грузии в XVIII в., История классовой борьбы в Закавказье, Тб., 1930, с. 156.

რების წინააღმდეგ, რომელთა მოღვაწეობა სწორედ ვაჭართა ეკონომიურ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა[21]. 1722 წელს ვახტანგ VI „ერთგულად და თავდადებით ნამსახურ მოქალაქეთ“ აძლევს წყალობის წიგნს, რომლის ძალითაც მოქალაქის უმემკვიდროდ ამოვარდნის შემთხვევაში, მისი ქონება ამიერიდან შეიძლებოდა მის შორეულ ნათესავს მიეღო[22]. უდავოა, რომ ამგვარი პრივილეგიის მიღებით უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეთა ზედაფენა, მისი ვაჭრული ნაწილი იქნებოდა დაინტერესებული. ეჭვი არ არის, რომ ამ დოკუმენტის მიღებას წინ ვაჭართა ფენის ხანგრძლივი კლასობრივი ბრძოლა უსწრებდა, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ მეფის წყალობა უშუალოდ გამოიწვია მოქალაქეთა მეფეს ლაშქარში აქტიურმა მონაწილეობამ, რაშიც წამყვანი როლი სწორედ მოქალაქეთა ქვედაფენის ხელოსნურ ნაწილს უნდა შეესრულებინა და ა. შ.

ცენტრალური ხელისუფლება სათავადოების წინააღმდეგ ბრძოლაში სხვათა შორის ქალაქური მოსახლეობის ზედა ფენასაც ეყრდნობოდა. ფეოდალიზმის ბატონობის პირობებში ვაჭრები იყო ერთადერთი კლასი, რომელიც თავისუფალ ფულად კაპიტალს ფლობდა. ეკონომიური ძლიერების საფუძველზე იზრდებოდა ვაჭრული ფენების გავლენა ქვეყნის მართვა-გამგეობაზე. არაერთი დიდვაჭარი XVIII საუკუნეში და ალბათ უფრო ადრეც მეტად ხშირად გამოდის სამეფო ოჯახის და თვით სახელმწიფოს კრედიტორებად, ამის საფუძველზე ვაჭართა ფენის წარმომადგენლები ბევრ მნიშვნელოვან სახელმწიფო თანამდებობებს იკავებენ და შესამჩნევ როლს ასრულებდნენ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში. ქვეყნის მესვეურებს კარგად ესმოდათ ვაჭრობის განვითარების მნიშვნელობა, ქალაქური ზედაფენების როლი ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის ბრძოლაში და ზრუნავდნენ მათი ინტერესების დაცვისათვის. მაგრამ ფეოდალურ სახელმწიფოში გაბატონებული ძალა ფეოდალური იყო, ამიტომ ვაჭრულ ზედაფენებს ისეთი ღონისძიებები როგორიცაა შინაურ თუ გარეშე ფეოდალთა თვითნებობის წინააღმდეგ გამოსარჩლება, ზრუნვა მიმოსვლის მოწესრიგებისათვის, ბაჟების საკითხის მოგვარებისათვის და სხვა,

---

21 შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, 235—236; ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 174—175.

22 შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 315; ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

რომელსაც ქართული ფეოდალური სამეფო ხელისუფლება ახორციელებდა აღარ აკმაყოფილებდა. მათ უკვე არა თავადაზნაურული, არამედ თავისი ვაჭრულ-ბურჟუაზიული მეფე სჭირდებოდათ, რომელიც უზრუნველყოფდა მათ პირად თავისუფლებას, ქონების ხელშეუხებლობას, აღკვეთდა ფეოდალთა წოდებრივ ბატონობას, უზრუნველყოფდა მათთვის პროტექციონისტულ რეჟიმს და ა. შ. არსებობს მინიშნება, რომ ამ მიმართულებით მათ გარკვეული ნაბიჯები უკვე XVII საუკუნეში გადადგეს: ირანის შაჰის მიერ გორჯასპი კახაბრის შვილის კახეთის ჯანიშინად დანიშვნა სწორედ ამ წრეების მეცადინეობის შედეგი უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში ამ საქმეში აშკარა იყო ფარსადან გორგიჯანიძის მნიშვნელოვანი წვლილი[23], ფარსადანი კი გორელი მოქალაქე და საერთოდ ვაჭრული წრეების წარმომადგენელი და მათი იდეოლოგიის მატარებელი იყო. უფრო გვიან, XVIII ს. დამლევს დიდვაჭართა წარმომადგენლებს, რომლებიც ერეკლე II-ის პოლიტიკით უკმაყოფილონი იყვნენ, სუსტი და დამყოლი გიორგი ბატონიშვილის ტახტზე ყვანა უცდიათ: „... ადგნენ ეს ორნი (მისკარბაში იოსები, ბასტამაშვილი სტეფანე.—მ. ს.) და მივიდნენ გიორგი ბატონიშვილის კარზედ და თავის ამხანაგებით შევიდნენ ბატონიშვილთან და დასხდნენ. ხანი გამოვიდა და ბასტამაშვილმა თქვა: გვიპატრონეთო ამ დალუპულთაო, დიამც მამა შენმა არ მოგვიარა. და ასე დაგვღუჯა, შენ მაინც მოგვიარეო. თუ მამაშენს ჩვენი თავი სდომოდა, კარგად მოგვივლიდა და არ დაგვღუპავდაო“[24] და ა. შ.

ყველა ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ბურჟუაზიული ელემენტების კლასობრივი ბრძოლის აქტიურ ფორმებს საქართველოში ნიადაგი არ ჰქონია. ამის მთავარი მიზეზი ვაჭართა შემადგენლობის სიჭრელე უნდა ყოფილიყო. წამყვანი ადგილი მათში სომხებს (ეროვნებით, თუ რელიგიით სომხებს) ეჭირათ. ფეოდალური ზედაფენა უკვე XVII საუკუნეში აშკარად მტრულად იყო განწყობილი სომხური ელემენტისადმი. ეს ფაქტი ჯერ კიდევ შარდენმა შეამჩნია[25]. ეკონომიკური ხასიათის ანტაგონიზმთან ერთად სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელთა კლასობრივი ინტერესების ჩამოყალიბება და ბრძოლა მისი ცხოვრებაში გატარებისათვის იყო იმის მთავარი მიზეზი, რომ ქართული ფეოდალური ზედაფენა

---

[23] საქართველოს ცხოვრება, ტფ., 1913, ფ. 347.

[24] საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფ., 1910, № 138, გვ. 107.

[25] С. Какабадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

სომხური ბურჟუაზიისადმი შეურიგებელ მტრობას იჩენდა. ამის გამო ახლად წარმოქმნილი ბურჟუაზიის ბრძოლა ფეოდალური შეზღუდულობის წინააღმდეგ ეროვნულ სამოსელში ეხვეოდა. ქართული ფეოდალური ზედაფენისა და სომხური ვაჭრული ელემენტის დაპირისპირებამ ერთერთ ისტორიულ ფაქტში იჩინა თავი: ქართლის ტახტის მემკვიდრის ლუარსაბის მკვლელობაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სიაოშ ბარათაშვილი და ბაინდურ თუმანიშვილი. ქართველები პირველს უჭერდნენ მხარს სომხები მეორეს; ამ ამბის ჩოქთხრობი ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც როგორც ითქვა ქალაქური ზედაფენების წარმომადგენელი იყო თუმანიშვილისადმი თავის სიმპათიებს ვერ მალავდა და სინანულით აღნიშნავდა: „ქართლში ქართველნი მრავალნი და ძლიერნი არიან და სომეხნი ცოტანი და უღონონი და მითგან ამ რიგის საქმის თქმაც ძნელია. თორა და ქნა: და ქართველთ უნდოდა ეს სისხლი სომხეთზედ დაეტეხა, ამისთვის უღონონი იქმნეს სომეხნი...“[26] და სხვა... როგორც ჩანს იმ დროს კახეთში ძალთა შეფარდება სხვაგვარი იყო, ამიტომ ვაჭრულმა (ბურჟუაზიულმა) ელემენტებმა ადვილად მოახერხეს თავის კანდიდატის გორჯასპი კახაბრისშვილის ჯანიშინად დასმა. მაგრამ მოწინააღმდეგეს არ ეძინა. ახლად დანიშნულ ჯანიშინზე ხელი აღმართა. მართალია, ავტორი არაფერს ამბობს თუ რა სოციალური ძალები იდგა ჯანიშინის მკვლელობის მცდელობის უკან მაგრამ თხრობიდან აშკარად ჩანს თუ რა ეპვები აწუხებდა მას: „კახთ თავიანთ წესი გაახლეს, ზოგთ გორჯასპი უნდოდა, ზოგთ არ უნდოდა, აიშალნეს და გორჯასპის თოფი ჰკრეს, ვერ მოკლეს და სარდართან მოვიდნენ და განჯის ხანი ბატონად ითხოვეს...“[27] და სხვ.

მართალია, როგორც ზევით ითქვა, სამეფო ხელისუფლება მნიშვნელოვან ანგარიშს უწევდა მოქალაქეებსა და მის ვაჭრულ ზედაფენას, მაგრამ ამას ქვეყნის არსებული კანონ-წესების ფარგლებში აკეთებდა. ფეოდალურ საქეფოში მეფეც, მიუხედავად მისი პროგრესული მისწრაფებისა ფეოდალი იყო და უპირველეს ყოვლისა ფეოდალთა ინტერესების გამომხატველი. შარდენი შენიშნავს, რომ საქართველოში (იგულისხმება ქალაქებში) სომხები „ისე მრავლად არიან, რომ ქართველებსაც კი სპარბობენ. ამასთანავე ისინი ყველაზე მდიდრები არიან, მაგრამ პატა-

---

[26] საქართველოს ცხოვრება, გვ. 326.

[27] იქვე, გვ. 348.

რა ადგილები და დაბალი თანამდებობები უკავიათ, ქართველები უფრო უფლებამოსილნი... არიან"[28].

ჩანს ვაჭრულ ზედაფენას, რომელნიც უპირატესად სომხური ელემენტისაგან შედგებოდა, არსებული ანტაგონისტური დამოკიდებულების ვითარებაში, კარგად ესმოდა, რომ ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოში ისინი წამყვან პოზიციას, რასაც ესწრაფვოდნენ, ვერ დაიკავებდნენ, ამიტომ ისინი მთელ იმედებს გარეშე ძალებზე ამყარებდნენ და იმ ძალებს უპერდნენ მხარს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ქართული ეროვნული ფრონტის შესუსტებას ესწრაფვოდნენ; თუ ქართველი მეფის წინაშე მათ ქართველ ფეოდალებთან გათანაბრების გზა თითქმის მოჭრილი ჰქონდათ ირანელი მპრძანებლებისა თუ რუსი იმპერატორის წინაშე თანაბარ მდგომარეობას მოელოდნენ. ვაჭრულ-ეკონომიკური ინტერესების პარალელურად, როგორც ჩანს ეს მომენტიც გარკვეულ როლს ასრულებდა იმ ფაქტში, რომ ქალაქური ზედაფენა XV—XVI საუკუნეში ირანის ორიენტაციას უპერდა მხარს[29]: მარტყოფში გამარჯვებული გიორგი საკაძის ლაშქარი თბილისის ციხეს შემოადგა, თბილისელი მოქალაქეები (ალბათ მათი ზედაფენა) ციხეში გამოკეტილ მტერს ეხმარებოდა. სპარსოფილი როსტომისა და ქართველობის დროშით გამოსული თეიმურაზის ბრძოლაში მოქალაქეთა ზედაფენა როსტომს ემხრობოდა.

ის გარემოება, რომ XVIII საუკუნის ბევრი ავტორი მოქალაქეთა ზედაფენის წარმომადგენლებს ქართული ეროვნული ინტერესების ღალატში ადანაშაულებდა, თუ, ერთი მხრივ, ტრადიციული ანტაგონისტური დამოკიდებულების გამოხატულება იყო, მეორე მხრივ, როგორც ჩანს ამგვარი შეხედულების არსებობას კაჭრული ზედაფენების კლასობრივი ინტერესებიც ასაზრდოებდა. როგორც ჩანს, ვაჭრული წრეების პოზიცია კარგად იყო ცნობილი გარეშე ძალებისათვის. ამით უნდა იყვეს განპირობებული მათი ერთგვარად მაამებლური დამოკიდებულება ამ წრეებისადმი. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვნად მოსჩანს ის ცნობა, რომ შაჰ აბასი თბილისის საქალაქო ცხოვრების მოწყობაზე ზრუნავდა[30].

---

[28] ეან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ., 1975, გვ. 298.

[29] ვ. გაბაშვილი მიიჩნევს, რომ ერთადერთი ფაქტორი ვაჭრული ინტერესები იყო. თუმცა თავის უფლებრივი მდგომარეობის განმტიცების მიზნით უცხო ძალის გამოყენების შესაძლებლობასაც უშვებს, იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 168—169.

[30] ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

ქვეყნის ვაჭრული ფენების განწყობილება, ჩანს, კარგად იყო ცნობილი რუსეთის პოლიტიკის მეაველურთათვისაც. ისინი ვაჭართა სახით საქართველოში თავისი პოლიტიკის ერთ-ერთ დასაყრდენს ხედავდნენ და არც უსაფუძვლოდ. ამით უნდა იყოს განპირობებული ის, რომ 1783 წლის ტრაქტატში სპეციალური მუხლი იქნა შეტანილი, რომლითაც საქართველოს ვაჭრები უფლებრივად რუსეთის იმპერიაში რუს ვაჭრებს უტოლდებოდნენ[31].

ზევით აღნიშნული იყო ანტაგონისტური დამოკიდებულება ვაჭართა კლასსა და ქართველ ფეოდალთა შორის. სულიად ლოგიკურია, რომ ვაჭრები პოპულარობით და სიმპათიებით ვერც მოსახლეობის დაბალ ფენებში ისარგებლებდნენ. განსახილველი ხანის არაერთი სავაჭრო-სამრეწველო პუნქტის აღწერაში ვხვდებით მითითებას იმის შესახებ, რომ ქართველები მუშაობენ, ამზადებენ პროდუქციას, სომხები კი ვაჭრობენ, მიაქვთ მათი ნაწარმი სხვადასხვა სავაჭრო ცენტრებში და ა. შ. ერთი სიტყვით, ეწევიან მათ ექსპლუატაციას, რომ (ამის საფუძველზე) ქართველები ღარიბები არიან, სომხები მდიდრები და სხვა, რამაც გააღვივა ერთგვარი ნაციონალისტური გრძნობები, ანტისომხური ნაციონალიზმი. მართალია, ვაჭართა რიგებს ბევრი მართლმადიდებელი თუ კათოლიკე ქართველიც ავსებდა, თვით სომხური წარმოშობის ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი ნაწილი განსახილველ პერიოდში თითქმის გაქართველებული იყო[32], მაგრამ როგორც ჩანს, ეს საქმეს არ შველოდა. შემთხვევითი არ არის ის ამბავი, რომ ქართველებს ტერმინი — სომეხი—ვაჭრის სინონიმად ესმოდათ. ასეთ ვითარებაში ვაჭრულ ბურჟუაზიას თავის კლასობრივი ინტერესების დაცვისათვის ბრძოლაში არ შეეძლო ხალხის მეტ-ნაკლებად ფართო მასების მხარდაჭერის იმედი ჰქონოდა. იგი ამ მასებს მოწყვეტილი იყო. უფრო მეტიც, ხშირად იგი მას უპირისპირდებოდა. ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმოდ მოსჩანს ის ფაქტი, რომ ანტიფეოდალურ და ანტირეჟიმულ მოძრაობებში, რომელიც ასე ხშირი იყო გასული საუკუნის დასაწყისის საქართველოში, სომხური, ვაჭრული, ელემენტი მთავრობის მხარეს იყო და ანტიდემოკრატიულ პოზიციაზე იდგა.

---

[31] ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, 1, თბ., 1970, გვ. 201.

[32] სომხური ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობის გაქართველების პროცესი აღნიშნული აქვს კ. კუციას, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1970, გვ. 219.

ამ პირობებში, ცხადია ვაჭართა მხრივ კლასობრივი ბრძოლის აქტიურ ფორმებზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ვაჭართა კლასი თავისი ინტერესების დაცვისათვის შედარებით რბილ, უწყინარ ფორმებს მიმართავდა (თხოვნები, საჩივრები, ქვეყნიდან გადასახლების მუქარა და ზოგჯერ ამ მუქარის აღსრულებაც). „ახლა ამ შენის ქვეყნის გაფუჭებას მოვსულა(ვ)რთ და სამართ(ა)ლთ(ა)ნ ვჩიოთ... ანისთვის თქვენს უმაღლესობას ბევრჯელ უბრძანებია: „მე თქვენი მოვლის ვალი მაქვს და თქვენი სამსახურისა“[33]. წერენ გორელი ქეთხუდები ერეკლე II-ს თავიანთ საჩივარში და ამ განცხადებაში ერთგვარი პრეტენზიაც გამოსჭვივის—თუ ჩვენი მოვლა იკისრე კიდეც მოგვიარეო. და იქვე ამელავნებენ იმ იდეალს, რომელსაც თავისი ვაჭრული კლასობრივი ინტერესების თვალსაზრისით ესწრაფვიან: პიროვნების დაცვა, ქონების დაცვა და ა. შ.: „ჩვენო მოწყალევ, დაჭირვებული კაცი ღმერთს შესცოდამს, მოხსენებისათვის ნუ გაგვიწყრებით. პეტრე დიდს ერთმა ბაყალმა სამს ჭერამზედა უჩივლა“[34].

XVIII ს. მეორე ნახევარში საქართველოს ვაჭართა წრეებში გავრცელდა გადასახლების პროცესი. ვაჭრები ძირითადად რუსეთის ახლომახლო სავაჭრო ცენტრებში ყიზლარში, მოზდოკსა და ასტრახანში სახლდებოდნენ. ამ პროცესს კლასობრივი ბრძოლის ხასიათთან ერთად ვაჭართა ეკონომიკური ინტერესებიც განაპირობებდა. რუსეთის სხვადასხვა პუნქტებში გადასახლებული ვაჭრები იღებდნენ რა რუსეთის მოქალაქეობას, უცხოეთის ბაზრებზე და განსაკუთრებით ირანში, რომელთანაც ისინი ძველთაგანვე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი, რუსი ვაჭრების თანაბარი პრივილეგიებითა და შეღავათებით სარგებლობდნენ. ეს პროცესი ქართული ხელისუფლების მეტად სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა და ისინი არაერთ ღონისძიებას ახორციელებდნენ მის აღსაკვეთად. დამახასიათებელია, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ ხანებში, როდესაც საქართველოში შედარებით უკეთესი პირობები შეიქმნა ვაჭრობის განვითარებისათვის, ეს პროცესი არამცთუ შეწყდა, მან პირუკუ ხასიათი მიიღო. XVIII

---

[33] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII—XIX სს.) II, თბ., 1974, გვ. 144.

[34] იქვე.

საუკუნეში გადასახლებული ვაჭრები, თუ მათი შთამომავლები, მასობრივად ბრუნდებოდნენ საქართველოში.

ამრიგად: XVI—XVII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში ფესვმიდებოდა ვაჭართა, ფენა, რომელიც თავისი ძლიერი ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად უფლებრივი პრივილეგიების მიღწევისათვის იბრძოდა და მის იურიდიულ გაფორმებას ესწრაფეოდა. საქართველოს ვაჭართა, ბურჟუაზიულ კლასად ჩამოყალიბების პროცესი შეინიშნება უკვე XVII საუკუნეში, როცა ისინი გამოდიან რა ქალაქის მცხოვრებთა სახელით აშკარად უპირისპირდებიან ფეოდალურ ზედაფენებს. XVIII საუკუნის დასაწყისისათვის ქართული სამართალი ვაჭართა ფენას განიხილავს როგორც ერთიან სოციალურ ინსტიტუტს, მას ცალკე კატეგორიებად ყოფს არა წოდებრივი კუთვნილების, არამედ ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რაც მათი ფაქტობრივად ცალკე კლასად ჩამოყალიბების აღიარება უნდა იყოს. ამგვარი შეხედულება XIX ს. დასაწყისში რუსულმა ადგილობრივმა ხელისუფლებამაც დაადასტურა. ვაჭართა ეროვნული სიჩრელე და ქვეყნის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა XVII—XVIII სს. მანძილზე იყო იმის მიზეზი, რომ მათი კლასობრივი ინტერესები ხშირად არ ემთხვეოდა ქართულ ეროვნულ ინტერესებს, ამის გამო ვაჭრები ზოგჯერ უპირისპირდებოდნენ არა მარტო ფეოდალურ ზედაფენას, არამედ ქვეყნის პროგრესულ ძალებსაც. ამის გამო მათი კლასობრივი ინტერესების დაცვისათვის აქტიურ ბრძოლას ნიადაგი გამოცლილი ჰქონდა და მხოლოდ პასიური ფორმებით კმაყოფილდებოდნენ.

3. ადგილობრივი ბაზრის გაფართოება, ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბების დასაწყისი

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების არსებული დონე და ვაჭართა კლასის ჩამოყალიბების პროცესის მიმდინარეობა, პირობებს ქმნიდა ქვეყანაში ერთიანი ეროვნული ბაზრის ფორმირების დაწყებისათვის: „შრომის დანაწილების უახლოეს გაფართოებას წარმოადგენდა წარმოებისა და აღებ-მიცემობის გათიშვა... — აღნიშნავდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი და აკვნიდნენ — ამით შეიქ-

[35] კ. მარქსი, და ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგიიდან, თბ., 1948, გვ. 64.

ვნა შესაძლებლობა სავაჭრო კავშირისა, რომელიც უახლესი ოლქის საზღვრებს სცილდებოდა"[35]... ეს პროცესი რომელიც არსებითია წარმოების ფეოდალური წესის რღვევისა და ახალი წარმოებითი ურთიერთობის ჩასახვის თვალსაზრისით, დასაბამს საშინაო ვაჭრობაში სავაჭრო კაპიტალის ჩარევით იღებს. საქმე იმაშია, რომ თავდაპირველად სავაჭრო კაპიტალი მხოლოდ საგარეო ვაჭრობის სფეროში მოქმედებდა: „სავაჭრო კაპიტალს, — აღნიშნავს ფ. ენგელსი — დასაწყისში მაინც, თავისი მოგების მიღება შეეძლო მხოლოდ უცხოური მყიდველებისაგან, რომელნიც ქვეყნის შიგნით დამზადებულ პროდუქტებს ყიდულობდნენ, ანდა თანამემამულე მყიდველებისაგან, რომელნიც უცხოურ პროდუქტებს ყიდულობდნენ"[36]. ხოლო შინა ბაზარზე „გაცვლა წარმოებს უშუალოდ ვაჭრის მონაწილეობის გარეშე, ბაზრის დღეებში ქალაქად, სადაც გლეხი თავის პროდუქტებს ყიდის და საჭირო საგნებს ყიდულობს"[37]. აქრიგად მარტივი საქონელწარმოების დროს, რომელიც დამახასიათებელია წარმოების ფეოდალური წესისათვის, საშინაო ბაზარი ჯერ კიდევ უშუალო მწარმოებელთა გამგებლობაშია. ამ ბაზრის სიმცირე განაპირობებს მცირე გასაღების შესაძლებლობას. ყოველგვარი სასაქონლო წარმოება შესაბამის გაცვლას გულისხმობს, ამდენად სასაქონლო წარმოების გაფართოება თანდათანობით იწვევს შესაბამისი ბაზრის გაფართოებასაც. მაგრამ სასაქონლო მეურნეობის განვითარება იწვევს მარტივი საქონელწარმოების კაპიტალისტურ საქონელწარმოებად გადაქცევას; „სასაქონლო მეურნეობა კაპიტალისტური მეურნეობაა, — ამბობს ვ. ი. ლენინი და იქვე აზუსტებს, — ე. ი. აუცილებლად კაპიტალისტურად იქცევა განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე"[38]. ამრიგად, თუ მარტივი სასაქონლო წარმოება ვიწრო ადგილობრივ ბაზარს სჯერდება, კაპიტალისტური სასაქონლო წარმოება წარმოუდგენელია ფართო ბაზრის გარეშე. ბაზრის გაფართოება კაპიტალისტური წარმოების განვითარებას შეესაბამება და ეს ორი პროცესი ურთიერთგანმაპირობებელია; ვ. ი. ლენინის განმარტებით — „ბაზარი არის კატე-

---

[36] ფ. ენგელსი, კაპიტალის მესამე ტომის დამატებანი; კ. მარქსი, კაპიტალი წიგნი მესამე, ნაწ. მეორე, თბ., 1959, გვ. 553.

[37] იქვე, გვ. 546.

[38] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 243.

გორია სასაქონლო მეურნეობისა, რომელიც თავის განვითარებისას კაპიტალისტურ მეურნეობად იქცევა და მხოლოდ ამ მეურნეობის დროს მოიპოვებს სრულ ბატონობას და საყოველთაო გავრცელებას"[39]. ამავე დროს საშინაო ბაზრის გაფართოება თანდათანობით ართულებს გაცვლის ოპერაციებში უშუალო მწარმოებლის მონაწილეობის შესაძლებლობას და საქმეში სპეციალისტი ვაჭარი მწარმოებლების ჩარევის (ან გაჩენის) აუცილებლობას იწვევს: „სასაქონლო წარმოების უმნიშვნელო განვითარების დროს წვრილი მწარმოებელი იმას სჯერდება, რომ თავის ნაწარმს ასაღებს პატარა ადგილობრივ ბაზარზე, ზოგჯერ — უშუალოდ მომხმარებელზეც კი. ეს არის სასაქონლო წარმოების განვითარების დაბალი სტადია, რომელიც მხოლოდ იწყებს ხელოსნობიდან გამოყოფას. რაც უფრო ფართოვდება ბაზარი, მით უფრო შეუძლებელი ხდება ასეთი წვრილი დაქსაქსული გასაღება... დიდ ბაზარზე გასაღება დიდი მასობრივი უნდა იყოს. და აი, წარმოების წვრილი ხასიათი შეურიგებელ წინააღმდეგობაში ვარდება მსხვილ საბითუმო გასაღების აუცილებლობასთან. არსებულ საზოგადოებრივ სამეურნეო პირობებში... ამ წინააღმდეგობიდან სხვა გამოსავალი არ იყო, გარდა იმისა, რომ შეძლებული უმცირესობის წარმომადგენლებმა ხელთ იგდეს გასაღება, მოახდინეს მისი კონცენტრაცია"[40].

საშინაო ბაზარზე (მის გაფართოების საფუძველზე) სავაჭრო კაპიტალის გაბატონება, თანდათანობით წარმოებაზე მისი გავლენის გაძლიერებას იწვევს. მარქსი და ენგელსი აღნიშნავენ, რომ: „განსაკუთრებული კლასის ხელში აღებ-მიცემობის ჩამოყალიბებასთან და ვაჭრების წყალობით ქალაქის უახლესი მიდამოების ფარგლებს იქით ვაჭრობის გაფართოებასთან ერთად ჩნდება მაშინვე ურთიერთქმედობაც წარმოებასა და აღებმიცემობას შორის"[41]. ეს ურთიერთქმედობა კი იმით მთავრდება, რომ სავაჭრო კაპიტალი თანდათან იპყრობს წარმოებას და სამრეწველო კაპიტალად იქცევა. ვ. ი. ლენინის მითითებით, „ბაზრისათვის მომუშავე წვრილ წარმოებასა და სავაჭრო კაპიტალის ბატონობას შორის აუცილებელი მიზეზობრივი კავშირი არსებობს"[42]. მაშასადამე,

---

[39] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 21.

[40] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 420.

[41] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, გერმანული იდეოლოგიიდან, თბ., 1948, გვ. 64.

[42] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 421.

სასაქონლო მეურნეობის განვითარება იწვევს საშინაო ბაზრის განვითარებას და ამის საფუძველზე კაპიტალისტურ მეურნეობად იქცევა. მთელი ამ პროცესის ამოსავალი კი საშინაო ბაზრის საქონელგაცვლაში საეკვრო კაპიტალის ჩარევა და თანდათანობით გაბატონებაა. ეს აზრი ფ. ენგელსთან შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „ჯერ ჩვენ არ გვილაპარაკნია ვაჭარზე. ჩვენ შეგვეძლო ეყურადღებოდ დაგვეტოვებინა მისი ჩარევა ამ პუნქტამდე, როცა ჩვენ გადავდიოდართ მარტივი საქონელწარმოების გადაქცევაზე კაპიტალისტურ საქონელწარმოებად. ვაჭარი იყო რევოლუციური ელემენტი ამ საზოგადოებაში, სადაც უწინ ყველაფერი სტაბილური იყო, ასე ვთქვათ, მემკვიდრეობის გამო... და აი ამ სამყაროში შეეჭრა ვაჭარი, რომელიც მისი გადატრიალების ამოსავალი პუნქტი უნდა გამხდარიყო, მაგრამ იგი მოქმედებდა არა როგორც შეგნებული რევოლუციონერი, არამედ პირიქით, როგორც ამ სამყაროს სისხლ სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი“[43].

ამრიგად, ვაჭარი არის ის რევოლუციური ელემენტი, რომელიც ერთი მხრივ ცალკეულ ვიწრო ადგილობრივ ბაზრებს თანდათანობით თავს უყრის და აერთიანებს ერთ მთლიან ეროვნულ ბაზრად, მეორე მხრივ აკავშირებს რა საქონელგაცვლას საქონელწარმოებასთან, ამ უკანასკნელს კაპიტალისტურ წარმოებად აქცევს.

წინამდებარე ნაშრომის შესაბამის თავში ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ, თუ როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი დამმუშავებელი წარმოების საქონელგაცვლასა და სასაქონლო მეურნეობაში. ამჯერად კი დავკმაყოფილდებით საშინაო ვაჭრობაში საეკვრო კაპიტალის ჩარევის ფაქტის აღნიშვნით და ამ პროცესის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის მაგალითების საფუძველზე დახასიათებით.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს იმის დადგენა თუ როდის იწყება საქართველოში ერთიანი ქართული საშინაო ბაზრის ჩამოყალიბება. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ნ. ბერძენიშვილი ჯერ კიდევ XII—XIII საუკუნეების საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ისეთ მოვლენებს შენიშნავს, რომლის საფუძველზეც ქვეყანაში გვიანფეოდალური ხანის დადგომას ვარაუდობს. აღნიშნავს რა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მაღალ დონეს, შრომის გეოგრაფიული დანაწილების მკვეთრ ნიშნებს, საკაკ-

---

[43] ფ. ენგელსი, კაპიტალის მესამე ტომის დამატებანი, კაპიტალი, წიგნი მესამე, ნაწ. მეორე, გვ. 548—549.

რო-სამრეწველო დაბა ქალაქების მომრავლებას, პრივილეგირებული ფენების ჩაბმას სავაჭრო საქმიანობაში, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გაძწვავებას, ავტორი ასკვნის: „ყველაფერი ეს მოწმობაა იმისა, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა მაღალ საფეხურზე შემდგარა, რომ ახალი ურთიერთობისათვის ნიადაგი შემზადებულია, რომ ფეოდალური ურთიერთობის წიაღში წარმოშობილა და განვითარებულა ურთიერთობა, რომელიც დაშლის და გადააშენებს ამ ურთიერთობას, რომ ესაა გვიანფეოდალური ხანა"[44], ცხადია ყველაფერი ეს ერთიანი ქართული ბაზრის ჩამოყალიბების მოწმობაა, მაგრამ სამწუხაროდ, ამ არსებითად ჰიპოთეზურად გამოთქმულმა მოსაზრებამ მონოგრაფიული დასაბუთება ჯერ კიდევ ვერ პოვა. უამისოდ კი ასეთ დიდი და ყოვლისმომცველი პრობლემის შესახებ საბოლოო შეხედულების ჩამოყალიბება შეუძლებელია[45]. ასეა თუ ისე, საქართველოში შემდგომ პერიოდში შექმნილი ვითარება არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ყოველ შემთხვევაში XV—XVI სს-მდე ამ მიმართულებით რაიმე პოზიტიური ძვრები ვიგულისხმოთ, უფრო მეტიც ამ ხანებში შექცევითი პროცესიც არ უნდა იყვეს გამორიცხული.

თუ ჩვენ მივიღებთ, რომ ერთიანი ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბება საშინაო საქონელგაცვლაში სავაჭრო კაპიტალის ჩარევით იწყება[46], სრული საფუძველი გვაქვს ეს პროცესი XVIII საუკუნის ყოველ შემთხვევაში პირველ მეოთხედში დაწყებულად მივიჩნიოთ[47]. ამ პერიოდის საბუთებში მოიხსენიებიან სპეციალისტი

---

[44] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

[45] შ. მესხია შეტად საყურადღებო მონოგრაფიაში «Города и городской строй феодальной Грузии» (Тб., 1959 г.). ქართული საშინაო ბაზრის შესახებ აღნიშნავს: «Феодальные города Грузии активно участвовали как во внутренней, так и во внешней торговле. Характерно, что по документам XI—XIII вв. все продукты потребления являлись здесь объектом купли и продажи и обращались на внутреннем рынке». მართალია ავტორი არაფერს ამბობს იმის შესახებ თუ რა საშინაო ბაზარზეა აქ ლაპარაკი, მაგრამ ის ფაქტი, რომ ავტორი XI-დან XIII საუკუნეებს ერთ სიბრტყეში განიხილავს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მას ძირითადად ეიგრო ადგილობრივი ბაზრები აქვს მხედველობაში. გვ. 66.

[46] В. Н. Яковецкий, Купеческий капитал в феодально-крепостнической России, М., 1953, с. 15.

[47] სწორედ ეს ეპოქა აქვს მხედველობაში პროფ. შ. მესხიას, როდესაც აღნიშნავს: «Историческая роль купеческого капитала в городах Грузии заключалась в том, что он способствовал разложению феодально-натурального хозяйства, расширял товарооборот, создавал связь между местными рынками и района-

ვაჭრები, რომლებიც ქალაქებში სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობენ. ამ დროისათვის სხვადასხვა სახის პროდუქტებით ვაჭრობა ცალკე სპეციალობას შეადგენს და ისინი სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიებიან, მაგალითად, „ალაფები" სპეციალდებიან მარცვლეულით, ფქვილითა და შეშით ვაჭრობაში, „სირაჯები" არყითა და ღვინით ვაჭრობაში, „ბაყლები" წვრილმანი საკვები პროდუქტებით ვაჭრობაში და ა. შ.[48]

XVIII საუკუნის სინამდვილის ამსახველი ძეგლის, „სამოქალაქო სჯულვილების" ავტორს ქალაქებში საკვები პროდუქტების სიძვირის მიზეზად ვაჭრობაში სავაჭრო კაპიტალის ჩარევა მიაჩნდა. ამიტომ იგი კატეგორიულად მიუთითებდა: „მოურავის მოვალე(ო)ბაა, რომე, როგორც აქომამდე ურიგოება იყო და ყოველთვის სიძვირობა ჩამოვარდებოდა ხორაგისა, ამ მიზეზებითა რომე ზოგი წინ მიეგებებოდა, იქვე გზაზედ იყიდდა, არ იკითხამდა სიძვირესა და სიაფესა, როგორც შეხვდებოდა, იყიდდა და იმგვარათ გაჰყიდდა, ზოგნი რაც წამს ხორაგი შემოვიდოდა ქალაქსა შინა, იმწამსვე დაეხვეოდნენ, ალაფები ანუ სხვანი, ერთიანად, როგორც ყოფილიყო, იყიდ(დ)ნენ, ურმიდგან ანუ საპალნიდგან ჩამოუხდელი, და. არ დააცლიდნენ, რომე მოსახლეთ იყიდონ თავიანთის სახლისათვის და სხვა"[49]. პროექტი ქალაქის მოურავს ავალებს ქალაქში ამგვარი ვაჭრობა აღკვეთოს, ამასთან სხვა საგანგებო ღონისძიებების გატარებასაც (კერძოდ, საკვები პროდუქტების ბითუმად ვაჭრობის შეზღუდვას) მიიჩნევს საჭიროდ: „ვინც ვინმემ ანუ ქართლით ანუ კახეთით და ანუ სხვაგნით ურმით ხორაგი მოიტანოს, სამ დღემდე არ შეუძლია, რომე ერთიანად გაჰყიდოს ანუ ალაფზედ, ანუ სხვაზედ; უნდა წვრილად ხალხზედ, ანუ მოსახლეებზედ, გაჰყიდოს.

ми и этим содействовал созданию в стране единного рынка; еще более связывая между собой различные области Грузии», დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

[48] XIX ს. ავტორი ი. შახგუბატოვი აღნიშნავს: «...продавцы муки, ячменя, съестных для поста припасов, грецких орехов ..., и ранних овощей называются просоли или алапи. Все сии вещи покупая гуртом продают в розн с барышом. Тем торгом занимаются купцы называемые бакалы; но особенный предмет их торговли дыни и арбузы...» (კ. კეკელიძის სახ. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Ros d 110, გვ. 4).

[49] სამოქალაქო სჯულვილება, ტექსტი ლექსიკონი და საძიებლები გამოსცა დ. ფურცელაძემ, თბ., 1966, გვ. 101.

იმრიგად ალაფმან ანუ სხვა ვინმემ ვერ შეიძლოს ერთიანად ყიდვა და სხვა"[50]. პროექტის ავტორი განასხვავებს, რომელთაც ჩამოაქვთ ურმით, და იმათ, რომელთაც ჩამოაქვთ საპალნით ან მხრით და ამ უკანასკნელთათვის უფრო რბილ ზომებს აწესებს: „ვინც ვინმემ ანუ საპალნით, ანუ ზურგით ვინმემ ხორაგი მოიტანოს დილაზედ, შვადღემდისინ წვრილად გაჰყიდოს და შვადღეს უკან შეუძლია ერთიანად გაყიდვისა. იმრიგად მყიდველს შეუძლია ყიდვა.

და თუ შვადღეს უკან მოიტანონ ხორაგი, მეორეს დღის შვადღემდე წვრილად უნდა გაჰყიდონ, ანუ ერთიანად მოსაზლეზედ, რომელსაც თავისთვის უნდა და სხვა"[51]. ცხადია, საპალნითა და უმეტესად მხრით ქალაქში საქონელს უპირატესად უშუალო მწარმოებელი (გლეხი) შემოიტანდა, ხოლო დიდი რაოდენობით საქონელი (ურმით, შეიძლება არაერთი ურემი) ვაჭარს მოჰქონდა. ვფიქრობთ, ხსენებული განსხვავება სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს.

სოლომონ II-ის მიერ დაწესებული ფასების ნიხრში ვაჭარი და უშუალო მწარმოებელი განსხვავებულადაა წარმოდგენილი. კანონი მათთვის გასაყიდი საქონლის განსხვავებულ ფასებს აწესებს: „ერბო ჩარეჩი სოფლის კაცისაგან ორ დუბათ და ვაჭრისაგან ყურუშათ"[52].

ზემოთ მოტანილ ამონაწერში იმ ვაჭრებზეა ლაპარაკი, რომლებიც ძირითადად ადგილზე მოღვაწეობდნენ, ბითუმად ' ყიდულობდნენ შემოტანილ საქონელს. მაგრამ საქართველოში მეტად საგულისხმო იყო ისეთი ვაჭრების ოდენობა, რომლებიც მოსაშუალოებას ეწეოდნენ ქალაქსა და სოფელს შორის. ერთ-ერთი ასეთი ვაჭარი იყო, მაგალითად, ყაზარა არუთინოვი, რომელიც 1812 წელს თბილისში ყიდულობს ფარჩას, მიაქვს ქართლის სოფლებში, იქ ყიდის; სამაგიეროდ იქვე ყიდულობს პურს, რათა თბილისში ჩამოიტანოს და გაყიდოს[53].

XIX საუკუნის დასაწყისში შინავაჭრობაში სავაჭრო კაპიტალის ინტენსიური ჩაბმის პროცესი ჩქარდება. ცალკე სპეციალო-

---

[50] სამოქალაქო სჯულვილება, ტექსტი, ლექსიკონი და საძიებლები ეამოსცა დ. ფურცელაძემ, თბ., 1966, გვ. 101.

[51] სამოქალაქო სჯულვილება, გვ. 101—102.

[52] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. 1, თბ., 1938, გვ. 262.

[53] სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 327, ფურც. 315.

ბებად ყალიბდება შინაგაჭრობის სულ სხვადასხვა დარგები. გაშოიოფა ცხენებით მოვაჭრენი, რქოსანი საქონლით მოვაჭრენი, დაკლული საქონლით მოვაჭრენი, მებაყლეები, ფქვილით ვაჭრები, პურით ვაჭრები, ცალკე ჩანს საკვები პროდუქტებით ვაჭრები, სოფლად მოვაჭრეები, ხილით ვაჭრები და ა. შ. 20-იან წლებში კამერალურ აღწერებში ჩნდება სრულიად ახალი კატეგორია ვაჭრებისა — „ქართული საქონელით ვაჭრები"[54], ყველაფერი ეს მიუთითებს, რომ ვაჭრობაში მიმდინარეობს შრომის დანაწილების შეტად ინტენსიური პროცესი, რაც საერთოდ ვაჭრობის მაღალი დონის მაჩვენებელია. ვაჭრობის სპეციალიზაცია მიმდინარეობს როგორც დარგობრივი, ისე ტერიტორიული ნიშნის მიხედვით.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებით აღებმიცემობა სავაჭრო კაპიტალმა მთლიანად ვერ დაიპყრო არამცთუ განსახილველი პერიოდში, არამედ უფრო გვიანაც. დამუშავებელი წარმოების (მრეწველობის) საქონელგაცვლაში კი სავაჭრო კაპიტალის შეჭრის პროცესი გაცილებით შორს მიდის. აქ იგი რიგ დარგებში (ვთქვათ, ქსოვა და მასთან დაკავშირებული დარგები) მთლიანად ბატონდება, ყოველ შემთხვევაში, მანამ სანამ მისი (სავაჭრო კაპიტალის) ინტერესები ამას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, საკვები პროდუქტებით ვაჭრობის ზოგიერთ დარგში სავაჭრო კაპიტალს უკვე XVIII საუკუნის დასაწყისისათვის მიუღწევია იმ დონისათვის, როცა იგი გასაღებიდან უკვე თვით წარმოებაში იწყებს ჩარევას და ამდენად სავაჭრო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალად გადაქცევის ნიშნებს ამჟღავნებს. აღნიშნული პროცესის საილუსტრაციოდ მეტად საინტერესოდ მოჩანს „დასტურლამალის" ის მუხლი, რომელიც არყხანისა და ჭურჭლის იჯარას ეხება: „არყხანისა და ჭურჭლების იჯარა, ხან ოცდათოთხმეტად და ხან მეტ-ნაკლებად იქნების ხოლმე. ვინც იჯარად აიღებს, იმის მეტი კაცი ვეღარც იყიდის და ვეღარც გაჰყიდის. სოფლის არაყს იყიდის ლიტრას სამ ბისტად. მერმე დუათაშად, გამოხდის და ლიტრას ექვს შაურად გაჰყიდის. ამის რუსუმი აიღების"[55]... და სხვ.

მოტანილ ამონაწერში არყით ვაჭრობის პრივილეგიაზეა საუბარი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვაჭრობის პრივილეგიები იჯარის შესყიდვის ქართული წესის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი იყო. ეს წესი დამახასიათებელი იყო გვიანფეოდალური ქართული

---

[54] სცსია, ფ. 354, აღწ. 1, საქ. 540.

[55] ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 539.

ეკონომიკისათვის XIX საუკუნის რეფორმამდელ ხანაშიც. იგი გულისხმობდა როგორც ცალკეული საქონლის გაყიდვისა და ზოგჯერ დამზადების, ასევე ვაჭრობის პრივილეგიებს, ქვეყნის ცალკეულ რაიონებსა თუ პუნქტებში[56].

ქვემო ქართლის სოფლების მებატონე ორბელიანები XIX ს-ის რეფორმამდელ ხანაში დიდხანს ინარჩუნებდნენ მათ კუთვნილ სოფლებში საკვები პროდუქტებით ვაჭრობის პრივილეგიის იჯარით გაცემის უფლებას. 1829 წელს კოდის სამლებრო და ვაჭრობის პრივილეგია მათ პოჩიკაშვილს და მის ამხანაგებს მიჰყიდეს. 1831 წელს ამაეე იჯარის შემსყიდველებად მოჩანან იგივე პოჩიკაშვილი, არეშოვი, ჩიტიაშვილი და სხვ. იჯარა კომპანიის 80 თუმნად შეუძენია წელიწადში. მებატონესა და შემსყიდველებს შორის დადებულ კონტრაქტში აღნიშნულია, რომ „ყოველ იანვარს უნდა გვაძლიოთ ოთხმოცი თუმანი თუნდა ერთი დუქანი გაიღეთ და თუნდა ორი ტრახტირი გააკეთოთ ჩვენ ვერას დაგიშლით და არც არავის ფოშტაში გავაყიდვინოთ რამე; ვინიცობა არის თუ ფოშტაში ბრძანება იყოს ტრახტირისა არავის გავაკეთებინოთ; თუ არა თქვენს გარდა ვერავინ ვერ გაიღოს იქ დუქანი და ვერცარა სახლებში ცგაჰყიდოს ვინმე რამე, თუ არ თავიანთი ვენახის შემოსავალი და ვისმეს შეამჩნიოთ ქალაქიდამ წაიღოს ღვინო და ცგაყიდოს იმისაც კანონისაებრ გარდახდეს...“[57] შემდეგ საბუთში ლაპარაკია, რომ კოდაში შემოაქვთ ღვინო, ზეთი, ერბო, ლობიო და სხვა საკვები პროდუქტები[58].

როგორც ვხედავთ, ქართული საბატონო სოფელი მოცემულ ხანაში ცხოველი აღებმიცემობის ადგილია და, რაც მთავარია, საქონლო წარმოების საფუძველზე აქ გაცვლა ხდება არა მარტო ზელოსნურ და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა შორის, არამედ თვით სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სახის და სხვადასხვა წარმოშობის პროდუქტთა შორისაც.

XVIIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის მასალებში გვხვდება საეკლესიო სოფლებში ვაჭრობის პრივილეგიის აღმნიშვნელი ტერმინი „ნოგანი“. ერთ საეკლესიო სა-

---

[56] მართალია, XIX ს-ის დასაწყისიდან არყის გამოხდის იჯარა გაუქმებული ჩანს, სამაგიეროდ სახეზეა საპნის იჯარა, საპნის გაყიდვისა და დამზადების პრივილეგია, თამბაქოს იჯარა, თამბაქოს გადამუშავებისა და ვაჭრობის პრივილეგია და ა. შ.

[57] სესია, ფ. 2, საქმე 439, ფურც. 241.

[58] იქვე, ფურც. 242.

ბუთში, რომელიც 1822 წლითაა დათარიღებული, აღნიშნულია, რომ სოფელ ყვარელში ძველთაგანვე არსებობს მოსაკრეფი „მოვაჭრეებისაგან, რომელიც სანოგნოდ იწოდება. ასე, ვაჭარმა იქ უნდა ივაჭროს 4 თვის განმავლობაში ივნისიდან სექტემბრის გასვლამდე. ამ მოსაკრეფით უკვე 100 წელზე მეტია ეკლესია სარგებლობს. მისი შემოსავლის ორი ნაწილი ეკუთვნის ეკლესიას ერთი კი მემამულე თავად ჭავჭავაძეებს“[59]. იმავე საქმეში დაცული სხვა საბუთით განმარტებულია „... სოფლის ყვარლის სანოგნო ძველთაგანვე მეფეთაგან არის შეწირული... და მოკრეფაცა ამ ნოგნისა დაიწყება ივნისის თვის პირველიდამ, სექტემბრის თვის გასვლამდე, რადგან ამ ოთხს თვეში იყიდება ყოველთვის ახალი აბრეშუმი, ამ წესით რომელ, ამ იჯარის ამღებთ გარდა, სხვანი ვაჭარნი ვერავინ შემოვლენ ამ ხსენებულ სოფელსა შინა ვერცა მსყიდველად და ვერცა გამსყიდველად და შემდგომ ოთხის ამის თვისა, ყოველნი ვაჭარნი თავისუფალნი არიან, რომ იარონ ამა სოფელსა შინა და არ დაეშალოთ ვაჭრობა“[60].

მოტანილი მასალიდან აშკარად ჩანს, რომ სოფელი სავაჭრო კაპიტალის აქტიური მოქმედების ასპარეზია. ვაჭრები გაბატონებულნი არიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაცვლაში. ამავე საბუთიდან შეიმჩნევა შრომის ტერიტორიული დანაწილების მაღალი განვითარებაც. ამ სოფელში ძირითადი სასაქონლო პროდუქცია აბრეშუმია. როგორც ირკვევა სავაჭრო კაპიტალი უშუალო კავშირს ამყარებს არა ცალკეულ პირებთან, არამედ სოფლის მთელ საზოგადოებასთან, საქონელმწარმოებელთა მასასთან, რომლის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები ერთნაირად არიან დაინტერესებული ამ ვაჭრობით და სავაჭრო კაპიტალის გავლენას და ექსპლუატაციის გაძლიერებას ერთობლივი ლონისძიებით, ერთიანი ფასების დადგენით უწინა

ური"[61]. როგორც ვხედავთ სოფლის საზოგადოება აწესებს როგორც გასაყიდი, ისე შესაძენი საქონლის ნიხრს. ვაჭრობის პრივილეგიისათვის გამოსაღებს კი ეკლესია და მებატონე ინაწილებს: „ამის გამოსაღები თორმეტი თუმანი არის. ამ თავადებთან და სოფელთან ეს პირობა გამოგვირთმეევია ნახევარი ამათია და ნახევარი ნეკრესელისა არის"[62].

როგორც ითქვა, მონოპოლიის ვადა 4 თვეს შეადგენდა. წლის დანარჩენი პერიოდის განმავლობაში ვაჭრობა თავისუფალი იყო, ამის საფუძველზე დასტურდება უშუალო მწარმოებელთაგან თანდათანობით ვაჭარი შემსყიდველების გაჩენის ტენდენცია: „ქ. ივნისის კბ, ქ—კს უპდ, ეკირას დღეს შილდას ჩვენ, ერთობით ნეკრესელმა და თავადებმა, ნოხელეებმა და სოფელმა, ეს პირობის წიგნი დავდევით და დავსწერეთ. შარშანს წინ ქ—კს უპბ მენოგნეთ ისხდნენ სვიმონა, ანტონა, მიკირტუმა და პეპანა. ახლა ამ წლის. თარიღში ჩვენ ერთობით ეს პირობა გამოვართვით, რომ რადგან მენოგნეთ აღარ დასხდნენ, ამათ აქ შილდაში აღარა ივაჭრონ რა, აღარც იყიდონ და აღარც არა გაჰყიდონ. არც მთიდამა და არც ბარიდამა. ამათს გარდა ვინც ფეიქრები არიან გრიგოლამა თუ სხვამ, ან მთიდამ ან ბარიდამ ივაჭრეს რამე, სალამათს იმას გამოვართმევთ ათორმეტს თუმანსა. ამვროსი"[63].

როგორც ირკვევა ვაჭრობის მონოპოლია სხვადასხვა ფორმით კახეთის ყველა საეკლესიო სოფელში არსებობდა. არის ამგვარი მონოპოლიის არსებობის ცნობები ალავერდში, ხაშმში და ა. შ. მაგალითად, ხაშმში ვაჭრობის პრივილეგია ღებვის პრივილეგიასთან ერთად გაიცემოდა და მისი საჯარო ფასი XIX ს. დასაწყისში 200—300 მან. შეადგენდა. ვაჭრობის პრივილეგია სამღებროსთან ერთად გაიცემოდა ქვეყნის მთიან რაიონებში, თიანეთში, დუშეთში[64] და ა. შ. ვაჭრობის პრივილეგიის არსებული წესი მნიშვნელოვნად აფერხებდა საშინაო ბაზრის ჩამოყალიბების პროცესს. სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლები მას აშკარად თუ ფარულად სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ. განსახილველი ხანის საარქივო

---

[61] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. II, მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1953, გვ. 289.

[62] იქვე, გვ. 294.

[63] იქვე, გვ. 294.

[64] სცსია, ფ. 489, საქ. 434, ფურც. 41; იქვე, საქ. 6540, ფურც. 64.

მასალები საკმაოდ მოიჯარეთა საჩივრებით იმის თაობაზე, რომ ვაჭრობის პრივილეგია ფაქტიურად ვერ ხორციელდებოდა. მის ტერიტორიულ ფარგლებში იჭრებოდნენ უცხო ვაჭრები, რომელთა მოქმედების აღკვეთას ხელისუფლების დახმარებითაც კი ვერ ახერხებდნენ და სხვ[65]. ცალკეულ პუნქტებში ვაჭრობის მონოპოლიის არსებობის ფაქტი საშინაო საქონელგაცვლაში სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობის მაჩვენებელი იყო. იგი იმის ამკარა დადასტურება იყო, რომ ამ პროცესს არა შემთხვევითი, არა ერთეული, არამედ გავრცელებული და მასობრივი ხასიათი ჰქონდა. მონოპოლიის არსებობა საშინაო ვაჭრობაში (საშინაო ბაზარზე) კონკურენციის არსებობას ნიშნავდა და მის წინააღმდეგ იყო მიმართული. მონოპოლიის იჯარით გაყიდვის წესი იმის მაჩვენებელი იყო, რომ ცენტრიდან დაშორებულ ადგილებში სასაქონლო წარმოება საკმაოდ ინტენსიური ყოფილა, სხვაგვარად აზრი ეკარგებოდა მონოპოლიას, რომლის პრაქტიკული განხორციელება მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებას მოითხოვდა და მნიშვნელოვან საიჯარო გადასახადთან იყო დაკავშირებული.

მაგრამ, ამავე დროს, სავაჭრო მონოპოლიების სისტემა მაჩვენებელი იყო იმ შეუსაბამობისა, რომელიც არსებობდა, ერთი მხრივ. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონესა და, მეორე მხრივ, სახელმწიფო პოლიტიკის ხასიათს შორის. ხოლო ის გარეშოება, რომ სავაჭრო პრივილეგიების ცხოვრებაში გატარება თანდათან რთულდებოდა, რომ იგი შინაკლასობრივი ბრძოლის საფუძველი ხდებოდა, რომ აღნიშნული პრივილეგიებით ვაჭრობა საჭირო ხდებოდა ქვეყნის ყველაზე შორეულ (მთის) რაიონებში, მიუთითებს სასაქონლო ურთიერთობის მაღალ დონეზე და საშინაო ბაზრის ჩამოყალიბების პროცესის ინტენსიურ მიმდინარეობაზე.

ქვეყნის სამრეწველო ცენტრებიდან უკიდურესად დაშორებულ სოფლებში სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელთა აქტიური საქმიანობა, რაც ადგილობრივი პროდუქციის შესყიდვასა და სხვა ადგილებიდან შემოტანილი პროდუქციის გასაღებაში გამოიხატებოდა, აღნიშნულ საქონელგაცვლაში სოფლის მოსახლეობის ფართო ფენების დაინტერესება და ჩაბმა და სასაქონლო წარმოების სპეციალიზაციის (შრომის ტერიტორიული, გეოგრაფიული გა-

---

[65] წინამდებარე ნაშრომის შეზღუდული მოცულობის გამო ჩვენ საშუალება არ გვაქვს ამ საინტერესო პროცესზე უფრო დაწვრილებით შეეჩერდეთ.

ნაწილების) ნიშნები საშინაო ბაზრის გაფართოების აშკარა მაჩვენებელია.

მოტანილი საბუთებით დასტურდება, რომ ეს პროცესი დასაბამს იღებს არა უგვიანეს XVIII ს-ის დასაწყისისა. როგორც ვნახეთ კახეთის სოფლებში ვაჭრობის მონოპოლია უკვე ამ დროს გადაეცა ეკლესიას.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ საშინაო ბაზრის გაფართოების პროცესი კიდევ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველი წლებიდანვე ცარიზმმა საქართველოში დაიწყო თავისი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ გადაექცია იგი რუსული საქონლისათვის ბაზრად და ამავე საქონლის აღმოსავლეთის ქვეყნებში გასატან სატრანზიტო გზად. ცარიზმის ეკონომიკურ მიზნებს საქართველოში ხელს უშლიდა აქ ტრადიციულად დაკანონებული საბაჟო სისტემა. ამასთან ერთად, ვინაიდან საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა, აქ საერთო საიმპერიო კანონები უნდა გავრცელებულიყო, რაც ქართული შინაბაჟების დაუყოვნებლივ გაუქმებას მოითხოვდა. მართლაც, ადგილობრივმა ხელისუფლებმა დაიწყეს მეცადინეობა ამ მიმართულებით, მაგრამ ჩქარა თავისი ამოცანა მნიშვნელოვნად შეცვალეს. იმისათვის, რათა ერთი მხრით, დაეცვათ რუსული სავაჭრო კაპიტალის ინტერესები, ხოლო მეორე მხრივ, არ გაერთულებინათ სხვადასხვა იჯარა-გადასახადების აკრეფა და ამით სახაზინო შემოსავალი არ შეემცირებინათ, მათ საკმარისად მიიჩნიეს ბაჟების აკრძალვა საქართველოში შემოტანილ რუსულ საქონელზე, ხოლო სამხედრო და სამოქალაქო ჩინოვნიკების ინტერესებიდან გამომდინარე გააუქმეს შინაბაჟები კვების პროდუქტებზე. ამრიგად, შემოერთებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ინტერესები, რომლისთვისაც შინაბაჟების სისტემა ერთ-ერთი ძირითადი ხელშემშლელი გარემოება იყო, დღის წესრიგშიაც კი არ ყოფილა დასმული.

მართალია, რუსულ საქონელზე ბაჟების გაუქმება თავისთავად პროგრესული ღონისძიება იყო, მაგრამ მისი ცალმხრივი ხასიათის გამო (ასეთივე ღონისძიება არ გატარებულა რუსეთში შეტანილ ქართულ საქონელზე) მან დისკრიმინაციული ხასიათი მიიღო. საბაჟო პოლიტიკაში გატარებულ იმ კუდშეკვეცილ რეფორმებსაც

ენ, რაც საშინაო ბაზარზე კვების პროდუქტებით უბაჟო ვაჭრობაში და კერძო ბაჟების გაუქმებაში გამოიხატა, მაინც გარკვეულად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი ხელს უწყობდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს შორის საქონელგაცვლას, აფართოებდა საშინაო ბაზარს.

მიუხედავად ამისა, ქვეყნის ეკონომიკისა და, კერძოდ, ვაჭრობაში მნიშვნელოვანი აღმავლობა, რაც XIX ს-ის დასაწყისიდანვე აშკარად შეიმჩნევა, განპირობებული იყო არა ცარიზმის ეკონომიკური პოლიტიკით, არამედ იმ დიდი ისტორიული ფაქტით, რომ ქართველი ხალხი დაუკავშირდა მოძმე რუს ხალხს და ამ კავშირმა მას შედარებით მშვიდობიანი ცხოვრებისა და განვითარების პერსპექტივები დაუსახა. ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარება იყო ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხასიათს განსაზღვრავდა XIX საუკუნის განსახილველ ხანაში. ამ განვითარების მნიშვნელოვან შემაფერხებელ გარემოებად კვლავ რჩებოდა შინაბაჟების ტრადიციული სისტემა, რომლის გაუქმება ცარიზმმა მანამდე ვერ მოახერხა, სანამ იგი მის უკვე ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას არ დაუპირისპირდა XIX საუკუნის 20-იან წლებში.

4. სხვადასხვა კუთხეებს შორის საქონელგაცვლა და სამეურნეო სპეციალიზაციის ჩასახვა

ქვეყნის გეოგრაფიულ-კლიმატურმა თავისებურებამ, საერაჭრო ურთიერთობასა და სასაქონლო წარმოების განვითარებამ, შესაძლებელი გახადა სხვადასხვა კუთხეების თუ რაიონების სამეურნეო სპეციალიზაციის ჩამოყალიბების პროცესის დაწყება. ამ თვალსაზრისით ჩვენ მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება ჯერ კიდევ XVII საუკუნის ავტორის არქანჯელო ლამბერტის ცნობა: „რაჭაში რკინის მადანი იმდენია, რომ მოსახლეობა სხვა საქმიანობას არ მისდევს, მარტო რკინას ამუშავებს და ამით ირჩენს თავსო“[68].

სასაქონლო პროდუქციის წარმოების სპეციალიზაცია სოფლის მეურნეობაშიც იკიდებს ფეხს. განსახილველი პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოს კამერალურ აღწერებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, თუ რა სახის მეურნეობა იყო წამყვანი ამა თუ იმ რაიონში. მაგალითად, ზემო ქართლის სოფ-

[68] არქანჯელო ლამბერტი, საქართველოს აღწერა, გამ. II, თბ., 1938, გვ. 190.

ლების ერთ ნაწილს აღნიშნული აქვს მიწათმოქმედება; სხვას მიწათმოქმედება და მებაღეობა; მიწათმოქმედება, მებაღეობა და მესაქონლეობა; მიწათმოქმედება და მესაქონლეობა და ა. შ. სოფლის მეურნეობის დარგებიდან ამ მხარეში წამყვანი მაინც მარცვლეული კულტურების მეურნეობა ჩანს[67]. მაშინ როცა ქვემო ქართლში (თათრულ დისტანციებში) უპირატესად მესაქონლეობა ჭარბობს[68]. კახეთში კი წამყვანი მევენახეობაა[69]. მთის ზოგიერთ რაიონში მესაქონლეობა (ფშავ-ხევსურეთი) და ა. შ. სასაქონლო ურთიერთობის მაღალ დონეზე ის გარემოებაც მიუთითებს, რომ სხვადასხვა კუთხეებს შორის საქონელგაცვლა ხდება არა სხვადასხვაგვარი, არამედ ხშირად ერთგვაროვანი, მაგრამ სხვადასხვა ხარისხის პროდუქციითაც. საქართველო ღვინის ქვეყანაა. აქ თითქმის ყველა კუთხეშია განვითარებული მეღვინეობა, მაგრამ კახეთი ან კულტურით ყველაზე წინ იდგა. ამიტომ კახური ღვინო იყიდებოდა არა მარტო თბილისში და ქართლის სხვა სავაჭრო პუნქტებში, არამედ იმერეთშიც. ამაში მოულოდნელი არაფერია. მაგრამ ერთი შეხედვით უცნაური თითქოს ის არის, რომ იმერული ღვინოც არანაკლებად საღდებოდა აღმოსავლეთ საქართველოში და თვით კახეთშიც კი. ამის ახსნა საკმაოდ მარტივია. იმერული ღვინო შედარებით დაბალხარისხოვნად ითვლებოდა, კახეთშიც კი იგი კახურზე იაფი ღირდა. შესაბამისად მას თავისი მომხმარებელი ჰყავდა. მას ყიდულობდნენ კახურ ღვინოში გადასარევად, საშინაო ხარჯისათვის[70].

როგორც ირკვევა, არამცთუ მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში, არამედ სოფლებშიც კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან შეტანილი მეტად მრავალფეროვანი ასორტიმენტის პროდუქცია იყიდებოდა: 1808—1809 წლებში ეგნატე თუმანიშვილი სოფ. ხელთუბანში წისქვილს აშენებდა, რისთვისაც მეტად დიდი რაოდენობისა და ასორტიმენტის მასალის თუ სურსათის ყიდვა სჭირდებოდა. მეტად საყურადღებოა, რომ თითქმის ყველა საქონელს იგი უპირატესად ადგილზევე იძენდა. როგორც მის მიერ შედგენილი ხარჯის ნუსხიდან ირკვევა, ხელთუბანში იყიდებოდა:

---

[67] სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 540, 541, 542, 543, 544.

[68] სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 1329, 1330.

[69] სცსია, ფ. 16, საქ. 51; იქვე, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 75, 478, 481, 499, 1275, 1276 და სხვ.

[70] ვ. სამსონაძე, საქართველოს საგარეო ვაჭრობის ისტორიიდან XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დასაწყისში, „მაცნე", 1972, № 1, გვ. 21.

ქვა, აგური, თიხის კოკები და ლიტრები და ა. შ. ყოველგვარი საკვები პროდუქტები, მათ შორის: ვარიები, ლავაში, სატაცური, ღოლო, ჭინჭარი, თევზი, ხიზილალა და სხვ. მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ ამ პროდუქტების (საქონლის) მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა კუთხეებიდან იყო შემოტანილი. მაგალითად, ეს ერთდროულად იყიდებოდა „კახური ღვინო", „იმერული ღვინო", „ვალმური" (?) ღვინო. ეს ვინ არ არის ადგილობრივ ღვინოსაც აყენებდნენ ქართლის ამ სოფელში. ასევე მრავალფეროვანია ყველის ასორტიმენტიც. აღნიშნულია, მაგალითად, „ქართლიდამ ნოსული ყველი", „ოსური ყველი" და ჩვეულებრივი (ჩანს ადგილობრივი) ყველიც[71].

1803 წელს შედგენილი საბუთის ავტორი სოფელ მეჯვრისხევის აღწერისას აქ საქართველოს სხვადასხვა ადგილიდან შემოტანილი საქონლით ვაჭრობასაც აღნიშნავს: „გლეხები საშუალო შეძლებისანი არიან, მისდევენ ეხვნელ მთესველობას. ნამეტს ყიდიან. სომხები ადგილზე ვაჭრობენ ღვინით, მარილით, ყველით, ამზადებენ საცრებს და ყიდიან სოფლებში"[72].

გასაგებია, რომ თუ სოფლად შემოტანილი საქონლის ასეთ სიმრავლესთან გვაქვს საქმე, სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში ეს მოვლენა შეიძლება უფრო ფართოდ წარმოვიდგინოთ. მაგრამ სირთულე იმაშია, რომ მრავალრიცხოვანი მასალიდან, რომელიც საქართველოს ქალაქებში სავაჭრო საქონლის ასორტიმენტზე მიუთითებს, მხოლოდ ძალიან იშვიათად თუ შეიძლება ამ საქონლის სადაურობის დადგენა; იმ მეტად მწირი აღწერილობითი მასალის მონაცემები კი, რომლებიც საქართველოს ამა თუ იმ კუთხის ვაჭრობას ეხება, ჩვეულებრივ მეტად არასრულია. მაგალითად, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ი. ბახგუბატოვის ნაშრომი „საქართველოს და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა", რომელიც 1819 წელსაა შედგენილი. ავტორი თვითონ ცნობილი ვაჭარი, მოიჯარე და კომისიონერი იყო. რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ სხვადასხვა თანამდებობები ეკავა და ერთხანს თბილისის პოლიცმეისტერიც ყოფილა, ამდენად იგი საქმეში ჩახედულ კაცად მოჩანს. მიუხედავად ამისა, საქართველოს ვაჭრობის მის მიერ

---

[71] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ნაწ. 1, თბ., 1938, გვ. 298—323.

[72] სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 51, ფურც. 60—70.

აღწერილი სურათი ხშირად არასრულია. მაგალითად, იმერეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში შემოტანილ საქონელს იგი ასე ახასიათებს: „იღებენ ბეწვეულს, მელის, კვერნის, ...ზოგჯერ შავი მელის, წავის ტყავებს და სითხეს, ნედლ და ამოხვეულ აბრეშუმს, ვიწრო და თხლად ნაქსოვ სხვადასხვა ფერის თავთას, რომელსაც კანაფისაგან ამზადებენ, ცვილს და სანთელს, ცხვრის ტყავებს, სქელ და თხლად ნაქსოვ ტილოს, სელის მსხვილ ძაფს და ზურგიელს, ხილეულისაგან მხოლოდ ტყის წაბლს, რომლითაც იქაური ტყეები ერთობ მდიდარია“[73], მაგრამ ეს ნუსხა არასრულია. გარდა ღვინისა და ყველისა, რომელზედაც უკვე გვქონდა საუბარი, იმერეთიდან დამატებით კიდევ მრავალგვარი პროდუქცია შემოდიოდა. მათ შორის ღომი, სამარხო, სიმინდი, თამბაქო და სხვ. თბილისის ბაზარზე დიდი მოწონებით სარგებლობდა იმერეთში დამზადებული სავარცხლები, გიშერი, ჩიბუხები, რკინის იარაღები და სპილენძის ჭურჭელი, თიხის ჭურჭელი და ა. შ.[74] ცხადია, ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება.

თბილისი მთელი ამიერკავკასიის სავაჭრო ცენტრი იყო. აქ თავს იყრიდა უამრავი საქონელი ქვეყნის ყველა მხრიდან და უცხოეთიდან, შემდეგ კი სხვადასხვა კუთხეებში ნაწილდებოდა. მაგალითად, თბილისიდან იმერეთში იგზავნებოდა არა მარტო ქართლიდან და კახეთიდან შემოტანილი საქონელი, არამედ რჩდილოეთ კავკასიიდან, სახანოებიდან, სპარსეთიდან, რუსეთიდან და

---

[73] კ. კეკელიძის სახ. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Ros d 110, გვ. 9.

[74] სცსია, ფ. 16, საქმე 3305, 1823—1824 წწ., ფურც. 45. იმერული თავთა თბილისში ისეთი მოწონებით სარგებლობდა, რომ იგი აქ მოსკოვის ფაბრიკების აბრეშუმის ნაწარმზე ძვირად ფასობდა (Т у ч к о в, Сочинения, ч. IV. с. 172); პლატონ ზუბოვი, ახასიათებს რა იმერეთის ვაჭრობას აღნიშნავს, რომ იგი ვაჭრობს ქართლ-კახეთთან, ახალციხესთან, აფხაზეთთან, ყირიმთან და ტაგანროგთან, აგრეთვე უუბანის იქითა ჩერქეზებთან. ხოლო თბილისში, მისი სიტყვით «Главнейшия предметы для привоза, кроме вещей нужных для русских войск, соль, железо, сукно, парчи, разные шелковые товары. В сей торговле участвуют армяне кутаисские и отчасти евреи. Внутренная торговля преимущественно сосредотачивается в местечке Хони... Из Грузии привозятся тамошние изделия: бязи красного и белаго цвета, набивные бумажные материи канаус, покровки, посуда и тому подобные» (П л а т о н З у б о в, Картина Кавказского края,... ч. 3—4, с. 259); მ. სელეზნიოვის ცნობით, ხონის ბაზრობაზე 1000 და ხშირად მეტი კაცი იკრიბებოდა. Руководство к познанию Кавказа Михаила Селезнева, кн., 1, СПб., 1847, с. 92—93.

ა. შ. მაგრამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეები დამოუკიდებლადაც ვაჭრობდნენ ერთმანეთში. განსაკუთრებით ცხოველი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა იმერეთს მეზობელ ქართლთან. აქ (განსაკუთრებით გორსა და გორის მაზრაში) იმერეთიდან დიდი რაოდენობით შემოდიოდა თავთა, ტილო, სელის ძაფი, ბატკნის ტყავი, სხვადასხვა ბეწვეული და სხვა მრავალი სამრეწველო და საკვები პროდუქტი[75].

მეტად საყურადღებოდ მოსჩანს გიულდენშტედტის ცნობა იმის შესახებ, რომ წედისში დამზადებული რკინის იარაღები (ნალები, ნამგლები, ნაჯახები, გუთნის სახნისები, ჯაჭვები ქვაბებისთვის და მისთანანი) იცვლებოდა „კახეთში და სხვაგან პირუტყვზე, ხორბალზე და მისთანებზე"[76].

იმერეთს, გარდა ქართლ-კახეთისა, ცხოველი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა სამეგრელოსთან, გურიასთან და განსაკუთრებით ახალციხესთან (სამცხე-საათაბაგოსთან). საყურადღებოა, რომ ქუთაისში გასული საუკუნის დასაწყისში არსებული 26 სავაჭრო დუქნიდან 15 ახალციხელ ვაჭრებს ეკუთვნოდათ[77], ხოლო თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმერეთისათვის ახალციხესთან ვაჭრობას, იქიდანაც ჩანს, რომ რუსეთ-თურქეთის 1806—1818 წწ. ომის პერიოდში მისმა შემცირებამ არა მარტო იმერეთის საბაჟოსი, არამედ სამღებროების შემოსავალიც შეამცირა[78].

1814 წლის ერთი საბუთის ცნობით, ახალციხიდან იმერეთში შემოჰქონდათ: ჩითი, აბრეშუმის ქსოვილები, შალი, ფარჩა, ბამბა, წითელი ტარსიკონი, თამბაქო, თურქული საპონი, ქვამარილი და საქონლის დამარილებული ხორცი.

ახლად დამარილებული თევზი, ზეთი და ძროხის ქონი. შაქარი, ყავა, ლიმონი, ფორთოხალი, ნარინჯი. გვარჯილა და გოგირდი, სხვადასხვა სამკურნალო ბალახები და სანოვაგე. რომი, რკინა, ტყვია, ხარები და ცხვარი[79] და ა. შ.

ასეთივე მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა ახალციხის საფაშოსთან საქართველოს სხვა კუთხეებსაც — გურიას.

---

[75] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ტ.II.

[76] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. 1, გელაშვილის გამოცემა, თბ., 1962, გვ. 105.

[77] სცსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 255, ფურც. 439.

[78] იქვე, ფ. 126.

[79] იქვე, ფ. 16, საქმე 1604, 1815 წ. ფურც. 4—5.

სამეგრელოს და განსაკუთრებით, ქართლს. დამახასიათებელია მაგალითად, რომ 1807 წელს, რუსეთსა და თურქეთს შორის საომარი მდგომარეობის პერიოდში გორში და მის მაზრაში 25 ახალციხელი ვაჭარი იმყოფებოდა, რომელთა ნაწილი აქ ამ საქმეს წლების განმავლობაში ეწეოდა[80]. ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ საშინაო ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ებმებოდა მისგან პოლიტიკურად მოწყვეტილი ერთეულებიც.

სხვადასხვა ავტორთა მოწმობით XIX საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოდან იმერეთში მეტად ფართო ასორტიმენტის საქონელი შეჰქონდათ, რომელთა უმეტესი ნაწილი ადგილობრივი ნაწარმი იყო: აბრეშუმის, ბამბისა და შალის ყოველგვარი ქსოვილები (ფარჩა, აბრეშუმის ქსოვილები, ხამი, ნაზი მაუდი, სხვადასხვაგვარი ტილოები და ჩითები, ნარმა და ა. შ.), ბამბა, მატყლი, შაბი, საღებავი, ენდრო, მარილი, ლანჩა, გამოყვანილი თხის ტყავი, შავი და წითელი ტარსიკონი, ჩექმები, წუღები და სხვ. ცხენის აკაზმულობა, სკივრები, ბრინჯი, ხახვი, საპონი, შაქარი, ჩაი, ყავა, თევზეული, ხიზილალა, გვარჯილა, გოგირდი, საწერი ქაღალდი, ლუქი, ნაბდები, ხალიჩები, ღორის ქონი და სხვადასხვა[81].

განსაკუთრებით რეგულარული იყო შინავაჭრობა და საქონელგაცვლა იმერეთს, გურიას, რაჭას, სამეგრელოსა და სვანეთს შორის. თამბაქო, ხორბალი, ფქვილი, ღომი, სიმინდი, ღვინო, კაღი, დარაია, ცვილი, ბეწვეული, ბამბა, ტილო, ძაფი, ტყვია და ა. შ. ასეთია ის არასრული ნუსხა, რომლითაც, მაგალითად, მერლინი სამეგრელოდან იმერეთში შემოტანილ საქონელს ჩამოთვლის[82].

ბუნებრივია, რომ საქართველოს ამა თუ იმ კუთხეს შორის გაცვლა მხოლოდ ადგილობრივი საქონლით არ წარმოებდა. მასში გარკვეული ადგილი უცხოურ საქონელს ეკავა. მაგალითად, ახალციხიდან და სამეგრელოდან საქართველოს სხვა კუთხეებში ადგილობრივ ნაწარმთან ერთად თურქული საქონელიც შედიოდა, კა-

---

[80] სცსია, ფ. 16, საქ. 508, 1807 წ. ფურც. 18. ამავე პერიოდში თბილისში მყოფმა თურქეთის 14 ქვეშევრდომმა ვაჭარმა რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების სურვილი გამოთქვა. ამათგან 7 ახალციხელი იყო და ყველა ქართულად აწერდა ხელს შესაბამის განცხადებას (იქვე, ფურც. 8—9).

[81] ხელნაწერთა ინსტიტუტი, Rос d 110, ფ. 11; სცსია, ფ. 16, საქ. 1604, ფურც. 4—5.

[82] სცსია, ფ. 16, საქ. 1604, ფურც. 4—5.

ხეთიდან, თბილისიდან, ქვემო ქართლიდან და ა. შ. გატანილ საქონელს შორის არის ირანული და სხვა ნაწარმი. მაგრამ ეს გარემოება საერთო სურათს არ ცვლის, რადგან შინაბაზარზე წამყვანი და ძირითადი ყოველთვის ადგილობრივი საქონელი იყო.

იმერეთის ერთ-ერთი სავაჭრო პუნქტის ხონის ბაზრობის აღწერით გიულდენშტედტი მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ქვეყნის საშინაო ვაჭრობის დონის დასახასიათებლად: „ხონში ეკლესიის გვერდით არის დიდი მოედანი ცაცხვით და ალმოსავლური ჭადრით (რომლის ხეების სიმაღლე 3 საჟენია). ეს მოედანი 2 ვერსის ფართობს მოიცავს. როგორც ყოველ პარასკევს, დღესაც ამ ხეების ჩრდილში შეკრებილიყვნენ ორივე სქესის მყიდველ-გამყიდველნი და გაეჩაღებინათ ბაზრობა. იყიდებოდა შემდეგი საქონელი:

რუხი და შავი უხეში მაუდის ჩოხები და ნაბდები, რომლებიც შემოაქვთ ბასიანიდან და დუგორიდან ონის გზით.

ბამბის წითელი და ცისფერი ხეში ქსოვილები შარვლებისათვის, პერანგებისა და ქალთა ზედატანისათვის და სახიანი ბამბის ქსოვილები ქვედატანისათვის თბილისის ფაბრიკებიდან. თეთრი, უხეში, 3/4 არშინის სიგანის ბამბის ქსოვილი, რუსული წყრთა 8 კაპიკად.

ცუდი, 3/4 წყრთის სიგანის, ალისარჩულით შეღებილი თავთა, წყრთა 25 კაპ. ის იქ მზადდება პერანგებისა და შარვლებისათვის.

ჭრელი არშიები ევროპული ტილოსი, წყრთა 5 კაპ. მათ იყენებენ წინდების მოსაჭერად.

ადგილობრივი რუხი მაუდის ქუდები, 20 კაპიკად.

ერთვედროიანი სპილენძის ქვაბი, თითო 3 მანეთად.

სპილენძის საყვირები, თითო 4 მანეთად.

ზღვის მარილი ყირიმიდან ფოთზე გამოვლით, ფუთი 2 კაპ.

დამარილებული ზურგიელი ფოროჯისა (ადრე ფოთიდან, ახლა სალიანიდან და თბილისიდან), ცალი 40 კაპ.

ცხვრები პატარა კუდებით; თითო 1 მან. 20 კაპ.

კანაფის თოკი და ხის ჯამები, ამას გარდა აქაური ცხენები, თითო 30-დან 40 მანეთამდე და ზოგი სხვა საგნებიც.

. . . . . .

ბაზარში მყოფ ხალხში იყვნენ მეგრელებიც“[83].

---

[83] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. 1, გვ. 153—154.

როგორც ვხედავთ, იმერეთის ამ პატარა დაბის ბაზარზე თავმოყრილია საქონელი საქართველოს სულ სხვადასხვა კუთხეებიდან. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სურათი ასახავს XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისს, როცა ქვეყანაში მეტად რთული და დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია სუფევდა, რასაც არ შეიძლებოდა თავისი უარყოფითი დალი არ დაესვა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობების ხასიათზეც.

მჭიდრო ეკონომიკური კავშირის, სასაქონლო ურთიერთობის დონის და შინაბაზრის სიმტკიცის მაჩვენებელია ქვეყნის სხვადასხვა კუთხის სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელთა ურთიერთგაცვლა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ახალციხელ ვაჭართა აქტიური ოპერაციები საერთოდ იმერეთის ბაზარზე და, კერძოდ, ქუთაისში. თავის მხრივ, იმერელი ვაჭრებიც ხშირი სტუმრები იყვნენ ახალციხისა. „ტიფლისკიე ვედომოსტის" კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ახალციხეს ვაჭრობა ძირითადად თბილისთან და იმერეთთან აქვს, რომ აქაური ხელოსნური ნაწარმი იმერეთში დიდი მოწონებით სარგებლობს. რომ ახალციხის ბაზარზე ძალიან ბევრი იმერელი ვაჭარია, განსაკუთრებით ზაფხულში[84]. თბილისისა და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლებს ხშირად ვხედავთ დასავლეთ საქართველოს ბაზარზე. უკვე XIX საუკუნის პირველ წლებში ისინი აქ მარტო სავაჭრო საქმიანობით არ იფარგლებიან, ზოგჯერ სამრეწველო საწარმოების მოწყობასაც კი ცდილობენ[85].

თავის მხრივ, არაერთი საბუთი მიუთითებს იმერელ ვაჭართა სისტემატურ მოღვაწეობაზე ქართლისა თუ კახეთის სხვადასხვა სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში. მაგალითად, 1802 წელს შედგენილ საბუთს, რომელიც ქალაქ გორში სავაჭრო და სახელოსნო დუქნების ოდენობას აღგენს, შემდეგი საგანგებო მინაწერი აქვს: „ჩამოსულთაგან აქ დუქნები არავის არ აქვს გარდა იმერლებისა, რომლებიც ღვინით ვაჭრობენ"[86]. მუდმივი დუქნების არსებობა, იმერეთისა და ქართლის პუნქტებს შორის ცხოველ სავაჭრო ურთიერთგაცვლაზე მიუთითებს; საქართველოს მთავარსარდლის

---

[84] Газ. «Тифлисские ведомости», литературное отделение, 1832, № 5,6.
[85] სცსია, ფ. 254, საქმე 150, 1807 წ., ფურც. 308.
[86] იქვე, ფ. 16, საქმე 51, 1802 წ., ფურც. 5.

Ი. ციციანოვის მოწმობით ქართლსა და იმერეთს შორის სავაჭრო ქარავნები თითქმის ყოველდღე მიდი-მოდიოდნენ[87].

ძველთაგანვე ქართლსა და იმერეთს შორის ჩამოყალიბებული იყო ვაჭრობის თავისებური წესი. XVIII ს-ის ერთი საბუთის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ახალციხიდან და იმერეთიდან შემოტანილ სურსათზე ბაჟი არ იყო დაწესებული. მეფისადმი გორის ქეთხუდების საჩივარში იასე ამილახვარის თავნებობაზე, ერთ-ერთ ბრალდებად წამოყენებულია „ხორაგზე ბაჟის დადება ახალციხიდამ და იმერეთიდამ"[88]. XIX ს-ის დასაწყისის მასალებზე დაკვირვებას კი იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ბაჟს არ იღებდნენ იმერეთიდან შემოტანილ მხოლოდ საკუთრივ იმერულ საქონელზე და ისიც იმ შემთხვევაში, თუ მას გორელი (ქართლელი?) კაცი შემოიტანდა. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის შინავაჭრობის განვითარებას ადგილებდა ტრადიციულად არსებული დაბალი ბაჟები. როგორც ითქვა, ქართლის საბაჟოებში იმერეთიდან შემოტანილ იმერულ საქონელზე გორელი ვაჭრები ბაჟს არ იხდიდნენ[89]. სავარაუდოა, რომ ეს შეღავათი საერთოდ ქართლ-კახეთის სამეფოს ქვეშევრდომ ვაჭრებზე ვრცელდებოდა. ასევე სავარაუდოა, რომ იმერეთის სამეფოში ამგვარივე შეღავათით იმერელი ვაჭრები სარგებლობდნენ. თუ ეს ასეა მაშინ იმერეთსა და ქართლ-კახეთს შორის გატარებული ად-

---

[87] Акты, собранные Кавказской Археографической комиссиею, (АКАК), т. II, с. 241, № 443.

[88] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII—XIX სს.), წ. II, თბ., 1974, გვ. 143.

[89] ეს წესი ადგილობრივ ვითარებაში გაურკვეველ საბაჟოს მოხელეებს ერთობ დიდ სირთულეს უქმნიდა. ინსტრუქციით მათ მითითებული ჰქონდათ, რომ თუ გორელი ვაჭარი იმერულ საქონელს შემოიტანდა, მას ბაჟი არ უნდა გამორთმეოდა, ხოლო თუ თურქულ, გერმანულს ან სხვა უცხოურ საქონელს შემოიტანდა 2% ბაჟით უნდა დაებეგრა. მათ კი არ იცოდნენ როგორ გაერჩიათ ვთქვათ თურქული და იმერული საქონელი. ამიტომ მათ სპეციალურად უმარტავენ, რომ: უმეტესად აქ იმერეთიდან სხვა საქონელი არ შემოდის გარდა ცხვრის ბეწვის ანუ კრიველისა, ტყვიისა, დარიის, ანუ თავთისა, ნადირის ტყავებისა, სელის და ბამბის ტილოების, აბრეშუმის და ყანაფის ძაფებისა, გიშერისა, ხის სავარცხლებისა, უბრალო თამბაქოსი, შეღებილი აბრეშუმისა და ცვილისა. იმერეთიდან შემოტანილ უცხოურ საქონელში კი დასახელებულია მინისა და ბროლის ნაკეთობები და საპონი. მართალია ტექსტში რკინაცაა მოხსენებული მაგრამ ეს აშკარა შეცდომაა, რადგან რკინა სწორედ იმერეთიდან (ლიხთ იმერეთიდან, რაჭიდან) შემოდიოდა. საბუთში არაფერი არ არის ნათქვამი საკვებ პროდუქტებზე იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ ისინი ბაჟით დაბეგვრას არ ექვემდებარებოდნენ (სცსია, ფ. 380, საქ. 14, 1809, ფურც. 41).

გილობრივი საქონელი მხოლოდ ერთხელ დაიბეგრებოდა ისიც დაბალი საბაჟო ტარიფით. ტრადიციულად საკვებ პროდუქტებზე („ხორაგზე") ბაჟს არ იღებდნენ. ბაჟს არ იღებდნენ აგრეთვე მცირე რაოდენობით (მხრით ან არასრული საპალნით) შემოტანილ საქონელზე[90].

იმერეთსა და ქართლს შორის არაერთი გზა არსებობდა. ამიტომ ბაჟის აღება ხდებოდა როგორც გორში, ისე ცხინვალში, ალში, სურამში, ვართყულისჭალში და სხვ. უმეტესად იმერეთიდან და ახალციხიდან შემოტანილი საქონლის ბაჟი იჯარით გაიცემოდა სახაზინო სამლეგროებთან ერთად. მაგალითად, სურამში მისი საიჯარო ფასი 120 მანეთს უდრიდა[91]. ცხინვალში კი გაცილებით მაღალი იყო და სხვა საიჯარო მუხლებთან ერთად ზოგჯერ 1800 მანეთამდეც კი ადიოდა[92].

მიუხედავად საბაჟოების სიმრავლისა მეტად ხშირი იყო საქონლის ჩუმად (უბაჟოდ) გატანის ფაქტები, რასაც ბაჟების მოიჯარეების თუ სახაზინო მოხელეთა არაერთი საჩივარი და განცხადება მოწმობს[93]. ამას ხელს უწყობდა ბაჟის გადახდის წესი. ვაჭარს მისი სურვილის მიხედვით ბაჟი შეეძლო გადაეხადა საქონლის გატარების ადგილზე, ან საბოლოო პუნქტში, სადაც საქონლის გასაღება ჰქონდა განზრახული. ამგვარად სურამში მას შეეძლო განეცხადებია საქონელი გორში ან თბილისში მიმაქვსო და ამით ბაჟის გადახდა თავიდან აეცილებინა, შემდეგ კი იქვე ახლოშახლო სოფლებში გაეყიდა. საბაჟოს მოიჯარეებისათვის ამგვარი ეშმაკობა ახალი არ იყო და ამიტომ სხვადასხვა ზომებით ცდილობდნენ მის აღკვეთას, მაგრამ ხშირად უშედეგოდ[94].

სახელმწიფო მოხელეებს ვაჭრების თავისუფალი მიმოსვლა. გარდა იმისა, რომ ეს უარყოფითად მოქმედებდა სახელმწიფო შემოსავალზე, სხვადასხვა გადამდები სნეულებების გავრცელების საშიშროების გამოც აწუხებდათ. სწორედ ეს მომენტია ხაზგასმული საკარანტინო სამსახურის ინსპექტორის საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ხოვენისადმი მიმართულ შეკითხვაში, სა-

---

[90] სცსია, ფ. 380, საქ. 14, 1809, ფურც. 57.

[91] სცსია ფ. 254, აღწ. 1, საქ. 131, ფურც. 253.

[92] იქვე, ფ. 90, საქ. 21, ფურც. 4, 1806 წ.

[93] იქვე, ფ. 380 საქ. 14, ფურც. 70—72.

[94] იქვე, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 95, ფურც. 386—387. უბაჟოდ გატარებული საქონელი ორმაგი ბაჟით ჯარიმდებოდა.

ოდანაც ჩანს, თუ როგორი ინტენსიური იყო იმერელი ვაჭრების მიმოსვლა და საქმიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, რომლის შეკავება ხელისუფლებას როგორც ჩანს ერთობ უჭირდა: „უნდა დავაკავოთ თუ არა ყველა მცხოვრები, რომლებიც სამაზრო ქალაქებიდან თბილისში ჩამოდიან — კითხულობს რუსი მოხელე შესაბამისი ნებართვების გარეშე მოსიარულე პირთა თაობაზე—რადგან ბევრი ისეთია, რომ ქალაქ ქუთაისიდან და იმერეთიდან (არიან წამოსული) მიმოდიან სოფლებში, ეწევიან ვაჭრობას არიგებენ ფულს (მევახშეობენ? — მ. ს.)... და თვითნებურად ჩამოდიან თბილისში"[95].

განხილული მასალა, ვფიქრობ, ნათლად ადასტურებს მეტად ინტენსიური სავაჭრო კავშირების არსებობას ქვეყნის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს შორის. ამ კავშირებში აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა კუთხეები. საერთო ქართული საშინაო ბაზრის ჩამოყალიბებაში მეტად აქტიურად მონაწილეობდა კახეთი. საქართველოს ეს მდიდარი და განსახილველ პერიოდში ერთობ დაწინაურებული კუთხე ცხოველ გაცვლა-გამოცვლას აწარმოებდა საქართველოს სხვადასხვა რაიონებთან და კავკასიის ხალხებთანაც. კახეთის ვაჭრობის მაღალ განვითარებაზე მიუთითებს ვაჭართა ის მრავალრიცხოვანი ფენა, რომელიც არამცთუ ქალაქებში, არამედ ბევრ სოფელშიც აქტიურად მოღვაწეობდა. მაგალითად, 1804 წლის აღწერით სოფელ ვეჯინში ვაჭართა სამი ოჯახი ცხოვრობდა, კარდანახში 7 ოჯახი და ა. შ.[96]. გარდა კახური ღვინისა, კახეთიდან მეტად დიდი რაოდენობით გაჰქონდათ აბრეშუმი, ხორბალი, ენდრო, მატყლი, ქსოვილები და სხვა. და, რაც მთავარია, საქართველოს პირობებში წარმოების ისეთი მნიშვნელოვანი და გავრცელებული საშუალება, როგორიც ხაქსოვი დგომებია[97]. აქ უამრავი საქონელი შემოდიოდა ქართლიდან, იმერეთიდან და სხვა კუთხეებიდან[98]. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოდ გამოიყურება ერთი საბუთის არაპირდაპირი ცნობა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ კახეთის გზებზე ვაჭრების მიმოსვლა ადრე დილიდან დაღამებამდე არ წყდებოდა. აქაური ვაჭრები დიდი ოპერატიულობით გამოირჩეოდნენ

---

[95] სცსია, ფ. 16, საქ. 2319, ფურც. 2—3.

[96] იქვე, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 75, ფ. 224—233; 196—209.

[97] სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 324, ფურც. 328—332.

[98] იქვე.

და სწრაფად უღებდნენ ალღოს მოთხოვნილების ზრდასა თუ დაცემას საშინაო ბაზრის ამა თუ იმ ნაწილში. 1803 წელს, მაგალითად, იჯარის თბილისელი შემსყიდველები ჩივიან, რომ ჭირიანობის გამო ქალაქის მოსახლეობა მარტყოფსა და სხვა ადგილებშია გახიზნული, კახელ ვაჭრებსაც ღვინო იქ მიაქვთ გასასყიდად და ჩვენ ვზარალდებითო[99].

მნიშვნელოვანი იყო საქონელგაცვლა თვით კახეთის შიდა პუნქტებს შორისაც, რის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ, გურჯაანელი ვაჭრის მოღვაწეობა თელავში, ან სიღნაღში და პირიქით[100].

ამის საბუთია ის უკომპრომისო ბრძოლა, რომელიც სიღნაღისა და თელავის მაზრების ვაჭრებს შორის იმართებოდა ადგილობრივ ბაზარზე „ბატონებისათვის"[101].

ამგვარი მასალის მოტანა ბევრი შეიძლება. იგივე მსჯელობა შეიძლება გაგრძელდეს საქართველოს სხვა კუთხეების, თუ ცენტრების მიმართაც. მაგრამ ვფიქრობთ, პროცესის ხასიათი ნათელია. მხოლოდ აუცილებლად გვეჩვენება გაკვრით მაინც შევეჩეროთ ყურადღება იმაზე, თუ რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით საქართველოს მთიანეთის თუ მთისწინეთის რაიონებში. აი, როგორ არის დახასიათებული 1803 წლის აღწერაში მთიანი ქართლის სოფელი არდისი: „სოფელი არდისი პატარა მდინარე მეჯურის პირას მდებარეობს... გლეხები ღარიბებია... მისდევენ ხვნა-თესვას, თესენ ხორბალს, ქერს, ჭვავს, შვრიას, მაგრამ სამყოფი მაინც ვერ მოჰყავთ და კიდევ ქართლიდანაც შემოაქვთ პირუტყვის სანაცვლოდ... ქართლში ჰყიდიან ერბოს, ყველს, ცხვრის ტყავს, შავ მაუდს, შეკერილ ხიფთანებს, იქედან კი იღებენ ნარმას, ტილოს და ზოგჯერ პურსაც"[102]. განსახილველ პერიოდში საერთო ქართულ საქონელგაცვლაში აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის ყველაზე შორეული მთიანი პროვინციებიც. მაგალითად, ფშავ-ხევსურეთი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ კუთხედ ითვლებოდა. ზოგიერთი მეფის მოხელე თუ შემთხვევითი გამვლელი აქაურ ქართველებს ლამის პირველყოფილი მდგომარეობაში გვიხატავენ. ი. შახგუბატოვი კი მიუთითებს, რომ აქაურ მოსახლე-

---

[99] სცსია, ფ. 254, აღწ. 2, საქ. 29, ფურც. 280.
[100] იქვე, ფ. 16, საქმე 14, ფურც. 37—38.
[101] იქვე, საქმე 2404, ფურც. 2—3.
[102] იქვე, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 51, ფურც. 69—70, 1803 წ.

ობას ცხოველი სავაჭრო ურთიერთობა აქვს ბართან; ჩამოაქვთ თბილისში ლობიო, ქათმები და სხვა წვრილმანი და ცვლიან მარილზე და ბამბის ქსოვილებზე[103]. ხოლო, რომ საქართველოს ჩთიანეთის ვაჭრობაში სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლებიც აქტიურად ერეოდნენ, ამას მოწმობს ფშავ-ხევსურეთის, დისტანციის უფროსის ოფიციალური და სრულიად სანდო პატაკი, საიდანაც ჩანს, რომ ფშავ-ხევსურეთში არის დუქნები, „... რომლებშიც სხვათა შორის თბილისიდან ჩამოტანილი სხვადასხვა საქონელიც იყიდება, როგორიცაა ჩითი, ნარმა, ტილო“ და ა. შ.[104].

განსახილველი პერიოდის არაერთი წყარო მიუთითებს სვანების მონაწილეობას დასავლეთ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო ცენტრების ბაზრობებში. ის ფაქტი, რომ სვანური პროდუქცია (გვარჯილა, ტყვია და სხვ.)[105] აღმოსავლეთ საქართველოს ყველაზე შორეულ პროვინციებშიც კი იყიდებოდა, მეტყველებს საქართველოს ამ კუთხეში სასაქონლო მეურნეობის ჩასახვის პროცესზე. როგორც ჩანს სვანები ფართო საშუამავლო ვაჭრობას ეწეოდნენ საქართველოს ბარსა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა პროვინციებს შორის[106].

ჩვენ თავის ადგილზე შევეხეთ სავაჭრო ურთიერთობის ხასიათს თიანეთსა და მის ახლომდებარე სოფლებში. საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო სამრეწველო ცენტრი იყო დუშეთი. იგი საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარეობდა და სწორედ ამ უმნიშვნელოვანესმა მაგისტრალმა განსაზღვრა განსახილველ პერიოდში მისი ქალაქად გადაქცევა. დუშელი ვაჭრები მნიშვნელოვან მოგებას ნახულობდნენ საქართველო-რუსეთის ვაჭრობაში. მაგრამ ისინი განსაკუთრებით აქტიურ კომერციებს აწარმოებდნენ საქართველოს შორეულ მთიან სოფლებში, თუ ჩრდილოეთ კავკასიის პროვინციებში[107].

---

[103] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ros d 110, ფ. 8.

[104] სცსია, ფ. 16, საქ. 2652, ფურც. 76. ფშავ-ხევსურეთთან ვაჭრობაში ჩარეული ჩანან ქართული სავაჭრო კლასის მეტად გამოჩენილი წარმომადგენლები. მაგალითად, 1819 წელს ამ ვაჭრობასთან დაკავშირებულია მსხვილი ვაჭარი და მწარმოებელი ავრიამ ისაიშვილი. მას საქართველოს ამ კუთხეში დენთი გაუგზავნია გასასყიდად. ჩანს, მისი თანამემშეების ხელით, თვითონ კი სიღნაღში გამგზავრებულა სავაჭროდ (ფ. 16, საქ. 2410, 1819, 2—5).

[105] იხ. მაგ. გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, დასახ. ნაშრ., ტ. 1, გვ. 107.

[106] იხ. მ. ს ე ლ ე ზ ნ ი ო ვ ი ს, დასახ. ნაშრ., ჯვ. 67.

[107] სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 851, ფურც. 901.

ამრიგად, განსახილველი ხანის საქართველოს საშინაო ვაჭრობაში ჩაბმული იყო და მეტ-ნაკლები ინტენსივობით ერთიანი ქართული ბაზრის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა საქართველოს ყველა კუთხე, მათ შორის ის კუთხეებიც, რომლებიც მისგან პოლიტიკურად ჯერ კიდევ მოწყვეტილნი იყვნენ.

5. ვაჭრები, რაოდენობრივი ზრდა და სოციალური შემადგენლობა

წყაროების სიმცირე, მათი არასისტემატური ხასიათი, სხვადასხვა წლების კამერალური აღწერების შედგენის განსხვავებული მეთოდები, შემადგენელთა უვიცობა, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება და მრავალი სხვა მიზეზი მეტად ართულებს განსახილველი პერიოდის საქართველოს სტატისტიკური ვითარების დადგენას. თუ აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ ზოგიერთი ფრაგმენტული მონაცემის შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე ამგვარი სამუშაოს ჩატარება, და თუნდაც დაახლოებითი სურათის წარმოდგენა, ასე თუ ისე მაინც ხერხდება, დასავლეთ საქართველოს მიმართ ეს საერთოდ შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში, მასალაზე დაკვირვება საშუალებას იძლევა ერთი მთავარი და მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა გაკეთდეს: საქართველოს ვაჭართა კლასი XIX საუკუნის დასაწყისისათვის საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო და მთელი განსახილველი პერიოდის მანძილზე მისი ოდენობა განუხრელად იზრდებოდა. ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს ქვემოთ მოყვანილი 1-ლი ცხრილი გვაძლევს.

აღნიშნულ ცხრილს ბევრი სერიოზული ნაკლი აქვს. მთავარი ისაა, რომ ცალკეულ სვეტებში თავმოყრილი მასალა დროის მეტად ხანგრძლივ მონაკვეთებს მოიცავს. მაგალითად, პირველ სვეტში თბილისი წარმოდგენილია 1808 წლით, სხვა პუნქტები კი 1804 წლით; მეორე სვეტის დიაპაზონი ამ მხრივ კიდევ უფრო მეტია, განსხვავება პუნქტების მონაცემებს შორის 6 წელს უდრის, მაგრამ უფრო რთული ისაა, რომ ეს ექვსი წელი საქართველოში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ძვრების წლებია. როგორც ცნობილია (და ამაზე ჩვენ კიდევ მოგვიხდება ყურადღების შეჩერება), საქართველოში 1822 წლიდან შეღავათიანი ტრანზიტი მოქმედებს, რამაც ვაჭრობის დიდი აღმავლობა და ვაჭართა კლასის მნიშვნელოვანი რაოდენობრივი ზრდა გამოიწვია, ასე, რომ 1818 წლის და 1824 წლის მონაცემები თვისებრივად განსხვავებულად

ცხრილი 1

საქართველოს ეკარათა რაოდენობრივი ზრდის დინამიკა XIX ს. პირველ მესამედში[108]

ქალაქებისა და მაზრების დასახელება	ეკარული ოჯახების რაოდენობა		
	1804 — 1808	1818 — 1824	1830 — 1834
თბილისი	636	926	1290
თბილისის მაზრა	—	23	7
გ ო რ ი	222	125	} 284
გორის მაზრა	37	98	
თელავი	73	52	90
თელავის მაზრა		8	
სიღნაღი	35	40	100
სიღნაღის მაზრა	27	36	7
დუშეთის (ანანაურის) მაზრა ქ. დუშეთით	13	26	85
სულ	1043	1334	1863

[108] ეს და მომდევნო ცხრილი შედგენილია შემდეგი მონაცემების საფუძველზე: თბილისის 1808 წლის კამერალური აღწერა, სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 185; გორის მაზრის 1804 წ. კამერალური აღწერა, სცსია. ფ. 254, აღწ. 1, საქმე 76; სიღნაღის მაზრის კამერალური აღწერა, სცსია, ფ. 254, აღწ. I, საქ. 75; გ. ბ ო ჭ ო ი ძ ე. კახეთის აღწერა 1801—1802 წლისა, ცხრილი 4ა, თელავის აღწერა 1804 წლისა წოდებათა მიხედვით, რუსული აღწერით, საქართველოს არქივი წ. III; ანანურისა და მისი მაზრის 1804 წ. კამერალური აღწერა, სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 77; 1824 წლის თბილისის კამერალური აღწერა—სცსია, ფ. 254. აღწ. I, საქმე 858; 1824 წ. თბილისის საბატონო გლეხთა კამერალური აღწერა—იქვე, საქმე 856; 1824 წლის თბილისის კამერალურ აღწერაში გამოტოვებულია სახაზინო გლეხები. იქვე, საქმე 855; 1823 წლის თბილისის საეკლესიო გლეხების კამერალური აღწერა, იქვე. საქმე 800; გორის სახაზინო გლეხთა კამერალური აღწერა, სცსია, ფ. 254, აღწ. I, საქმე 540; გორის მაზრის 1818 წლის სახაზინო გლეხების კამერალური აღწერა—იქვე, საქმე 541: გორის მაზრის 1818 წლის საბატონო სოფლების კამერალური აღწერა, იქვე, საქმე 545; გორის მაზრის 1818 წლის საბატონო გლეხთა აღწერა— იქვე, საქმე 543; გორის მაზრის, საბატონო გლეხებისა და აზნაურების აღწერა, იქვე, საქმე 542; თელავის მაზრის 1821 წლის სახაზინო გლეხების კამერალური აღწერა, სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 687; თელავის მაზრის საბატონო გლეხების აღწერა, იქვე. საქმე 688; სიღნაღის მაზრის კამერალური აღწერა 1817 წლისა, იქვე, საქმე 478; სიღნაღის მაზრის სახაზინო გლეხთა კამერალური აღწერა 1817 წლისა, იქვე, საქმე 499; ანანურის მაზრის სახაზინო სოფლების აღწერა 1821 წლისა, იქვე, საქმე 689; თბილისის ახლად დასახლებულ სახაზინო გლეხთა 1834 წლის კამერალური აღწერა, სცსია, ფ. 254, საქმე 1422; თბილისის მოქალაქეთა 1834 წლის კამერალური აღწერა —იქვე, საქმე—

შეიძლება წარმოვიდგინოთ. ასევე დიდია მე-3 სვეტის დიაპაზონიც. ერთი მხრივ, თავმოყრილია 1830—1831 წლის მასალა, მეორე მხრივ კი, 1834 წლისა. 1830—1831 წლები ჩვენში შეღავათიანი ტრანზიტის ბოლო წლებია, 1834 წელს კი ეს ტრანზიტი უკვე გაუქმებულია, რამაც ვაჭრობის მნიშვნელოვანი დაცემა გამოიწვია. მეორე სერიოზული ნაკლი თვით მასალის ხარისხია და ფრაგმენტულობაა. ეს განსაკუთრებით შეეხება 1830—1831 წლების მონაცემებს.

მიუხედავად ამ და ზოგიერთი სხვა ნაკლისა, რომელზედაც ყურადღების შეჩერება აუცილებლად არ მიგვაჩნია, ჩვენ იძულებული ვართ აღნიშნული ცხრილის მონაცემებს დავეყრდნოთ და ზოგიერთი დასკვნაც გავაკეთოთ:

30 წლის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს ვაჭრობაში ჩაბმული ოჯახების რაოდენობა დაახლოებით 68%-ით გაიზარდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზრდა ქ. თბილისისა და გორის მაზრის ვაჭრობაში, რაც შეღავათიანი ტრანზიტის მოქმედების შედეგია. აღნიშნული მონაცემები ვაჭართა აბსოლუტურ ოდენობას არ მოიცავს. იგი ოჯახების მიხედვითაა შედგენილი, ოჯახში კი ზოგჯერ 3—4 და მეტი მამაკაციც კია ამ საქმიანობაში ჩაბმული.

როგორც აღვნიშნეთ, ვაჭრობა ტრადიციულად საქართველოში არ ყოფილა რომელიმე ფენის პრივილეგია. მართალია, მოქალაქეებს მასში უპირატესი როლი ეკავათ, მაგრამ ეს უპირატესობა მათ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე იყო დამყარებული და იურიდიულად გაფორმებული არ ყოფილა. როგორც

1423; თბილისის საეკლესიო გლეხთა კამერალური აღწერა, იქვე; თბილისის საუდელო სახაზინო გლეხთა კამერალური აღწერა, იქვე, საქმე— 1424; გორის მაზრის საბატონო გლეხთა და აზნაურთა აღწერა 1830—1831 წლისა. სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 1243; თელავის მაზრის 1831 წლის სახაზინო გლეხთა აღწერა, იქვე, საქმე 1252; თელავის მაზრის საეკლესიო გლეხთა კამერალური აღწერა, იქვე, საქმე 1253; თელავის მაზრის საბატონო გლეხთა კამერალური აღწერა. 1831 წლისა, ტ. 1, იქვე., საქმე 1275; იგივე, ტ. II, იქვე, საქმე 1276; 1832 წლის სიღნაღის მაზრის სახაზინო გლეხთა კამერალური აღწერა, იქვე, საქმე 1326; სიღნაღის მაზრის საბატონო გლეხთა კამერალური აღწერა. იქვე, საქმე 1325; სიღნაღის მაზრის საეკლესიო გლეხთა 1832 წლის კამერალური აღწერა, იქვე, საქმე 1327;: დუშეთის მაზრის 1830—1831 წწ. სახაზინო და საბატონო გლეხთა კამერალური აღწერა, იქვე, საქმე 1250; დუშეთის მაზრის საეკლესიო გლეხთა 1830—1831 წწ. კამერალური აღწერა, იქვე, საქმე 1251; სიღნაღის, 1818 წ. მონაცემები— სცსია, ფ. 16, საქ. 2046, ფურც. 16—17.

ვნახეთ, ეს ვითარება გაგრძელდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც. ეს გარემოება ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარების და, ამის საფუძველზე, ვაჭრობის განვითარების პირობებში ხელს უწყობდა სავაჭრო ურთიერთობაში საზოგადოების სულ სხვადასხვა ფენების ჩაბმას. პირველ რიგში, ამ უპირატესობით სარგებლობის შესაძლებლობა სახელმწიფო ყმებს ჰქონდათ. სასაქონლო ურთიერთობის აღმავლობა და ქვეყანაში ვაჭრობის პირობების გაუმჯობესება კი საამისო ფართო ასპარეზს ქმნიდა. ცხადია გლეხის ვაჭრობაში მონაწილეობა არ ნიშნავდა მის გავაჭრებას. ეს ხანგრძლივი პროცესი იყო, მაგრამ საშინაო ვაჭრობის განვითარება იწვევდა გლეხთა მასის ჩამოყალიბებას, რომლის შემოსავლის ძირითადი, ხოლო ხშირად ერთადერთი წყარო საქონელგაცვლაში მონაწილეობა იყო. განსახილველი ხანის საქართველოს სხვადასხვა კუთხეების კამერალური აღწერები საშუალებას იძლევა დაახლოებით თვალი გავადევნოთ ახალი ვაჭრების გაჩენის პროცესს: თითქმის ყველა აღწერაში გვხვდება რამდენიმე, ზოგჯერ ათეულობით ოჯახიც კი, რომლისთვისაც ძირითადი შემოსავლის წყარო სამეურნეო საქმიანობა იყო, დამატებითი კი — ვაჭრობა. ეს გავაჭრების გზაზე მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო, როცა მწარმოებელი საკუთარი ნაწარმის გაყიდვით კი არ კმაყოფილდება, არამედ პარალელურად ბაზარზე იმ საქონლის გატანასაც იწყებდა, რომელიც მისმა თანამოძმემ დაამზადა. დასტურდება შებრუნებული ფაქტებიც, როცა შემოსავლის ძირითადი წყარო უკვე ვაჭრობაა, ხოლო დამატებითი სხვა სამეურნეო საქმიანობა. აქ იგი უკვე თითქმის ვაჭარია[109]. ცხადია, სულ ცოტა ხანში იგი ან მეურნეობას ანებებს თავს, ან ვაჭრობას, იმისდა მიხედვით, თუ როგორი ბედი ეწია და როგორი ფხა გამოიჩინა უკანასკნელ საქმიანობაში. ხოლო სხვადასხვა წლების კამერალურ აღწერებში ამ კატეგორიის ხალხის უწყვეტი არსებობა იმას მიუთითებს, რომ პროცესში სულ ახალ-ახალი მასები ებმებიან. ეს რომ ნამდვილად ასეა, იქიდან ჩანს, რომ სხვადასხვა წლების აღწერებში მოტანილი ამგვარი კატეგორიის ხალხის ვინაობა ერთმანეთს არ ემთხვევა. ცხრილში მხოლოდ ის ოჯახები შევიტანეთ, რომლებისთვისაც ვაჭრობა შემოსავლის ძირითადი წყაროა.

---

[109] უშუალო მწარმოებლის ვაჭრად გადაქცევის პროცესს ჩვენ ქვევით საგანგებოდ შევეხებით და ამიტომ აქ სიტყვის გაგრძელება ზედმეტად მიგვაჩნია.

— ეს პროცესი უფრო მძიმედ მიმდინარეობდა საეკლესიო და, განსაკუთრებით, საბატონო ყმებში. ჯერ ერთი, ისინი უფრო მეტად განიცდიდნენ ფეოდალური ექსპლუატაციის უღელს და ამდენად, ჩვეულებრივ, მათი (განსაკუთრებით საბატონო ყმების) ეკონომიკური მდგომარეობა გაცილებით დაბალი იყო; მეორეც, მთავარი ქალაქები ოდითგანვე სამეფო იყო და ისინი უპირატესად სახელმწიფო ყმებით იყვნენ დასახლებული. მართალია, მოცემულ პერიოდში, როგორც ვნახეთ, ვაჭრობა მაზრებსა და სოფლებშიც იწყებს შეჭრას, მაგრამ ძირითადად იგი, ცხადია, ქალაქებში მიმდინარეობდა. დაბოლოს, საბატონო ყმავაჭრების კონტიგენტი არამყარია, რადგან, გარდა იმისა, რომ ურთიერთობის ხასიათი ეწინააღმდეგება თვით გაკაჭრების პროცესს, თავისთავად (და სწორედ ამიტომ) როგორც კი ყმა ვაჭრობაში გარკვეულ წარმატებას აღწევდა, მაშინვე იწყებდა ბრძოლას პირადი თავისუფლების მოპოვებისათვის და ხშირად სახაზინო გლეხთა კატეგორიაში ხვდება. ამდენად საეკლესიო და განსაკუთრებით საბატონო ყმა ვაჭართა რაოდენობის ზრდა, რომელიც განსახილველ პერიოდში შეინიშნება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. სახაზინო, საეკლესიო და საბატონო ყმა ვაჭრების რაოდენობის სწრაფი ზრდის გამო, მართალია, წლების განმავლობაში მოქალაქე-ვაჭართა კატეგორიაც იზრდება რაოდენობრივად, მაგრამ მისი შეფარდებითი წვლილი ვაჭართა საერთო რიცხვში განუხრელად კლებულობს. იმის გამო, რომ მოქალაქეთა კატეგორია კამერალურ აღწერებში მხოლოდ თბილისში შეჰქონდათ, ჩვენ საშუალება გვაქვს ამ პროცესს მხოლოდ თბილისის მიმართ გავადევნოთ თვალი. ქვემოთ მოყვანილი მე-2 ცხრილი ამ პროცესის საილუსტრაციოდ შემდეგ სურათს გვიხატავს:

ცხრილი 2

თბილისის ვაჭართა ფენის რაოდენობრივი ზრდა 1808—1834 წწ.

წოდება	ოჯახების რაოდენობა						ზრდის %
	1808	%	1824	%	1834	%	
მოქალაქე	530	83,3	385	41,6	428	33,7	111,2
სახაზინო			329	35,5	540	42,5	164,1
საეკლესიო	71	11,2	103	11,1	149	11,7	144,7
საბატონო	35	5,5	109	11,8	153	12,1	148,5
სულ	636	100	926	100	1270	100	—

მიუხედავად წარმოდგენილი ცხრილის სერიოზული დეფექტებისა, იგი მაინც იძლევა საშუალებას ვაჭართა რაოდენობრივი ზრდის ტენდენციას გავადევნოთ თვალი. მიუხედავად მოქალაქეთა ვაჭართა აბსოლუტური რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდისა თბილისის ვაჭართა საერთო რაოდენობაში მათი ხვედრითი წონა 1824 წლისათვის 41,6% ეცემა, ხოლო 1834 წლისათვის იგი კიდევ უფრო კლებულობს და შეადგენს 33,7%. ხოლო ყმა ვაჭართა წვლილი 5,5%-დან 1824 წ. 11,8-მდე, ხოლო 1834 წლისათვის 12,1%-მდე გაიზარდა. ეს კი შესაძლებელი გახდა აღნიშნული კატეგორიის ვაჭართა ზრდის მეტად ჩქარი ტემპით. 15 წლის განმავლობაში თბილისის საბატონო ყმა ვაჭრების რაოდენობა 3-ჯერ და მეტად გაიზარდა. იგივე ტენდენცია შეინიშნება გორსა და გორის მაზრაში. ეჭვი არ არის, მსგავსი მდგომარეობაა სხვაგანაც. მაგრამ მასალების ნაკლებობა არ გვაძლევს შედარების საშუალებას.

სავაჭრო ურთიერთობაში ქვეყნის სულ სხვადასხვა ფენების ჩაბმა სასაქონლო ურთიერთობის, შინაგაჭრობის განვითარების, საშინაო ბაზრის გაფართოების, ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავების უტყუარი ნიშანია. ეს პროცესი იმაზე მიგვითითებს, რომ ტრადიციულ ვაჭართა საზოგადოება სასაქონლო ურთიერთობის მაღალი განვითარების პირობებში ვეღარ აუდის ქვეყნის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რადგან მისი კონტინგენტი შეზღუდულია და ამის გამო ვაჭრობა თავის მიმოქცევაში იზიდავს სულ ახალ-ახალ მასებს. ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა 20-იანი წლების დასაწყისიდან, როცა საგარეო და სატრანზიტო ვაჭრობის არნახულმა განვითარებამ თავისკენ მიიზიდა ვაჭართა ზედაფენის წარმომადგენლები, როცა ხდებოდა კაპიტალის გადაქაჩვა შინაგაჭრობიდან საგარეო და სატრანზიტო ვაჭრობაში. ასეთ ვითარებაში შინაგაჭრობაში ასპარეზი ერთგვარად განთავისუფლებული აღმოჩნდა. ამის გამო ვაჭართა რიცხობრივი შემადგენლობის ზრდა განსაკუთრებით შესამჩნევია ვაჭრობის შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვან ცენტრებში.

თბილისის 1823—1824 წლის მონაცემები ზოგ შემთხვევაში საშუალებას იძლევიან ვაჭრობაში ახლად ჩაბმული ოჯახები გამოვაცალკეოთ ტრადიციული ვაჭრული ოჯახებისაგან. სულ ამგვარი 105 ფაქტის დადგენა ხერხდება. იგი საშუალებას გვაძლევს დაახლოებით წარმოვიდგინოთ ვაჭართა კონტინგენტის ზრდის ტენდენ-

ციები სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით. ქვემოთ მოტანილი ცხრილი შემდეგი პრინციპითაა შედგენილი: 1. ვაჭრული ოჯახების საერთო რაოდენობა; 2. მათი პროცენტი ვაჭართა საერთო რაოდენობაში; 3. ვაჭრულ ოჯახებში მოწიფულ მამაკაცთა რაოდენობა; 4. მათი პროცენტი ვაჭრობაში ჩაბმული ყველა კატეგორიის ოჯახებში შესული მოწიფულ მამაკაცთა საერთო რაოდენობაში; 5. ვაჭრობაში ახლად ჩაბმული ოჯახების რაოდენობა; 6. მათი პროცენტი ახლად ჩაბმული ოჯახების საერთო რაოდენობაში; 7. ახლად ჩაბმული ოჯახების ხვედრითი წილი ცალკეული კატეგორიების მიხედვით ვაჭრული ოჯახების საერთო რაოდენობაში, ანუ ზრდის %; 8. მოწიფულ მამაკაცთა რაოდენობა ვაჭრობაში ახლად ჩაბმულ ოჯახებში; 9. ვაჭრობაში ახლად ჩაბმული ოჯახების მოწიფულ მამაკაცთა რაოდენობის ხვედრითი წილი პროცენტობით; 10. ვაჭრობაში ახლად ჩაბმული ოჯახების მამაკაცთა ხვედრითი წილი ცალკეულ კატეგორიათა მიხედვით ვაჭრულ ოჯახებში მოწიფულ მამაკაცთა საერთო რაოდენობაში, ანუ ზრდის %.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რადგან მასალებში დაფიქსირებულია არა ყველა შემთხვევა, არამედ მხოლოდ ზოგიერთი, სურათი ზუსტი ვერ იქნება. მიუხედავად ამისა იგი გარკვეულ წარმოდგენას მაინც შექმნის ცალკეულ სოციალურ კატეგორიათა მიხედვით ვაჭართა რაოდენობრივი ზრდის ტენდენციასა და ხასიათზე (ცხრ. 3).

ცხრილი 3

ვაჭრობაში ახლად ჩაბმული ოჯახების ხვედრითი წილი ვაჭართა ოჯახების საერთო რაოდენობაში [110]

ვაჭართა კატეგორია	ოჯახი	%	მოწ. მამაკაცი	%	ვაჭრობაში ახლად ჩაბმული					
					ოჯახი	% საერთო	% ზრდის	მოწიფული მამაკაცი	% საერთო	% ზრდის
მოქალაქე	385	41,6	542	46,7	35	33,3	9,1	40	33	7,4
სახაზინო გლეხი	329	35,5	369	31,9	41	39	12,5	50	41,3	13,3
საეკლესიო	103	11,1	121	10,4	13	12,4	12,6	15	12,4	12,4
საბატონო	109	11,8	129	11,1	16	15,2	14,7	16	13,2	12.4

[110] სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 858.

როგორც ვხედავთ, ვაჭრული ოჯახების საერთო რაოდენობაში მოქალაქეები შეადგენენ 41,6%, ხოლო მოწიფული მამაკაცების რაოდენობის მიხედვით კი 46,7%. ამავე დროს ვაჭრობაში ახლად ჩაბმული ოჯახების საერთო რაოდენობაში, თუმც მათი ხვედრითი წილი მაღალია, მაგრამ უკვე ამ მონაცემებით ისინი პირველობას სახაზინო გლეხებს უთმობენ. ხოლო ამ კატეგორიის ოჯახების საერთო რაოდენობაში კი მათი წილი 33,3% დაეცა. პირიქით, სახაზინო გლეხები თუ საერთო რაოდენობის მხოლოდ 35,5% შეადგენდნენ, ახლად ჩაბმულებში მათი შეფარდება გაცილებით მეტი იყო და შეადგენდა 39%-ს. უფრო მეტი იყო ეს შეფარდება ვაჭრობაში ჩაბმული სრულწლოვანი მამაკაცების საერთო ოდენობის მიმართ — 41,3%, ხოლო კიდევ უფრო მეტი იყო საეკლესიო და საბატონო გლეხებში და შესაბამისად შეადგენდა 10,4—12,4 და 11,1—15,2. ვაჭრობაში ახლად ჩაბმული ოჯახების შეფარდებითი წვლილის ზრდის მიხედვით ყველაზე წინ იდგა საბატონო ყმები — 14,7, შემდეგ საეკლესიო — 12,6, სახაზინო — 12,5, ხოლო მოქალაქეებში მხოლოდ 9,1. ხოლო ვაჭრობაში ახლად ჩაბმული ოჯახების მოწიფულ მამაკაცთა საერთო რაოდენობაში მათი წვლილის მიხედვით პირველ ადგილზე სახაზინო გელეხები იყო, ამ კატეგორიის საერთო ოდენობის 13,3%. შემდეგ საბატონო და საეკლესიო გლეხები — 12,4% თითოეული და ბოლოს მოქალაქეები — მხოლოდ 7,4%.

ბუნებრივია, რომ რაოდენობრივი მაჩვენებლები ვაჭრობაში ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმ ფაქტიურ მდგომარეობას, რომელიც ამა თუ იმ სოციალური კატეგორიის წარმომადგენლებს უჭირავთ. მაგრამ იგი აშკარად მიგვითითებს განვითარების ტენდენციაზე. სრულიად ბუნებრივია ისიც, რომ ვაჭრობაში ჩაბმა თავიდან მცირე კაპიტალით იწყება; ეს კაპიტალი აქ, ვაჭრობაშივე უნდა გაიზარდოს თანდათანობით. ამიტომ ფართო კომერციაში გაბატონებული ადგილი ჯერ კიდევ მოქალაქეებს უჭირავთ; მათ/ასე თუ ისე კონკურენციას სახაზინო გლეხები უწევენ, საეკლესიო და, მით უმეტეს, საბატონო ყმა ვაჭრების როლი კი ამ შემთხვევაში ჯერჯერობით სრულიად მოკრძალებულია. საბატონო ყმა ვაჭრები უპირატესად წვრილმანი საქონლით, საკვები პროდუქტებითა და სასმელით ვაჭრობაში არიან დაკავებული.

კამერალური აღწერილობის ერთი ნაწილი საშუალებას იძლევა განისაზღვროს, თუ რა სახის ვაჭრობაში არიან ჩაბმული ამა თუ იმ

ოჯახის წარმომადგენლები. ზოგჯერ ეს განსაზღვრა სრულიად ზოგადი და ფორმალურია. მაგალითად, აქ შეხვდებით ამგვარ კატეგორიებს — „ვაჭრობით“, „ბითუმად ვაჭრობით“, „დუქანში ვაჭრობით“ და სხვ. ამგვარი მინიშნება არაფრისმთქმელია და ისინი შეიძლება ყველა სახის ვაჭრებს მიუდგეს. მაგრამ უფრო ხშირად მინიშნება კონკრეტულია: „ფართლეულით“, „ღვინით“, „სურსათით“ და ა. შ.

მე-4 ცხრილი ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის ქართველი ვაჭრების დარგობრივ განაწილებაზე სოციალური კატეგორიების მიხედვით. როგორც აღვნიშნეთ, დარგობრივი განაწილება არ არის ზუსტი. აღწერის მონაცემები ერთმანეთში ურევს ვაჭრობის დარგს, ვაჭართა მოქმედების ასპარეზს და ვაჭრობის მოცულობას. მიუხედავად ამისა, ცხრილის მონაცემებზე დაკვირვება აშკარას ხდის, რომ როგორც 1824, ისე 1834 წლის მონაცემებით მოქალაქე ვაჭრებს წამყვანი პოზიციები ეკავათ როგორც ვაჭრობის მოცულობის თვალსაზრისით („დიდვაჭრები“ „მნიშვნელოვანი ვაჭრობა“), ისე დარგების მხედვით. ისინი გაბატონებული იყვნენ ფართლეულის და სხვ. სამრეწველო საქონლით ვაჭრობაში. მაშინ როცა ვაჭართა გლეხური ნაწილი ძირითადად უპირატესობას საკვები პროდუქტების ვაჭრობაში ინარჩუნებს. მიუხედავად ამისა, სრულიად აშკარაა სახაზინო ყმა ვაჭართა მომძლავრების ტენდენცია. ისინი ხშირად კონკურენციას უწევენ მოქალაქე ვაჭრებს და ეს პროცესი თანდათან ძლიერდება. ის ფაქტი, რომ ბითუმად მოვაჭრეთა კატეგორიაში სახაზინო გლეხების მონაწილეობა 3 ოჯახიდან 1824 წელს 1834 წელს 12 ოჯახამდე გაიზარდა, ჩვენ საგულისხმოდ გვეჩვენება. მართალია, ამავე პერიოდში იმავე კატეგორიის ვაჭრებმა ერთგვარად დათმეს პოზიციები ფართლეულით ვაჭრობაში, მაგრამ სამაგიეროდ, მათმა როლმა იმატა იმ გრაფაში, რომელსაც პირობით „ცხოვრობს ვაჭრობით“ ჰქვია; აქ კი საგულისხმოა, რომ მნშვნელოვანი ადგილი სწორედ ფართლეულით თუ საერთოდ ტექსტილური ნაწარმით, ან ნედლეულით ვაჭრობას ეკავა.

განხილული მასალიდან აშკარად ჩანს, რომ XIX საუკუნის პირველ მესამედში ვაჭართა საერთო რაოდენობა განუხრელად იზრდებოდა. ამ ზრდაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბატონო, საეკლესიო და სახაზინო ყმა ვაჭრებს. მათი რიცხობრივი ზრდის ტემპები გაცილებით უფრო ჩქარია, ვიდრე მოქალაქე ვაჭრებისა.

ცხრილი 4

თბილისის სხვადასხვა სოციალური კატეგორიის ვაჭართა დარგობრივი დიფერენციაცია 1824-1834 წწ.

ვაჭრობის სახე	1824 წელი					1834 წელი			
	მოქალაქე	სახაზინო	საეკლესიო	საბატონო	სულ	მოქალაქე	სახაზინო	საეკლესიო	სულ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1. ეწევა დიდ ვაჭრობას	3—6				3—6				
2. ეწევა მნიშვნელოვან ვაჭრობას	10—17				10—17				
3. ვაჭრობს ბითუმად	9—14	3—5			12—19		12—26		12—26
4. ვაჭრობს მნიშვნელოვანი საქონლით	1—1				1—1				
5. ცხოვრობს ვაჭრობით	44—70	13—19	15—17	4—5	76—111	36—56	31—49	13—23	80—128
6. ვაჭრობს სხვადასხვა საქონლით	4—6	10—11	1—1		15—18		3—4	2—4	5—8
7. ცხოვრობს წვრილმანი ვაჭრობით	25—26	18—19	10—11	6—6	59—62	89—103	108—161	26—51	223—315
8. ეწევა დატარებით ვაჭრობას	9—12	36—38	5—8	11—12	61—70				
9. ვაჭრობს სოფლებში	1—1	5—9			6—10				
10. ვაჭრობს ფართლით	108—167	46—57	9—14	8—11	171—249	184—340	38—58	5—8	227—406
11. ვაჭრობს ბამბით	1—1	1—1			2—2				
12. ვაჭრობს აბრეშუმით	1—1	2—2			3—3	8—15	1—1		9—16
13. ვაჭრობს ხალიჩებით							1—1		1—1
14. ვაჭრობს ხაბდებით	1—1				1—1		1—2		1—2
15. ვაჭრობს სპარსული საქონლით	2—2	2—2			4—4				

მე-4 ცხრილის გაგრძელება

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
16. ვაჭრობს დაკლული საკონლით		1—1			1—1				
17. ვაჭრობს რქოსანი საკონლით	3—5	1—1			4—6				
18. ვაჭრობს ცხენებით	4—5	6—7	1—1		11—13	1—1			1—1
19. ბაკალი	16—18	57—62	6—6	16—24	93—110	10—20	13—23	2—4	25—47
20. ვაჭრობს თევზით	3—4	10—14	2—3	6—6	21—27	3—4	7—15	4—10	14—29
21. ვაჭრობს სურსათით	11—11	25—27	1—1		37—39		64—84	14—15	78—99
22. ვაჭრობს ხილბოსტნეულით	10—12	8—10	4—5	1—1	23—28				
23. ვაჭრობს ფქვილით	4—6	2—2		2—2	8—10	7—10	8—11		15—21
24. ვაჭრობს თიბეთ							9—11		9—11
25. ვაჭრობს ქონის სანთლით							8—10		8—10
26. მარკიტანტი	16—24	38—48	13—14	21—24	88—110	24—40	183—270	25—38	232—318
27. მიკიტანი	1—1	3—3	10—12	9—9	23—25	1—1	1—1		2—2
28. ვაჭრობს დუქანში	4—5	1—1		3—3	8—9				
29. ცხოვრობს სარეწითა და ვაჭრობით	23—30	5—5	7—8		35—43				
30. მოიჯარე	11—15	2—2		1—1	14—18	17—24		1—3	18—27
31. ზარაფი	5—7	1—1			6—8	4—7	3—6	1—1	8—14
32. პრიკაზჩიკი	6—6	18—18	6—7	2—2	32—33	16—19	4—5	2—3	22—27
33. ნოქარი	14—14	103—113	15—18	17—18	149—163		3—4		3—4
34. ვაჭრობს ქალაქებში	1—1	3—3			4—4				
35. ვაჭრობს სასმელით	50—64	38—46	21—27	20—23	129—160	27—44	45—62	21—31	93—137
	401—553	458—527	126—153	127—147	1112—1380	427—684	543—804	116—191	1086-1679

როგორც ვაჭრობის საერთო დონის, ისე მასში ჩაბმული სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ადგილისა და როლის განსაზღვრის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია სავაჭრო ბრუნვაში მოქცეული კაპიტალის ოდენობა და მასში ამა თუ იმ სოციალური კატეგორიის წვლილი. მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოში გილდიები არ არსებობდა და შესაბამისად, ვაჭართა კაპიტალი არ ცხადდებოდა ხოლო განსახილველ პერიოდში ამ მიმართებით რაიმე არსებითი ცვლილება არ მომხდარა[111], ქართველ ვაჭართა ხელში არსებული კაპიტალისა და, საერთოდ, კაპიტალის მიხედვით ვაჭრების კატეგორიების დადგენა სრულიად შეუძლებელია. ერთი რამ ცხადია, იმდროინდელი ოფიციალური თუ არაოფიციალური ავტორების განცხადებები, ქართველ ვაჭართა კაპიტალის სიმცირის შესახებ ჩვენ მეტად საეჭვოდ გვეჩვენება.

ერთადერთი ოფიციალური ცნობა ქართველ ვაჭართა ერთი ნაწილის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ არის 1827 წელს შედგენილი საბუთი — „თბილისის მოქალაქეთა სახელობითი სია მათი ქონების დაახლოებით ჩვენებით"[112]. ამ სიის მიხედვით 8 თბილისელი ვაჭარი 50 000 მანეთზე მეტ კაპიტალს ფლობს. 10-დან 50 000 მანეთამდე კაპიტალი აქვს 61 მოქალაქე ვაჭარს; 1 000-დან 10 000 მანეთამდე — 120-ს; 1000 მანეთამდე 189-ს.

აღნიშნული მონაცემებიდან თუ საშუალოს ავიღებთ თბილისის მოქალაქე ვაჭრობის საერთო კაპიტალი თითქმის 3 მილიონ მანეთს შეადგენს. ვაჭართა საზოგადოებისათვის, რომელიც სულ 378 ოჯახს ითვლის, ეს საკმაოდ სოლიდური თანხაა.

მაგრამ ჩვენს ისტორიოგრაფიაში უკვე ითქვა, რომ აღნიშნული მონაცემები ზუსტი არ არის. მაგალითად, მასში ფართლეუ-

---

[111] ის ვაჭრები, რომლებიც კომერციის საქმეებზე იმპერიის ფარგლებს გარეთ (და ზოგჯერ იმპერიის ფარგლებშიც) მიდიოდნენ, ვალდებული იყვნენ აეღოთ სათანადო ნებართვა და პასპორტი, რისთვისაც საჭირო იყო მთხოვნელს თავისი ეკონომიკური შესაძლებლობები დაედასტურებინა, მაგრამ საამისოდ ადგილობრივი ხელისუფლება უძრავი ქონების აღნუსხვით კმაყოფილდებოდა.

[112] სცსია, ფ. 16, საქმე 3512, ფურც. 9—18. საბუთი პირველად გამოიყენა თ. ბერიაშვილმა. იხ. მისი, რეფორმამდელი ხანის საქართველოს ქალაქების სოციალური ფენები, გვ. 87. ოგი გამოყენებული აქვს აგრეთვე ე. ორჯონიკიძეს იხ. მისი დასახელებული შრომა, გვ. 132.

ლით მოვაკრე 18 ვაჭარი აშკარად შემცირებული კაპიტალითაა წარმოდგენილი[113].

ამ წყაროს უზუსტობაზე (კაპიტალის შემცირებით წარმოდგენის ტენდენციაზე) მიუთითებს ის გარემოებაც, რომ მასში სათანადოდ არ არის შეფასებული კაპიტალები რიგი ვაჭრებისა, რომელთა მეტად ფართო კომერციები აშკარად დგინდება სხვა მონაცემებიდან. მაგალითად, მასში არ აისახა ქონებრივი მდგომარეობა ბევრი ვაჭრისა, რომლებიც 20-იან წლებში დიდ საგარეო ვაჭრობას ეწეოდნენ და ზოგიერთი მათგანი 100 000-დან 600 000 მანეთის კაპიტალს ატრიალებდა (შერმაზან ვართანოვი, კარაპეტ ტერმინასოვი, დავით და სპირიდონ ბაისაგოლოვები და სხვ)[114]. მართალია, ე. ორჯონიკიძე, რომელსაც აღნიშნული ცნობები მოაქვს, ამ გარემოებას იმით ხსნის, რომ შესაბამისი აღწერის შედგენის დროს ვაჭრები მცირე შეძლებისანი იყვნენ და კაპიტალი შეღავათიანი ტრანზიტის პერიოდში დაგროვეს, მაგრამ ჩვენ, ვითვალისწინებთ რა აღნიშნულ პერიოდში ვაჭრების მიერ მართლაც მნიშვნელოვანი კაპიტალის დაგროვებას, მაინც ვფიქრობთ, რომ ეს ვაჭრები 5—6 წლით ადრეც საკმაოდ დიდ კაპიტალს ფლობდნენ, იქნება ორა 100 000 და 500 000, მაგრამ 10—50 ათასს მაინც. 5—6 წლის განმავლობაში კაპიტალის 10-ჯერ გაზრდაც კი ფანტასტიკური ჩანს ასეთი დიდი მასშტაბების კომერციაში.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ 1827 წლის საბუთი, მხოლოდ თბილისის მოქალაქეებს ეხება. ხოლო თბილისის მოქალაქეები, როგორც ვნახეთ, 1824 წელსაც კი და თბილისის ვაჭრებშიც კი, რაოდენობრივად მხოლოდ 41.6% შეადგენდნენ. მართალია, ეკონომიკურად მათი ხვედრითი წილი გაცილებით მეტი იყო, მაგრამ ეს უფლებას არ გვაძლევს უყურადღებოდ დავტოვოთ ქალაქის ვაჭართა 48,4%, მით უმეტეს, რომ ვაჭართა ამ ნაწილშიც (განსაკუთრებით სახაზინო გლეხებში) ბევრი ძალიან შეძლებულიც იყო. ასეთები იყვნენ, მაგალითად, სახაზინო გლეხი დავით ხუციშვილი, რომელიც დიდ ვაჭრობას ეწეოდა როგორც ქალაქში, ისე სპარსეთში და თურქეთში; საეკლესიო გლეხები: დავით ხარაზიშვილი, რომელიც „ფართლეულით ბითუმად ვაჭრობდა სპარსეთში“, გიკო ერემსაშვილი: „დიდი ვაჭრობა აქვს სხვადასხვა ადგილებში“, სა-

---

[113] ე. ორჯონიკიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 136.
[114] ე. ორჯონიკიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 139.

ბატონო ყმა მოსე ძამურაშვილი, რომელიც ფართლეულით დიდ ვაჭრობას ეწეოდა ქუთაისში და ბევრი სხვა[115].

დაბოლოს, მოტანილი საბუთის მონაცემებში არ შეუტანიათ ვაჭრები, რომელთაც თავადაზნაურული წოდებები ჰქონდათ მოპოვებული. ესენი კი ჩვეულებრივ იყვნენ ის ტრიდიციული დიდვაჭრები, რომლებიც მეტად დიდ კაპიტალს განაგებდნენ. საქართველოში ბევრი შთამომავლობით თავადი თუ აზნაურიც ეწეოდა სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობას, მაგრამ ეს პროცესი შედარებით ახლად დაწყებული იყო, ხოლო ისეთ ვაჭართა გვარები, როგორებიც იყვნენ თუმანიშვილები, ბეგთაბეგიშვილები, ყორღანაშვილები, აბამელიქოვები და ბევრი სხვა, თავიანთი კაპიტალის დასაწყისს ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში და უფრო ადრეულ ხანაშიც ითვლიდნენ. აქ არ შეიძლება არ მოვიგონოთ ვაჭარი შიხნაშვილი, რომლის სიმდიდრე მარტო ძვირფასი თვლების სახით თითქმის შილიონს აღწევდა. 1806 წელს თავადმა ნ. ამილახვარმა აღძრა საქმე თ. აბამელიქოვზე (რომელიც უწინ აღა ტერ-შმოვანოვად იწოდებოდა), რომ მან ისპაჰანში გარდაცვლილი ივან ხან ამილახვაროვის მინდობილობით, რომელიც მომჩივანის მკვიდრი ძმა იყო. საამ შიხანაშვილისაგან 95 884 თუმანის ძვირფასეულობა მიიღო, რაც ადგილობრივი კურსით 1 677 970 მანეთს უდრის სპილენძით[116]. თუმანიშვილების, ბეგთაბეგიშვილების, ყორღანაშვილებისა და სხვათა სავაჭრო ოპერაციები გვაფიქრებინეს, რომ მათი კაპიტალი ასი ათასობით მანეთით განისაზღვრებოდა. თავისი უდიდესი სიმდიდრით ყურადღებას იპყრობს ვინმე მერაბ აღა რომელიც საგარეო ვაჭრობის დიდ კომპანიას მეთაურობს. 1811 წელს მოზდოკში ჩავიდა ქართველი აზნაური ზაქარია აკიმოვი, რომელსაც გარდა საქონლისა კაპიტალის სახით 1 000 ბაჯაღლო და 30 000 მან. ვერცხლით მიჰქონდა[117].

1812 წელს (გიორგი?) ნაზარბეგოვი ჩივის, რომ ანტონ კათალიკოსმა მას გაუგზავნა ვალი 30 000 მან. ხოლო შიოევმა არ ჩამოუტანა. მიუძღვის თუ არა ნამდვილად რაიმე დანაშაული შიოევს, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, რა დიდი შეძ-

---

115 სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 856, 858, 855, 800.

116 სცსია, ფ.2, აღწ. 1, საქმე 139, ფურც. 17.

117 იქვე, საქმე 285, ფურც. 479—480.

ლების კაცი უნდა ყოფილიყო მომჩივანი, რომ ერთ პირზე 30 000 მანეთი ჰქონდა გასესხებული[118].

1799 წ. 6 აპრილს გიორგი XII შემდეგი შინაარსის თამასუქს აძლევს იოანე ბეგთაბეგისშვილს: „ქ. ჩვენ მეფემ გიორგიმ, გიბოძეთ ეს წიგნი შენ, ბეგთაბეგისშვილს მდივანს იოანეს და შენს ძმისწულს სოლომონს, ასე რომ ჩვენ ჯარი მოვიყვანეთ ლეკისა და იმის მისაცემად დაგვჭირდა. შენ გამოგართვი ათასორასორმოცდაათი ბაჯაღლოს ოქრო და სამი ათასი ალტმიშლუღი. ეს ჩვენ დავხარჯეთ. იყავ. ამას შენ არ დაგიკარგავთ და საიდამც იქნება შეგისრულებთ...“[119].

დაბოლოს, საქართველოს ვაჭართა კლასი აღებული დროისათვის არასრული ცნობებით (ეს არასრულობა ძირითადად მაზრებს შეეხება) თითქმის 1500-მდე ოჯახს ითვლიდა. მართალია, თბილისის ვაჭრობა წამყვანი იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მოცემულ ხანებში გორელი, ქუთაისელი, სიღნაღელი თუ თელაველი ვაჭრები დიდ დამოუკიდებელ საგარეო ვაჭრობას ეწეოდნენ რუსეთში, სპარსეთში, თურქეთში თუ ევროპაში (ამაზე მომდევნო თავში გვექნება დაწვრილებით საუბარი). ცხადია, საამისოდ დიდი შეძლება და დიდი კაპიტალი იყო საჭირო, მაგალითად, გორელი ვაჭრები კიკოევები, ამირაგოვები, კოსოვები და ბევრი სხვა არც შეძლებით და არც კომერციის მასშტაბებით არ ჩამოუვარდებოდნენ თბილისელ წარჩინებულ ვაჭრებს.

1828 წელს ქართველმა ვაჭრებმა გერმანიაში 10 მილიონი მანეთის ღირებულების საქონელი შეისყიდეს[120]. მართალია შეღავათიანი ტრანზიტის პერიოდში ევროპასთან ვაჭრობა განსაკუთრებით გაცხოველებული იყო, მაგრამ მას არ შეუწყვეტია ქართველ ვაჭართა კომერციები რუსეთსა თუ აზიის ქვეყნებში. მნიშვნელოვანი კაპიტალი ტრაილდებოდა ქვეყნის შინაგაჭრობაში.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ XIX ს. პირველ მესამედში საქართველოს ვაჭართა კლასი საკმაოდ მნიშვნელოვან ფულად კაპიტალს ფლობდა.

რაც შეეხება წყაროების დაბეჯითებულ მითითებას ქართველ ვაჭართა კაპიტალის სიმცირის შესახებ, ამის ახსნა დიდ სიძნელეს

---

[118] სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 371, ფურც. 30.

[119] ნ. ბერძენიშვილი, მასალები ..., II, გვ. 139, № 191.

[120] Газ. «Тифлисские ведомости», 1828, № 18, 31.X.

არ წარმოადგენს: ვაჭრის ბუნება ისეთია, რომ იგი ჩვეულებრივ ცდილობს მიჩქმალოს თავისი შეძლება. ეს იმ ფეოდალური ვაჭრობის გადმონაშთია, როდესაც ვაჭრის პიროვნებისა და ქონების ხელშეუხებლობა მეტად შორს იყო სასურველისაგან. ქართველ ვაჭრებს კი თავიანთი კაპიტალის მიჩქმალვის მეტი სურვილი და საფუძველიც ჰქონდათ, რადგან ისინი ფეოდალური და ბატონყმური ურთიერთობის ჩარჩოებში მოღვაწეობდნენ. ქვეყნის პოლიტიკური სისუსტე, მისი დაქუცმაცებულობა განსახილველი პერიოდის წინახანებში და ნაწილობრივ განსახილველ პერიოდში, მთიელთა მძარცველური თავდასხმები და ბევრი სხვა ხიფათი მას კარნახობდა რაც შეიძლება ნაკლებად მოეხდინა მისი ქონების აფიშირება, თუ ამის აუცილებლობა არ იყო[121]. რადგან გილდიების არარსებობის პირობებში კაპიტალის საჯაროდ გამოცხადება არ იყო აუცილებელი, ბუნებრივია, ხელისუფლების წარმომადგენლებსაც კი უძნელდებოდათ ფაქტიური სურათის დადგენა. ცხადია, დიდი კომერცია, რომელსაც ესა თუ ის პიროვნება ახორციელებდა, ცხოვრების ყაიდა, რომელსაც მდიდარი ვაჭრები ეწეოდნენ და ბევრი სხვა, მათ შეძლებულობას ვერ დამალავდა, მაგრამ მათი ფაქტიური კაპიტალი თანამედროვეებს შეეძლოთ მხოლოდ ევარაუდათ[122]. ამიტომაც კამერალურ აღწერებში, თუ სხვა სახის საბუთებში რომლებიც კი ჩვენ ხელთ გვაქვს, ვაჭართა ქონებრივი მდგომარეობა განისაზღვრება მათი უძრავ-მოძრავი ქონების ჩვენებით: სახლების რაოდენობა ბაღების რაოდენობა და ცხოვრების დონით, ვთქვათ, „ცხოვრობს კარგად", „ცხოვრობს საშუალოდ", „ცხოვრობს ძალიან კარგად" და ა. შ.

---

[121] ეს აზრი გამოსკვევის მოქალაქისა და საეარაუდოა ვაჭრობასთან დაახლოებული პირის, ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის (XVII ს. მიწურული) შეგონებაში: „მისთვის ნათქვამია ფილოსოფოსთაგან საქონელი მიფარვით შენახული სჯობსო...". საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 374.

[122] მეტად საინტერესო ფაქტია: 1799 წელს გიორგი XII-მ თუმანიშვილების სახლს რაღაც ორგულობა ადასწამა, აიკლო და 2000 თუმანი თეთრი დააწერა. თუმანიშვილების სახლის დიდი შეძლება ჩვენთვის არაერთი საბუთით კარგადაა ცნობილი. ცხადია კარგად იყო ცნობილი გიორგი მეფისთვისაც. სწორედ ამს საფუძველზე შეაწერეს მათ ასეთი დიდი გამოსაღები, რაც სულაც არ იყო მათთვის შეუძლებელი რამ. მიუხედავად ამისა თუმანიშვილებმა თავის მოსაწყენებითა და სხვა ზომებით მოახერხეს ეს თანხა 600 თუმნამდე დაეყვანათ. ამის შემდეგ მთელი ეს თანხა სხვადასხვა პირებისაგან ისესხეს, რაზედაც სპეციალური საბუთებიც შეადგინეს და ისე გადასცეს ხაზინას. მთელი ეს მაქინაციები მათ იმისთვის დასჭირდათ, რათა თავიანთი სიმდიდრის აფიშირება არ მოეხდინათ (მასალები..., II, გვ. 142—147, № 197, 198).

ზოგჯერ მოცემულია იმ გადასახადების ოდენობა, რომელსაც ესა თუ ის ვაჭარი თავის საზოგადოებაში იხდის, კაპიტალზე კი არსად არაფერია ნათქვამი. მაგალითად, გორის მაზრის სახაზინო გლეხების 1818 წლის აღწერაში 30 ვაჭარს აქვს ცხოვრების დონის აღნიშვნა. აქედან მდიდარია (избыточное состояние) — 12, კარგად ცხოვრობს — 11, საშუალოდ (порядочное состояние)—6, ღარიბია—1.

ვაჭართა ქონებრივი დიფერენციაციის შესახებ გარკვეული წარმოდგენა შეიძლება შეგვექმნეს იმ გადასახადების ოდენობის მიხედვითაც, რომელსაც ვაჭრები ხაზინის სასარგებლოდ იხდიდნენ. ამგვარ მონაცემებს ასე თუ ისე სისტემატური სახით შეიცავს თბილისის 1834 წლის აღწერები. აღწერები ცალ-ცალკეა შედგენილი მოსახლეობის სოციალური კატეგორიების მიხედვით: 1. მოქალაქეები; 2. ახლად დასახლებული მოქალაქეები; 3. სახაზინო გლეხები; 4. საეკლესიო ელეხები; 5. საბატონო გლეხები. მაგრამ საეკლესიო და საბატონო გლეხების გადასახადების ოდენობა მითითებული არ არის, რადგან ისინი ეკლესიის და მებატონის სასარგებლოდ იხდიდნენ. ამდენად მათი მონაცემების გათვალისწინების საშუალება ჩვენ არ გვაქვს. მე-5 ცხრილში მოცემულია ვაჭრების ქონებრივი დიფერენციაცია მათი გადასახადების ოდენობის მიხედვით. ცხრილის პირველ გრაფაში მოთავსებულია ის ვაჭრები, რომლებიც არავითარ გადასახადს არ იხდიან სხვადასხვა მიზეზების (ძირითადად ეკონომიკური სისუსტის) გამო. მეორე გრაფაში კი შესულია დაუბეგრავი ვაჭრები. თარხნობა ვაჭართა ერთი ნაწილის პრივილეგია იყო ქართველ მეფეთა დროიდან მოკიდებული. ზოგიერთ ვაჭარს სახელმწიფოსა თუ სამეფო ოჯახის წინაშე გაწეული რაიმე მნიშვნელოვანი დამსახურებისათვის მეფე ანთავისუფლებდა გადასახადისაგან, ზოგჯერ კი შთამომავლობით ანიჭებდა ამგვარ პრივილეგიას. ამდენად ამ გრაფაში შესულნი უპირატესად განსაკუთრებით წარჩინებული (განსაკუთრებით დამსახურებული) ვაჭრები ან ამგვარი ვაჭრების შთამომავლები არიან. ამდენად უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი განსაკუთრებით დიდი კაპიტალის მფლობელები იყვნენ. მაგრამ, უვიცობის თუ უყურადღებობის გამო შემდგენელი ამ ორ გრაფას ხშირად ერთმანეთში ურევდა და რუბრიკის ქვეშ „არაფერს არ იხდის“ შეჰქონა დაუბეგრავი (პრივილეგირებული) ვაჭრები (პირიქით პროცესი არ დგინდება). ამიტომაა, რომ როგორც მე-5 ცხრილიდან ჩანს, ამ რუბრიკის ქვეშ ზოგიერთი

ბითუმად მოვაჭრეებიცაა შეტანილი. ყველა სახის ვაჭრები შეიძლება დიდი და მცირე კაპიტალითაც, მაგრამ ბითუმად ვაჭრობა კომერციის მასშტაბის განსაზღვრებაა და ამდენად, ამგვარ ვაჭრობას ეკონომიკურად შეუძლებელი კაცი ვერ ეწევა. ბითუმად მოვაჭრეები ჩვეულებრივად ძალიან მდიდრები იყვნენ.

აღნიშნული ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოს ვაჭრობაში როგორც რაოდენობრივად, ისე ქონებრივად გაბატონებული ადგილი ფართლეულით ვაჭრებს ეჭირა, ფართლეულის ვაჭრობაში მთელი ვაჭრული კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ჩართული.

თბილისის 1834 წლის კამერალური აღწერის მონაცემების შედარება მოქალაქეთა მდგომარეობის აღმნიშვნელ 1827 წლის სიასთან გვარწმუნებს, რომ ყველა ამ მონაცემს დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ვაჭართა გადასახადების ოდენობა მათი ქონებრივი შესაძლებლობის მიხედვით კი არ დგება, არამედ რაღაც სხვა ნიშნით (ცხადია, ჩვენ მხედველობაში გვაქვს არაპრივილეგირებული ვაჭრები). მაგალითად, ბევრი ვაჭარი, რომელიც 1827 წლის სიაში უმდიდრესადაა აღნიშნული, 1834 წელს ერთობ მცირე გადასახადს იხდის. მაგალითად ავეტიკ ბაბანოვს 1827 წლის ცნობით 50 000-ზე მეტი კაპიტალი ჰქონია, 1834 წელს კი 9 შან. 20 კაპიკს იხდის (ეს, როგორც ჩანს, საშუალო ვაჭრის გადასახადია თბილისში). ასევე 9 მან. 20 კაპიკს იხდიან ხარაზოვები, რომელთაც აგრეთვე 50 000-ზე მეტი კაპიტალი აქვთ აღნიშნული 1827 წელს; სოსია არუთინაშვილი 1827 წელს მეორე კატეგორიის ვაჭრებში შედიოდა (10-დან 50 000-მანეთამდე), 1834 წელს კი სულ 5 მანეთს იხდის. ამავე დროს 1834 წლის აღწერაში შეტანილი ბევრი, ვაჭარი, რომელიც 40 და 50 მანეთ გადასახადსაც კი იხდის, 1827 წლის მდიდარ ვაჭრებში საერთოდ არ არის მოხსენიებული. ჩვენ მხედველობაში ვიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ ორ საბუთს შორის, რომლებსაც ჩვენ ერთმანეთს ვადარებთ, განსხვავება დროში 7 წელია. ეს საკმაო დროა იმისათვის, რომ ვაჭარი გამდიდრდეს ან გაღარიბდეს კიდეც. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ამ 7 წლიდან 4—5 წელი შეღავათიანი ტრანზიტის პერიოდზე მოდის, როდესაც კაპიტალი განსაკუთრებით ფასობდა და ჩვეულებრივ ძალიან დიდ შემოსავალს იძლეოდა. ასე, რომ თუ რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა (უბედურება) არ მოხდა, თითქოს ვაჭრის დაცემა შეუძლებელი იყო. იმ შემთხვევაში თუ ვაჭარი

მაინც გაკოტრდა, იგი საერთოდ ამოღებული იქნებოდა გადასახადთა სიიდან, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა. მაგრამ ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი დიდი კაპიტალის მქონე ვაჭარი სა-

ცხრილი 5

თბილისს სხვადასხვა ვაჭრული ოჯახების (მოქალაქეები ახალდასახლებულები, სახაზინო გლეხები) ქონებრივი დიფერენციაცია გადასახადთა ოდენობის მიხედვით

ვაჭრობის სახე	არაფერს არ იხდის	ნაკლებად	1 მანეთამდე	1-3 მანეთამდე	3-5 მანეთამდე	5-10 მანეთამდე	10-25 მანეთამდე	25-50 მანეთამდე	50 მან. მეტი	სულ
ეწევა ვაჭრობას	13	6	1	9	9	11	16			
ვაჭრობს ბოთლად	2	1			1		7	1		
ცხოვრობს წვრილმანი ვაჭრობით	37	29	10	28	28	42	18			
ვაჭრობს ფართლით	1	26	2	11	10	60	64	41	4	
ვაჭრობს აბრეშუმის საქონლით	1	1		2	2	2	1			
ვაჭრობს ხალიჩებით		1								
ვაჭრობს სერსლითით	11	10		18	20	12				
ბაყალი	5	4	3	3	3	4	1			
თევზით	4	1	3		3					
თიხის ჭურჭლით				1			2			
ფქვილით	3	2	1	1	2	2	1			
თიკით	2		2	2	1	2				
სანთლებით	6	4				3				
მარკერტანტი	28	44	6	32	45	31	22			
მედუქნე		1					1			
მოიჯარე	2	1		1	1	7	2	1		
ზარათი	1	1			1	1	3			
პრიკაშჩიკი	4	4	5		4	3				
სასმელით	4	22	5	8	7	12	11			
სხვადასხვა	1	3	1	2		8				
	125	161	39	118	137	200	149	43	4	
მოქალაქე	24	48	21	46	28	105	108	38	4	422
ახლად დასახლებული	84	34	6	27	47	29	15	5		247
სახაზინო გლეხი	17	78	12	45	63	66	26			307
სულ	125	161	39	118	137	200	149	43	4	976

შუალო ვაჭრის დონეზე დავიდეს და ამან მაშინვე ასახვა პოვოს გადასახადების ცხრილში. ეს ცხრილები ხომ ჩვეულებრივ 4 წელიწადში ერთხელ დგებოდა. ასე თუ ისე, ერთი აშკარაა, რომ ვაჭართა კაპიტალის განსაზღვრისას იმ მონაცემებს, რომელსაც ჩვენ

და ჩვენი წინამორბედი ავტორები იყენებენ, მხოლოდ პირობითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს და იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოგვცემს ამ კაპიტალის მიახლოებით ზუსტად განსაზღვრის საშუალებასაც კი. ასეთ ვითარებაში წარმოდგენა ქართველი ვაჭრების კაპიტალზე მხოლოდ იმ კომერციების საშუალებით შეიძლება, შეგვექმნას, რომლებსაც ისინი განსახილველ თუ მის წინა ხანებში ეწეოდნენ. აქეე უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც წყაროების, ისე ზოგიერთი ავტორის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს ქართველი ვაჭრები დიდ კომერციებს ერთობ უმნიშვნელო კაპიტალით აწარმოებდნენ ჩვენ არასწორად გვეჩვენება. მიუთითებენ იმაზე, რომ ქართველ ვაჭრებს ნისიად მოჰქონდათ საქონელი როგორც რუსეთის, ისე ევროპის ბაზრობებიდან (მოსკოვის, ნიჟეგოროდის, ლაიფციგის). მაგრამ მხედველობიდან რჩებათ ის გარემოება, რომ ნისიად ვაჭრობა, როცა ქაღალდის ფული საქართველოში ჯერ კიდევ ნაკლებად იყო ბრუნვაში, ხოლო ლითონის ფულის იქით-აქეთ ტარება დიდ ხარჯებს მოითხოვდა და ბევრ საფრთხესთან იყო დაკავშირებული, მეტად აადვილებდა ვაჭრობის საქმეს. ამდენად, ნისიად ვაჭრობის ფაქტი კაპიტალის სიმცირის ნიშნად არ გამოდგება მით უმეტეს, რომ ყოველგვარი სანიაო გარიგება ჯენტლემენურ ნდობაზე და პატიოსან სიტყვაზე როდი იყო დამყარებული. ვაჭარს ნისია რომ მიეღო, ამისათვის მას შესაბამისი გარანტიების საშუალება უნდა ჰქონოდა კაპიტალისა თუ უძრავ-მოძრავი ქონების სახით. უამისოდ ცხადია, მას არავინ ენდობოდა. შესაბამისი გარანტიებისა და თამასუქების გარეშე ასიათასობით მანეთის საქონელს ვინ გამოატანდა ევროპიდან, როცა თბილისშიც კი ადგილობრივი ხელისუფლება საპნისა და თევზის იჯარას არ აძლევდა თბილისისვე მკვიდრს, სანამ იგი წინასწარ არ შეიტანდა შესაბამის თანხას, ან იჯარის ფასის უზრუნველსაყოფად უძრავ-მოძრავ ქონებას არ წარადგენდა.

ქართველი ვაჭრების კომერციის მასშტაბებზე საგარეო ვაჭრობაში მომდევნო თავში გვექნება საუბარი. აქ კი სხვა რამეს გვინდა გავუსვათ ხაზი: რასაკვირველია, ქართველ ვაჭართა მნიშვნელოვანი ნაწილი მეტად უსუსურ კაპიტალს ფლობდა. სხვანაირად შეუძლებელი იყო. ვაჭრობის არნახული განვითარების პირობებში, როდესაც კომერციაში ებმებიან საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები, როდესაც ფანტასტიკურად იზრდება ვაჭართა რიცხობრივი შემადგენლობა, მისი გარკვეული ნაწილი მცირე კა-

პიტალიანია. მოვაჭრემ კაპიტალი ვაჭრობაში უნდა დააგროვოს. ხოლო კომერციაში ჩაბმული კაცის სოციალური მდგომარეობა განისაზღვრება არა იმით, თუ რამდენ კაპიტალს ფლობს იგი (კაპიტალის ოდენობა განსაზღვრავს ხარისხს), არამედ იმით, თუ რა არის მისი ძირითადი საქმიანობა, რით ირჩენს თავს, რით არჩენს ოჯახს და იხდის ვალდებულებებს. მაგრამ ვაჭრობაში კაპიტალის თანდათანობით დაგროვება მეტად ხანგრძლივი და რთული პროცესია. ეს პროცესი ბრწყინვალედ აღწერა ლ. არდაზიანმა. სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილს ათობით წელი დასჭირდა, რათა თავისი მილიონისათვის მოეყარა თავი. მაგრამ არსებობდა უფრო მოკლე და, თუ შეიძლება ასე ითქვას, პროგრესული გზა. ეს იყო კრედიტი და სავაჭრო ამხანაგობები. ამიტომ ამ საკითხზე ყურადღების შეჩერება ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

7. კრედიტი და სავაჭრო ამხანაგობები

საქართველოში სავახშო კაპიტალის როლისა და მნიშვნელობის დაწვრილებითი დახასიათება სცილდება ჩვენი საკვლევი თემის ფარგლებს. ამ საკითხზე ჩვენს ლიტერატურაში არაერთი ნაშრომი არსებობს[123]. ჩვენ მხოლოდ ზოგადად გვინდა აღვნიშნოთ რამდენიმე მომენტი, რომელიც სავახშო კაპიტალს სავაჭრო კაპიტალთან აკავშირებს. სავახშო კაპიტალს ჩვენში დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგრამ როგორც განსახილველი ხანის საბუთებზე დაკვირვებიდან ვრწმუნდებით, სავახშო კაპიტალი მისი ტრადიციული შუასაუკუნოებრივი სახით ჩვენს პირობებში საკმაოდ იშვიათი მოვლენა ყოფილა.

XIX ს-ის პირველი მესამედის კამერალური აღწერების მასალებში პირდაპირი მითითება მევახშეზე, როგორც სპეციალობაზე (ძირითად საქმიანობაზე) არ არის. მაგრამ გვხვდება კატეგორია ოჯახებისა, რომლებიც „თავს ირჩენენ თავიანთი კაპიტალით“ რა-

---

[123] ვ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801—1864), თბ., 1975; А. П а н ц х а в а, Вопросы аграрной истории Грузии первой половины XIX в. Тб., 1973; З. В. А н ч а б а д з е, Очерки экономической истории Грузии первой половины XIX в., Тб., 1966; ნ. ქ ო ი ა ვ ა, ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, 1963, დ. უჩანეიშვილი, დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის თბ., 1967, და სხვ.

შიც, ბუნებრივია, კაპიტალის პროცენტი, ე. ი. მისი გასესხების შედეგად მიღებული შემოსავალი იგულისხმება. შაგრამ ნიშანდობლივია, რომ ამგვარ ოჯახებში ჩვეულებრივ შრომისუნარიანი მამაკაცები არ არიან.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ფულის გასესხებით დაკავებული არიან უპირატესად ის პირები, რომლებთაც საკავშრო ოპერაციების წარმოების საშუალება არა აქვთ, ქვრივები, მოხუცები, უძლურები და ა. შ. მაგალითად, XVIII საუკუნეში მნიშვნელოვან თანხას ასესხებს შენაღარაანთ ესტატეს ჯალაბი მარეხა[124], გორჯასპი მდივნის ქალი მაია[125]. ბატონიშვილის გამდელი...[126] და სხვ. ამგვარ საქმიანობაში ხშირად ჩაბმული არიან ეკლესიის წარმომადგენლები და თვით ეკლესიაც. მთავარეპისკოპოს იუსტინეს 1814 წლისათვის პროცენტით გასესხებული ჰქონია 2731 თუმანი, 1800 წლისთვის ივანე ნაზირს ეკლესიის ემარეთა 419 თუმანი[127]. საკრედიტო ოპერაციებში ჩაბმული ჩანს სუფრაშნის ეკლესიის დეკანოზი მიღდისი ტერ-ნიკოლოზა[128] და სხვ. თუ რამდენად დახელოვნებული იყო ეკლესია ამგვარ ოპერაციებში, იქიდან ჩანს, რომ, როგორც ირკვევა, არსებობდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც მლოცველები ფულს წინასწარგანზრახვით წირავდნენ, რათა ეკლესიას იგი გაესესხებია როგორც ძირითადი კაპიტალი, ხოლო სარგებელი შემწირავის სურვილის მიხედვით დაეხარჯა[129].

---

[124] დ. უ ჩ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, თბ., 1967, გვ. 57, № 47.

[125] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები..., II, გვ. 104, №157, გვ. 107, №161.

[126] იქვე, გვ. 48, № 47.

[127] დ. უ ჩ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

[128] იქვე, სად. 117.

[129] ამის მაგალითია შეწირულების წიგნი, რომელსაც იოანე ბუკუაშვილი და მისი მეუღლე გაბაშვილის ასული ნინო შიმღვიმის მონასტერს აძლევენ „... მე, მონამან და მსასოებელმან შენმან ბუკუაშვილმა იოანემ და მეუღლემან ჩემმან დავით გაბაშვილის ასულმან ნინომ, შემოგწირეთ ათი თუმანი თეთრი, რათა წლითი-წლად სარგებლობდეს თუმანი თვეში ორშაურად, ვინაიდგან უმეტეს განვახშება არა ჯერ იყო. ათის თუმნისა მის სარგებელი იქნების ხუთი აბაზი და, ვინაიდან თვე ოთხი კვირა არის ეს ხუთი აბაზიცა ოთხად განიყოს, რომლისა მეოთხედი იქნების ხუთი შაური.

ხუთშაბათს დღეს ვინც მწირველი იყოს, რომელიც არს ზემო ეკლესია დიდი ღმთისმშობლის მიცვალებისა იქ იწირვიდეს და ამას მიერთმეოდეს ერთი შაური სანთლის-საკმლის ფასად და ერთი აბაზი საწირავად და ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად... ჰსწირვიდეს მის ხუთშაბათს მწირველი და ეგრეთვე მეორესა და მესამესა და მეოთხე

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარად ჩანს, რომ სავაჭრო კაპიტალი განსახილველი პერიოდის საქართველოში უმეტეს შემთხვევაში არ გამოდის წმინდა სახით. მხოლოდ სავაჭრო ოპერაციებს კაპიტალს მფლობელთა ის ნაწილი მისდევს, რომელსაც სხვადასხვა მიზეზების გამო ფართო სავაჭრო ოპერაციებში ჩაბმის საშუალება არა აქვს.

განსახილველ ხანაში საქართველოში ადგილი აქვს სესხის პროცენტის მატებას, თუმცა ამავე დროს იზრდება გასასესხებლად თანხის ოდენობაც[130]. ეს ფაქტი ვაჭრობის განვითარებით და ამ საქმეში ახალი ძალების ჩაბმის პროცესით იყო განპირობებული.

საგარეო და საშინაო ვაჭრობის გაფართოება, მაღალი მოგების მიღების შეუძლებლობას სახავდა. XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში კაპიტალის დაბანდების მრავალი ახალი სფერო ჩნდება სახაზინო მშენებლობების, ჯარის ნაწილების მომარაგების, საქონლის გადაზიდვის და სხვ. სახით. ყველაფერი ეს კაპიტალის გაძვირებას იწვევდა, რაც კრედიტზე მოთხოვნილების ზრდით იყო განპირობებული. კრედიტორისათვის, რომელიც ხშირად თვითონ იყო ვაჭარი და მოიჯარე (ყოველ შემთხვევაში ყოფილი ვაჭარი, მოიჯარე ან მათი მემკვიდრე) კარგად იყო ცნობილი სავაჭრო საიჯარო საქმეში კაპიტალის დაბანდების მაღალი სარგებლიანობა. ყველაფერი ეს სარგებლის ნორმის მატებას იწვევდა. ამდენად „მოგების ნორმა არეგულირებდა სარგებლის ნორმას“ წინააღმდეგ შუასაუკუნეობრივი კრედიტისა, როცა პირიქით „სარგებლის ნორმა არეგულირებდა მოგების ნორმას“ (ფ. ენგელსი).

იმ მრავალრიცხოვან გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ სიბუთეებში სავაჭრო ოპერაციებს რომ შეეხება, მხოლოდ იშვიათადაა მითითებული, თუ რა დანიშნულებისათვისაა სესხი აღებული. მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის ვიგულისხმოთ, რომ XIX საუკუნის პირველ მესამედში გასესხებული კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი (თუ უპირატესი არა) ვაჭრებზე იყო გაცემული, რასაც არაერთი საბუთი ადასტურებს: „ქ. ავიღე მე, ტერ შმოვნაანთ ოპანეზას შვილმა აღამ, შენ ნაზარბეგისშვილი ბატონი გიორგისავან,

---

სა კვირიაკესა, ხოლო თეთრი იგი ათი თუმანი ნურცა წარეგების სხვად რადმე, რათ არ განწყდეს წირვაცა ჩემთვის...“ და სხვ. დ. უჩანეიშვილი დასახ. პუბლიკაცია გვ. 156.

[130] დ. უ ჩ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10—11.

ასი თუმანი ერევნის საღი თეთრი, ათი დანა ალთმიშლული ერთ თუმნათ, რომ იქს ნახევარი (50 თუმანი) ამდენი. ღვთით, ამ ქვემო თარიღიდამ რაც ხანს ჩემს ხელთ დაჰყოს, თვეში თუმნის თავს თვრამეტი ფული სარგებელი მოგცე. როცა შენი ზემო მაბლალი მოინდომო თავისი გავლილი სარგებლით ბეჰუზურად მოგართო.

დაიწერა ერევანს მარტის გასულს ქკ-ს უოა"...[131] და სხვ. ოპერაციაში მონაწილე ორივე პირი აშკარად ვაჭარია. სესხის გაცემა ხდება ერევანში სადაც მსესხებელიც და კრედიტორებიც სავაჭროდ არიან ჩასულნი. ბუნებრივია, ამით იყო განპირობებული მაღალი პროცენტიც. გამსესხებელთა როლში ვხედავთ ისეთ ცნობილ ვაჭრებსა და საქმოსნებს როგორებიც იყვნენ: სოლომონ აბამელიქოვი[132], უთურა ყორღანოვი[133], სტეფანე ბასტამოვი[134] და ბევრი სხვა.

„ქ. ავიღე მე, ტერ-ანატურაშვილმა არაქელამ, შენ, თუმანიშვილის მდივნისა მანუჩარისაგან, ოთხმოცი თუმანი ქალაქის რიჯი სირმა ოთხ დანგიანი აბაზი, იქნება ამის ნახევარი (40 თუმანი) ამდენი წავიღო მე ეს თეთრი და როგორც ბეირათი ვნახო და ჭკვამ გამიჭრას, ჩემთვის ვამუშაო, რომ ამის ხეირში და ზიანში შენ საქმე არ გქონდეს. ზიანი და სარგებელი ორთავე ჩემი არის. და ამ ქვემო თარიღიდამ ამ შენმა ოთხმოცმა თუმანმა რაც ჩემს ხელთ დაჰყოს წელიწადში ათი თორმეტნახევრად გაურჯელად მოგცე"[135]. ვაჭრებზე ფულის გასესხების არაერთი ფაქტი დასტურდება იმერეთშიც: „აიღე მე ოცხელმა ვართანაშვილმა შატანჯანამა თქვენ ხაუშარანთ ვართანის შვილი დავითისაგან შვიდი თუმანი ქალაქის ფული რომ ამის ნახევარი იქს სამ თუმანს და ხუთ მინალთუნს. ამ ქვემო თარიღიდან ერთი წელიწადი ვადა. ვადაზე შენი ფული ქუთაისს მოგაბარო. თუ შენი სანათა გამოგიგზავნო ვადას უკან შენი ფული იმას მივაბარო შენს თეთრს როდესაც მოიკითხავ შენი თეთრი ულაპარაკოდ მოგებარება. ეს მე შატანჯანს დამიწერია და ჩემი ყაბული არის"[136] და სხვ.

როგორც ვხედავთ, ყველა განხილულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა სავახშო კაპიტალთან არამედ ფულის გასესხების პროგ-

---

131 ნ. ბერძენიშვილი, მასალები..., ტ. II, გვ. 58, № 90.
132 დ. უჩანეიშვილი, დოკუმენტები... გვ. 174, № 195.
133 ნ. ბერძენიშვილი, მასალები... ტ. II, გვ. 62, № 96.
134 იქვე, გვ. 114, № 158.
135 იქვე, გვ. 58, № 91.
136 სცსია, ფ. 16, საქმე 905, ფურც. 11.

რესულ ფორმასთან—კრედიტთან, რომელსაც ერთობ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა ვაჭრობის განვითარებაში და კერძოდ ერთიანი ქართული საშინაო ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში თანდათანობით დამკვიდრებას იწყებს კრედიტის სხვა ფორმაც, როცა გამსესხებელი სარგებლის სახით იღებს, არა გასესხებული თანხის პროცენტს, არამედ მოგების ნაწილს, ე. ი. ფაქტიურად იგი ვაჭრის კომპანიონი ხდება: „ღვთის წინაშე ნაზარასთვინ შიმიცია თორმეტი თუმანი და ნახევარი. თავნი ჩემი იყო და რაც სარგებელი მოგვსვლოდა ნახევარი ჩემი იყო და ნახევარი ომისი იყო...“[137] — წერს თავის ანდერძში მენალარიანთ ეუტატეს ჯალაბი მარეხა. „ავიღე მე, ალელმა ასატურასშვილმა პოლოსამა, თქვენ, ბატონის ჩემის გორჯასპის შდივნისაგან, ერთი თუმანი ახალი თეთრი, რომ იქს ამის ნახევარი ჭ (5 მინალთუნი) ამასა, ამა პირობით, რომ ეს თეთრი მე თავნათ დავიჭირო და აღებ-მიცემობაში ვამუშაო და რაც ღმერთმა მომცეს ხეირი თუ შარი, თავნი ხომ თქვენ უნდა მოგაბარო და მონაგებისა ხეირი და შარი ორივესი უნდა იყოს“[138]. მოტანილი საბუთები XVIII საუკუნის მეორე ნახევრისაა. ქვემომოტანილი მოგვიანებითი ხანის (XIX ს. 40-იანი წლების) საბუთი კარგად ახასიათებს აღნიშნულ მოვლენას: „წელსა 1846-სა ოქტომბრის 4-სა დღეს... ესე ხელშეკრულებისა და პირობითი წერილი დავდევით ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერთა, სახელდობრ კნიაზ მალხაზ თუმანოვმა და გორის ქალაქის მცხოვრებელთა, იაკობ ფირაგოვმა და იაკობ ხითაროვმა, ასე რომ — პირველად კნიაზ მალხაზ თუმანოვისაგან მივიღეთ ჩვენ ორთა ამხანაგთა — ასორმოცდაათი თუმანი, ესე იგი ათასხუთასი მანეთი თეთრი ფული და ეს ათასხუთასი მანეთი უნდა ვამუშაოთ ჩვენ და გავისარჯნეთ ერთგულათა და ვიეაჭრნეთ სადაც სჯობდეს და ხეირი იყოს და რაც ღმერთმა მოგება მოგვცეს, თავნი უნდა კნიაზ მალხაზ თუმანოვს მიეცეს თავისი და-მოგება ნახევარი თუმანოვისა უნდა იყოს, და ნახევარი ჩვენ ორი ამხანაგისა და აგრეთვე ღმერთმა ნუ ქნას შემთხვევა არის ზარალი მოგვცეს სიმარ-

---

[137] დ. უჩანეიშვილი, დოკუმენტები..., № 47.
[138] ნ. ბერძენიშვილი, მასალები..., II, გვ. 40, 61.

თლის ზარალშიც მოგების დაგვარ უნდა მო(გვიდ)გეს თუმანო-ეი"[139] და სხვ.

განსახილველ იხანის საქართველოს ვაჭრობისათვის დამახასიათებელია სავაჭრო ამხანაგობების სიმრავლე, რაც ვაჭრობაში ახლად ჩაბმულ პირთა ეკონომიკური სისუსტით და მსხვილი ვაჭარ-კაპიტალისტთა სხვადასხვა დარგის ვაჭრობასა, საიჯარო თუ სხვა საქმეში კაპიტალის განაწილების მისწრაფებით იყო განპირობებული. ამხანაგობები შედგებოდნენ ორი და მეტი, ზოგჯერ ათეულამდე წევრისაგან. ყველა შემთხვევაში ამხანაგობის შიგნით წევრთა ურთიერთდამოკიდებულებას განსაზღვრავდა იმ კაპიტალისა და პირადი აქტივობის სიდიდე, რომელიც ცალკეულ წევრს შეეძლო გამოეჩინა. საბუთები ჩვეულებრივ არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ვიმსჯელოთ ამხანაგობებში ცალკეული წევრების მონაწილეობის ხარისხზე. მაგრამ, როგორც ჩანს, ამხანაგობებს ჩვეულებრივად ჰყავდათ მეთაური, რომელიც ამ ამხანაგობის ორგანიზატორი და ძირითადი კრედიტორიც იყო და რიგითი წევრები. საბუთებში უმრავლეს შემთხვევაში სწორედ ამხანაგობის მეთაური მოსჩანს. მაგალითად, 1811 წლის მარტში მოზდოკში სავაჭროდ ჩადის „საქართველოდან თბილისელი სომეხი არუთინ ხაჩატუროვი ერთი ამხანაგით"[140]. ამავე წლის მაისში კი ჩადის საქონელი, რომელიც ეკუთვნის „თბილისის მოქალაქეს იოსებ ყუზანოვს და მის 3 ამხანაგს"[141]. ვინ არიან ეს ამხანაგები უცნობია. 1813 წელს ერევანში სავაჭროდ წასულთა შორის აღნიშნულია კაპარ ზურაბოვი და მისი ამხანაგი პეტრუზ კარაგულოვი, ასატურ როსტომოვი და მისი ამხანაგები სტეფანე როფელოვი და ზახარ თომაევი[142]; თბილისელი მოქალაქეები: გოგი შაბუდაგოვი ამხანაგით ავეტიკ ხარაზოვით, დარჩია ალავერდოვი ამხანაგით მანუკ აბნაზაროვით[143] და ბევრი სხვა. ყველა ჩამოთვლილ და აუარებელ სხვა მასალაში, რომლის მოტანასაც ჩვენ აქ ზედმეტად მივიჩნევთ, აშკარაა, რომ კომპანიონთაგან ერთი მეთაურია, მეორე (ან სხვები) მისი ამხანაგი. ამიტომ როცა ისინი ცალკე მოიხსენიებიან, მოიხსენიებიან როგორც ამა თუ იმ კომპანიის მეთაურის „ამხანაგი". რომ ამხანაგი ნამდვილად კომპანიონია (თუმცა დაქვემდებარებული), იქიდან ჩანს, რომ გარი-

---

139 სცსია, ფ. 86, აღწ. 1, საქმე 299, ფურც. 7.

140 იქვე, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 285, ფურც. 444- 445.

141 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 416, ფურც. 1.

142 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 216, ფურც. 31.

143 იქვე.

გებაზე თუ სხვა კონტრაქტებზე ისინი ხელს აწერენ და პასუხისმგებლობას კისრულობენ. ხშირად საბუთებში არ არის მითითებული, რომ ორი ან მეტი კომპანიონიდან, რომელიმე მთავარია. საბუთებში ისინი თანაბრად იხსენიებიან. ასეთ შემთხვევაშიც საქმეში მათი თანაბარი ეკონომიკური მონაწილეობა აუცილებელი არ არის, ცხადია, არათანაბარი იქნება მოგების განაწილებაც. „ქ. ავიღეთ ჩვენ, ორთავ ამხანაგმა მიღდისი რევაზამ და ავეტიკასშვილმა ბეჟანამ. თქვენ მდივანი მანუჩარისაგან, თორმეტი თუმანი ახალი ზარაფხანის ოთხდანგიანი სირმა აბაზი...“ და სხვ. თითქოს სესხის აღება თანაბარ პირობებში ხდება, მაგრამ როგორც საბუთის შემდეგი შინაარსიდან ირკვევა, აღნიშნული სესხიდან 1/3 მიღდისი რევაზას წილია, 2/3 კი (8 თუმანი) ავეტიკასშვილი ბეჟანასი[144].

ამგვარსავე ვითარებას ვხედავთ ქუთაისელი ვაჭრების ხეჩინაშვილი სიმონას, და აბრამა ენოქაშვილის ამხანაგობაშიც: „ქ. ღვთით ეს ყაბზი დავაწერინე მე, ოცხელმა დავითამა და მოგეცი შენ, ხეჩინაშვილს სიმონს, ამ ჯაათზე რომ შენი და აბრამა ენუქაშვილის თამასუქი მაქვს ხუთას ორმოცი ძველი მარჩილის. იმ თამასუქის თეთრიდამ შენ და აბრამა გაიყარეთ და შენ ორასი ყურუში დაგედვა და ეს ორასი ყურუში შენგან ავიღე და სხვაში აბრამამ შემიჯერია და თამასუქის ბათლამათ შენ(თვის) კერძოთ ეს ყაბზი მომიცია, რომ შენთან საქმე აღარა მაქვს იმ თამასუქის თეთრი.

აღიწერა ქუთაის(ს), ქკონს 1801 მარტის 30...“[145]. როგორც ვხედავთ, ორმა ამხანაგმა გაყრის შემდეგ ანგარიში რომ გაასწორეს, ერთს გაცილებით მეტი დარჩა კრედიტორის გადასახდელი, ვიდრე მეორეს.

ამხანაგობა შეიძლება გამოდიოდეს როგორც კრედიტორი, ისე მსესხებელიც: „ქ. ავიღეთ ჩვენ, ორმა ამხანაგებმა, ფირალა(ან)თ ნიკომ და უდელებიანთ ნიკომ თქვენ ორი აფხანაკისაგან, ფირალა(ან)თ მელქოსაგან და თოქმაჯი გრიგორასშვილი სტეფანჯასაგან, ათას ოთხას ოთხოცი ყურუში ოსმანლუს საღი თეთრი... ქვემო თარიღიდამ ერთი თვის ვადით...“[146] და სხვ.

---

144 სცსია, ფ. 2. აღ. I, საქმე 216, ფურც. 31.

145 დ. უ ჩ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები..., გვ. 144, № 157.

146 იქვე, გვ. 125, № 134.

ამრიგად, ამხანაგობების სიმრავლის ერთ-ერთი მიზეზი დამწყებ ვაჭართა შორის კაპიტალის სიმცირე იყო. მეორე და შეიძლება ძირითადი მიზეზი კი იყო ვაჭრობაში ჩაბმულ პირთა მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაცია.

საქართველოში კაპიტალის დაბანდების არაერთი საშუალება (სფერო) არსებობდა. ეს იყო საგარეო ვაჭრობა, საშინაო ვაჭრობა, იჯარა შესყიდვა, სამშენებლო იჯარა და ა. შ. დიდი კაპიტალის მქონე ვაჭარი ცდილობს თავისი კაპიტალი რამდენიმე საქმეში დაბანდოს, რათა მეტი და გარანტირებული მოგება ნახოს. 1812—1813 წლებში მიხეილ ზუბალაშვილს სტეფანე ანტონოვთან ერთად იჯარით ჰქონდა აღებული გორის სამღებრო[147]. ამავე დროს იგი ფართო საგარეო ვაჭრობას ეწევა, დადის სავაჭროდ ერევანში და ა. შ.[148]. 1806—1812 წლებში მირიმან მირიმანოვი ერთდროულად მოჩანს როგორც ვაჭარი, მოიჯარე და მევახშე. 1806 — 1812 წლებში მას იჯარით აქვს აღებული: ცხინვალის სამღებრო[149], გორის სამღებრო და ბეჭედი[150], კათალიკოსის სარგოს იჯარა[151], საეკლესიო სამღებრო, თბილისის ზეთსახდელი[152]. ამავე დროს ფულს ასესხებს კახეთში[153], ხოლო კამერალურ აღწერაში მოხსენიებულია, როგორც დიდვაჭარი[154]. ამდენი საქმის ერთდროულად გაძღოლა მას, ცხადია, დამოუკიდებლად არ შეეძლო, საქმის გასაძღოლად მას დიდი შტატი დასჭირდებოდა. იჯარა მოსაკრები ხომ შეტად შრომატევადი საქმე იყო. მაგრამ შტატს შესაბამისი მეთაურები სანდო კაცები უნდა ჩადგომოდნენ სათავეში. ამიტომ, მისთვის უფრო ხელსაყრელი იყო მოგებაში წილის მიცემით შეეამხანაგებია შედარებით ნაკლები კაპიტალის მქონე ენერგიული საქმოსნები, რომლებსაც ცალ-ცალკე მიანდობდა საქმეს, თვითონ კი დაფინანსებით და საერთო ხელმძღვანელობით შემოიფარგლებოდა. მართლაც, 1821 წელს იგი კომპანიასთან (ამხანაგობას-

---

147 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 327, ფურც. 158—303.

148 იქვე, საქმე 416, ფურც. 49.

149 იქვე, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 220.

150 იქვე, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 152, ფურც. 358; იქვე, საქ. 132, ფურც. 528; იქვე, საქმე 355, ფურც. 194.

151 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 327, ფურც. 358; იქვე, საქ. 132, ფურც. 528; იქვე, საქმე 355, ფონდი 2, საქ. 211.

152 იქვე, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 257, ფურც. 847.

153 იქვე, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 371, ფურც. 104.

154 იქვე, ფურც. 873.

თან) ერთად იღებს ბოლნისის სამღებროებს. მასთან ერთად საქმეში მონაწილეობენ აღა გურგინბეკოვი და იოსებ ტერსტეფანოვ-არარატსკი[155]. როგორც საქმის შინაარსიდან ირკვევა, მირიმანოვი და გურგინბეკოვი დამფინანსებლები არიან, საქმეს კი უშუალოდ უკანასკნელი, ტერ-სტეფანოვი განაგებს. 1825 წლიდან კი მირიმან მირიმანოვი იღებს ბორჩალოს სამღებროების იჯარას, ახლა უკვე სხვა ამხანაგობასთან ერთად (ოსეპ კასლენოვი და ზაქარია გულასპოვი)[156]. უფრო ადრე 1816 წელს მირიმან მირიმანოვი ამხანაგთან იოსებ მურადოვთან ერთად გორის სამღებროსა და საბეჭდავის მუხლების მოიჯარეა[157]. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამგვარ ამხანაგობასთან გვაქვს საქმე მანუჩარ მდივანსა და ვინმე მელიქის-შვილს შორის, სადაც მანუჩარი კრედიტორის როლში გამოდის:" ქ. მე, მელიქის-შვილმა, შენ მანუჩარ მდივანთან ანგარიში ვნახეთ: ქკ. ს უოთ-ქკ.ს უპა, ამ ორი წლის რასაც მოსაცემს ვიყავ და რაც დაგეხარჯა, ერთმანეთში გავედით და გამოვედით, დარჩა შენი ჩემზე ჩვიდმეტი თუმანი და რვა-აბაზ უზალთუნი"... და სხვ. — წერს აღნიშნული მელიქიშვილი 1794 წლის 2 მაისს[158].

საავჭრო ამხანაგობები შრომის ორგანიზაციის მეტად ხელსაყრელი ფორმა იყო იმ ფართო საგარეო ვაჭრობის პირობებში, რომელსაც საქართველო თუ ქართველი ვაჭრები განსახილველ ხანებში ეწეოდნენ. მანძილის სიშორე, თავდასხმების საშიშროება და, რაც მთავარია, ზედმეტი მოგების სურვილი, რაც საქონლის სწრაფი გადაზიდვით, ფულის სწრაფი დაბრუნებით იქნებოდა უზრუნველყოფილი, ქართველ ვაჭრებს კარნახობდნენ ეფიქრათ შრომის რაციონალიზაციაზე. ამიტომ საბუთებში ხშირად შეხვდებით ცნობებს იმის შესახებ, რომ ერთი ამხანაგი საქართველოს გარეთ რომელიმე საავჭრო პუნქტში მოღვაწეობს, ხოლო მეორე ამხანაგი — ადგილზე და აქედან ამარაგებს საქონლით, თუ სხვა საჭირო ნივთებით. მაგალითად, 1825 წელს სტეფანე ქეფინოვი სახაზინო ექსპედიციაში ითხოვდა, რომ II გილდიის პასპორტი გაეგზავნათ მისი ამხანაგისათვის — გიგო ჯანეზოვისათვის, რომელიც შირვანში

---

155 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 1099, ფურც. 8—9; ფ. 254, აღწ. 1, საქ. 655, ფურც. 4.

156 სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 828, ფურც. 605—607.

157 იქვე, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 423, ფურც. 381.

158 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები..., წ. II, გვ. 108, № 162.

იყო სავაჭროდ[159]. სავაჭრო ამხანაგობები სავაჭრო საქმიანობაში ახალი ფენების ჩაბმის ეფექტური საშუალება იყო.

8. ვაჭრობის ორგანიზაცია

რაც უფრო ფართოვდება ბაზარი, მით უფრო დიდი კაპიტალის დაბანდების აუცილებლობას ითხოვს; გზის სიშორე, შესაბამისად კაპიტალის დაბრუნებისათვის საჭირო დროის ზრდა, გადაზიდვის მაღალი ხარჯები, მიმოსვლის ხარჯები, ყველაფერი ეს მხოლოდ დიდი ტრიალის შეშვეობით ანაზღაურდებოდა. ამიტომ საგარეო ვაჭრობაში ჩვეულებრივ ყველაზე შეძლებული და ყველაზე მოხერხებული ვაჭრები ებმებიან. შრომის ორგანიზაციის თვალსაზრისით ვაჭრობაში რამდენიმე ფორმა შეიმჩნეოდა.

პირველი და შედარებით მარტივი ფორმა იმაში მდგომარეობდა, რომ ვაჭარი შეიძენდა რა ადვილზე საქონელს, თვითონვე მიჰქონდა შორეულ ბაზარზე ქარავანთან ერთად, რომელსაც მასავით რამდენიმე (ზოგჯერ ათეულობით) ვაჭარი ადგენდა. მაგრამ ამგვარი ვაჭრობა დიდ დროსა და შესაბამისად კაპიტალის მნიშვნელოვან მოცდენას იწვევდა. საქართველოდან საბოლოო სავაჭრო პუნქტამდე ხშირად რამდენიმე კვირისა და თვის სავალიც კი იყო. ამას ემატებოდა საკარანტინო საგუშაგოებზე ხანგრძლივი იძულებითი შეჩერებები, აგრეთვე გზის საშიშროება, სხვადასხვა ბაზრებზე მოთხოვნილებისა და მიწოდების და შესაბამისად ფასების მერყეობაც და სხვა უხერხულობები. ამიტომ ვაჭრები ცდილობდნენ ვაჭრობა საქონლის მცირე პარტიებით, ერთგვარად დანაწევრებულად ეწარმოებინათ. მართალია, ეს საქმის რთულ ორგანიზაციასთან იყო დაკავშირებული მაგრამ როგორც ირკვევა ეს საკითხი გადაულახავი არ ყოფილა.

როგორც წინა პარაგრაფში აღინიშნა, სავაჭრო ამხანაგობები ამ საკითხის გადაჭრის ერთ-ერთი რენტაბელური ფორმა იყო. ამხანაგობის ცალკეული (ან ერთ-ერთი) წევრები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩერდებოდნენ ამა თუ იმ საგარეო სავაჭრო ცენტრში, ხოლო ამხანაგობის სხვა წევრები მათ ადგილიდან ამარაგებდნენ შესაფერისი საქონლით და იღებდნენ გამოგზავნილ საქონელს. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ვთქვათ თბილისელი და

---

[159] სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 869, ფურც. 369.

სხვა ქალაქელი ვაჭარი ერთმანეთში თანხმდებოდნენ საქონლის ურთიერთგაცვლის შესახებ და ერთმანეთს მოთხოვნილების მიხედვით უგზავნიდნენ ადგილობრივ ნაწარმს. მაგალითად 1811 წლის 11 ივლისს მოზდოკის კარანტინში შემოვიდა საქონლის დიდი პარტია, რომელიც თბილისელ ვაჭარს პავლე ივანიშვილს ეკუთვნოდა და რომელიც ოსმა თეოდორე ხაბალოვმა მოზდოკელ ვაჭარს სოლომონ ირეფუხოვს ჩამოუტანა[160].

სხვადასხვა საგაჭრო ცენტრებში საქონლის გადატანა კომერციის ცალკე დარგს შეადგენდა, რომელშიც არაერთი საკმაოდ შეძლებული საქმოსანი იყო დაკავებული. იმის გამო, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ერთ-ერთი ძირითადი მაგისტრალი ოსეთზე გადიოდა, მათ საგაჭრო ცენტრებს შორის საქონლის გადატანაში ბევრი ოსი იღებდა მონაწილეობას. გარდა ზევით დასახელებული თეოდორე ხაბალოვისა, საბუთებში ხშირად ხსენიება ოსი მაგმადა: 1804 წელს მას მოზდოკში ჩააქვს თბილისელი ვაჭრის იაგორ ბორისოვის საქონელი[161], 1805 წელს დავით სარაჯიშვილის საქონელი[162], 1806 წელს აკოპ ზურაბოვის საქონელი[163] და ა. შ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის კამერალურ აღწერებში გვხვდება კატეგორია ოჯახებისა რომლებიც „მეურმეებად" არიან მოხსენიებულნი, დასტურდება კატეგორია ოჯახებისა, რომლებიც „თავს ირჩენენ საქონლის გადაზიდვით". საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ პერიოდში ქვეყნის საშინაო ბაზრის გაფართოებისა და საერთო საიმპერიო საქონელბრუნვაში თანდათანობითი ჩაბმის შესაბამისად ამგვარი ოჯახების რაოდენობა სულ უფრო იზრდება.

საქონლის გადაზიდვა, როგორც შემოსავლის ძირითადი წყარო, განსაკუთრებით გავრცელებული იყო საგაჭრო მაგისტრალების ახლომდებარე სოფლებში. რუსეთ-საქართველოს საგაჭრო მაგისტრალზე ამ საქმეში აქტიურად ებმებოდნენ მთიულები, მოხევეები და ა. შ. დუშეთის მაზრის 1830—1831 წწ. კამერალური აღწერის მონაცემების მიხედვით 27 კომლი, რომელშიც 47 მო-

---

160 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 285, ფურც. 483—484. საქონელი ძირითადად ქსოვილებისა და ტყავებისაგან შედგებოდა. 217 თოფი შალი, 7 საბანი, 2 თოფი კოლენკორი, 1 თოფი ქირმანული შალი, 22 თოფი თავთა, 8 თოფი ბიაზი, 24 სხვადასხვა ტყავი და ა. შ.

161 სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 21, ფურც. 494.

162 იქვე, საქ. 95, ფურც. 387.

163 იქვე, საქ. 131, ფურც. 208—209.

წიფული მამაკაცი ითვლებოდა, მხოლოდ ამ საქმიანობით ირჩენდა თავს. ამას გარდა, 8 კომლის ზოგიერთ მოწიფულ წევრს მიწერილი აქვს, რომ იგი მხოლოდ ამ საქმიანობას ეწევა[164]. ცხადია, კიდევ უფრო მეტი იქნებოდა იმ კომლების რიცხვი, რომელთათვისაც ეს საქმიანობა დამატებითი შემოსავლის წყარო იყო. აღნიშნული საქმიანობის ხალხი ჩვენ სხვა მაზრების აღწერებშიც გვხვდება, მაგრამ მაგისტრალებზე ეს მოვლენა ერთგვარად მასობრივ ხასიათს იღებდა. მაგალითად მთიელების თუ მოხეველების აღწერებში აღნიშნულია, რომ საქონლის გადაზიდვა მცხოვრებთა შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო.

საქონლის გადაზიდვა ასევე შემოსავლიანი საქმე იყო ქვეყნის შინაგაჭრობაში სხვადასხვა ცენტრებს შორისაც. მაგალითად 30-იანი წლების ერთი საბუთის ცნობით „ერევანში, ქუთაისში და საქართველოს სხვა ქალაქებში საქონლის გადაზიდვას თბილისის მცხოვრებლები ეწევიან"[165]. როგორც ჩანს ამ საქმეში საკმაოდ შეძლებული ხალხი იყო ჩაბმული; მაგალითად, იმავე ავტორის ცნობით: „არიან მაცხოვრებლები, რომლებსაც 5—10 ურმის გამოყვანა შეუძლიათ". ურემში კი 2—3 წყვილი ხარი იყო შებმული[166].

საქონლის გადატანა იჯარის წესით ხორციელდებოდა, მოიჯარე იღებდა რა განსაზღვრულ ფასად საქონლის გადატანის საქმეს[167], თავის მხრივ ქირაობდა ურმებს, დაცვას და ა. შ.

ბუნებრივია, რომ ამ რთულ მაგრამ ერთობ მომგებიან საქმეში ბევრი ადგილობრივი საქმოსანიც მონაწილეობდა. 1812 წლის 8 მარტს მოზდოკში ჩამოვიდა საქონლის დიდი პარტია, რომელიც აბრეშუმის ყაჩისა და სხვადასხვა ტყავეულისაგან შედგებოდა. საქონელი ეკუთვნოდა დავით სარაჯიშვილს და მის ორ ამხანაგს, ხოლო ჩამოიტანა ავეტიკ შატინოვმა ორ ამხანაგთან ერთად[168]. იმავე წლის 4 მაისს თბილისის მცხოვრებმა იაგორ არუთინაშვილმა ჩამოიტანა დავით ირიცფუხის საქონელი (აბრეშუმი, 2 000 თოფამდე სხვადასხვა ქსოვილი, 2 000-ზე მეტი სხვადასხვა ბეწვეული

---

164 სცსია, საქ. 1250.

165 სცსია, ფ. 16, საქ. 5198, ფურც. 21.

166 იქვე.

167 ყოველი ფუთი საქონლის 100 ვერსზე გადატანა 15—20 კაპ. ჯდებოდა. საქონლის გადაზიდვამ, როგორც მოსახლეობის საქმიანობის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა დარგმა მთელი XIX საუკუნის მანძილზე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა; პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 113.

168 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 344, ფურც. 213—214.

და ა. შ.)[169]. მანვე ჩამოიტანა სტეფანე მელიქსეტოვის და მისი 4 ამხანაგის საქონელიც[170]. ამ საქმიანობას ეწევა თბილისის ერთ-ერთი ცნობილი საქმოსანი მელქომ ციციკოვი. 1811 წლის მაისში მან მოზდოკში ჩაიტანა იოსებ კუზანოვის საქონელი[171], 1814 წ. აპრილში როსტომ ხიზანოვის საქონელი (1053 თოფი ქსოვილი)[172], 1815 წლის დასაწყისში მას ერთ მუშასთან ერთად ჩააქვს იაგორ ხარაზოვის და ჩერქეზოვის საქონელი[173], იმავე წლის ივნისში მას კვლავ ვაჭართა საქონელთან ვხედავთ. მასთან ერთად არიან სახაზინო გლეხი როსტომ ქაიხოსროშვილი და მიკირტუმ ციციკოვი. იმავე წლის აგვისტოში იგი კვლავ ჩადის მოზდოკში ასატურ არუთინოვთან, ტეტია ტლაშაძესთან, ბეჟან რომაზოვთან, ივანე სირბილაძესთან, ასატურ არუთინოვთან და სხვ. ერთად. იმავე წლის დეკემბერში მას პოლოს ხოჯაშვილის საქონელი, 2615 თოფი სხვადასხვა ქსოვილი ჩამოაქვს[174].

თავისთავად საქონლის გადაზიდვის საქმის ამგვარი სიცხოველე, მასში სულ სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთა მონაწილეობა და სპეციალური დარგების ჩამოყალიბება, როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობის განვითარების მაჩვენებელია და საქონელმიმოქცევის ფართო მასშტაბებზე მიუთითებს.

ფართო მასშტაბის კომერცია წარმოუდგენელია ფართო ორგანიზაციის გარეშე[175]. XVIII—XIX სს. საქართველოს რიგი მსხვილი ვაჭრებისა დიდ ორგანიზატორებად გვეელინებიან. ისინი პრიკაზჩიკების, მუშაკების, ნოქრების და ა. შ. მთელ შტატს აერ-

---

[169] სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 344, ფურც. 15.

[170] იქვე.

[171] იქვე, საქ. 285, ფურც. 464—465.

[172] იქვე, ფონდი 2, აღწ. 1, საქმე 440, ფურც. 155—156.

[173] ი. ხარაზოვის საქონელი შედგებოდა 3799 თოფი სხვადასხვა (ძირითადად ბამბეულის) ქსოვილისაგან და 8 ფუთი ბამბისაგან. ხოლო ჩერქეზოვისა კი 1714 თოფი სხვადასხვა (ძირითადად ბამბეულის) ქსოვილისაგან, მცირე რაოდენობით ხალიჩებისა და სხვა საქონელისაგან.— სცსია ფ. 2, აღწ. 1, საქმე 481, ფურც. 256—258.

[174] იქვე, ფურც. 294—295. 1806 წელს თბილისელმა გრიგოლ ავეტისოვმა მოზდოკელი ოსის ყანჩას ხელით მოზდოკში გააგზავნა 500 თოფი შალი (ფ. 254, აღწ. 1, საქ. 131, 1806 წ., ფურც. 144). 1815 წელს 6 ვაჭრის (თბილისელი, ნახიჩევანელი, მოზდოკელი) საქონელი, სხვათა შორის 6000-ზე მეტი თოფი ბამბის ქსოვილი ჩამოიტანა მოზდოკელმა სტეფანე ბეჟანოვმა 4 ამხანაგით, თურქეთის ქვეშევრდომმა სომეხმა კარაპეტამ და თბილისელმა კათოლიკემ პაველ პაატოვმა.

[175] ეს კარგად იცოდა „კალმასობის“ ავტორმა: „კომერციის მოსწავლეთა უნდა უწ-

თებენ: 1813 წელს ერევანში სავაჭროდ წასვლის ნება ითხოვა 13 კაცმა. ამათგან 10 (ოსიპ მელიქოვი, ასლან თეიმურაზოვი, ავთანდილ უხაროვი, პეპან ხეჩატუროვი, იაგორ ჯიჯოევი, ოსიპ ამიროვი, ნონია ახნაზაროვი, ნონია პარუმურზოვი, შაგო გალუსტოვი, ისაკ პეტრუზოვი) ივ. ბეგთაბეგოვის პრიკაშჩიკი იყო, ამით გარდა ორი კაცი ბეგთაბეგოვის ყმაა, ხოლო 1 სახელმწიფო გლეხიც უეჭველია მასთან მუშაობს[176]. როგორც ვხედავთ, ერთდროულად მარტო ერევანში ბეგთაბეგოვი 13 თავის კაცს აგზავნის, ცხადია, მისი დაქვემდებარებული ხალხის სია ამით არ ამოიწურება, ისევე როგორც მთელი მისი კომერცია მარტო ერევანზე არ იყო დამოკიდებული. ამგვარი ფაქტები ბევრია.

ამრიგად, ვაჭრობის არსებული ორგანიზაციის პირობებში დიდვაჭარს საშუალება ჰქონდა თავიდან აეცილებინა სხვადასხვა სავაჭრო ცენტრებში პირადი მივლინება. ჰყავდათ რა იქ თავიანთი წარმომადგენლები, დიდვაჭრები კომერციებს მათი მეშვეობით აწარმოებდნენ, უგზავნიდნენ რა ადგილობრივ საქონელს და პირ-

---

ყოდნენ ორნი უფრო სწავლანი. ესე იგი არიხმეტიკა და გვარი მწერლობისა, და მეორე—ღეოღრაფთა ანუ ქვეყნის აღწერა თუ რომელს ქვეყანაში რომელი ნივთი გვარობს, და რომელს ქვეყანაში იგი ნივთნი უფრორე განისყიდებიან. ეგრეთვე თანა აძს, რათა ჰყვნდეთ ყოველგან კაცნი და სცნობდნენ ბუნებურთა მდგომარეობათა, ანუ დაძვრდა რაიმე მას ქვეყანაში ნივთი, ანუ იაფად არის, ანუ აშლილობა არს და შიხედვისამებრ მისისა დაჭიროს თადარიგი..." და სხვ. ილია ბატონიშვილი კალმასობა, ტ. II, თბ., 1948 წ. გვ. 56, 177. „პრიკაშჩიკს" ნ. ჩუბინაშვილი თარგმნის როგორც „მაგიერი, ვექილი ვაჭართა, ნოქარი" (ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, II, თბ., 1973), ქართულ ტექსტებში მას ტერმინი „კაცი" მოესადაგება: „...რათა ჰყვნდნენ ყოველგან კაცნი" („კალმასობა"). პრიკაშჩიკები მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ როგორც სამინაო, ისე საგარეო ვაჭრობაში. ბევრი მათგანი სარგებლობდა რა სავაჭრო ორგანიზაციის მეთაურის განუსაზღვრელი ნდობით, დამოუკიდებელ სავაჭრო ოპერაციებსაც კი ანხორციელებდა. ბევრი პრიკაშჩიკი მეტად მდიდარი იყო, რასაც მოწმობს მათზე გაწერილი მაღალი გადასახადები. არ არის გამორიცხული, რომ ისინი გარდა ხელფასისა სავაჭრო ოპერაციაში გარკვეული წილითაც სარგებლობდნენ. დამწყები ვაჭრები ჩვეულებრივ სავაჭრო პრაქტიკას პრიკაშჩიკობაში გადიოდნენ: მაგალითად 1811—1812 წლების საბუთებით ავეტიკ შადინოვი დ. სარაჯიშვილის პრიკაშჩიკია: ხოლო 1824 წლის კამერალური აღწერით იგი დიდვაჭრად ითვლება (სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 285, ფურც. 444; იქვე, საქ. 344, ფურც. 192); 1813 წლის საბუთით ოსიპ მელიქოვი თ. ბეგთაბეგოვის პრიკაშჩიკია, ცოტა მოგვიანებით კი იგი კახეთის სამღვდელოების „ჯარა-შესყიდვის საქმეშია ჩაბმული (სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 326, ფურც. 533—536).

[176] სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 370, ფურც. 135.

იქით, იღებდენ მათგან საჭირო პროდუქციას. მაგალითად, 1804 წლის აბუთით ვაჭარ გიგო ყორღანაშვილის მუდმივ წარმომადგენლად მოზდოკში ვინმე ასლანოვი მოჩანს[177]; თბილისის მოქალაქეს ზაქარია აქიმოვს თავისი მუდმივი წარმომადგენელი ჰყავს მოსკოვში[178]. დავით თამამშვილი მსხვილი საკაჭრო ორგანიზაციის მეთაურია ხოლო მისი ძმა კი მისი დავალებით მუდმივად ცხოვრობს და ვაჭრობს მოსკოვში[179]. თავისი „პრიკაშჩიკები" (კაცები) ჰყავთ ყიზლარში სტეფანე კაპოევს[180], მიკირტუმ სუნდუკოვს და სხვ.[181]. პირადად დიდვაჭრები მხოლოდ რუსეთისა თუ ევროპის ყოველწლიურ ბაზრობებზე (იარმარკეებზე) თუ გამოჩნდებოდნენ, სადაც მეტად დიდი გარიგებები ხდებოდა და შესაბამისად დიდი კაპიტალი ტრიალებდა. სხვა შემთხვევაში მხოლოდ რაიმე საგანგებო გარემოება თუ აიძულებდათ მათ თავიანთი მუდმივი რეზიდენციები დაეტოვებინათ. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო, როცა ერთი და იგივე პიროვნება ერთდროულად აწარმოებს კომერციებს თურქეთში, ირანში, ევროპაში და რუსეთში. მაგალითად: 1814 წელს გორის მცხოვრები მიხეილ ზუბალაშვილი სახაზინო ექსპედიციას წერდა: ერევანში ვაპირებდი წასვლას, ხებართვაც მივიღე, მაგრამ ეხლა კონსტანტინოპოლიდან მაცნობეს, რომ ჩემს საკაჭრო საქმეებზე იქ გამგზავრება აუცილებელია. ამიტომ ერევანში გამგზავრება უნდა გადავდო და კონსტანტინოპოლში წავიდეო[182].

განსახილველი ხანის საქართველოსათვის დამახასიათებელია კომერციული საქმიანობის ფორმათა მრავალფეროვნება. განსაკუთრებით მსხვილი საკაჭრო-საკრედიტო ორგანიზაციები, როგორც ჩანს ყველა აღნიშნული ფორმების ერთობლიობას წარმოადგენდნენ. ამ მხრივ მეტად საინტერესოა თუმანიშვილების სახლის მაგალითი. ზევით შევეხეთ თუმანიშვილების საკრედიტო საქმიანობას. სამამულო მეურნეობის რაციონალურად წარმართვის პარალელურად, თუმანიშვილები, უპირატესად თავისი მრავალრიცხოვანი ქვეშევრდომების მეშვეობით, მეტად ფართო კომერციებსაც აწარმოებდნენ საშინაო და საგარეო ბაზარზე[183], გამოდიან შოიჯა-

---

177 სცსია, ფ. 1010, აღწ. 1, საქ. 130, ფურც. 331.
178 სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 827, ფურც. 547.
179 სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 759, ფურც. 848.
180 სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 825, ფურც. 245; იქვე, საქმე 858, ფურც. 17.
181 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 416, ფურც. 137.
182 ნ. ბერძენიშვილი, მასალები. ., II, გვ. 134, № 189.
183 ნ. ბერძენიშვილი, მასალები..., II, გვ. 134, 137—138, 187.

რეებად[184]. სავარაუდოა მათი მონაწილეობა სხვადასხვა სამრეწველო წამოწყებებში[185] და ა. შ. ყოველივე ნათქვამის შემდეგ ბუნებრივია, რომ მაგალითად მანუჩარ თუმანიშვილის სავაჭრო წარმომადგენლები გაფანტულნი არიან საშინაო, თუ საგარეო სავაჭრო სამრეწველო ცენტრებში: გორში, ცხინვალში, ასტრახანში, პეტერბურგში და ა. შ.[186]. დამახასიათებელია, რომ ერთ-ერთ წერილში მანუჩარ თუმანიშვილი ამაყად აცხადებს „მე ვაჭარი როდი ვარო"[187]. იგი მართლაც არ არის ვაჭარი, იგი გაცილებით ფართო გაქანების მოღვაწე საქმოსანია, ფინანსისტი, კაპიტალისტი, რომელიც მეთაურობს მთელ სისტემას რომელშიაც არაერთი დაქვემდებარებული პირია გაერთიანებული: ვაჭრები, პრიკაშჩიკები, მრეწველები, ნოქრები, მსახურები და ა. შ. XVIII—XIX საუკუნის მიჯნაზე საქართველოში ამგვარ მსხვილ საქმოსნებად მოსჩანან ანტონ ოქუაშვილი, მერაბ აღა ოქუაშვილი, ოსეფა ყორღანაშვილი[188] და ა. შ.

როგორც ვნახეთ, განსახილველი ხანის საქართველოს ვაჭრობა მეტად რთული და მრავალფეროვანი ორგანიზაციით ხასიათდებოდა, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა სავაჭრო და საკრედიტო ამბანაგობებს, საქონლის მიწოდებისა და ტრანსპორტირების სისტემას და ა. შ. ყველაფერი ეს გამოხატულებას პოულობდა ფართო საშინაო და განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობის განვითარებაში.

ის გარემოება რომ თ. თუმანიშვილის კლიენტურა მეტად ფართოა, — მასში ვხედავთ როგორც, უბრალო მოქალაქეებს, გლეხებს, ხელოსნებს, ისე კათალიკოსებს და სამეფო სახლის წარმომადგენლებს, მიუთითებს მისი კომერციის ფართო მასშტაბებზე და საქონლის ასევე ფართო ასორტიმენტზე.

[184] იქვე, გვ. 137, 138.

[185] იქვე.

[186] იქვე, გვ. 170, 184, 280.

[187] იქვე, გვ. 199.

[188] იქვე, გვ. 96, 97.

II. საგარეო ვაჭრობა XIX ს. პირველ მესამედში

XVI—XVII საუკუნეებში საქართველოს ვაჭრები ინტენსიურ საქონელგაცვლას აწარმოებდნენ აღმოსავლეთთან, ხოლო მისი მეშვეობით ევროპის ქვეყნებთანაც[1]. მათ რეგულარული ურთიერთობა ჰქონდათ ინდოეთთან[2], ეგვიპტესთან[3] და სირიასთან[4]. მიუხედავად ამისა, საქართველოს საგარეო ვაჭრობას ძირითადად მისი გეოგრაფიული მდებარეობა და პოლიტიკური მდგომარეობა განსაზღვრავდა და იგი ძირითადად ოთხი მიმართულებით ვითარდებოდა: ირანი, ოსმალეთი, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები და რუსეთი.

1. ვაჭრობა ირანთან და თურქეთთან

განსახილველი ხანის წინა პერიოდში მახლობელი აღმოსავლეთის ვაჭრობას ირანი უძღვებოდა, ამის გამო საქართველოს საგაჭრო ურთიერთობა ირანთან განსაკუთრებულად ცხოველი იყო[5]. მართალია, XVIII საუკუნის მიწურულიდან მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა და საგაჭრო ურთიერთობის აქცენტი ძირითადად რუსეთზე იქნა გადატანილი. მაგრამ ირანთან ვაჭრობას

---

[1] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, XVI—XVIIIსს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის საგაჭრო ურთიერთობათა შუქზე. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, 1, თბ., 1966, გვ. 163.

[2] Путешествие Рафиела Данибегашвили, М., 1975.

[3] ს. ბ ურ ნ ა შ ო ვ ის ცნობით ერეკლე II-ს ქართველი ვაჭრების მეშვეობით რეგულარული ურთიერთობა ჰქონდა მაშლუქებთან, კერძოდ მათ ქართულ ზედაფენასთან.

[4] მ. ტ ი კ ა ძ ე, ამიერკავკასიის ქალაქების საგაჭრო ურთიერთობანი სირიის ქალაქებთან და ლევანტის ვაჭრობა XVI—XVIII საუკუნეებში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, II, თბ., 1970 —გვ. 224.

[5] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 169.

მაინც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. უფრო მეტიც, იმის გამო, რომ ირანის ბაზარი ქვეყნისათვის მეტად საჭირო ნედლეულის,—ბამბის მომწოდებელი იყო, ამ ვაჭრობას ერთობ პოზიტიური მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის საერთო ეკონომიკური და კერძოდ სამრეწველო განვითარებისათვის.

ქართველი ვაჭრები წამყვან როლს ასრულებდნენ არა მარტო ირანსა და საქართველოს შორის ვაჭრობაში, არამედ ირანის საგარეო ვაჭრობაში საერთოდ[6]. იმ მწვავე კონკურენციულ ბრძოლაში, რომელიც XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკნის დასაწყისში ირანის ბაზარზე გაჩაღდა ინგლისს, საფრანგეთსა და რუსეთს შორის, საქართველოს სავაჭრო კლასის წარმომადგენლებმა მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს. ერთი მხრივ, მათ ავიწროვებდა ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანია, რომელიც აქ თანდათანობით ბატონდებოდა[7], ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთის მთავრობა, რომელიც საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლამდე (1783 წ) საგანგებო ზომებს იღებდა, რათა სომეხ და ქართველ ვაჭრებს ირანის ბაზარზე არ ესარგებლათ იმ პრივილეგიებით, რომელიც აქ რუს ვაჭრებს ჰქონდათ მინიჭებული[8].

მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, მთელი XIX საუკუნის პირველი მესამედის მანძილზე საქართველოს ვაჭართა ფენების წარმომადგენლები საკმაოდ მნიშვნელოვან ძალას წარმოად-

---

[6] აქ და ყოველთვის როდესაც ქართველ ვაჭრებზეა საუბარი იგულისხმება ამ ვაჭრების მოქალაქეობრივი კუთვნილება, თუმცა მათ ძირითად ნაწილს ეროვნებით სომხები შეადგენდნენ.

[7] О. П. Маркова, Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. М., 1976, с. 64—73.

[8] რუსეთის მთავრობა გარკვევით მიუთითებდა თავის კონსულს სპარსეთში «... накрепко вам смотреть должно, чтоб под именем подданного ея императорского величества, как из грузинцов, армян, индейцов, или других каких народов... безпошлинным торгом в Персии не мог бы пользоваться. Почему если то случитья вcборе с таковых иностранцев пошлин: вам препятствие чинить». М. Чулков, Историческое описание российской коммерции, т. II, кн. II, М., 1785, с. 424. კლასობრივი ბრძოლის ინტერესებთან ერთად ამითაც იყო განპირობებული XVIII ს. მეორე ნახევარში ქართველი ვაჭრების რუსეთის სავაჭრო ცენტრებში გადასახლებისაკენ მისწრაფება: «В русско-иранской торговле активно участвовали кавказские жители армяне, азербайджанцы, грузины. Они нередко переселялись на определенные сроки в Астрахань и Кизлярь и, приняв на время русское подданство, выступали в роли русских купцов» — О. П. Маркова, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

გენდნენ ირანის ვაჭრობაში. ყოველ შემთხვევაში, ისინი ერთობ აქტიურ როლს ასრულებდნენ საგარეო ვაჭრობაში რუსეთთან[9]. ამას კი არ შეეძლო თავისი დადებითი გავლენა არ მოეხდინა საკუთრივ საქართველოს ვაჭრობაზეც სპარსეთთან.

მაგრამ მოცემულ პერიოდში ამ ვაჭრობას ბევრი ხელშემშლელი ფაქტორიც ეღობებოდა. ირანი დიდხანს ვერ შეურიგდა მისი ხელდებული ქვეყნის რუსეთის მფლობელობაში შესვლას. რუსეთს ბრძოლით უხდებოდა თავისი უფლებების დამტკიცება ამიერკავკასიაში. სულ რაღაც 30-ოდე წლის მანძილზე რუსეთი 13 წლის განმავლობაში ირანთან ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ ომს რუსეთი საქართველოს ტერიტორიიდან აწარმოებდა. მასში ქართველობა ერთობ აქტიურ ფიზიკურ თუ ეკონომიკურ მონაწილეობას იღებდა. ეს კი ქვეყნის საერთო ეკონომიკურ პოტენციალს მნიშვნელოვნად ასუსტებდა. მართალია აშკარად თუ ფარულად

---

[9] 1829 წელს «Тифлисские ведомости»-ს კორესპონდენტი, ეხება რა რუსეთ-ირანის ვაჭრობის პერსპექტივებს და გამოთქვამს რა რწმენას, რომ რუსეთს შეუძლია დაიპყროს ირანის ბაზარი, ასახელებს ამ ამოცანის შესრულების ხელშემშლელ მიზეზებს. მისი აზრით, რუსეთის მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მას კასპიის ზღვის სახით ხელთ უპყრია მეტად მნიშვნელოვანი სავაჭრო მაგისტრალი მაგრამ ამ კოზირს რუსეთის ვაჭრობა ვერ იყენებს. ერთი მხრივ, სავაჭრო გემების სიმცირის, მეორე მხრივ კი თბილისელი ვაჭრების გაუბედაობის გამო «...кроме соперничества англичан, которые напрягают все усилия, чтобы не дать нашим товарам поверхности на тавризском рынке, весьма важная причина малого движения нашей торговли по Каспийскому морю заключается еще в робости тифлисских купцов, к о и п р е и м у щ е с т в е н н о в л а д е ю т н а ш и м и о б о р о т а м и с П е р с и е ю» (ხაზი ჩემია—მ. ს.) შემდეგ ავტორი აღწერს კასპიის ზღვით საქონლის გადაზიდვის უპირატესობებს, სოიფეს, სისწრაფეს და ა. შ. და ცდილობს ახსნას თუ რატომ ერიდებიან ვაჭრები ზღვას. ეს არის: 1. მიუჩვევლობა; 2. ის, რომ ვაჭრები არ არიან დარწმუნებული საზღვაო გადაზიდვის მოგებიანობაში. თბილისელი ვაჭრები უპირატესად სომხებია—აგრძელებს ავტორი—ქართველები ერთობ ცოტაა. სომხებს კი საზღვაო მიმოსვლის ტრადიცია არა აქვთ. სომხებს ხელში უჭირავთ აზიის ვაჭრობა მაგრამ ზღვას ძალიან ერიდებიან, რადგან რისკი არ უყვართ. შემდეგი მიზეზი ისაა, რომ აქაური ვაჭრობის ხასიათი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დროის ფაქტორს ვინც ადრე და თავის დროზე მიიტანს საქონელს, დიდ მოგებას ნახულობს, ამიტომ ვაჭარს ურჩევნია მეტიც გადაიხადოს და მეტი დრო დახარჯოს, მაგრამ ადგილზე განსაზღვრულ დროს მივიდეს, ვიდრე საეჭვოდ გახადოს საქმე. შემდეგ ავტორი თავაზობს საკითხის მოგვარების გზებს: საზღვაო მიმოსვლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სისწრაფის უზრუნველყოფა და ა. შ. «Тифлисские ведомости», 1829 г. 489, О мореходных способах Каспийского моря и о пристанях по западному берегу оного.

თვით ომის მსვლელობაშიც არ წყდებოდა საავაჭრო ურიერთობა საქართველოსა და ირანს შორის, მაგრამ ეს ურთიერთობა ნორმალური, ცხადია, ვერ იქნებოდა.

გზა საქართველოსა და ირანის საავაჭრო ცენტრებს შორის, როშელიც ნახევრად დამოუკიდებელი ფეოდალების სამფლობელოებზე გადიოდა მშვიდობიანობის პერიოდშიც არ იყო უხიფათო, ომის დროს კი მგზავრობა კიდევ უფრო ძნელდებოდა. 1804—1813 წლების რუსეთ-ირანის ომის პერიოდში როგორც ირანის, ისე რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლება არ კრძალავდა ვაჭართა მიმოსვლას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ირანისა და მისი მფლობელობის ქვეშ მყოფი ქალაქების ბაზრებზე ქართველ ვაჭართა საქმიანობა ერთობ გართულებული იყო. ეს ნათლად ჩანს იმ განცხადებიდან, რომელიც თბილისელმა და გორელმა ვაჭრებმა 1812 წელს რტიშჩევის სახელზე შეიტანეს[10]. როგორც საბუთიდან ირკვევა, სპარსელი ვაჭრები თითქოს თავისუფლად მიმოდიოდნენ საქართველოში, მაგრამ რადგან ირან-საქართველოს ვაჭრობა უპირატესად ქართველი ვაჭრების მეშვეობით წარმოებდა, ხოლო როგორც დავინახეთ, ისინი იქ ძველებურად ველარ ვაჭრობდნენ, ეს ვაჭრობა მნიშვნელოვნად ფერხდებოდა.

აქ ერთი გარემოება უნდა აღინიშნოს: საბუთებში სპარსეთად მიჩნეულია ყველა ის რეგიონი, რომელიც მოცემულ პერიოდში ირანის სახელმწიფოს ფარგლებში შედიოდა. ამდენად უმრავლეს შემთხვევაში შეუძლებელია გარჩევა, თუ რაზეა ლაპარაკი — საკუთრივ ირანზე, თუ ვთქვათ, რომელიმე სომხურ ან აზერბაიჯა-

---

[10] „რადგან მფარველობა რუსეთისა სპარსეთითგან მოსულთ ვაჭართა იცავდა აქ მყუდროებასა შინა, და ვაჭრობდნენ აქ თავისუფალ ნებას წადილითა, ამის გამოისად ჩვენც ეკვი ზიანის მომთხვევისა სპარსელთაგან არაოდეს აღარ ვიგულეთ და ამისთანას ფიქრზედ დარწმუნებით და სპარსელთ ვაჭართ შესახედაობით გავბედეთ და ვსთხოვეთ მმართველობასა პაშპორტი და ბილეთი, რომლის მიღებითმცრ. კვლავინდელის ვაჭრობის მომედენი ვაჭარნი გიახელით საავაჭროდ ერევანსა, სადაც კვლავინდებურად ჩვენს ნებაზედ აღარ გვავაჭრეს და მოგვცეს ზიანი უდიდესი. ესრედ ჩვენ როგორც საზოგადო ხალხისაგან ვყიდულობთ ბანბასა, არამც თუ იმ ფასად და იმ სახით, არამედ ძალად მოგვყიდეს ბანბა სახელმწიფო სუბუქის ლიტრით, ლიტრა ერთს ბაჯაღლოთ, რომელმაც თვითეულს ლიტრაზე ორი მინალთუნი იქაური თეთრი ზიანი მოგვადგა და რაც თავიანთ განწესებაში ასალები ბაჟი იყო, როგორც ის გამოგვართვეს ეგრეთვე გარდა იმისა ვიდრე იქაურს ას თუმნამდე სხვაც წაგვართვეს რომელსა ამდენს ჩვენს დაცემაზე და ზიანზე თუმცა იქაურს სარდარს საჩივარი წარვუდგინეთ, მაგრამ არ შეგვწყნარა...“ და სხვ.—სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 327, ფურც. 111.

ნულ პროვინციებზე. ერევანი ჩვეულებრივ სპარსულ ქალაქადაა გამოცხადებული. ამიტომ ჩვენც საშუალება არა გვაქვს სომხურ თუ აზერბაიჯანულ პროვინციებთან ვაჭრობა ცალკე გამოვყოთ. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ერევანი სავაჭრო ცენტრი იყო და თუ ვაჭარი იქ შეისყიდიდა საქონელს, სულაც არ ნიშნავდა, რომ ეს საქონელი საკუთრივ ერევნის (ან სომხური) იყო. იქაურ ბაზარზეც ჩვეულებრივ სპარსული ყაიდის საქონელი იყიდებოდა, რომლის გამორჩევა ეტყობა თვითონაც უჭირდათ[11].

თუ რამდენად აფერხებდა საომარი მოქმედება საქართველო-ირანის ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობას ამაზე არაერთი საბუთი მიუთითებს. 1809 წელს კახეთის იჯარის მუხლების შემსყიდველებმა საიჯარო თანხის შემცირება ითხოვეს იმ მოტივით, რომ საომარი მოქმედების გამო ერევანთან ვაჭრობა არ წარმოებსო[12].

---

[11] მსგავსი ვითარება მას შემდეგაც გრძელდება. რაც ერევანი რუსეთის ხელში გადავიდა. რუსეთის საბაჟო მოხელეებს 1832 წელსაც უჭირდათ იმის დადგენა ერევნიდან შემოზიდული საქონელი საკუთრივ ერევნისა იყო, თუ სპარსული. ამ საკითხის გადაწყვეტა მათ იმისთვის აინტერესებდათ, რომ ერევნის საქონელზე, რაც იგი რუსეთის შემადგენლობაში იყო, ბაჟი არ აიღებოდა, სპარსული კი ჩვეულებრივ, ცხადია, ბაჟით იბეგრებოდა: 1832 წელს თბილისის მცხოვრებმა მოსე გოდერძიშვილმა ერევნიდან 638 ბათმანი ბამბა შემოიტანა. ცნობაში, რომელიც მას ერევნის ქალაქის პოლიციამ მისცა, აღნიშნული იყო, რომ მან ეს ბამბა სოფლის მცხოვრებლებისგან შეისყიდა, მაგრამ გარკვეული არ იყო იგი სპარსულია თუ საკუთრივ ერევნისა. საბაჟო გაურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა, უნდა აეღოთ თუ არა ბაჟი აღნიშნულ საქონელზე. შეკითხვით მიმართა ამიერკავკასიის საბაჟო ოლქის უფროსს. მან კი ურჩია, თუ ეპვი გეპარება შეკითხვა გაუგზავნე ერევნის ქალაქის პოლიციას და იმის მიხედვით მოიქეცი (სცსა, ფ. 378, საქმე 377).

1809 წელს შეკითხვაზე, თუ საიდან რა საქონელი შემოდის, თბილისის საბაჟო ასეთ პასუხს იძლევა: «Из каких мест более привозимы бывают в Тифлисе товары, таможня сия, при всяком желании ея иметь таковаго нужного сведения никак различить не может, поелику, как оная существует в одном Тифлисе, куда привоз бывает с Персии, подвластных Российской империи ханств и грузинских предметов в одном качестве во всем здешнем краю к тому привозительнаго, имея покупку не в самой Персии, а изделии оной в ханствах, и по Грузии не следуя далее, о чем в невозможности к составлению... о привозе заграничного товара в различестве ведомостей оной донесено; относительно в каком количестве привозимой бывает более оной товаров то по известности сей таможни не далее (предидущего?) до ныне во оной по времени как в знатном количестве хлопчатой бумаги непряденной в посредственном шелковых материи, в довольном бурместей и в большом простых ситцов более употребляемого в здешнем месте...» სცსა, ფ. 380, საქმე 15, ფურც. 104.

[12] სცსა, ფ. 2, საქმე 211, ფურც. 59—64. კახეთის საიჯარო მუხლებში ერთ-

სახაზინო ექსპედიციამ შეამოწმა ეს თხოვნა და დაადგინა, რომ მართლაც 6 თვის განმავლობაში თელავიდან ერევანს სავაჭროდ არავინ წასულა[13]. აღნიშნული და კიდევ სხვა მრავალი, საბუთიდან ირკვევა, რომ არამცთუ საქართველოს ცალკე კუთხეებს, არამედ ამ კუთხეების ცალკეულ ქალაქებსა და მაზრებსაც დამოუკიდებელი ვაჭრობა ჰქონიათ ირანთან და უმთავრესად ერევნის სახანოსთან. ამ ვაჭრობის ძირითადი საგანი ნედლი ბამბა ყოფილა, რომელიც დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ საქართველოს მრავალ საეაჭრო-სამრეწველო ცენტრში: თელავში, სიღნაღში, გორში, ცხინვალში, დუშეთში რასაკვირველია თბილისში და ა. შ. შემოზიდულ ბამბას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს საფეიქრო მრეწველობისათვის. მაგალითად,1811 წელს გორის მაზრაში საფეიქრო წარმოების შემცირების მიზეზებს რომ არკვევდნენ, ერთ-ერთ ხელშემშლელ პირობად სპარსეთიდან, საომარი მოქმედების გამო, საკმაო რაოდენობით ნედლეულის შემოტანის შეფერხება იქნა მიჩნეული[14]. რომ ქართული საფეიქრო წარმოება დამოკიდებული იყო სპარსეთიდან შემოსულიდან ბამბის ნედლეულზე, ეს მმართველი წრეებისათვისაც კარგად იყო ცნობილი. საფეიქრო წარმოების მოცულობა ძირითადად განსაზღვრავდა სამღებროსა და საბეჭდავის საიჯარო მუხლების ფასსაც[15]. ამიტომ კონტრაქტში, რომელიც ჩვეულებრივ იდებოდა ხოლმე აღნიშნული იჯარების შემსყიდველსა და სახაზინო ექსპედიციას შორის, საგანგებოდ შეჰქონდათ პუნქტი, სადაც მითითებული იყო, რომ თუ საომარი მოქმედების ან სხვა ხელშემშლელი გარემოებების გამო სპარსეთიდან შეწყდებოდა ბამბისა და ლურჯი საღებავის შემოზიდვა, შემსყიდველები თავისუფლდებოდნენ იმ პერიოდის შესაბამისი თანხის გადახდისაგან, ვიდრე აღნიშნული შემაფერხებელი პირობები არ აღიკვეთებოდა. მაგალითად, თბილისის სამღებ-

---

ერთი მთავარი იყო ბაჟი ერევნიდან შემოტანილ და გატანილ საქონელზე. ამდენად ვაჭრობის შეფერხებას მართლაც შეეძლო დიდი ზიანი მიეყენებია შემსყიდველთათვის: «Экспедиции известно, что по кахетинской статье большая часть поступают доходы за привоз из Эривана хлопчатой бумаги, краски синей и парчи, и за вызов из Кахетии в Эривань шолку, марены, водки, шерсти и бурок».

[13] იქვე.

[14] სცსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 257, ფურც. 214—217.

[15] აღნიშნულ საკითხებზე ჩვენ დაწვრილებით შევჩერდებით ქვემოთ, შესაბამის თავში. ამჟამად კი იძულებული ვართ აღნიშნული განცხადებით დავკმაყოფილდეთ.

რისა და საბეჭდავის მუხლის იჯარით გაცემის კონტრაქტში, რომელიც სახაზინო ექსპედიციამ დაუდო შემსყიდველებს გიორგი ნაზარბეგოვსა და ზაქარია როხროხოვს, ვკითხულობთ: „თუ იჯარის ხანის განმავლობაში თბილისში შავი ჭირი გაჩნდება, ან აქაური საზღვრები საომარი მოქმედების გამო დაიკეტება, ხოლო ამით ნედლი ბამბის და სალებავის შემოტანა, ხამის დამზადება და სამღებროს და საბეჭდავის შემსყიდველთა შემოსავალი შეფერხდება და ეს უფროსობისგან დამოწმებული იქნება, მაშინვე ანგარიშს გაასწორებენ ხაზინასთან, ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების შეწყვეტამდე და თვით იჯარაზეც შეუძლიათ უარი განაცხადონ“[16] და სხვ.

1809 წლის ცნობით სპარსეთიდან (ერევნის ჩათვლით) საქართველოში 30 000 ფუთი ბამბა შემოჰქონდათ, რაც 25 000 მანეთის (ვერცხლითაც) ღირებულებას შეადგენდა[17]. თავისთავად ეს მეტად საგულისხმო ციფრია, მაგრამ აქვე მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ 1809 წელთან შედარებით გასული საუკუნის მთელი პირველი მეოთხედის მანძილზე ჩვენში საფეიქრო წარმოება განუხრელად იზრდებოდა. ეს ნათლად ჩანს საქსოვი საწარმოებისა და სამღებროების ზრდის მონაცემებიდან[18]. რაკი საქსოვი წარმოება უპირატესად სპარსეთიდან შემოტანილ ნედლეულზე იყო დამყარებული, შესაბამისად იზრდებოდა ბამბის შემოტანაც.

გარდა ამისა, საბაჟოების მოუწყობლობის, ფაქტიურად საბაზღვრო ხაზის არარსებობის, მრავალი შემოსასვლელი გზისა თუ ბილიკის და სხვა ხელშემწყობი პირობების გამო, საქართველოში მეტად დიდი იყო საქონლის კონტრაბანდული შემოტანა. ზემოთ მოყვანილი ცნობა 1809 წლისაა. ამ დროს საბაჟო თბილისში იყო. ამიტომ ყველა უცხოური საქონელი ჯერ თბილისში უნდა შემოეტანათ; აქ ოდი დაიბეგრებოდა და შემდეგ საქართველოს სხვა რაიონებში გაჰქონდათ. ამდენად, ასე თუ ისე, სანდო მონაცემები საბაჟოს მხოლოდ თბილისისა და ნაწილობრივ შიდა ქართლის

---

[16] ამ პუნქტის საფუძველზე, იმის გამო, რომ 3 თვის განმავლობაში სპარსეთიდან საქონელი არ შემოდიოდა, შემსყიდველებმა მოითხოვეს შესაბამისი თანხის პატიება. სახაზინო ექსპედიციამ დააკმაყოფილა მათი თხოვნა.—სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 257, ფურც. 75.

[17] AKAK, IV, № 99, გვ. 88; პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 116, შენ. 1.

[18] ამაზე ჩვენ ქვევით დაწვრილებით გვექნება საუბარი.

მიმართ შეიძლება ჰქონოდა; თვით საბაჟოს მოხელეების განცხადებით, „რადგან ეს საბაჟო მარტო თბილისშია, მოვაჭრეებს იქ მისვლამდე გადააქვთ მდინარე მტკვარზე მოსახერხებელ ადგილებში ფონით ან ნავებით ყოველგვარი საქონელი, ხოლო განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ბამბა და საღებავები"[19].

ცხადია, ფარული ვაჭრობა მარტო შემოტანით არ განისაზღვრებოდა. ასევე მნიშვნელოვანი რაოდენობის საქონელი საქართველოდანაც გაჰქონდათ საბაჟოების გვერდის ავლით[20]. ზემომოტანილ საბუთში კიდევ ერთი გარემოება იჭცევს ყურადღებას. თბილისის საბაჟოს მოხელეები აცხადებდნენ: მართალია, რამდენიმე თვეა სპარსეთიდან თბილისის საბაჟოში საქონელი არ შემოსულა, მაგრამ ქალაქში ბამბაც და ლურჯი საღებავიც საკმაო რაოდენობით არისო[21], რაც იმაზე მიუთითებს, რომ ვაჭრები სპარსული საქონლის შემოპარებას თბილისშიაც კი ახარხებდნენ.

როგორც ირკვევა, ირანიდან საქონლის ფარულად შემოტანისა და გატანის მთელი სისტემა იყო დამუშავებული და სპეციალისტი გამყოლებიც კი არსებობდნენ, რომლებიც ვაჭრებს ფარული გზებით საქართველოს სხვადასხვა ადგილებში ატარებდნენ[22].

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სპარსული საქონელი საქართველოში გაცილებით მეტი შემოდიოდა,

---

[19] სცსია, ფ. 380, საქმე 15, ფურც. 183—184. ეს მოვლენა თითქმის მთელი განსახილველი პერიოდის მანძილზე გრძელდებოდა, რის შესახებაც საკმაოდ საფუძვლიანად მსჯელობდა 1826 წ. საქართველოს სამოქალაქო მმართველი ველიამინოვი. იგი სხვათა შორის აღნიშნავდა, რომ ნედლეული ბამბის უბაჟოდ შემოტანა ხშირია და იგი განსაკუთრებით კახეთის სოფლებშია გავრცელებული—სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 924, 1826 წ., ფურც. 443—445.

[20] მაგალითად, 1808 წელს ქართული ქსოვილების განჯაში უბაჟოდ გატანის ცდისათვის (განჯა კი სპარსეთისაკენ მიმავალ მაგისტრალზე მდებარეობდა) თბილისის მცხოვრები კიკუანთ აღას საქმე თბილისის სამაზრო სასამართლომ გაარჩია, სცსია, ფ. 380, საქმე 14, ფურც. 67.

[21] იქვე, საქმე 15, ფურც. 183—184.

[22] 1803 წლის ზაფხულში ერევნიდან საქართველოში 4 ვაჭარი წამოვიდა, რომლებსაც საპალნეებით დიდი რაოდენობით საქონელი, ძირითადად ნედლი ბამბა მოჰქონდათ. ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ცნობილი გახდა, რომ შემოვიდნენ რა ლორის მაზრაში ვაჭრები მოელაპარაკნენ ამ მაზრის მცხოვრებს ნონია მამასალაშვილს, რათა ისინი საიდუმლო გზებით გორში ჩაეყვანა. ეს ამბავი სასწრაფოდ აცნობეს გორის კომენდანტს რომელმაც ვაჭრებიცა და მისი გამყოლიც ადგილზე დააკავა. გამოძიების შემდეგ კი გამოირკვა, რომ ნონია მამასალაშვილი ვაჭრების ფარულად გატარებას წლების განმავლობაში ეწეოდა. როგორც ირკვევა ამგვარი საქმოსანი სხვაც არაერთი იყო. სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 29, ფურც. 181.

ვიდრე ეს ოფიციალურ ცნობებშია აღნიშნული. ამდენად შემოტანილი ნედლი ბამბის ოდენობა 1809 წლისთვისაც კი, რომელსაც ზემოაღნიშნული ოფიციალური ცნობა ეხება, სულ ცოტა ერთიორად გაზრდილად უნდა წარმოვიდგინოთ.

თუ რამდენად დიდი იყო სპარსეთიდან ნედლი ბამბის შემოტანის მნიშვნელობა, იქიდანაც ჩანს, რომ ვაჭრები საქართველოს სასაზღვრო რაიონებში საომარი მოქმედების გამო გაძნელებული მიმოსვლის ვითარებაში ცდილობდნენ სხვა გზა გამოეძებნათ. მაგალითად, რუსეთ-ირანის მეორე (1826—1829 წწ.) ომის დროს მათ ირანიდან ბამბა კასპიის ზღვით ასტრახანში, ხოლო იქიდან მოზდოკითა და დარიალის ხეობით საქართველოში შემოჰქონდათ[23].

ადგილობრივი საფეიქრო წარმოებისათვის ირანიდან ნედლეულის სახით ბამბისა და ლურჯი საღებავის გარდა ნართიც შემოდიოდა[24].

როგორც აღვნიშნეთ, საგარეო ვაჭრობის მიმოქცევაში არსებული საქონლის ოდენობის დადგენა საამისო ცნობების არარსებობის გამო მიახლოებითაც კი ვერ ხერხდება, მაგრამ აღნიშნული ვაჭრობის ხასიათი და მასშტაბები მაინც შეიძლება წარმოვიდგინოთ ამ საქმიანობაში ჩაბმული ვაჭრების რაოდენობისა და ვინაობის მიხედვით, მაგალითად 1804 წელს, როდესაც რუსეთ-ირანის ომი ის-ის იყო დაიწყო და ერევნის ციხესთან მდგარი ცარიანოვი მის შტურმით აღებას ცდილობდა, ბანაკში აუარებელმა ვაჭარმა მოიყარა თავი იმ იმედით, რომ რუსის ჯარის წარმატების შემთხვევაში აქ ხელსაყრელი ვაჭრობის გაჩაღების შესაძლებლობა ექნებოდათ. იმ 136 ვაჭრიდან, რომლებიც ნებართვით თუ უნე-

---

[23] სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 962, ფურც. 478—479.

[24] 1812 წელს თბილისს კომენდანტმა შეკითხვა გაუგზავნა თბილისის საბაჟოს—მართალია თუ არა, რომ 1810 წლიდან მოკიდებული საზღვარგარეთიდან საქართველოში არ შემოსულა რკინა, სელი და ძაფი. საბაჟოს ოფიციალური პასუხი ასეთი იყო: «Приказали сообщить, что с начала мая м-ца истекшего 1810 года из за границы персидской и турецкой по военным действиям не было в привозе железа, льны и ниток». ჩვენთვის ცნობილია, რომ რკინა და სელი, აგრეთვე დიდი რაოდენობით განსაკუთრებით სელის ძაფი, საქართველოში დასავლეთიდან შემოჰქონდათ, მაგრამ რაკი საბუთში სპარსეთის მხარეცაა ნახსენები, უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ ძაფი იგულისხმება. ამდენად, სპარსეთიდან შეიძლება შემოსულიყო ბამბისა და აბრეშუმის ძაფი. ეს მეტად საინტერესო ცნობაა, რადგან უცხოეთიდან ნახევარფაბრიკატის შემოტანის ფაქტი ქართული საფეიქრო წარმოების მაღალი განვითარების ნიშანია. სცსია, ფ. 380, საქმე 26, ფურც. 150.

ბართვოდ იყვნენ მისულნი, 90 თბილისის დანარჩენი კი საქართველოს სხვადასხვა სავაჭრო ცენტრების წარმომადგენლები იყვნენ[25].

ირანის სხვადასხვა სავაჭრო ცენტრებში წამსვლელთა შორის დოკუმენტები, გარდა აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქელ ვაჭართა, იმერელ ვაჭრებსაც ასახელებენ. ირანში ვაჭრები მოდიოდნენ ისეთი ნაკლებად მნიშვნელოვანი სავაჭრო დაბებიდანაც როგორიც იყო სიღნაღი, ვაქირი, ველისციხე და ა. შ.[26]

მართალია, ირანსა და საქართველოს შორის საქონელგაცვლა ძირითადად ქართველი ვაჭრების შეშვეობით ხორციელდებოდა. მაგრამ ამ საქმეში მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებდნენ ირანელი თუ ირანის სახელმწიფოში შემავალი სომხური და აზერბაიჯანული პროვინციების ვაჭრებიც. მაგალითად, 1801 წელს შედგენილი საბუთით საქართველოში კომერციებს ეწეოდა ირანის მხრიდან ჩამოსული 25 ვაჭარი. მათი მოღვაწეობა საქართველოში მომდევნო წლებშიც არ შეწყვეტილა. უპირატესად ისინი ერევნის, ნახიჩევანის, ხოის და სხვ. ქალაქების მკვიდრები იყვნენ[27].

ქართველ ვაჭრებს განსაკუთრებით ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ ერევანთან, რომელიც მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო და, როგორც ჩანს განსაკუთრებით ნედლი ბამბის ვაჭრობით იყო განთქმული.

როგორც ჩანს, ერევნის შემდეგ სპარსეთის სახელმწიფოში შემავალი ერთ-ერთი ძირითადი სავაჭრო ცენტრი, სადაც ქართველი ვაჭრები დიდ გარიგებებს აწარმოებდნენ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, იყო ქალაქი ხოი. ამ ქალაქთან იყო დაკავშირებული მნიშვნელოვანი კომერციები ისეთი დიდი ვაჭრისა და კრედიტორისა, როგორიც მანუჩარ თუმანიშვილი იყო[28]. ხოიში, მუდმივად ცხოვრობდა და ვაჭრობასა და კრედიტის გაცემის საქმეში მოღვაწეობდა საკმაოდ მსხვილი და შეძლებული საქმოსანი მერაბ აღა ენოქაშვილი და ბევრი სხვა ქართველი ვაჭარი[29]. ბევრ ქართველ

---

[25] სცსია, ფ. 16, საქმე 221 , ფურც. 4—5.

[26] სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 417, ფურც. 233.

[27] სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 417, ფურც. 233.

[28] ნ. ბერძენიშვილი, მასალები..., III, გვ. 96, 109, 132, 282, 286, 293, 295; დ. უჩანეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 107—108.

[29] იქვე.

ვაჭარს. თუ სავაჭრო კომპანიას თავისი მუდმივი წარმომადგენლები ჰყავდათ ირანის სხვადასხვა სავაჭრო ცენტრებში[30].

ირანსა და საქართველოს შორის ვაჭრობის სიცხოველეზე ისიც მეტყველებს, რომ საქართველოს შეზობელი თათრული დისტანციების მცხოვრებთა ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა ამ ორ ქვეყანას შორის საქონლის გადაზიდვა (ჩალავადრობა) იყო[31].

ირანს და, განსაკუთრებით, ირანის მფლობელობაში მყოფი სომხეთისა და აზერბაიჯანის სავაჭრო ცენტრებთან საქართველოს ცხოველი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა. ეს ურთიერთობა ორმხრივ დაინტერესებაზე და სარკეებლიანობაზე იყო დამყარებული. საქართველოდან აქ გაჰქონდათ ადგილობრივი წარმოების მრავალფეროვანი საქონელი, მეტად ფართო იყო შემოტანილი პროდუქციის ასორტიმენტიც[32], მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საფეიქრო წარმოებისათვის აუცილებელი ნედლეულის ბამბის ნართის და ლურჯი საღებავის შემოტანას, რომელზედაც ენიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ქვეყნის მრეწველობა.

XIX ს. პირველ მესამედში საქართველო ფართო გაცვლით

---

[30] სცსა, ფ. 16, საქმე 2784, ფურც. 1—2.

[31] იქვე, ფურც. 34.

[32] ი. შახგუბატოვი საქართველოს ვაჭრობას ირანთან შემდეგნაირად ახასიათებს: «Торг с Персией особенно производится червонцами, серебром, медью в изделиях, материале, канцелярским семям, шитым серебром и золотом, рукодельем тифлисских женщин, попонами подушечными наволочками (по-грузински дорисипри), чапраками и коврами-сузаны употребляемыми женщинами для подстилки в банях. Отвозят также, шерстяные и шелковые материи из России доставляемыя и серебренныя нитки, лезгинския и других горских народов толстыя сукна. Из Персии привозят: жемчуг, драгоценныя камни, синюю краску, двух родов шали, на шею и для кушлаков, шелковыя материи с золотом тканую, диба, даран-баб, атлас-баб; и шелковые ткани: даран, шейдиши, мов, тафту, атлас, хатаи и прочее. Разные бумажные материи из России доставляемые, в большом количестве хлопчатой бумаги. Мелочные товары, фрукты, меха лисьи, куньи и белодушек, верблюжие ковры разного сорта и величины под названием кечи...», ხელნაწერთა ინსტიტუტი, ROS d 110. საქართველოდან გატანილი საქონლის ასორტიმენტი ამით არ ამოიწურებოდა; ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ არ შეიძლება არ დავასახელოთ ენდროს გატანა. აკად. პ. გუგუშვილის გამოანგარიშებით, ირანსა და თურქეთში ყოველწლიურად 10 000-მდე ბამბანი ენდრო გაჰქონდათ, რაც ადგილზე 66—70000 მანეთის ღირებულებას შეადგენდა—იხ. მისი დასახელებული ნაშრომი, გვ.118.

განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ქართულ ოქრო და ვერცხლეულებს, რომლებიც თურმე აზიაში საუკეთესო ნაკეთობად ითვლებოდა და მათი ფასი 400 მანეთამდე აღწევდა, იქვე.

ვაჭრობას ეწეოდა თურქეთის სხვადასხვა ქალაქებთან. არაერთი საბუთის მითითებით ქართველი ვაჭრები ჩნიშვნელოვან კომერციებს აწარმოებდნენ ყარსში, არზრუმში, სტამბოლში და ა. შ.[33]

ქართულ ისტორიოგრაფიაში დასაბუთებულია შავ ზღვაზე თურქეთის გაბატონებისა და თურქეთთან ვაჭრობის ნეგატიური როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში[34].

საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე (ხოლო აღებულ პერიოდში ეს პროცესი ჯერ კიდევ არ იყო .დასრულებული) თურქეთთან ვაჭრობას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსათვის განსხვავებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთებას უსწრებდა წინ, თურქეთის გავლენის მძიმე შედეგებმა და სოციალური ურთიერთობის უალრესად მძიმე ფორმებმა განაპირობეს ეკონომიკური თვალსაზრისით დასავლეთ საქართველოს გარკვეული ჩამორჩენა აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით. დასავლეთ საქართველოს ვაჭრობა თურქეთთან მეტ-ნაკლებად პასიურ ხასიათს ატარებდა: გაჰქონდათ უპირატესად ნედლეული, ხოლო შემოჰქონდათ თურქული თუ ევროპული მზა ნაწარმი. ამის გამო, მართალია, შემოტანილ საქონელში ბევრი ადგილობრივი მოსახლეობისათვის მეტად დიდ აუცილებლობას წარმოადგენდა, მაგრამ ამ ვაჭრობას მაინც არ შეეძლო დადებითი როლი შეესრულებინა ქვეყნის საერთო-ეკონომიკურ განვითარებაში. ხოლო ის გარემოება, რომ თურქეთის ბაზარი ქართველი ტყვეებით ვაჭრობის ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი იყო, თურქეთთან ვაჭრობას ბარბაროსულ ხასიათს აძლევდა და იგი დამღუპველად მოქმედებდა ქვეყნის სასიცოცხლო პოტენციალზე. მართალია, XVIII საუკუნიდან მოკიდებული როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის ხელისუფლება არაერთ ზომას იღებდა ამ დამღუპველი ურთიერთობის აღმოსაფხვრელად, მაგრამ მან მაინც დიდხანს შეინარჩუნა თავისი საკალალო მნიშვნელობა, ყოველ შემთხვევაში, განსახილველ პერიოდში ეს საკითხი არ მოგვარებულა[35].

ს. ბრონევსკის ცნობით ფოთში ყოველწლიურად ოცამდე თურქული გემი შემოდიოდა. მათ უპირატესად შემოჰქონდათ დამარილებული თევზი და ხიზილალა, საშუალო ხარისხის ევროპუ-

---

[33] სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 177, 370, 517.

[34] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 160, 173.

[35] ჰ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 258—351.

ლი მაუდი, შუშის ჭურჭელი, აბრეშუმის და ბამბის ქსოვილები, რკინის ნაკეთობები, მარილი და სხვ. ყველაფერ ამას ცვლიდნენ: ბრინჯზე, ფეტვზე, თაფლზე, ცვილზე, მელისა და კვერნის ტყავებზე და ა. შ.[36]

XIX ს. პირველ მესამედში თურქეთის სხვადასხვა საკაპრო ცენტრებთან მნიშვნელოვან ვაჭრობას აწარმოებდა აღმოსავლეთ საქართველო. ქართველი ვაჭრები თურქეთის მეშვეობით ხშირად ევროპის ბაზრებსაც უკავშირდებოდნენ.

თურქეთან ვაჭრობაში ბევრი მსხვილი ქართველი ვაჭარი მონაწილეობდა, ერთ-ერთი მათგანი იყო ზუბალაშვილი, რომლის შესახებ წინა პარაგრაფში იყო საუბარი. რომ ამგვარი ვაჭარი აღმოსავლეთ საქართველოში ბევრი იყო იქიდანაც ჩანს, რომ რუსეთ-თურქეთის ომების პერიოდში (1806—1812; 1826—1828) ადგილობრივ ხელისუფლებას საგანგებო ზომების ჩატარება სჭირდებოდა, რათა ქართველი ვაჭრების თურქეთის პროვინციებში მიმოსვლა შეეზღუდა[37].

ვინაიდან ეს ვაჭრობა ძირითადად ახალციხისა და ყარსის მეშვეობით წარმოებდა ბუნებრივია, რომ მასში აქტიურად მონაწილეობდნენ იქაური სომხები თუ ქართველი ვაჭრებიც. 1807 წლის ცნობით მარტო თბილისსა და გორში 40-ზე მეტი თურქეთის ქვეშევრდომი ვაჭარი მოღვაწეობდა მათ შორის 1 ბერძენი, 3 ებრაელი, 4 სომეხი, 3 ქართველი და 22 კათოლიკე (სომეხი და ქართველი)[38].

---

[36] С. Броневский. Новейшия географическия сведения о кавказе, ч. 1, М., 1823. с. 250—251.

[37] სცსია, ფ. 16, საქმე 508, ფურც. 2.

[38] სცსია, ფ. 16, საქმე 508, ფურც. 10—11; ზოგიერთი ვაჭრის შესახებ წყარო მიუთითებს, თუ რა საქონელი აღმოაჩნდათ მათ შემოწმებისას. მაგალითად, «Арзрумского жителя Осипа Аганезова 75 концов кисей белой или хаси—5 р. на 375 р; 21 кож буйволых кажд. по 4 р—84р. 10 батманов краски сандалу каждый по 13 р—130; пол въюка арехов чернильных...; Один сундук в нем 69 подзорных труб; 3 дюжины зеркал малаго сорта—9; 7½ дюж. табакерок простых — 7. 50; булавок, наперстков медных и колокольчиков — на 7 р.; 3 фунта краски лилибуты на 3 р., 3 литры... на 9 р. дюжин бритв простых 24; 6 батманов нашатыр каждый по 15 р. — 90; 105 пил малаго сорта железных — 30; 10 пил всем цена — 7 р.; 3 фунта корицы...; 28 фунта сабру для лекарства 42; 1 литра... 5 р. пол литра турецких сухих чернил— 4; სულ 852 მანეთისა და 50 კაპ. საქონელი. მეორე არზრუმელ ვაჭარს ოგანეზ ოსიპოვს აღმოაჩნდა: «...6 концов пасирханского ситцу—24 р.; 45 аршин атласу алаго российского

გატანილ საქონელში სოფლის მეურნეობის პროდუქტებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სამრეწველო საქონელსაც, კერძოდ მნიშვნელოვანი რაოდენობით გაჰქონდათ ოქრო-და ვერცხლქსოვილები, მანდილები და თავსაკრავები, ცხენის აკაზმულობა, დიენისა და ბალიშ-მუთაქის საპირეები, კამეჩის გამოყვანილი ტყავები[39], დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ბამბეულის ქსოვილებიც[40].

თურქეთთან ვაჭრობაში ჩაბმული იყო არა მარტო მისი მოსაზღვრე ქართული პროვინციები, არამედ მისგან დაშორებული საგაჭრო ცენტრებიც: ქ. თბილისი, კახეთის ქალაქები და სხვ. მაგალითად, არაერთი ცნობა კახეთსა და ყარსს შორის ინტენსიურ ვაჭრობას ადასტურებს. ადგილი ჰქონია ფარულ (უბაჟო) ვაჭრობასაც, რის გამოც ადგილობრივი ხელისუფლება ფარული ვაჭრობის ტრასაზე საბაჟოების მოწყობის საკითხსაც კი აყენებდა[41].

თბილისის საბაჟოს უწყისებში თურქეთიდან შემოტანილი საქონელიც ჩანს, მათ შორის შალის, აბრეშუმისა და ტილის ქსოვილები[42].

ამრიგად, XVIII საუკუნის წიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ირანისა და თურქეთის პოლიტიკური გავლენის ორბიტიდან გამოსვლას ამ ქვეყნებთან მისი საგაჭრო ეკონომიკური კავშირი არ შეუწყვეტია.

პირიქით, იმის გამო, რომ რუსი ვაჭრები ირანის ბაზრებზე გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ, ხოლო 1783 წლის

—90 р.; 14 аршин атласу темнозеленного 28; 8 аршин атласу голубого—16; 60 платков турецких малаго сорта; $2^1/_2$ конца плакатов 42 р. 50 к.; 10 концов жисей белой хаси— 216 р. 15 концов мадернаку — 210 р. 15 концов чадроваго ситцу — 30 р; 1 одеяло унгурское — 2р; $2^1/2$ батмана шолку сирцу 100; 14 концов джалашей— 33 р. 60 к.; 1 одеяло хойское 1; 1 конец платков муменских—2р. 3 кожи выдровых 3 р.; 4 фунта имбир 4—50, 2 сундука Алау—13 батманов—65 р.; $9^1/2$ батманов синей краски — 332—502 ; 4 батмана сандалу — 52; 9—кожи буйволых —40; სულ, 1352 მ. 10 კ. საქონელი. როგორც ვხედავთ, აქ არეულია ქართული, რუსული, თურქული და სპარსული საქონელი. ეს იმას ნიშნავს, რომ ვაჭარი ცალობით ვაჭრობას ეწევა და პარალელურად ყიდულობს ის საქონელს რომელიც ადგილობრივ ბაზარზე იშოვება და სამშობლოში კარგად გასაღდება.

39 ვ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 118.

40 სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 1202, ფურც. 251.

41 სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 132, წიგნი 11, ფურც. 160.

42 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 416, ფურც. 193.

ტრაქტატის ძალით ქართველი ვაჭრები მათ გაუთანაბრდნენ. ირანის საგაჭრო ცენტრებში უკანასკნელთა კომერციები მნიშვნელოვნად გაადვილდა.

ირანთან ვაჭრობას საქართველოსათვის დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იქიდან დიდი რაოდენობით შემოდიოდა ქვეყნის მრეწველობისათვის მეტად საჭირო ნედლეული: ბამბა, ნართი, საღებავები და სხვ. ამავე დროს თურქეთთან ვაჭრობა ერთგვარად გაორებული ხასიათს ატარებდა: აღმოსავლეთი საქართველო მასში აქტიურ როლს ასრულებდა და საფუძვლიან სარგებლობასაც ნახულობდა, დასავლეთ საქართველოსათვის კი იგი ხშირად საზიანოც კი იყო.

რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ხშირი ომები, რასაც XIX საუკუნის პირველ მესამედში ჰქონდა ადგილი აფერხებდნენ ვაჭრობის ნორმალურ განვითარებას.

2. კავკასიის მთიანეთთან საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობის ხასიათი

საქართველო მთებით გარშემორტყმული ქვეყანაა და, ბუნებრივია, რომ მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ურთიერთობას მთიელ ხალხებთან. განსაკუთრებულ ფორმას იღებდა ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიასთან, რომელიც როგორც სოციალურ-ეკონომიკური წყობით, ისე ეროვნულ-რელიგიური ნიშნებით საქართველოსგან განსხვავებულ რეგიონს წარმოადგენდა.

სწორედ ეს განსხვავებულობა (ძირითადად სოციალურ-ეკონომიკურ წყობაში), მათი გეოგრაფიული მდებარეობა და პოლიტიკური მდგომარეობა განსაზღვრავდა ამ ურთიერთობის ხასიათს. მას შემდეგ, რაც მთის მოსახლეობაში კერძო საკუთრებისა და საქონელგაცვლის ელემენტები იწყებდა შეჭრას. მათთვის ბარის მოსახლეობასთან ურთიერობას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა. მთური მეურნეობისათვის უცხო ბარის პროდუქტები, მესაქონლეობისათვის აუცილებელი ზამთრის საძოვრები, მთიელი მოსახლეობისათვის განსაკუთრებით ზრდიდა ბარის მოსახლეობასთან ურთიერთობის საჭიროებას.

ცივილიზაციის გაჩენასთან ერთად გაჩნდა პრობლემა განვითარების სხვადასხვა სტადიაზე მყოფი საზოგადოებების ურთი-

ერთმოქმედებისა და ბრძოლისა[43]. საქართველოს ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ამ პროცესის თვალნათლივი გამოვლინებაა. სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით შედარებით მაღალგანვითარებული ქართული საზოგადოება ეკონომიკური ზეგავლენით (ვაჭრობა, სამხედრო ძალის დაქირავება, სამეშოს მიცემა, ზამთრის საძოვრების საკითხის რეგულირება და ა. შ.) ცდილობდა თავის გავლენის ქვეშ მოექცია მთიელები, საკუთარი ინტერესების შესაბამისად წარემართა მათი საქმიანობა. თავის მხრივ, მთიელი მოსახლეობის საზოგადოება ნახევრად ფეოდალური ზედაფენის მეთაურობითა და კარნახით იბრძოდა, რათა ძალით მიეთვისა განსხვავებულ გეოგრაფიულ გარემოსა და შედარებით მაღალი სოციალურ-ეკონომიკური წყობის პირობებში დამზადებული მისთვის სასიცოცხლოდ საჭირო პროდუქცია.

ამ ორი მისწრაფების დაპირისპირებულობა, ზემოქმედება და ბრძოლა განაპირობებდა საქართველოს ურთიერთობას ჩრდილო კავკასიის მთიელებთან ხანგრძლივი ისტორიული თანაცხოვრების მანძილზე. თუ რომელი მისწრაფება იმარჯვებდა ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთზე, ეს განისაზღვრებოდა შექმნილი პოლიტიკური სიტუაციით, საშინაო თუ საგარეო ფაქტორებით.

საქართველოს პოლიტიკური ძლიერების ხანაში ეკონომიკური განპირობებულობის ფაქტორი მთიელებზე ბატონობის საფუძველი იყო. ამ მხრივ შეტად საინტერესოა ის ცნობები, რომლებსაც ვახუშტი ბაგრატიონი გვაწვდის: დიდოელები „ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა და აძლევენ ხარკთა და არა ლაშქართა, რათა ვიდოდნენ სავაჭროდ კახეთს, ვინაითგან ზიდვენ კახეთიდამ საზრდელსა, ხაშილოსა და სახმარსა თვისსა“[44]. ოსებს „არა არს ქუეყანათა მათთა შინა მარილი, სელი, კანაფი, და ბამბა და აბრეშუმი, რათამცა ყონ სამოსნი თვისნი. ამისთვის უმეტესნი სცხოვრობენ ცხოვართა ტყავითა, გარნა ამათაც ზიდვან ქართლიდამ, რაჭიდამ და ჩერქეზიდამ. და ამისთვისცა მორჩილებენ თვის-თვისთა მხარეთა და კუალად უმეტესად საზრდელთათვისცა“[45].

---

[43] Принципы историзма в познании социальных наук, М., 1972, с. 71.

[44] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 553.

[45] იქვე, გვ. 641. ურთიერთობის ხასიათი იგივე ფნდა ყოფილიყო ქართველ მთიელთა მიმართაც იმ განსხვავებით, რომ ეროვნული შეგნების ელემენტები, რაც ისტორიულ-პოლიტიკური მრავალსაუკუნოვანი ერთობის საფუძველზე ყალიბდე-

როგორც აღვნიშნეთ, ურთიერთობის ხასიათს ქვეყნების პოლიტიკური მდგომარეობა და სხვა ფაქტორები განსაზღვრავდა. ამიტომ საქართველოს პოლიტიკური დასუსტების ხანაში, ხოლო უფრო გვიან, იმ მძიმე პოლიტიკურ სიტუაციაში, რომელიც საქართველოში XVIII საუკუნის მიწურულს შეიქმნა, დამოკიდებულება იცვლება. ქართული ხელისუფლება იმისათვის რათა შეანელოს მთიელთა გამანადგურებელი მძარცველური თავდასხმები, ცდილობს სამხედრო ღონისძიებებთან ერთად (ციხეების შენება, მორიგე ჯარი და სხვ.) ეკონომიკურ ზომებსაც მიმართოს: მთიელთათვის საქართველოში უბაჟო ვაჭრობის დაწესება, ბარში ჩამოსახლებისათვის ხელშეწყობა, ჯამაგირი და ბოლოს ხარკიც კი—სწორედ ამ რიგის ღონისძიებებად მოსჩანან. მართალია, იმისათვის, რომ არ დაცემულიყო კავკასიაში ყველაზე დიდი პოლიტიკური ერთეულის (ქართლ-კახეთის სამეფოს) პრესტიჟი, მთიელთა დიდი გაერთიანებების ბელადებისათვის მათ მიერ ქვეყნის ძარცვა-რბევისაგან ხელის აღების სანაცვლოდ გასამრჯელოს მიცემას, ჯამაგირს უწოდებენ, რითაც ფორმალურად უსვამენ ხაზს იმ გარემოებას, რომ თითქოს არ შეცვლილა ბატონისა და ვასალის ძველი დამოკიდებულება, მაგრამ ფაქტიურად, რა სახელიც არ უნდა რქმეოდა მას, ეს ხარკი იყო, რაც ქვეყანას მეტად მძიმედ აწვებოდა.

მთიულ ხალხებთან ურთიერთობის ხასიათი საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც, ყოველ შემთხვევაში პირველ ხანებში მაინც, არ შეცვლილა. შეერთების პირველ წლებში, როცა რუსული ხელისუფლება ფეხს იკიდებდა ამიერკავკასიაში და როცა მას ამ საქმეში ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა გარემომცველი მაჰმადიანური სამყარო, იმ პოზიციას, რომელსაც კავკასიის მთიელები დაიჭერდნენ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის მიზნების განხორციელებისათვის. მეორე მხრივ, მთიელთა გამაჩანაგებელმა შემოსევებმა, ქვეყნის სამხედრო პოტენციალის გაზრდის

ბოდა რელიგიური სიახლოვე და საკარაუდოა სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის მეტი სიახლოვეც ერთგვარად არბილებდნენ ამ ურთიერთობის სიმწვავეს. იგივე ავტორი, მაგალითად, ფშაველთა შესახებ აღნიშნავს: „ვინაიდგან მაგარ არს ქვეყანა ესე და უბრძოველი მთითა, და კლდითა, და ტყითა, ამისთვის იყოფებიან მშვიდად და მონებენ ვისცა უპყრავსთ მთიანეთი, რამეთუ იზდრდებიან მუნიდამ“, იქვე, გვ. 533. თუშებზე: „ხოლო ფარსმანი უფრო მწირ არს, გარნა ამათ მიერ იგინიცა გამოიზრდებიან. კახეთით რამეთუ მათ მიპყავთ და ვაჭრობენ. არამედ იგინი (წოვა, გომეწარი, ჩაღმა თუშები— მ. ს.), არა ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა, ხოლო ესენი მორჩილნი, მოლაშქრენი და მეხარკენი არიან —იქვე, გვ. 554.

შედეგად, რაშიაც დიდი როლი მიუძღვის საქართველოში დაბანაკებულ რუსეთის რეგულარულ მხედრობას, მართალია იკლო, მაგრამ იგი მაინც დიდხანს არ აღკვეთილა. ამის გამო ადგილობრივი ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა ეს საკითხი შეძლებისდაგვარად მშვიდობიანი გზით გადაეჭრა. ამიტომ მან შეინარჩუნა საქართველოს დამოუკიდებლობის დროიდან არსებული კავკასიელ მთიელთა ეკონომიკური პრივილეგიები: ლეკებს ნება ეძლეოდათ უბაჟოდ შემოეტანათ და გაეყიდათ საქონელი საქართველოში. და ეს მაშინ, როცა თვით ქართული საქონელი კახეთიდან თბილისში რომ შემოეტანათ, ბაჟით უნდა დაბეგრილიყო[46].

მეორე მხრით, რუსული ხელისუფლება სასტიკად კრძალავდა ვაჭრობას მთიელთა იმ თემებთან, რომლებიც რუსეთის მიწართ მტრულ დამოკიდებულებას იჩენდნენ და არამცთუ უბაჟოდ, საერთოდ არ უშვებდა მათ საქართველოს ბაზარზე და თვით ქართველი ვაჭრების ამ თემებში სავაჭროდ წასვლასაც კი კრძალავდა. ერთი სიტყვით, ცდილობდა ეკონომიკური ზემოქმედება მოეხდინა მათზე, მოეწყო ეკონომიკური ბლოკადა.

მაგრამ ამ ღონისძიებას მაინც არ შეეძლო აღნიშნულ ხალხებთან სავაჭრო ურთიერთობის აღკვეთა, რადგან ეს ურთიერთობა ორმხრივ ეკონომიკურ დაინტერესებულობაზე იყო დამყარებული. ამრიგად, თუ ხელისუფლების ვესვეურთათვის მთიელებთან ვაჭრობა პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენდა, საქართველოს ვაჭართა ფენისათვის მას ხელსაყრელი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. „სავაჭრო კაპიტალი კაპიტალისტური წარმოების გაჩენამდე განსხვავებულ წარმოების წესებს ემსახურება. უფრო მეტიც, სწორედ

---

[46] ლეკებთან ვაჭრობის ტრადიციული ქართული წესის მიხედვით თუ თვითონ ლეკი შემოიტანდა საქონელს ბაჟს არ იხდიდა, თუ ლეკებიდან არალეკი შემოიტანდა ჩვეულებრივი ბაჟით იბეგრებოდა. რუსულმა მმართველობამ, როგორც ჩანს დაუბუსტა აღნიშნული წესი: «...ежели сукно кубачское привезут пошлина берется с каждого конца по 20 к. Ежели лезгины привезут бурок, суконных шаровар и сукна чего бы они не привезли пошлины от них не берутся, ктож от них купит и вывезут пошлина берется по 20 ко, а для караула смотря на вьюки береться», სცსია, ფ. 16, საქ. 333, ფურც. 15—24; 1803 წელს ჭირიანობის დროს ლეკებმა თბილისში საქონლის დიდი პარტია შემოიტანეს, მაგრამ ქალაქი დაცარიელებული იყო და საჭირო შეიქნა ამ საქონლის ქალაქიდან სხვაგან წაღება. ბაჟის იჯარის შემსყიდველებმა მათ სათანადო ბაჟის გადახდა მოთხოვეს. ლეკებმა კი პროტესტი განაცხადეს ჩვენ რუსეთის ხელისუფლების მიერ ყოველგვარი გადასახდისაგან თავისუფლები ვართო. სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 29, 1803 წ. ფურც. 288—29.

წარმოების წესთა განსხვავებულობა, ანდა ყოველ შემთხვევაში იმ ხალხების ეკონომიკური განვითარების დონე, რომელთა შორისაც იგი შუამავლობდა, განსაკუთრებით ხელსაყრელ ვითარებას ჰქმნიდა საგაჭრო (ვაჭრული) მოგების მისაღებად"[47].

მეურნეობის სიმწირე და ცალმხრივი ხასიათი მთის მოსახლეობას კარნახობდა სასაქონლო წარმოების ფორმა მიეცა საოჯახო წარმოებისა და ხელოსნობის ზოგიერთი დარგისათვის. ლეკთა რიგ დაწინაურებულ საზოგადოებებში აწარმოებდნენ საკმაოდ კარგი ხარისხის მაუდს, ნაბდებს, ჩულს, ოქრო-ვერცხლის ნაკეთობებსა და იარაღს, რომელიც საქართველოს ბაზრებზე მოწონებით სარგებლობდა.

როგორც აღვნიშნეთ, ლეკებს საქართველოში თავისუფალი ვაჭრობის პრივილეგია ჰქონდათ მინიჭებული. ისინი შემოტანილ საქონელზე ბაჟს არ იხდიდნენ, ხოლო თუ ლეკურ საქონელს ადგილობრივი ან უცხო ვაჭარი შემოიტანდა, ეს საქონელი ჩვეულებრივად იბეგრებოდა. ბაჟს იღებდნენ იმ შემთხვევაშიც, თუ ვაჭარი ლეკურ საქონელს სხვაგან (ვთქვათ, თბილისის გარეთ) წაიღებდა გასაყიდად[48]. მაგალითად, საპალნე ნაბადზე 12 მანეთს იღებდნენ, ხოლო გატანის შემთხვევაში თითო ნაბადზე 20 კაპიკს[49].

თვით ლეკები თავიანთი საქონლის ფულზე გაყიდვას ერიდებოდნენ, რადგან სამშობლოში ფულის ტრიალი უცნობი იყო[50]. ჩვეულებრივ ისინი ადგილობრივ ნაწარმზე ცვლიდნენ[51], განსაკუთრებით ბამბის ქსოვილებზე[52].

არსებული მასალები საშუალებას არ იძლევიან რათა საქართველოს მთიელ ხალხებთან ვაჭრობის მოცულობა და დინამიკა რაიმე ციფრობრივ მონაცემებში გამოიხატოს. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც იძლევიან საერთო წარმოდგენას ამ ვაჭრობაზე და მის საგულისხმო მასშტაბებზე.

ს. დ. ბურნაშოვი, ახასიათებს რა საქართველოს საგარეო ვაჭ-

---

[47] Б. Ф. Поршнев, Феодализм и народные массы, М., 1964, с. 128.

[48] სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 29, 1803 წ. ფურც. 182.

[49] იქვე, საქმე 132, ფურც. 81—83.

[50] „არა უწყიან თეთრი არამედ თეთრისა წილ ნაბადი. ჩოხა, ხამი, შალი, ცხვარი, ძროხა და ტყვე და ვაჭრობენ ურთიერთ შინა ამით". ვახუშტი..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 635.

[51] სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 132, ფურც. 81—83.

[52] იქვე, საქმე 1279, ფურც. 140.

რობას, განსაკუთრებით გამოჰყოფს მის საქონელბრუნვას მთიელ და სპარსელ (იგულისხმება აზერბაიჯანის სახანოები) მეზობლებთან: „ვაჭრობენ სპარსეთთან და ინდოეთთან, რუსეთიდან მცირე რაოდენობით ჩამოტანილი საქონლით; ხოლო იქიდან ქარავნებით იღებენ აბრეშუმის (და) ბაღების სპარსულ და ინდურ ქსოვილებს, ასევე ფაიფურის ჭურჭლეულს; დიდი ვაჭრობა აქვთ მთიელ და სპარსელ ახლო მეზობლებთან. მათი ხელსაქნარით ანუ სპილენძის ჭურჭლით, ბოჩითული, შეღებილი და თეთრი ბამბის ტილოებით, ცხენის მოსართავებით, ხმლებითა და ხანჯლებით, რკინის წვრილმანი საქონლით, ლაბადებით, ქუდებითა და ფეხსაცმელებით, რამეთუ ამ საჭიროებებით კავკასიის თითქმის ყველა ხალხები და ყველა მეზობლები თბილისელი სომხების შრომისმოყვარეობით სარგებლობენ"[53]. მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება ჩვენ ჩ. ახრიევის ცნობა იმის შესახებ, რომ ძველ დროს საქართველო ინგუშებში ჩითების ქვეყნად ითვლებოდა[54].

კავკასიის მთიანეთთან ვაჭრობას ქართული ეკონომიკისათვის სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა. განსახილველ ხანაში ამიერკავკასიაში აღიარებული სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი თბილისი იყო. თბილისში თავს იყრიდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მთელი საქართველოდან და საქართველოს იმ ადგილებიდანაც, რომლებიც მაშინ პოლიტიკურად დროებით მოწყვეტილი იყვნენ მისგან (ახალციხე, ფოთი და სხვ.). აქ შემოდიოდა საქონელი უცხოეთის ყველა იმ ქვეყნიდან, რომელთანაც საქართველო ვაჭრობდა, ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ თბილისი კავკასიის მთიელ მოსახლეობასთანაც ყველაზე ფართო და მნიშვნელოვან ვაჭრობას აწარმოებდა. მთიელები აქ მოდიოდნენ მთელი პარტიებით, ზოგჯერ 500 და მეტი კაციც კი[55]. ამგვარი მაგალითები უამრავია. საგულისხმო და აღსანიშნავი სხვა გარემოებაა: კერძოდ ის, რომ თბილისის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობა დაინტერესებულია ამ ურთიერთობით და იგი მისი განვითარების მომხრე და მოსურნეა. ამ მხრივ საყურადღებოა საქართვე-

---

[53] С. Д. Бурнашов, Картина Грузии или описание политического состояния Царства Карталинского и Кахетинского. Курск, 1793, с. 12.

[54] Ч. Ахриев, Ингуши (их предания верования и поверья), ССКГ, вып. VIII, Тиф., 1875, с. 17; В. Н. Гамрекели, Торговые связи восточной Грузии с Северным Кавказом в XVIII в., I, Тб., 1968, с. 32—33.

[55] С. Д. Бурнашов, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

ლოს სამოქალაქო გუბერნატორის კოვალენსკის მოხსენება კნორინგისადმი: „შიკრიკმა მოიტანა ანწუხისა და კაპუჩინის ხალხებისაგან ჩემს სახელზე გამოგზავნილი წერილები, რომლებშიც ისინი ითხოვენ ნება მიეცეთ, რათა უწინდებურად აწარმოონ ვაჭრობა საქართველოსთან, რისთვისაც მათ უკვე გამოუშვეს საზღვარზე ერთი ქარავანი; მეორე მხრივ აქაური ვაჭრები და ხელოსნები, რომელთა ნაწარმითაც უწინ ლეკებთან ვაჭრობა წარმოებდა... დაჟინებით ითხოვენ, რათა ლეკებს ნება მიეცათ ძველებურად აწარმოონ ვაჭრობა საქართველოში“[56].

როგორც ვხედავთ, ორივე მხარე დიდად დაიტერესებულია ამ ვაჭრობით, რაც მათ ურთიერთგანპირობებულობაზე მიუთითებს. თბილისი მთიელთა თემებთან ვაჭრობის ერთადერთი ცენტრი არ ყოფილა. ეს ვაჭრობა დიდი სიცხოველით მიმდინარეობდა შედარებით მცირე სავაჭრო-საბრეწველო პუნქტებში, რომლებიც მრავლად არსებობდნენ კავკასიონის მთისწინეთის გაყოლებაზე კახეთიდან რაჭა-ლეჩხუმამდე და იმერეთამდე. აღნიშნული ცენტრები მნიშვნელოვან საქონელგაცვლას აწარმოებდნენ კავკასიის მთიელთა იმ საზოგადოებებთან, რომლებიც მათ უშუალოდ ემეზობლებოდნენ.

ლიხთ-იმერეთში ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრად ონი მოჩანს. გიულდენშტედტის აღწერით, აქ „ცხოვრობენ იმერლები, სომხები და ებრაელები, ყველანი ლაპარაკობენ ქართულად, ერთმანეთში კი თავიანთ ენაზე, სომხები და ებრაელები ვაჭრობენ წედისიდან მოტანილი რკინის ნივთებით, ბამბის ქსოვილებით ქართლიდან და მარილითა და ფეტვით; ამიტომ ოსები მოდიან აქ დვალეთიდან და დუგორიდან; ბალყარელები, ბასიანელები და აგრეთვე სვანებიც მოდიან“[57]. ავტორი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს, როცა ბასიანის პროვინციაზე ლაპარაკობს და აღნიშნავს, რომ „ბალყარელებს რაჭაში, რიონზე მდებარე ონში გამართულ ბაზრობაზე მოაქვთ უბეში მაუდი, ქეჩა და მისთანები და ყიდულობენ ბამბის ქსოვილებს და სხვას“[58]. სხვა ადგილას ლაპარაკობს რა აღნიშნული ხალხების საქართველოსთან პოლიტიკურ დამოკიდებულებაზე, იგი კვლავ აღნიშნავს: „ქართველ მე-

---

[56] В. Н. Гамрекели, Торговые связи Восточной Грузии с Северным Кавказом..., Тб., 1968, с. 27.

[57] გიულდენშტედტის მოგზაურობა..., ტ. I, გვ. 107.

[58] იქვე, ტ. II, გვ. 45.

ფესთან ახლა მათ არავითარი კავშირი არა აქვთ, რადგან ისინი ამჟამად ძალიან სუსტები არიან და აგრეთვე გადმოსასვლელები რაჭიდან და სვანეთიდან ძალიან მძიმეა... რომ მათ ამ პროვინციებიდან მალყარში და აქედან კი ჩეგემსა და ყარაჩაიში შეეძლოთ მიმოსვლა. მალყარელები კი მაინც დადიან რაჭაში, ონის ყოველკვირეულ ბაზრობაზე, სადაც თავისი საქონელი—ქურქები, ქეჩები და ჩექმები მოაქვთ და ცვლიან ბამბის ჭსოვილებზე და რკინის იარაღებზე"[59]. პლატონ ზუბოვის ცნობით, ყარაჩაელების, ჩეგემენებისა და მალყარელებისათვის იმერეთი ვაჭრობის ძირითადი ადგილია, სხვა გზა და სხვა ვაჭრობა მათ არ იციან: „ყველა ეს ხალხები, — ამბობს იგი, — აწარმოებენ ვაჭრობას იმერეთთან, პატარა სავაჭრო დაბა ონი, იმერეთის მაზრაში რაჭაში, ამ ვაჭრობის მთავარი პუნქტია; ყარაჩაელები, ჩეგმენები და მალყარები ეზიდებიან იქ თავის საოჯახო უხეშ ნაწარმს: სქელ მაუდებს, ქეჩებს, ნაბდებს, ხიფთანებს, ასევე ბეწვეულს. იძენენ აქ: მარილს, ბამბეულის ნაწარმს და ოჯახისათვის აუცილებელ წვრილმან საქონელს"[60].

აქ, ჩვენი აზრით, მეტად საინტერესო გარემოებას უნდა გაესვას ხაზი, რომ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის საშუამავლო ვაჭრობაში აქტიურად მონაწილეობდა მთის ქართული მოსახლეობა. მ. სელეზნიოვი, აღწერს რა სვანთა ყოფას, აღნიშნავს, რომ „საკუთრივ ქვეყნის წიაღისეულიდან მხოლოდ თვითნაბადი გვარჯილა აძლევს სვანებს შემოსავალს... ამზადებენ დიდი რაოდენობით დენთს, რომლითაც სხვა მთიელებს ამარაგებენ. ყოველი ოჯახი ამზადებს დენთს.

ამას გარდა გარკვეულ სარგებელს ნახულობენ ისინი წვრილმან სატრანზიტო ვაჭრობით. სვანები ლეჩხუმში აგროვებენ ჩითებს, ბამბის ტილოებს (ხამს) და სხვას. საქონელი მიაქვთ ყარაჩაიში, ურუსში, ჩეგემში და ხუნაპში, სადაც ცვლიან ქეჩებზე, ნაბდებზე და ჩოხებზე, რომლებიც კვლავ (მოაქვთ) ლეჩხუმში, ხოლო მონაგებით სამეგრელოში თავისთვის ყიდულობენ მარილს, რკინას და ტანსაცმელს"[61].

---

[59] გიულდენშტედტის მოგზაურობა..., ტ. 1, გვ. 221.

[60] Картина Кавказского Края Платона Зубова, ч. 3—4, СПб., 1838, с. 135.

[61] Руководство к познании Кавказа Михаила Селезнева, кн. 1, СПб., 1847, с. 140.

აღნიშნული ამონაწერი მეტად საყურადღებოდ მოჩანს არა ჩარტო საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ვაჭრობის, არამედ თვით სვანთა, საქართველოს ყველაზე მაღალმთიანი მოსახლეობის, ეკონომიკური განვითარების ტენდენციის გარკვევის თვალსაზრისითაც.

განხილული და ბევრი სხვა საარქივო და ლიტერატურული წყაროების მიხედვით (რომელთა დაწვრილებით მოტანა ძალიან შორს წაგვიყვანდა) დგინდება, რომ თბილისი, ონი, ცხინვალი, ახალგორი, დუშეთი, ანანური, თელავი, შილდა, ყვარელი, სიღნაღი და სხვ. მეზობელ კავკასიელ ხალხებთან საქართველოს ინტენსიური ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრები იყვნენ. უფრო მეტიც, ბევრი მათგანის ჩამოყალიბება, როგორც სავაჭრო და ხშირად საამრეწველო ცენტრისა და განსახილველ ხანაში მათი ამგვარი ხასიათის შენარჩუნებაც, მნიშვნელოვანწილად სწორედ კავკასიის მთიელ ხალხებთან სავაჭრო ურთიერთობით იყო განპირობებული. ოფიციალურ დოკუმენტებში ცხინვალის, ახალგორის, ყვარლისა თუ სხვა ცენტრების დახასიათებისას პირდაპირაა მითითებული, რომ ისინი უპირატესად ვაჭრობას აწარმოებენ მეზობელ მთიელ მოსახლეობასთან, რომ აქ დამზადებული პროდუქცია ძირითადად კავკასიის მთიელებში საღდება. მაგალითად, საქართველოს მმართველის ერთ-ერთ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ცხინვალსა და გორში დამზადებული ქსოვილები ძირითადად ოსეთში საღდება[62]. ამის გამო აღნიშნული ვაჭრობის მიმდინარეობა ხშირად არსებით გავლენას ახდენდა თვით პროდუქციის დამზადების მოცულობაზე: არკვევდა რა საკითხს თბილისის სამღებრო და საქსოვი წარმოების შემცირების მიზეზების შესახებ 1803—1804 წლებში, თბილისის კომენდანტი აღნიშნავდა, რომ „საყოველთაო შფოთი საქართველოში, მთიელეთის აჯანყება და ასეთივე ყაბარდოელებისა და სხვა მთიელი ხალხებისა, რომლებიც კავკასიის მთების ხეობებში და კიბეებში მგზავრობისათვის ყველაზე ხელსაყრელ პერიოდში გრძელდებოდა, იყო მიზეზი იმისა, რომ აქ დამზადებული ნარმა და მისი მსგავსი ქსოვილები საქართველოს მეზობელ ხალხებში არსად არ იქნა გატანილი, რადგან მათგან არ იყვნენ მყიდველები, რომლებმაც ლეკებისა და ყაბარდოელებისაგან ჩამოსვლა მხოლოდ შემოდგომაზე (იწყეს), მათ გარეშე კი ნარმა, ჩითი და სხვა მისი მსგავსი საქონელი გასასყიდად მეტად მცირე რაოდენობით გა-

---

[62] სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 257, 1811 წ., ფურც. 298.

მოდის, ხოლო გაყიდვის ბიზედვით ხდება წარმოებაც"[63]. რასაკვირველია, თბილისის კომენდანტი მართალი არ იყო, როცა საქმეს ისე ხატავდა, თითქოს თბილისის საქსოვი წარმოება ძირითადად მხოლოდ საქართველოს მეზობელ ხალხებთან ვაჭრობაზე იყო დამოკიდებული; იგი მნიშვნელოვანი რაოდენობით მზადდებოდა ადგილობრივი ბაზრისთვის და გადიოდა რუსეთის ბაზარზეც (ამაზე ქვემოთ), მაგრამ აქედან ორი ძირითადი დასკვნა მაინც სწორია: 1. რომ გზების შეკვრამ უარყოფითად იმოქმედა საფეიქრო წარმოებაზე, რადგან აღნიშნული გზებით ეს საქონელი რუსეთშიაც გადიოდა და 2. რომ მთიელ ხალხებთან ვაჭრობა გარკვეულ გავლენას ახდენდა ამ წარმოებაზე.

1810 წელს ცხინვალის სამღებროსა და საბეჭდავის შემსყიდველმა მირიმან მირიმანოვმა თხოვნა შეიტანა სახაზინო ექსპედიციაში: იმის გამო, რომ თქვენ მთიელებს ბარში მიმოსვლა აუკრძალეთ, ჩემი შემოსავალი შემცირდა და საიჯარო თანხის ნაწილი უნდა ჩამომეწეროსო[64]. მირიმანოვს განუმარტეს, რომ მთიელებს (ყერძოდ ოსებს) ჩვენ საავაზაკოდ მიმოსვლა ავუკრძალეთ და არა სავაჭროდ, ამიტომ თქვენი თხოვნა უსაფუძვლოაო, მაგრამ ეს არ არის მთავარი. საინტერესო ისაა, რომ კავკასიის მთიელებთან მიმოსვლის შეფერხება მარტო იმით კი არ ამცირებდა სამღებროების შემოსავალს საქართველოში, რომ იქ წასაღებად დამზადებული ქსოვილების რაოდენობამ იკლო, არამედ იმითაც, რომ თვით მთიულური ნაწარმი (სხვადასხვა შალეულის ქსოვილები) საქართველოს ბაზარზე მხოლოდ მას შემდეგ გამოდიოდა, როცა იგი შესაბამისად ადგილობრივ სამღებროებში გადამუშავდებოდა. ერთი სიტყვით, იქმნებოდა მეტად თავისებური ვითარება, როცა შედარებით მაღალგანვითარებული ქართული ეკონომიკა თავის საქონელბრუნვაში ითრევდა მთიელთა წარმოებას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ კავკასიის მთიელებთან ვაჭრობა ძირითადად საქართველოს ბაზრებზე წარმოებდა, ამის გამო ქართველ ვაჭართა მთის პროვინციებში სიარულის საჭიროება არ იყო და ამას ადგილი არც ჰქონია[65]. მაგრამ მასალებზე დაკვირვება გვარწმუნებს ამ დებულების გადასინჯვის აუცილებლობაში.

---

63 სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 152, ფურც. 379—384.

64 სცსია, საქმე 220, ფ. 254, აღწ. 1, ფურც. 639—640.

65 В. Н. Гамрекели, Торговые связи Восточной Грузии с Северным Кавказом, Тб., 1968, с. 23, 27, 28.

სასაქონლო ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და შინა ქართული ბაზრის ჩასახვის პირობებში ვაჭარი თანდათანობით კარგავდა პრივილეგიურ მდგომარეობას. ვაჭრობა აღარ იყო ცალკეულ (ერთეულ) პირთა საქმე. ჩნდებოდა კონკურენცია. ამდენად ვაჭართა კლასი მიისწრაფვოდა შორეული რაიონებისაკენ, სადაც მას საშუალება ჰქონდა შეენარჩუნებინა (მთლიანად თუ ნაწილობრივ) ძველი პრივილეგიური პირობები.

კონკურენციის სისუსტის პირობებში ვაჭარს თავისუფალი მოქმედების, დაკლების, მოტყუების და ა. შ. პერსპექტივები ეხსნებოდა. „ვიდრე სავაჭრო კაპიტალი განუვითარებელ საზოგადოებათა პროდუქტების გაცვლას მოსაშუალეობს, კომერციული მოგება გვევლინება არა როგორც სხვისი დაკლება და მოტყუება, არამედ იგი მეტწილად მართლაც აქედან წარმოდგება"[66].

ქართველ ვაჭართა ფენას კავკასიის მთიანეთისაკენ თავისუფალი (კონკურენციისა და კონტროლისაგან თავისუფალი) ვაჭრობა იზიდავდა. იგი მას მაღალი მოგების შესაძლებლობას უქმნიდა. ქართველ ვაჭართა შორეულ მთიან რაიონებში მიმოსვლის გაჭირვებული და ხელშემწყობი გარემოებები კარგად აქვს შეჩნეული პლატონ ზუბოვს: „ამიერკავკასიის მხარის ბევრი ვაჭარი, სწავლობს რა მთიელთა სხვადასხვა ენებს, მიდის ყველაზე დაშორებულ ხეობებში და სარგებლობს რა სტუმართმოყვარეობის სიწმინდით, ეწევა ვაჭრობას თითქმის დაუჯერებელი მოგებით, აწვდის რა მთიელებს საგნებს რომლებიც მათთვის უკვე აუცილებელი გამხდარან"[67].

როგორც ჩანს, მთის ხალხები კარგად გრძნობენ ვაჭართა დამოკიდებულების ხასიათს, რაღაც საპასუხო ზომების მიღებასაც ცდილობენ მაგრამ ამ ბრძოლაში ისინი უძლურნი არიან, რადგან სოციალურ-ეკონომიკური წყობის ხასიათი და ცხოვრების ყაიდა მათ მაინც ვაჭრებზე დამოკიდებულად ხდის. ამ თვალსაზრისით

---

[66] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 1, თბ., 1959, გვ. 419.

[67] Картина Кавказского Края Платона Зубова, ч. 1, СПб., 1834, с. 78. შემდეგ ავტორი ჩამოთვლის იმ საქონელს, რომელიც ვაჭრებს ჩააქვთ კავკასიის მთიელებთან. მაგალითად თამბაქო, მარილი და ღვინო, რისთვისაც ისინი არაერთხელ მონებად ყიდდნენ თავიანთ მამებს და ძმებს. განსაკუთრებით კი თავადების, უზდენების და სხვა შეძლებულ პირთათვის: მრგვალი ფესკები, ფერადი აბრეშუმი და ბამბა, საბნები, ყავა, პილპილი... ნუგბარი. სურნელოვანი საპონი, ქიშმიში, ნიგოზი, ფინიკი, ზეთისხილი, ფერუმარილი, ბლის ხის ჩიბუხები, ქარაფა, სავარცხლები; დიდი რაოდენობით უნაგირები, ყოველგვარი იარაღი, ტყვია, ფოლადი, ტყავები, ნალები, ნამგლები, მაუდი და ჩადრები.

შეტად საინტერესოდ მოჩანს ს. ბურნაშოვის ერთი ცნობა: „ათი თვეც არ არის მას შემდეგ, — მოგვითხრობს ავტორი, — რაც ყველა მფლობელი უზდენი და მთელი ხალხი საერთო წრეში ერთხმად შეთანხმდა და ფიცით დაამტკიცა, რომ არსაოდეს არ შეეშვათ თავიანთ საცხოვრებლებში სომხები, ეხლა კი მფლობელები კვლავ თხოვენ, რომ მათ მოინახულონ მათი სოფლები“[68]. სომხები რომ ამ შემთხვევაში ვაჭრის სინონიმია, ეს განმარტებას არ საჭიროებს. მათი ყაბარდოში შეშვების აკრძალვა, ცხადია, იმ მძარცველური ვაჭრობის საპასუხო პროტესტი იყო, რომელსაც იქ ბარიდან ასული ვაჭრები ეწეოდნენ. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ამ პროტესტს დიდი დღე არ ეწერა, იმის გამო, რომ მთიელები დამოკიდებული იყვნენ ამ ვაჭრებზე, რომლებიც მათთვის აუცილებელი საქონლის ბირთვადი მიმწოდებელნი იყვნენ.

როგორც განსახილველ, ისე მის წინა პერიოდში, ქართველი ვაჭრების კავკასიის მთებში მიმოსვლაზე არაერთი ცნობა მიუთითებს: 80-იან წლებში ომარ ხანი საქართველოზე სალაშქროდ ემზადებოდა. ამ ლაშქრობის საბაბად მან ის გამოიყენა, რომ ერეკლემ თბილისში დააჭერინა და საქონელი ჩამოართვა მის ქვეშევრდომებს, რომლებიც აქ სავაჭროდ იყვნენ ჩამოსული. ამგვარ ფაქტს მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ერეკლეს ბრძანებით ეს იყო საპასუხო ღონისძიება იმის გამო, რომ მანამდე ავართა სამფლობელოში გაძარცულ იქნა საქართველოდან წასული ვაჭრების დიდი ქარავანი[69].

ეხება რა მთიელებთან ვაჭრობის საკითხს, ს. ბრონევსკი აღნიშნავს, რომ ამ ვაჭრობაში აქტიური როლი ეკუთვნოდა სომხებს „ამ საგნებს (ბამბის ქსოვილები, დენთი, იარაღი და ა. შ. — მ. ს.) მთელ კავკასიაში სომხები დაატარებენ, ისინი მიუხედავად გზების სიძნელისა და ძალადობებისა, რომლებსაც იტანენ, იღებენ ჩინებულ მოგებას იმ მცირე კაპიტალის კვალობაზე, რომელსაც ამ წვრილმან ვაჭრობაში აბანდებენ“[70]. როგორც ვხედავთ, მაღალი მოგების მიღების პერსპექტივები ვაჭრებს უბიძეგებენ იარონ ყველაზე შორეულ მთის რაიონებში, თუმცა ეს მნიშვნელოვან საფრთხესთან არის დაკავშირებული.

---

[68] Описание горских народов (Бурнашова), Курск, 1794, с. 12.

[69] ცსა, ფ. 52, აღწ. 1, 194, საქმე 331, 9, ფურც. 52.

[70] С. Броневский, Новейшия географическия и статистическия известия о Кавказе, ч. 1, М., 1823, с. 55—56.

საფრთხე კი მართლაც არსებობდა და საკმაოდ სერიოზულიც: 1803 წ. სილნაღის კომენდანტის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოს მთავარსარდალს პ. ციციანოვს ატყობინებდა: „სილნაღელი სომხები ნონი მელიქოვი და დანილა ფანჯელი სავაჭროდ იმყოფებოდნენ ლეკურ სოფელ მაცხეში, სადაც შვიდი დღის უკან ჭარელი ლეკების მიერ დახოცილნი იქნენ, რის შედეგადაც იმ სახლის პატრონთან, ვისთანაც აღნიშნული სომხები ცხოვრობდნენ, დარჩა შოზრდილი თანხის სხვადასხვა საქონელი“[71].

როგორც ჩანს, მოგების დიდი პროცენტით დაინტერესებული ქართველი ვაჭრები არ ერიდებოდნენ საშიშროებას და აგრძელებდნენ თავიანთ საქმიანობას მაშინაც კი, როცა ადგილობრივი ხელისუფლება მათ ოფიციალურად, სასჯელის შიშით უკრძალავდა ამას. ვაჭართა ამგვარი მისწრაფება კარგად ჩანს თუშეთის მოურავის კაპიტან აფხაზის მოხსენებიდან საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის სვიმონოვიჩისადმი (1815 წ.): „ვაჭარი სომხები იღებენ თუშეთამდისინ ბილეთს თბილისის კომენდანტიდამ და თელავის კომენდანტიდამ და მიდიან შეურიგებელს ქვეყანასა ქისტეთში ჩემს უბილეთოდ და დაუკითხავად, უძღვიან ამათ წინ თუშნი ზოგნი თუშეთამდინ და თუშეთიდან იქით ისტუმრებენ და ავაჭრებენ, თუმცა ზოგნი მშვიდობით მოდიან, მაგრამ წინააღმდეგი არის სამართლისა რადგან შეურიგებელს ქვეყანაში ავაჭრებენ. ერთი პირიქითელი თუში გაუძღვა სომეხსა, ორი თანვე მოიყვანა და ორი იქ დაიჭრეს ქისტებმა თავისის საქონლით. ამისთვის კანონით მოვახსენებ მე თქვენს აღმატებულებას, რათა ებრძანოს თელავის ოკრუჟნის ნაჩალნიკს, რომელნიც აქედან აუძღვენენ იმათგანი უფროსი მიზეზისა ერთი დაიჭირონ. მეორე, რომელიც ქისტეთში გადაუძღვა ხსენებულს სომხებს... ის წინა მძღომი ან თვითონ და ან იმის შვილი დაიჭირონ, საყარაულოში იყვნენ დაჭერილნი და ორნი თუშნი მანამ იქ დაჭერილს ორ სომეხს მოიყვანდნენ და იმათი საქონელიც, რაც დაიკარგოს, რომელნიც უწესოდ მოგებისათვის უბილეთოდ წავიდნენ სომხები იმათი საქონელი ზოგი სომხებმა ზღონ და ზოგი თუშებმა, როგორათაც სამართლის გვარი იყოს“[72].

---

[71] სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 45, 1803 წელი, ფურც. 144.

[72] სცსია, ფ. 16, საქმე 1710, ფურც. 13. ვაჭრები ასეთ შორეულ და სახიფათო საქმეში რომ ებმებოდნენ, ამის ერთადერთი მიზანი მოგების ნორმის მომატება იყო. ეს კარგად იყო ცნობილი როგორც მთავრობისათვის, ისე მაშინდელი საზოგადოებისათვის. ამაზე აშკარად მიუთითებს ერთ-ერთი დაზარალებული ვაჭრის ნათესავი

ამრიგად, კავკასიის მთებში სავაჭროდ სიარული გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ეს რისკი ვაჭრებს მაინც ვერ უნელებდა აქეთკენ მისწრაფებას, რადგან რაც მეტი იყო რისკი, მით მეტი იყო მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობა.

როგორც ვნახეთ, ქართველი ვაჭრები მეტად ფართო და ინტენსიურ ვაჭრობას აწარმოებდნენ კავკასიის მთებში. ეს ადვილი საქმე არ იყო. იგი სპეციფიკური წესების თუ ჩვევების ცოდნას, ამ ხალხის მოთხოვნილებების ანგარიშის გაწევას, ენის ცოდნასა და ა. შ. მოითხოვდა. ამდენად, ამგვარი საქმიანობა ყველასთვის ხელმისაწვდომი ვერ იქნებოდა. ამის გამო, როგორც ჩანს, ქართველ ვაჭრებში თანდათან ყალიბდებოდა გარკვეული ფენა თუ ჯგუფი, რომელიც სწორედ ამგვარ ვაჭრობაში სპეციალდებოდა. სწორედ ამგვარი ფენის არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს შემდეგი ცნობა: 1825 წელს ვაჭართა ერთი ჯგუფი, რომელშიც მოხსენიებულია დავით ნანდენოვი, გრიგოლ ცეხვაძე, სტეფანე ზალინოვი, ანანია მინასოვი, ლამაზო ეგიკოვი და სხვ. ერმოლოვისადმი წარდგენილ თხოვნაში აცხადებს, რომ „...რვა წელზე მეტია, რაც ისინი მისი მაღალმატებულების ნებართვით კავკასიის მთებში რუსული და ქართული წარმოების საქონლით ვაჭრობენ. ამ საქონლით ამარაგებენ იმ მთებში მცხოვრებ ხალხებს და სამოქალაქო ჩინებს, რომლებიც მათ ნაკლებობას განიცდიან"[73].

ამრიგად, თუ დავუბრუნდებით იმ დებულებას, რომლითაც ჩვენ აღნიშნული პარაგრაფი დავიწყეთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხებთან ერთ-ერთი ფორმა იყო სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური წყობის საზოგადოებების ურთიერთმოქმედებისა და ბრძოლისა. ეს იყო შედარებით მაღალი სოციალურ-ეკონომიკური წყობის საზოგადოებისათვის მისაღები ფორმა. თუმცა რამდენად ცივილიზებული და ისტორიულად პროგრესული არ უნდა ყოფილიყო იგი, წმინდა მორალური თვალსაზრისით იგი სხვა საპირის-

---

მარკინ თაყოევი. აი რას წერდა იგი ადგილობრივ უფროსს: «...сейчас получил неприятное известие, что зять мой, тифлисский житель Папа Гамбаров, оставивший здесь жену и малолетных детей, а сам отправившийся в прошедших месяцах с товарищами по торговому промыслу... в Тушетию, быв отведен от толь, вероятно для лучшего обороту и продажи товаров в Кисти одним из тушинцев путеводителем. по измене сего, к крайнему сожалению бедного его семейства, там задержан с товарищем своим».

[73] სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 867, ფურც. 1038—1041.

პირო ფორმებზე ბევრად უკეთესი არ იყო. „... საკაპრო კაპიტალი, როდესაც იგი უპირატესად გაბატონებულია, ყველგან ძარცვა-გლეჯის სისტემას გამოხატავს, და მისი განვითარებაც ხომ როგორც ძველი, ისე ახალი დროის მოვაჭრე ხალხებში—უშუალოდ დაკავშირებული იყო ძალადურ ძარცვა-გლეჯასთან, მეკობრეობასთან, მონების მოტაცებასთან, კოლონიების დამონებასთან, ასე იყო კართაგენში, რომში, უფრო გვიან ვენეციელებში, პორტუგალიელებში, ჰოლანდიელებში და სხვ.“[74]

ამრიგად, საქართველოს ვაჭართა კლასის შემადგენლობის ზრდა სასაქონლო წარმოების გაფართოება და საერთო ქართული ბაზრის ჩამოყალიბება-განმტკიცება, თანდათან ერთიან საქონელ-ბრუნვაში ითრევდა კავკასიის მთიელ ხალხებსაც. ეს კი საერთო-კავკასიური ბაზრის ჩამოყალიბების პროცესის დაწყების მანიშნებელი იყო.

დაბოლოს ერთი გარემოებაც, კავკასიის მთიელი ხალხები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონითაც გამოირჩეოდნენ. განვითარების ეს განსხვავებულობა განსაზღვრავდა საქართველოს ბარის ეკონომიკასა და კერძოდ ვაჭრობისადმი მათი დამოკიდებულების ხასიათს.

3. რუსეთთან სავაჭრო კავშირურთიერთობის ზრდა

ამას შემდეგ, რაც, წინა აზიაში თურქთა გაბატონების შედეგად, საქართველო მაჰმადიანური სამყაროს გარემოცვაში აღმოჩნდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მისმა ურთიერთობამ რუსეთთან, რომელიც მას ენერგიულად და მეთოდურად უახლოვდებოდა ჩრდილოეთიდან მართლმადიდებლური ქრისტიანობისა და ევროპული ცივილიზაციის დროშით. საქართველოსთვის რუსეთი თანდათანობით იქცეოდა იმ ერთადერთ რეალურ ძალად, რომლის მეშვეობითაც ქართველი ხელისუფალნი მაჰმადიანური სამყაროსაგან თავის დაღწევას და ევროპასთან დაკავშირებას გეგმავდნენ. იმ დიდი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ძვრების შემდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა რუსეთში XVII—XVIII საუკუნეებში საქართველოსთვის რუსეთი თვითონ იქცა ევროპად, ე. ი. ქვეყნად, რომელიც ევროპული ყაიდის პროდუქციას

---

[74] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 420.

ევროპული (კაპიტალისტური) წესით აწარმოებდა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით რელიეფურად ჩანს საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობაში. XVIII საუკუნიდან მოყოლებული თვალნათლივ შეიმჩნევა, თუ როგორ იცვლება საქართველოში თურქეთისა და სპარსეთის გზით შემოტანილი პროდუქცია რუსეთიდან შემოტანილი ევროპული და რუსული საქონლით. ეს პროცესი განსაკუთრებით ძლიერდება XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ალსდგა საქარავნო მოძრაობა დარიალის ხეობით და საქართველო რუსეთის საგაჭრო ცენტრებს უმოკლესი გზით დაუკავშირდა. თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ აღნიშნული გზით რუსეთთან ვაჭრობას ქართველი ხელისუფალნი, იქიდანაც ჩანს, რომ აღნიშნული გზის უსაფრთხოებისათვის სპეციალური დაცვა იქნა დაწესებული[75].

სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ მესამედში საქართველო რუსეთთან აწარმოებდა ფართო ვაჭრობას, რომელსაც მისთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც საერთო-საქონელბრუნვის, ისე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. ეს ლოგიკური ფაქტი რიგი გარემოებებით იყო განპირობებული.

ამიერკავკასიისაკენ რუსეთის მისწრაფების ერთ-ერთი ძირითადი მოტივი ეკონომიკური ინტერესები იყო, რომელშიც ცენტრალური ადგილი წინა აზიის ვაჭრობაში გაბატონების გეგმას ეკავა. ამ გეგმის განხორციელებაში საქართველოს და, კერძოდ, მის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცენტრს თბილისს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ პერსპექტივას განსაკუთრებით აძლიერებდა ის გარემოება, რომ აღმოსავლეთთან რუსეთის ვაჭრობაში წამყვანი ადგილი სომეხ ვაჭრებს ეკავათ, რომელშიაც მნიშვნელოვანი წვლილი თბილისელ (და საერთოდ საქართველოს) სომხებზედაც მოდიოდა[76]. მაგრამ ამიერკავკასია ხომ თავისთავადაც მნიშვნელოვანი ბაზარი იყო, სადაც რუსულ საქონელს ყოველგვარი შეზღუდვისა და უცხოური კონკურენციის გარეშე შეეძლო ფეხის მოკიდება. თავის მხრივ, საქართველო დაინტერესებული იყო რუსეთთან ვაჭრობით, საიდანაც მას უფრო იოლად და უფრო ჩქარა შეეძლო

---

[75] სცსია, ფ. 22, წიგ. 13, საბ. 210; შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 133.

[76] О. П. Маркова, Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, М., 1966, с. 71.

მიეღო ევროპული თუ ევროპული ყაიდის რუსული პროდუქცია, ვიდრე ამას თურქეთისა თუ ირანის ბაზრის მეშვეობით აკეთებდა.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის ამიერკავკასიას აგრეთვე როგორც ნედლეულის ბაზას, რომელსაც იმპერიის მზარდი მრეწველობა თბილი ქვეყნის პროდუქციით უნდა მოემარაგებინა. აბრეშუმი, საღებავები (ძირითადად ენდრო), ბამბა, ბამბის ნახევარფაბრიკატი, ქსოვილები თუ აღმოსავლური ხელოსნობის სხვა ნაწარმი რუსეთის ბაზარზე დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა. საქართველოსა და ამიერკავკასიაში კი აღმოსავლური ყაიდის წარმოება ბატონობდა ისე, რომ რუსეთის ბაზრებზე ხშირად მხოლოდ სათანადო იარლიყის, მეშვეობით თუ ხერხდებოდა ქართული საქონლის, ვთქვათ, სპარსულისაგან გამორჩევა. საქართველოდან აღნიშნული ნაწარმის შეტანა გაცილებით იოლი იყო და, რაც მთავარია, იგი არ მოითხოვდა ლითონის ფულის ქვეყნის გარეთ გაზიდვას, რაც ასე უფრთხოდა ცარიზმის ხელისუფლება. ყოველივე ამან და კიდევ რიგმა სხვა გარემოებებმა განაპირობეს საქართველოსა და რუსეთს შორის ვაჭრობის ორმხრივი დაინტერესება და, აქედან, ყოვლება, განსაკუთრებით განსახილველ ხანაში.

საქართველო წინა აზიაში ცარიზმის ეკონომიკური პოლიტიკის დასაყრდენი უნდა გამხდარიყო და ამდენად აქ ვაჭრობის განვითარებამისი პროგრამის ნაწილს შეადგენდა. ამავე დროს საქართველოსა და ამიერკავკასიის საერთოსაიმპერიო საქონელმიმოქცევაში ჩართვა ამ რეგიონში რუსეთის პოლიტიკური ბატონობის საფუძველი და გარანტია იქნებოდა.

ერთი მხრივ, ამ გარემოებებმა და, მეორე მხრივ, იმპერიაში უკვე არსებულმა სავაჭრო კანონმდებლობამ საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ წლებშივე განსაზღვრეს ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულება საქართველოს ვაჭრობისადმი, რაც მის წახალისებაში, საბაჟო სისტემის მოწესრიგებაში, შინაბაჟების გაუქმების ცდებში და ა. შ. გამოიხატა. მართალია, ადგილობრივი ხელისუფლების საქმისადმი ფისკალური დამოკიდებულების გამო ამ ღონისძიებებმა ცალმხრივი ხასიათი მიიღო, კერძოდ, გაუქმდა ბაჟი საქართველოში შემოტანილ რუსულ საქონელზე, ხოლო, პირიქით, ქართული საქონლის რუსეთში შესატანი ბაჟი უცვლელი დარჩა, მაგრამ ამ ამბავს პირველ ხანებში საქართველო-რუსეთის სავაჭრო ბალანსზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

საქართველოს ვაჭრობას რომ ეხება, ი. შახგუბატოვი პირველ რიგში რუსეთთან ვაჭრობას ასახელებს, რაც ქვეყნისათვის მის წამყვან მნიშვნელობაზე მიუთითებს. აღნიშნული ავტორი მას შემდეგნაირად ახასიათებს: „რუსეთიდან გააქვთ ჭიაფერა, ლილა, მაუდი, ოქროსა და ვერცხლის ფარჩა, ოქროსა და ვერცხლის ძაფები, მათგან ნაქსოვი ბუზმენტები, ეპოლეტები, შარფები და სხვა ამგვარი, ხავერდი..., ატლასი, თავთა, კოლენკორი, მიტკალი, ჩითები, ნახევარჩითები, სხვადასხვა ფერის..., კომლოტები, ნაქსოვი ტილო... ბეწვეულიდან ციყვის ზურგისა და შუცლის ტყავები, სხვადასხვა ფერის ტარსიკონი, ვერცხლის, სპილენძისა და რკინის ნაკეთობები, მინის ჭურჭელი, თუნუქი და ყვითელი თითბერისებური სპილენძი, კალა, ნიშადური, შაქარი, ჩაი, ყავა და სხვადასხვა საკვები პროდუქტები და სამლები"[77].

არსებულ დოკუმენტებში უმეტესად საქართველოდან რუსეთში გატანილი საქონლის ასორტიმენტია აღნიშნული. შემოტანილი საქონლის აღნიშვნა იშვიათია. ეს გარემოება ბაჟის აღების წესით უნდა იყოს განპირობებული. საქონლის რაოდენობა და რაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩნდება, თუ რაიმე გარემოებამ ხაქმის ნორმალური მსვლელობა დაარღვია (უბაჟო გატარება, დავა, გაძარცვა და ა. შ.)[78]. მიუხედავად ამისა, ფაქტია რუსეთის საკვაჭრო ცენტრებსა და საქართველოს შორის ვაჭრების მეტად ინტენსიური მიმოსვლა. მაგალითად, 1804 წლის ერთი საბუთით რუსეთიდან სხვადასხვა სახის საქონელი ოცდათხუთმეტმა ვაჭარმა ჩამოიტანა. ზოგ მათგანს კი წლის განმავლობაში ამ ოპერაციის ჩატარება რამდენჯერმე მოუსწრია: მაგალითად, დავით სარაჯიშვილს— 4-ჯერ, სიმონა მეტყავეს — 2-ჯერ და ა. შ. (იგულისხმება, რომ ნეპატრონეების საქონელი მათ ქვეშევრდომებმა ჩამოიტანეს). მაგრამ აღნიშნულ რიცხვში არ შესულან საეკლესიო ყმავაჭრები, აგრეთვე ის ვაჭრები, რომლებიც სხვადასხვა საფუძველზე საბაჟო გამოსაღებიდან განთავისუფლებული იყვნენ[79]. ცხადია, ვაჭარი, რომელმაც საქართველოდან რუსეთში საქონელი წაიღო, უკან ხელცარიელი არ დაბრუნდებოდა. ამდენად, როცა ქვევით საქარ-

---

[77] ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ros d 110, ფ. 14.

[78] სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 40, ფურ. 25.

[79] 1803 წ. ორმა სომეხმა ვაჭარმა თითოეულმა 700—700 მანეთის საქონელი შემოიტანა რუსეთიდან უბაჟოდ (სცსია, ფ. 254, საქმე 29, ფურც. 434). 1811 წელს მოქალაქე იაკოვლევს დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდა, რათა საქართველოში რუსული საქონელი უბაჟოდ შემოეტანა (ფ. 16, საქმე 1121, ფურც. 1—2).

თველოს საექსპორტო ვაჭრობაზე იქნება საუბარი, იგი ამ ვაჭრობის პირიქით ხასიათზეც შეგვიქმნის ერთგვარ წარმოდგენას. ხოლო თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქართულ სინამდვილეში რუსეთიდან შემოზიდულ საქონელს, იქიდანაც ჩანს, რომ შემოდგომაზე, როცა მაკარიევის იარმარკიდან ვაჭრების დაბრუნების დრო დგებოდა, ხელისუფლება საგანგებო ზომებს იღებდა საბაჟოებზე კონტროლის გასაძლიერებლად, რათა დიდი რაოდენობით მოზღვავებული საქონელი საქართველოს კუთხეებში უბაჟოდ არ გაეპარებინათ (ეს იმ პერიოდს ეხება, როცა რუსეთიდან შემოტანილ საქონელზე ჯერ კიდევ იღებდნენ ბაჟს)[80].

საქართველოსა და რუსეთს შორის ორი ძირითადი სავაჭრო გზა არსებობდა: დარიალის ხეობით მოზდოკამდე და თბილისი-ბაქო-ასტრახანის. პირველი უფრო მოკლე, მაგრამ მთაგორიანი და რთული იყო, მეორე (არსებობდა მისი სახმელეთო ვარიანტიც) უფრო შორი, მაგრამ ვაკე და შედარებით ადვილი. ამიტომ მძიმე და დიდი გაბარიტების საქონელი ძირითადად მეორე გზით შემოდიოდა[81].

მთავრობის ღონისძიებების, ქვეყნის საერთო-პოლიტიკური მდგომარეობის თანდათანობით სტაბილირებისა და რუსული მრეწველობის გაძლიერების საფუძველზე რუსეთიდან შემოტანილი (რუსული თუ არარუსული) საქონლის მოცულობა განსახილველ პერიოდში მნიშვნელოვნად იზრდებოდა. მაგალითად, 1804 წელს რუსეთიდან საქართველოში შემოტანილი საქონლის ღირებულება, ჩვენი ვარაუდით, დაახლოებით 700—800 ათასი მანეთის შესაბამისი უნდა ყოფილიყო[82]. ხოლო 1827 წელს «Коммерческая газета»-ს ცნობით ვაჭრებმა ნიჟეგოროდის იარმარკაზე საქართველოსათვის შეიძინეს: ჭიაფერა 500 ფუთი, ბამბისა და აბრეშუმის საქონელი 1 500 000

---

80 სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 29, ფურც. 479.

81 მაგალითად, ბაჟის გზით 1813 წელს ერთ-ერთმა ქართველმა ვაჭარმა 670 ფუთი რკინა ჩამოიტანა (სცსია, ფ. 380, საქმე 28, ფურც. 301).

82 სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 40, ფურც. 26. მოცემულ ციფრს ჩვენ შემდეგნაირად ვანგარიშობთ: როგორც ცნობილია, საქართველოს კათალიკოსი იღებდა რუსეთიდან შემოტანილი საქონლის ბაჟის მესამედს. მოცემულ წელს მისმა წილმა 857 მანეთი შეადგინა. მაშასადამე, ამ ბაჟის მოგება მთლიანად 2571 მანეთს უდრიდა. მაგრამ ბაჟის შემოსავალი გაცილებით მეტი იყო და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ბაჟის აღების ორგანიზაციაზე იხარჯებოდა. საერთოდ, მოცემულ ხანაში საჯარო მუხლის ფაქტიური შემოსავალი წმინდა მოგებას სამჯერ სჭარბობდა. მაშასადამე რუსეთიდან საქართველოში შემოტანილი საქონლიდან ბაჟი ფაქტიურად 7713 მანეთი

მანეთის ღირებულებისა, ტილო, დაახლოებით 1500000 არშინი; ფრანგული ღვინო (განსაკუთრებით შამპანური) გაცილებით მეტი, ვიდრე წინა წლებში და დაახლოებით 5 000 თეთრი რკინით შეკედილი სკივრი[83]. 1828 წელს იმავე გაზეთის ცნობით, თბილისელმა და ასტრახანელმა სომხებმა და სპარსელმა ვაჭრებმა იარმარკაზე 4,5 მილიონი მანეთის საქონელი შეიძინეს[84].

აფაჩებს რა შეღავათიანი ტრანზიტის შეზღუდვის დადებით ნიშვნელობას რუსული საქონლის საქართველოსა და ამიერკავკასიაში გაყალბების თვალსაზრისით, იმავე გაზეთის თბილისელი კორესპონდენტი 1830 წელს კმაყოფილებით აღნიშნავს: „ახლა აქ მოდიან ქარავნები აქაური სომეხი და ქართველი ვაჭრების მიერ ნიჟეგოროდის იარმარკაზე შეძენილი საქონლით და აქაურ ვიწრო ბაზარზე დიდი საქმიანობაა გაჩაღებული. სასიამოვნო სანახავია ასობით ურემი რუსული მანუფაქტურული მრეწველობის ნაწარმით, რომელიც ყოველდღე შეეჯვდება კავკასიის ხეობებს შორის მთელი 270 ვერსიანი გზის სიშორეზე“[85].

რუსეთსა და საქართველოს შორის ვაჭრობა ძირითადად საქართველოს ვაჭრების მეშვეობით წარმოებდა. ამიერკავკასიაში, და აქედან მაღლობელ აღმოსავლეთში, რუსეთის ხელისუფლება სავაჭრო ბატონობის გეგმას რომ ადგენდა, ამ ვაჭრობაში საკუთრივ რუსული სავაჭრო კაპიტალის გაძლიერებას ცდილობდა. ეს სრულიად ბუნებრივი მიმწრაფება იყო, რადგან რუსეთის ხელისუფლების მიზანს განაპირა რაიონების ხარჯზე მეტროპოლიის ეკონომიკური გაძლიერება შეადგენდა, ამ ვაჭრობაში კი ყველაზე დიდ მოგებას არარუსული ელემენტი იღებდა. მართალია სომეხი ვაჭრებიც ვაჭრობის თვალსაზრისით იგივე საქმეს აკეთებდნენ, მაგრამ აკეთებდნენ საკუთარი მოგების, საკუთარი ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად. ეს ინტერესები კი ყოველთვის როდი ემთხვეოდნენ მეტროპოლიის ეკონომიკური პოტენციალის გაზრ-

---

აუღიათ. ახლა თუ გავითვალისწინებთ, რომ ბაჟის მოცულობა რუსულ საქონელზე მისი ღირებულების 2% უნდა ყოფილიყო, აგრეთვე იმას, რომ მოცემულ პერიოდში უბაჟოდ შემოტანილი საქონელი დაახლოებით იმდენივე იყო, რაც ბაჟით შემოტანილი, მივიღებთ, რომ ამ საქონლის ღირებულება 771300 მანეთი უნდა ყოფილიყო. ცხადია, ჩვენი ანგარიში ზუსტი არ არის, მაგრამ ეფიქრობთ, რომ იგი დაახლოებით სწორია.

[83] «Коммерческая газета», 1827 წ. № 75, 17 ოქტომბერი.

[84] «Коммерческая газета», 1828 წ. № 82, 13 ოქტომბერი.

[85] «Коммерческая газета», 1830, № 7, 22/I.

დის ინტერესებს. სომეხი ვაჭარი რუსეთის ბაზრობაზე იმ საქონელს ყიდულობდა, რომელიც მას მეტ მოგებას მისცემდა და მისთვის სულერთი იყო ეს საქონელი რუსული იყო თუ არა. რუსი ვაჭარი-მწარმოებელი კი შემოერთებულ პროვინციაში თავის საქონელს შეიტანდა და თუ ვაჭრობაში იგი გაბატონებული იქნებოდა, მყიდველს სხვა გზა არ რჩებოდა — მისგან უნდა ეყიდა.

მაგრამ ამ ამოცანის შესრულება ადვილი საქმე არ იყო. სომხური სავაჭრო კაპიტალი მთელს აღმოსავლეთში მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა. ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატით რუსეთმა აღიარა საქართველოს ვაჭრების რუსეთის ვაჭრებთან გათანაბრება. ახლა უკანდახევა, ცხადია, შეუძლებელი იყო. მართალია, თავის დროზე საგარეო (სპარსეთთან და თურქეთთან) ვაჭრობაში, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთმა შეძლო ერთგვარი ზომები მიეღო (არარუსი ვაჭრებისათვის ირანის ბაზარზე პრივილეგიური ვაჭრობა რომ შეზღუდა), მაგრამ ამან საქმეს თვით ირანის ბაზარზეც ვერ უშველა. ვაჭრებმა რუსეთის სავაჭრო ცენტრებში (მოზდოკი, ასტრახანი, ყიზლარი) გადასახლება და რუსეთის ქვეშევრდომობის მიღება იწყეს. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ეს საკითხი სართოდ იხსნებოდა, მით უმეტეს, რომ საქართველოსთან ვაჭრობაში, მართალია იმ ღონისძიებების შედეგად, რუსულ საქონელზე ბაჟი რომ გააუქმა, ხოლო ქართულზე დატოვა, რუსული საქონელი პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ ვაჭართა კლასზე ამან არსებითი გავლენა ვერ მოახდინა. ვაჭრების მიერ რაიმე ეროვნული პრივილეგიების დაწესება რუსეთს არ შეეძლო. ამიტომ ხელისუფლება ცდილობდა სხვადასხვა შეღავათების, აგიტაციისა თუ სხვა წამახალისებელი ღონისძიებების საშუალებით მოეზიდა აქეთ რუსი ვაჭრები.

ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ამ მხრივ იყო 1811 წელს — „ფაზისის, ანუ სამეგრელოს სავაჭრო კომპანიის“ დაარსება. კომპანია უმთავრესად სამხრეთ რუსეთის სამრეწველო საქონლის დასავლეთ საქართველოში, ხოლო შემდეგ თანდათანობით — ოსმალეთსა და სპარსეთშიაც ფართო მასშტაბით გატანას ისახავდა მიზნად. კომპანია სოლიდური მოცულობით იგეგმებოდა. მისი პირველადი კაპიტალი 125 000 მანეთი უნდა ყოფილიყო[86].

---

[86] АКАК, т. IV, № 540, 541, 542; ე. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ამ თვალსაზრისით თბილისში ყოველწლიური ბაზრობის დაარსებასაც. ბაზრობას „პოკროვსკის იარმარკა“ ეწოდებოდა. იგი 1828 წლიდან უნდა დაწყებულიყო და ყოველწლიურად 1 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე უნდა გაგრძელებულიყო[87]. ეარაუდობდნენ, რომ ეს ბაზრობა დიდად შეუწყობდა ხელს რუსული მრეწველობის აყვავებას. 1828 წლის 1 ოქტომბერს მართლაც გაიხსნა გამოფენა. აღნიშნული მოვლენისადმი მიძღვნილ წერილში გაზეთი «Тифлисские ведомости» არაორაზროვნად აყენებდა გეგმას რუსეთ-ამიერკავკასიის ვაჭრობაში რუსული კაპიტალის გაბატონების შესახებ, ხოლო ადგილობრივ ვაჭრებს ირანთან და თურქეთთან სატრანზიტო ვაჭრობის ასპარეზსს სთავაზობდა[88].

მაგრამ აღნიშნულმა წამოწყებებმა, ისევე როგორც უფრო გვიან თბილისში დაარსებულმა რუსული საქონლის დეპომ და სხვა ღონისძიებებმა, საწყველი შედეგი ვერ გამოიღეს (საბეგრელოს საავაჭრო კომპანია ჩაიშალა. თბილისის ბაზრობამ ვერ იხეირა). რუსეთ-საქართველოს ვაჭრობა კვლავ ადგილობრივი ელემენტის ხელში რჩებოდა. მართალია, ერთეული. რუსი ვაჭრები მაინც ახერხებდნენ საქართველოში სიარულს, ზოგიერთს კი იქ საკუთარი მაღაზიებიც ჰქონდა გახსნილი[89], მაგრამ მიუხედავად არაერთი წამახალისებელი ზომებისა, ამ მოვლენამ განსახილველ პერიოდში გავრცელებული სახე ვერ მიიღო და მდგომარეობა არსებითად იგივე დარჩა.

ამრიგად, საქართველოში შემოზიდულ უცხოურ საქონელში XVIII საუკუნის მეორე ნახევრაში უპირატესობას თანდათანობით რუსული და რუსეთის გზით შემოსული უცხოური საქონელი იკა-

---

[87] «Тифлисские ведомости», 1828, № 4.

[88] იქვე, 1828, 15, 10/X. სტატიის ავტორი ცდილობდა ერთგვარი რეკომენდაციები მიეცა რუსი კაპიტალისტებისათვის. მისი აზრით, მთავარი ადგილობრივი მოთხოვნილებების გათვალისწინება იყო. რუსულმა ფაბრიკებმა ადგილობრივი გემოვნების გათვალისწინებით საგანგებოდ უნდა დამზადონ ის საქონელი, რომელსაც ადგილობრივი ხალხები მიჩვეული არიან ისე, როგორც ამას აღმოსავლეთის მიმართ ინგლისური ფაბრიკები აკეთებენო და ა. შ.

[89] «Коммерческая газета», 1828 წ., 24/X. საქმიან წრეებს სიამოვნებით აცნობებდა, რომ «на учрежденную в Тифлиссе ярмарку кроме шуиских купцов братьев Посилиных, производящих там несколько лет торговлю, и сверх изделий своей фабрики скупивших довольно большое количество ситца для отпуска в Грузию, вознамерился отправить бумажных набивных изделий шуиский голова купец Алексей Болотов».

ვებდა. ცარიზმის ხელისუფლება დაინტერესებული იყო ამიერკავკასიასთან რუსეთის ვაჭრობის გაძლიერებით და ყოველმხრივ უწყობდა მას ხელს. ცარიზმის მიზანს ამიერკავკასიის ბაზარზე რუსული სავაჭრო კაპიტალის გაძლიერება შეადგენდა, მაგრამ განსახილველ ხანაში მას ამ მხრივ, რაიმე არსებითი წარმატება არ ჰქონია. რუსეთ საქართველოს შორის საქონელგაცვლა ძირითადად ადგილობრივი ვაჭრების მეშვეობით ხორციელდებოდა.

4. საქონლის გატანა. გატანილი პროდუქციის მოცულობა

რუსეთის ბაზრებზე ქართული პროდუქციის გატანის საკითხის გარკვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საქართველო რუსეთზე დაქვემდებარებული ქვეყანა იყო და ბუნებრივია ეს მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა. ამდენად დამოკიდებული ქვეყნისათვის (პერიფერიისათვის, ან განაპირა მხარისათვის) რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის ხასიათს თვისებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ე. ი. უნდა გაირკვეს ემსახურებოდა ეს ვაჭრობა დამოკიდებული ქვეყნის საერთო-ეკონომიკურ აღმავლობას თუ კომპრადორული ხასიათის გამო მისი განკითარების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა.

უკვე XVIII საუკუნეში საქართველოში დამზადებულ პროდუქციას რუსეთის ბაზრებზე გატანის ისეთი დონისათვის მიუღწევია, რომ იგი სათანადო მასალებშიც აისახა. მაგალითად, მ. ჩულკოვი ფუნდამენტურ ნაშრომში «Историческое описание российской комерции»... რუსეთში სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოტანილ საქონელში თბილისიდან შემოტანილ ნარმას და ხამხალათსაც ასახელებს[90].

1792 წელს დიდი მიმოწერა გაიმართა საქართველოს სამეფო კარსა და რუსეთის ხელისუფალთ შორის იმის გამო, რომ საბაჟოს რუსმა მოხელეებმა ხუთი ქართველი ვაჭარი დააკავეს, რომლებსაც რუსეთიდან ოქროს ფული გაჰქონდათ, რაც რუსული კანონმდებლობით აკრძალული იყო; ვაჭრებს ჩამოერთვათ 3750 ბაჯაღლო და 100 იმპერიალი[91]. ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის უშუ-

[90] М. Чулков, Историческое описание российской комерции,... т. VII, кн. II, с. 3, СПб., 1788, с. 3.

[91] Документы по взаимоотношению Грузии с Северным Кавказом в XVIII в., Тб., 1962, с. 255—256, 258, 259.

ალო ჩარევის შედეგად საკითხი მოგვარდა, ვაჭრებს ჩამორთმეული თანხა დაუბრუნეს, მაგრამ აქ ყურადღებას ის გარემოება იქცევს, რომ რაკი ნაღდი ფული აღმოაჩნდათ, მაშასადამე რუსეთის ბაზარზე მათ გაცილებით მეტი საქონელი გაყიდეს, ვიდრე შეიძინეს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჩვენ არ ვიცით რა საქონელი ჩაიტანეს ამ ვაჭრებმა რუსეთის ბაზარზე. გამორიცხული არ არის, რომ იგი მნიშვნელოვანწილად არაქართული პროდუქციისაგან შედგებოდა. ამგვარ ეჭვს ის გარემოება ბადებს, რომ ვაჭრები უკან გემით ბრუნდებოდნენ. მაგრამ არც ის არის მოულოდნელი, რომ მათ საქონელში ძირითადი ადგილი ქართულ ნაწარმსაც სჭეროდა.

1780 წლის 25 აპრილს დარიალის გზით მოზდოკში საქართველოდან სამი ვაჭარი ჩავიდა. სხვადასხვა საქონელს შორის მათ წაულის 500 ტყავი ჩაიტანეს[92]. იმავე წლის 27 აპრილს აქ ჩამოვიდა დიდი ქარავანი (ცხენებითა და 22 ურმით), რომელმაც 19 ვაჭრის კუთვნილი დიდძალი საქონელი ჩამოიტანა[93]. 1785 წლის 5 აპრილს მოზდოკში ხუთმა ვაჭარმა 4 ურემი საქონელი ჩამოიტანა. საბუთში აღნიშნულია, რომ ეს საქონელი ძირითადად შედგებოდა სხვადასხვა ბეწვეულისაგან, ნედლი და ამოხვეული აბრეშუმისაგან, სხვადასხვა ქსოვილისაგან (ნარმა, თავთა და სხვ.), აგრეთვე მზა საფეიქრო ნაწარმისგან (თავსაფრები, სუფრები, ქისები და ა. შ.)[94]. ამ და მრავალი სხვა საბუთით დასტურდება, რომ უკვე XVIII საუკუნეში ადგილი აქვს საქართველოდან რუსეთში ქართული საქონლის ინტენსიურ გატანას. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ეს პროცესი გაცილებით გაადვილდა და გაძლიერდა.

ს. ბრონევსკის აღნიშვნით, საქართველოდან მოზდოკში, ხოლო იქიდან რუსეთში მიდის ქართული საქონელი: შალები, აბრეშუმის ქსოვილები და სხვ[95]. საქართველოს რუსეთთან ვაჭრობის ძირითადი ცენტრები მოზდოკი და ყიზლარი იყო. აქედან საქონელი ჩაჰქონდათ ასტრახანში, ხოლო შემდეგ რუსეთის ცენ-

---

[92] Документы по взаимоотношению Грузии северным Кавказом в XVIII в., Тб., 1962, გვ. 222.

[93] იქვე, გვ. 227—228.

[94] იქვე, გვ. 228—236.

[95] С. Броневский, Новейшие географические и статистические сведения о Кавказе, М., 1923, ч. 1, с. 213.

ტრალურ გუბერნიებში. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დაარსებული ეს ქალაქები უკვე იმ საუკუნის მიწურულისათვის მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტებად იქცნენ: „საგარეო სახმელეთო ვაჭრობა კავკასიის მთების გავლით მიმდინარეობს ასტრახანისა და კავკასიის გუბერნიებში ყიზლარითა და მოზდოკით — სპარსეთთან"[96].— აღნიშნავს ცნობილი რუსი გეოგრაფი პროფ. ზიაბლოცკი.

სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა აღნიშნულ ქალაქებში (ისევე როგორც ასტრახანსა თუ სხვა მცირე სავაჭრო ცენტრებში) XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს ვაჭართა გადასახლების ტენდენცია, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. 1800 წლისათვის, მაგალითად, ყიზლარში 1622 სომეხი და 673 ქართველი ცხოვრობდა, რაც ქალაქის მთელი მოსახლეობის 73% შეადგენდა[97]. 1804 წლისათვის მოზდოკში 1411 სომეხი და 811 ქართველი ითვლებოდა[98] (მთელი მოსახლეობის 63%). ეკვი არ არის, სომხების მნიშვნელოვანი ნაწილიც საქართველოდან გადასახლებული იყო.

საგულისხმო იყო ქართველთა ოდენობა ასტრახანშიც, სტავროპოლში და ა. შ. გადასახლებულები ძირითადად იმ მეურნეობრივ-კულტურულ დონეზე იდგნენ, როგორიც მათ სამშობლოში ჰქონდათ. მისდევდნენ მევენახეობას, ხელოსნობას, ვაჭრობას. ზიაბლოცკის აღწერით, ყიზლარში, რომელიც ამიერკავკასიასთან და კავკასიის მთიანეთთან რუსეთის ქალაქების ერთ-ერთი ძირითადი დამაკავშირებელი პუნქტი იყო 1000-მდე ვაჭარი ცხოვრობდა[99].

როგორც ითქვა, საქართველოდან რუსეთში შეტანილი საქონელი ძირითადად მოზდოკისა და ყიზლარის კარანტინში იწმინდებოდა. მაგრამ მოზდოკის კარანტინში ქართული საქონელი ცალკე იყო გამოყოფილი და ამდენად საშუალება გვაქვს მისი რაობა და

---

[96] Новейшее землеописание проф. Зяблоцкого, М., 1814, ч. II, с. 70.

[97] აქტები, ტ. II, № 1137, გვ. 765; პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

[98] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 100.

[99] З я б л о ц к и й, Путевые заметки из Астрахани через Кизляр и Баку в 1835—1836 гг., с. 12, 16; «Кизляр был долгое время складочным местом товаров нужных для торговли с Персиею и Кавказскими народами; Хотя в последнее время выгоды для Кизляра уменшились по причине направления торговли сухим путем через Ставрополь, но Кизляр не только может удержать почетное место между торговыми городами при Каспийском море, но и сделаться гораздо важнее». იქვე, გვ. 20.

ცხრილი 6

საქართველოდან შეტანილი და მოზდოკის კარანტინში გატარებული საქონლის დინამიკა 1803-1815 წწ.

საქონლის დასახელება	1803	1811	1812	1813	1814	1815
ბამბეულის ქსოვილები თოფობით						
ალაჯი	10	18	31	408	1091	301
ლეინი	1843	3425	1843	1229	12348	16882
ნარმა	77	885	312	550	4644	7033
ყუმაში	6539	3050	270	10	303	383
ხამი დაჩითული	1027	2055	2	20	96	9101
საბნის საპირე	—	749	283	256	1532	3211
შილა	—	2158	1757	1818	12189	16548
ჩითი	—	1736	334	396	6581	1577
ერელი ქსოვილი	35	—	7	7	63	17
სხვადასხვა		41	222	18	152	38
სულ ბამბეულის ქსოვილი	9531	14117	5061	4712	38999	55091
ნახევრად აბრეშუმის ქსოვილები თოფობით						
ალაჯი (ნახევრად აბრეშუმი)	31	7	—	—	2	211
ნახევართავთა	1382	—	54	—	913	624
ყუთანი	407	34	105	—	—	3
თაესილი			276	—	96	993
სხვადასხვა	9	22	18		48	14
სულ ნახევრად აბრეშუმის	1829	63	453		1059	1845
აბრეშუმის, ხავერდის, ოქროქსოვილი და სხვა თოფობით						
ატლასი	14	15	13	10	18	111
დარაია	—	—	2	194	222	305
მოვი, თავთა	20	175	50	65	40	208
ხათაია	—	39	2	40	59	21
ფარჩა	3	35	60	10	13	—
აბრეშუმის ქსოვილი	1	450	26	—	26	26
სხვადასხვა	15	52	190	31	175	127
სულ	53	766	343	350	553	798
შალის ქსოვილები						
თოფობით	42	14	216	19	45	25
მთლიანად ქსოვილები	11455	14960	6073	5091	40656	57759

საქონლის დასახელება	1803	1811	1812	1813	1814	1815
მზა ნაწარმი						
თავსაფრები, ხელსახოცები და ა. შ.	176	100	112	196	771	627
ქსოვილის სარტყელები	32	—	7	44	168	215
ფუთები	—	—	14	23	128	118
ხალიჩები და ფარდაგები	8	13	14	57	44	19
სუფრები	2	2	1	8	403	5
წინდები	10	1	10	—	56	39
სხვადასხვა	140	438	238	58	189	8
სულ ქსოვილის მზა ნაწარმი	368	554	346	386	1759	1031
ფეხსაცმელი	8	13	2	392	101	75
სპილენძის ნაკეთ.	—	—	2 გრ.	—	12 გრ.	9 ფ.
ეკრემები	—	—	—	—	20	—
ურმის თვლები	—	—	—	—	15	—
ურმის ღერძები	—	—	—	—	300	—
დეზები	—	33	—	—	—	—
ოქრო-ვერცხლის ნაწ.	—	1	20 გრ.	—	—	—
ლაგამი	—	—	46	—	—	—
ხელკოზები	—	33	—	—	—	—
სხვადასხვა	—	55	46	2	2	1
ბეწვეული	8913	3310	2277	345	2204	17838
ტყავეული	300	5287	2683	—	555	700*

ოდენობა გარკვეულად წარმოვიდგინოთ. ხოლო ყიზლარის კარანტინის უწყისები ამგვარი გამოცალკევების საშუალებას არ იძლევა. ამრიგად, სურათის დასახასიათებლად ჩვენ იძულებული ვართ მოზდოკის კარანტინის უწყისების მონაცემებს დავეყრდნოთ, თუმცა ისინი ყველა წლის არ შემონახულა, ხოლო რაც შემოგვრჩა, ისიც შორსაა სასურველი სისრულისაგან.

* ამას გარდა საქართველოდან შეტანილ საქონელს შორის მოზდოკის კარანტინის უწყისებში აღნიშნულია: ბამბა, ბამბის ნართი, ყაჯი შეღებილი და შეუღებავი, გიშერი, ქარვა, ფირუზი, მარგალიტი, საკმეველი და სხვ. მაგრამ აღნიშნული საქონელი ცხრილებში არ შევიტანეთ იმის გამო, რომ მათი ზომის მონაცემები წლების განმავლობაში განსხვავებულია (მაგ., ერთ შემთხვევაში აღნიშნულია ტომარა, მეორე შემთხვევაში შეკვრა, მესამე შემთხვევაში წონა და ა. შ.). ამის გამო მათი შედარება თითქმის შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ აღნიშნული საქონელი არ იყო დიდი რაოდენობისა.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით საქართველოდან იმ საქონლის შეტანის დინამიკა, რომელიც მოზდოკის კარანტინში გაიწმინდა 1803—1815 წლებში, შემდეგ სურათს იძლევა (ცხრ. 6).

მოტანილი ცხრილი წარმოდგენას იძლევა საქართველოდან გატანილი საქონლის რაობაზე და მისი მოცულობის თანდათანობით ზრდაზე. კარანტინის უწყისებში 120-მდე დასახელების ამგვარი საქონელია აღნიშნული, მაგრამ ცხრილში ჩვენ შევეცადეთ ძირითადად გვეჩვენებინა ტიპური საქონლის რაობა, რომლის გატანასაც, აბა თუ ისე, სისტემატური ხასიათი ჰქონდა. როგორც ვხედავთ, გააქვთ როგორც დიდი გაბარიტების შრომის იარაღები, ურმები, ურმის ღერძები, თვლები (მართალია, აღნიშნული წლების მონაცემებში არ მოხვდა, მაგრამ გაჰქონდათ საქსოვი დგამები და სხვ.), ბამბისა და აბრეშუმის ნედლეული, სხვადასხვა ბეწვეული და ტყავეული; განსაკუთრებით კი ქსოვილები: აბრეშუმის, ნახევრად აბრეშუმის, ბამბეულის. საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ბამბეულის ნაწარმის გატანას ჰქონდა, რადგან საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ პერიოდში ეს წარმოება ჩვენში განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა. ამან, როგორც ვხედავთ, ასახვა პოვა საქონლის ექსპორტშიაც. 12 წლის განმავლობაში მოზდოკის კარანტინში გატარებული საქართველოდან შეტანილი ქსოვილების ოდენობა 586% გაიზარდა და შეადგინა საკმაოდ საგულისხმო ციფრი—57759 თოფი. ქართული (ისევე როგორც სხვა) თოფი სტანდარტული საზომი ერთეული არ ყოფილა, მაგრამ საშუალოდ იგი 10—15 არშინს შეადგენდა; ამდენად გამოდის, რომ 1815 წლისათვის გატანილი ქსოვილების ოდენობა 577590—866385 არშინი ყოფილა. მაგრამ აქ რიგი სხვა გარემოებებიცაა გასათვალისწინებელი: 1. აღნიშნული ცხრილები შედგენილია მოზდოკის კარანტინის ცალკეული კვირეების უწყისების მიხედვით. 1803 წლისათვის ჩვენ ხელთ გვქონდა 21 კვირის უწყისი, რომელიც წელიწადის 7 თვეზე ნაწილდება; 1811 წლისათვის 16 კვირის უწყისი, რომელიც 8 თვეზე ნაწილდება, 1812 წლისათვის 13 კვირის უწყისი, განაწილებული 7 თვეზე; 1813 წლისათვის აგრეთვე 13 კვირის უწყისი, რომელიც წელიწადის 6 თვეზე ნაწილდება, 1814 წლისათვის 24 კვირის, განაწილებული 11 თვეზე და ბოლოს 1815 წლის 21 კვირის უწყისი განაწილებული 10 თვეზე. ამრიგად, თუ ზრდის მონაცემებს კვირეების საშუალო მონაცემებით განვსაზღვრავთ, შემდეგი სურათი გამოვა: 1803 წ. დაახლოებით 459 თოფი; 1811 წ.—1881 თოფი; 1814 წ.—

1625, 1815 წ. — 2626 თოფი. ამგვარად, კვირის განმავლობაში შეტანილი ჭსოვილის საშუალო ოდენობა შესაბამისად 12 წლის განმავლობაში გაიზარდა 550%. მაგრამ საეჭვოა, რომ ჩვენი მონაცემები სრული არ არის (თუმცა არც ის შესაძლებლობაა გამორიცხული, რომ გარკვეული კვირეების და შეიძლება თვეების განმავლობაში კარანტინში ქართული საქონელი სულაც არ შესულიყო), ამდენად, აღნიშნული რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

2. გზების თავისებურებების, საკარანტინო საგუშაგოების მოუწესრიგებლობის და სხვა ძრავალი მიზეზის გამო უბაჟოდ საქონლის გატანა მოცემულ პერიოდში ფანტასტიკურ მასშტაბებს აღწევდა[100] და ყოველ შემთხვევაში, მისი მოცულობა არ ჩამოუვარდებოდა ოფიციალურად გატანილს. მაშასადამე, მოცემული რიცხვი (577590—866385 არშინი) სულ ცოტა ერთიორად გაზრდილი მაინც უნდა წარმოვიდგინოთ.

რუსეთში გასატან საქონელზე თბილისის საბაჟო ცნობას გასცემდა სადაც მისი რაობა და რაოდენობა იყო აღნიშნული, მაგრამ მოზდოკის კარანტინში ყურადღება მიუქცევიათ, რომ საქონლის ოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე თბილისის საბაჟოს ოფიციალურ ცნობარში იყო მითითებული. ეს გარემოება ადგილობრივი ხელისუფლებისათვის უცნობებიათ. ისინი კი განმარტავდნენ რომ ამგვარი ფაქტი საბაჟოს მოხელეების უპატიოსნო მოქმედების ბრალი კი არ იყო, არამედ იმისა, რომ თბილისიდან წამოსულ ვაჭრებს გზაზე საშუალება ჰქონდათ დამატებით შეეძინათ პროდუქცია, რაც ცხადია, საბაჟოს ცნობაში ვერ აისახებოდა. ეს, ვაჭრების მხრიდან, უკანონო მოქმედებად იყო შეჩნეული და შესაბამისადაც ისჯებოდა [101], მაგრამ საქონლის უბაჟოდ გატარებით ხელის მოთბობას, როგორც ჩანს, არც საბაჟოს მოხელეები თაკილობდნენ. თუ რა მნიშვნელოვანი ოდენობით ხდებოდა უბაჟოდ საქონლის გატარება საქართველოსა და კავკასიის საბაჟოებში და რა ზომებს აღწევდა საბაჟოს მოხელეების ანგარება და თავხედობა, შემდეგი ფაქტიდან ჩანს: 20-იან წლებში ირან-თურქეთის ომთან დაკავშირებით ძალიან გაიზარდა საქართველოში ირანული საქონლის შემოტანა, რომელიც, როგორც ჩანს, აქედან აშკარად თუ ფარულად თურქეთში შედიოდა. ამ სავაჭრო ოპერაციებს, ცხადია,

---

[100] О. П. Маркова, Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, М., 1966, с. 74—75.

[101] აქტები, ტ. II, გვ. 246, № 454.

თბილისის საბაჟოს შემოსავლის დიდი ზრდა უნდა გამოეწვია. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ამ გარემოებას დაუეჭვებია მთავარსარდალი ერმოლოვი და საბაჟოს მოხელეების უკანონო მოქმედებათა მხილებისათვის საბაჟოში თავისი ფარული აგენტი მიუჩნევია. ჩანს ეს ამბავი შეუმჩნეველი არ დარჩენილა და საბაჟოს მოხელეები იძულებული გამხდარან დროებით ხელი აეღოთ თავიანთ ბაქინაციებზე, რის შედეგადაც თბილისის საბაჟოს შემოსავალი თითქმის 4-ჯერ გაზრდილა. აი, რა მასშტაბი შეიძლება მიეღო უბაჟო ვაჭრობას საბაჟოებისა და საბაჟოს მოხელეების მაშინდელი მდგომარეობის პირობებში. ამას კი სხვა ათასგვარი შემოვლითი მაქინაციებიც ემატებოდა[102].

განსახილველი ხანის არაერთი საბუთი მიუთითებს იმ საგანგებო ღონისძიებებზე, რომელსაც ხელისუფლება ფარული ვაჭრობის აღსაკვეთად ატარებდა. მაგრამ ეს საქმეს ვერ შეელოდა, რადგან როგორც ირკვევა ხელისუფლების წარმომადგენლები უბაჟოდ გატანილი საქონლის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის დაკავებას ახერხებდნენ, ვაჭართა უმეტესობა კი ამა თუ იმ ფორმით უკანონო ვაჭრობას კვლავ განაგრძობდა[103].

როგორც აღინიშნა, საქართველოს ვაჭართა მნიშვნელოვანი ნაწილი საერთოდ თავისუფალი იყო ბაჟის გადახდისაგან. ესენი იყვნენ კათოლიკოსის ყმები, თავადაზნაურთა კლასის წარმომადგენლები და ის ვაჭრები, რომლებსაც რაიმე დამსახურებისათვის პირადად თუ შთამომავლობით ამგვარი პრივილეგია ჰქონდათ მინიჭებული[104].

3. ქართული საქონელი, რუსეთის ბაზრებზე როგორც ზემოთ ითქვა, ყიზლარის გზითაც შედიოდა. გ. ჩულკოვი ქ. ყიზლარის აღწერისას აღნიშნავდა: „აქ სალდათებისა და რუსი კაზაკების გარდა ცხოვრობენ სომეხი, ქართველი და ინდოელი ვაჭრები, რომლებიც ასტრახანთან, მთიელ თათრებთან და ქართველებთან, რომელთა უახლოესი საგაჭრო ადგილი ყიზლარია, უშესანიშნავეს ვაჭრობას აწარმოებენ“[105]. სხვა ადგილას, როცა ყიზლარში შემოტანილი საქონლის რაობას ახასიათებს, იგივე ავტორი პირდაპირ აღნიშნავს, რომ აქ თბილისიდანაც შედის სხვადასხვა ბამ-

---

[102] АКАК, т. VI, გვ. 291, № 279.

[103] სცსია, ფ. 280, აღწ. 1, საქმე 15, ფურც. 19, 20.

[104] სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 29, ფურც. 433.

[105] М. Чулков, დასახ. ნაშრ., ტ. II, წ. II, გვ. 562.

ბეულის ქსოვილები.უფრო გვიან (1813 წელს, ე. ი. ზუსტად იმ ცნობის თანადროულად, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ) გაზეთი „ვოსტოჩნიე იზვესტია“, რომელიც ქ. ასტრახანში გამოდიოდა, წერდა, რომ ქ. ყიზლარის „ვაჭრები და მდიდარი სომხები თავს ირჩენენ ასტრახანთან, მთიელ ხალხებთან, სპარსეთის ჩრდილოეთ ოლქებთან და საქართველოსთან ვაჭრობით“[106].

ჩვენ გავსინჯეთ ყიზლარის კარანტინის უწყისები, მაგრამ, როგორც ითქვა, იქიდან საქონლის სადაურობის დადგენა შეუძლებელია, რადგან ერთი და იგივე დასახელების ქსოვილები (თუ სხვა საქონელი) შემოდის როგორც საქართველოდან, ისე აზერბაიჯანის სახანოებიდან და ჩრდილოეთ ირანის პროვინციებიდან. აღნიშნულ უწყისებში მითითებულია არა საქონლის გამოგზავნის საწყისი პუნქტი, არამედ ის უკანასკნელი პუნქტი, რომელზე გამოვლის შემდეგაც იგი უშუალოდ ყიზლარში შემოვიდა. ასეთებია, ანდრიას სოფელი, ახლოვის სოფელი და ა. შ. მ. ჩულკოვი ყიზლარის სავაჭრო ურთიერთობის აღწერისას მეტად ხშირად ახსენებს, რომ აქ ბამბეულის ქსოვილები შემოდიოდა «Из Гор» და «из Андреевской деревни». თუ ამ «Гор»-ში[107] ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთი იგულისხმება, როგორც ცნობილია, იქ ბამბეულის ქსოვილებს არ აწარმოებდნენ, პირიქით, აქ ისინი ძირითადად საქართველოდან შეჰქონდათ. რაც შეეხება ანდრიას სოფელს, ეს ქართველი ვაჭრების მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო: ერთ-ერთ საბუთს, რომელიც აქ 1777 წელსაა შედგენილი, 7 ვაჭარი აწერს ხელს, ყველა საქართველოდან, მათ შორის 5 გორიდანაა[108]. 1821 წელს სახაზინო გლეხი ალავერდოვი აღგილობრივ ხელისუფლებას თხოვდა ნება დაერთოთ 6 თვით წასულიყო ანდრიას სოფელში, სადაც იგი დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა და დარჩენილი აქვს საქონელი და ასაღები ვალები[109]. 1823 წელს ოჰანეზ აფრიამოვი თბილისელი მოქალაქეების დამოწმებით ითხოვდა, რათა წლიური პასპორტი გაგზავნოდა მის ქვისლს სტეფანე ალიხანოვს, რომელიც თბილისის მოქალაქე იყო და იმავამად ანდრიას სოფელში სავაჭრო საქმეებზე იმყოფებოდა[110]. ამგვარი ცნობები არაერთია.

---

106 გაზ. «Восточные известия», 1813, №2, 5/II.

107 М. Чулков, დასახ. ნაშრ., გვ. 399.

108 დ. უჩანეიშვილი, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 69—70.

109 სცსია, ფ. 489, საქმე 65417.

110 სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 754, ფურც. 250.

არაერთი არსებული საბუთი აშკარად ადასტურებს, რომ ქართული საქონელი რუსეთში მასობრივად იგზავნებოდა ყიზლარის გზით და რომ ეს საქონელი ძირითადად იმავე ხასიათისა იყო, როგორიც მოზდოკის გზით შეტანილი. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, დიდი გაბარიტებისა და სიმძიმის საქონლის გადატანა ყიზლარით უფრო მოსახერხებელი იყო. მაგალითად, 1812 წელს გაძარცვეს ყიზლარელი ვაჭრების ქარავანი, რომელმაც საქართველოში სხვადასხვა საფუთიანი საქონელი შემოიტანა, უკან კი ქართული საქონლით (ძირითადად ქსოვილები) დატვირთული ბრუნდებოდა[111].

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ პუნქტებში საქართველოს ვაჭრები ერთობ ცხოველ საქმიანობას ეწეოდნენ. ყოველივე აქედან კი შეიძლება დავასკვნათ, რომ ყიზლარის გზით ქართული საქონლის შეტანა არ ჩამოუვარდებოდა მოზდოკიდან შეტანილს. შემდგომ პერიოდში, გარკვეული უპირატესობა მაინც მოზდოკს მოუპოვებია: ერმოლოვის 1819 წლის 9 აპრილით დათარიღებულ წერილში ვიაზემსკისადმი აღნიშნულია, რომ „საქართველოსთან მთავარი მიმოსვლა და ვაჭრობა ეხლა მიმდინარეობს არა ყიზლარის, არამედ მოზდოკის გავლით"[112]. მაშასადამე, მანამდე ეს უპირატესობა ყიზლარის ეკუთვნოდა.

ყველა აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ჩვენ საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ორივე გზით (როგორც ოფიციალურად, ისე უბაჟოდ) გატანილი ქსოვილების ოდენობა დაახლოებით 2,5—3,5 მილიონი არშინის ტოლი უნდა ყოფილიყო.

1815 წლის შემდგომი პერიოდისათვის მოზდოკის კარანტინში საქართველოდან შეტანილი საქონლის გაწმენდის შესახებ ცნობები ერთობ ფრაგმენტულია, რომელთა მიხედვით მთელი წლის სურათის აღდგენა შეუძლებელია. მაგრამ 1815 წელი საქართველოს ბამბეულის თუ სხვა საქსოვი წარმოების განვითარების თვალსაზრისით კულმინაციური წერტილი არ ყოფილა. პირიქით, ამის შემდეგ, ყოველ შემთხვევაში 10—12 წლის განმავლობაში მაინც, ეს წარმოება ჩვენში მეტად სწრაფად იზრდებოდა, რასაც მოწმობს როგორც სახელოსნოებისა და მასში ჩაბმული პირების რიცხვის ზრდა, ისე შესაბამისი აქციზების ზრდაც. ეს ზრდა კი შინა ბაზრის გაფართოებასთან ერთად საექსპორტო ვაჭრობის გაძლიერებით უნდა ყოფილიყო განპირობებული.

---

111 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 398, ფურც. 138—139.

112 АКАК, т. VI, გვ. 210, № 262.

რასაკვირველია, მოზდოკში და ყიზლარში შეტანილი საქონელი მხოლოდ რუსეთის შიდა გუბერნიებისათვის არ იყო განკუთვნილი. მისი დიდი ნაწილი ადგილზევე სალდებოდა. დასახელებული და კიდევ მრავალი სხვა პუნქტი ხომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ვაჭრობის მეტად მნიშვნელოვანი ცენტრები იყო. გატანილი საქონლის საგულისხმო რაოდენობა, როგორც ჩანს, საკარანტინო პუნქტებში მიტანამდე, გზაშივე იყიდებოდა მთიელ ხალხებზე, რაც მთავრობისათვის არასასურველი იყო და მის აღკვეთას ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ. თავისთავად საქონლის მოზდოკში გაყიდვა უკვე მეტად დიდ მოგებას იძლეოდა. მაგალითად, 1822 წელს ივანე ბაისაგოლოვმა საქართველოში შეიძინა 10 000 მანეთის საქონელი, რომელიც 3860 თოფი ბაბბეულის ქსოვილისაგან შედგებოდა. ორი კაცის ხელით გააგზავნა მოზდოკში, სადაც ეს საქონელი 18 000 მანეთად გაიყიდა, ე. ი. გზის ხარჯები რომ ვიანგარიშოთ, წმინდა მოგებამ 60% შეადგინა[113].

მაგრამ ქართული საქონელი რომ საგულისხმო ოდენობით რუსეთის შიდა გუბერნიებშიც შედიოდა, ამას არაერთი .საბუთი ადასტურებს. უფრო საგულისხმო ისაა, რომ ამით ხელისუფლება იყო დაინტერესებული. სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას ის ღონისძიებები, რომელსაც იგი ამ მიმართულებით ატარებდა: 1806 წლის ნოემბერში ვაჭართა დიდმა ჯგუფმა თხოვნით მიმართა გუდოვიჩს: საქონელი სავაჭროდ მიგვაქვს ასტრახანში, მოზდოკის კარანტინში ჩვენს საქონელს 40 დღე აკავებენ, ამის გამო დიდ ზარალს ვნახულობთ. ამგვარი დაკავება კი აუცილებელი არ არის, რადგან იმ ადგილებში, საიდანაც ჩვენ მოვდივართ, არავითარი გადამდები სნეულება აღნიშნული არ არსებულ[114]. როგორც ჩანს, ამ თხოვნისა და მოსალოდნელი სხვა მასალების საფუძველზე ადგილობრივი მთავრობა შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ქართული საქონელი მოზდოკის კარანტინში ფერხდებოდა და მკაცრ ზომებს იღებდა მის აღსაკვეთად. ეს განწყობილება კარგად ჩანს ერთ-ერთ ცირკულარში, რომელიც ფინანსთა მინისტრს უნდა ეკუთვნოდეს: „მოზდოკის საკარანტინო საგუშაგოს! ჩემამდე მოვიდა ცნობა, რომ საქართველოდან ჩამოტანილი რუსეთში გასაგზავნი საქონელი დაკავებულია და თითქოს არ არის მიღებული მოზდოკის საკარანტინო საგუშაგოს მიერ. ამასთან ერთად, რო-

---

113 სცსია, ფ. 90. საქმე 305, ფურც. 1—3.

114 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 110.

ეორც მე კავკასიის სამოქალაქო გუბერნატორის მოხსენებითი ბარათიდან დავინახე, მისი ბანკარგულებით კარანტინში მგზავრებისა და საქონლის უკეთ განლაგების მიზნით გადაწყვეტილია თერგის ამ ნაპირზე ბალაგანების მოწყობა. მოვიწონე რა გუბერნატორის ეს განკარგულება, ვუბრძანებ მოზდოკის საკარანტინო საგუშაგოს, საქართველოდან მოსული ვაჭრების რუსეთში გასატანი საქონელი მიიღოს გასაწმენდად გუბერნატორის მიერ განსაზღვრული ვადით, ხოლო შემდგომში მართლმსაჯულებისა და თანამდებობიდან გადაყენების შიშით, არ უთხრან უარი მათ მიღებაზე, რათა მათ არ შეიტანონ ეკვი თერგის აქეთა მხარეს მოლვაწე საქმოსნებში, ეკვი იმისა, რომ მათ საქონელს არ გაატარებენ"[115]. იგივე ავტორი კავკასიის გუბერნატორ მალინინისადმი მიწერილ ინსტრუქციაში სრულიად გარკვევით მიუთითებდა: „...წინანდებას გაძლევთ საქართველოდან მომავალი ყველა საქონელი, მათ შორის შალეულის ქსოვილები, გაატაროთ მოზდოკის კარანტინში იმ პირობით, რომ საქონელი, რომელიც ადვილად იღებს გადამდებ სნეულებებს, გაწმენდილ უნდა იქნას მთელი სიმკაცრით"[116] და სხვ.

მთავრობის ამგვარი პოლიტიკა სრულიად ბუნებრივია. ამ პერიოდში რუსეთში აკრძალვითი ტარიფი შოქმედებდა, რომლის ფალითაც ევროპული ქსოვილების შემოტანა მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული. აღნიშნულმა ტარიფმა მძლავრი ბიძგი მისცა რუსეთში ბამბეულის საქსოვი წარმოების განვითარებას, მაგრამ იგი ჯერჯერობით მაინც ვერ აკმაყოფილებდა ქვეყნის სულ უფრო და უფრო მზარდ საშინაო ბაზარს. იმის გამო ქართული ბამბეულის ქსოვილებისა და სხვა სახის ნედლი და მზა პროდუქციის შეტანა რუსეთის ბაზაზე სასურველი უნდა ყოფილიყო.

რუსეთის შიდა გუბერნიებში ქართული საქონლის შეტანის შესახებ ქ. ასტრახანში საქართველოს ვაჭრების წარმომადგენელთა მეტად აქტიური საქმიანობაც მოწმობს: 1804 წლის მონაცემებით, ასტრახანის მოსახლეობის 29%-ს ქართველები და სომხები შეადგენდნენ[117]. 1825 წლის ცნობით აქ 2570 სომეხი და 171 ქართველი ცხოვრობდა. ჩვენ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ რაკი საქართველოს ვაჭრებში სრული უპირატესობა წარმოშობით სომ-

---

[115] სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 444, 1814 წ. ფურც. 32.

[116] იქვე, ფურც. 34.

[117] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

ხურ ელემენტს ეკავა, ასტრახანის სომეხთა მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოდან უნდა ყოფილიყო გადასახლებული. ხოლო იმ საერთო წვლილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც ქართული წარმოშობის ხალხს ეკავა თვით საქართველოს შინაგაჭრობაში, ისეთ მნიშვნელოვან საგაჭრო ცენტრში, როგორიც მაშინ ასტრახანი იყო, 171 ქართველი კაცის ცხოვრება მეტად საყურადღებო ფაქტად უნდა მივიჩნიოთ; ამასთან ასტრახანში მცხოვრებ 120 კათოლიკე ვაჭართა შორის ბუნებრივია, ქართველი ვაჭრებიც იქნებოდნენ. თავისთავად ის ფაქტი, რომ აზიური წარმოშობის მოსახლეობაში ქართველები მესამე ადგილზე იყვნენ სომხებისა და ბუხარელების შემდეგ და გაცილებით მეტი, ვიდრე სპარსული წარმოშობისანი, ქალაქში, რომელიც რუსეთის სპარსეთთან ვაჭრობის მთავარი ცენტრი იყო, ჩვენ ძრავლისმეტყველად გვეჩვენება. სომხური და ქართული ელემენტი ასტრახანის მუდმივ მცხოვრებ აზიურ მოსახლეობაში თითქმის 79%-ს შეადგენდა, ხოლო მათი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სფერო რუსეთის შიდა გუბერნიებში ვაჭრობა იყო: „ამ აზიელთა ვაჭრობა—ეკითხულობთ აღნიშნულ საბუთში,—სხვათა შორის რუსეთის ბევრ გუბერნიასთან წარმოებს სამი იარმარკის: ნიჟეგოროდის, კორენნაია და ირბიტის იარმარკებით"[118].

რუსეთის ცენტრალურ ბაზრობებზე ქართული საქონლის მოძრაობა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ მან ასახვა პოვა ოფიციალურ დოკუმენტებსა და პრესაში, რაც ამ საქონლის საგულისხმო ოდენობაზე მიუთითებს.

არაერთი ცნობა არსებობს ქართული საქონლის მაკარიევის იარმარკაზე გატანის შესახებ[119]. მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველი ვაჭრები მაინც ნიჟეგოროდის ბაზრობას არჩევდნენ. 1827 წელს ამ ბაზრობაზე საქართველოდან შეტანილ საქონელს შორის ყურადღებას იქცევს დიდი რაოდენობის ბეწვეული, აბრეშუმი, თავსაფრები და ხელსახოცები (платки)[120]. 1828 წლის ბაზრობის ანგარიშებში ქართული, სომხური და სპარსული საქონელი ერთ გრაფაშია მოქცეული. აქვე აღნიშნულია, რომ მაგალითად აბრეშუმი საქართველოდან შემოვიდა 450 ფუთი, ხოლო ასტრახანიდან 750

---

118 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 1047, 1820 წ. ფურც. 126—129.
119 სცსია, ფ. 86, აღწ. 1, საქმე 2, 1827 წ., ფურც. 8, 9, 10.
120 «Коммерческая газета», 1827 წ. 14 სექტემბერი, № 74.

ფუთი. მაგრამ ასტრახანი ხომ არც სომხეთია და არც სპარსეთი და ამდენად არაფერი არ არის მოულოდნელი იმაში, რომ ასტრახანიდან შეტანილი საქონლის ნაწილი ქართული ყოფილიყო. იგივე შეიძლება ითქვას ბამბის ნართზე. საქართველოდან 200 ფუთი, ასტრახანიდან 3000 ფუთი. ამის გარდა, აღნიშნული გრაფის ქვეშ ჩანს აბრეშუმის ქსოვილი—მოვი, სპარსული სარტყლები (ე. ი. ქსოვილის სარტყლები) და ა. შ. სულ ამ წელს, ბაზრობაზე 1561800 მანეთის ღირებულების ქართული, სომხური და სპარსული საქონელი ყოფილა წარმოდგენილი[121]. მაგრამ აქ უნდა გავიხსენოთ, რომ რუსეთსა და ირანს შორის ამ დროს ომი მიმდინარეობდა რაც ბუნებრივია ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობას მნიშვნელოვნად აფერხებდა ასე, რომ სავარაუდოა ამ გრაფაში უპირატესად საერთოდ ამიერკავკასიის საქონელი ვიგულისხმოთ—სახანოების, საქართველოს და ა. შ. საინტერესო დეტალი: საქართველოში შელავათიანი ტრანზიტის მოწინააღმდეგეები ამ ტრანზიტის რუსეთისათვის არახელსაყრელობის დამადასტურებელ ფაქტად იმ გარემოებასაც ასახელებდნენ, რომ ქართველი ვაჭრები თავიანთ საქონელს რუსეთის ბაზრებზე ასაღებენ, სამაგიეროდ კი არაფერს ყიდულობენ, ნაღდი ფული ევროპაში მიაქვთ და სამშობლოში იქაური ნაწარმით დატვირთულნი ბრუნდებიანო[122].

ნიჟეგოროდის ბაზრობის აღწერებიდან ჩანს, რომ ქართული საქონელი ნაწილობრივ ადგილზე ყიდდებოდა, ნაწილობრივ კი მოსკოვში და სხვა ცენტრალურ ქალაქებში იგზავნებოდა. ჩვენ არაერთი ცნობა მოგვეპოვება ქართველი ვაჭრების მოღვაწეობისა რუსეთის ორივე დედაქალაქში[123]. მაგრამ ამჟამად საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება შევაჩეროთ საქართველოდან გატანილი საქონლის სადაურობაზე.

---

[121] «Комерческая газета», 1828 წ. 29 სექტემბერი, № 78, გვ. 3.

[122] АКАК, ტ. VII, I, გვ. 120, № 102.

[123] მაგალითად, 1812 წ. მოსკოვის ხანძრის შედეგად, იქ, სხვათა შორის, ქართველი ვაჭრებიც დაზარალდნენ. 1823—1825 წლებში სრულიად ფრაგმენტული ცნობებით მოსკოვში 9 ქართველი ვაჭრის მოღვაწეობა დგინდება. ისინი აქ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იყოფებიან ქართველი დედაქალაქების წარმომადგენლებად და საქართველოდან მიღებული საქონლის გასაღებას და აქეთ რუსული საქონლის გამოგზავნას ეწევიან: სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 759, ფურც. 848; საქმე 823, ფურც. 335; ფურც. 703; საქმე 825, ფურც. 245; 277; საქ. 827, ფურც. 46, 547; საქ. 867, ფურც. 869, 1118; საქ. 872, ფურც. 43 და სხვ. ბევრ ქართველ ვაჭარს ცხოველი კომერციული ურთიერთობა ჰქონდა პეტერბურგთან და ა. შ.

5. გაჭანილი საქონლის სადაურობა

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საქართველოს საგაჭრო ურთიერთობა აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანასთან ჰქონდა, აქ სისტემატურად შემოდიოდა საქონელი ინდოეთიდან, ეგვიპტიდან, თურქეთიდან, სპარსეთიდან და ა. შ. არაფერი არ არის მოულოდნელი იმაში, რომ საქართველოს გზით ერთი ქვეყნის საქონელი რომელიმე სხვა ქვეყანაში შესულიყო და ეს ასეც ხდებოდა. ამდენად, საქონლის სადაურობის დადგენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ზოგჯერ ამის გაკეთება საკმაოდ მარტივია. მაგალითად, რუსეთში დიდი რაოდენობით შეტანილი ძვირფასი თვლები — ფირუზი და მარგალიტი აშკარად არაქართულია, სამაგიეროდ ისეთი საგნები, როგორიცაა, ვთქვათ, გიშერი, იმერული ნახევართავთა და მისთანანი, მხოლოდ ქართული შეიძლება იყოს. ნედლი და ამოხვეული აბრეშუმი კი გადიოდა როგორც ქართული, ისე ამიერკავკასიის სხვადასხვა პროვინციებიდან: შემახადან და ა. შ. მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ქსოვილების საკითხი, რადგან საქართველოში აღმოსავლური ყაიდის ქსოვილებს ამზადებდნენ. ეს განსაკუთრებით ბამბეულის, ნაწილობრივ აბრეშუმის და ნახევრად აბრეშუმის ქსოვილებსაც ეხება. საქართველოში რომ ირანის პროვინციებიდან დიდი რაოდენობით შემოდიოდა ბამბა, ბამბის ნართი, საღებავები და სხვ. ეს ფაქტია. საქართველოში შემოდიოდა ირანული ქსოვილებიც. ამდენად სრულიად ბუნებრივად იბადება კითხვა, როცა რუსეთში ასეთი დიდი რაოდენობით ქსოვილების ,,ტანაზე ვლაპარაკობთ, ხომ არ შეიძლება აქ უბრალოდ ტრანზიტი ვიგულისხმოთ ირანული პროდუქციისა საქართველოს გზით?[124].

საბუთებზე გულდასმით დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ქსოვილების აბსოლუტური უმრავლესობა, ხოლო ბამბეულის ქსოვილები პრაქტიკულად მთლიანად ქართული ნაწარმი იყო. ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს შემდეგი გარემოებები ფლაძლევს:

1. ქსოვილებით საექსპორტო ვაჭრობის ზრდის ტემპები საქართველოში ემთხვევა შესაბამისი წარმოების ზრდის ტემპებს

---

[124] ეს საკითხი საბაჟოს მოხელეებსაც აინტერესებდათ, რადგან ქართულ და არაქართულ საქონელზე ბაჟს სხვადასხვანაირად იღებდნენ. ამიტომ ისინი მეტად გულდასმით და შეიძლება ჩაკირკიტებითაც კი ამოწმებდნენ საქონლის სადაურობას, ისე რომ ზოგჯერ აშკარად ქართულ საქონელსაც სპარსულად მიიჩნევდნენ და შესაფერისი ბაჟით ბეგრავდნენ. სცსია, ფ. 86, აღწ. 1, საქმე 2, ფურც. 12.

(აღნიშნულ საკითხებზე, როგორც ვთქვით, ქვემოთ შევჩერდებით), შაშინ როდესაც ასეთი დიდი მასშტაბის სატრანზიტო ვაჭრობას ქვეყნის შესაბამისი მრეწველობის დაცემა უნდა გამოეწვია.

2. საბუთებში აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში მითითებული არ არის პროდუქციის სადაურობა. აღნიშნულია მხოლოდ, რომ ეს საქონელი მოდის თბილისიდან, იმერეთიდან, საქართველოდან და ა. შ. ამდენად, ეს საქონელი მხოლოდ ქართული შეიძლება იყოს. საქმე ის არის, რომ სპარსული ქსოვილების ექსპორტს რუსეთში დიდი ხნის ტრადიციები ჰქონდა. იგი აქ გაცილებით მეტი რაოდენობით შემოდიოდა და გაცილებით ძვირადაც იყიდებოდა. ამდენად, საქონელზე სპარსული წარმოშობის მითითება, როცა იგი უკვე რუსეთის საზღვრებში იყო შესული (მოზდოკი, ყიზლარი), ვაჭრისათვის სასარგებლო იყო. ეს სახელწოდება გარკვეულ რეკლამას გულისხმობდა და, ამდენად, მოსალოდნელია პირიქითი მისწრაფება: არასპარსულის (ქართულის) სპარსულად გასაღებისა.

3. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ზოგჯერ გატანილი პროდუქციის ცალკეულ სახეობებს მათი ქართულობის მიმნიშნებელი დასახელებაც აქვს. მაგალითად, ქალაქური ნარმა, იმერული ნახევართავთა და ა. შ. მაგრამ ეს მითითება, ჩვენი აზრით, ზოგჯერ პროდუქციის ტიპს (მაგალითად, იმერული ნახევართავთა ჩვეულებრივისაგან განსხვავებული, შედარებით ვიწრო და, ჩანს, ქსოვითაც თავისებური იყო), ზოგჯერ კი პროდუქციის ხარისხს აღნიშნავდა (უნდა ვიფიქროთ, ქალაქური ნარმა ხარისხით უკეთესი იყო, ვიდრე, ვთქვათ, რომელიმე მოშორებულ პუნქტში დამზადებული), ანდა ერთსაც და მეორესაც ერთად.

4. უფრო მეტიც, ხშირად ის საქონელიც, რომელსაც მისი არაქართულობის მაჩვენებელი დასახელებაც აქვს, მაინც ქართულია. მაგალითად, საქართველოდან დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ქსოვილის ისეთი მზა ნაწარმი, როგორიცაა ბაღდადური ხელსახოცი (Платки багдадские). ცხადია, ისინი ერაყიდან შემოტანილი ვერ იქნებოდა. აქ უნდა ვიგულისხმოთ პროდუქციის ტიპი, რომელიც ალბათ მართლაც თავის დროზე ერაყიდან გავრცელდა, მაგრამ ჩვენში მეტად დიდი პოპულარობა მოიპოვა და საერთოდ ხელსახოცის სინონიმად იქცა. იგი თითქმის ჩვენს დრომდე შემორჩა, როგორც ქალაქური სამოსელის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტი. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამგვარი საქონელი აქვე ჩვენში მზადდებოდა. მთელი

XVIII საუკუნის განმავლობაში ამზადებდნენ საქართველოში „თურქულ ქოშებს“, „სპარსულ“ წუღებს. „სპარსულ“ უნაგირებს და ა. შ. ამგვარი ვითარება გვაქვს საფეიქრო ნაწარმის მიმართაც. მაგალითად, კახეთში და საქართველოს მთიან რაიონებში მნიშვნელოვანი რაოდენობით ამზადებდნენ „ლეკურ“ მაუდს, ე. ი. პროდუქციის იმ სახეობას, რომელიც ლეკურის სახელით იყო გავრცელებული. ჩვენ მოგვეპოვება ცნობა, რომ გორის მაზრაში მზადდებოდა „ლეკური“ ნაბდები[125]. თბილისში ამზადებდნენ თურქული ყაიდის თავსაფრებს. საინტერესოა ის გარემოება, რომ საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონელი ადგილობრივისათვის რომ დაემსგავსებინათ და ამით მისი უბაოდ გაპარება მოეხერხებინათ, მათ თურქული თავსაფრების ყაიდაზე ღებავდნენ და კერავდნენ[126], რაც აშკარად იმაზე მიუთითებს, რომ ამგვარი თავსაფრების დამზადება იმდენად გავრცელებული და ცნობილი ყოფილა, რომ მას ადგილობრივის რეპუტაცია ჰქონია. სხვა საბუთებიდან ჩანს, რომ თბილისსა და საქართველოში ამზადებდნენ „ქერიმხანის შალებს“[127].

5. ჩვენი მსჯელობა ძირითადად მაინც იმ ფაქტს ეყრდნობა, რომ სპარსეთსა და რუსეთს შორის საქართველოს გზით ვაჭრობა ძირითადად კასპიის ზღვის სანაპიროების საშუალებით, ან თვით ზღვით წარმოებდა, უპირატესად ასტრახანის, ბაქოსა და ენზელის მეშვეობით. ხოლო ბაქოდან ირანის სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგაჭრო ცენტრი — თავრიზი უფრო ახლოს იყო, ვიდრე თბილისი. რუსეთის ეკონომიკური გეგმებიც ამ გზებისკენ იყო მიმართული და კასპიის გზის უფრო ექსტენსიურ გამოყენებას ითვალისწინებდა[128]. ამიტომ ივარაუდებოდა, რომ საქართველოში სპარსეთის საქონელი მხოლოდ აზერბაიჯანიდან შეწოვიდოდა და ისიც არა ტრანზიტის, არამედ ადგილობრივი მოხმარებისათვის. კასპიის ზღვა და ვოლგა რუსეთის გეგმებში ძირითადი მაგისტრალი უნდა ყოფილიყო სპარსეთთან ვაჭრობაში[129]. რაც შეეხება საქართველოს, რუსეთი მას ევროპის აზიასთან დაკავშირების საუკეთესო საშუალებად გეგმავდა, ხოლო ამ გზით სპარსული საქონლის რუსეთში გატანა, კავკასიის მთიანეთში გზების იმდროინდელი მდგომარეობის პირობებში საესებით უპერს-

[125] ЦГВИА, ф. ВУА, д. 1841, л. 124.

[126] სცსია, ფ. 380, საქ. 14, 1808 წ. ფურც. 240—241.

[127] იქვე, საქმე 14, ფურც. 269.

[128] «Тифлисские ведомости» 1828, № 15.

[129] იქვე, 1829, № 47.

პექტივო ჩანდა: ამიტომ მეტად გულდასმითი დამკვირვებელი ს. ბრონევსკი გარკვევით აღნიშნავდა: სანამ კავკასიაში საიმედო გზები არ იქნება მოწყობილი, სახმელეთო ვაჭრობაზე ფიქრიც კი შეუძლებელიაო[130]. ეს სიტყვები, რომელიც 20-იან წლებში იწერებოდა, კარგად ასახავს იმ ვითარებას, რომელსაც ამ მიმართებით მთელ განსახილველ პერიოდში ჰქონდა ადგილი. უკეთესი და უფრო მოსახერხებელი გზების არსებობის პირობებში საქართველოზე გავლით სპარსული საქონლის ტრანზიტს აზრი ეკარგებოდა.

მაგრამ ეს სიძნელეც რომ არ ყოფილიყო, არსებობდა სხვა გარემოებაც, რომელიც ალბათ სავსებით გამორიცხავდა ამგვარი ვაჭრობის შესაძლებლობას. ეს იყო ქართული ფეოდალური სამეფო სისტემა, რომელმაც, მართალია, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გარკვეული ცვლილებები განიცადა, მაგრამ არსებითად ძველებური რჩებოდა, რაც სხვადასხვა ბაჟების იჯარით გაცემაში გამოიხატებოდა და, ამ საფუძველზე, ათასგვარ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მართალია, საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო, მაგრამ საქართველოში შემოსული უცხოური ნაწარმი რუსეთში გატანისას კიდევ ერთხელ იბეგრებოდა. ამგვარი ვითარება გრძელდებოდა თითქმის მთელი განსახილველი პერიოდის (XIX ს. პირველი მესამედის) განმავლობაში. ყოველ შემთხვევაში, 1823 წლამდე, ხოლო 1826—1828 წლის ომების პერიოდში, ცხადია, ირანული საქონლის რაიმე შეღავათიან ვაჭრობაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. სპარსეთის სავაჭრო ფენების წარმომადგენლები გიულისტანის ზავის საფუძველზე რუსეთში შეღავათიანი ვაჭრობის უფლებით სარგებლობდნენ და იბრძოდნენ კიდევაც იმისათვის, რომ ეს უფლებები პრაქტიკულადაც განეხორციელებინათ. საქართველოზე გავლით კი მათ სულ ცოტა ორმაგი (და შეიძლება მეტიც) ბაჟის გადახდა მოუწევდათ. ცხადია, ეს გარემოება ამგვარი სატრანზიტო ვაჭრობის არსებობას სრულიად უაზროს ხდიდა. მსგავსი მდგომარეობა იყო სხვა უცხოური საქონლის მიმართაც. ხელისუფლება განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენდა საქართველოდან რუსეთში უცხოური საქონლის გატანის საქმეში, რადგან აქ არ მოქმედებდა საერთო საიმპერიო საბაჟო წესები[131].

---

[130] С. Броневский, Новейшия географическия и статистическия известия о Кавказе, ч. I, М., 1823 с. 175.

[131] სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 175, ფურც. 260—261. მოზდოკის საბაჟოში ქართული საქონელიც მეტად მაღალი ბაჟით იბეგრებოდა. ვაჭართა საყვედურების

რასაკვირველია, ყველაფერი ის, რაც ზემოთ ითქვა, არ გაბოროიცხავდა სპარსული თუ სხვა უცხოური საქონლის რუსეთში საქართველოს გზით შეტანას. ადგილობრივი ხელისუფლება სასტიკად ებრძოდა ფარული გზით საქონლის გაპარებას, მაგრამ თვით ეს ბრძოლა ხომ ამგვარი ფაქტების არსებობაზე მიუთითებს. ივის გამო, რომ საქონლის ზოგიერთი სახეობა მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა ადგილობრივისაგან, რაკი ბაკი და აქციზი კახეთში ერთად გაიცემოდა იჯარით, ვაჭრები, როგორც ჩანს, გარკვეული გასამრჯელოს საშუალებით ახერხებდნენ, რათა მოიჯარეს შემოტანილ საქონელზე ადგილობრივი ნაწარმის აღმნიშვნელი ბეჭედი დაესვა[132]. სახაზინო ექსპედიცია ამას თავგამოდებით ებრძოდა, მაგრამ ამგვარი ვითარების მთლიანად აღმოფხვრას მაინც ვერ ახერხებდა. როცა მსგავსი მაქინაციები აღარ გაუვიდათ, ვაჭრებმა ირანული საქონლის ადგილზე გადაკეთება (შეღებვა, მოჩითვა და სხვ.) დაიწყეს, რათა ადგილობრივისათვის დაემგვანებინათ, მაგრამ ჩქარა მათი ეს მაქინაციებიც გამომჟღავნდა[133]. ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, უცხოური საქონლის გაპარებას მაინც ჰქონდა ადგილი, მაგრამ პრაქტიკულად მას საერთო ქართულ ექსპორტში რაიმე არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა და, რაც მთავარია, ძირითადად ეს უნდა ყოფილიყო ის საქონელი, რომელიც ქვეყანაში თავიდანვე შემოდიოდა არა გატანის, არამედ ადგილზე ცასალების მიზნით. ამდენად მისი გარკვეული ნაწილის ქვეყნის გარეთ გატანას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა.

არსებული მასალები ადასტურებენ, რომ რუსეთის საბაჟო ცენტრებში შემავალი ვაჭრები საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები არიან. გატანილი საქონელი საქართველოს სხვადასხვა ადგილებშია დამზადებული. ყველაფერი ეს აშკარად მიუთითებს იმ დადებით გავლენაზე რასაც რუსეთთან ვაჭრობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ახდენდა.

მიხედვით ეს ბაკი ზოგჯერ 100 %-საც კი აკარბებდა, რაც საბაჟოს მოხელეთა თვითნებობას უნდა მიეწეროს. მაგრამ ოფიციალურად იგი ყოველ შემთხვევაში, გასული საუკუნის 10-იან წლებში 25%-ს უდრიდა, ЦГАДА. ф. 276, оп. 3, д. 1868, л. 2—7. ჩვენ იმის ცნობებიც მოგვეპოვება რომ ირანული საქონელი პირიქით რუსეთიდან შემოდიოდა საქართველოში. სცსია, ფ. 254, აღწ. 1. საქმე 962, ფურც. 478— 479.

[132] სცსია, ფ. 380, საქმე 15, 1809, ფურც. 193.

[133] იქვე, საქმე 15, ფურც. 240—241.

1804 წელს სახაზინო ექსპედიციაში საჩივარი შეეიდა იმის თაობაზე, რომ სიღნაღელ ვაჭრებს თავიანთი საქონელი ანანურით პირდაპირ რუსეთში ფიაქვთ ის, რომ თბილისში არ შემოდიან და აქ ბაჟს არ იხდიანო[134]. 1805 წელს ორმა ვაჭარმა სიღნაღიდან დიდი რაოდენობით აბრეშუმი და ქსოვილები გააგზავნა მოზდოკში, რისთვისაც ბაჟი კახეთსა და თბილისში გადაიხადა. ახლა კი მოზდოკშიაც თხოვენ ბაჟს[135]. კახეთში საქსოვი წარმოება ბევრგან იყო განვითარებული. ერთ-ერთი ასეთი ცენტრი ველისციხე იყო. 20-იანი წლებიდან განსაკუთრებით ძლიერდება საქართველოდან ბამბის ნართის გატანა და ამ საქმეში, როგორც ჩანს, ველისციხელი ვაჭრებიც აქტიურობენ: 1822 წელს ველისციხელ ვაჭარს დავით მირონოვს რუსეთში დიდი რაოდენობით მიაქვს ბამბის ნართი[136], ამგვარი საქონლის გატანას ადგილი აქვს კახეთის სხვა ადგილებიდან[137], გორიდან[138] და ა. შ. გორის მაზრა (განსაკუთრებით ქალაქები გორი და ცხინვალი) საქართველოს პირობებში სავაჭრო-სამრეწველო განვითარების მაღალი დონით გამოირჩეოდა, ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ აქ ვაჭართა ძლიერი ფენა არსებობდა, რომლის წარმომადგენლები რუსეთის ბაზრებზე შეტად მნიშვნელოვან კომერციებს აწარმოებდნენ. რუსული ხელისუფლების მიერ შემოღებული წესით გორელი, ისევე როგორც სხვა არათბილისელი ვაჭრები, იმისათვის რომ საქონელი რუსეთში წაეღოთ, ვალდებულნი იყვნენ ეს საქონელი ჯერ თბილისში შემოეტანათ და აქ გადაეხადათ შესაბამისი ბაჟი[139]. ცხადია, ეს დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული. გორელმა ვაჭრებმა დიდი ბრძოლის შედეგად მიაღწიეს ამ წესის შეცვლას და მათ ნება მიეცათ საქონელი უშუალოდ გორიდან გაეტანათ[140]. ადგილობრივი წარმოების ქსოვილების რუსეთში გატანის არაერ-

---

[134] სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 21, ფურც. 189. საინტერესო დეტალი: ი. შოპენი თავის შენიშვნებში ლეგკოპიტოვის ნაშრომზე «Обозрение российских владений за Кавказом» აღნიშნავს რომ სიღნაღელი ვაჭრები «ездят в Москву и на Нижегородскую ярмарку» — И. Шопен, Некоторые замечания..., с. 37.

[135] სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 95, ფურც. 266—267.

[136] იქვე, საქმე 702, 1822, ფურც. 60.

[137] იქვე, ფურც. 238.

[138] იქვე, ფურც. 60.

[139] სცსია, ფ. 380, საქ. 33, ფურც. 266.

[140] სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 828, ფურც. 129—135; იქვე, საქ. 131, ფურც. 498—499.

თი ფაქტია დადასტურებული ეგრეთვე დუშეთიდან, ანანურიდან, ახალგორიდან და ა. შ.[141].

ჩვენ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ რუსეთ-საქართველოს ვაჭრობაში საკმაოდ შესამჩნევ როლს ასრულებდნენ დასავლეთ საქართველოს ვაჭრები და განსაკუთრებით ის, რომ აქაური საქონელი რუსეთის ბაზრებზე ფართო გატანის ობიექტი იყო. იმერული ნახევართავთა საქართველოდან გატანილი აბრეშუმის და ნახევრად აბრეშუმის ქსოვილებში ერთ-ერთ პირველ ადგილზე იდგა. იმერეთიდან რუსეთში გაჰქონდათ დარაია, თავთა, ბეწვეული და სხვ. უკვე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩანს დასავლეთ საქართველოს ვაჭართა ფენის აქტიური მონაწილეობა რუსეთთან საექსპორტო ვაჭრობაში. მაგალითად: 1780 წლის 14 ივლისს იმერეთიდან დიდძალი საქონლით შიმავალი ქართველი ვაჭრები დავით გავრილოვი, დავით ბეჟანიშვილი და ნადიპაატაშვილი მოზდოკში ბისვლამდე გაძარცვეს მთიელებმა[142]. იმერელი კათოლიკე ვაჭრები დიმიტრიევი და ელიზბაროვი საკმაოდ ფართო ვაჭრობას ეწევიან რუსეთში და უცხოეთში[143]. მოზდოკში ვაჭრობენ ქუთაისელი სტეფანე გრიგორიევი და სტეფანე პეტროვსკი[144]. 1805 წელს ქუთაისის მცხოვრებლები სტეფანე ქიხოსროვი და ბერი გრიგორიევი რუსეთში მიდიან „ქართული" და „იმერული" საქონლით[145]. 1806 წელს ქუთაისელმა კათოლიკემ პეტრე ბეჟანიშვილმა რუსეთში წაიღო დიდი რაოდენობის სხვადასხვა ბეწვეული, ქსოვილები, საკარცხლები, გიშერი, ვარდის და ნუშის ზეთი, ლეჩაქები და სხვ[146].

დასავლეთ საქართველოს პროდუქცია რუსეთში თბილისელ, გორელ და თვით მოზდოკელ ვაჭრებსაც კი შიჰქონდათ. მაგალითად, მოზდოკელმა ვაჭარმა სტეფანე ბალდასაროვმა საქართველოდან დიდი რაოდენობით სხვადასხვა ქსოვილს შორის 230 თოფი იმერული თავთაც წაიღო[147]. თბილისელ მიხეილ სირაძეს სხვა საქონელთან ერთად რუსეთში იმერული ნახევართავთაც მიაქვს[148].

---

141 სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 131, ფურც. 498—499.

142 Документы по взаимоотношению Грузии о Северным Кавказом, 1968, с. 222

143 იქვე, გვ. 98.

144 იქვე, გვ. 251—252; № 98, გვ. 250; № 96, გვ. 246; № 90.

145 სცსია, ფ., 254, აღწ. 1, საქმე 91, ფურც. 272. ეს ვაჭრები აშკარად ქართული წარმოშობისანი არიან, მაგრამ საბუთებში მათი გვარები დამახინჯებულია.

146 სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 131, ფურც. 443.

147 სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 21, ფურც. 123.

148 იქვე, ფურც. 492—493.

როგორც ვხედავთ, დასავლეთ საქართველოც აქტიურად მონაწილეობს იმ მნიშვნელოვან საერთაშორისო ბრუნვაში, რომელსაც საქართველო მეზობელ ქვეყნებთან აწარმოებდა. ეს დასკვნა, რომელიც განხილული მასალიდან გამომდინარეობს, ჩვენ მეტად საგულისხმოდ გვეჩვენება. იგი აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ, მართალია დასავლეთ საქართველოს ვაჭრობა განსახილველ ხანაში შედარებით ჩამორჩენილი იყო, მაგრამ მის განვითარებაში მაინც შეიმჩნეოდა მნიშვნელოვანი ძვრები.

ზემოთ აღნიშნული იყო, თუ რა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა საქართველოსა და რუსეთს შორის დარიალის ხეობით ვაჭრობა კავკასიის მთიელებზე. ამ გავლენის დადებითი მნიშვნელობა განსაკუთრებით აშკარად ჩანს საქართველოს იმ მოსახლეობის მიმართ, რომლებიც ამ გზით რაიონში ცხოვრობდნენ. საქონლის გადაზიდვაში აქტიური მონაწილეობა განსახილველ პერიოდში მათი შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო გახდა[149]. რუსეთისაკენ მიმავალი ვაჭრები, როგორც ითქვა, გზაზვე აქტიურ გაცვლა-გამოცვლას აწარმოებდნენ[150]. დუშეთის მაზრის გლეხები აქტიურად ერეოდნენ თვით ვაჭრობაში, ხსნიდნენ დუქნებს, სადაც ნგზავრთათვის მომარაგებული ჰქონდათ სასმელი თუ საკვები პროდუქტები[151]. ვითარდება ხელოსნობის დარგები, განსაკუთრებით საქსოვი წარმოება. ისე, რომ გატანილ საქონელში ადგილობრივი პროდუქციაც მონაწილეობდა[152]. ამრიგად, მთის მოსახლეობა აქტიურად ებმეოდა არა მარტო საერთო საქართველოს საშინაო საქონელბრუნვაში, არამედ საგარეო საქონელმიმოქცევაშიც.

ყიზლარი, მოზდოკი, მით უმეტეს ასტრახანი თუ სხვა შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი პუნქტები მარტო სავაჭრო ცენტრები არ ყოფილა. ვაჭრობის მაღალმა განვითარებამ აქ ხელოსნობისა და მრეწველობის განვრცობებასაც მისცა ბიძგი. ასტრახანის მოსახლეობის აღწერისას მ. ჩულკოვი აღნიშნავს, რომ აქ 175 „ფაბრიკაა", რომლებიც „უპირატესად სომხებს ეკუთვნით. ხოლო მათში მზადდება ჩადრები და ზოლიანი ფარჩის სარტყლები, ნახევარაბრეშუმის ზოლიანი ფარჩა, ფართოზოლიანი და სადა ბამბის

---

149 სცსია, ფ. 16, საქ. 3272, ფურც. 223.

150 სცსია, ფ. 16, საქმე 702.

151 სცსია, ფ. 16, საქ. 2921.

152 სცსია, ფ. 3880, საქ. 20, ფურც. 233.

ჩადრები, ნაქსოვი სარტყლები, ჭრელი ქსოვილები და ნარმები"[153], როგორც ვხედავთ, აღნიშნული „ფაბრიკების" პროდუქცია ხშირ შემთხვევაში იგივე იყო, რაც საქართველოში მზადდებოდა. ამდენად ბუნებრივია, რომ გატანილ საქონელში თანდათან ნნიშვნელოვან ადგილს იკერდა ნედლეული: ბამბა და ბამბის ძაფი და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, ნაქსოვი დგამები. როგორც აღნიშნული იყო მათ გატანას თითქმის მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში აქვს ადგილი. როგორც ვნახეთ, საქართველოდან სხვა შრომის იარაღებიც გაჰქონდათ. მაგალითად, საოქროჭედლო მოწყობილობები და სხვ. უფრო საინტერესო ისაა, რომ ამ პუნქტებში დროებით თუ მუდმივ საცხოვრებლად არა მარტო ვაჭრები, არამედ ხელოსნებიც მიდიოდნენ. მაგალითად, ოქრომჭედლები, შეტყავეები, ხარაზები და ა. შ. მიდიოდა ისეთი ხალხიც, რომელსაც პროფესია საერთოდ არა ჰქონდათ მითითებული „სამუშაოდ" (на заработки). მართალია, რაიმე ხელოსნური ტერმინი, ზედწოდება მაგალითად, — „ისაია და დაბალი", ან სხვა ამგვარი, შეიძლება გვარის მაგიერ იხმარებოდეს, ხოლო მისი მატარებელი ხელოსანი კი არ იყვეს, არამედ ვაჭარი. ან გავაჭრებული ხელოსანი, მაგრამ არც ის უნდა იყოს გამორიცხული, რომ აღნიშნულ პუნქტებში ქართული ტიპის სახელოსნო თუ უფრო მსხვილი საწარმოების მოწყობასაც ჰქონდა ადგილი.

ამრიგად, გასული საუკუნის პირველ მესამედში საქართველოს რუსეთთან ვაჭრობა განუხრელად იზრდებოდა. ეს აღმავლობა განპირობებული იყო საქართველო-რუსეთის პოლიტიკური დამოკიდებულების ხასიათით და ეკონომიკური ურთიერთდაინტერესებულობით. ვაჭრობას ორმხრივი ხასიათი ჰქონდა. მართალია, ვაჭრობის ბალანსი ერთნაირი არ ყოფილა, შესაძლებელია შემოტანილი საქონლის ღირებულება ჭარბობდა გატანილს, მაგრამ

---

[153] М. Чулков, დასახ. ნაშრომი, წ. II, ტ.II გვ. 458. საინტერესოა ის საწარმოო ურთიერთობა, რომელიც ჩელკოვის აღწერით აღნიშნულ „ფაბრიკებში" მყარდება: «... работу производят на них бедные астраханские жители, которые имели несчастье сделаться армянам должниками и по причине неумеренных процентов, какие берут армяне, приведены будучи в несостояние с ними расплатиться, принуждены идти к ним в работу на их фабрики. Однако вступая в оную не только не зарабатывают забранных ими денег, но еще хитростию хозяев в большие заходят долги, которые часто даже на детей несчастных работников переносятся и приводят целые семьи в рабство к лукавым армянам. В сем состоянии многие у них из русских и других теперь находятся...» და სხვ. — იქვე.

უცილობელი ფაქტია გატანილი პროდუქციის ერთობ საგულისხმო მასშტაბები და მისი ოდენობის სისტემატური ზრდა. თუ საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ წლებში გატანილ საქონელში უპირატესი ადგილი ნედლ და ამოხვეულ აბრეშუმს, სხვადასხვა ბეწვეულსა და ტყავეულს ეკავა, თანდათან ძლიერდება და განსახილველი პერიოდის შუა ხანებისათვის უპირატეს ადგილს ბამბეულისა და სხვა ადგილობრივი ქსოვილების გატანა იკავებს. 20-იანი წლებიდან მოყოლებული, რუსეთის საფეიქრო მრეწველობის ზრდის პარალელურად თანდათან ძლიერდებოდა საქართველოდან ნახევარფაბრიკატის, ბამბეულის ნართის გატანა. საქართველოსა და რუსეთს შორის როგორც შემოტანითი, ისე გატანითი ვაჭრობა ძირითადად ქართული სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელთა მეშვეობით წარმოებდა. მიუხედავად მთავრობის არაერთი ღონისძიებისა, რუსული სავაჭრო კაპიტალის დაინტერესება ამიერკავკასიის ვაჭრობისადმი საკმაოდ უმნიშვნელო იყო. რუსეთთან ვაჭრობა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ვაჭრობაში აქტიურად ერეოდა საქართველოს თითქმის ყველა სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი. საგულისხმო იყო ამ ვაჭრობაში დასავლეთ საქართველოს ვაჭართა ფენისა და პროდუქციის მონაწილეობა. რუსეთთან ვაჭრობა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა აგრეთვე საქართველოს იმ მაღალმთიან პროვინციებზე, რომლებიც სავაჭრო მაგისტრალის მიდამოებში მდებარეობდნენ.

თუ რამდენად ცხოველი იყო საქონელმიმოქცევა და სახაქონლო ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის, ამაზე, ჩვენი აზრით, კარგად მეტყველებს 1816 წლის ერთი საბუთი. ამ წელს ვაჭრებმა მიხეილ სარაჯიშვილმა, იაგორ ქეთხუდოვმა, ივანე თამაშშევმა, გაბრიელ კუზანოვმა, ივანე მნაცაკანოვმა, ზაქარია აქიმოვმა და სხვებმა საჩივარი შეიტანეს სახაზინო ექსპედიციაში, რომ რუსეთიდან ფულს და კორესპონდენციებს ერთობ დაგვიანებით ვიღებთო. გამოირკვა რომ კორესპონდენციები და ფული მოზდოკის კარანტინში ყოვნდებოდა. კარანტინის უფროსმა ეს გარემოება იმით ახსნა, რომ გზაზე თავდასხმებს საშიშროებაა და ამიტომ ძლიერ ბადრაგს ველოდებითო. მაშინ აღნიშნულმა ვაჭრებმა განაცხადეს, რომ კორესპონდენციები და ფული ჩვენ დროზე უნდა მივიღოთ და თუ რაიმე უბედური შემთხვევა მოხდება, ჩვენ თანახმანი ვართ ზარალი ჩვენ თავზე ავიღოთ და ანაზღაურება არ

ვითხოვოთო[154]. ჯერ ერთი, აშკარაა, რომ ეს ვაჭრები რუსეთში თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით ვაჭრობდნენ და რეგულარულად უგზავნიდნენ მათ საქონელს, ე. ი. საქონლის მიმწოდებელნი იყვნენ; 2. რუსეთიდან იღებდნენ ფულს და არა საქონელს; 3. საქონელს აგზავნიდნენ პარტიობით რუსეთის ბაზრის მოთხოვნილების კვალობაზე, ამიტომ მათი ღირებულების დაკარგვა ტრაგედია არ იყო; 4. საქონლის ოპერატიულად მიწოდებას იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ზარალის რისკი გამართლებული იყო.

6. შეღავათიანი ტრანზიტი და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე

საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველმა ორმა ათეულმა წელმა რუსეთის ხელისუფლება დაარწმუნა, რომ ამიერკავკასია მას ვერ აძლევდა წინასწარნავარაუდევ და დაგეგმილ სარგებელს. რუსული საგაჭრო კაპიტალი ამიერკავკასიით დაინტერესებას ნაკლებად იჩენდა. მართალია, ვაჭრობა შემოერთებულ რეგიონთან ინტენსიურად მიმდინარეობდა და ბალანსიც თითქოს რუსეთის საბარგებლოდ ნეტყველებდა, მაგრამ ეს სარგებლიანობა ბოჩვენებითი იყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ ვაჭრობით ძირითად მოგებას ადგილობრივი საგაჭრო კაპიტალის წარმომადგენლები ნახულობდნენ. მეორეც იმიტომ, რომ ვაჭრობის მეშვეობით საქართველოდან რუსეთში სულ 250 000 მანეთი შედიოდა, დანარჩენი ოდენობის რუსული საქონლის შეძენა ადგილობრივი საქონლის საფასურით ხდებოდა. ამავე დროს, მართალია, რუსეთიდან საქართველოში დიდი რაოდენობის პროდუქცია შემოდიოდა, მაგრამ ბუნებრივია, რომ იგი მთლიანად რუსული ვერ იქნებოდა. როგორც ვნახეთ, რუსეთი საქართველოში ევროპული საქონლის შემოტანის ერთ-ერთი ძირითადი რეგიონი იყო. ამავე დროს ხაზინას საქართველოში დაბანაკებული ჯარის ნაწილების შესანახავად ყოველწლიურად 600 000 მანეთი ვერცხლითა და 187 000 მანეთი ასიგნაციით შემოტანა უხდებოდა. ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი შინავაჭრობის მეშვეობით ადგილობრივი საგაჭრო კაპიტალის წარმომადგენელთა ხელში გადადიოდა და იმის გამო, რომ ქართველ ვაჭრებს უცხოეთთან ვაჭრობის ბალანსი თანაბარი არ ჰქონდათ,

---

154 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 437, ფურც. 186—187.

ხოლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ვაჭრობა მხოლოდ ლითონის ფულით წარმოებდა, საქართველოდან ადგილი ჰქონდა მნშვნელოვანი რაოდენობის ლითონის ფულის იმპერიის გარეთ დენადობას[155].

რუსეთმა ირანის ბაზარზეც მარცხი განიცადა. ოსტ-ინდოეთის კომპანია არამცთუ იქ ავიწროებდა რუსულ საქონელს, არამედ გულისტანის ზავის საფუძველზე ირანული საქონლის რუსეთში შეღავათიანი ვაჭრობის დაშვების გზით, თვით რუსეთშიც მნიშვნელოვანი რაოდენობის ინგლისური ფაბრიკატი იჭრებოდა, რომელიც საგანგებოდ ირანისათვის მზადდებოდა და შენიღბულად რუსეთში ირანული პროდუქციის მარკით შემოდიოდა[156]. მაგრამ ირანსა და საერთოდ აღმოსავლეთში ინგლისური კაპიტალის წარმატებები მარტო რუსეთს არ აღიზიანებდა. ევროპის დიდი სახელმწიფოები — გერმანია და განსაკუთრებით საფრანგეთი, უკვე XVIII საუკუნიდან მოყოლებული ეძებდნენ გზებს (მშვიდობიანს თუ საომარს), რათა აღმოსავლეთის ბაზრებზე ინგლისის ბატონობა შეეზღუდათ. ამ თვალსაზრისით XIX საუკუნის მეორე ათეულში მათი ყურადღება სულ უფრო მეტად ამიერკავკასიაზე ჩერდებოდა, როგორც ირანთან და აღმოსავლეთთან სავაჭრო ტრანზიტის ხელსაყრელ რეგიონზე, რადგან გზა თურქეთზე გავლით ამ ქვეყანაში არსებული ხშირი შინაომების, ადგილობრივი ხელისუფლების სისუსტისა და სხვა დამაბრკოლებელი გარემოებების გამო, მათ აღარ აკმაყოფილებდათ[157].

ასეთ ვითარებაში რუსეთის სავაჭრო პოლიტიკის მეჯვეურებში, როგორც ჩანს, თანდათანობით ყალიბდება აზრი აღმოსავლეთის ბაზარზე ინგლისს ჰეგემონიის წინააღმდეგ ბრძოლაში ფრანგული და გერმანული კაპიტალის აქტიური გამოყენებისა. როგორც ვნახეთ, რუსეთი საქართველოს შეერთების პირველ წლებშივე გეგმავდა შავსა და კასპიის ზღვებს შორის სატრანზიტო ვაჭრობის განვითარებას; მაგრამ იმ დროს, როცა ამიერკავკასიის ბევრი სამთავრო თუ სახანო ჯერ კიდევ მთლიანად თუ ნაწილობრივ

---

155 АКАК, т. V, № 296, გვ. 238. ეს მონაცემები ამოღებულია ოფიციალური წყაროდან, ე. ი. შედგენილია ოფიციალურად დაფიქსირებული მონაცემების საფუძველზე, ამდენად მასში ვერ ამსახებოდა მალულად (უბაჟოდ) შეტანილი საქონლის ღირებულება. ამის გამო ფაქტიური სურათი რუსეთის ვაჭრობისათვის გაცილებით საგალალო იქნებოდა.

156 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 143.

157 იქვე, გვ. 143.

დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, როცა რუსეთს ჯერ კიდევ საბოლოოდ არ ჰქონდა განმტკიცებული ამ რეგიონში პოლიტიკური ბატონობის პოზიციები, როცა მას ჯერ კიდევ არ შეეძლო მთელი ყურადღება ეკონომიკური ხასიათის საკითხებზე გადაეტანა და ამდენად იგი მისთვის შაინც მეორეხარისხოვნად რჩებოდა, როცა თვით რუსული ბურჟუაზიის განვითარების მოთხოვნები ჯერ კიდევ არ აყენებდა აქტიური კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების აუცილებლობას, ამ გეგმების განხორციელება სათანადოდ მომწიფებული არ იყო.

20-იანი წლებისათვის მდგომარეობა შეიცვალა. რუსეთმა ძირითადად შემოიერთა ამიერკავკასიის პროვინციების დიდი ნაწილი, ირანი და თურქეთი იძულებული გახდნენ ამ რეგიონში მისი პოლიტიკური ბატონობა ეცნოთ. რუსეთის მრეწველობის სწრაფი აღმავლობის ტემპები მისთვის ახალი ბაზრების საჭიროებისა და ათვისების შესაძლებლობის პერსპექტივებს ხსნიდა. რუსეთის მზარდი მრეწველობისათვის ამიერკავკასია ნედლეულის ბაზა უნდა გამხდარიყო, მაგრამ ეს შაშინ მოხდებოდა, როცა ამ ნედლეულის მოპოვება და დამუშავება სწორედ ამ მრეწველობის მოთხოვნილების შესაბამისად (ხარისხია თუ ოდენობის მიხედვით) იწარმოებდა. შემოერთებული რაიონების შემომტკიცება რუსეთის მთავრობისათვის აქ რუსული ელემენტის გაძლიერებას მოითხოვდა, ხოლო ამისათვის ქვეყნის ევროპეიზაცია იყო საჭირო. ყველაფერმა ამან, ახალი ძალით დააყენა დღის წესრიგში შავსა და კასპიის ზღვებს შორის საავაჭრო მაგისტრალის განმტკიცების და ამ მაგისტრალზე ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობის გადმობირების საკითხი.

ასეთი იყო ვითარება, როდესაც (1821 წლის ოქტომბერში) რუსეთის ხელისუფლებამ ამიერკავკასიაში შეღავათიანი ტრანზიტი დააწესა. რუსეთის ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ აღნიშნული ტრანზიტის მეშვეობით ამიერკავკასიის გზით მოახერხებდა კონტინენტური ევროპის ფაბრიკული საქონლის ირანში მოზღვავებას, აქ კონკურენციულ ბრძოლაში ინგლისური საქონლის დამარცხებას, ამიერკავკასიის ბაზრის გაწმენდას ადგილობრივი და აღმოსავლური საქონლისაგან, ევროპული ვაჭრობის გავრცელებას და შესაბამისი გემოვნების განვითარებას, ნედლეულის პირველადი დამუშავების მრეწველობის განვითარებას, ერთი სიტყვით,

ეკონომიკის მომზადებას ახალი ტიპის კოლონიური პოლიტიკის გატარებისათვის[158].

კანონი შეღავათიანი ტრანზიტის შესახებ 1822 წლიდან შევიდა ძალაში. ამ კანონით უცხოეთიდან საქართველოში შემოტანილი ყოველგვარი საქონელი შეღავათიანი — 5% ბაჟით იბეგრებოდა. მაგრამ იმის გამო, რომ აღნიშნული საქონელი საფინანსო კონტროლს არ ექვემდებარებოდა, ფაქტიურად გაცილებით დაბალი გამოსაღებით შემოდიოდა[159]. ვაჭრებს, რომლებიც ათი წლის განმავლობაში საქართველოში სავაჭრო სახლებს მოაწყობდნენ და ბითუმად ვაჭრობას აწარმოებდნენ, პირველი გილდიის წოდება ენიჭებოდათ და ტრანზიტის ვადის განმავლობაში შესაბამისი გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ. უცხოელებს უფლება ეძლეოდათ შეეძინათ მამულები, მოეწყოთ საწარმოები და ა. შ. მთავრობა კისრულობდა ტრანსპორტის უშიშროების გარანტიას, ტრანზიტის მთელ გზაზე შავიდან კასპიის ზღვამდე[160] და ა. შ. ამგვარ პირობებს არ შეეძლო ევროპელი საქმოსნების ყურადღება არ მიექცია. მით უმეტეს, რომ აღნიშნული ტრანზიტის სარგებლიანობისა და სიკეთის შესახებ აქტიურ აგიტაციას ეწეოდნენ ევროპული კაპიტალის გამოცდილი წარმომადგენლები, რომლებიც სამშობლოში სხვადასხვა მიზეზებით ხელმოცარულნი კავკასიაში ეძებდნენ გამდიდრების საშუალებას და აღნიშნული ტრანზიტის დაარსების ინიციატორებადაც გამოდიოდნენ[161].

ამის საფუძველზე უკვე 1822 წელს საქართველოში უცხოური საქონლის შემოტანა წინა წელთან შედარებით დაახლოებით

---

158 შეღავათიანი ტრანზიტის ისტორია და მიმდინარეობა საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენს ისტორიულ-ეკონომიკურ ლიტერატურაში... (პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, შეღავათიანი ვაჭრობა საქართველოში...; მ ი ს ი ვ ე, საქართველოსა და ამერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. 1, თბ., 1948; ა ბ ე ლ კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია (XIX ს.), თბ., 1954, ე. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე ვაჭრობა და ვაჭართა ფენა რეფორმამდელი ხანის საქართველოში, თბ., 1975; მ. ე ფ რ ე მ ი ძ ე, საქართველოს ვაჭრების როლი ამერკავკასია-ჩრდილოეთ ირანის ევროპული საქონლით მომარაგების საქმეში შეღავათიანი ტრანზიტის მოქმედების პერიოდში (1821—1831); ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1963, გვ. 199 და სხვ.), ამიტომ ჩვენ თავს ნებას მივცემთ ამ საკითხებს მხოლოდ ძირითად შტრიხებში შევეხოთ.

159 ა ბ ე ლ კ ი კ ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 214.

160 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი..., ტ. 1, გვ. 144—145.

161 იქვე, გვ. 140.

120%-ით გაიზარდა, ხოლო 1823 წელს 1821 წელთან შედარებით, დაახლოებით 217%-ით[162].

მაგრამ ჩქარა უცხოელ კომერსანტებს საქართველოს სატრანზიტო მაგისტრალისადმი ნდობა დაეკარგათ. საქმე იმაში იყო, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ვერ შეასრულა ის დაპირებები, რომელსაც იგი ასე საზეიმოდ აძლევდა უცხოელ ვაჭრებს ამიერკავკასიის გზის უსაფრთხოების შესახებ. 1828 წელს ირანში მიმავალი ფრანგი ვაჭრის—ზიგფრიდის დიდი ქარავნის გაძარცვის ამბავი ჩქარა გავრცელდა მთელს ევროპაში[163]. უცხოელი ვაჭრების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ბაჟის საკითხიც. როცა მთავრობა შელავათიანი ტრანზიტის ძალით უცხოურ საქონელზე 5% ბაჟს აწესებდა, ცხადია, იგულისხმებოდა, რომ ტრანზიტის მთელ მაგისტრალზე ვაჭრები ყველა სხვა გამოსაღებისაგან თავისუფლებოდნენ, ე. ი. ხაზინას დაუყოვნებლივ უნდა გაეუქმებინა ყველა შინასაბაჟო გამოსაღებები, რომლებიც საქართველოში ჯერ კიდევ ძალაში იყო და იჯარა-შესყიდვის წესით გაიცემოდა კერძო პირებზე. ჩვეულებრივ პირობებში ეს ასეც მოხდებოდა მაგრამ ტრანზიტის ძალაში შესვლის პირველი წლიდანვე დაიწყო ბრძოლა მის წინააღმდეგ. 1824 წელს იმპერიის ფინანსთა მინისტრის პოსტი კანკრინმა დაიკავა, რომელიც ტრანზიტის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო. 1824 წელს იგი საქართველოს მთავარსარდალს ერმოლოვს აცნობებდა იმ უკმაყოფილების შესახებ, რასაც ამიერკავკასიის ტრანზიტი რუსეთის კომერციულ წრეებში იწვევდა[164]. ასეთ ვითარებაში მთავრობა ფაქტიურად უყურადღებოდ ტოვებდა უცხოელი ვაჭრების პროტესტებს იმის შესახებ, რომ მათ მიერ შემოტანილი საქონელი გამოცხადებულზე გაცილებით მაღალი ბაჟით იბეგრებოდა. უკვე 1822 წელს, როგორც ჩანს, ადგილობრივი ვაჭრების საჩივრის საფუძველზე ერმოლოვი გურიელს აცნობებდა, რომ სპარსეთიდან შემოტანილ საქონელზე ბაჟს ორჯერ იღებდნენ, საქართველოში შემოტანისას და საქართველოდან რუსეთში გატანისას[165], იქვე განმარტავდა, ამას იმისთვის გაცნობებთ, რომ ირანული საქონლის ორმაგმა დაბეგვრამ შეიძლება ირანში რუსუ-

---

162 პროცენტები ჩვენ მიერ გამოყვანილია პ. გუგუშვილის დასახელებულ ნაშრომში მოტანილი მონაცემებიდან — იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 120, 185.

163 აქტები, VI, I, № 365, გვ. 268; პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

164 აქტები, VI, № 280; ე. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

165 იქვე, ტ. VI, № 272, გვ. 217.

ლი საქონლის მიმართაც საპასუხო რეაქცია გამოიწვიოსო[166]. ირანის ბაზრის საკითხით რუსეთი ძირეულად იყო დაინტერესებული. ევროპის მიმართ კი იგი გულგრილი იყო და ამიტომაც ფაქტიურად უყურადღებოდ იქნა დატოვებული ყამბარა წერილი ერმოლოვისადმი, ავტორი აცნობებდა: უცხოელი ვაჭრები ირანში მოსულამდე 3-ჯერ იბეგრებიან: ჯერ ნავსადგურში 5%-ით, შემდეგ სამეგრელოსა და იმერეთში — 3%-ით, ხოლო ახლა თბილისში კვლავ 2%-თო[167]. 1812 წელს კახეთის საბეჭდავის მოსაკრების შემსყიდველებმა მთავრობაში იჩივლეს, თუ უცხოურ საქონელზე ბაჟის აღების უფლებას არ მოგვცემთ, ჩვენ იჯარაზე უარს ვამბობთო. დიდი მსჯელობის შემდეგ მათ ფაქტიურად ამგვარი ბაჟის აღება დაუკანონეს[168].

ამდენად, შეღავათიანმა ტრანზიტმა ქართულ შინასაბაჟო სისტემაზე და იჯარა-შესყიდვის წესზე რაიმე არსებითი გავლენა ვერ მოახდინა, იგი არ შეცვლილა. ყოველივე ამას არ შეიძლებოდა უცხოელი ვაჭრების გულგრილობა არ გამოეწვია და ასეც მოხდა. მაგრამ ამასობაში ევროპასთან ვაჭრობით დაინტერესდა და თანდათანობით გააქტიურდა ადგილობრივი სავაჭრო კაპიტალი.

შეღავათიანი ტრანზიტი ადგილობრივ ვაჭრებს მნიშვნელოვან პრივილეგიებს ანიჭებდა. ჯერ ერთი იმით, რომ უცხოელებს საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალული ჰქონდათ ცალობით ვაჭრობა. ასე რომ, ეს დარგი თავიდანვე ადგილობრივი ვაჭრების ხელში დარჩა და, ბუნებრივია, მათთვის მნიშვნელოვანი მოგების წყაროდ იქცა. კანონის ძალით საბითუმო ვაჭრობაში ჩაბმულები გილდიური გადასახადისაგან და პირადი ბეგარებისაგან თავისუფლდებოდნენ, მათ შორის საბინაო ბეგარისაგან, რომელიც მაშინ საკმაოდ მძიმე ტვირთად აწვა განსაკუთრებით თბილისის მოსახლეობას. შეღავათები ეძლეოდათ ადგილშამულის შეძენაში, საგაჭრო თუ სამრეწველო დაწესებულებების მოწყობაში[169] და ა. შ.

საცალო შინავაჭრობაში მიღებულმა პრაქტიკამ ქართველ ვაჭრებს ჩქარა უფრო ფართო კომერციებისაკენ უბიძგა. უკვე 1823 წელს სარაჯიშვილს ოდესიდან 100 000 მანეთის საქონელი შემოაქვს, ხოლო შემდეგ წელს იგი სხვა 5 ვაჭართან ერთად უკვე ლაიფციგის

---

166 АКАК, т. VI, № 272, гв. 217.

167 იქვე, გვ. 219. № 275.

168 სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 924, ფურც. 679.

169 ბ. გ ე გ ე შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 144—145.

ბაზრობაზე 600.000 მან. (ასიგნ.) საქონელს იძენს[170]. შემდეგი წლებისათვის თბილისელი ვაჭრების კომერციები ევროპის ბაზარზე განუხრელად იზრდება. მაგალითად, 1828 წლისათვის 23 თბილისელი ვაჭრის მიერ უცხოეთიდან შემოზიდულმა ევროპულმა პროდუქციამ 4 400 000 მანეთის ღირებულებას მიაღწია და საერთოდ, საქართველოში შემოტანილი უცხოური საქონლის 67 % შეადგინა[171]. თუ მოვიგონებთ, რომ საქართველოში შემოტანილ უცხოურ საქონელში დიდი რაოდენობით არაევროპული საქონელიც იყო, გასაგები გახდება, რომ შეღავათიანი ტრანზიტის მოქმედების მეორე ნახევარში ევროპასთან ვაჭრობა ძირითადად ქართული სავაჭრო კაპიტალის მეშვეობით ხდებოდა. ეს დასკვნა უფრო მისაღები იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ გავლენას, რომელიც ადგილობრივი სავაჭრო კლასის წარმომადგენლებს ევროპის დიდ ბაზრობებზე ჰქონდათ. მაგალითად, 1827 წელს, «Коммерческая газета» ლაიფციგიდან შემდეგი შინაარსის ინფორმაციას აქვეყნებდა: „თბილისელი ვაჭრები წელს ლაიფციგში არ გამოჩენილან. აქ შიშობენ, რომ ისინი აწი ჩვენთან აღარ ივლიან, ხოლო თავისთვის საქონელს შეიძენენ საფრანგეთში, განსაკუთრებით აბრეშუმისას თვითონ ლიეჟში"[172]. იგივე გაზეთი უკვე მომდევნო (1828) წელს შემდეგ ცნობას აწვდის დაინტერესებულ მკითხველს: „ლაიფციგი 16 იანვარი. ახალი წლის იარმარკა ასევე უმნიშვნელო იყო... იგი ცოტა გამოაცოცხლა თბილისიდან 14 ვაჭრის ჩამოსვლამ, რომლებმაც თითქმის 800.000 ტალერის საქონელი შეიძინეს, როგორიცაა: მოჩითული საქონული მერინოსი — 80 000 ტალერისა, წითელი და მოჩითული შეეიცარული ბამბის ნაწარმი—40 000 ტალერისა, ინგლისური ჩითი 20000 თოფი— 120000 ტალერისა, დიდი რაოდენობის შოტლანდიური და ინგლისური სხვადასხვა საქონელ—200000 ტალერისა,

---

[170] მ. ეფრემიძე, საქართველოს ვაჭრების როლი ამიერკავკასია-ჩრდილოეთ ირანის ევროპული საქონლით მომარაგების საქმეში, შეღავათიანი ტარიფის მოქმედების პერიოდში (1821—1831), ნ. ბართაშვილის სახ. გორის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, XIII, 1963, გვ. 119; ე. ორჯონიკიძე, ვაჭრობა და ვაჭართა ფენა საქართველოში XIX ს. რეფორმამდელ ხანაში, გვ. 39. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არ არის სწორი მოსაზრება, თითქოს ისეთ ვაჭრებს, როგორიც იყვნენ სარაჯიშვილი, ზუბალაშვილი, თამამშევი და სხვ. თავიანთი კაპიტალი შეღავათიანი ტრანზიტის პერიოდში დაეგროვებინოთ. როგორც ვნახეთ, ისინი ტრანზიტამდეც მეტად ფართო მასშტაბის ვაჭრობასა და მოიჯარეობას ეწეოდნენ.

[171] აღნიშნული პროცენტი ჩვენ გამოვიყვანეთ პ. გუგეშვილის, ე. ორჯონიკიძისა და მ. ეფრემიძის დასახელებულ ნაშრომებში მოტანილი მასალებიდან.

[172] «Коммерческая газета», 1827, № 91.

ინგლისური მერინოსი 200 000 ტალერისა და საქსონური ნაშური 15 000 თოფი—90000 ტალერისა. როგორც ჩანს, ისინი კიდევ შეისყიდიან აბრეშუმის საქონელს"[173] 1829 წელს თბილისელ ვაჭრებს ლაიფციგის ბაზრობაზე 700 000 ტალერის ღირებულების საქონელი შეუძენიათ[174].

შეღავათიანმა ტრანზიტმა რუსი ვაჭრების სასტიკი პროტესტი გამოიწვია. ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ რუსეთის საგაჭრო კაპიტალის წარმომადგენლები ცხოველ დაინტერესებას არ იჩენდნენ საქართველოსთან ვაჭრობისადმი. ეს გამოთქმა აშკარად არაზუსტია. რუსი ვაჭრები დაინტერესებას არ იჩენდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიაში ვაჭრობისადმი, ისინი ინიციატივას არ იჩენდნენ თვითონ უშუალოდ ეწარმოებინათ ეს ვაჭრობა, მაგრამ ქართველი ვაჭრები რუსეთის ბაზრობებზე იქაურ ვაჭარ-მრეწველებისათვის მეტად სასურველი პარტნიორები და საქონლის გამსაღებლები იყვნენ. ტრანზიტმა ან საერთოდ ჩამოაცილა ადგილობრივი ვაჭრები რუსულ ბაზრებს, ან კიდევ მათ მიმოსვლას ცალმხრივი ხასიათი მისცა, ე. ი. ადგილობრივი ვაჭრები რუსულ ბაზრობებზე, ადგილობრივ საქონელს ყიდდნენ, ხოლო ამოღებული ფულით რუსულ საქონელს კი არ ყიდულობდნენ, არამედ ლითონის ფული გაჰქონდათ საზღვარგარეთ და იქიდან ევროპული პროდუქცია შემოჰქონდათ[175]. ამიერკავკასიის გზით ირანში შესულმა დიდძალმა ევროპულმა იაფმა და მაღალხარისხოვანმა საქონელმა რუსული საქონელი შეავიწროვა თვით ჩრდილოეთ ირანის ბაზრებზეც კი[176]. უფრო მეტიც, იმის გამო, რომ 1821 წლიდან რუსეთში მკაცრი მფარველობითი ბაჟები მოქმედებდა, რუსულ ბაზარზე ევროპული საქონლის ერთგვარი შიმშილი შეინიშნებოდა. საქონლის ამგვარი ნაკლებობის ვითარებაში, იმდროინდელი საბაჟოების მდგომარეობას, გზების თავისებურებებს და მოხელეთა ანგარებას თუ გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ ამიერკავკასიის გზით ევროპული საქონელი რუსეთში შეღწევას ადვილად მოახერხებდა[177]. 1827 წლიდან, რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებასთან დაკავშირებით, რადგან საქართველოს სანაპიროებზე

---

[173] «Коммерческая газета». 1828, წ. 25 იანვარი, № 7.

[174] газ. «Тифлисские ведомости», 1929, № 29.

[175] «Коммерческая газета», 1829, № 31.

[176] ბ. გ ე ბ ე შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 228.

[177] იქვე.

გემით მგზავრობა სახიფათო შეიქნა, საქონლის ტრანზიტი ოდესიდან სახმელეთო გზით ხორციელდებოდა (ოდესა — მოზდოკი — თბილისი). უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ ვრცელ გზაზე ვაჭრებს საშუალება ექნებოდათ შეძენილი საქონლის გარკვეული ნაწილი ფარულად რუსეთშივე გაესაღებინათ. ამგვარ ვარაუდს შემდეგი გარემოებაც აძლიერებს: ერთი ცნობით 1826 წელს თბილისელმა ვაჭრებმა მარტო ლაიფციგის იარმარკაზე შეიძინეს 2 800 000 მანეთის საქონელი[178], მაშინ როდესაც მეორე ცნობით იმავე წელს საქართველოში სულ 2 580 039 მანეთის ღირებულების უცხოური საქონელი შემოვიდა, რაშიაც ბუნებრივია არაევროპულიც იგულისხმებოდა[179]. 1828 წელს „კომერჩესკაია გაზეტას" ცნობით ვაჭრებმა საქართველოდან ლაიფციგის ბაზრობაზე 10 მილიონამდე მანეთის პროდუქცია შეიძინეს[180]. სხვადასხვა ცნობით კი, იმავე წელს საქართველოში შემოვიდა სულ 6 554 722 მანეთის საქონელი[181]. უფრო საინტერესო ისაა, რომ ორივე შემთხვევაში საქართველოს საბაჟოში უცხოურ საქონელთან ერთად აღნიშნულია ნაღდი ფულის (თუმცა მცირე რაოდენობით) შემოტანაც. რასაკვირველია, აღრიცხვისა და კონტროლის მაშინდელ ვითარებაში სრულიად სხვადასხვა ხასიათის ცნობებს შორის ამგვარი განსხვავება დაუჯერებელი არ არის, მაგრამ არც ის არის მოულოდნელი, რომ ევროპაში შეძენილი და ადგილზე მოტანილი საქონლის ოდენობას შორის განსხვავების გარკვეული ნაწილი მაინც ოდესიდან საქართველომდე მომავალი გრძელი გზის სავაჭრო პუნქტებში დარჩენილიყო. მით უმეტეს, რომ იმდროინდელი ოფიციალური წასალები აშკარად მიუთითებენ უცხოური საქონლის რუსეთის ბაზარზე გაპარების შემთხვევებს და თუმცა მთავრობა ამას უსასტიკეს ბრძოლას უცხადებდა, როგორც ჩანს, მის აღმოფხვრას მაინც ვერ ახერხებდა.

1831 წელს რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის მოთხოვნის საფუძველზე შეღავათიანი ტრანზიტი ვადაზე 6 თვით ადრე გააუქმეს. ტრანზიტმა რუსეთის ხელისუფლებას არ გაუმართლა დაგეგმილი ვარაუდები. ტრანზიტმა არამცთუ ვერ შეავიწროვა ინგლისის ვაჭრობა აღმოსავლეთში, რომელიც ბენდერბუ-

---

178 ვ. ეფრემიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 119.

179 პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., .ვ. 144.

180 «Коммерческая газета», 1828, 3. X, № 79. ამ ცნობას «Тифлисские ведомости»-ც ადასტურებს — 1828, 31. X, № 18.

181 პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 144.

შირის გზით ჩვეულებრივ აძლიერებდა თავის საქმიანობას, არამედ ხელიც კი შეუწყო მას. ამიერკავკასიის ტრანზიტით შემოტანილი საქონლის მეტი ნაწილი ინგლისური იყო, თუმცა იგი ევროპაში იყო შეძენილი. 1828 წლის ცნობით ქართველი ვაჭრების მიერ ლაიფციგის ბაზრობაზე შეძენილი 800 000 ტალერის ღირებულების საქონლიდან 520 000 ტალერის ღირებულების საქონელი ინგლისური წარმოშობისა იყო[182]. ამრიგად, ინგლისური საქონელი არამცთუ ირანის ბაზრიდან არ იდევნებოდა, არამედ ამიერკავკასიის ბაზარსაც იპყრობდა.

მაგრამ ტრანზიტს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი და გაცილებით რეალური ამოცანა ჰქონდა. ეს იყო ახლად შემოერთებული მხარის, — ამიერკავკასიის (უპირატესად საქართველოს) ბაზრის დაპყრობა რუსული საქონლის მიერ და საერთოდ ქვეყნის შემზადება ცარიზმის კოლონიური (ბურჟუაზიული კოლონიური) პოლიტიკის გატარებისათვის, რომელიც ოფიციალურ მასალებში „მხარის გაძლიერებადაა“ აღნიშნული და შიჩნეული, ხოლო ვ. ი. ლენინი „ამიერკავკასიის ეკონომიკურ დაპყრობას“ უწოდებს[183].

საქართველოსა და ამიერკავკასიის ბაზრის სრული დაპყრობა ადვილი საქმე არ იყო. ამ რეგიონში არსებობდა საუკუნეების განშავლობაში ჩამოყალიბებული მეურნეობის დარგები, ტრადიციულად განმტკიცებული საშინაო და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, ხალხის ჩამოყალიბებული გემოვნება და ცხოვრების ყაიდა, ყველაფერი ეს უნდა შერყეულიყო. ტრანზიტმა ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. რისი არდანახვაც რუსეთის ეკონომიკის მესვეურთა და ამ ეკონომიკის ისტორიის მემატიანეთა მიერ, უმადურობა იქნებოდა.

საქართველოსათვის შეღავათიანი ტრანზიტის მნიშვნელობის შესახებ თავიდანვე ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო აზრი ჩამოყალიბდა. ერთი აღნიშნულ ტრანზიტს მხოლოდ დადებითად აფასებდა. მას ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იცავდნენ (ერმოლოვი, სიპიაგინი და სხვა.). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შეხედულებას ემხრობა და იზიარებს ქართველ ისტორიკოსთა ის წარმომადგენლებიც, რომლებიც აღნიშნული საკითხის შესწავლაზე მუშაობენ. საწინააღმდეგო აზრს რუსული ბურჟაზიის ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე, იმდროინდელ პრესაზე დაყრდნობით იმპერიის ეკონომიკური

---

[182] «Коммерческая газета», 1828, № 7, 25 იანვარი.

[183] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 703.

ცხოვრების მესვეურები ავითარებდნენ ფინანსთა მინისტრის კანკრინის მეთაურობით. ამ მოსაზრებას ემხრობოდა ცნობილი რუსი პოეტი ა. ს. გრიბოედოვიც. ზავილეისკისთან ერთად შედგენილ პროექტში, საქართველოს უკეთ მოწყობის შესახებ, იგი წერდა: „ვაჭრობა რამდენიმედ გამოცოცხლდა 1821 წლის ბრძანებულებით. ზოგიერთი თბილისელი ვაჭარი ამ დროიდან მიემგზავრება ხოლმე საქონლისათვის ლაიფციგში, წარმატებით ასაღებენ მას აქაც და სპარსეთშიც და მნიშვნელოვან კაპიტალებს იხვეჭენ. მაგრამ სახაზინო ვალდებულებებით ყველაზე მეტად დამძიმებულ მემამულეთა და მიწათმოქმედთა კეთილმდგომარეობაზე ამან ხელაც არ იმოქმედა. სრულიად არ წაახალისა შინაგანი მრეწველობა, არ წარმოშვა არც ერთი ფაბრიკა, არ აყვავდა არც მიწათმოქმედება, არც მებაღეობა. რამდენიმე წლის განმავლობაში უცხოეთის ორ-სამ ხომალდზე მეტი არ მისდგომია სამეგრელოს სანაპიროებს და არც თავისი საქონლის გასაღების ცდისათვის არ მოითხოვდნენ ადგილობრივ მკვიდრთა ნაწარმოებებს, რადგან ისინი ევროპელთათვის მოსახმარებლად გამოსადეგარნი არ არიან მათი მცირე მნიშვნელობისა და არასრულფასოვნების გამო და მაშინაც, როცა თბილისის ბაზარი აკრეფილია შემოზიდული საქონლით, მეთვალყურის თვალი ამაოდ დაუწყებს ძებნას შინაურ ნაკეთობას ან პროდუქციებს, რომელზედაც მათი გაცვლა შეიძლებოდეს“[184].

ცხადია, ა. გრიბოედოვი საუბრობს ამუქებს. შელავათიან ტრანზიტს ქვეყნისათვის გარკვეული დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მან გამოაცოცხლა ქვეყნის საქალაქო ცხოვრება, ხელი შეუწყო საგაჭრო კაპიტალის ზრდას, გააფართოვა ვაჭართა კომერციები, მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ქვეყნის საერთო ევროპეიზაციას, გააძლიერა ცხოვრების ახალი ყაიდა; ამ საფუძველზე კატალიზატორის როლი შეასრულა თავადაზნაურული მეურნეობის შემდგომი შლის პროცესში. ადგილობრივი ბურჟუაზია ახლოს გაეცნო წარმოების ევროპულ (კაპიტალისტურ) წესს, რის გამოც, თუმცა არამრავალი, მაგრამ მნიშვნელოვანი სამრეწველო წამოწყებები, რომელთა გაჩენას ადგილი ჰქონდა საქართველოში როგორც ტრანზიტის, ისე ამ შემდგომ პერიოდში (კასტელას, გამბას, იმერლიშვილის, ზუბალაშვილის, სარაჯიშვილის და სხვ. საწარმოები) ძირითადად თანადროული რუსული და ევროპული შესაბა-

---

[184] რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, შედგენილი ვ. შადურის მიერ, 1949, გვ. 76; ე. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 44.

მისი საწარმოების მაგალითისა და მიბაძვის მიხედვით ეწყობოდნენ, რის გამოც მათში შედარებით ადრე ჩნდება იმდროინდელი მოწინავე ტექნიკა (გაუმჯობესებული დაზგები, ორთქლის ქვაბი, ორთქლის მანქანა და სხვ.), თუმცა ისინი ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის საფუძველზე იყვნენ აღმოცენებულნი; გაჩაღდა საკაჭრო დაწესებულებების მშენებლობა, სახე იცვალა თბილისმა და ა. შ. მაგრამ ამასთან ერთად ტრანზიტმა უარყოფითად იმოქმედა ადგილობრივ ხელოსნურ და შინამრეწველურ წარმოებაზე, რომელიც თანდათანობით ახალი კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვისა და განმტკიცების გზით ვითარდებოდა, დასცა ისინი და ბიძგი მისცა ტრანზიტის შემდგომ პერიოდში ქართული დამმუშავებელი წარმოების სრულიად ახალი გზით წარმართვას.

საქართველოს დამმუშავებელ მრეწველობაში მოცემულ ხანაში განმსაზღვრელი ადგილი საქსოვ და მასთან დაკავშირებულ სარეწებს ეკავა. ტრანზიტის პერიოდში ვაჭრობა ძირითადად საფეიქრო პროდუქციით ხდებოდა, ამდენად მოსალოდნელი იყო, რომ ტრანზიტი თავიდანვე უარყოფითად იმოქმედებდა ამ წარმოებაზე. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. შეღავათიანი ტრანზიტის პირველ პერიოდში საქართველოში ადგილი ჰქონდა ამ წარმოების ძეტად სწრაფ აღმავლობას. დაცემა მხოლოდ 1827 წლიდან ხდება შესამჩნევი. ეს ერთი შეხედვით, გაუგებარი მოვლენა ადვილი გასაგები იქნება, თუ შეღავათიანი ტრანზიტის პერიოდში საქართველოში შემოტანილი და გატანილი საქონლის შეფარდებას დავაკვირდებით და მას ტრანზიტის წინა წლების მონაცემებს შევადარებთ. ამგვარი დაკვირვებისათვის, ჩვენი აზრით, ქვემოთ მოყვანილი ცხრილი საინტერესო სურათს გვიხატავს[185] (ცხრ. 7).

ცხრილიდან ვხედავთ, რომ საქართველოში ტრანზიტამდეც შემოდიოდა უცხოური საქონელი და იგი ადგილზე საღდებოდა 1,5—1,7 მილიონი მანეთის ოდენობით, როგორც ჩანს, ეს ოდენობა ქართული ბაზრისათვის, რომელიც თანდათანობით ფართოვდებოდა როგორც გეოგრაფიულად, ისე თვისებრივად ასატანი იყო და ადგილობრივ წარმოებაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ქართული საქონელიც მნიშვნელოვანი ოდენობით გადიოდა ამიერკავკასიის თუ ჩრდილოეთ კავკასიისა და რუსეთის ბაზარზე, უარყოფით გავლენას ვერ ახდენდა. ტრანზიტის პირველ წლებში

[185] ცხრილი ჩვენ შევადგინეთ პ. გუგუშვილის დასახელებულ ნაშრომში მოტანილი მონაცემების მიხედვით იხ. მისი საქართველოს ეკონომიური განვითარება, XIX—XX სს., ტ. I, 1949, გვ. 120, 144—145.

(1822—1826), თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1825 წელს (რაც, სხვათა შორის, მაშინვე პოვა ასახვა ქართულ მრეწველობაში), იმის გამო რომ ერთნაირი შეფარდებით იზრდებოდა როგორც შემოტანა, ისე გატანა, საქართველოში უცხოური საქონლის ოდენობა არსებითად არ იცვლება, იგი დაახლოებით 1,5 მილიონი ნა-

ცხრილი 7

საქართველოში შემოტანილი და გატანილი უცხოური საქონლის ოდენობა

წელი	საქართველოში შემოტანილი უცხოური საქონელი მანეთობით	საქართველოდან გატანილი უცხოური საქონელი მანეთობით	საქართველოში დარჩენილი უცხოური საქონელი მანეთობით
1820	1994747	156620	1838127
1821	1726748	182023	1544725
1822	2086990	601945	1485045
1823	3745198	—	—
1824	2488699	890578	1598121
1825	3809158	890498—3000 მან. ფულად	2915660
1826	2580039—13800 მან. ფულად	1088451—103999 „	1401389
1827	5415862	1345597	4070265
1828	6554740	3033694	3521046
1829	6133990	2525629	3608361
1830	6813748	1659852	5153896
1831	3933702	2447505	1486197

ნეთის ოდენობის ფარგლებშია, რაც ტრანზიტამდელს არ აღემატება და ე. ი. ქართული ბაზრისთვის ბუნებრივი და ჩასატანი იყო[168]. ამდენად, ქართული წარმოებაც თავის ჩვეული გზით ვითარდებოდა. 1827 წლიდან მდგომარეობა მკვეთრად იცვლება. საქართველოში უცხოური (ევროპული) პროდუქციის შემოტანა მნიშვნელოვნად გაიზარდა, გატანა კი ირანთან ომის გამო იმ შეფარდებით ვეღარ იზრდებოდა, რამაც ქვეყანაში უცხოური საქონლის მოზღვავება გამოიწვია და ნორმალურს (საშუალოს) 2,5-ჯერ და მეტად გადააჭარბა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პერიოდში რუსული სა-

[168] სწორედ ამის გამო ტრანზიტის პირველ პერიოდში ცხოველი ვაჭრობა რუსეთთან არ შენელებულა. სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 754, 1823 წ., ფურც. 127—128.

ქონლის შემოტანაც იზრდებოდა, გასაგები გახდება, რომ ადგილობრივი ბაზარი ასეთ მკვეთრ მატებას ვერ აიტანდა, ამან კი ადგილობრივი მრეწველობის სწრაფი დაცემა გამოიწვია. მართალია, ტრანზიტის გაუქმების შემდეგ მოსალოდნელი იყო მისი გამოცოცხლება და ამას მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამასობაში ქვეყანას დიდი რაოდენობით რუსული ფაბრიკატი მოაწვა, რაც 20-ან წლებში რუსული საფეიქრო (ძირითადად ბამბეულის) მრეწველობის მეტად სწრაფი განვითარების შედეგი იყო. ამდენად, ადგილობრივი წარმოება წელში ვერ გაიმართა. შელავათიანმა ტრანზიტმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა წარმოების სხვა დარგებსაც.

ყველა ისტორიული მოვლენა დადებითი და უარყოფითი თვისებებისა და შედეგების ერთობლიობაა. ამდენად იმისი შეფასება ამ დადებითი და უარყოფითი შედეგების შეფარდების მიხედვით უნდა მოხდეს. ამ თვალსაზრისით შელავათიანმა ტრანზიტმა, ჩვენი აზრით, საბოლოო ჯამში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში უარყოფითი როლი შეასრულა. ასეთი დასკვნა სრულიად ლოგიკურია: ეკონომიკურად შედარებით ჩამორჩენილ, მაგრამ აღმავალი განვითარების ქვეყნისთვის (როგორადაც ჩვენ XIX ს. პირველი მესამედის საქართველო მიგვაჩნია), სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით გაცილებით მაღალ საფეხურზე მდგომ ქვეყანასთან თავისუფალ ეკონომიკურ შეჯიბრს მხოლოდ უარყოფითი შედეგი შეიძლება მოყვეს.

შელავათიან ტრანზიტს, როგორც აღვნიშნეთ, არაერთი დადებითი მნიშვნელობაც ჰქონდა. ამ დადებით შედეგებს შეიძლებოდა მართლაც დიდად პროგრესული როლი შეესრულებინა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, შელავათიანი ვაჭრობა ჩვენში მფარველობითი პოლიტიკით რომ შეცვლილიყო. ეს ასე არ მოხდა. შელავათიანი ტრანზიტის აღკვეთის შემდეგ საქართველოში იგივე შელავათები ვრცელდებოდა აზიურ საქონელზე, ხოლო აზიურის სახით დიდი რაოდენობით შემოდიოდა შენიღბული ინგლისური პროდუქცია[33], და რაც მთავარია, ქართულ პროდუქციას არათანაბარ პირობებში უხდებოდა ბრძოლა რუსულ ფაბრიკატთან, რომელიც საქართველოსთან შედარებით გაცილებით მაღალი სოციალურ-ეკონომიკური დონის საფეხურზე მზადდებოდა. ცხადია, მარცხი გარდუვალი იყო და ასეც მოხდა.

---

[107] პ. გ ო გ ო ბ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 244—246.

შეღავათიანმა ტრანზიტმა და საერთოდ ცარიზმის კოლონიურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ 20-იან წლებში, რაც უპირატესად ვაჭრობის მიმართ გამოიხატებოდა, ნიადაგი მოამზადა საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური დაპყრობისათვის.

*
* *

XIX საუკუნის პირველი მესამედი საქართველოს სავაჭრო განვითარების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი იყო. ცარიზმის ხელისუფლება ახლად შემოერთებულ მხარეში თავიდანვე ცდილობდა თავისი პოლიტიკის გატარებას, მაგრამ საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველი 20 წლის განმავლობაში ამ მიმართებით მან რაიმე არსებითი ხასიათის ღონისძიება ვერ გაატარა და ამდენად, ქვეყნის ვაჭრობის ისევე როგორც საერთოდ ეკონომიკური განვითარების პროცესი, ძველი ტრადიციული გზით მიმდინარეობდა. მართალია, ახალი ხელისუფლების რიგი ღონისძიებები: საბაჟო სისტემის მოწესრიგების ცდები, შინაბაჟების შეზღუდვა და კერძო ბაჟების აკრძალვა, საიჯარო სისტემის მოწესრიგების ცდები და ა. შ. პოზიტიურ გავლენას ახდენდნენ ამ პროცესზე, მაგრამ მისი საერთო აღმავლობა განპირობებული იყო არა ცარიზმის ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკით ამიერკავკასიაში, არამედ იმ ისტორიული ფაქტით, რომელმაც ქართველი ხალხი რუსეთს დაუკავშირა. ამ კავშირმა კი ქვეყანას ნოუტანა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც მისი განვითარებისათვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა — შედარებითი მშვიდობა. ახალი კაპიტალისტური ურთიერთობისა და ევროპული ცივილიზაციის მატარებელი რუსეთი საქართველოსათვის ყველაზე უფრო სასურველი პარტნიორი იყო არა მარტო ეროვნულ-პოლიტიკური და კულტურულ-იდეოლოგიური თვალსაზრისით, არამედ ეკონომიკურადაც.

ყველაფერმა ამან კი ქვეყნის საერთო ეკონომიკური და კერძოდ, სავაჭრო ურთიერთობის აღმავლობა გამოიწვია, რაც ვაჭართა კლასის რიცხობრივ ზრდაში, ვაჭართა კაპიტალების მატებაში და ვაჭრული კომერციების გაფართოებაში გამოიხატა.

განსახილველ პერიოდში საქართველოში უკვე არსებობდა სასაქონლო მეურნეობის და ამის საფუძველზე შინავაჭრობის განვითარების ტრადიციები. ქვეყნის საშინაო ვაჭრობაში ვაჭართა ფენების წარმომადგენელთა აქტიური ჩაბმა, შინავაჭრობის სხვა-

დასხვა დარგებში მათი სპეციალიზაცია, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მაღალი დონე და ქვეყნის სხვადასხვა სამეურნეო რაიონებს შორის საქონლის ინტენსიური გაცვლა, რის საფუძველზე შრომის გეოგრაფიული დანაწილების აშკარა ტენდენციები ვითარდება, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მიმდინარეობდა საერთო ქართული ბაზრის ჩამოყალიბების პროცესი. ეს პროცესი ჩვენში უფრო ადრე ჩაისახა, ხოლო მისი დასრულება გაცილებით გვიან მოხდა და, როგორც ჩანს, დაემთხვა საერთო-საიმპერიო საქონელბრუნვასა და საერთო-რუსულ ბაზარში საქართველოსა და ამიერკავკასიის ჩართვის პროცესს. მაგრამ XIX ს. პირველ მესამედში მან მეტად მნიშვნელოვანი (შეიძლება ითქვას, არსებითი) ბიძგი მიიღო, რაშიც დიდი როლი ენიჭება ერთიანი პოლიტიკური ერთეულის ორბიტაში (ფარგლებში) მთელი საქართველოს გაერთიანების დიდ ისტორიულ ფაქტს. ჩვენ მნიშვნელოვნად გვეჩვენება ის გარემოება, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს შორის ადგილი აქვს არა მარტო საქონლის ცხოველ და სისტემატურ გაცვლას, არამედ თვით ვაჭართა ურთიერთგაცვლასაც კი. ეს პროცესი განსაზღვრული ხანის საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში შეიმჩნევა. სხვადასხვა კუთხეების, თუ ცენტრების ვაჭართა ურთიერთგაცვლა და ხანგრძლივი მოღვაწეობა სხვა საავაჭრო—სამრეწველო ცენტრებში, საშინაო ბაზრის ჩამოყალიბების აშკარა ნიშანი იყო.

ვაჭართა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი კლასის ეკონომიკური გაძლიერება ვაჭართა შორის ქონებრივი დიფერენციაციის ზრდა, საკრედიტო კაპიტალის ჩამოყალიბება, ვაჭრობის რთული და მრავალფეროვანი ორგანიზაცია, საშინაო და განსაკუთრებით საგარეო (გატანითი) ვაჭრობის შემდგომი აღმავლობა, ქვეყნის საერთო სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის მაჩვენებელი იყო.

ცარიზმის კოლონიურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რაც გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან აქტიურად იწყებს მოქმედებას, და პირველ რიგში, შეღავათიანი ტრანზიტის დაწესებაში გამოიხატა, არსებითი გავლენა იქონია ქვეყნის საავაჭრო განვითარების ხასიათზე, შეცვლა მისი ტრადიციული მიმდინარეობა და გარკვეულად იგი ქვეყნის საერთო განვითარების ინტერესებს დაუპირისპირა. ამ პოლიტიკამ საბოლოო ჯამში უარყოფითი როლი შეასრულა ქვეყნის საერთო-ეკონომიკურ განვითარებაზე და მას კოლონიური ხასიათი მისცა, რამაც განსაკუთრებით აშკარად იჩინა თავი მომდევნო პერიოდში.

III. ცვლილებები ქართულ ხელოსნობაში XIX ს. პირველ მესამედში

ნაშრომის პირველ თავში განხილული მასალის საფუძველზე ჩვენ დავინახეთ, რომ XIX ს. პირველ მესამედში საქართველოში საკმაოდ მაღალგანვითარებულ ვაჭრობასთან გვაქვს საქმე. ვაჭრობის და სავაჭრო კაპიტალის განვითარების დონე არსებით გავლენას ახდენს საერთოდ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და, კერძოდ, სამრეწველო განვითარებაზე, იგი ამ განვითარების ხასიათს განსაზღვრავს, რადგან „ვაჭრობისა და სავაჭრო კაპიტალის განვითარება ყველგან ავითარებს წარმოებას იმგვარად, რომ იგი საცვლელი ღირებულებისადმია მიმართული, ადიდებს მის მოცულობას, ამრავალფეროვანებს და კოსმოპოლიტურ ხასიათს ანიჭებს მას, ავითარებს ფულს მსოფლიო ფულად. ამიტომ ვაჭრობას მეტ-ნაკლებად დამშლელი ზეგავლენა აქვს წარმოების იმ არსებულ ორგანიზაციებზე, რომლებიც ყველა თავის ფორმაში უმთავრესად სახმარი ღირებულების წარმოებისადმია მიმართული"[1]. ამრიგად, ვაჭრობა სასაქონლო მეურნეობის საფუძველია, სასაქონლო წარმოება კი „საერთოდ ლოგიკურადაც და ისტორიულადაც არის prius (წინამორბედი, თავდაპირველი — რედ.) კაპიტალიზმის მიმართ"[2]. სხვა ადგილას ლენინი გარკვევით ამბობს: „სასაქონლო მეურნეობა კაპიტალისტური მეურნეობაა, ე. ი. აუცილებლად კაპიტალისტურად იქცევა განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე"[3].

ნაშრომის ამ ნაწილის მიზანია აჩვენოს განსახილველი ხანის საქართველოს დამმუშავებელ მრეწველობაში სასაქონლო მეურნეობის შეჭრის პროცესი და ამის საფუძველზე მისი განვითარების ხასიათი. ის დამშლელი ზეგავლენა, რომელსაც ეს პროცესი ახ-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტომი III, ნაწ. I, თბ., 1959, გვ. 440.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, მეოთხე გამოცემა, გვ. 37.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, მეოთხე გამოცემა, გვ. 243.

დენდა წარმოების არსებულ ორგანიზაციაზე და მასში ახალი კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების თავისებურებები.

1. ხელოსნობის განვითარების ხასიათი

XVI საუკუნიდან მოკიდებული, მას შემდეგ, რაც ოსმალეთმა ევროპისაკენ მიმავალი უკანასკნელი გზა ჩაკეტა, ამიერკავკასია ეკონომიკურად ერთგვარად დაჩიხულ, თვითკმარ რეგიონად იქცა. ამიტომ მომდევნო საუკუნეებში მასზე რაიმე მნიშვნელოვან ზეგავლენას ვერ ახდენდა ევროპის აღმავალი კაპიტალიზმის სისტემა. მართალია, კულტურულ-პოლიტიკური თვალსაზრისით ეს ფაქტი უაღრესად რეგრესიული შინაარსისა იყო და მისი დაძლეისაკენ იყო მიმართული (გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას) თითქმის ყველა მოწინავე ქართველი მოღვაწის მეცადინეობა, მაგრამ სოციალურად და განსაკუთრებით, ეკონომიკურად მან განსაზღვრა ამ რეგიონის თავისუფალი და თავისებური განვითარება. მართალია, ერთი მხრივ, ირანი, ხოლო მეორე მხრივ, ოსმალეთი, ოდითგანვე ცდილობდნენ ამ მხარეში პოლიტიკურად გაბატონებას და კიდევაც აღწევდნენ ამას ცვალებადი წარმატებით, მაგრამ სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით მათ ძალადობას არსებითი წარმატება არ ჰქონია. ხოლო XVIII საუკუნიდან მოყოლებული, აღმოსავლური ფეოდალიზმის ეს ტიპიური სახელმწიფოები ევროპის კაპიტალისტური მეურნეობის მზარდ დაწოლას განიცდიდნენ და ბოლოს, მის ეკონომიკურ დანამატად იქცნენ.

შექმნილმა ვითარებამ განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს ეკონომიკური განვითარებს ხასიათზე. რიგი გარემოებების გამო სწორედ მას და, განსაკუთრებით მის დედაქალაქს — თბილისს გვიანფეოდალურ ხანაში ფაქტიურად მთელი კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ცენტრის ფუნქცია დაეკისრა. ამან და რიგმა სხვა მომენტებმა განსაზღვრეს საქართველოს დამმუშავებელი წარმოების განვითარების ხასიათი. XVII—XVIII საუკუნეებში, არაერთი ავტორის მითითებით, საქართველოს ქალაქების ხელოსნები თავისი ნაწარმით ამარაგებდნენ არა მარტო საკუთარი ქვეყნის, არამედ კავკასიის ბაზრებსაც.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად არ ისახავს ქართული ხელოს-

ნობის განვითარების სრული და ამომწურავი სურათის ჩვენებას[4]. მისი მიზანია ყურადღების გამახვილება მხოლოდ იმ რაოდენობრივ და თვისებრივ ცვლილებებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა განსახილველ ხანაში და ჩვენება მისი განვითარების ტენდენციებისა.

ვიდრე აღნიშნული საკითხების განხილვას შეუდგებოდეთ, უნდა შევნიშნოთ, რომ აღებული ხანის მასალებიდან არ შემოგვრჩა არც ერთი რამდენადმე სანდო ცნობა ხელოსანთა ოდენობის შესახებ. ამიტომ იძულებული ვართ ვისარგებლოთ კამერალური აღწერების მასალებიდან ამოკრებილი და დაჯამებული ცნობებით. ეს კი რიგ უხერხულობასთანაა დაკავშირებული: 1. განსახილველ ხანებში კამერალური აღწერები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში ტარდებოდა, რაც საშუალებას გვისპობს დაკვირვება ვაწარმოოთ დასავლეთ საქართველოს მიმართ და გვაძლებს ამ მხრივ ზოგადი მსჯელობითა და ვარაუდებით შემოვიფარგლოთ; 2. კამერალური აღწერები აღმოსავლეთ საქართველოშიც ერთდროულად არ ტარდებოდა; მაგალითად, თელავი და სიღნაღი აღიწერა 1802 წელს, გორი — 1804 წელს, თბილისი — 1808 წელს და ა. შ. განვითარების იმ სწრაფი ტემპების ვითარებაში, რასაც განსახილველ ხანებში ჰქონდა ადგილი, 5—6 წლის განსხვავება საკმაოდ მნიშვნელოვანია და მათი შედარება ზუსტი ვერ იქნება. მაგრამ ამ აღწერების მასალებიც ჩვენამდე სრულად არ არის მოღწეული. აღწერები ტარდებოდა არა მარტო ცალკეული კუთხეების მიხედვით, არამედ სოციალური კატეგორიების მიხედვითაც (მოქალაქეები, სახაზინო, საეკლესიო, საბატონო გლეხები და ა. შ.). ერთი რომელიმე მონაცემის ამოვარდნაც კი შეუძლებელს ხდის მთელი რეგიონის სრული სურათის ჩვენებას; და ბოლოს 3. რადგან კამერალური აღწერები დგებოდა ოჯახების მიხედვით, მათში სხვა მონაცემებს შორის ხშირად აღინიშნებოდა ამა თუ იმ ოჯახის შემოსავ-

---

[4] ქართული ხელოსნობის ისტორიას ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიეძღვნა. მისი სხვადასხვა საკითხები განხილულია ქართულ საბჭოთა ისტორიულ ლიტერატურაშიც. კერძოდ: Ш. А. Месхиа. Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959; პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტომი მეხუთე, თბ., 1962 წ.; ფ. გოგიჩაიშვილი, ხელოსნობა საქართველოში, თბ., 1976 წ., ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, თბ., 1966 წ.; გ. გამყრელიძე, ტფილისის ხელოსნობა, ტფილისი, 1926, და სხვ.

ლის წყარო, ზოგ შემთხვევაში კი ოჯახის მეთაურის საქმიანობა. ნაგრამ დამხმარე და დამატებითი სარეწი კამერალურ აღწერებში არ აისახებოდა (ან ისე აისახებოდა, რომ მისი გამოცალკევების საშუალება არ არის). ყოველივე ამის გამო ხელოსნობის რაოდენობრივი განვითარების საკითხებზე მსჯელობისას ვგულისხმობთ დამმუშავებელი წარმოების ყველა ფორმას, რომელიც კი აღებულ ხანაში ჩვენში არსებობდა, გარდა საოჯახოსი. ამა თუ იმ დარგის შესახებ მოტანილ მონაცემებში შედიან სპეციალისტები,— მათში ერთიანდებიან როგორც ამქრული ოსტატები, ისე დაქირავებული კვალიფიციური მუშები და შედარებით მსხვილ სახელოსნოთა მეპატრონეებიც, მაგრამ აქ არ შედიან არაკვალიფიციური დაქირავებული მუშები (ეს კატეგორია აღწერებში ცალკეა გამოყოფილი) და შეგირდები. ამრიგად, იგულისხმება მთელი დარგი, მისი ყველა ფორმა, რომელთა საწყისები ხელოსნობაშია, მაგრამ არა საკუთრივ ხელოსნობა მისი წმინდა სახით, რომელიც მომხმარებლის შეკვეთით წარმოებას გულისხმობს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელოსნობა საქართველოში XVIII საუკუნეში უკვე იმდენად მაღალგანვითარებული იყო, რომ მისი პროდუქცია არა მხოლოდ ქვეყნის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, არამედ საგრძნობი რაოდენობით გადიოდა საზღვრებს გარეთაც. ცხადია, ამის საფუძველი ხელოსანთა რაოდენობრივი სიჭარბე და მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მათი მაღალი ხვედრითი წილი იყო. 1808 წლის კამერალური აღწერის მონაცემებით თბილისში სულ 3 200-მდე ოჯახი ითვლებოდა, აქედან 980 ხელოსნური ოჯახი იყო, რაც საერთო რაოდენობის 30,6% შეადგენდა[5]. 1804 წლის მონაცემებით გორში ითვლებოდა სულ 411 ოჯახი, აქედან ხელოსნური იყო 121, ანუ საერთო რაოდენობის 29,4%[6]. გ. ბოჭოიძის მიერ მოტანილი მონაცემებით იმავე პერიოდში თელავში ითვლებოდა სულ 312 ოჯახი, აქედან ხელოსნური იყო 185, ანუ საერთო რაოდენობის დაახლოებით 59,3%[7]. ამავე პერიოდში სიღნაღში ითვლებოდა 203 ხელოსნური ოჯახი და თუმცა სიღნაღის ოჯახების საერთო რაოდენობაზე ჩვენ ზუსტი მონაცემები არ გვაქვს, ეს ხელს არ გვიშლის აქაც ხელოსნობის მეტად მაღალი პროცენტი ვივარაუდოთ.

---

[5] სცსია, ფ. 254, აღ.2, საქ. 185.

[6] სცსია, ფ.254, აღ.1, საქ.76.

[7] გ. ბ ო ჭ ო ი ძ ე, კახეთის აღწერა 1801—1802 წლისა, საქართველოს არქივი, წ. III, დან. 5.

ცხრილი 8

თბილისისა და თბილისის მაზრის ხელოსნობა 1808-1834 წწ.

№№ რიგზე	ხელობათა დასახელება	1808 წ.		1823-1824 წწ.						1834 წ.		
		ქალაქი	მაზრა	ქალაქი		გარეუბნები		მაზრა		ქალაქი		მაზრა
				ოჯახი	მეწ. მან.	ოჯახი	მეწ. მან.	ოჯახი	მეწ. მან.	ოჯახი	მეწ. მან.	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1	ბაგირთმკეთებელი	5										
2	ბეითალი	1										
3	დაბაღი	50		114	138					77	123	
4	გამთეთრებელი			2	3							
5	დალაქი	21		53	58	2	2	7	7	43	58	
6	დურგალი	10		23	31			1	1	30	34	
7	ზეინკალი	13		12	14							
8	თერძი	47		138	151	1	2			108	141	
9	თოქმაჩი	(2)		36	44					41	69	
10	კალატოზი	33		57	67	4	5	1	1			
11	კანკანი									3	6	
12	მეაბრეშუმე	1		53	63					40	62	
13	მეაგურე	9		11	12	1	2			10	16	
14	მებურნეთე	1		7	7							
15	მეეტლე	51		21	22					8	15	
16	მეზანდუკე			1	1							
17	მეზარნიმე	1		1	1							
18	მეთოკე	4		12	16							
19	მეთოფისწამლე	1										
20	მეთევზე (მებადური)	2		28	37					6	8	
21	მეთუნე	14		37	42					5	7	
22	მეკირე			3	3					5	5	
23	მეკონდახე	9		10	11							
24	მეკრამიტე			4	4							
25	მელარე	1		2	2					1	1	
26	მენახშირე			46	58	3	3	1	1			
27	მეპურე	30		38	41					49	66	
28	მესაათე			1	1					2	4	
29	მესანთლე	4		53	62					23	31	
30	მესაანე			3	4					2	2	
31	მესაცრე			7	10					9	17	
32	მეტიკე	2		5	6							
33	მეურმე	2		9	10							
34	მექალამნე			1	1							
35	მექარქაშე			9	9							
36	მექვაბე	20		23	31					1	2	
37	მექეჩე			9	12					6	6	
38	მექისე	6		6	6					4	7	
39	მეხახმახე			1	2							
40	მეჩონგურე			1	1							
41	მეწაღე	8		18	20					27	40	

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
42	მეწისკვილე	4		১	5	7	9			16	23	
43	მეხანჯლე			2	2					3	4	
44	მეხაშე	4		7	8					16	20	
45	მეხმლისპირე	3		14	15					7	9	
46	მზარეული			1	1							
47	მთელავი	14		7	8	1	1					
48	მკალავი	6		19	32	1	2			23	30	
49	მესიკოსი	11		20	22					11	19	
50	მქსოველი	144		179	225	22	44	9	14	97	145	
51	მღებავი	25		32	45	1	2	1	1	31	53	
52	მჩითავი	16		9	12							
53	მკედელი	19		62	78	6	7	6	10	116	176	
54	მხატვარი	3		12	13							
55	მღვბავი	1								13	14	
56	ნალბანდი	3		19	27					1	1	
57	ოქრომკედელი	35		72	93	2	4	1	1	51	80	
58	სარაჯი	26		27	34					41	56	
59	ქურქჩი			48	52					40	48	
60	ქვისმთლელი			5	6					5	6	
61	ყასაბი			54	63					40	57	1—1
62	ჭონი	45		131	152			2	2	93	132	1—1
63	ხარაზი	92		166	198	4	4	1	1	102	140	7-10
64	მებრილიანტე									2	6	
65	ხარატი	3								2	2	
66	მეხელსაქმე	107		199						263	52	
67	ხურო	22		34	41	2	2			46	67	
68	მეკრაველე	9										
69	მეიარაღე	3								1	2	
70	მეშუშე			1	1							
71	ბადის მქსოველი			1	2							
72	თულუხჩი			1	1					1	1	
73	მეგაჯე			5	6					6	6	
74	მეპოლეტე			1	2					1	1	
75	გაურკვეველი	23		29	44			1		11	13	
76	სხვადასხვა	14		3	3							
77	დაქირავებით	13		206	236							
78	მუშაობით			86	97	3	5	3	4	617	789	
79	გამომუშავებით	261		160	180	59	76	79	89			
	სულ საკუთრივ ხელოსანი	980		2020	2192	57	89	31	39	1539	1883	9-12
	ს უ ლ	1254		2472	2705	119	170	113	132	2146	2672	9-12

ცხრილი შედგენილია შემდეგი საარქივო მასალების საფუძველზე: სცსია, ფ. 254, აღ. 1, საქ. 185, თბილისის 1808 წლის აღწერა ქალაქის ნაწილების მიხედვით; იქვე, ფ.254, აღ. 1, საქ. 800, თბილისის საეკლესიო გლეხთა კამერალური აღწერა 1823 წ.; იქვე, საქ. 858, თბილისის მოქალაქეებისა და სახაზინო გლეხების კამერალური აღწერა—1824 წ.; საქმე 856, თბილისის საბატონო გლეხთა კამერალური

როგორც ვხედავთ, XIX ს. დასაწყისშივე ქართული ქალაქური ხელოსნობა მეტად მაღალგანვითარებულია, ამავე დროს, მთელი განსახილველი პერიოდი (XIX ს. პირველი მესამედი) ხელოსნობის დარგობრივი და რაოდენობრივი ზრდა-განვითარებით აღინიშნა. ამ პროცესის ხასიათზე წარმოდგენას გვაძლევს თბილისისა და თბილისის მაზრის ხელოსნობის განვითარების (1808—1834 წწ.) მონაცემები (ცხრ. 8). როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, თუ 1808 წლისათვის თბილისში ითვლებოდა 48 დარგის 980 ხელოსანი (ჩვენ ანგარიშში არ ვიღებთ იმ კატეგორიას, რომელიც დაქირავებული შრომით ირჩენდა თავს), 1823—1824 წლებში აქ უკვე სახეზეა 67 დარგის 2020 ხელოსანი (იმის გამო, რომ 1834 წლის მონაცემები ნაკლულია, ჯერჯერობით მასზე არაფერს ვამბობთ), ანუ ზრდამ შეადგინა დარგების მიხედვით 136,7%, ხოლო ხელოსანთა საერთო რაოდენობის მიხედვით — 206,0%, რაც განვითარების მეტად სწრაფი ტემპის მაჩვენებელია. არსებული მასალა საშუალებას იძლევა შევადაროთ ქ. გორის 1804 და 1818 წლების ხელოსანთა დარგობრივი და რაოდენობრივი განვითარების მონაცემები (ცხრ. 9) სურათი აქაც ჰგავსია: 14 წლის განმავლობაში ქ. გორის ხელოსნობის დარგები 21-დან 32-მდე, ხოლო ხელოსნური ოჯახების რიცხვი 121-დან 186-მდე გაიზარდა, ე. ი. ზრდამ შეადგინა შესაბამისად 152,4 და 153,7 პროცენტი. ამავე პერიოდში, ბუნებრივია, იზრდებოდა ქალაქების მოსახლეობის საერთო რიცხვიც. 1823—1824 წლებისათვის თბილისის ოჯახების რიცხვმა დაახლოებით 4 300 მიაღწია, გორისამ — 453. მაგრამ იმის გამო, რომ ხელოსნების რაოდენობის ზრდის ტემპი უფრო სწრაფი იყო,

---

აღწერა 1824 წ.; საქმე 857, თბილისის იმ ყმა-გლეხთა აღწერა, რომელთა მებატონეებიც თავადაზნაურულ წოდებას არ ეკუთვნიან; იქვე, საქმე 855, თბილისის კამერალურ აღწერაში გამოტოვებული სახაზინო გლეხები—1824 წ.; იქვე, საქ. 802, თბილისის მაზრის საბატონო გლეხთა აღწერა; იქვე, საქმე 803, თბილისის მაზრის საბატონო გლეხთა აღწერა, 1823 წ.; იქვე, საქმე 1422, თბილისის ახლად დასახლებულ მოქალაქეთა კამერალური აღწერა:, 1834 წ.; იქვე, საქმე, 1423, თბილისის მოქალაქეთა კამერალური აღწერა, 1834 წ.; იქვე, თბილისის საეკლესიო გლეხთა კამერალური აღწერა; იქვე, საქმე 1424, თბილისის სახაზინო გლეხთა კამერალური აღწერა—1834 წ.

ცხრილი ნაკლულია. გარდა თვით აღწერების შედგენის უზუსტობისა, 1834 წლის მონაცემებში არ იგულისხმება საბატონო გლეხები. უფრო მეტად ნაკლულია მაზრის მონაცემები: მაგალითად, 1808 წლისათვის საერთოდ არ გვაქვს, შემდგომი პერიოდისთვის კი იძულებული ვართ ფრაგმენტული მონაცემებით ვისარგებლოთ.

მათი ხვედრითი წილი თანდათანობით იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობის საერთო რიცხვში. თბილისში 1823—24 წლისათვის მან 47%-ს მიაღწია, ნაცვლად 1803 წლის 30,6%-ისა გორში კი 1818 წლისათვის შეადგინა 41,8%, განსხვავებით 1804 წლის 29,4%-ისა.

მასალების სიმცირის გამო საშუალება არა გვაქვს მსგავსი შედარებები სხვა ქალაქების მიმართაც ვაწარმოოთ, მაგრამ ყველა

ცხრილი 9

ქ. გორის ხელოსნური ოჯახების რაოდენობრივი განვითარების დინამიკა 1804-1818 წწ.

№№	ხელობათა დასახელება	1804	1818 ოჯახი	1818 მენ. ძალ.	№№	ხელობათა დასახელება	1804	1818 ოჯახი	1818 მენ. ძალ.
1	ქსოვილის გამპრიალებელი		3	8	23	მჩითავი	13	8	9
2	დაბაღი	3	6	10	24	მვედელი	5	9	13
3	დალაქი	5	7	9	25	ნალბანდი		1	2
4	თერძი		3	4	26	ოქრომვედელი	1	8	14
5	კალატოზი	(3)	2	3	27	ქვისმთალელი	1		
6	მეეტლე (მეურმე)	14	8	8	28	ქურქჩი	5	2	2
7	მეთევზე (მებადური)		2	2	29	ყასაბი	10	5	9
8	მეთოკე (მესაბლე)	(1)	2	5	30	ჭონი	5	17	20
9	მეთუნე	(1)	1	1	31	ხარაზი	(1)	15	24
10	მეკონდახე	(2)	2	2	32	ხელსაქმით		6	
11	მეპერე	2			33	თოქმაჩი		5	6
12	მესანთლე	2	2	6	34	ხერო		3	3
13	მეუნაგირე		4	4	35	დღიური მუშაობით		62	83
14	მექვაბე		1	3	36	მუშაობით		8	10
15	მეწაღე	(10)	3	4		სულ ხელოსნობაში	121	186	276
16	მეწისქვილე		4	13					
17	მეწერილმანე		1	1		სულ ხელოსნობა, მუშაობა და დღიური			
18	მეხმლისპირე		1	2		მუშაობა	121	256	369
19	მთელავი	(1)	3	3					
20	მკუპრავი		1	2					
21	მღებავი	27	7	13					
22	ფეიქარი	9	44	71					

ცხრილი შედგენილია შემდეგი მასალებით: 1804 წ. სცსია, ფ. 254, აღ. 1, საქ. 76; 1818 წ. სცსია, ფ. 254, აღ. 1, საქ. 540.

ვინაიდან ცნობები ოჯახების მიხედვით კამერალური აღწერებიდანაა ამოკრებილი, იგი ნაკლულია. განსაკუთრებით ნაკლულია 1804 წლის მონაცემები. ამის გამო ჩვენ შევეცადეთ იგი სხვა მონაცემებით შეგვევსო, სადაც ამის საჭიროება იყო და ისინი ფრჩხილებში ჩავსვით. 1818 წლის მასალები საშუალებას იძლევა განსაზღვროს არა მარტო ოჯახების, არამედ მათში მონაწილე მოწოფული მამაკაცების რიოდენობაც. ეს ცნობები მეორე სვეტშია შეტანილი.

საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ თბილისისა და გორის მაგალითზე მიღებული დასკვნები მათზე გავავრცელოთ.

ამრიგად, საქართველოს ქალაქური ხელოსნობა XIX ს. პირველ მესამედში სწრაფი ტემპით იზრდებოდა. ხელოსნობის ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად უსწრებდა ქალაქების მოსახლეობის ზრდის თავისთავად მაღალ ტემპს. ეს ვითარება კი განპირობებული იყო შრომის (საზოგადოებრივი და გეოგრაფიული) დანაწილებისა და საქონლო ურთიერთობის შემდგომი განვითარებამაღლებით.

მართალია, ხელოსნობა ქალაქური მეურნეობის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ გარკვეულად იგი სოფლებშიც ვითარდება: „თუმცა ხელოსნობა ქალაქის ყოფაცხოვრების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ის მნიშვნელოვნად არის გავრცელებული სოფლადაც და გლეხური მეურნეობის დამატების დანიშნულებას ასრულებს. სოფლის მოსახლეობის განსაზღვრულ პროცენტს შეადგენენ ხელოსანი-სპეციალისტები, რომლებიც (ხან მხოლოდ და მხოლოდ, ხან კი მიწათმოქმედებასთან დაკავშირებით) ამუშავებენ ტყავს, კერავენ ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს, ასრულებენ სამჭედლო სამუშაოს, ღებავენ შინაურ ქსოვილებს, ალამაზებენ გლეხურ მაუდს, ფქვავენ ხორბალს და სხვ“[8].

ახასიათებს რა იმერელი გლეხის სამეურნეო საქმიანობას, მ. სელეზნიოვი ჩამოთვლის, ერთი მხრივ, საოჯახო წარმოების, ხოლო მეორე მხრივ, სოფლური ხელოსნობის დარგებს: „... სახლებში ამზადებენ სხვადასხვა ნაწარმს: ქსოვენ მაუდს ცხვრისა და თხის მატყლისაგან, ბამბის ტილოს, ყანაოზს, აკეთებენ სირმას ხიფთანებისათვის, სარტყლებს, თავსაკრავებს; ვერცხლითა და ოქროთი ქარგავენ მაშიებს, გამოჰყავთ ტყავი და ტარსიკონი. ქსოვენ ჭილოფებს იატაკისა და ნარებისათვის; ქალები უძღვებიან საოჯახო მეურნეობას, ქსოვენ ბამბის წინდებს, მამაკაცებისათვის კერავენ ტანსაცმელს, ყაბალახებს... მამაკაცები ეწევიან მიწათმოქმედებას, მებაღეობას, ვაჭრობას და ხელოსნობას; მათში არიან მჭედლები, ზეინკლები, სარაჯები, ოქრო და ვერცხლის ჩუქურთმები, რომლებიც საკმაოდ ოსტატურად ასრულებენ ვერცხლს“[9]. განიხილავს რა სამეგრელოს ეკონომიკას იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ „სამეგრელოში არიან ოსტატები, რომლებიც

---

[8] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ.3, გვ. 383.

[9] М. Селезнев, Руководство к познанию Кавказа..., с. 86.

ვერცხლისა და ოქროს მოსეკადებას ეწევიან იარაღის მოსართავად და რომლებიც ვერცხლის ძეწკვებსაც ამზადებენ; ამას გარდა ისინი ამზადებენ კარგი ხარისხის ფოლადს ხმლებისთვის...“ და სხვ[10].

კამერალური აღწერების მონაცემები, მიუხედავად მათი ნაკლოვანებებისა და არასისტემატური ხასიათისა, მაინც იძლევიან საშუალებას რამდენადმე თვალი გავადევნოთ სოფლის ხელოსნობის (დამხმარე და დამატებითი სარეწების) განვითარების ტენდენციებს.

1804 წლის აღწერით ხელოსნობა მეტ-ნაკლებად განვითარებულია სიღნაღის მაზრის 27 სოფელში. იმეთ დარგებში, როგორიცაა ქსოვა, ღებვა, მოჩითვა, ჭონობა, ხარაზობა, მჭედლობა, თიხისა და სპილენძის ჭურჭლის დამზადება, აბრეშუმის ძაფის ამოხვევა და სხვ. დასაქმებულია მაზრის 251 ოჯახი, რაც აღნიშნული 27 სოფლის ოჯახების საერთო რაოდენობის (3109) დაახლოებით 8,1% შეადგენს[11]. იმავე მაზრის 1807 წლის აღწერით ხელოსნობის სხვადასხვა დარგი მეტ-ნაკლებად განვითარებულია 28 სოფელში და მოიცავს 309 ოჯახს[12]. გორის მაზრის გლეხების აღწერის მონაცემებით მაზრის სოფლებში — 1818 წლისათვის 19 სხვადასხვა დარგის 222 ხელოსანი ითვლებოდა[13] და ა. შ. მსგავსი ვითარებაა სხვა მაზრებშიც.

როგორც ითქვა, კამერალური აღწერები ოჯახების მიხედვით დგებოდა. მათი შედგენის მეთოდი ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილა. ზოგ აღწერაში ოჯახის ხულადობასთან ერთად ქონებრივი მდგომარეობა და ცხოვრების უაიდაცაა აღნიშნული, რაც არც ისე ხშირია, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ოჯახებს მიწერილი აქვთ საქმიანობა, ან შემოსავლის წყარო. ამგვარ მინაწერს განსაზღვრავს ოჯახის მეთაურის საქმიანობა (ხელობა, სპეციალობა). ხშირად ცალკე ოჯახს შემოსავლის რამდენიმე წყარო აქვს აღნიშნული: ვთქვათ ნიწათმოქმედება, მებაღეობა და ქსოვა, ვაჭრობა და მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და მიწათმოქმედება და ა. შ. ვინაიდან ოჯახების უმრავლესობაში არაერთი მოწიფული მამაკაცი ითვლებოდა, ხოლო სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობაში ქალებიც აქტიუ-

---

[10] М. Селезнев, Руководство к познанию Кавказа..., с. 106.
[11] სცსია, ფ. 254, აღ.1, საქ.75.
[12] იქვე, საქ. 478; იქვე, საქ. 499.
[13] იქვე, საქ. 542 და 543.

რად მონაწილეობდნენ, ლოგიკურია ვარაუდი, რომ ოჯახის წევრთა ნაწილი ერთ საქმიანობას მისდევდა, მეორე ნაწილი — სხვას.

ამავე დროს ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ოჯახების იმ ნაწილს, რომლებიც ხელოსნობას მისდევს, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა უმეტესად აღნიშნული არა აქვს. მაგალითად, სიღნაღის მაზრის გლეხთა 1817 წლის აღწერით 309 ხელოსნური ოჯახიდან ხელოსნობასთან ერთად მიწათმოქმედებას მისდევდა მხოლოდ 5 ოჯახი (მქსოველები)[14], რაც ხელოსნური ოჯახების საერთო რაოდენობის 1,6% შეადგენს. გორის მაზრის 1814—1818 წლის აღწერით ხელოსანთა 222 ოჯახიდან მიწათმოქმედება აღნიშნული აქვს 29 ოჯახს[15], ანუ საერთო რაოდენობის 13,0%-ს; თბილისის მაზრის 1823 წლის აღწერით ხელოსანთა 113 ოჯახიდან მიწათმოქმედებას მისდევს მხოლოდ 5 ოჯახი, ანუ საერთო რაოდენობის 4,5%[16] და ა. შ. წყაროთა ამგვარი მითითებების უკრიტიკოდ მიღების შემთხვევაში შეიძლება გამოგვეტანა დასკვნა, რომ განსაზღვრულ ხანაში საქართველოს სოფლურ ხელოსნობას თითქმის მთლიანად აქვს გაწყვეტილი კავშირი სოფლის მეურნეობასთან. მაგრამ ცნობილია, რომ არამცთუ სოფლის, არამედ თვით ქალაქური ხელოსნობაც მეტად დიდხანს, თითქმის სამრეწველო რევოლუციამდე ინარჩუნებს ამგვარ კავშირს. ამდენად აღნიშნული გარემოება რეალურ ვითარებას არ ასახავს და იგი მასალის თავისებურებით უნდა იქნას ახსნილი. ამ თვალსაზრისით ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება: კამერალური აღწერები, გარდა იმისა, რომ ცალკეული ოჯახების საქმიანობას აღნიშნავდნენ, მთლიანად სოფლების მიმართაც იძლეოდნენ მეურნეობის საერთო, შემაჯამებელ დახასიათებას. მაგალითად, გორის მაზრის სოფელ ჭალის გლეხებს მიწერილი აქვთ, რომ „მათი მთავარი საქმიანობა მიწათმოქმედებაა, მცხოვრებთაგან ზოგიერთი მისდევს ხელოსნობას, — ტილოს ქსოვას და ხუროობას"[17]. სამთავისის საბატონო გლეხები აღწერის მითითებით „საქმიანობენ მიწათმოქმედებით და ხუროობით"[18] და ა. შ. ამგვარი მითითება აქვს ბევრ სოფელს. ამავე დროს არც ჭალის, არც სამთავისის და არც ბევრი სხვა სოფლის აღწერაში ცალკე არც ერთი ხელოსნური

---

[14] სცსია, ფ.254, აღ. 1, საქ. 478; იქვე, საქ. 499.

[15] იქვე, საქ. 541.

[16] იქვე, საქ. 802 და 803.

[17] სცსია, ფ. 254, აღ.1, საქ. 541, ფურც. 38.

[18] იქვე, საქმე 499, ფურც. 327.

ოჯახი აღნიშნული არაა. როგორც ჩანს, აღმწერლები ხელოსნებად მოიხსენიებდნენ მხოლოდ იმ ოჯახებს, რომელთათვისაც ეს საქმიანობა შემოსავლის ერთადერთი წყარო იყო, ხოლო როცა ხელოსნობასთან ერთად ოჯახი მიწათმოქმედებასაც ეწეოდა, ისინი აღწერაში შეჰქონდათ როგორც მიწათმოქმედნი; მაგრამ რადგანაც მათ კარგად იცოდნენ, რომ ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობის შეურნეობაში ხელოსნობის დარგებს გარკვეული და ხშირად ძნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, ისინი ამას სოფლის საერთო დახასიათებაში აფიქსირებდნენ.

კახეთისა და ქართლის რიგ სოფლებში საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ისეთი ოჯახების კონტინგენტი, რომელთათვის შემოსავლის ძირითად წყაროს ხელოსნობა წარმოადგენდა, თუმცა მიწასთან კავშირი მათ მთლიანად გაწყვეტილი არ ჰქონდათ. ასეთი იყო, მაგალითად, სიღნაღის მაზრის სოფელ ველისციხეში გოგია კოშვერიშვილის ოჯახი რომელიც 11 სულისაგან შედგებოდა და აქედან 4 მოწიფული მამაკაცი იყო, ან სოფ. ანაგის ნინია ამბროზაშვილის ოჯახი, რომელიც 10 სულისაგან შედგებოდა (აქედან 3 მოწიფული მამაკაცი) და სხვ. ეს ოჯახები თითოეული 2—2 დღიურ მიწას ამუშავებდნენ, რაც სრულიად უმნიშვნელოა ასეთი ჭრაგალსულიანი ოჯახების შესანახად. მიუხედავად ამისა, საქმიანობაზე მათ მიწერილი აქვთ, რომ „ეწევიან მიწათმოქმედებას და აგრეთვე ქსოვას“, საიდანაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მიწათმოქმედება მათი ძირითადი საქმიანობაა, ქსოვა კი — დამატებითი, მაშინ როდესაც ფაქტიურად პირიქითაა.

როგორც ჩანს, კამერალურ აღწერებში ძირითადად მიწათმოქმედად შეჰქონდათ ის ოჯახები, რომელთაც რაიმე კავშირი ჰქონდათ მიწასთან, ხოლო ხელოსნობას მათ დამატებით საქმიანობად აცხადებდნენ.

ამრიგად, ეჭვს გარეშეა, რომ საქართველოს სოფლურ ხელოსნობაში ჩაბმული ოჯახების რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ეს კამერალური აღწერის მონაცემებიდან ჩანს. კამერალური აღწერების მონაცემებში ფიქსირდებოდა სოფლის დამმუშავებელი მრეწველობის ხელოსნური და უფრო მაღალი (მინამრეწველური) ფორმები, საოჯახო წარმოება მასში არ აისახებოდა.

როგორც აღინიშნა, განსახილველი ხანის საქართველოს სოფლურ ხელოსნობაში ოჯახების საკმაოდ საგულისხმო რაოდენობაა ჩართული. მაგრამ ამავე დროს ყურადღებას იქცევს აქ გავრცელებული ხელოსნური დარგების სიმცირე. სოფლად ვითარდებო-

და არა ყველა ხელოსნური დარგი, არამედ მისი ის ნაწილი, რომელიც სოფლის მოსახლეობისათვის პირველადი მოხმარების საგნების დამზადებას (ან შეკეთებას) ითვალისწინებდა. გაბატონებული მდგომარეობა სოფლურ ხელოსნობაში ქსოვას და მასთან დაკავშირებულ დარგებს ეკავათ. ეს დარგი, როგორც ცნობილია, თავისი ხასიათით სოფლურ სარეწთა რიცხვს მიეკუთვნება, ამიტომ თუ მას გამოვრიცხავთ, სურათი დიამეტრალურად იცვლება.

საქსოვ წარმოებაზე ქვემოთ საგანგებოდ იქნება საუბარი. აქ კი უნდა აღინიშნოს, რომ საქსოვი და მასთან დაკავშირებული ხელოსნობის გარეშე, განსახილველი ხანის სოფლების ხელოსნობის განვითარება საკმაოდ მწირად გამოიყურება. მაგალითად, გორის მაზრის 1814, 1818 წლის მონაცემებით 222 ხელოსნური ოჯახიდან 152 საქსოვ და მასთან დაკავშირებულ (ღებვა მოჩითვა, ბაწმენდა და ა. შ.) დარგებშია ჩაბმული. დანარჩენი 70 განაწილებულია ხელოსნობის 17 დარგზე, მათგან 22 მარტო დალაქია, რაც დამმუშავებელი დარგის ხელოსნობაში არ ჩაითვლება[19]. თბილისის მაზრის 1823 წლის სახაზინო და საბატონო გლეხთა აღწერების მონაცემებით მაზრაში სულ 34 ხელოსნური ოჯახია აღნიშნული (სოლანლუღის, კუკიის და ჩუღურეთის მონაცემები არ მიგვითვლია, რადგან ეს სოფლები ფაქტიურად თბილისის გარეუბნებს წარმოადგენდნენ). აქედან ქსოვასა და მასთან დაკავშირებულ დარგებში ჩაბმულიყო 10 ოჯახი, დანარჩენი 24 ოჯახი ნაწილდებოდა ხელოსნობის 9 დარგზე. აქედან 7 ოჯახი დალაქობას მისდევდა[20]. სიღნაღის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლებში 1817 წლის ცნობით 309 ხელოსნური ოჯახიდან 236 ქსოვასა და მასთან დაკავშირებულ დარგებში იყო ჩაბმული, დანარჩენი 83 ხელოსნური ოჯახი ხელოსნობის 17 დარგზე იყო განაწილებული.

როგორც ირკვევა, ტექსტილური დარგების გამოკლებით განსახილველ ხანაში სოფლური დამმუშავებელი ხელოსნობის ხვედრითი წილი ერთობ მოკრძალებულია. შედარებით მაღალია იგი სიღნაღის მაზრის მონაცემების მიხედვით. თავისთავად 83 ხელოსანი მაზრაზე (რომელშიაც 40-მდე მოზრდილი სოფელი იყო გაერთიანებული) დიდი არ არის, მაგრამ საგულისხმო ისაა, რომ აღნიშნული 83 ოჯახიდან 68 ხელოსნური ოჯახი მოდის მაზრის 11 სოფელზე[21]. ყველაფერი ეს ქვეყანაში შრომის საზოგადოებ-

[19] იხ. ცხრილი 10.

[20] სცსია, ფ. 254, აღ.1, საქ. 802; იქვე, საქ. 803.

[21] იქვე, საქ. 478, საქ. 499. იხ. ცხრილი 4.

რიგი დანაწილების დონით და სასაქონლო ურთიერთობის განვითარების ხარისხით უნდა იქნას ახსნილი.

ცხრილი 10

გორის მაზრის ხელოსნობა 1814—1818 და 1830—1831 წწ. კამერალური აღწერილობის მონაცემების მიხედვით

	საქმიანობა	ხელოსნები 1814—1818 წწ.						საბატონო ხელოსნები 1830—1831 წწ.			
		გორი	ეხმარეული, ახალქალაქი, ლრეული	სულ ქალაქები	მაზრის სოფლები	ქალაქები და სოფლები	მაზრის სოფლებში საბატონო	გორი	სხვა ქალაქები და სოფლები	სულ ქალაქებში	მაზრის სოფლებში
1	გამპრიალებელი	3		3							
2	დაბალი	6	8	14	1	4		2		2	
3	დალაქი	7	9	16	22	10	14	4	1	5	2
4	თოქმაჩი	6	3	8		2					
5	თერძი	3	3	6	3			2	1	3	1
6	ქალაქოზი	2		2	2	1		1	1	2	
7	მეეტლე	8		8		2		1	1	2	
8	მეთუნე	1	2	3	4	1	3				
9	მეკობდაბე	2		2							
10	მესანთლე	2	1	3		1					
11	მესაცრე				2		2				
12	მექვაბე	1		1		1					
13	მეწისქვილე	3	4	8	5		3	2		2	
14	მეწვრილმანე ოსტატი	1		1	1						
15	მეხმლისპირე	1	1	2							
16	მთელავი	3	2	5	1	2					
17	მკუპრავი	1		1							
18	მქსოველი	44	69	113	149	60	83	5	9	14	6
19	მჩითავი	8	1	9		4	4				
20	მკედელი	9	3	12	13	5	11	2	1	3	1
21	ნალბანდი	1	1	2		1					
22	ოქრომკედელი	8		8		1					
23	ხარაზი	18	10	28	5	9	1	8		8	
24	ხელსაქმით	6	1	7	1	4		[6]	[1]	7	
25	ხურო	3	1	4	1	1	1	2	1	3	1
26	მებადური	2		2	1	1	1				
27	თოკის მგრეხავი	2	1	3	2	3	2	2	1	3	
28	მლებავი	7	6	13	1	2		3	1	4	
29	სარაჯი	4		4	1	1					
30	ქურქჩი	2		2					1	1	
31	ყასაბი	5	1	6							
32	ყონი	17	9	26	7	9	7	3		3	
	სულ	186	136	322	222	127	132	43	19	62	11

ამ თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს იწვევს სოფლებისა და ქალაქების ხელოსნობის რაოდენობრივი შეფარდებისა და მისი

განვითარების ტენდენციის გარკვევა. არსებული მასალა საშუალებას იძლევა ერთმანეთს შევადაროთ გორის მაზრის საბატონო გლეხთა 1814 და 1830 წლის მონაცემები (ცხრ. 10). უნდა აღინიშნოს, რომ (1) შედარება მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების მიხედვით მთლად მიზანშეწონილი არ არის, რადგან ხელოსნობის განვითარება გარკვეულ რეგიონში მთლიანად (ყველა კატეგორიის მიხედვით) განისაზღვრება. მაგრამ ცნობების სინაკლულის გამო იძულებული ვართ მაინც მივმართოთ მას. (2) ვერც შესადარებული მონაცემების თარიღებია მთლად ხელსაყრელი, რადგან 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ხელოსნურ (და საერთოდ სამრეწველო) განვითარებაში დროებითი დაცემის პერიოდი იწყება, რაც შეღავათიანი ტარიფების მოქმედების (1821—1831) შედეგი იყო[22]. ამან შეიძლება გარკვეულად გააფერმკრთალოს წარმოდგენილი სურათი, მაგრამ იმის გამო, რომ ამჯერად ჩვენ საერთო შეფარდება და განვითარების ტენდენციის გარკვევა გვაინტერესებს, აღნიშნული მონაცემების განხილვა მაინც ქმნის საერთო წარმოდგენას. 1814 წლის მონაცემებით გორის მაზრის საბატონო გლეხებიდან ხელოსნობის 25 დარგში ჩაბმული იყო სულ 259 ოჯახი. აქედან ქალაქებში და დაბებში (გორი, სურამი, ცხინვალი, ქარელი, ახალქალაქი) 127 ოჯახი, შესაბამისად, დანარჩენ სოფლებში 132 ოჯახი. ამრიგად, ქალაქური და სოფლური ხელოსნობის თანაფარდობა იყო შესაბამისად 49% და 51%. 1830 წლისათვის ეს თანაფარდობა მნიშვნელოვ-

---

[22] მოტანილი ცხრილიდან ჩანს, რომ თუ 1814 წლის მონაცემებით გორის მაზრის საბატონო გლეხებში მთლიანად 259 ხელოსნური ოჯახი ითვლებოდა, 1830 წლისათვის მათი რიცხვი 173-მდე შემცირდა. თუმცა გამორიცხული არ უნდა იყვეს წყაროს შეცდომაც (აღმწერელთა სხვაგვარი მიდგომა, დაუდევრობა და ა. შ.). მაგრამ ფაქტია, რომ შეღავათიანმა ტარიფმა 30-იანი წლების მიჯნაზე მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ქვეყნის დამშუშავებელ მრეწველობას, გორი კი აღნიშნული ტარიფის ძირითად მაგისტრალზე მდებარეობდა, ერთ-ერთი საკვანძო პუნქტი იყო და ლოგიკურია, რომ ამ დარტყმის სიმძიმე გორის მაზრის მრეწველობამ განსაკუთრებით განიცადა. აღნიშნულ პროცესში შეღავათიანი ტარიფის გადამწყვეტი როლი იქიდანაც ჩანს, რომ რიგ სავაჭრო-სამრეწველო პუნქტებში შეიმჩნევა ვაჭრობაში ჩაბმული მოსახლეობის ზრდა ხელოსნური მოსახლეობის ხარჯზე. მაგალითად, სოფელ ქარელში 1814 წლის აღწერით ითვლებოდა 14 ხელოსანი და 3 ვაჭარი; 1830 წელს კი ეს შეფარდება სრულიად შეიცვალა—2 ხელოსანი და 12(1) ვაჭარი (სცსია, ფ. 254, აღ. 1, საქ. 542; იქვე, საქ. 1243); სოფ. თამარაშენში 1814 წელს ითვლებოდა 18 ხელოსანი და 2 ვაჭარი, 1830 წელს კი სახეზეა 14 ვაჭარი, ხელოსანი კი არც ერთი (იქვე). ეს პროცესი ჩვენს ისტორიოგრაფიაში შემჩნეული და აღნიშნულია და ამდენად მსჯელობის შემდგომ გაგრძელებას აზრი არა აქვს.

ნად შეცვლილია: ქალაქებსა და დაბებში თავმოყრილია 62 ხელოსნური ოჯახი, სოფლებში კი სულ 11 ოჯახი. ამრიგად, თანაფარდობა შესაბამისად შეადგენს 64,9%სა და 15,1%.

აღნიშნული პროცესი უფრო რელიეფურად ჩანს თბილისისა და მისი მაზრის ხელოსნობის შედარების მაგალითზე (ცხრ. 8). 1823—1824 წლების მონაცემებით თბილისში ითვლებოდა 2020 ხელოსნური ოჯახი, თბილისის მაზრის სოფლებში კი (აქ შედის თბილისის გარეუბნები, კუკია, ჩუღურეთი, ნავთლუღი, სოღანლუღი) 88 ხელოსნური ოჯახი, ანუ ქალაქში თავმოყრილი იყო მაზრის ხელოსანთა 95,8%, სოფლებში კი — 4,2%. მართალია, შემდეგი მონაცემები თბილისისა და მისი მაზრის ხელოსნობის შესახებ ჩვენ მხოლოდ 1834 წლისა გვაქვს და ისიც ნაკლული (არ არის საეკლესიო გლეხთა მონაცემები), მაგრამ სურათი მაინც საინტერესოა, კერძოდ, ამ პერიოდისათვის თბილისში სახაზინო და საბატონო გლეხებს შორის ითვლებოდა ხელოსანთა 1539 ოჯახი, მაზრაში კი სულ 9 ოჯახი.

როგორც აღინიშნა, ქვეყნის სხვადასხვა რაიონების განვითარება თანაბარი არ ყოფილა. სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვნად ჩამორჩენილი იყო მთიანი კუთხეები. ამდენად გარკვეულ ინტერესს იწვევს, თუ როგორ განვითარდა სოფლური და ქალაქური ხელოსნობის დაპირისპირების პროცესი ისეთ მთიან კუთხეში, როგორიც დუშეთის მაზრა იყო. საკვარაუდოა, რომ ბარის რაიონებთან შედარებით ხელოსნობის (მისი წმინდა სახით) სოფლის მეურნეობისაგან სრული გამოცალკევების პროცესი აქ სპეციფიკური ვითარების გამო გაცილებით ნელა მიმდინარეობდა. ხოლო აღწერათა შემდგენლები, როგორც ითქვა, ხელოსნებად მოიხსენიებდნენ მხოლოდ იმ ოჯახებს, რომლებსაც მთლიანად (ან იშვიათ შემთხვევაში ძირითადად) გაწყვეტილი ჰქონდათ ამგვარი კავშირი. ამით უნდა აიხსნას ხელოსნური ოჯახების შედარებით მცირე რაოდენობა აღნიშნულ მაზრაში. მიუხედავად ამისა, როგორც მოტანილ ცხრილზე დაკვირვება გვარწმუნებს, სოფლური ხელოსნობის ხარჯზე ქალაქური ხელოსნობის ზრდის პროცესი აქაც იდენტური იყო (იხ. ცხრ. 11). როგორც ირკვევა, 1821 წელს ქალაქ დუშეთში დამმუშავებელ წარმოებაში ჩაბმულია 71 გლეხური ოჯახი, ანუ ხელოსნური ოჯახების 69,6% მაზრაში კი 31 ოჯახი, ანუ საერთოდ რაოდენობის 30,4%; 1831 წლისათვის შეფარდება მნიშვნელოვნად იცვლება. მთლიანად მაზრაში ითვლებოდა ხელოსანთა 128 ოჯახი, აქედან დუშეთ-

ში 102 ოჯახი, ანუ საერთო რაოდენობის 79,7%. მაზრის დანარ-ჩენ ცენტრებში კი 26 ოჯახი, ანუ საერთო რაოდენობის 20,4%.

ცხრილი 11

ქალაქური და სოფლური ხელოსნობის შედარება დუშეთის მაზრაში 1821—1831 წწ.

ხელობათა დასახელება	1821 წ.		1831 წ.	
	დუშეთი	მაზრა	დუშეთი	მაზრა
დაბალი				3
დალაქი	1	1	1	1
დურგალი		1		
თერძი	1	2	2	
მეთოკე		2	1	
მეთუნე	1		2	1
მეწისქვილე		2		2
მღებავი	1		3	
მკსოველი	55	18	36	17
მჩითავი			1	
მეურმე			35	
მჭედელი	5		3	
ოქრომჭედელი	1	1	2	
ქონი	2			
მკალავი	1			
მესაცრე	1			
მლესავი	2	1		
ხარაზი			4	
მენახშირე			1	
მკურნალი			2	
ხელსაქმით		1		
სხვადასხვა		2	9	2
სულ	71	31	102	26
სულ მაზრაში	102		128	
ქალაქში და მაზრაში %	69,6	30,4	79,7	20,4

წყაროები: სცსია, ფ. 254, აღ. 1, საქ. 689; საქ. 1250.

სურათი სრულიად ნათელია: ქვეყნის დამმუშავებელ მრეწველობაში ქალაქური ხელოსნობის ხვედრითი წილი იზრდება სოფლური ხელოსნობის ხვედრითი წილის შემცირების ხარჯზე, რაც შრომის ვეოგრაფიული დანაწილების, სასაქონლო წარმოებისა და სასაქონლო ურთიერთობის შემდგომი გაღრმავების ნიშანია.

ამ დასკვნას უამრავი საარქივო მასალა ადასტურებს, რომლებშიც აშკარად ჩანს სოფლელ ხელოსანთა სავაჭრო-სამრეწვე-

ლო ცენტრებში გადასახლებისაკენ მისწრაფება: 1831 წელს ახტალიდან თელავში გადასახლების უფლება ითხოვა დურგალმა გიორგი გოგიაშვილმა[23]. მქსოველები პეტრე და ანდრია ციციკაშვილები გორში სოფ. თედორეთიდან არიან გადმოსახლებულები და თავიანთ დამქირავებელთან ცხოვრობენ[24]. 1813 წლის ცნობით ატოციდან ცხინვალში გადასახლდა მქსოველი გოგია თანდილაშვილის ოჯახი[25]. 1802 წლის ცნობით დუშეთი 14 ახლად გადმოსული ოჯახი ითვლებოდა, რომელთაგან უმრავლესობა ხელოსნობას მისდევდა[26]. გორის, სილნაღის, ცხინვალის, თელავის და სხვ. აღწერების მიხედვით, ხელოსანთა გარკვეულ ნაწილს მიწერილი აქვს, რომ მიწის ნაკვეთს ფლობენ სოფელში, რაც მათ ახლად გადმოსახლებულობაზე მიუთითებს. ამგვარი ფაქტები უამრავია. ცხადია, ეს პროცესი განსაკუთრებით ძლიერია თბილისში, რომელიც ქვეყნის შემაკავშირებელი ეკონომიკური ცენტრი იყო და თავისაკენ იზიდავდა არამცთუ მეზობელი სოფლის ხელოსნური ფენების წარმომადგენლებს (ამაზე აშკარად მიუთითებს ის გაუთავებელი დავები, რომლებსაც აღნიშნული ხელოსნები ეწევიან თავიანთი ყოფილი სოფლების თემებთან გადასახადების გადახდის თაობაზე)[27], არამედ სხვადასხვა სოციალური კატეგორიის, ეროვნებისა და რწმენის ხალხთა მასებს ამიერკავკასიის სრულიად სხვადასხვა კუთხეებიდან. თბილისის დამპუშავებელი წარმოება გაცილებით ჭარბობდა ყველა დანარჩენი ქალაქის ამგვარ წარმოებას ერთად აღებულს. თბილისის მრეწველობა მარეგულირებელ და წარმმართველ გავლენას ახდენდა არათუ მის მახლობელ რაიონებზე, არამედ ქვეყნის ყველა სხვა ქალაქის წარმოებაზეც. ამიტომ დამახასიათებელია, რომ თბილისის მაზრაში ხელოსნობა გაცილებით ნაკლებად იყო განვითარებული, ვიდრე გორის, სილნაღის, თელავისა და ა. შ. წარმოდგენილი ცხრილებიდან ჩანს, რომ 1823—1824 წლის მონაცემებით (ცხრილი 8) თბილისის მაზრაში (გარეუბნების გამოკლებით), თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქსოვას და მასთან დაკავშირებულ დარგებს, ითვლებოდა სულ 9

---

[23] სცსია, ფ.254, აღ. 1, საქ. 1202, ფურც. 935.

[24] იქვე, საქ. 542, ფურც. 321.

[25] იქვე, საქ. 544.

[26] სცსია, ფ. 16, საქ. 51, ფურც. 135.

[27] სცსია, ფ.16, საქ.497. ფურც.21; იქვე, ფურც.28; იქვე, საქ. 858, ფურც.2; სცსია, 254, აღ. 1, საქ. 221, ფურც. 16—18; იქვე, ფ.262—263; იქვე, საქ. 132, ფურც. 132 და სხვ.

დარგის 21 ხელოსანი, მაშინ როდესაც გორის მაზრაში 1814—1818 წწ. აღწერით ითვლებოდა სოფლის 222, ხოლო ტექსტილური დარგის გამოკლებით 70 ხელოსნური ოჯახი (იხ. ცხრ. 10). ამგვარივე გამოანგარიშებით, სიღნაღის მაზრაში აღნიშნულია 39 ხელოსნური ოჯახი[28]. თელავის მაზრის 1821 წლის მონაცემებით იმ 13 სოფელში, რომლებსაც საქმიანობა აღნიშნული აქვთ, ითვლება 30 ხელოსანი[29] და ა. შ.

ამრიგად, მოტანილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: განსახილველ პერიოდში ადგილი აქვს დამმუშავებელ მრეწველობაში ჩაბმული მოსახლეობის რაოდენობის ზრდას. მისი ტემპი გაცილებით სჭარბობს მოსახლეობის ზრდის საერთო ტემპებს, რაც სამრეწველო მოსახლეობის ხვედრითი წილის მატებაზე მიუთითებს. ხელოსნური მოსახლეობის ზრდის პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურია ქალაქებში. შეიმჩნევა დამმუშავებელ მრეწველობაში ჩაბმული მოსახლეობის ლტოლვა ქალაქებისა და საევროპო-სამრეწველო დაბებისაკენ, ამის გამო ქალაქური ხელოსნობა სოფლური ხელოსნობის ხარჯზეც იზრდება, სოფლური ხელოსნობა უფრო მეტადაა განვითარებული სამრეწველო ცენტრებიდან (ძირითადად თბილისიდან) დაშორებულ ადგილებში.

2. სასაქონლო წარმოების ჩამოუყალიბება

წარმოდგენილი ნაშრომის პირველ თავში საუბარი იყო საქართველოს დამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის სასაქონლო ხასიათზე. ის გარემოება, რომ იგი უხვად გადიოდა არა მარტო ადგილობრივ, არამედ შორეულ საგარეო ბაზარზეც, სასაქონლო წარმოების ინტენსიური განვითარების ნიშანია. ახლა საინტერესოა გაირკვეს საკითხი, თუ როგორ ხდებოდა სასაქონლო წარმოების შეჭრა ხელოსნობაში, რაც მისი დაშლის (ტრანსფორმაციის) ამოსავალი უნდა ყოფილიყო. სასაქონლო წარმოება ხელოსნობას უკარგავდა წმინდა სახეს („მრეწველობის ამ ფორმაში ჯერ კიდევ არ არის სასაქონლო წარმოება. ხელოსნობის შრომის პროდუქტი არ გამოდის ბაზარზე...“[30]). და თანდათანობით მას წვრილ-სასაქონლო წარმოებად აქცევდა.

---

[28] იხ. ცხრილი 12.

[29] სცსია, ფ. 254, აღ. 1, საქ. 887.

[30] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 383.

ცხრილი 12

ხელოსნობა სიღნაღის მაზრის (1817 წ.) სახაზინო და საბატონო გლეხებში

ხელობათა დასახელება	ველისცხე	ანაგა	ფხოველი	ვაქირი	სულ დაბებში	მაზრა	აქედან ჩა-ლაურეში	აქედან ბოდბისხევში	ჯიმ-დში	ყარდანაში
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
დაბალი						2			1	
დალაქი			2	2	4	11	1	1	2	1
ზეინკალი										
თოქმაჩი	1								1	
თერძი			1		1	1		1		
მეთუნე	1	1		1	3	2				
მეკონდახე										
მენაბდე		2			2					
მეტოკე										
მექქაბე						2				
მეწალე										
მეწისქვილე						2				
მეხმლისპირე										
მთელავი						1				
მღებავი			4	3	7	10		4		
მქსოველი	77	25	15	18	135	75	4	9	21	7
მრთველი										
მჩითავი	2	3		2	6				6	
მშენელი			1	2	3	9	1			
ყასაბი										
ჭონი	3	2	1	1	7	5	1	1		
ხარაზი		2	3		5	3	1	1	1	1
ხეირო						1				
მეეტლე	2				2					
მეაბრეშუმე		1			1				1	
მკალავი			1		1					
მუნახშირე			3		3					
მემუსიკე			2		2					
ქსოვა და ღებვა						3				
ს უ ლ	86	36	33	29	182	127	8	17	33	9

ცხრილი შედგენილია: სცსია, ფ. 254, აღ. 1, საქ. 478 და იქვე, საქ. 499. (მაზრის საბატონო და სახაზინო გლეხების კამერალური აღწერები). საბუთები ნაკლულია, არც ერთში არაა თვით ქალაქ სიღნაღის მონაცემები, ამიტომ ჩვენ შევეცადეთ გამოგვეყო სავაჭრო-სამრეწველო დაბების (ველისცხე, ანაგა, ფხოველი, ვაქირი) და იგი დაგვეპირისპირებინა მაზრის დანარჩენი სოფლების მონაცემებისათვის მაგრამ ამის გამო, რომ აღნიშნული დაბები ძირითადად საქსოვი წარმოების ცენტრები იყო, სურათი ქალაქური ხელოსნობის განვითარების თვალსაზრისით დამაჯერებელი არ გამოვიდა.

ხელოსნობაში საბაქონლო წარმოების ჩასახვა იწყება არაუგვიანეს XVIII საუკუნისა. სამოქალაქო სჯულვილების ავტორისათვის, რომელიც ამ პერიოდს ასახავს, ცნობილია, რომ ხელოსნები „... საქმეს გამოიყუანდნენ თავიანთის მუშაობით გასასყიდლად“[31]. რომ საქართველოს ქალაქურ ხელოსნობაში შეკვეთით წარმოებასთან ერთად პროდუქტის საგანგებოდ ბაზრისათვის დამზადებასაც ჰქონდა ადგილი, ამას არაერთი საბუთი ადასტურებს. ამგვარი ცნობები მრავლადაა დაცული გორჯასპი მდივნის სახლის შშენებლობის ნუსხაში, რომელიც 1751 წლითაა დათარიღებული. საბუთიდან ჩანს, რომ პროდუქტთა ნაწილი შეკვეთით მზადდება, მაგალითად ბარი[32], ნიჩაბი კი იყიდება[33], ლურსმანი ზოგჯერ შეკვეთით მზადდება, ზოგჯერ კი ხელოსნისგან შეიძინება[34]. ლევან ბატონიშვილის ვალების სიიდან, რომელიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარშია შედგენილი, აშკარად ჩანს, რომ თბილისელი ხელოსნები: ხარაზები, ნალბანდები, სირაჯები, მაზმანები, მესანთლეები, ფალანდუზები და სხვ. საბაზრო პროდუქციას ამზადებენ[35]. ამგვარი ფაქტი უამრავია.

ი. შახგუბატოვი, ავტორი 1819 წელს შედგენილი „ბრომისა „საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა...“ გარკვევით ანსხვავებს შეკვეთით და ბაზრისთვის მომუშავე ხელოსნებს: „თბილისში ბევრი ეწევა თერძობას, ზოგიერთი მათგანი მხოლოდ შეკვეთით მუშაობს, —სხვები კი ქალებისა და მამაკაცებისათვის ამზადებენ სხვადასხვა ტანსაცმელს, როგორიცაა ჩოხები, ახალუხები, შარვლები მდაბიოებზე გასასყიდად“[36]. მოტანილ ამონაწერში ორ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება: 1. ხელოსანთაგან მხოლოდ ზოგიერთი მუშაობს შეკვეთით, უმრავლესობა კი გასასყიდ პროდუქციას ამზადებს და 2. გასასყიდი მდაბიოებისათვის მზადდება, იგი უბრალოა, მის წარმოებას მასობრივი ხასიათი აქვს. ავტორი თერძობაში ორივე სახის წარმოებას ხედავს, მაგრამ ხელოსნობის ზოგიერთი დარგი მისი რწმუ-

---

31 სამოქალაქო სჯულვილება, ტექსტი, ლექსიკონი და საძიებლები გამოსცა დავით ფურცელაძემ, თბ., 1966, გვ.138.

32 ნ ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ.1, გვ. 11.

33 იქვე, გვ. 9.

34 იქვე, გვ.14.

35 იქვე, გვ. 56.

36 ი. შ ა ხ გ უ ბ ა ტ ო ვ ი, დასახ. ნაშრ. ხელ. ინსტ., Ros d 110, გვ. 19.

ნებით მხოლოდ საქონელწარმოებაზეა გადასული. მაგალითად, ქუდების დამზადებაში და ხარაზობაში იგი შეკვეთით წარმოებას საერთოდ არ აღნიშნავს და აცხადებს, რომ „ჭონები მდაბიოთა-თვის უბრალო ცხვრის ტყავისგან, ხოლო მდიდრებისათვის... რუ-ხი და შავი ყირიმული ცხვრის ტყავისაგან გ ა ს ა ს ყ ი დ ა დ კე-რავენ (ქუდებს)[37]. ხოლო „ხარაზები და მეწაღლეები ც ა ს ა ს ყ ი-დ ა დ თხის ტყავისა და კემუხტისაგან კერავენ თეთრი, შავი, წი-თელი, მწვანე და ყვითელი ფერის ჩექმებს, რომლებსაც საცვე-თები ეწოდებათ და მხოლოდ მამაკაცები იცვამენ, ხოლო თხის გადმობრუნებული ტყავისაგან ქალებისა და მამაკაცებისათვის კე-რავენ წაღებს"[38].

არსებულ მრავალრიცხოვან საბუთებში, რომლებიც სხვადა-სხვა სახის პროდუქტთა ყიდვა-გაყიდვის ფაქტებს ასახავენ, შე-კვეთით წარმოების მაგალითების გარჩევა შედარებით ადვილია, რადგან სხვადასხვა ხარჯების ნუსხათა შემდგენლები ასეთ შემ-თხვევაში ჩვეულებრივ აღნიშნავენ, რომ ესა თუ ის ნივთი მათ ხელოსანს გააკეთებინეს და გადაიხადეს სათანადო თანხა. საქო-ნელწარმოების ფაქტების გამოცალკევება კი რთულია, რადგან ჯერ უნდა დადგინდეს საქონლის სადაურობა (ადგილობრივია თუ უცხოური), შემდეგ კი ის, თუ როგორი სახითაა იგი დამზადებუ-ლი, ე. ი. შემთხვევით გამოდის ბაზარზე თუ საგანგებოდ ამ მიზ-ნისათვისაა დამზადებული. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ამგვა-რი ფაქტების მოტანა არაერთის შეიძლება.

ცალკეულ სოფლებსა და მაზრებში ხელოსნობის გარკვეული დარგის უპირატესი განვითარება რასაც ადგილი ჰქონდა განსახი-ლველი ხანის საქართველოს რიგ რაიონებში, შრომის გეოგრა-ფიული და საზოგადოებრივი დანაწილების პროცესის გაღრმავე-ბისა და სასაქონლო მეურნეობის არსებობის ნიშანია. 1803 წლის ცნობით გორის მაზრის სოფელ თორტიზის მცხოვრებნი ხვნა-თესვასთან ერთად „ამზადებენ საცრებს და სოფლებში ყიდიან"[39]. ორდისის გლეხობა სოფლის მეურნეობასთან ერთად გასაყიდად მაუდის დამზადებას და ხიფთანების კერვასაც მისდევდა[40]. გორის მაზრის სოფელ ჭალაში 1814 წლის ცნობით, ორი დარგი იყო

---

[37] ი. შ ა ხ გ უ ბ ა ტ ო ვ ი, დასახ. ნაშრ. ხელ. ინსტ., Ros d 110, გვ. 19 (ხაზი ჩემია—მ. ს.)

[38] იქვე.

[39] სცსია, ფ.2, აღ.1, საქ.52, ფურც.70.

[40] იქვე.

განვითარებული — ქსოვა და დურგლობა[41]. მიწათმოქმედებასთან ერთად დურგლობა იყო სამთავისის მცხოვრებთა შემოსავლის ძირითადი წყარო[42]. სიღნაღის მაზრის 1804 წლის აღწერით სოფელ მუკუზანის მცხოვრებ 40 ოჯახიდან 16 ოჯახი მხოლოდ ტილოს ქსოვით და მღებრობითაა დაკავებული. იმავე აღწერის მიხედვით ველისციხის 195 ოჯახიდან 88 ოჯახის ძირითადი (ხშირად ერთადერთი) შემოსავალი ტილოს ქსოვა და ღებვა იყო[43].

უეჭველია, ყველა დასახელებულ და უამრავ სხვა შემთხვევაშიც, სასაქონლო წარმოებასთან გვაქვს საქმე, რადგან ცალკეული დარგის ხელოსნობის ერთმანეთისაგან დაშორებულ სოფლებში თავმოყრა შეკვეთით მუშაობის შესაძლებლობას გამორიცხავდა.

ქვეყნის ეკონომიკაში ახალი ურთიერთობის ჩასახვის თვალსაზრისით აღნიშნულ პროცესს განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს, რადგან სასაქონლო წარმოება კაპიტალიზმის წინამორბედია[44]. სასაქონლო მეურნეობის და კაპიტალიზმის განვითარების საფუძველი შრომის საზოგადოებრივი დანაწილება იყო[45], რაც „იმაში მდგომარეობს, რომ მიწათმოქმედებას ზედიზედ გამოეყოფა ნედლეულის დამუშავების სხვადასხვა სახე და ამ დამუშავების სხვადასხვა ოპერაცია და ჩნდება მრეწველობის დამოუკიდებელი დარგები, რომლებიც თავიანთ პროდუქტებს (ახლა უკვე საქონელს) მიწათმოქმედების პროდუქტებზე გადაცვლიან. მიწათმოქმედება, ამრიგად თვითონ იქცევა მრეწველობად (ე. ი. საქონელწარმოებად) და იქაც ხდება სპეციალიზაციის იგივე პროცესი"[46]. მთელი ეს პროცესი გამოხატულებას პოულობს სამიწათმოქმედო მოსახლეობის ხარჯზე არასამიწათმოქმედო მოსახლეობის ზრდაში.

გასული საუკუნის პირველი მესამედის სხვადასხვა ხასიათის წყაროები აშკარად ადასტურებენ ზემოთ აღნიშნული ტენდენციის არსებობას, რაც, უპირველეს ყოვლისა, ქალაქური მოსახლეობის ზრდაში უნდა გამოხატულიყო სოფლის მოსახლეობის შემცირების ხარჯზე. დემოგრაფიული საკითხების კვლევა წინამდე-

---

41 სცსია, ფ. 254, აღ. 1, საქ. 545.

42 იქვე.

43 იქვე, ფ.254, აღ.1, საქ.75.

44 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ.6, გვ.37.

45 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ, ტ.3, გვ.24.

46 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 61—62.

ბარე ნაშრომის ფარგლებს სცილდება, მაგრამ იმის გამო, რომ სათანადო ლიტერატურაში ამ თვალსაზრისით განსახილველი პერიოდის ვითარება არსებითად შეუსწავლელია (ან სათანადოდ არ არის შესწავლილი)[47], საჭირო გახდა არსებული მასალის საფუძველზე ზოგიერთი (რამდენადმე სახელდახელო) დაკვირვების ჩატარება. ქალაქებისა და მაზრების მოსახლეობის დინამიკის ქვემოთ მოტანილი მონაცემები (იხ. ცხრ. 13), მართალია, შორსაა სასურველი სისრულისაგან, მაგრამ იგი მაინც იძლევა გარკვეულ შესაძლებლობას განვითარების ხასიათის დასადგენად: 1816—1830—32 წლებში (ე. ი. იმ წლებში, რომელთა შესახებაც შესადარებლად საკმარისი მასალა არსებობს) თბილისის, გორის, თელავის, სიღნაღისა და დუშეთის მონაცემების მიხედვით, ქალაქის მოსახლეობა 14 057 სულიდან 36 016 სულამდე გაიზარდა, ე. ი. მატებამ შეადგინა დაახლოებით 250%, მაშინ როდესაც ამავე მაზრების მოსახლეობა 131 994 სულიდან გაიზარდა 256 900 სულამდე, ანუ მატებამ შეადგინა 194,6%; ქალაქებისა და შესაბამისი მაზრების მონაცემების შედარება შემდეგ სურათს იძლევა: ქ. თბილისში მატებამ შეადგინა დაახლოებით 244%, მაზრაში დაახლოებით 142%; თელავში — 358%, მაზრაში — 158,5%; სიღნაღში 226%, მაზრაში 213%; დუშეთში 392%; მაზრაში 219%; გორში მატებამ შეადგინა 262%, მაზრაში კი დაახლოებით 239%. ამრიგად, ქალაქის მოსახლეობის ზრდა როგორც საერთოდ, ისე ცალკეული მაზრების მიხედვით, ჭარბობს სოფლის მოსახლეობის ზრდის ტემპებს, რაც აშკარად მიუთითებს ქვეყანაში არასამეწარმოქმედო მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილში შეტანილია მხოლოდ სამაზრო ქალაქები; მასში არ შესულა ისეთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრები, როგორიც იყო ცხინვალი, სურამი და ა. შ., რომელთა მონაცემების გათვალისწინება კიდევ უფრო მკაფიოს გახდიდა შექმნილ სურათს. მეორე მხრივ, არასამეწარმოქმედო მოსახლეობის ზრდას ზოგჯერ ადგილი აქვს თვით სოფლის მოსახლეობაში. მაგალითად, 1804 წლის ცნობით სიღნაღის მაზრის 27 სოფელში, რომლის მოსახლეობა 3089 ოჯახს ითვლიდა, არასამეწარმოქმედო საქმიანობაში ჩაბმული იყო 397 ოჯახი, ანუ სა-

---

[47] კ. ანთაძე თავისთავად საინტერესო ნაშრომში „საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში", თბ., 1973, საკითხის შესწავლას არსებითად 30-იანი წლებიდან იწყებს, ძირითადი აქცენტი კი XIX ს. მეორე ნახევარზე გადააქვს.

ცხრილი 13

საქართველოს ქალაქების და მაზრების მოსახლეობა 1816—1832 წწ.

წლები	თბილისი			გორი			თელავი			სოღნაღი			დუშეთი		
	მამრ.	მდედრ.	სულ	მამრ.	მდედრ.	სულ	მამრ.	მდედრ.	სულ	მამრ.	მდედრ.	სულ	მამრ.	მდედრ.	სულ
1816	5250	4751	10001	630	514	1144	690	568	1258	733	613	1346	163	145	308
1817				1289	959	2248	999	1106	2105			1988			
1823	16200	13659	29859	1425	719	2144				2383	949	3332			
1830	13632						1268	1114	2382						
1832			24200	1552	1448	3000	2239	2268	4507	1665	1378	3043	685	581	1266
მ ა ზ რ ე ბ ი															
1816	10335	9055	19390	18182	14015	32197	15418	13730	29148	16901	14191	31092	11350	8817	20167
1817				18939	13831	32770						24808			
1823			15032												
1830							27000	22000	49000						
1832			27500			76900			46200			62200			44100

ცხრილი შედგენილია შემდეგი მასალის მიხედვით: სცსია, ფ. 16, საქ. 1930, ფურც. 130; იქვე, საქ. 2141, ფურც. 23; იქვე, საქ. 3513, ფურც. 200; იქვე, საქ. 4229, ფურც. 171; იქვე, საქ. 4676, ფურც. 39—40; იქვე, საქ. 3723, ფურც. 100.

ერთო რაოდენობის დაახლოებით 12,9%. 1830 წლისთვის კი 30 სოფლის 2650 ოჯახიდან არასამიწათმოქმედო საქმიანობაში ჩაბმული იყო 447 ოჯახი, ანუ საერთო რაოდენობის დაახლოებით 16,9%[48].

სასაქონლო მეურნეობის განვითარება და სამრეწველო მოსახლეობის ზრდა ურთიერთგანმაპირობებელი, ტიპიური ფეოდალური ურთიერთობისათვის უცხო და მაჯში ახალი ურთიერთობის შეჭრის დამადასტურებელი პროცესებია: „სასაქონლო მეურნეობის განვითარება... ნიშნავს მოსახლეობის სულ უფრო და უფრო მეტი ნაწილის ჩამოშორებას მიწათმოქმედებისაგან, ე. ი. სამრეწველო მოსახლეობის ზრდას სამიწათმოქმედო მოსახლეობის ანგარიშზე. „თვით ბუნება წარმოების კაპიტალისტური წესისა ისეთია, რომ იგი მუდამ ამცირებს სამიწათმოქმედო მოსახლეობას არასამიწათმოქმედო მოსახლეობასთან შედარებით"[49].

3. ქონებრივი დიფერენციაციის გაჩენა ხელოსნოებში

სასაქონლო მეურნეობის გავრცელება ხელოსნობას უკარგავს პირვანდელ სახეს და მას წვრილსაქონელწარმოებად აქცევს. ხელოსანთა მასის გარკვეული ნაწილი წვრილმწარმოებლად, კუსტარად იქცევა. ამ პროცესის ლოგიკური შედეგია საქონელმწარმოებელთა შორის ქონებრივი დიფერენციაციის შემდგომი გაღრმავება.

განსახილველი ხანის დოკუმენტური მასალა მწარმოებელთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ სისტემატური ხასიათის ცნობებს არ შეიცავს. ამიტომ საკითხის გარკვევისათვის საჭირო ხდება არაპირდაპირი ხასიათის მონაცემებზე დაყრდნობა.

ქალაქურ ხელოსნობაში ქონებრივი დიფერენციაციის ხარისხზე შეიძლება წარმოდგენა შექმნას ამა თუ იმ ოჯახზე გაწერილი მახტის ოდენობამ, რადგან აღნიშნული გამოსაღები ერთგვარად პროგრესული ხასიათისა იყო და მისი ოდენობა გადამხდელის ეკონომიკური მდგომარეობით განისაზღვრებოდა. ოჯახებზე გაწერილი მახტის ოდენობაზე სისტემატური ხასიათის ცნობებს

---

[48] სცსია, ფ. 254, აღ. 1, საქ. 75; შდრ. იქვე, საქ. 478—479.

[49] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ.3, გვ.25.

შეიცავს თბილისის 1834 წლის აღწერა. აღნიშნული აღწერით 1954 ხელოსნის ოჯახიდან მახტით დაბეგვრას ექვემდებარებოდა 1 400 ოჯახი (554 ოჯახი ამ მოსაკრეფიდან პრივილეგიის სახით თავისუფალი იყო), აქედან 624 ოჯახი ანუ საერთო რაოდენობის 44,5% იმდენად ღარიბი იყო, რომ არაფერს არ იხდიდა. ოჯახების ეს ჯგუფი ულარიბესთა კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს; 122 ოჯახი, ანუ საერთო რაოდენობის 8,8% 1 მანეთამდე მახტას იხდიდა და ღარიბთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა; 287 ოჯახი, ანუ 20,5% იხდიდა 1—3 მანეთამდე. ისინი შეიძლება საშუალო შეძლების მქონე კატეგორიად გამოიყოს; 259 ოჯახი, ანუ საერთო რაოდენობის 18,5%, რომლის გამოსაღები 3—5 მანეთამდე შეადგენს, შეძლებულთა კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს; 93 ოჯახი ანუ საერთო რაოდენობის 6,6% მდიდარია. მათი გადასახადი 5—10 მანეთამდეა; ხოლო 15 ოჯახი, ანუ საერთო რაოდენობის დაახლოებით 1,1%, რომელიც 10 მანეთზე მეტ გადასახადს იხდის, შეიძლება ძალიან მდიდრად ჩაითვალოს.

როდესაც ხელოსანთა სიმდიდრეზეა ლაპარაკი, აქ გარკვეული პირობითობა იგულისხმება, რადგან თვით საგანთა ბუნების გამო ხელოსანი ან თუნდაც წვრილი მწარმოებელი არ შეიძლება მდიდარი იყვეს. სასაქონლო მეურნეობის პირობებში, როდესაც ხელოსანი (წვრილი მწარმოებელი) ეკონომიკური კეთილდღეობის გარკვეულ ზღვარს აღწევს, თანდათანობით ან ვაჭრად იქცევა ან კაპიტალისტად. ამდენად ადვილი წარმოსადგენია, რომ ოჯახები, რომლებიც იხდიდნენ 3—5, 5—10 და 10 მანეთზე მეტ მახტას, აღარ იყვნენ ტიპიური ხელოსნები და არც წვრილი საქონელმწარმოებლები. მათ სარეწებში განვითარების უფრო მაღალი ფორმებია საძებნი.

რაც შეეხება ხელოსანთა იმ 624 ოჯახს, რომელიც მწარმოებელთა ყველაზე დიდ პროცენტს (44,6%) შეადგენდა, სავარაუდოა, რომ მათ გარკვეულ ნაწილს არსებითად დაკარგული ჰქონდა დამოუკიდებელი ხელოსნის მდგომარეობა და პირდაპირ (გაფართოებულ სახელოსნოში), თუ არაპირდაპირ (თავიანთ სახლებში დანაწევრებული მანუფაქტურის საფუძველზე), თავისი თანამოძმე გამდიდრებული ხელოსნის, თუ გაფანტული მანუფაქტურის მეთაური ვაჭრის დაქირავებული მუშები იყვნენ.

ხელოსანთა შორის ქონებრივ დიფერენციაზე გარკვეულ წარმოდგენას ქმნის მათი უბრალო-მოძრავი ქონების მონაცემები. ხშირად კამერალურ აღწერებში მითითებულია ამა თუ იმ ოჯახის

მფლობელობაში მყოფი უძრავ-მოძრავი ქონება (სახლი, დუქანი, მიწა, საქონელი და ა. შ.) ამ მონაცემებით მწარმოებელთა ეკონომიკური შეძლებულობის დადგენა მეტად ძნელია; მიწა ქალაქელი ხელოსნისათვის ს.იმდიდრის ნიშნად არ გამოდგება, რადგან

ქ. გორის ხელოსნობაში ჩაბმული მოსახლეობის ქონებრივი მდგომარეობა

ქონებრივი მდგომარეობა	მქსოველი	მღებავი	ფრთავი	გამბრალებელი	თეძრი	ქონი	მეგაშვილე	ხარაზი	მეღანაგრე	დამბალი	მქედელი	ნალბანდი	ზარგარი
არაფერი	19-33	2-4	4-4			12-12		11-11	2-2	4-6	5-5	1-1	1-1
სახლი		1-3	1-1	1-2				5-7		2-3			
საქონელი	19-32				1-1		2-3				2-2		2-3
სახლი და დუქანი	3-3	1-3						1-2	2-2		1-2		1-1
სახლი და ცოტა მიწა		1-1		1-3		1-1		1-1					
მიწა სოფელში	3-3	1-1		1-3							1-4		
სახლი, დუქანი და მიწა					1-2	1-2	1-1						
სახლი და საქონელი		1-1	3-4			3-4		3-3		1-1			1-2
მიწა					1-1	1-1							
	44-71	7-13	8-9	3-8	3-4	18-20	3-4	21-24	4-4	7-10	9-13	1-1	5-7

შენიშვნა: სვეტის პირველი ციფრი აღნიშნავს ოჯახების რაოდენობას; მეორე

იგი მას ხშირად სოფელში აქვს მიტოვებული. სახლისა და დუქნის მფლობელობა შეიძლება ზოგჯერ მართლაც იქნას მიჩნეული ეკონომიკური სიძლიერის ნიშნად (განსაკუთრებით თუ ამდაგვარი უძრავი ქონება ერთზე მეტია), მაგრამ არა ყოველთვის, რადგან სახლი და დუქანი ქალაქელ ხელოსანს შეიძლება მემკვიდრეობით

აქვს მიღებული, თვითონ კი სრულ სიღარიბეში ცხოვრობდეს. ჩაგრამ როცა პირიქითაა, როდესაც მწარმოებელს არავითარი ქონება არ გააჩნდა, ცხადია, აქ მეტად მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას აქვს ადგილი.

ცხრილი 14

1818 წლის კამერალური აღწერის მონაცემების მიხედვით

მუქაბე	მეგმოლსპირე	მეკონდაბე	ვერცხლისმქედელი	ყასაბი	მეთოკე	ქერქელი	მეწერილმანე	მეთუნე	კალატოზი	ხერი	მეურმე	მეწისქვილე	მეტაკეი	მეტეხე	დალაქი	მეთევზე	მეშაბათი	სულ ხელსაწყობაში
1-3	1-1	1-1	1-3	2-3		1-1	1-1		1-1	2-2	1-1	1-5	1-2			1-1	2-2	76-104
			1-2			1-1								3-3		1-2	9-12	16-24
		1-1	1-1	1-1	2-5			1-1	1-2	1-1	6-7	1-1					18-22	41-61
																	27-37	9-13
																	6-9	4-6
			1-1	1-2													3-5	8-14
																	1-2	3-5
																	4-4	13-18
				1-3														2-2
1-3	1-1	2-2	4-7	5-9	2-5	2-2	1-1	1-1	2-3	3-3	7-8	2-6	1-2	3-3	—	2-3	70-93	172-247

ციფრი—ამ ოჯახებში მოწიფულ მამაკაცთა რაოდენობას.

გორის 1818 წლის კამერალური აღწერის მონაცემების საფუძველზე შედგენილი ცხრილის მიხედვით (ცხრ. 14) დამმუშავებელ წარმოებაში ჩაბმული 172 ოჯახიდან, რომელთა ქონებრივ მდგომარეობაზე აღწერა ცნობებს შეიცავს, 76 ოჯახს ანუ 44,2% არავითარი ქონება არ გააჩნია, 147 ოჯახს, ანუ საერთო რაოდე-

ნობის 85,5% არა აქვს საკუთარი სახლი. სავარაუდოა, რომ მათი ნაწილი ნაქირავებ სახლებში ცხოვრობს, ნაწილი კი თვითონ ქირავდება და, როგორც ეს ხშირად ხდებოდა, თავის დამქირავებელთან ცხოვრობს; 41 ოჯახს, ანუ საერთო რაოდენობის 23,8% რაღაც რაოდენობის საქონელი ჰყავს (აქ ჩვეულებრივ იგულისხმება თითო ძროხა, ცხენი, სახედარი და ა. შ. ცხადია, საკუთარი, საოჯახო მოხმარებისათვის), 8 ოჯახს, ანუ საერთო რაოდენობის 4,7% მცირე რაოდენობის მიწა აქვს სოფელში (სავარაუდოა, რომ ესენი იმ ხელოსანთა რიცხვს მიეკუთვნებიან, რომლებიც ქალაქში ახალი გადმოსახლებულნი არიან, რაზეც ზევით უკვე იყო საუბარი). საკუთარი სახლი აქვს 45 ოჯახს, ანუ საერთო რაოდენობის 26,2%; სახლი და დუქანი კი 12 ოჯახს, ანუ საერთო რაოდენობის დაახლოებით 7% (იგულისხმება, რომ დანარჩენ ხელოსანთა ტარკვეული ნაწილი დუქნებს ქირაობდა). ბუნებრივია, რომ შეძლებულ ხელოსანთა არსებობა უკანასკნელ შემთხვევაშია სავარაუდო. უსახლკარო და უქონებელ ხელოსანთა

ქ. თელავის ხელოსნობაში ჩაბმულ სახაზინო და საბატონო გლეხთა ქონებრივი

ქონებრივი მდგომარეობა	ქსოველი	ძმრთავი	მღებავი	მეკერე	თერძი	ქონი	ხარაზი	სარაჯი
ცხოვრობს სხვის სახლში	1—1					2—3		1—1
ცხოვრობს ნაქირავებში	3—3			1—2		10—19	1—3	4—6
აქვს სახლი	23—31	3—1	1—1	2—2	3—6	1—2	8—13	
აქვს სახლი და დუქანი	1—1		1—1					
აქვს 2 სახლი და 2 დუქანი							2—7	
აქვს 1 სახლი და 5 დუქანი								
აქვს 1 სახლი და 2 დუქანი								
აქვს სახლი და ცოტა მიწა	2—4							
	30—40	3—1	2—2	3—4	3—6	13—24	11—23	5—7

შენიშვნა: 1. საბუთი ნაკლულია. დაკარგულია დასაწყისი № 95-მდე. ამან ციფრი აღნიშნავს ოჯახების რაოდენობას; მეორე ციფრი—მოწიფულ მამაკაცთა

76 ოჯახი კი, ცხადია, უღარიბესთა კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს.

ერთგვარად განსხვავებული ვითარება ჩანს თელავის 1821 წლის აღწერის მასალებით შედგენილი ცხრილის მონაცემებში (ცხრ. 15). აღწერა ნაკლულია, დაკარგულია მისი დასაწყისი. ქო-

ცხრილი 15

მდგომარეობა 1821 წლის კამერალური აღწერის მონაცემების მიხედვით

მშვიდი	მეკვიბე	მეთუნე	დალაქი	ყასაბი	ეფუნაგრე	მესაფთლე	მეთაღლე	ხური	ქალაქური	ღლიტარ შეშაბინთ	ხელსაქმით	სხვადასხვა	სულ
										2—2			6—7
1—1	2—2			1—1						2—1			25—38
13—14	3—3	1—1	5—7	2—4	2—3	1—3	2—2	2—2	1—1	22—25	2—9	1—1	98—131
		1—1					2—2				2—2		7—7
													2—7
											1—5		1—5
										2—5		1—1	5—10
14—15	5—5	2—2	5—7	3—5	2—3	1 - 3	4—4	2—2	1 —1	28—33	5—16	2 -2	144—205

შეიძლება რამდენადმე შეცვალოს ობიექტური სურათი; 2. სვეტის „პირველი რაოდენობას.

ნების აღმნიშვნელი მონაცემები აქვს ხელოსნურ საქმიანობაში ჩაბმულ 144 ოჯახს. გორის ზემოთ განხილულ აღწერასთან შედარებით აქ თვალშისაცემია იმ ოჯახთა სიმრავლე, რომელთაც საკუთარი სახლები აქვთ. ამგვარია 113 ოჯახი, ანუ საერთო რაოდენობის დაახლოებით 78,5%; შესაბამისად არავითარი ქონება არა აქვს 31 ოჯახს, ანუ საერთო რაოდენობის 28,5%. სამაგიეროდ, აქ არ არის ისეთი ოჯახები, რომლებსაც სახლი არა აქვთ, მაგრამ სხვა რაიმე ქონება გააჩნიათ როგორც ეს გორის აღწერაში იყო. ამრიგად, თუ უღარიბესთა კატეგორიაში მოვათავსებთ იმ ოჯახებს, რომლებსაც არავითარი ქონება არ ჰქონიათ, მაშინ ასეთი თელავში იქნება საერთო რაოდენობის 28,5% (გორში ამგვარი 44% იყო).

თელავის მაზრის არაფრისმქონე ხელოსნებში გამოცალკევებულია ის ოჯახები, რომლებიც ნაქირავებ სახლებში ცხოვრობდნენ და ისეთები, რომლებიც სხვის სახლში ცხოვრობდნენ (პირველნი შეადგენენ 25 ოჯახს, ანუ საერთო რაოდენობის 17,4%, მეორენი 6 ოჯახს, ანუ საერთო რაოდენობის 4,2%). როგორც ზემოთაც ითქვა, სხვის სახლში ცხოვრება, რაკი ეს ბინის დაქირავებასთან არ იყო დაკავშირებული, დაქირავებული შრომის პირობებშია სავარაუდო, სხვა პრინციპი თითქოს გამორიცხულია (კვალიფიციური მუშა ცხოვრობს თავის დამქირავებელთან). სახლი და დუქანი აქვს 15 ოჯახს, ანუ საერთო რაოდენობის 10,4%. სავარაუდოა რომ ესენი შეძლებული ხელოსნებია. ამათგან ორ ოჯახს აქვს ორი სახლი და ორი დუქანი, ხუთ ოჯახს კი თითო სახლი და ორ-ორი დუქანი. უძრავ-მოძრავი ქონების მიხედვით აღნიშნული ოჯახები შეიძლება მდიდართა კატეგორიას შივაკუთნოთ. ისინი საერთო რაოდენობის 4,9% შეადგენდნენ.

ცხადია, გრადაცია უძრავ-მოძრავი ქონების ოდენობის მიხედვით ერთობ პირობითია, მაგრამ იგი მაინც უნდა იძლეოდეს ფაქტიური ვითარების რამდენადმე ობიექტურ ასახვას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ გორის, ისევე როგორც თელავის (და სავარაუდოა, სხვა ქალაქებისა, რომელთა შესახებ მონაცემები ჩვენ არა გვაქვს) ხელოსნები ერთობ განსხვავებული ეკონომიკური შეძლებისანი იყვნენ. ერთი მხრივ, არსებობდნენ არაფრისმქონე უღარიბესი ხელოსნები, მეორე მხრივ კი — შეძლებულნი, მდიდარნი.

სოფლის ხელოსანთა შორის ქონებრივი დიფერენციაციის საინტერესო სურათს იძლევა გორის მაზრის 1818 წლის საბატონო გლეხთა აღწერის მონაცემები (ცხრ. 16). ხელოსნურ საქმიანობაში ჩაბმული მაზრის 167 ოჯახიდან (რომელთა შესახებ ცნობები გვაქვს) 48 ოჯახს, ანუ საერთო რაოდენობის 28,7% არავითარი ქონება არ ეგაჩნდა; 50 ოჯახს, ანუ საერთო რაოდენობის 29,9% მხოლოდ სახლი ჰქონდა; 36 ოჯახს, ანუ საერთო რაოდენობის 21,6% აქვს სახლი და ცოტა მიწა; 28 ოჯახს, ანუ საერთო რაოდენობის 16,8% სახლი და საკმაო რაოდენობის მიწა, ხუთ ოჯახს, ანუ დაახლოებით 3%-ს სახლი და საქონელი.

უსახლკარო ხელოსანთა ასეთი სიმრავლე იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ გორის მაზრაში, გარდა საკუთრივ გორისა და ცხინვალისა, არაერთი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი არსებობდა (თუ ყალიბდებოდა) (სურამი, ახალქალაქი, ალი და სხვ),

საითკენაც ახლო-მახლო სოფლებიდან თუ უფრო დაშორებული ადგილებიდან (იმერეთი, ახალციხის საფაშო და სხვ.) ჩამოდიოდ-

ცხრილი 16

გორის მაზრის საბარონო გლეხების ქონებრივი მდგომარეობა 1818 წელს

№№	ხელობათა დასახელება	არაფერი	სახლი	სახლი და ცოტა მიწა	სახლი და მამული	ეკლესიანი	სულ
1	წვრილმანი ხელოსნობით						3—3
2	მღებავი	1—3	2—2	1—1		1—2	2—5
3	მეწისქვილე	1—1	1—1	2—2	3—5		7—9
4	მეედელი	3—6		2—3	1—1		6—10
5	ყალატოზი			1—1			1—1
6	მქსოველი და ყოდის მამპას		1—5		1—5		2—10
7	საქსოვი მუშაობით	33—41	35—48	12—21	7—16	2—3	89—129
8	ქსოვითა და ხვნა-თესვით			9—17	9—22		18—39
9	დალაქი და ხვნა-თესვით			1—2		1—2	2—4
10	ხელსაქმით			1			1
11	ხარაზი		2—4				2—4
12	მესაცრე					1—1	1—1
13	დალაქი	7—9	2—2	2—5	4—5		15—21
14	მეთუნე	1—1	3—3				4—4
15	თოკის მგრეხავი			1—1			1—1
16	ხვნა-თესვითა და ურმის კეთებით				1—1		1—1
17	ჭონი		2—4	1—1			3—5
18	მკედელი და ხვნა-თესვით			1—3	2—3		3—6
19	მეთოკე და ხვნა-თესვით			1—3			1—3
20	დურგალი	1—1					1—1
21	მრითავი	1—1	1—2				2—3
22	ნალბანდი			1—2			1—2
23	გაურკვ.		1—1				1—1
	სულ	48—63	50—71	36—63	28—58	5—8	167—263
	%	88,7—24	29,9—27	21,6—24	16,8—22,1	3—3	100—100

შენიშვნა: სეტის პირველი ციფრი აღნიშნავს ოჯახის რაოდენობას; მეორე — მათში მოწიფული მამაკაცების რაოდენობას.

ნენ უკეთესი ბედის მაძიებელ ხელოსანთა ოჯახები. მართალია, ქალაქის ხელოსნობასთან შედარებით მაზრებში მეტია მიწის-

მფლობელი ხელოსნური ოჯახები, მაგრამ მათი საერთო რაოდენობა მაინც მოსალოდნელზე მცირეა. როგორც ითქვა, ხელოსნობა დიდხანს, თვით სამრეწველო რევოლუციამდე და მის შემდეგაც ინარჩუნებდა მიწასთან კავშირს. ცხადია, ეს პროცესი სოფლად უფრო ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო. ამდენად, ხელოსანთა საერთო რაოდენობაში მიწისმფლობელ ხელოსნურ ოჯახთა ხვედრითი წილი, რომელიც როგორც ცხრილის მონაცემებიდან ირკვევა სულ 38,3% შეადგენდა, ხოლო აქედან 21,6% სრულიად უმნიშვნელო რაოდენობის მიწას ფლობდა, ერთობ დაბალ პროცენტად უნდა ჩაითვალოს. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მიწის მფლობელ ხელოსნურ ოჯახებში შეიმჩნევა მოწიფულ მამაკაცთა შედარებითი სიმრავლე. მაგალითად, იმ კატეგორიაში, რომელსაც არავითარი ქონება არ გააჩნდა, მოწიფული მამაკაცები შეადგენდნენ ოჯახების საერთო რაოდენობის 131,2%, იმ კატეგორიაში, რომელსაც მხოლოდ სახლი ჰქონდა — 142%; იმ კატეგორიაში, რომელსაც სახლი და მცირეოდენი საქონელი ჰყავდა — 175%, ხოლო იმ კატეგორიაში, რომელიც რამდენადმე მნიშვნელოვანი მიწის მფლობელი იყო — 207,1%. აქედან შეიძლება დავასკვნათ: 1. ოჯახების შემადგენლობაში მოწიფულ მამაკაცთა (მუშახელის, მწარმოებელთა) რაოდენობა გარკვეულ გავლენას ახდენს მის ქონებრივ მდგომარეობაზე და 2. მიწისმფლობელ ოჯახებში მუშახელის სიმრავლე თვით ოჯახში შრომის განაწილებას ემყარებოდა; ოჯახის წევრთა ნაწილი ჩაბმული იყო ხელოსნობაში, ნაწილი კი მიწათმოქმედებაში. საბუთებში არაერთი მითითებაა იმისა, რომ ცალკეული ხელოსნები ფულს ასესხებდნენ, მონაწილეობდნენ უძრავ-მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში და ა. შ. მეორე მხრივ, არაერთი ფაქტია ხელოსანთა გაღარიბებისა, რომლებიც იძულებული იყვნენ საკუთარი შრომის გაქირავებით ერჩინათ თავი და ა. შ.[50].

ამრიგად, ქალაქებისა და სოფლების ხელოსნურ ოჯახებს შორის შეიმჩნევა მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაცია, რაც აღნიშნულ ოჯახებზე გაწერილი მახტის მოცულობაში და ამ ოჯახების უძრავ-მოძრავი ქონების ოდენობაში იჩენდა თავს.

ღარიბი და საშუალო შეძლების ხელოსნური ოჯახების გვერდით, ერთი მხრივ, ყალიბდებოდა უღარიბეს ოჯახთა მრავალრიცხოვანი მასა, რომელთა გარკვეული ნაწილი, ეჭვი არ არის, საკუ-

---

[50] ნ. ბერძენიშვილი, მასალები..., ტ.II, გვ.109, 161 და სხვ.

თარი სამუშაო ძალის გაყიდვით ირჩენდა თავს, ხოლო მეორე მხრივ, შეძლებულ, მდიდარ და ზოგჯერ ძალიან მდიდარ ხელოსანთა (თუ ხელოსნური წარმოშობის საქმოსანთა) კატეგორია, რომელთა უმრავლესობა აღარ არის ტიპიური ხელოსანი და მათი საწარმოები, უნდა ვიფიქროთ, გაცილებით აღემატებიან ტიპიურ, შუასაუკუნეობრივ სახელოსნოებს.

4.სახელოსნოთა გაფართოების ტენდენციის ზრდა

შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, სასაქონლო მეურნეობა და მწარმოებელთა შორის მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაცია საქართველოს დამმუშავებელ წარმოებაში შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებს აზზადებდა, რაც, პირველ რიგში, სახელოსნოს გაფართოების ტენდენციის გაძლიერებაში მდგომარეობდა. ამ ტენდენციის მატერიალური საფუძველი უნდა ყოფილიყო საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარება, რომელიც ფეოდალიზმის პირობებში შრომის ხელოსნური დანაწილების გავრცელებაში და ცალკეული ოპერაციების შემსრულებელი ხელოსნის გაჩენაში გამოიხატებოდა. შრომის ტექნიკური დანაწილება შრომისნაყოფიერების უფრო მაღალ დონეს განაპირობებდა.

ხელოსნობის პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილი საბოლოო სახით მომხმარებლამდე რომ მისულიყო, რამდენიმე დამოუკიდებელი დარგის მწარმოებელთა ხელში უნდა გაევლო. კამერალური აღწერების მონაცემები მედეტალე ხელოსანთა გამოცალკევების საშუალებას არ იძლევა, რადგან, როგორც ჩანს, აღმწერები საქმეს ამარტივებდნენ და პროლუქტის საბოლოო სახის წარმოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სპეციალისტებს ერთი სახელის ქვეშ აერთიანებდნენ. მაგალითად, თოფის დამზადებაში დასაქმებული მწარმოებლები აღნიშნულ აღწერებში მეიარაღეებად მოიხსენიებიან, ფაქტორად კი ეს პროცესი რამდენიმე სრულიად დამოუკიდებელი სპეციალისტის მონაწილეობით მიმდინარეობდა. განსახილველ ხანაში დამოუკიდებელ ხელოსნურ დარგებად იყოფოდნენ თოფის დამზადებაში მონაწილე სპეციალისტები: მეჩახმახეები, მეპირისწამლეები, მეთოფეები (ლულის დამზადება?), მეკონდახეები, მომსევადებლები, თოფის ბუდის დამამზადებლები და ა. შ. არსებული დოკუმენტური მასალა ადასტურებს

ყველა აღნიშნული სპეციალობის ცალ-ცალკე დარგების არსებობას.

უნაგირის დამზადებაში მონაწილეობდა: მეთაქალთოე (უნაგირის ქვეშ დასაგები ქეჩის დამამზადებელი), შეკეხე, უნაგირის ბალიშების დამამზადებლები, მისი მომქარგავები, მოსართავების დამამზადებლები და სხვ. ასევე მრავალრიცხოვან დარგებად იყოფოდა ხმლებისა და ხანჯლების დამზადება. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ტექსტილური წარმოების დარგები, სადაც დანაწილება ხდებოდა როგორც ცალკეული ოპერაციების მიხედვით: მპენტავები, მრთველები, მძახავები, მქსოველები, გამწმენდები, მღებავები, მჩითავები და ა. შ. (მეტად საყურადღებოა, რომ სწორედ განსახილველ ან უშუალოდ მის წინა პერიოდში ცალკე დარგებად ყალიბდება ტექსტილური წარმოების მანამდე უცნობი დარგები — გამთეთრებლები, გამპრიალებლები, მიტკლის დამამზადებლები), ისე გამოყენებული ნედლეულის (მეაბრეშუმეები, შალის მქსოველები, ბამბის მქსოველები) და ქსოვილის ცალკეული სახეობების მიხედვითაც: მენარმეები, მელაინეები, მეჩითეები, თარფჩები, ლეჩაქების დამამზადებლები, მეპირსახოცეები, შარბამჩები, მეალაჯეები და მრავალი სხვა.

ერთი მხრივ, მედეტალე ხელოსანთა ცალ-ცალკე მუშაობის უხერხულობა, ხოლო მეორე მხრივ, ხელოსნური შრომის რიგი პროცესების ხასიათი და ტექნოლოგია, საწარმოო მოწყობილობათა გაზრდა და გართულება, მათ თანდათანობით გაფართოებას კარნახობდნენ.

აღნიშნული ხანის ხელოსნოთა შესახებ აღწერილობითი მასალის უქონლობის პირობებში ხელოსნოთა გაფართოების ტენდენცია არაპირდაპირი ცნობების მოშველიებითაც დასტურდება. ამ მხრივ ინტერესს იმსახურებს თბილისის ხელოსნებისა და ხელოსნური დუქნების რაოდენობათა 1808 წლის მონაცემების შედარება (ცხრ. 17). ცხრილში შეტანილია ხელოსნობის მხოლოდ ის დარგები, რომლებიც სახელოსნოს ფარგლებში წარმოებას ითვალისწინებდა (შესაბამისად მასში არ შესულან კალატოზები, ხუროები და ა. შ. ამდენად ცხრილი ხელოსნობის დარგობრივი და რაოდენობრივი განვითარების სურათს არ იძლევა). როგორც ჩანს, 331 სახელოსნოში (დუქანში) რეწვას ეწეოდა ხელოსანთა 772 ოჯახის წარმომადგენელი. მართალია, გამორიცხული არ იყო ზოგიერთი ხელოსნის სახლში საქმიანობის შესაძლებლობაც, განსაკუთრებით მქსოველებში, რადგან შინ მუშაობას ყველაზე ადვი-

ლად ეს დარგი ეგუება, ბაგრამ შინ მუშაობა უპირატესად სოფ-ლური ხელოსნობისათვისაა დამახასიათებელი. ქალაქებში კი, როგორც ითქვა, შინამრეწველობის ფორმით უპირატესად საფეი-ქრო წარმოების მოსაშზადებელი ოპერაციები (პენტვა და რთვა) ივარაუდება. ამ საქმეს ძირითადად ქალები ასრულებდნენ. ამი-

ცხრილი 17

თბილისი 1808 წ. ხელოსნური ოჯახები და სახელოსნო დუქნები

ხელობათა დასახელება	ხელოსნური ოჯახები	დუქნები	ხელობათა დასახელება	ხელოსნური ოჯახები	დუქნები
ბაგირისმკეთებელი	5	1	მჩითავი	16	6
დაბაღი	50	5	მქედელი	29	28
დალაქი	21	20	ოქრომქედელი	35	24
დურგალი	10	3	სარაჯი	26	24
ზეინკალი	13	4	ჭონი	45	18
თერძი	47	20	ხარაზი	92	42
მეაბრეშუმე	1		ხარატი	3	2
მეაგერე	9		მეკრაველე	9	2
მეთოფისწამლე	1		მეიარაღე	3	1
მეტერნუთე	1		ხაბაზი	22	19
მეზარნაშე	1		ოქრომქსოველი	1	
მეთოკე	4		ქუდისმთელავი	12	3
მეთუნე	14		გამთეთრებელი	5	1
მეკონდახე	9	4	ყასაბი	14	6
მელარე	1		დანის მკეთებელი		4
მეპურე	8		ნალბანდი	3	3
მესანთლე	4		აბრეშუმის მქსოველი		2
მეტიკე	5	4	გაურკვეველი	16	6
მექვაბე	20	12	სხვადასხვა	24	30
მეწაღე	13	1			
მეხმლისპირე	3				
მთელავი	2	3	სულ	772	331
მკალავი	6				
მქსოველი	144	20			
მღებავი	25	13			

ცხრილი შედგენილია: სცსია, ფ. 16, საქ. 497; სცსია, ფ. 254, აღ. 1, საქ. 185 მასალების მიხედვით.

ტომ იმ ოჯახებში, რომელთათვისაც პენტვა და რთვა შემოსავლის ძირითადი წყარო იყო, ჩვეულებრივ მოწოფული მამაკაცები არ არიან. კამერალურ აღწერებში ამგვარი ოჯახები „მოხელსაქმეებად" („თავს ირჩენს ხელსაქმით") მოიხსენიებიან. ოჯახების ეს კატეგორია ცხრილში შეტანილი არ არის.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხელოსნობაში ჩაბმულ მამაკაცთა რაოდენობა გაცილებით ჭარბობდა შესაბამისი ოჯახების რაოდენობას. ცხრილში შეტანილ 772 ოჯახში დაახლოებით 1 000—1100 მამაკაცის მონაწილეობა ივარაუდება. ამრიგად, 1 სახელოსნო-დუქანში 3—4 დასაქმებული პირი მოდის.

ცხრილიდან ჩანს, რომ სხვადასხვა ხელოსნურ დარგებში ხელოსნური ოჯახებისა და შესაბამისი დუქნების შეფარდება ერთნაირი არ ყოფილა თუ მაგალითად ისეთ დარგებში, როგორიცაა დალაქობა, ხარატობა, მჭედლობა, ნალბანდობა, მთელაობა და სხვ. სახელოსნოთა რაოდენობა თითქმის უდრიდა ან ოდნავ ნაკლები იყო ხელოსნური ოჯახების რაოდენობაზე, თერძობაში იგი 2,4-ჯერ ნაკლები იყო, დურგლობაში და მეიარაღეობაში 3-ჯერ, ქუდის მთელავეობასა და მეკრაველეობაში 4-ჯერ, გამთეთრებლობაში 5-ჯერ, ფეიქრობაში 7-ჯერ და ა. შ.; მართალია, 1 სახელოსნოში 2 ოსტატის დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობაც არსებობდა და ამის მაგალითებიც არის, მაგრამ (და სწორედ ამიტომ) ცალკეული დარგის შიგნით ხელოსანთა რაოდენობა სახელოსნოების რაოდენობაზე, ბუნებრივია, ზუსტად არ ნაწილდებოდა. ეს კი გაცილებით ზრდის ცალკეულ სახელოსნოში დასაქმებულ ხელოსანთა შესაძლებელ რაოდენობას. ყოველივე აღნიშნულს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ მოცემულ ხანაში საკმაოდ გავრცელებული იყო არაკვალიფიციური დაქირავებული შრომის გამოყენება (რაზედაც ქვევით იქნება საუბარი), აგრეთვე იმას, რომ თითო ოსტატზე სულ ცოტა ერთი შეგირდი უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელოსნობის ცალკეულ დარგებში მაღალი იყო ქალებისა და ბავშვთა შრომის გამოყენება და სხვ., სრული საფუძველი გვექნება თბილისის სახელოსნოთა ერთ ნაწილში დასაქმებულ პირთა რაოდენობა 8—10, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში გაცილებით მეტი ოდენობით წარმოვიდგინოთ. ცხადია, ამგვარი სახელოსნოების მეთაურები უბრალო ხელოსნებად და თუნდაც წვრილ საქონელმწარმოებლებად აღარ ჩაითვლებიან, ისინი გაცილებით უფრო დიდი მასშტაბის მრეწველები არიან.

სიღნაღის 1804 წლის აღწერის მონაცემებით[51] 162 ხელოსნურ ოჯახზე სულ 24 დუქანი მოდის. ამ ფაქტის განზოგადება გაცილებით შორსმიმავალი დასკვნების გამოტანის სურვილს ბადებს, მაგრამ იმის გამო, რომ საბუთი არ აზუსტებს, თუ რომელ

---

[51] სცსია, ფ. 254, აღ. 1, საქ. 75.

დუქნებზეა ლაპარაკი, იმაზე, რომლებიც ხელოსანთა ოჯახების საკუთრებას შეადგენდნენ, თუ იმაზე, რომლებშიაც ისინი საქმიანობენ (ხელოსანთა მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ითქვა, ნაქირავებ დუქნებში ეწეოდა თავის ხელობას), ამასთან პირველი შესაძლებლობა დასაშვებია, ამგვარი განზოგადება ჯერჯერობით ნაადრევად გამოიყურება.

სახელოსნოების გამსხვილების ტენდენცია, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ განსახილველი ხანის წინა პერიოდიდან მომდინარეობს. ყოველ შემთხვევაში, XVIII საუკუნის სინამდვილეში სახეზეა გაფართოებული სახელოსნოს არსებობის არაერთი ფაქტი, იგულისხმება ის სახელოსნოები, რომლებიც ხელოსნური წარმოების წიაღიდან აღმოცენდნენ, თანდათანობითი განვითარების გზით და არა ის, შედარებით მსხვილი სამრეწველო საწარმოები, რომლებიც სამეფო ხელისუფლების წაქეზებით თუ მონაწილეობით, ვაჭართა და სხვა საქმოსანთა მიერ ეწყობოდა, რომლებიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია შემჩნეულია. 1709 წლის ცნობით, სახელოსნოს აფართოებს და ამაზე მნიშვნელოვან თანხას აბანდებს ჭონი აფრია დავითაშვილი. იგი ქარვასლაში „უჯრებს“ ყიდულობს — ჩანს ვაჭრობაში ებმება და სხვ[52]. გაფართოებულ სახელოსნოდ მოჩანს ამავე პერიოდის საბუთში მოხსენიებული თიხის და ქამანური ჭურჭლის საწარმოები[53]. საკმაოდ მსხვილი სახელოსნოს მეპატრონედ მოჩანს ანონიმური ავტორი, რომელიც პროტესტის წერილით მიმართავს თავის ბატონს დარეჯან დედოფალს: „ვაკეთებ და თქვენი და თქვენი შვილების ქარხანაში მოტანას ანგარიში არ აქვს. ვალს ვიღებ წამალს ვყიდულობ და წამლის ფასიც არ მეძლევა. სამოცი თუმანი ვალი დამედო, მე ერთი ფულიც არ მომცემია. ეხლა თქვენმა შვილებმა სამის თუმნისა წაიღო. თქვენი შვილები ცალცალკე მართმევენ...“[54] მოტანილ საბუთში ყურადღებას იქცევს სამეფო სახლის წარმომადგენელთა მიერ უფასოდ წაღებული საქონლის ოდენობა, რაც სახელოსნოს სიდიდეზე მეტყველებს. XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე საკმაოდ მოზრდილი საწარმოს მეთაურად ჩანს ფეიქარი ქოჩორა, რომელიც პირსახოცებს ამზადებდა და ამ საქონლით მთელ ქალაქს ამარაგებდა[55] და ა. შ.

---

[52] საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 407.

[53] იქვე, გვ. 527.

[54] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები..., წ. III, გვ. 83.

[55] იქვე, გვ. 364.

წარმოდგენილი მასალა ადასტურებს სახელოსნოთა გაფართოების ტენდენციას განსახილველი ხანისა და მისი წინაპერიოდის საქართველოს დამმუშავებელ წარმოებაში. სასაქონლო მეურნეობის ვითარებაში ამგვარი ტენდენციის არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან „წვრილ საქონელმწარმოებელთა მიერ შედარებით მსხვილი სახელოსნოების დაარსება წარმოადგენს მრეწველობის უფრო მაღალ ფორმაზე გადასვლას. დაქსაქსული წვრილი წარმოებიდან იქმნება კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი მ ა რ ტ ი ვ ი კ ო ო პ ე რ ა ც ი ა[56].

5. დაქირავებული შრომის გამოყენების გავრცელება

სახელოსნოების გაფართოების ტენდენცია, რომელზედაც წინა პარაგრაფში იყო საუბარი, დაკავშირებულია დაქირავებული შრომის გამოყენების ზრდასთან. ქართული ხელოსნობა არ იცნობდა ქარგლობის ინსტიტუტს. ამიტომ სახელოსნოს გაფართოება ძირითადად (საოჯახო კოოპერაციასთან ერთად) დაქირავებული შრომის გამოყენებით იყო შესაძლებელი. ამ საკითხის უდიდესი მნიშვნელობა უდავოა, რადგან ახალი ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების პროცესში „თითქმის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს დაქირავებული შრომის გავრცელების მასშტაბს“[57].

XVIII საუკუნის საკანონმდებლო ხასიათის საბუთებსა თუ კანონპროექტებში დაქირავებული შრომის ასახვა მის სისტემატურ ხასიათზე მიუთითებს. დავით ბაგრატიონის „საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა“, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისშია შედგენილი მაგრამ XVIII საუკუნის მიწურულის ვითარებას ასახავს, დაქირავებული შრომის სხვადასხვა ფორმების მოწესრიგებასაც ითვალისწინებს. საბუთი ასხვავებს დღიურად და ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით, დაქირავებულ მუშას ითვალისწინებს გარკვეულ ფარგლებში მისი ინტერესების დაცვას[58].

დაქირავებული შრომის გამოყენების უამრავი ფაქტია და-

---

[56] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 413.

[57] იქვე, გვ. 688.

[58] დ ა ვ ი თ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, აპოლონ როგავას რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 317.

დასტურებული XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის გამოქვეყნებულ[59] თუ გამოუქვეყნებელ საბუთებში. მაგრამ ერთია ფაქტი (თუნდაც მრავალრიცხოვანი), მეორეა განვითარების მასშტაბისა და ტენდენციის დადგენა. იმის გამო, რომ სხვა სისტემატური ხასიათის სტატისტიკური მასალა არ არსებობს, ისევ კამერალური აღწერის თაეისთავად ნაკლულ მონაცემებს უნდა მივმართოთ. აღნიშნულ აღწერებში აღრიცხულია კატეგორია „დღიური მუშებისა", „მომუშავეებისა" და სხვა, რომლებიც დაქირავებული შრომის სხვადასხვა ფორმას აკაზავენ. ქ. გორის 1804 წლის აღწერაში ამგვარი კატეგორია არ მოიხსენიება, 1818 წლის აღწერით კი ძირითადი საქმიანობა იყო 70 ოჯახისათვის, რაც ხელოსნობაში ჩაბმული ოჯახების საერთო რაოდენობის 37,6% შეადგენს (იხ. ცხრ. 9). თელავის 1821 წლის აღწერის არასრული მონაცემებით ამ კატეგორიაში შევიდა 28 ოჯახი, ანუ საერთო რაოდენობის 19,4% (ცხრ. 15). დაქირავებული შრომის გამოყენების ტენდენციის გარკვევის თვალსაზრისით საინტერესო სურათს გვიხატავს თბილისის კამერალური აღწერების 1808, 1834 წლების მონაცემების შედარება (ცხრ. 8). 1808 წლის მონაცემებით, დაქირავებული მუშების კატეგორიაში შევიდა 274 ოჯახი, ანუ დამმუშავებელ საქმიანობაში ჩაბმული ოჯახების საერთო რაოდენობის 21,8%. 1834 წლის არასრული მონაცემებით კი 617 ოჯახი, ანუ საერთო რაოდენობის 27,5%.

დაქირავებული შრომის გამოყენების განვითარების ტენდენციის გარკვევის თვალსაზრისით დამახასიათებელ სურათს გვიხატავს დუშეთის მაგალითი: აქ 1821 წლის მონაცემებით დაქირავებით შრომა ძირითადი საქმიანობა იყო 15 ოჯახისათვის და დამატებითი საქმიანობა 16 ოჯახისათვის[60], რაც დამმუშავებელ მრეწველობაში ჩაბმული მოსახლეობის საერთო რაოდენობის შესაბამისად 15,3% და 16,3% შეადგენდა[61]. 1831 წლისათვის მდგომარეობა ასე შეიცვალა: დაქირავებით შრომა ძირითადი საქმიანობა იყო 35 ოჯახისათვის; უშუალოდ დამმუშავებელ წარმოებაში ჩაბმული ოჯახების რაოდენობა შემცირდა 98-დან 95-მდე[62], შე-

---

[59] ამ მხრივ განსაკუთრებით უხვ მასალას შეიცავს ნ. ბერძენიშვილის პუბლიკაცია, მასალები..., ტ. 1; ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგ. II, თბ., 1974, და სხვ.

[60] სცსია, ფ. 254, აღ. 1, საქ. 689.

[61] იქვე, საქ. 1250.

[62] იქვე.

საბამისად დაქირავებით შრომით საქმიანობაში ჩაბმულია ოჯახების საერთო რაოდენობის 35,7%; მაგრამ 1831 წელს ჩნდება ოჯახების კატეგორია, რომელიც თავს ირჩენს მაზრის აღწერებისათვის მანამდე უცნობი საქმიანობით — საქონლის გადაზიდვით, ამ საქმეში საკმაოდ საგულისხმო რაოდენობა — 27 ოჯახია ჩაბმული[63]. ამ ახალი დარგის გაჩენა საქართველოს სანხედრო გზის მნიშვნელობის გაზრდითაა განპირობებული.

იმ კატეგორიის ოჯახების რაოდენობა, რომელიც „თავს ირჩენს მუშაობით", განსაკუთრებით დიდია მაზრებში (გორი, სიღნაღი, თელავი). მაგრამ იმის გამო, რომ ეს ფაქტი საქსოვი წარმოების განვითარებას უკავშირდება, მასზე ნაშრომის შემდეგ თავში იქნება საუბარი.

ჯერჯერობით დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ განსახილველ ხანაში ადგილი აქვს დაქირავებული შრომის გამოყენების როგორც აბსოლუტურ, ისე შეფარდებით ზრდას.

მასალის სიმცირე საშუალებას არ იძლევა სხვადასხვა რეგიონებისა და ცალკეული დარგების მიხედვით დაწვრილებით გაირკვეს დაქირავებული შრომის გამოყენებისა და გავრცელების საკითხები. კამერალურ აღწერებში, ჩვეულებრივ, ოჯახის ცალკეულ წევრთა საქმიანობა აღნიშნული არ არის, ხოლო, როგორც ირკვევა, დაქირავებით შრომას უპირატესად ოჯახის ახალგაზრდა წევრები, ხშირად მცირეწლოვნებიც კი ეწეოდნენ. გარდა ამისა, და რაც მთავარია, კამერალური აღწერები მოიცავს ამა თუ იმ რეგიონის მკვიდრ მოსახლეობას, ისე რომ მასში ვერავითარ ასახვას ვერ პოულობს მწარმოებელთა ის მეტად მრავალრიცხოვანი კატეგორია, რომლებიც ქალაქებს ავსებდნენ დროებით საშოვარზე მოსული გლეხების, გამოქცეული ყმებისა თუ სხვათა სახით და რომელთა ძირითადი საქმიანობა სწორედ დაქირავებით შრომა (თავისი სამუშაო ძალის გაყიდვა) იყო.

თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, გასაგები გახდება, რომ დაქირავებული შრომის გამოყენებისა და გავრცელების მასშტაბები გაცილებით სჭარბობს იმას, რაც არსებული მასალის საფუძველზე შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ზემოთ აღნიშნული ძირითადად არაკვალიფიციური დაქირავებული შრომის გამოყენებას შეეხებოდა. კამერალური აღწერის მონაცემები აღნიშნავენ რა ოჯახის მეთაურთა სპეციალობას, არა-

---

[63] სცსია, ფ. 254, აღ. 1, საქ. 1250.

ფერს ამბობენ იმაზე, თუ რა ფორმით ეწევა იგი მას, — საკუთარ სახელოსნოში თუ დაქირავებით; ამიტომ კვალიფიციური დაქირავებული შრომის გამოყენების მასშტაბების შესახებ რაიმე პროცენტრული მონაცემებით მსჯელობა ჯერჯერობით შეუძლებელია.

ამავე დროს, დოკუმენტური ხასიათის მასალები კვალიფიციური დაქირავებული შრომის გამოყენების არაერთ ფაქტს ასახელებენ. მაგალითად, 1808 წლის ცნობით სოლომონ დაბაღოვთან ცხოვრობენ აგრეთვე დაბაღები თათული მოსესოვი და ნონი გურგენოვი, რომლებიც, ეჭვი არ არის, მისი დაქირავებული მუშები არიან[64]. სიღნაღის 1804 წლის აღწერით მეწყოველები გლახა ქევხიშვილი, აზარია გომელაური და ზოგიერთი სხვაც დაქირავებით მუშაობენ.[65]. მასალებში ვხვდებით ცნობებს, როცა დაქირავებით შრომას ეწევიან ჭონები, თერძები და ბევრი სხვ.[66].

გასული საუკუნის 20-იან წლებში თბილისში ებრაელთა ორ სამკერვალო სახელოსნოში 45 მარტო ადგილობრივი ქრისტიანი თერძი მუშაობდა დაქირავებით[67], რაც დაქირავებული შრომის გამოყენების ხანგრძლივი ტრადიციისა და მნიშვნელოვანი გავრცელების ნიშანია, მისთვის არ არსებობს ეროვნული თუ რელიგიური დაბრკოლებები.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად შესაბამისი მასალის სიმცირისა, განსახილველ ხანაში შეიმჩნევა კვალიფიციური და არაკვალიფიციური დაქირავებული შრომის არა მარტო არსებობა, არამედ საგულისხმო გავრცელებაც და, რაც მთავარია, ზრდა.

6. შრომის დანაწილება სახელოსნოში. მანუფაქტურა

ჩვენ ვნახეთ, რომ საქართველოს დამმუშავებელ მრეწველობაში ადგილი აქვს სასაქონლო წარმოების, მწარმოებელთა შორის ქონებრივი დიფერენციაციის, დაქირავებული შრომის გამოყენებისა და სახელოსნოების გაფართოების უწყვეტ პროცესს, ე. ი. ხდება ხელოსნობის, როგორც მრეწველობის ფორმის ტრანსფორმაცია და მის ადგილს წვრილი სასაქონლო წარმოება იჭერს. ამ პროცესის შემდგომი განვითარება აუცილებლად იწვევს წვრი-

[64] სცსია, ფ. 254, აღ. 1, საქ. 185, ფურც. 149.
[65] იქვე, საქ.75, ფურც.81.
[66] სცსია, ფ.16, საქ.1731, ფურც. 13; იქვე, ფ. 254, აღ. I, საქ. 804, ფურც. 21.
[67] სცსია, ფ. 2, აღ. I, საქ. 4458, ფურც. 17.

ლი სასაქონლო წარმოების კაპიტალისტურ წარმოებად გარდაქმნას, რაც მრეწველობის პირველი კაპიტალისტური ფორმის — კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის და შემდეგ მანუფაქტურის ჩამოყალიბებაში გამოიხატება. მაგრამ იმისათვის, რომ დადგინდეს თუ როდის და როგორ იქცევა წვრილი სასაქონლო წარმოება კაპიტალისტურად, უნდა გაირკვეს, თუ რა ნიშნებით ხასიათდება მრეწველობის კაპიტალისტური ფორმები და არსებული მასალის გათვალისწინებით გამოიძებნოს მეთოდოლოგიური კრიტერიუმები (ხერხები) მათი წინაკაპიტალისტური ფორმებისაგან გამოსარჩევად.

როგორც ზევითაც ითქვა, წვრილ საქონელმწარმოებელთა ბიერ შედარებით მსხვილი სახელოსნოების დაარსება მრეწველობის უფრო მაღალი ფორმის, კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის წარმოქმნას იწვევს[68].

მაგრამ როგორია ის ზღვარი, რომლის იქითაც წვრილი საქონელმწარმოებლის გაფართოებული სახელოსნო კაპიტალისტურ მარტივ კოოპერაციად, ხოლო წვრილი საქონელმწარმოებელი კაპიტალისტად იქცევა? ამაზე კ. მარქსი სრულიად გარკვევით პასუხობდა: „...კაპიტალისტი უწინარეს ყოვლისა თავისუფლდება ხელშრომისაგან, რა წამსაც მისი კაპიტალი იმ მინიმალურ სიდიდეს აღწევს, რომლითაც პირველად იწყება საკუთრივ კაპიტალისტური წარმოება“[69]. სხვა ადგილას იგივე აზრი ავტორს უფრო დაწვრილებით აქვს ჩამოყალიბებული: „თავდაპირველად ინდივიდუალური კაპიტალის გარკვეული მინიმალური სიდიდე გვევლინება აუცილებელ პირობად იმისათვის, რომ ერთსა და იმავე დროს ექსპლოატირებული მუშების რიცხვი, მაშასადამე, მათ მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა საკმარისი ყოფილიყო, რათა თვითონ ექსპლოატატორი ხელშრომისაგან განთავისუფლებულიყო, წვრილი ხელოსნიდან კაპიტალისტად გადაქცეულიყო და ამრიგად, კაპიტალისტური ურთიერთობა ფორმალურად . ჩამოყალიბებულიყო[70]“. მაშასადამე კაპიტალისტური ურთიერთობა ფორმალურად ყალიბდება, ე. ი. კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია იქმნება, მაშინ როცა ექსპლუატატორი ხელშრომისაგან თავისუფლდება, ხოლო ამის საფუძველია ერთსა და იმავე დროს ექსპლუატირებული მუშების გარკვეული რიცხვი. თუ როგორია ის რიცხვი, რომ-

[68] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 413.

[69] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ.I, ნაწ.I, გვ.422.

[70] იქვე, გვ. 420.

ლის დროსაც წარმოებული ზედმეტი ლირებულების მასა საკმარისია იმისათვის, რათა ექსპლუატატორმა ხელშრომისაგან თავი გაითავისუფლოს, ამაზე თუმცა პირდაპირი მითითება მარქსიზმის კლასიკოსებთან არ არის, მაგრამ ამის შესახებ ერთგვარი მინიშნება შეიძლება დავინახოთ ვ. ი. ლენინის ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში". იმის საილუსტრაციოდ, რომ „კაპიტალის სიდიდე დანსაზღვრავს საწარმოში მეპატრონის პირადი მონაწილეობის ფორმას", ავტორს მოაქვს ამონაწერი ისაევის გამოკვლევიდან „მოსკოვის გუბერნიის მრეწველობა", სადაც ავეჯის სარეწის აღწერაში ვკითხულობთ: „2—3 მომუშავე იმდენად ცოტა ნამეტს აძლევს მეპატრონეს, რომ ის თვითონ მათ გვერდით მუშაობს... 5 მომუშავე კი უკვე იმდენს აძლევს მეპატრონეს, რომ ის რამდენადმე ითავისუფლებს თავს ხელით მუშაობისაგან... და ასრულებს, უმთავრესად, მეპატრონის ორ უკანასკნელ როლს" (ე. ი. მასალების ყიდვა და საქონლის გასალება). „როგორც კი დაქირავებული მუშების რიცხვი აღწევს 10-ს ან გადაამეტებს ამ ციფრს, მეპატრონე არათუ სწყვეტს ხელით მუშაობას, არამედ თითქმის თავსაც კი ანებებს მუშებზე პირად ზედამხედველობას: ის ნიშნავს მთავარ ოსტატს, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს მომუშავეებს... აქ ის უკვე იქცევა პატარა კაპიტალისტად..."[71].

მოტანილ ამონაწერში ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ 10 მუშის ექსპლუატაციის პირობებში მეპატრონე მარტო თვითონ კი არაა თავისუფალი, არამედ თავს ნებას აძლევს იყოლიოს მთავარი ოსტატი, რომელიც მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც თავისუფალი უნდა იყოს ხელშრომისაგან. ამავე დროს, 5 მუშის პირობებში მეპატრონე ჯერ კიდევ მთლად თავისუფალი არაა, თუმცა ახლოსაა ამ მდგომარეობასთან.

ამრიგად, ის ზღვარი, რომლის შემდეგაც ექსპლუატატორი ხელშრომისაგან თავისუფლდება, 5-სა და 10 დაქირავებული მუშის შორისაა საძებნი. თუ მივიღებთ, რომ მრეწველობის სხვადასხვა დარგებში თანაბარი რაოდენობის მუშათა ექსპლუატაცია დაახლოებით თანაბარ ნამეტს იძლევა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 6—7 დაქირავებული მუშის პირობებში ექსპლუატატორი თავისუფლდება ხელშრომისაგან და წვრილი მწარმოებლის სახელოსნო კაპიტალისტურ მარტივ კოოპერაციად იქცევა. ამის საფუძველზე კი შეიძლება მივიღოთ მეთოდოლოგიური დასკვნა:

---

[71] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 415—416.

თუ დგინდება, რომ საწარმოს მეთაური უშუალოდ წარმოებაში არ მონაწილეობს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი სულ ცოტა კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის მფლობელია, კაპიტალისტია, რომელიც ექსპლუატაციას უწევს მინიმუმ 6—7 დაქირავებულ მუშას.

მანუფაქტურა შრომის დანაწილებაზე დამყარებული კოოპერაციაა. წარმოების პროცესში შრომის დანაწილების რენტაბელობა კაპიტალიზმის ეპოქის აღმოჩენა არ არის. შრომის დანაწილება არსებობდა ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების დროს, როცა იგი ადამიანებს შორის ფიზიოლოგიურ განსხვავებას ეფუძნებოდა. რომ „შრომის დანაწილების შედეგად უმჯობესდება პროდუქტიც და მისი მწარმოებლობაც", ეს იცოდა „ოდისეას" ავტორმა, ეს იცოდნენ ანტიკურმა მწერლებმა[72]. ცხადია, ეს იცოდნენ იმ კაპიტალისტებმაც, რომლებიც სახელოსნოს კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის მასშტაბამდე აფართოებდნენ, ან აწყობდნენ. აქ ისმება ლოგიკური კითხვა: მაშ რა უშლიდათ მათ ხელს კოოპერაცია თავიდანვე შრომის დანაწილების საფუძველზე, ანუ მანუფაქტურის ფორმით ჩამოეყალიბებიათ? მით უმეტეს, რომ როცა სახეზეა შრომის მკვეთრი ხელოსნური დანაწილება „ერთი კვირის გამოცდილებაც არ არის საჭირო იმისათვის, რათა გამოინახოს სათანადო პროპორცია მუშახელის იმ რაოდენობას შორის, რომელიც აუცილებელია თვითეული ფუნქციის შესასრულებლად"[73].

მარტივი კოოპერაცია მანუფაქტურად ვერ გადაიქცევა მანამ, სანამ მასში დასაქმებული მუშების რიცხვი არ მიაღწევს იმ მინიმალურ სიდიდეს, როდესაც აზრი ექნება შრომის დანაწილების შემოღებას: „იმ მუშათა მინიმუმს — ამბობს მარქსი, — რომელიც ცალკეულმა კაპიტალისტმა უნდა გამოიყენოს, მას ახლა შრომის არსებული დანაწილება უკარნახებს"[74]. ეს ციტატა ზოგმა მკვლევარმა ისე გაიგო, თითქოს მანუფაქტურაში დასაქმებული მუშების მინიმალური რიცხვი უდრის შრომის დანაწილების შედეგად გამოყოფილ ცალკეულ ოპერაციათა რიცხვს. საქმე კი იმაშია, რომ რაკი სხვადასხვა დეტალური ოპერაცია სხვადასხვა შრომატევადობისაა, ცალკეულ მათგანში მუშათა სხვადასხვა რაოდე-

---

[72] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 464—465.
[73] იქვე, გვ. 463.
[74] იქვე, გვ. 457.

ნობა უნდა იყვეს დასაქმებული, ე. ი. მათ შორის უნდა დამყარდეს გარკვეული პროპორცია. შრომის დანაწილების ყველაზე მარტივი ფორმა, რომელიც მარქსს სამაგალითოდ მოჰყავს, ესაა ასოების ჩამომსხმელი მანუფაქტურა. წარმოების პროცესი აქ სამ ფაზად იყოფა: „ჩამომსხმელი საათში 2000 ასოს აყალიბებს, გამომკვეთი 4000 ასოს ჰკვეთს, გამპრიალებელი 8000 ასოს აპრიალებს"[75]; მაშასადამე თანაფარდობაა 1:2:4.

ამრიგად, მანუფაქტურის ყველაზე მარტივ ფორმაში ძირითად ოპერაციებში ჩაბმულია 7 მუშა, მაგრამ ამას ემატება მოსამზადებელი, დამსრულებელი და დამხმარე ოპერაციები. ასე რომ, ამგვარ მანუფაქტურაში უშუალოდ წარმოებაში დასაქმებული იქნება სულ ცოტა 10 კაცი. ე. ი. თუ წარმოვიდგენთ, რომ ასოების ჩამომსხმელი სახელოსნო მუშათა რიცხვის თანდათანობით გადიდებით 6—7 კაცის ექსპლუატაციის შედეგად კაპიტალისტურ მარტივ კოოპერაციად გადაიქცა, ვიდრე ექსპლუატატორი შემდეგი განვითარების შედეგად არ დააგროვებს იმდენ კაპიტალს, რამდენიც საჭირო იქნება 10 მუშის ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად, რაც არა მარტო მუშების ხელფასისათვის საჭირო თანხით, არამედ ნედლეულის და სხვ. ხარჯებითაც განისაზღვრება, მას საშუალება არა აქვს წარმოებაში შრომის დანაწილება შემოიღოს და შესაბამისად თავისი წარმოება მანუფაქტურად გადააქციოს. ამიტომ მარქსი გარკვევით მიუთითებს: „მუშების მნიშვნელოვანი რიცხვის თავმოყრა ერთი და იმავე კაპიტალის მბრძანებლობის ქვეშ ბუნებრივი ამოსავალი პუნქტია როგორც კოოპერაციისა საერთოდ, ისე მანუფაქტურისაც. პირიქით, შრომის მანუფაქტურული დანაწილება საქმეში გამოყენებულ მუშათა რიცხვის ზრდას ტექნიკურ აუცილებლობად ხდის"[76].

მაგრამ ასოების ჩამომსხმელ მანუფაქტურაში, როგორც ითქვა, შრომის დანაწილების შედარებით მარტივ ფორმასთან გვაქვს საქმე. აქ იგი სულ სამ ეტაპად ნაწილდება. სხვა შემთხვევაში ცალკეული ოპერაციების რიცხვი შეიძლება გაცილებით მეტი იყოს, შესაბამისად გაიზრდება უშუალოდ წარმოებაში ჩაბმული მუშების მინიმალური სიდიდეც, ეს კი კვლავ თავდაპირველი კაპიტალის მინიმალურ სიდიდესთანაა დაკავშირებული. ამავე დროს მანუფაქტურის გაფართოება თანდათანობით არ შეიძლება, გაფარ-

---

[75] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 439.
[76] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 457.

თოება უნდა მოხდეს ერთბაშად, იმავე პროპორციით. ე. ი. თუ ასობის ჩამომსახმელ მანუფაქტურაში უშუალოდ წარმოებაში ჩაბმული მუშების რიცხვი არ შეიძლება 7-ზე ნაკლები იყოს, გაფართოების შემთხვევაში იგი გაიზრდება 14-მდე, 21-მდე და ა. შ.

ამრიგად, იმისათვის, რათა კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია მანუფაქტურად გადაიქცეს ან კაპიტალისტმა წარმოება მანუფაქტურის ფორმით მოაწყოს, საჭიროა მის განკარგულებაში იყოს გარკვეულად მნიშვნელოვანი კაპიტალი: „მაშასადამე, კაპიტალის მინიმალური მოცულობის ზრდა ცალკეულ კაპიტალისტთა ხელში, ანუ საზოგადოებრივ საარსებო საშუალებათა და წარმოების საშუალებათა ფზარდი გადაქცევა კაპიტალად არის კანონი, რომელიც მანუფაქტურის ტექნიკური ხასიათიდან გამომდინარეობს“[77].

ამის საფუძველზე კი შეიძლება დავასკვნათ: რაკი შრომის მკვეთრი ხელოსნური დანაწილების პირობებში კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის მანუფაქტურად გადაქცევისათვის ამოსავალი მისი მომწყობის ხელში გარკვეული კაპიტალის აუცილებელი არსებობაა, შეიძლება ვივარაუდოთ: თუ, სხვა პირობებთან ერთად, დგინდება წარმოების მეპატრონის დიდი ეკონომიკური შეძლებულობა, უფლება გვაქვს აღნიშნული წარმოება მანუფაქტურის ფორმით წარმოვიდგინოთ.

მაგრამ სტატისტიკური და სხვა ხასიათის მასალა, რომლის საფუძველზეც ჩვენ ისტორიული ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური სახის აღდგენას ვცდილობთ, ჩვეულებრივ არ შეიცავს მონაცემებს ამა თუ იმ საწარმოში შრომის დანაწილების არსებობა-არარსებობის შესახებ. ხშირად იგი არ მოიცავს ცნობებს მისი მომწყობის ეკონომიკური შესაძლებლობის შესახებაც. ამგვარი ვითარებაა არა მარტო ჩვენში და არა მარტო განსახილველ პერიოდში; ამიტომ ისტორიულ და ეკონომიკურ ლიტერატურაში დაისვა საკითხი წარმოებაში დასაქმებულ პირთა იმ რაოდენობრივი ზღვრის ძიებისა, რომლის შემდეგაც კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია მანუფაქტურად იქცევა. რაკი მანუფაქტურაში გამოყენებული მუშათა რაოდენობა დამოკიდებულია ცალკეულ ოპერაციათა რიცხვზე და მათ შრომატევადობაზე, ამგვარი ზღვარი სხვადასხვა დარგებში სხვადასხვა უნდა იყოს. ამის გამო მარქსიზმის კლასიკოსებთან ამგვარი აბსოლუტური რიცხვი დასახელებუ-

---

[77] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 457.

ლი არ არის. თუმცა ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ როდესაც კაპიტალისტურ მარტივ კოოპერაციაზე მსჯელობს, ვ. ი. ლენინი 10 მუშის მყოლი სახელოსნოს მეპატრონეს „პატარა კაპიტალისტს“ უწოდებს, ხოლო როცა შინამრეწველობის ევოლუციაზე საუბრობს, აღნიშნავს: „...შინამრეწველი“ იქცევა ნამდვილ კაპიტალისტად, რომელსაც დაქირავებული ჰყავს 15-დან 30-მდე მუშა“[78]. რაკი „პატარა კაპიტალისტი“, ლენინის გამოთქმით, კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის მეპატრონეა, „ნამდვილი კაპიტალისტი“ შეიძლება მანუფაქტურის მეთაურად წარმოვიდგინოთ და ამის საფუძველზე წარმოებაში ჩაბმული 15 მუშის არსებობა შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმ ზღვრად, როდესაც „რაოდენობრიობა თვისობრიობაში გადადის, წვრილი ბურჟუა ნამდვილ კაპიტალისტად, ხოლო მისი სახელოსნო მანუფაქტურად იქცევა“[79].

ცხადია, ეს რიცხვი სრულიად პირობითია. იგი ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება ნაკლები ან გაცილებით მეტი იყოს, მაგრამ როდესაც სხვა ცნობები არ არსებობს, მისი გამოყენება. საერთო, შემაჯამებელ მონაცემებზე გავრცელება არსებითად სწორი უნდა იყოს. ამის საფუძველზე კი შეიძლება დავასკვნათ: თუ ცალკეულ შემთხვევაში დგინდება წარმოებაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი დაიგითხუთმეტიან მეტია, მაგრამ მასში შრომის დანაწილების ფაქტის დადგენის საშუალება არა გვაქვს, პირობით ამგვარი წარმოება შეიძლება მანუფაქტურად იქნეს მიჩნეული.

*

* *

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას იძლევა ამ მეთოდოლოგიური კრიტერიუმით მივუდგეთ (ე. ი. სხვა თვალით შევხედოთ) რიგ ფრაგმენტულ, მაკრამ თავისთავად მეტად საყურადღ-

[78] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ.3, გვ. 407.

[79] ეს სიტყვები აკად. სტრუმილინს ეკუთვნის, რომელიც ერთგვარად განსხვავებული მსჯელობის საფუძველზე ამავე დასკვნას აკეთებს С. Г. Струмилин, Очерки экономической истории России, М., 1960, с.277; ამ აზრს აზიარებს გ. ბაქრაძეც. ე. ხოშტარია ფაქტიურ მასალაზე დაკვირვების საფუძველზე ამგვარ ზღვარად 8—12 მუშის ექსპლუატაციას მიიჩნევს. დ. გოგოლაძე მანუფაქტურაში ცალკეულ ოპერაციათა შესაძლებელ რიცხვს უტოლებს დასაქმებულ მუშათა რიცხვს და მანუფაქტურად მიიჩნევს 4—5 მუშის მყოლ სახელოსნოსაც.

ღებო ცნობებს, რომელსაც განსახილველი და მისი წინა პერიოდის მასალები იძლევიან.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის სამუთებში გვხვდება არა მარტო ხელოსნური წარმოშობის ვაჭრები, არამედ ხელოსნებად წოდებული პირები, რომლებიც ფართო კომერციებში არიან ჩაბმული. ერთ-ერთი მათგანია ვინმე ხარაზი ბეჟანა, რომელიც საგარეო ვაჭრობაშიც კი მონაწილეობს და ამავე დროს თბილისის ერთ-ერთი უმდიდრესი საქმოსნის, — ვაჭრის და მოიჯარე გ. სარაჯიშვილის აღლობელი პირი, მოსალოდნელია კომპანიონია[80]. სარაჯიშვილების გვარი, რომლის ხელოსნური წარმოშობა ცნობილია, მთელი XIX საუკუნის მანძილზე არ წყვეტდა წარმოებასთან კავშირს. კერძოდ, 1824 წლის თბილისის აღწერაში მოხსენიებული მიხეილ იაგორის ძე სარაჯიშვილი დიდი კომერსანტი და ქარხნების მეპატრონეა[81]. 20-იანი წლების ბოლოს მიხეილ სარაჯიშვილი თბილისში (ორთაჭალაში) ტყავის ქარხნის მეპატრონედ მოჩანს. მისი წარმოება საგანგებოდ ჯარის ნაწილებისათვის საჭირო ხარისხის ტყავს ამზადებდა და მასში 60-მდე დაქირავებული მუშის მონაწილეობაა სავარაუდო[82]. ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ დამოკიდებულება ხარაზ ბეჟანასა და გრიგოლ სარაჯიშვილს შორის სწორედ მათ საწარმოო ინტერესებზეა დამყარებული. ამგვარი ფაქტები XIX საუკუნის დასაწყისში მრავალია. რადგან თითქმის ყველა შემთხვევაში ხელოსნად მოხსენიებული ვაჭარი ფართო კომერციებშია ჩაბმული და წარმოებაში არამცთუ მათი პირადი მონაწილეობა, არამედ ზედამხედველობაც კი გამორიცხულია, არაფერი არ ეღობება წინ იმას, რომ მათი წარმოება ხშირად მანუფაქტურის მასშტაბებამდე ამაღლებულად წარმოვიდგინოთ. ჩვენ არაფერს ვამბობთ მიხეილ სარაჯიშვილის ტყავის ქარხანაზე, რომლის ამგვარი ხასიათი სრულიად ნათელია.

წინა პარაგრაფში, როდესაც ხელოსანთა ქონებრივ დიფერენციაციაზე იყო საუბარი, ცალკეული მონაცემების საფუძველზე შევეცადეთ ეკონომიკური შეძლებულობის მიხედვით ხელოსანთა რამდენიმე კატეგორიის (უღარიბესი, ღარიბი, საშუალო, შეძლებული, მდიდარი და ძალიან მდიდარი) არსებობა დაგვესა-

---

[80] ნ. ბერძენიშვილი, მასალები..., წ. II, გვ. 132.
[81] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 858, ფურც. 79.
[82] ვ. სამსონაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

ბუთებინა. უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციულ შუასაუკუნოებრივ ხელოსნობაში მდიდარი და ძალიან მდიდარი ხელოსნის არსებობა თითქმის გამორიცხულია (აქ გარკვეულ გამონაკლისს შეიძლება მხოლოდ ოქრომჭედლები, — იუველირები შეადგენდნენ). ხელოსნის გამდიდრება მხოლოდ სასაქონლო მეურნეობის პირობებშია შესაძლებელი და იგი დაქირავებული შრომის ექსპლუატაციის საფუძველზე ხდება. იგულისხმება, რომ მდიდარი ხელოსანი მხოლოდ გაფართოებული სახელოსნოს მეპატრონე შეიძლება იყოს. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ ის ხელოსნები (წარმოების მეპატრონეები), რომლებმაც იმდენი კაპიტალი დააგროვეს, რომ დიდ ვაჭრებსაც კი უტოლდებიან, „ნამდვილ კაპიტალისტებად" წარმოვიდგინოთ.

თბილისის ნაგალითზე ჩვენ 95 მდიდარი და 15 ძალიან მდიდარი ხელოსნის არსებობა ვიგულისხმეთ. ეჭვი არ არის, რომ მათი სახელოსნოების გარკვეული ნაწილი მანუფაქტურის მასშტაბისაა.

XVIII საუკუნის მიწურულში თბილისში ცხოვრობდა ვაჭარი და მოიჯარე დაბალი არუთინა[83]. 1824 წლის თბილისის აღწერაში გვხვდება დაბალი სტეფანე არუთინასშვილი, რომელიც აშკარად პირველის ვაჟია. ამრიგად, მამა ხელოსანი იყო და გავაჭრდა, შვილი კი თითქოს ხელოსნობას დაუბრუნდა. ამგვარი რამ გამორიცხული არ არის. ვაჭრის ეკონომიკური დაცემა (გაკოტრება) იშვიათი შემთხვევა არ ყოფილა არც მაშინ და არც შემდეგ. მაგრამ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ შვილის ქონებრივი მდგომარეობა მამისას არ ჩამოუვარდება. იგი მახტის სახით 18,50 კაპიკს იხდის, რაც საშუალო გადასახადს 10-ჯერ აღემატება[84]. იგი მდიდარი კაცია. ეს გარემოება გვიბიძგებს განვითარების პროცესი კლასიკური ფორმით წარმოვიდგინოთ: თანდათანობით ხელოსანი ებმება ვაჭრობაში, ისე რომ წარმოებასთან კავშირს ინარჩუნებს და მას გარკვეულ მასშტაბამდე აფართოებს. ხოლო მის მიერ ვაჭრობაში დაგროვილი კაპიტალი ხდება იმის საფუძველი, რომ მემკვიდრემ სახელოსნოს გაფართოება ახალ საფეხურზე აიყვანოს და მთელი კაპიტალი ძირითადად ამ სფეროში ჩართოს, „ნამდვილ კაპიტალისტად" (მანუფაქტურის მეპატრონედ) იქცეს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ: თუ გადასახადის ოდენობა გადამ-

---

[83] ნ. ბერძენიშვილი, მასალები..., წ. III, გვ. 243.
[84] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 1422, ფურც. 31.

ხდელის ეკონომიკურ ძლიერებაზე იყო დამოკიდებული, ხოლო საწარმოს მეპატრონეთა ეკონომიკური სიძლიერე საწარმოს სიდიდეს, დაქირავებული მუშების რაოდენობის ზრდას ემყარებოდა, შეიძლება დავასკვნათ, რომ გაფართოებული საწარმოს შემოსავალი იმდენად აღემატება საშუალო სახელოსნოს შემოსავალს, რამდენადაც მისი მეპატრონის გადასახადი სჭარბობს საშუალო ხელოსნის გადასახადს.

და თუ ეს ასეა, შეიძლება მეტად ფართო წარმოების მეთაურებად წარმოვიდგინოთ ვინმე „ხარატი" სტეფანე, „მექვაბე" გოგი სოლომონოვი და „ყასაბი" სტეფანე არუთინაშვილი, რომლებზეც 1824 წლის აღწერის მიხედვით, საშუალოზე 14-ჯერ მეტი გადასახადია გაწერილი (27 მან. 50 კაპ. — 28 მან.), „დაბალი" დავით ედიგაროვი, რომელიც საშუალოზე 19-ჯერ მეტ გადასახადს იხდის (38 მან.)[85], ან უმეტეს, „ხაბაზი" მელქო სარქისოვი, რომლის გადასახადი საშუალოს 42-ჯერ სჭარბობს (93 მან.)[86]. და ბევრი სხვა, რომელთა ჩამოთვლა აქ ზედმეტად შიგვაჩნია. ყველა საფუძველი არსებობს იმისათვის, რათა მათ წარმოებებში მაღალი კაპიტალისტური ფორმები ვივარაუდოთ და ზოგიერთი მათგანი მანუფაქტურად წარმოვიდგინოთ.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე უფლება გვაქვს მანუფაქტურის სახით წარმოვიდგინოთ 20-იან წლებში თბილისში არსებული ორი სამკერვალო სახელოსნო, რომლებიც ებრაელებს — სოლომონ სალმანს, მოისეი კრინსკის და მოისეი მოგილევსკის ეკუთვნოდათ და სადაც 15 და 30 მარტო ქრისტიანი მუშა მუშაობდა[87]. უფრო მოგვიანებით, 30-იანი წლების ბოლოს და 40-იანი წლების დასაწყისში თბილისში უცხოელთა 20-მდე სახელოსნოა აღრიცხული, რომლებშიც 10—20 და ზოგჯერ 40 მუშაც კი იყო დასაქმებული[88].

ამგვარი სახელოსნოები, როგორც ითქვა, საქართველოში სხვაც ბევრი უნდა ყოფილიყო, რომელთა სათავეში, ეჭვი არ არის, ადგილობრივი ვაჭარ-მრეწველები იდგნენ. მაგრამ აქ იბადება სრულიად ლოგიკური კითხვა: მაშ რატომ არ შემოგვრჩა მათ შესახებ ისეთი ცნობები, როგორიც უცხოელების მიერ მოწ-

---

[85] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 185, ფურც. 129, 189, 271.
[86] იქვე, საქმე 1422, ფურც. 31.
[87] სცსია, ფ. 2, აღ.1, საქ. 4458, ფურც. 17.
[88] სცსია, ფ. 7, აღ. I, საქ. 2229, ფურც. 1—5.

ყობილ საწარმოებზე გვაქვს? პასუხი მარტივია: რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში მრავლდება რუსული და ევროპული ელემენტი (ჯარის ნაწილები, ოფიცრები, ჩინოვნიკები და ა. შ.). თანდათან იცვლებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ყაიდაც, რაც განსაკუთრებით ძლიერი იყო ზედა ფენებში. ყველაფერმა ამან განაპირობა მოთხოვნილების ზრდა ევროპული ტიპის საქონელზე. ქართველი ხელოსნები კი ამგვარი საქონლის დამზადებაში დახელოვნებული არ იყვნენ. ამის გამო ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაიწყო ღონისძიებების გატარება რუსი და უცხოელი ხელოსნების მოსაზიდად. ამან ჩქარა გამოიღო შედეგი და საქართველოს ქალაქებში (განსაკუთრებით თბილისში) სხვადასხვა დარგის ევროპული ყაიდის არაერთი ხელოსანი გაჩნდა.

ადგილობრივი ხელისუფლება ერთობ დაინტერესებული იყო იმ ხელოსნების ბედით, რომლებიც მისი ინტერესების შესაბამისად და მისი ინიციატივით მრავლდებოდნენ საქართველოში; აქტიურ ყურადღებას იჩენდა, უწევდა მათ ყოველგვარ შესაძლებელ დახმარებას. ამ ნიადაგზე სხვადასხვა ბიუროკრატიულ ინსტანციებში იმართებოდა ვრცელი, მრავალრიცხოვანი მიმოწერა. აღნიშნული ხასიათის მასალა ერთადერთი საშუალებაა ამ საწარმოებზე წარმოდგენის შესაქმნელად. ამგვარი ტიპის მრავალრიცხოვან საბუთებში აქა-იქ ამოტივტივდება ცნობები ამა თუ იმ ევროპული ყაიდის სახელოსნოს მოცულობის, მასში დასაქმებული მუშახელის რაოდენობისა და სხვათა შესახებ.

ადგილობრივი ხელოსნობისადმი, ცხადია, ამგვარი ინტერესი არ იყო. ამიტომ ცნობებიც არ არის. ადგილობრივი ხელოსნობა მხოლოდ ზოგიერთ სტატისტიკურ მასალაში თუ აისახებოდა, ისიც ზერელედ, მათი საერთო რაოდენობის და იშვიათად სახელოსნოების რაოდენობის შესახებ მოტანილი ცნობებით.

ამდენად, უცხოელი ხელოსნების გაფართოებული სახელოსნოების არსებობა ადგილობრივ ხელოსნობაში ამგვარი სახელოსნოების არსებობას კი არ გამორიცხავს, არამედ ადასტურებს.

ამრიგად, საქართველოს დამმუშავებელ მრეწველობაში რიგი საწარმოების მანუფაქტურის მასშტაბებამდე ამაღლების ვარაუდი რეალურ საფუძველს ემყარება. ამ დებულებას მხარს უჭერს რიგი არაპირდაპირი ხასიათის მინიშნებები:

წინამდებარე ნაშრომის შესაბამის პარაგრაფში ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა კვალიფიციური და არაკვალიფიციური დაქირავებული შრომის გამოყენების გავრცელება. ამავე დროს, და-

ქირავებულ მუშათა ის კატეგორია, რომელსაც სპეციალობა აღნიშნული არა აქვს და საბუთებში „მუშაკებად“ იხსენიებიან, არაკვალიფიციურ მუშებად მივიჩნიეთ. ახლა საჭიროა ამ დებულების დაზუსტება. საქმე შემდეგშია: წარმოებაში კვალიფიციური და არაკვალიფიციური შრომის შეფარდებას ცალკეული სარეწის ტექნოლოგია განსაზღვრავდა. ცალკეული, განსაკუთრებით მოსამზადებელი ოპერაციების შრომატევადობა და სიმძიმე არაკვალიფიციური შრომის მეტ გამოყენებას ითხოვდა. ამიტომ არაკვალიფიციური შრომის შედარებით ჭარბი გამოყენება მოსალოდნელი იყო ისეთ დარგებში, როგორიცაა — შეაგურეობა, მეთუნეობა, დაბაღობა და ა. შ. ამავე დროს განსახილველი ხანის მასალებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ „მუშაკების“ გამოყენება განსაკუთრებით ინტენსიურია ისეთ დარგებში, რომლებიც არ საჭიროებენ შრომატევად და მძიმე მოსამზადებელ სამუშაობეს.

თბილისის 1823—1824 წწ. აღწერების მონაცემებიდან ჩვენ შევეცადეთ ამოგვეკრიბა „მუშაკების“ ის მცირე ნაწილი, რომელთაც მოღვაწეობის დარგი (სფერო) მითითებული აქვთ და შევუდარეთ იგი აღნიშნულ დარგებში დასაქმებულ ოსტატთა (უფრო სწორად, ოჯახების მეთაურთა) რაოდენობას. სურათის სრულყოფის მიზნით ამგვარივე შედარებისათვის გამოვიყენეთ აგრეთვე არსებული ცნობები შეგირდების შესახებ, რადგან ცალკეულ შემთხვევაში შეგირდს შეეძლო შეესრულებინა ან შეევსო არაკვალიფიციური მუშის როლი მოსამზადებელ და დამხმარე ოპერაციებში. შედარებამ შემდეგი სურათი მოგვცა. სულ იმ მუშაკების რიცხვი, რომელთაც საქმიანობის დარგი მიწერილი აქვთ, შეადგენს 115 კაცს. ისინი ნაწილდებიან ხელოსნობის 14 დარგზე. ამ დარგებში ოსტატობის, მუშაკების და შეგირდების შეფარდება აქ გამოიყურება (ცხრ. 18). „მუშაკების“ გამოყენების ყველაზე მაღალი პროცენტია მღებრებში, მჭედლებში, სარაჯებში და თერძებში. ხოლო „მუშაკებისა“ და შეგირდების ერთიანი რიცხვი პროცენტულად ყველაზე მეტია მეაბრეშუმეებში, მჭედლებში, მღებრებში, თერძებში და ხარაზებში. შესაბამისად როგორც „მუშაკების“, ისე მუშებისა და შეგირდების ერთად გამოყენების პროცენტული ვითარება ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მეთუნეებში, დაბაღებში და ა. შ., ე. ი. სწორედ იმ დარგებში რომლებიც ტექნოლოგიის ხასიათის მიხედვით თითქოს ერთ-ერთი ყველაზე შრომატევადი დარგი იყო და შესაბამისად ყველაზე მეტად უნდა მოითხოვდნენ არაკვალიფიციური შრომის გამოყენებას. ამგვარი-

ვითარება (კერძოდ, მუშაკების დიდი რაოდენობა ისეთ დარგებში, როგორიცაა მეაბრეშუმეობა, თერძობა, ქურქჩობა და ა. შ.) კი ბადებს ვარაუდს, მწარმოებელთა იმ კატეგორიაში, რომელიც წყაროებში „მუშაკებად“ ,მოიხსენიებიან, ხომ არ იგულისხმება

ცხრილი 18

ოსტატების, მუშაკებისა და შეგირდების რაოდენობის შედარება ხელოსნურ დარგებში თბილისის 1823-1824 წწ. აღწერების მიხედვით

ხელოსნური დარგი	ოსტატი	მუშაკ	%	შეგირდ	%	მოწმდ. %
მღებრობა	32	10	31,3	9	28,1	59,4
მჭედლობა	62	13	21,0	26	41,9	62,9
მეაბრეშუმეობა	55	14	24,5	22	40	65,5
თერძობა	138	23	16,7	58	42	58,7
ქურქჩობა	48	7	14,6	7	14,6	29,2
ყალატოზობა	57	5	8,8	11	19,3	28,1
ხარაზობა	168	16	9,5	56	33,3	42,9
ოქრომჭედლობა	72	4	5,6	10	13,9	19,4
ჭონობა	131	6	4,6	15	11,5	16
ფესანთლეობა	53	4	7,5	15	28,3	35,8
ყასბობა	53	3	5,7	.		
მეთუნეობა	37	2	5,4	8	21,6	27
დაბალობა	114	4	3,5	8	7	10,5
სარაჯობა	27	11	14,8	3	11,1	25,9

გარკვეული კვალიფიკაციის იმ პირები, რომელთა რაიმე ცალკეულ ხელობასთან გაიგივება შეუძლებელია? ე. ი. ხომ არ იგულისხმებიან მათში მედეტალე ხელოსნები? ამგვარ ვარაუდს ისიც აძლიერებს, რომ როგორც ირკვევა, „მუშაკობა“ საგანგებოდ შეისწავლებოდა. კერძოდ, საბუთებში სხვადასხვა ხელობის ოსტატთა შეგირდების გვერდით მოიხსენიება „მუშაკის შეგირდი“. არაკვალიფიციურ შრომას ხომ საგანგებო შესწავლა არ სჭირდება.

ამასთან დაკავშრებით შეიძლება მოვიგონოთ ი. შახგუბატოვის, ერთი შეხედვით, ,ცოტა არ იყოს უცნაური ცნობა, რომ „თბილისელი მექეჩეები დაქირავებით პენტავენ ბამბას“[89]. ბამბის პენტვა საფეიქრო წარმოების მოსამზადებელი ოპერაციაა. მაგრამ რა შუაშია აქ მექეჩეები? ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ბამბეულის საფეიქრო წარმოების აყვავების პერიოდში მასში ხდებოდა მწარმოებელთა გადაქაჩვა მომიჯნავე დარგებიდან, სადაც ისინი სწრაფად

[89] ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ros d 110, გვ. 24.

კარგავდნენ თავიანთ ძველ ხელობას და „მედეტალე“ მუშებად იქცეოდნენ.

თუ გამოთქმული ვარაუდები სწორია, მაშინ უფრო თამამად შეიძლება მსჯელობა დამშუშავებელ მრეწველობაში ახალი ურთიერთობის შეჭრისა და განვითარების ხარისხის დონის შესახებ, რადგან მანუფაქტურა, ანდენს რა „ხელოსნური საქმიანობის დაშლას მის სხვადასხვა ნაწილობრივ ოპერაციად“, აყალიბებს შრომის ისეთ ორგანიზაციას, როცა „ყოველი ნაწილობრივი პროცესი, რომელსაც პროდუქტი გაივლის, ხელოსნური ნაწილობრივი შრომის სახით უნდა შესრულდეს“[90], ე. ი. ქმნის მედეტალე მუშებს.

განსახილველი ხანის თითქმის ყველა კამერალურ აღწერაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ერთსა და იმავე დარგში დასაქმებული ხელოსნები სხვადასხვაგვარად მოიხსენიებიან. მაგალითად, ჭონები აღნიშნულია ტერმინებით: „მექუდე“, „ქუდების ქ�ეთებელი“, „ქუდებით მოხელსაქმე“ (шапочным рукоделием), მუდების ოსტატი და ა. შ. ფეიქრები „თავს ირჩენენ საქსოვი მუშაობით“, „ტილოს ქსოვით“, იწოდებიან „მქსოველებად“, „მქსოველ ოსტატებად“ და სხვ. ერთსა და იმავე სიაში ზოგჯერ ერთმანეთის მიყოლებით ჩამოთვლილი ერთი და იგივე დარგის მომუშავეთა ამგვარი განსხვავებული ტერმინით აღნიშვნა ძალაუნებურად ბადებს ვარაუდს, რომ ეს განსხვავებული ტერმინები ხშირად ხელოსნური დახელოვნებისა და სახელოსნოში ცალკეული მათგანის ადგილისა და მდგომარეობის (როლის) განმსაზღვრელი შეიძლება იყოს.

ნ. ბერძენიშვილი ტერმინების — „მღებარის“ და „მღებავის“ ანალიზის საფუძველზე მათში განსხვავებულ შინაარსს ხედავს და შიიჩნევს, რომ ერთ შემთხვევაში იგულისხმება ჩვეულებრივი ხელოსანი, ხოლო მეორე შემთხვევაში, კი ამ საქმის ოსტატი — საღებავის მცოდნე[91]. ტერმინთა ამგვარი მონაცვლეობა, თუ ისინი განსხვავებულ შინაარსს ასახავენ, შეიძლება ხელოსნური იერარქიის საფუძველი იყოს, ხოლო ადარებს რა ერთმანეთს მუშის მდგომარეობას კაპიტალისტურ მარტივ კოოპერაციასა და მანუფაქტურაში, „კაპიტალის“ ავტორი ძირითად განსხვავებას იმაში ხედავს, რომ „...მანუფაქტურა წინანდელ დამოუკიდებელ მუშას

---

[90] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1, ნაწ. I, გვ. 430.

[91] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 335.

არა მარტო უმორჩილებს კაპიტალის მბრძანებლობასა და დისციპლინას, არამედ გარდა ამისა, თვით მუშებს შორის იერარქიულ საფეხურებს ჰქმნის"[92]. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ კამერალურ აღწერებში და სხვა სახის საბუთებში დასტურდება გარკვეული კატეგორიის პირთა არსებობა, რომლებიც „მთავარ ოსტატებად" მოიხსენიებიან. მათ ვხვდებით თერძებში, მღებრებში, მეაგურეებში და ა. შ. მთავარი ოსტატის არსებობა კი იმას ნიშნავს, რომ არსებობდა რიგითი ოსტატი. ხოლო რაკი ყველა ხელოსანი ოსტატად არ იწოდებოდა და ისინი მრავალი სხვადასხვაგვარი ტერმინით მოიხსენიებოდნენ, მათ შორის იერარქიის არსებობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

მეორე მხრივ, უფროსი ოსტატის არსებობის ფაქტი მასში დაქირავებული შრომის გამოყენების გარკვეული მასშტაბის მაჩვენებელია. იგი მიუთითებს რომ დაქირავებული მუშების ექსპლუატაცია მის მეპატრონეს იმდენ ნამეტს აძლევს, რომ მას შეუძლია არა მარტო თვითონ განთავისუფლდეს „ხელშრომისაგან", არამედ წარმოებაზე ზედამხედველობაც სხვა, აგრეთვე ხელშრომისაგან განთავისუფლებულ, პირს დაევალოს.

ამასვე მიუთითებს ის მეტად საგულისხმო ფაქტი, რომ რიგ საწარმოებში დასტურდება ნოქრების (сиделец) არსებობა. რუსული „სიდელეც" მარტო დახლში მომუშავე პირის აღმნიშვნელი ტერმინი არ არის. ამ ტერმინით მოიხსენიებიან სახელოსნოს ზედამხედველებიც[93]. ორივე შემთხვევაში სახელოსნოში, გარდა საკუთრივ მეპატრონისა, სახეზეა კიდევ ერთი უშუალოდ ხელშრომისაგან განთავისუფლებული პიროვნება. როცა ამგვარი ტერმინები გვხვდება მეთუნეებთან (сиделец у горшочника), ხარაზებთან (сиделец у сапожника) და სხვ., ეჭვი არ არის, აქ ისეთ სახელოსნოებთან გვაქვს საქმე, რომელიც მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციის პირველ ფორმაზე მაღლა დგას.

ამრიგად, სახელოსნოების კაპიტალისტურ მასშტაბებამდე გაფართოების ტენდენცია, დაქირავებული შრომის გამოყენების ზრდა, ხელოსანთა შორის მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაცია და მის საფუძველზე იმ ცალკეული ხელოსნური წარმოშობის ვაჭართა

---

[92] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 458. ხაზი ჩემია. მ. ს.

[93] შდრ. ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, II, თბ., 1973.

თუ საქმოსანთა ხელში მნიშვნელოვანი კაპიტალის თავმოყრა, რომლებიც გაფართოებული სახელოსნოების მეთაურებად თუ ინიციატორებად გამოდიან, სახელოსნოებში უფროს ოსტატად და ზედამხედველთა ინსტიტუტის გაჩენა; მათში ხელოსნური შრომის ცალკეულ ოპერაციებად დაყოფის დასაბუთებული ვარაუდი; გაფართოებულ სახელოსნოებში ხელოსანთა შორის იერარქიის არსებობის ფაქტი, 15—30 და მეტი დაქირავებული მუშაკანი სახელოსნოების არსებობა და მათი მნიშვნელოვანი რაოდენობით შესაძლებელი არსებობის დასაბუთება, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოს დამმუშავებელ მრეწველობაში, რომელიც ძირითადად ქალაქური ხელოსნობის ბაზაზე ვითარდებოდა, ადგილი ჰქონდა კაპიტალისტური მანუფაქტურების ჩამოყალიბების პროცესს.

მაგრამ არის ერთი საკითხი, რომლის გარკვევის გარეშე მთელი მოტანილი მსჯელობა სასურველ დამაჯერებლობას მოკლებული იქნებოდა: საქართველოს საშრეწველო განვითარებაში წამყვანი (განმსაზღვრელი) ადგილი თბილისს ეკავა, თბილისი კი ამქრული ხელოსნობის ქალაქი იყო[94], ამიტომ სრულიად ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ როგორ თავსდებოდა აღნიშნული პროცესი ამქრობასთან, რომელიც ითვლება რა ფეოდალური წყობის ერთ-ერთ ძირითად ინსტიტუტად, შეტად დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს მასში ახალი კაპიტალისტური წყობის ჩასახვა-განვითარების გზაზე.

7. ამქრული ორგანიზაცია და მისი გავლენა ხელოსნობის განვითარებაზე

ცნობილია, რომ მრეწველობაში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორი ამქრობაა: „მევახშეობისა და ვაჭრობის მეოხებით შექმნილი ფულადი კაპიტალის გადაქცევას საშრეწველო კაპიტალად ხელს უშლიდა ფეოდალური წყობილება სოფლად და ამქრული წყობილება ქალაქად“[95]. მაგრამ ამქრული წყობილება ამგვარ შე-

---

[94] თბილისის გარდა ამქრული წყობა დამახასიათებელია ახალციხისათვის, მაგრამ იმის გამო, რომ განსახილველ ხანაში ახალციხე ჯერ კიდევ არ იყო დაბრუნებული საქართველოს შემადგენლობაში, მასზე ჩვენ არაფერს ვამბობთ.

[95] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, წ. I, გვ. 941.

საძლებლობას არ გამორიცხავდა. ამიტომ „კაპიტალის“ იმ პარაგრაფში, რომელსაც „მრეწველი კაპიტალისტის გენეზისი“ ჰქვია, მარქსი გარკვევით მიუთითებს: „ეჭვს გარეშეა, რომ ზოგიერთი წვრილი ამქარ-ოსტატი და კიდევ უფრო დიდი რაოდენობით დამოუკიდებელი წვრილი ხელოსნები და დაქირავებული მუშებიც კი, გადაიქცეოდნენ ჯერ წვრილ კაპიტალისტებად, ხოლო შემდეგ, დაქირავებული შრომის მზარდი ექსპლოატაციისა და კაპიტალის სათანადო დაგროვების მეოხებით — კაპიტალისტებად sans phrase»[96], ხოლო თუ როგორ და რატომ აფერხებდა ამქრობა კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებას, ამას მარქსი ასე განმარტავს: „(1) საამქრო კანონები... უკიდურესობამდე ზღუდავდნენ ქარგლების იმ რიცხვს, რომელიც შეეძლო ჰყოლოდა თვითოეულ ამქრის ოსტატს და ამით ისინი გეგმაზომიერად აფერხებდნენ ამქრის ოსტატის გადაქცევას კაპიტალისტად. (2) ასევე ოსტატს მხოლოდ იმ ხელობაში შეეძლო ქარგლის აყვანა, რომლის ოსტატიც თვითონ იყო. (3) საამქრო გულმოდგინედ იცავდა თავს ვაჭრული კაპიტალის თავდასხმისაგან, კაპიტალის ამ ერთადერთი თავისუფალი ფორმისაგან, რომელიც საამქროს უპირისპირდებოდა. ვაჭარს შეეძლო ეყიდა ყოველგვარი საქონელი, მხოლოდ არა შრომა, როგორც საქონელი. (4) თუ გარეშე პირობები გამოიწვევდნენ შრომის შემდგომ დანაწილებას, არსებული საამქროები ქვესახეობებად იყოფოდა, ანდა ძველი სამქროების გვერდით ახლები მკვიდრდებოდა, მაგრამ ეს ხდებოდა სხვადასხვა ხელოსნების ერთ სახელოსნოში გაუერთიანებლად“[97]. ცხადია, ამქრის შეზღუდვები და რეგლამენტაციები ამით არ ამოიწურებოდა, მაგალითად, „წინამორბედ ფორმებში“ მარქსი მიუთითებდა, რომ ამქარი აწესებს, თუ რამდენი დაზგა უნდა გამოიყენოს ერთმა ოსტატმა და ა. შ.[98], მაგრამ ავტორი აქ ყურადღებას ამახვილებს სწორედ იმ შეზღუდვებზე, რომლებიც მასში კაპიტალისტური ურთიერთობის შეჭრას ართულებდნენ.

ბუნებრივია, როდესაც მარქსი ამქრობაზე საუბრობს, მას მხედველობაში აქვს ამქრობა მისი კლასიკური ფორმით, მისი დასავლეთევროპული მოდელი. ქართული ამქარი კი, რომელიც უფ-

---

[96] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, წ. I, გვ. 940.

[97] იქვე, გვ.456.

[98] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბ., 1952, გვ. 55.

რო მეტად ამჭრობის აღმოსავლურ მოდელს უახლოვდებოდა, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა შესაბამისი ევროპული ინსტიტუტებისაგან და ეს განსხვავება პირველ რიგში შეზღუდვებისა და რეგლამენტაციების სიმცირეში, მათ ერთგვარ სირბილეში გამოიხატებოდა.

რაც შეეხება იმ შეზღუდვებს, რომელსაც მარქსი კაპიტალისტური ურთიერთობის ძირითად დამაბრკოლებელ გარემოებებად მიიჩნევს, ქართული ამქრის პირობებში შემდეგი ვითარება იყო:

(1) განსაზღვრული პერიოდის ქართული ამქრისათვის უცხო იყო ქარგლის ინსტიტუტი[99]. რაც შეეხება შეგირდებისა და და-

---

[99] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1967, с. 378; И. О. Ахвердов, Тифлисские амкары..., с. 22; С. Егиазаров, Городские цехи..., гл. 128. ამ აზრს არ ეთანხმება პროფ. პ. გუგუშვილი: „...ამქრის წესდებაში ქარგლის შესახებ ცალკე პარაგრაფის არარსებობა (იგულისხმება ავლაბრის ოქრომჭედელთა ამქრის წესდება,—მ.ს) სრულებითაც არ ნიშნავს ქარგლის ინსტიტუტის უგულებელყოფას“, აცხადებს იგი და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მე-19 ს. 20-ან წლებში თბილისში ქარგალს „მუშას“ უწოდებდნენ. ავტორის შეხედულება ამ საკითხში ემყარება იმ გარემოებას, რომ ავლაბრის ოქრომჭედელთა წესდებაში გათვალისწინებულია ისეთი ვითარება, როდესაც მოწაფე ხელობის სწავლას ასრულებს, მაგრამ ეკონომიური სახსრები არ გააჩნია იმისათვის, რათა დამოუკიდებელი საქმიანობა დაიწყოს. ამგვარი კატეგორიის კაცი თუმცა იურიდიულად ოსტატია, მაგრამ ფაქტიურად, პ. გუგუშვილის აზრით, „ნამდვილი ქარგალია... მუშაა, რომელიმე ხელობის სპეციალისტია, რომელსაც დამოუკიდებელი მუშაობის სახსარი არ გააჩნია“ (პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკავკასიის..., ტ. V, გვ.228—229). ამგვარი მსჯელობა ჩვენ უსაფუძვლოდ გვეჩვენება. ქარგალი ამქრული იერარქიის აუცილებელი ნაწილია, იგი შეგირდსა და ოსტატს შორის დგას და ამ საფეხურის გაელის გარეშე ოსტატად გახდომა შეუძლებელია. ქარგლის ინსტიტუტი ოსტატთა მასის ზრდის ერთ-ერთი ხელოვნურად შემაფერხებელი საშუალებაა და ამქრული კონსერვატიზმის ერთ-ერთი საფუძველია. ამდენად იგი ამქრობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია და მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი. რაც შეეხება ოქრომჭედლების წესდებით გათვალისწინებულ ვითარებას, იგი ამქრობის სპსციფიკური ნიშანი კი არ არის, არამედ სრულიად ბუნებრივი გამოსავალია ხელოსნური წარმოებისათვის, მიუხედავად იმისა იგი ამქრული იქნება თუ ამქარგარეშე. სპეციალისტი, რომელიც დამოუკიდებლად მუშაობის საშუალებას მოკლებულია, იძულებული იქნება ან სხვა სპეციალისტთან დაქირავებით მუშაოს, ან სხვა რაიმე საშუალება გამონახოს. იგი თავისუფალია და ამიტომ სულაც არ არის აუცილებელი, რომ მან თავისი შრომა სწორედ ამ ოსტატს მიაქირაოს, რომელთანაც მოწაფეობა გაიარა, რასაც თვით ავტორიც აღასტურებს. ამდენად ამქრის წესდება სულაც არ ცდება, როდესაც ამგვარ კატეგორიას „მუშას“ და არა „ქარგალს“ უწოდებს, რადგან იგი ტიპიური კვალიფიციური დაქირავებული მუშაა და თუ მას ამქრობასთან რაიმე კავშირი აქვს, მხოლოდ ის, რომ მისი გაჩენა ამქრის რღვევის აშკარა ნიშანია.

ქირავებული მუშების (მათ შორის კვალიფიციური მუშების) რაოდენობას, იგი ჩვენამდე შემორჩენილი ყველა საბუთის მიხედვით რეგლამენტირებული არ ყოფილა[100]. პირიქით, არაერთ საბუთში შეეთხვეევები ერთი ოსტატის ქვეშევრდომობაში რამდენიმე (ზოგჯერ ათეულობით) დაქირავებული მუშის არსებობისა განხილულია არა როგორც განსაკუთრებული მოვლენა, არამედ როგორც ჩვეულებრივი და ბუნებრივი. ამ აზრის დასადასტურებლად საკმარისია მოვიგონოთ ის ბრძოლა, რომელიც მკერავთა ამქარმა ებრაელ ხელოსნებს გაუმართა. თბილისელი მკერავები თავიანთ საჩივრებში იმას კი არ მიუთითებდნენ, რომ ებრაელთა სახელოსნოებში 15 და 30 მუშა მუშაობდა, არამედ იმას, რომ აღნიშნული მუშები ქრისტიანები იყვნენ და ისინი თავიანთ ებრაელ დამქირავებლებთან ერთად ცხოვრობდნენ, რაც რუსეთის იმპერიის კანონებით აკრძალული იყო და იმასაც, რომ აღნიშნულ ქრისტიან მუშებს ისინი ადგილობრივი ოსტატებისგან იბირებდნენ, რაც ამქრის წესებით დაუშვებელი იყო[101].

(2) არც ერთი არსებული საბუთი არ ადასტურებს ერთი სპეციალობის ხელოსნის მიერ სხვა სპეციალობის ხელოსნის დაქირავების შეზღუდვას. ხოლო არსებული ვითარება გამორიცხავს ამგვარი შეზღუდვის შესაძლებლობას. ქართული ამქარი არ იცავდა ხელოსნობის შთამომავლობის პრინციპს, თუმცა ხელობის გარკვეული მემკვიდრეობითობა, ცხადია, არსებობდა. უამრავი მაგალითია იმისა, რომ ოჯახის რამდენიმე მოწიფული წევრი სულ სხვადასხვა ხელოსნურ საქმიანობაში იყო ჩაბმული. არაერთი ცნობა არსებობს იმის დასადასტურებლად, რომ ერთი სპეციალობის ხელოსანი (თუ საქმოსანი, ყოფილი ხელოსანი) სხვა დარგის სახელოსნოსაც ფლობდა. მაგალითად, დასტურდება არაერთი მჭოველის სამღებროს მეპატრონეობა; ასეთი გაფართოებული სახელოსნოების მომწყობები და მეპატრონეები არიან სპეციალობით ვაჭარი საქმოსნები და ა. შ. თელაველი დიმიტრი თეიმურაზოვი, რომელსაც 2 დუქანი და ტყავის გამოსაყენები საწარმო ჰქონია, თვითონ კი ხარაზი იყო, ბუნებრივია, დაბალი სპეციალისტის დაქირავების გარეშე საქმეს ვერ გაუძღვებოდა[102]. ზევით ნახ-

---

100 Ш. А. Месхиа, დასახ. ნაშ, გვ. 360, 361.

101 სცსია, ფ. 2, აღ. I, საქ. 4458, ფურც. 17; სცსია, ფ. 26, აღ. 1, საქ. 5682, ფურც. 36; სცსია, ფ.16, საქ. 5306, ფურც.13.

102 სცსია, ფ. 254, აღ. 1, საქ. 687, ფურც. 28.

ზენები ნონია მეზარნიშე იარაღის დამამზადებელი სახელოსნოს მეთაური იყო და ა. შ.

(3) როგორც ითქვა, არსებული მასალა არაერთ ფაქტს ადასტურებს ვაჭრის მიერ დაქირავებული შრომის გამოყენებაზე დამყარებული სახელოსნოს მოწყობისა. მაგრამ ამ საკითხზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით იქნება საუბარი.

(4) როგორც აღვნიშნეთ, ქალაქურ ხელოსნობაში შრომის ტექნიკური დანაწილების ინტენსიური პროცესის მიმდინარეობა სულ ახალ-ახალი ხელოსნური სპეციალობების გაჩენას იწვევდა, მაგრამ არც ერთი საბუთი არ ადასტურებს ამის საფუძველზე ამქრობის ქვესახეობებისა თუ ახალი ამქრების ჩამოყალიბების ფაქტს. XIX საუკუნის მთელი რეფორმამდელი ხანის განმავლობაში ხელოსნობაში ჩაბმული ელემენტის საერთო ზრდის პარალელურად ადგილი ჰქონდა ამქრების რაოდენობრივ ზრდას. მაგრამ ამქრობის ზრდა ხდებოდა არა ახალი დარგების გამოყოფის საფუძველზე, არამედ ტეოგრაფიული და იშვიათად ეროვნულ-რელიგიური ნიშნის საფუძველზე, რადგან რიგი ამქრის შემადგენლობა იმდენად იზრდებოდა, რომ მისი მართვა შეუძლებელი ხდებოდა. მაგალითად, თბილისში მოსაქმე კალატოზები 5 ამქარში იყვნენ გაერთიანებულნი. ერთ-ერთი მათგანი „თათარ კალატოზებს" აერთიანებდა, დანარჩენებს, მართალია, ეროვნულ-რელიგიური კუთვნილების აღნიშვნა არა აქვთ, მაგრამ რადგან ზოგის ხელმძღვანელობას (უსტაბაში, აღსაკლები და სხვ.) ქართველები შეადგენდნენ, ზოგისა კი სომხები, ამგვარ განსხვავებებს მაინც უნდა ჰქონოდა ადგილი[103]. ცალ-ცალკე ამქრებში ერთიანდებოდნენ ევროპელი და ადგილობრივი ფერეიები[104]. ევროპული და აზიურ ტიპის ხარაზები და ა. შ.

ამასთან ისეთი ხელოსნური დარგები, როგორიცაა მეჩახმახე, შეკონდახე, მეპირისწამლე, მეთაქალთოე, გამთეთრებელი, გამპრიალებელი და ა. შ. არამცთუ ცალ-ცალკე ამქრებს არ ქმნიდნენ, როგორც ამას დასავლეთ-ევროპელ ამქრებში ჰქონდა ადგილი, არამედ, მიუხედავად გულდასმითი ძიებისა, ამგვარი ცალკეული დარგის სპეციალური სახელოსნოების მიკვლევაც კი ვერ მოხერხდა, რაც იმის დამადასტურებელია, რომ აღნიშნული დარგები სახელოსნოს შიგნით შრომის დანაწილების შედეგად იყვნენ წარ-

---

[103] სცსა, ფ.414, აღ. 1, საქ. 13.

[104] იქვე.

მოქმნილნი და გაფართოებულ სახელოსნოში მოღვაწეობდნენ, რაზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. ეს კი კაპიტალისტური მანუფაქტურის არსებობის ვარაუდს კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის.

ამრიგად, ქართული ამქრის სპეციფიკური ხასიათის გამო ხელოსნობაში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების იმ გზას, რომელიც ხელოსნის თანდათანობით ვაჭრად და კაპიტალისტად გადაქცევაში მდგომარეობდა და სახელოსნოს თანდათანობით კაპიტალისტურ მასშტაბამდე გაფართოებაში გამოიხატებოდა, ამქრული ორგანიზაციის სახით გადაულობავი წინააღმდეგობა არ ხვდებოდა.

გარკვეული სხვაგვარი ვითარება იყო კაპიტალისტური ურთიერთობის მეორე გზით ჩასახვა-განვითარების თვალსაზრისით, რაც ვაჭრული კაპიტალის მიერ წარმოების თანდათანობით დაპყრობას გულისხმობდა; ამიტომ მასზე უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ. მაგრამ მანამდე უნდა მოვიგონოთ, რომ მარქსის მითითებით კლასიკური ამქრული წყობა ამ პროცესს იმით უშლის ხელს, რომ „საამქრო გულმოდგინედ იცავდა თავს ვაჭრული კაპიტალის თავდასხმისაგან, კაპიტალის ამ ერთადერთი თავისუფალი ფორმისაგან, რომელიც სამქროს უპირისპირდებოდა. ვაჭარს შეეძლო ეყიდა ყოველგვარი საქონელი, მხოლოდ არა შრომა, როგორც საქონელი"[105-107].

ვაჭრებისა და ამქრული ხელოსნობის დაპირისპირებისა და ბრძოლის ფაქტები დასტურდება განსახილველი პერიოდის თბილისის სინამდვილეში. მაგრამ ეს ბრძოლა გაცილებით ადრე უნდა დაწყებულიყო. ყოველ შემთხვევაში, ამაზე მიუთითებს მე-18 საუკუნით დათარიღებული არაერთი საბუთი[108]. აღნიშნული მასალიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ XVIII საუკუნის განმავლობაში ხელოსნური ამქრები ვაჭრებთან ურთიერთობაში მნიშვნელოვან სიმტკიცეს იჩენდნენ, ახერხებდნენ მათი გავლენისაგან თავის დაღწევას და ზოგჯერ მათზე აშკარა ზემოქმედებასაც კი ახდენდნენ. ამ შთაბეჭდილების ანარეკლი უნდა იყოს უფრო გვიანი პერიოდის ანონიმური ავტორის მიერ შედგენილი საბუთი, საიდანაც ჩანს არა მარტო ვაჭრული და ხელოსნური ამქრების დაპირისპირება, არამედ ისიც, რომ ამქრული ხელოსნები თავი-

---

105-107 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 456.

108 შ. მ ე ს ხ ი ა, ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ეკონომ. შრომები, III, გვ. 147,149.

სი სურვილისამებრ აწესებენ როგორც ნაწარმის ფასაყიდ, ისე ნედლეულის შესყიდვის ფასებს და ამით, ავტორის სიტყვით, ქვეყანაში თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას აფერხებდნენ[109].

XIX საუკუნის სხვადასხვა დოკუმენტური მასალა ვითარებას სულ სხვაგვარად გვიხატავს. ხელოსნური ამქრები ვაჭრებთან დაპირისპირებაში სულ უფრო და უფრო ხშირად მარცხდებიან და რიგ შემთხვევაში მათ აშკარა ზემოქმედებას განიცდიან. XIX საუკუნის 40-იანი წლების ანონიმური ავტორი ამ პროცესს თავისებურ ახსნას აძლევს: „1820 და 1825 წლიდან ამქრებმა და ვაჭრებმა ერთმანეთში ჩუმჩუმად მტრობა იწყეს ისე, რომ მხოლოდ გარეგნულად ინარჩუნებდნენ მეგობრობას. ვაჭრები აშინებდნენ ამქარს, რომ ისინი მდიდრები არიან და შეუძლიათ რეკრუტი შემოიღონ და ისინი, ამქრები, ვალდებულნი იქნებიან სალდათში წავიდნენ, ხოლო მათ,—ვაჭრებს, შეუძლიათ ეს ფულის საშუალებით თავიდან აიცილონ და ამის გამო ამქრები ვაჭრების მიერ დამორჩილებულნი იქნენ"[110]. ცხადია, ავტორისეული პრიმიტიული ახსნის უკან ამ ორი კლასის მეტად მნიშვნელოვანი შეჯახებები და ღრმა წინააღმდეგობები მოჩანს, რომლის საბოლოო შედეგი, წყაროს რწმუნებით, ვაჭართა კლასის ამქრულ ხელოსნობაზე გაბატონების სახით წარმოგვიდგება.

ამ პროცესის პრაქტიკულ შედეგად მოჩანს ის სურათი, რომელსაც ი. შახგუბატოვი გასული საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისის თბილისის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში წარმოგვიდგენს. ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებულ საბუთში შალის, სელისა და ბამბის ნაწარმით მოვაჭრენი,— განხილული არიან როგორც აღნიშნული პროდუქტის დამამზადებელი სარეწის ფაქტიური მეთაურები. აღნიშნულ სარეწზე მათი ბატონობა უეჭველია. ეს პროცესი აბრეშუმით ვაჭრობაშიც იგივე მიმართულებით მიდის. ი. შახგუბატოვის ცნობით, თბილისელი „ვაჭრები, რომლებიც აბრეშუმით ვაჭრობენ ყაზაზებად იწოდებიან. ისინი ქსოვენ ოქროსა და ვერცხლის ბუზმენტებს და აბრეშუმის თასმებს მამაკაცთა ხიფთანების გასაწყობად; ძახავენ და ღებავენ აბრეშუმს"[111] და ა. შ. როგორც ვხედავთ, ვაჭართა გავლენა აშკარად მოჩანს არა ცალკეულ ხელოსნობაზე, არამედ წარმოების მთელ

---

[109] ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ros d 291, გვ. 30—31.
[110] იქვე, Ros d 268, ფ. 1ა.
[111] იქვე, Ros d 268, ფურც. 3.

პროცესზე, რომელიც ვაჭართა მეთაურობით ხორციელდებოდა და რაც მთავარია, აქ ცალკეულ შემთხვევაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ უკვე მტკიცედ ჩამოყალიბებულ წესზე.

ყოველივე ზემოთ ნათქვამს თუ დავუმატებთ, რომ განსახილველი ხანის მასალა სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელთა მიერ ამქარში შემავალი სხვადასხვა დარგის საწარმოების მოწყობისა და მეთაურობის მრავალრიცხოვან ფაქტებს ადასტურებს, ნათელი გახდება, რომ ქართული ამქარი პრინციპულ წინააღმდეგობას ვერ უწევდა (თუ ვეღარ უწევდა) ვაჭართა კლასს „იყიდოს არამც თუ ყოველგვარი საქონელი, არამედ თვით შრომაც, როგორც საქონელი".

ამრიგად, ქართულ ხელოსნობაში კაპიტალისტური ურთიერთობები გზას იკაფავდნენ ე. წ. მეორე გზითაც, რაც ვაჭრის მიერ წარმოების თანდათან დაპყრობაში გამოიხატებოდა.

სათანადო მასალის უქონლობის გამო ჩვენ შუა საუკუნეების ქართული ამქრის შესახებ დღესდღეობით თითქმის არაფერი ვიცით, გარდა მისი არსებობის ფაქტისა. ამიტომ ძნელია დაბეჯითებით მტკიცება იმისა, რაც ზემოთ ითქვა — მისი ტრადიციული თავისებურებაა თუ ტრანსფორმაციის შედეგი. თუმცა უკანასკნელი პროცესის მიმდინარეობა სრულიად აშკარად დგინდება. ასეა თუ ისე, ამქარი ფეოდალური ინსტიტუტი იყო და დაშლისა და ტრანსფორმაციის ვითარებაშიც ასეთად რჩებოდა. თუ იგი ახალი ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების პროცესს პრინციპულ წინააღმდეგობას ვერ უწევდა, ეს, ბუნებრივია, არ ნიშნავს, რომ იგი ამ პროცესის დამბრკოლებელ ფაქტორად არ გამოდიოდა.

მართალია, ჩვენამდე მოღწეულ საბუთებში მონოპოლიებისა და რეგლამენტაციების შესახებ უშუალო მითითებები არ ჩანს, ნაგრამ არაპირდაპირი (წენიღბული) ფორმით ამქრის ამგვარი მისწრაფება აშკარად შეინიშნება[112]. მაგალითად, ამქარი არავის უშლის სახელოსნოს მოწყობას (მიუხედავად იმისა, ამქრის წევრია თუ არა მომწყობი), არ ზღუდავს მათ რიცხვს (ვისაც სურს შეუძლია რამდენიც სურს იმდენი დუქანი იქონიოს), მაგრამ იმით, რომ ყოველი დუქნის მოწყობაზე ამქრისათვის გარკვეულ გამოსაღებს აწესებს და მის მოცულობას თანდათანობით ზრდის, ამით გარკვეულად აფერხებს ამ პროცესს[113]. მონოპოლიისაკენ მისწრაფება

---

[112] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 185—189.
[113] იქვე, გვ.186.

შეინიშნება ნედლი მასალით მომარაგების და განაწილების საქმეში. სხვადასხვა დარგის ამქართა დაპირისპირებას და გავლენისათვის ბრძოლაში და სხვ. ამქარი ერთგვარად ზღუდავდა თავისუფალ კონკურენციას იმით, რომ კრძალავდა შეგირდებისა და მუშების გადაბირებას, მუშტრის გადაბირებას და ა. შ.[114] მართალია, უკანასკნელ აკრძალვებს გარკვეულად მორალურ-ეთიკური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ყოველგვარი ეთიკური და ნორალური ნორმები ფეოდალური ატავიზმია, გადმონაშთია და შემაფერხებელი გარემოებაა იმ ახალი ურთიერთობისათვის, რომლის უპირველესი პრინციპი თავისუფალი ექსპლუატაცია, თავისუფალი კონკურენცია და მოგებისათვის ბრძოლაა.

ამიტომ ამქრობა თავისი ფეოდალური ბუნებით არ შეიძლებოდა გარკვეულ წინააღმდეგობაში არ მოსულიყო ახალი ურთიერთობის გარკვეულ დონესთან.

განსახილველ და უშუალოდ მის მომდევნო პერიოდში არაერთი მაგალითი არსებობს ამქრობის ბრძოლისა გაკაპიტალისტების გზაზე დამდგარ იმ ხელოსნებთან (თუ საქმოსნებთან), რომელთათვისაც ამქრის წიაღში მოღვაწეობა უკვე ძნელად ასატანი გამხდარა. რამდენადაც ლოიალური იყო ამქარი მის შიგნით ახალი ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების პროცესისადმი, იმდენად სასტიკი და შეუწყნარებელი იყო იგი ამქრის გარეშე ხელოსნობაში მიმდინარე მსგავსი პროცესებისადმი, თუ ამქრის ყოფილი წევრი ამ ნიადაგზე მასთან კავშირის გაწყვეტისაკენ ისწრაფვოდა; ამქარი ვერ ეგუებოდა გარედან კონკურენციას. ამის მაგალითია ის ხანგრძლივი და დაუნდობელი ბრძოლა, რომელიც თერძების ამქარმა ებრაელი ხელოსნების წინააღმდეგ გააჩაღა. ამქარი სასტიკ ბრძოლას უცხადებდა არა მარტო ებრაელ ხელოსნებს, არამედ კოლონისტებს და სხვა უცხოელ ხელოსნებს, რომლებიც ამქარში შესვლას თავს არიდებდნენ.

გასული საუკუნის 30—40-იან წლებში ადგილობრივი ხელისუფლება, გამოხატავდა რა რუსი და უცხოელი სამხედრო და სამოქალაქო ჩინოვნიკების ინტერესებს, ყოველმხრივ ცდილობდა საქალაქო ცხოვრებაზე ამქრის გავლენის შეზღუდვას. ამიტომ ყოველი ოსტატი და ხელოსანი რომელიც ამქრის წინააღმდეგ ხმის ამაღლებას გაბედავდა, გარანტირებული იყო ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით. ეს კი მათ, ვისაც ამქრის გავლენიდან თა-

---

[114] ჰ. გუგუშვილი, დასახ. ნაშ., გვ. 186.

ვის დაღწევა სურდა, გაბედულებას მატებდა. როდესაც ანდრონიკაშვილის გლეხმა გოგია ომიაძემ თბილისში პურის საცხობი მოაწყო, ამქრისათვის შესაბამისი თანხის გადახდა ზედმეტად მიიჩნია. ეს ამქრის შეურაცხმყოფელი საქციელი იყო, მაგრამ იმჯერად მას რაიმე მნიშვნელოვანი გართულება არ მოჰყოლია. მაგრამ როცა ომიაძემ მეორე საცხობის მოწყობა წამოიწყო, ამქარმა ხმა აიმაღლა და შესაბამისი შესატანი მოთხოვა, ხოლო როცა უარი მიიღო, აქტიურ ბრძოლაზე გადავიდა (საცხობის დანგრევა, ბოიკოტი, საჩივრები და ა. შ.). ომიაძე რომ გაკაპიტალისტების გზაზე დამდგარი ხელოსანია ამას მტკიცება არ უნდა. ცხადია, მისთვის ამქრის კუთვნილი შესატანის გადახდა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. მაგრამ აქ ამქრის ჩარჩოებიდან ამოხტომის აშკარა ცდასთან გვაქვს საქმე. ომიაძემ შესანიშნავად იცოდა მთავრობის პოლიტიკის არსი და მისი მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. მისი სააცხობის დანგრევისათვის უსტაბაში ხოსია სულაძე და სხვა 8 ხელოსანი დააპატიჭრეს. ამქარმა ამაზე გაფიცვით უპასუხა და ქალაქში პურის ყველა საცხობი დაიკეტა. ამან მთავრობის ბწვავე რეაქცია გამოიწვია. 31 ხელოსანი ბითო თუმნით იქნა დაჯარიმებული და სხვ[115], საბოლოოდ ამ საქმეში მაინც ამქარი დარჩა დაზარალებული, იგი დამარცხდა.

შექმნილ ვითარებაში, ახალი ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების პარალელურად და ადგილობრივი ხელისუფლების ამქრის საწინააღმდეგო პოლიტიკის გავლენით, ქართული ამქარი სულ უფრო იცვლის სახეს და თანდათან ეცლება რა ძალა, უპირატესად ერთგვარი საქველმოქმედო, ეთიკურ-მორალური პროფესიული ორგანიზაციის ფუნქციას ინარჩუნებს. იგი თანდათან სუსტდება როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად. ამქრობა უკვე აღარ არის საკუთრივ ქალაქელი ხელოსნების გაერთიანების ფორმა. იგი შეცვლილი და ტრანსფორმირებული სახით უკვე საქალაქო საქმიანობის ყველა დარგს მოიცავს. მასში მარტო ხელოსნები და ვაჭრები კი არ ერთიანდებიან, არამედ თულუხჩები, კურტნის მუშები და მათხოვრებიც კი. 50-იან წლებში შედგენილი ამქრის წესდება მისი სახეცვლის მკაფიო დადასტურებაა. აღნიშნული წესდებით ამქრის ოსტატად ითვლებოდა ყველა ის, ვინც ამა თუ იმ ხელოსნურ დარგთან რაიმე უშუალო კავშირს ინარჩუნებდა,

---

[115] დაწვრილებით იხ. მ. ს ა მ ს ო ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ.47—50.

მათ შორის გაფართოებული წარმოების მომწყობი საქმოსნებიც[116].

ცხადია, ამქრის დაშლა ხანგრძლივი ისტორიული პროცესია და იგი სხვადასხვა დარგში განსხვავებული ინტენსიურობით მიმდინარეობს. ახალი ურთიერთობის ჩასახვა-განვითარება ამ პროცესში კატალიზატორის როლს ასრულებს. ამასთან დაკავშირებით უადგილო არ ქნება აქ „კაპიტალის" ერთი დებულების მოტანა, რომელიც, ვფიქრობთ, ამ საკითხის გადაწყვეტაში ამოსავალი უნდა იყოს. თავიდანვე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ „კაპიტალის" ავტორი აქ ლაპარაკობს არა კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარებაზე საერთოდ, არამედ კონკრეტულად მანუფაქტურაზე: „ალაგ-ალაგ მანუფაქტურა სპორადულად შეიძლება ვითარდებოდეს ისეთ ჩარჩოებში, რომელიც ჯერ კიდევ მთლიანად ხსნა პერიოდს ეკუთვნის... მაგრამ პირობები კაპიტალისათვის, როგორც მთელი ეპოქის მომცველი ფორმისა, უნდა ვითარდებოდეს არა მხოლოდ ადგილობრივ ჩარჩოებში, არამედ ფართო მასშტაბით (არაფერი არ ეღობება იმ გარემოებას, რომ ამქართა დაშლის დროს ცალკეული ამქრის ოსტატები მრეწველ კაპიტალისტებად გადაიქცეოდნენ. მაგრამ ასეთი შემთხვევათვის საგანთა ბუნების გამო იშვიათია.მთელი ამქრული წყობილება, ოსტატი და ქარგალი იღუპება, სადაც კაპიტალისტი და მუშა ჩნდება)"[117]. ამ დებულებაში მისი ავტორისათვის ჩვეული მეტად ღრმა აზრია ჩაქსოვილი. თუ მას კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვის მარქსის მთელ კონცეფციასთან ერთად გავიაზრებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამქარი მისი შლისა და ტრანსფორმაციის პროცესის პარალელურად (და შესაბამისად) გარკვეულ დონემდე და გარკვეულ მასშტაბამდე იტანს (იგუებს) ახალ ურთიერთობას. მაგრამ ამ ურთიერთობის განვითარების შედეგად დგება კრიტიკული მომენტი, როდესაც ეს ორი ურთიერთდაპირისპირებული, ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენა ერთმანეთს გამორიცხავს და აქ ვერავითარი შეგუება, ვერავითარი სახეცვლა საქმეს ვერ შველის. ამგვარი კრიტიკული მომენტის დადგომის ნიშნად, როგორც ჩანს, მანუფაქტურის გაჩენის ფაქტი უნდა იქნას მიჩნეული. ამ თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობის მოვლენად

---

116 ცსიალ, ფ. 1287, აღ. 37, საქ. 696, ფურც. 49.

117 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბ., 1952, გვ. 57.

ბევლინება ის გარემოება, რომ ქართულ სინამდვილეში ამქარი ისპობა (ქრება) დამმუშავებელი ბრეწველობის სწორედ იმ დარგში, რომელიც კაპიტალისტური ურთიერთობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით ყველაზე შორს იყო წასული, და სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ამ დარგის განვითარებამ ჩვენში კულმინაციურ წერტილს მიაღწია (ოციანი წლების ბოლოს)[118]. ამ საკითხების განხილვას ნაშრომის მომდევნო თავი მიეძღვნება.

ამრიგად, XIX საუკუნის პირველ მესამედში ქართული ქალაქური ხელოსნობა როგორც რაოდენობრივად, ისე დარგობრივად მნიშვნელოვნად იზრდება. აღნიშნული ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად უსწრებს ქალაქის მოსახლეობის ზრდის ტემპს, რაც ხელოსნობაში სასაქონლო წარმოების შემდგომი განვითარების შედეგია.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე ამ პროცესის ინტენსიური მიმდინარეობის მაჩვენებელია ის, რომ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საფეიქრო დარგების მონაცემებს, ქალაქური ხელოსნობის ზრდა სოფლური ხელოსნობის შემცირების ხარჯზე მიმდინარეობს.

სასაქონლო მეურნეობისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავების პირობებში ქალაქური ხელოსნობის განვითარება სოფლური ხელოსნობის უკუპროპორციულია. ამიტომ სოფლური ხელოსნობა (საფეიქრო დარგების გარდა) უფრო გავრცელებულია სამრეწველო ცენტრებიდან (განსაკუთრებით თბილისიდან) უფრო დაშორებულ ადგილებში.

ქალაქების მოსახლეობის ზრდა და სოფლებსა და დაბებში არასამიწათმოქმედო საქმიანობაში ჩაბმული ოჯახების გამრავლება იმის დამადასტურებელია, რომ არასამიწათმოქმედო მოსახლეობის შეფარდება იზრდება სამიწათმოქმედო მოსახლეობის შემცირების ხარჯზე.

ქალაქურ ხელოსნობაში ბაზრისთვის მუშაობა თანდათან დევნიდა შეკვეთით მუშაობას, რაც ტრადიციულ სახეს უკარგავდა მას და ხელოსანთა გარკვეული ნაწილი თანდათანობით წვრილ მწარმოებლებად იქცეოდა. ამის საფუძველზე სხვადასხვა დარგის ხელოსანთა შორის ყალიბდებოდა მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაცია.

საქართველოს დამმუშავებელ წარმოებაში აღგილი ჰქონდა

---

[118] ვ. სამსონაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 62, შენ. 18.

როგორც არაკვალიფიციური, ისე კვალიფიციური დაქირავებული შრომის გამოყენებას. ამგვარი შრომის გამოყენების მასშტაბები თანდათან იზრდებოდა.

სასაქონლო წარმოების, დაქირავებული შრომის გამოყენებისა და ხელოსანთა შორის ქონებრივი დიფერენციაციის გავრცელების პირობებში, განსაჩილველი ხანა აღინიშნა სახელოსნოების გაფართოების ტენდენციით.

გაფართოებულ სახელოსნოში დაქირავებული შრომის გამოყენების მასშტაბები, სახელოსნოს შიგნით შრომის დანაწილება, რაც ხშირად ცალკეულ დეტალურ ოპერაციამდე დაიყვანებოდა, გაფართოებული სახელოსნოების მეთაურთა მნიშვნელოვანი ქონებრივი შეძლებულობა, გვიკარნახებს სახელოსნოების გაფართოების შედეგად წარმოშობილ კაპიტალისტურ კოოპერაციათა გარკვეული ნაწილი მანუფაქტურებად წარმოვიდგინოთ.

შლისა და ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქართული ამქრული წყობა გარკვეულ დონემდე ეგუებოდა მის წიაღში ახალი კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების პროცესს, თუმცა იგი აღნიშნული პროცესის მნიშვნელოვან ხელშემშლელ ფაქტორად გამოდიოდა.

კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტები, რომლებიც განვითარების შედეგად მანუფაქტურის მასშტაბებს აღწევდნენ, ველარ თავსდებოდნენ ამქრულ ჩარჩოებში, რაც მწვავე კონფლიქტს იწვევდა. ამქრული წყობის გაქრობა დამმუშავებელი წარმოების იმ (საფეიქრო) დარგში, რომელშიც კაპიტალისტური ურთიერთობის შეჭრა ყველაზე შორს იყო წასული, იმის ნიშანია, რომ ადგილი აქვს მანუფაქტურული მრეწველობის აღმოცენების ფაქტს.

IV. საქართველოს საფეიქრო წარმოება XIX ს. პირველ მესამედში

საქართველოს საშინაო და საგარეო ვაჭრობაში წამყვანი ადგილი საფეიქრო წარმოების პროდუქციას ეჭირა. აღნიშნული პროდუქციის ერთობ საგულისხმო რაოდენობით გატანა შორეულ საგარეო ბაზრებზე შესაბამისი მრეწველობის ფართო განვითარების შედეგი იყო. განსახილველ ხანაში საფეიქრო წარმოების გაბატონებული მდგომარეობა ქვეყნის მრეწველობაში სრულიად უეჭველია. აღნიშნული წარმოება ყველაზე დაწინაურებულიც იყო: ახალი, კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობები მასში ყველაზე ადრე და ყველაზე ადვილად იკაფავდა გზას.

ამიტომ სწორედ საფეიქრო (ძირითადად ბამბეულის დამმუშავებელი) წარმოების განვითარების მაგალითზე ქვემოთ შევეცდებით ვაჩვენოთ დამმუშავებელი მრეწველობის განვითარების ხასიათი და თავისებურებები XIX საუკუნის პირველი მესამედის საქართველოში.

1. საოჯახო წარმოების რღვევა

მრეწველობის პირველი ფორმა, რომელიც პატრიარქალურ მიწათმოქმედებას გამოეყოფა, ხელოსნობაა. მაგრამ ფეოდალიზმის ეპოქაში ხელოსნობა მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს მთელი საზოგადოების მოთხოვნილებას. ცივილიზაციის გაჩენიდან მოკიდებული ადამიანთა საზოგადოებისათვის დამმუშავებელი წარმოების ძირითადი პროდუქტი იარაღი და სამოსელია. მაგრამ უკანასკნელის მოხმარების მოცულობა გაცილებით სჭარბობს პირველს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იარაღს საზოგადოების მხოლოდ განსაზღვრული ნაწილი საჭიროებს და მისი სამსახურის ვადა გაცილებით დიდია, სამოსელს კი მთელი საზოგადოება. ამის გამო ფეოდალური ნატურალური მეურნეობის პირობებში საზო-

გადოების ძირითადი მასა — გლეხობა თუ იარაღის შესაძენად ზოგჯერ მაინც ფიმართავს ხელოსნებს, სამოსელზე მოთხოვნილებას იგი ძირითადად საკუთარი მეურნეობის ფარგლებში იკმაყოფლებს. ამის გამო სამოსელის დამზადება, ძირითადად საფეიქრო წარმოება, ფეოდალიზმის ეპოქაში საოჯახო წარმოების ფორმას ინარჩუნებს და თუმცა „შინასარეწები შეადგენენ ნატურალური მეურნეობის აუცილებელ კუთვნილებას; ამ მეურნეობის ნაწთები თითქმის ყოველთვის დაცულია იქ, სადაც წვრილი გლეხობაა"[1]. მართლაც, საოჯახო წარმოებამ გადმონაშთის სახით XX საუკუნეშიც კი შემოინახა თავი და ამას მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში აქვს ადგილი, მაგრამ მიუხედავად გულმოდგინე დაკვირვებისა საოჯახო წარმოების რამდენადმე მნიშვნელოვანი ფოცულობით დადგენა მისი წმინდა სახით, არსებული მასალების მიხედვით, საკმაოდ რთულდება განსახილველი ხანის საქართველოს თვით შორეულ კუთხეებშიც კი.

როდესაც საოჯახო წარმოების წმინდა სახეზეა ლაპარაკი, იგულისხმება ვ. ი. ლენინის ზუსტი და მკაფიო განსაზღვრა: საოჯახო „მრეწველობას ჩვენ ვუწოდებთ ნედლი მასალის დადამუშავებას იმავე მეურნეობაში (გლეხის ოჯახში), სადაც ეს მასალა მოპოვებულია"[2]. საქართველოს მთიან რაიონებში საოჯახო წესით დიდი რაოდენობით შალის ქსოვილებს ამზადებდნენ და მოიხმარდნენ, მაგრამ დგინდება აგრეთვე აღნიშნული პროდუქტის გარკვეული ნაწილის შემსყიდველთა ჩარევითა და მონაწილეობით ბაზრისთვის დამზადება. ვაჭარი-შემსყიდველები მთის რაიონებში დამზადებულ შალის სხვადასხვაგვარ ქსოვილებს ბარში სამლებროებში გადამუშავებდნენ და ისე გაჰქონდათ ბაზარზე. კახეთის ზოგიერთ სოფელში (კუჭატანი, სანავარდო და სხვ.) წყაროების მითითებით ადგილი ჰქონდა აბრეშუმის საოჯახო წესით მოყვანას და დამუშავებას, მაგრამ მისი გარკვეული ნაწილი მაინც ხვდებოდა სასაქონლო მიმოქცევაში და, რაც მთავარია, იმავე სოფლებში საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობით ხდებოდა ბამბეულის ქსოვილების დამზადება შინამრეწველური წესით[3]. ცხადია, არც

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 382.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 382. ჩვენ ვეთანხმებით აკად. პ. გუგუშვილს, რომელსაც არასწორად მიაჩნია ვ. ი. ლენინის თხზულებათა ქართულ გამოცემაში «домашняя промышленность»-ის თარგმნა „შინამრეწველობად". ზუსტია „საოჯახო მრეწველობა".

[3] სცსა, ფ. 2, აღ. 1, საქ. 51, ფურც. 89—92.

ერთ დასახელებულ რეგიონში არ შეიძლება ლაპარაკი საოჯახო მრეწველობის გაბატონებულ მდგომარეობაზე. ყველა მოტანილი საბუთის მიხედვით იგი აშკარა დაშლის პროცესშია.

საოჯახო მრეწველობის წმინდა ფორმად ვერ ჩაითვლება მეურნეობის ის სახე, რომელსაც საბუთები მთიანი ქართლის ზოგიერთ სოფელში გვიხატავენ. მაგალითად, მათი ცნობით სოფელ ქოლტებში ბამბის დამუშავებას საკუთარი მოხმარების მიზნით ეწევიან, მაგრამ ეს ბამბა იმავე მეურნეობაში კი არ არის მოპოვებული, არამედ ბაზარზეა შეძენილი ადგილობრივი წარმოების ქურქების, მაუდის, ერბოსა და სხვ. საფასურით[4].

განსახილველი ხანის საქართველოს მთიან რაიონებში საოჯახო წარმოების რღვევისა და მასში სასაქონლო ურთიერთობის შეჭრის პროცესის თვალსაზრისით საინტერესო სურათი მოჩანს თიანეთის სამღებროს მაგალითზე. როგორც ირკვევა, ახლომახლო სოფლების მოსახლეობა აღნიშნულ სამღებროში ღებავდა საოჯახო წესით საკუთარი მოხმარებისათვის დამზადებულ ქსოვილებს, ამასთან ღებვის ფასს „უმეტეს შემთხვევაში საკვები პროდუქტებით და საგნებით იხდიან"[5]. უნდა ვიფიქროთ, რომ შალის ქსოვილები, რომელსაც აღნიშნულ სამღებროში ღებავენ, მწარმოებლის მეურნეობაში მოპოვებული ნედლეულისგან არის დამზადებული, მაგრამ ის გარემოება, რომ მისი გარკვეული ოპერაცია ოჯახის გარეთ (სამღებროში) სრულდება, მას მაინც უკარგავს წმინდა სახეს. უფრო საინტერესო კი ის არის, რომ, როგორც ირკვევა, იმავე სოფლების მოსახლეობა ბამბეულის ქსოვილების დამზადებასაც მისდევს. წყაროს ცნობით, „საკუთარი მოხმარებისათვის" (თუმცა მეზობელ კავკასიის მთიელ ხალხებთან აღნიშნული საქონლის გაცვლითი ვაჭრობის სპორადული არსებობა გამორიცხული არ არის). მაგრამ იმის გამო, რომ ბამბის მოყვანას ისინი არ მისდევდნენ, ცხადია, ნედლეული საკუთარი მეურნეობის პროდუქტი არ შეიძლება იყოს; ხოლო რაკი დაკანონებული ტრადიციით თიანეთის სამღებროს მოიჯარე ახლომახლო სოფლებში ვაჭრობის პრივილეგიითაც სარგებლობდა, რაც სახაზინო ექსპე-

---

[4] სცსაა, ფ. 2, აღ. 1, ფურც. 69—70; Избыток в хлебе не имеют, а продают в карталинии шубы,сукна, масло, а от толь вывозят бумагу а от толь делают холсты и прочее—ვკითხულობთ აღნიშნულ საბუთში.

[5] სცსაა, ფ. 2, აღ. I, საქ. 502, 1815 წ., ფურც. 381.

დიციპ'თან დაფებული კონტრაქტითაც იყო დადასტურებული[6], მოსახლეობას ბამბის საფეიქრო საოჯახო წარმოებისათვის ნედლეულის მიღება მხოლოდ ამ სამღებროს (მისი მოიჯარის) მეშვეობით შეეძლო. რომ ეს მართლაც ასე ხდებოდა, ამას მოწმობს სამღებროში დიდძალი ნედლეულის (ბამბის) არსებობა, რაც საბუთებით დასტურდება[7].

ამრიგად, ურთიერთობა თიანეთის სამღებროს მოიჯარესა და უშუალო მწარმოებლებს შორის საკმაოდ რთულ და დახლართულ ხასიათს ატარებდა: უშუალო მწარმოებლები სამღებროში ღებავდნენ ქსოვილებს და ფასს ნატურით იხდიდნენ, საკვები პროდუქტებითა და საგნებით. ამ საგნებში, როგორც ჩანს, ქსოვილები იგულისხმებოდა. ამავე დროს სამღებროს მოიჯარისაგან (ან მისი აგენტისაგან) იძენდნენ ნედლეულს (ბამბას) და აქაც, ცხადია, ანაზღაურება ნატურით ხდებოდა. აღნიშნული ნედლეულისაგან ამზადებდნენ ბამბის ქსოვილებს და შესაღებად ისინი კვლავ სამღებროში უნდა დაებრუნებინათ, ახლა უკვე მესამედ ნატურით ანაზღაურების იმავე პროცედურას ატარებდნენ.

ცხადია, მთელი ეს სისტემა სამღებროს მოიჯარის მიერ უშუალო მწარმოებლის (საოჯახო მრეწველის) ექსპლუატაციის შენიღბული ფორმა იყო. წარმოდგენილ ვითარებაში არაფერი არ ეღობებოდა იმას, რომ მოიჯარადრეს პირდაპირ დაერიგებინა ნედლეული (ბამბა) საოჯახო მწარმოებლებისათვის და სანაცვლოდ მათგან მზა ნაწარმი (ქსოვილები მაუდის, ბამბის) მიეღო. ამ ვარაუდს აღნიშნულ სამღებროში მისი მოიჯარის კუთვნილი დიდძალი მაუდის და ბამბეულის ქსოვილების არსებობის ფაქტი აძლიერებს[8].

ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ საოჯახო წარმოება ინტენსიურად იშლებოდა, მთელი ეს პროცესი იმის მაგალითია, თუ როგორ ეგუებოდა ახალი ურთიერთობის ჩანასახები წარმოების ძველ ფორმებს; ხოლო რომ აქ, ახალი ურთიერთობის ჩანასახებთან გვაქვს საქმე, ეს თვით სამღებროს სოციალურ-ეკონომიკური ხასიათიდან ჩანს, სადაც წარმოება დაქირავებული მუშებისა და სპეციალისტის მეშვეობით ხორციელდებოდა[9].

---

[6] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 1522, ფურც. 269. არაერთი ცნობა არსებობს იმის თაობაზე, თუ როგორი თავდადებით ებრძოდნენ სამღებროს მოიჯარეები აღნიშნული პრივილეგიის ხელყოფის ყოველგვარ ცდებს.

[7] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 326, ფურც. 132, 1813.

[8] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 326, ფურც. 132, 1813 წ.

[9] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 754, 1823 წ., ფურც. 127—128.

განსახილველი ხანის რუსული სტატისტიკური მასალა საგულისხმო მინიშნებებს შეიცავს იმერეთის დამმუშავებელ მრეწველობაში საოჯახო წარმოების ადგილისა და მისი უფრო მაღალ ფორმებში გადაზრდის პროცესის გასათვალისწინებლად: „ქუთაისის გუბერნიაში, ერთობ მცირე გამონაკლისის გარდა, თითქმის არ არსებობს ფაბრიკანტებისა და მექარხნეების კლასი, — ვკითხულობთ ერთ-ერთ სტატისტიკურ აღწერაში. — აქ ზოგიერთი მემამულე და გლეხი ეწევა ნედლი მასალის ერთობ უმნიშვნელო დამუშავებას, ამიტომ მანუფაქტურული მრეწველობა სოფლის სარეწებით შემოიფარგლება.

მოსახლეობა უმეტესად თავისთვის, ხოლო ზოგჯერ მცირე რაოდენობით გასასყიდადაც, ქსოვს ტილოს, დარაიას (უხეში აბრეშუმის ქსოვილი) და ნარმას. რაჭის ოლქის ოსები უხეშ მაუდს ამზადებენ“[10].

სასაქონლო მეურნეობის განვითარების პირობებში ამა თუ იმ სარეწის საოჯახო ფორმით გავრცელების მასშტაბს და დაშლის ხარისხს განსაზღვრავდა ბაზრის მოთხოვნილება და სავაჭრო კაპიტალის ინტერესები. ამიტომ კახეთისა და ქართლის ბევრ სოფელში შალისა და აბრეშუმის დამმუშავებელი წარმოება, მიუხედავად წესაბამისი ნედლეულის ადგილზე არსებობისა, ან საერთოდ არ ვითარდებოდა, ან ერთობ მცირე ზომით, საოჯახო ფორმით არსებობდა, იმ დროს, როცა უპირატესად შემოზიდულ ნედლეულზე დამყარებული ბამბეულის საფეიქრო წარმოება მეტად საგულისხმო (როგორც თვისებრივად, ისე რაოდენობრივად) განვითარებას აღწევდა. მაგალითად, კახეთის არაერთი სოფლის აღწერაში თვალშისაცემია მითითება, რომ მატყლს მცირე მოცულობით ამუშავებენ საოჯახო მოხმარებისათვის, უპირატესად კი ყიდიან თათრულ დისტანციებში, ხოლო ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება და ბამბეულის დამუშავებაა[11]. გორის მაზრიდან, რომელიც ბამბეულის წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი იყო, ადგილობრივი მატყლი ახალციხეში გაჰქონდათ[12].

განხილული მასალა აშკარად წარმოგვიდგენს საოჯახო წარმოების რღვევის ინტენსიურ პროცესს. ერთი მხრივ, საოჯახო წარმოების რღვევა და, მეორე მხრივ, ხელოსნობაში მიმდინარე

---

[10] Статистическое описание губернии и областей Российской империи, с. 106.

[11] სცსია, ფ. 16, საქ. 3112, ფურც. 138.

[12] იქვე, ფურც. 49.

შლისა და ტრანსფორმაციის პროცესები განსაზღვრავდნენ XIX ს. პირველი მესამედის საქართველოს საფეიქრო მრეწველობის განვითარების ხასიათს.

2. საფეიქრო წარმოების განვითარების ტრადიციები

XVIII და XIX საუკუნის დასაწყისის არაერთი თვითმხილველი -ავტორის მოწმობით საფეიქრო (განსაკუთრებით ბამბეულის) წარმოება საქართველოში მრეწველობის ყველაზე გავრცელებული დარგი იყო. ერეკლე მეორის კარზე რუსეთის იმპერიის წარმომადგენელი ს. დ. ბურნაშოვი ახასიათებდა რა XVIII ს. მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის ეკონომიკას, აღნიშნავდა, რომ აქ „არის აბრეშუმისა და ბამბის მცირე ხელის ფაბრიკები, უკანასკნელი მეტად ბევრი... მათ თავისი ხელის ნაკეთობებით, ანუ მოჩითული, შეღებილი და თეთრი ბამბის ტილოებით დიდი ვაჭრობა აქვე მთიელ და სპარსელ ახლო მეზობლებთან... რამეთუ ამ საჭიროებებით, თითქმის ყველა კავკასიელი მეზობლები თბილისელი ხომხების შრომისმოყვარეობის მეშვეობით სარგებლობენ“[13]. რომ ქართლ-კახეთის სამეფო მეზობელი მთიელი მოსახლეობისათვის ბამბეულის ნაწარმის ძირითადი მიმწოდებელი იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ აქ საქართველო ბამბეულის ქვეყნად იწოდებოდა[14].

საქართველოში საფეიქრო წარმოების გავრცელებაზე არაერთი უცხოელი ავტორი მიუთითებს. ეს სარეწი სხვადასხვა ფორმითა და ზომით საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იყო გავრცელებული.

ტუჩკოვი საფეიქრო წარმოების დახასიათებისას აღნიშნავს, რომ საქართველოში „საკმაოდ ჩინებულად ამზადებენ სხვადასხვა სახის, ფერისა და მოხატულობის აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილებს, რომელთა ნახატი კარგია, ხოლო საღებავი ერთობ მაგარი და ცოცხალი“[15]. იგივე ავტორი თბილისში ასახელებს სამღებროებს და ფაბრიკებს, სადაც სხვადასხვა სახის ბამბის ქსოვილები მზადდებოდა[16].

---

[13] С. Д. Бурнашов, Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, 1886, с. 2.

[14] Г. Ахриев, Ингуши (их предания, верования и поверия), ССКГ, вып. VIII, Тиф., 1875, с. 17; В. Н. Гамрекели, Торговые связи Восточной Грузии с Северным Кавказом в XVIII в., I, Тб., 1968, с. 32—33.

[15] Тучков, Сочинения, т. IV, с. 206.

[16] იქვე.

პლატონ ზუბოვის რწმუნებით, იმერეთის მცხოვრებლები „ამზადებენ შაუდს, აბრეშუმის კარგ ქსოვილებს ბრწყინვალე ფერებითა და ნახატებით, რომლებიც იეზდისა და ისპაჰანისას არ ჩამოუვარდებიან. იციან ენდროსაგან საღებავის მიღება და მისი ქსოვილზე დამაგრება"[17]. იმერეთში საფეიქრო წარმოების განვითარებაზე მიუთითებს მ. სელეზნიოვი[18] და ბევრი სხვა ავტორიც. საფეიქრო წარმოება განვითარებული იყო გურიასა და სამეგრელოშიც. ერთ-ერთი წყარო სამეგრელოში „საქსოვი ფაბრიკების" არსებობასაც კი ადასტურებს: „აღნიშნული ქალაქის შემოგარენში (იგულისხმება სამეგრელოს ერთ-ერთი ქალაქი, — მ. ს.) ერთობ დიდი რაოდენობით აბრეშუმს აშენებენ; აქ მოაქვთ, აგრეთვე, მთელს სამეგრელოში მოწეული აბრეშუმი, რომელიც ნაწილობრივ ბითუმად იყიდება, ნაწილობრივ კი აქაურ ფაბრიკებში გამოიყენება უბრალო თავთისა და საკმაოდ კარგი ოსტ-ინდოეთის მსგავსი ცხვირსახოცების დასამზადებლად[19]. საფეიქრო წარმოება გავრცელებული ყოფილა რაჭასა და ლეჩხუმშიც[20].

როგორც ირკვევა, საფეიქრო წარმოება განვითარებული იყო საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. აღნიშნულ სარეწში წამყვანი ადგილი ბამბეულის საქსოვ წარმოებას ეკავა. მაგრამ ჩვენი ვანსახილველი პერიოდისათვის საფეიქრო წარმოების ასე თუ ისე სისტემატური ხასიათის ცნობები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ გვაქვს, რის გამოც მისი განვითარების თავისებურებები ძირითადად ამ რეგიონის მაგალითების მიხედვით იქნება დახასიათებული.

საფეიქრო წარმოების ფართო გავრცელების დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული წარმოების (ბამბეულის თეთრი და წითელი ქსოვილების) გადასახადი, რომელიც „საბეჭდავის მოსაკრებად", „ხამხალათის ბეჭდის იჯარად" ან უბრალოდ „ბეჭდად" იწოდებოდა, ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მუხლი იყო.

აღნიშნული გადასახადი ცალ-ცალკე იკრიფებოდა საფეიქრო წარმოების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ცენტრებში და ისევე რო-

---

[17] П. Зубов, Картина Кавказского края, с. 259.

[18] М. Селезнев, Руководство к познанию Кавказа, с. 86.

[19] Подробное описание Персии... также Грузии, М., 1829, с. 2, 27, 78, 81, 82.

[20] П. Зубов, დასახ. ნაშრ., გვ. 135.

:გორც სახელმწიფო შემოსავლის სხვა მუხლები, იჯარა შესყიდვის წესით გაიცემოდა. მაკალითად, 1802 წელს, როდესაც რუსული ადგილობრივი ხელისუფლება დაინტერესდა აღნიშნული იჯარის შემოსავლის მოცულობით, გამოირკვა, რომ ამ წელს თბილისის ბეჭდის იჯარა გაცემული იყო 4 633 მანეთად და იქვე განმარტებული იყო, რომ ყველა საფეიერო ნაწარმი, აქ თბილისში დამზადებული და სოფლებიდან ჩამოტანილიც დაბეჭდილი უნდა იქნას, შესაბამისი გამოსაღების გადახდევინებით[21]. ეს განმარტება ზუსტი არ არის, როგორც ქვევით დავინახავთ. აღნიშნული მოსაკრები ეხებოდა არა ყველა, არამედ მხოლოდ ბამბეულის თეთრი და წითელი ფერის ქსოვილებს. აღნიშნული იჯარა არსებობდა კახეთშიც. იგი ბაეთან ერთად გაიცემოდა. 1802 წელს გაცემული იყო 2600 მანეთად. გორში აღნიშნული მოსაკრეფი ტყავისა და ხორცის იჯარასთან ერთად იყო გაცემული 1820 მანეთად[22].

ამრიგად, თბილისის, კახეთისა და გორის საბეჭდავი ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებლობის დროიდან საერთო-სახელმწიფო შემოსავლების ნიხრში შედიოდა. საბეჭდავის მოსაკრები სხვა ქალაქებშიაც არსებობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი სამეფო სახლის წევრთა თუ თავადების სასარგებლოდ იკრიბებოდა. მაგალითად, ცხინვალის საბეჭდავის მოსაკრები, რომელიც უწინ თურმე 1800 მანეთ შემოსავალს იძლეოდა, დარეჯან დედოფალს ეკუთვნოდა[23]. დამოწმებულია საბეჭდავის მოსაკრები ქარელში და ახალქალაქში[24]. არსებობდა იგი ახალგორში, დუშეთში, სურამში და ყველა სხვა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან სავაჭრო-სამრეწველო ცენტრში, თუმცა იჯარების საერთო სიაში ისინი არ შეჰქონდათ, ზოგჯერ იმიტომ, რომ ცალკეულ მებატონეებს ეკუთვნოდათ (მაგ., ახალგორის — ქსნის ერისთავებს) ზოგჯერ კი იმიტომ, რომ სხვა მოსაკრებთან ერთად გაიცემოდა იჯარით (სიმცირის გამო) და საერთო სახელით იყო ცნობილი (ვთქვათ, სურამის ბაეები, დუშეთის ბაეები და ა. შ.).

„ხამხალათის ბეჭდის" მოსაკრები აიღებოდა ბამბეულის თეთრი, სხვადასხვა ტონალობის წითელი და მოჩითული ქსოვილებიდან, მაგრამ მისი მოცულობა ყველგან ერთნაირი არ ყოფილა. როგორც

---

[21] სცსია, ფ. 2, აღ. I, საქ. 41, ფურც. 112, 1803 წ.
[22] იქვე.
[23] სცსია, ფ. 1010, საქ. 220, ფურც. 5.
[24] სცსია, ფ. 254, აღ. 1, საქ. 95, ფურც. 183.

ითქვა, აღნიშნული მოსაკრები იჯარა შესყიდვის წესით გაიცემოდა, რის შესახებაც სახაზინო ექსპედიციასა და იჯარის შემსყიდველს შორის იდებოდა კონტრაქტი. 1806 წლამდე აღნიშნულ კონტრაქტებში მოსაკრები ოდენობა არ იყო აღნიშნული, მხოლოდ მიუთითებდნენ, რომ იგი უნდა აიღონ ძველი, ქართველი მეფეების დროს დაკანონებული წესით, რაც შემსყიდველებს დიდ თავისუფლებას ანიჭებდა და გადამხდელთა გაუთავებელ საჩივრებს იწვევდა. ამ ხანიდან მოკიდებული, ხაზინა კონტრაქტით აწესებდა როგორც საბეჭდავის, ისე სხვა საიჯარო მუხლების აკრების ზუსტ ფასებს. თბილისის საბეჭდავი გულისხმობდა მოსაკრების შემდეგ შოცულობას: 10-არშინიანი თოფი გაუთეთრებელი და შეუღებავი ხამი იბეგრებოდა $2^1/_2$ კაპიკით; თუ იგივე თოფი გათეთრებული და გაუთოებული იყო — 5 კაპიკით; და თუ აღნიშნული ქსოვილი მოჩითული იქნებოდა, კიდევ ემატებოდა $2^1/_2$ კაპიკი და შეადგენდა $7^1/_2$ კაპიკს[25]. 1802 წლის ცნობით, კახეთის ბეჭდით ყოველგვარ 1 თოფ ქსოვილზე (შეღებილზე, შეუღებავზე, გათეთრებულზე და ა. შ.) $2^1/_2$ კაპ. გადასახადი აიღებოდა, მაგრამ თოფის ოდენობა აღნიშნული არ არის, რაც ბადებს ვარაუდს, რომ როცა დაუმუშავებელ ქსოვილზეა ლაპარაკი, იგულისხმება 10-არშინიანი თოფი, ხოლო როცა შეღებილზე — 5-არშინიანი[26]. იმავე წყაროს მოწმობით, არც გორის საბეჭდავი ასხვავებდა სხვადასხვაგვარად დამუშავებულ ქსოვილს და ბაჯის თითოეულ თოფზე $2^1/_2$ კაპ. გადასახადს აწესებდა[27].

როგორც ირკვევა, თბილისში საბეჭდავის მოსაკრები გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე სხვაგან. საბოლოოდ საქართველოში დამზადებული და თბილისში შემოტანილი ბამბეულის ნაწარმი კიდევ ერთხელ იბეგრებოდა თბილისის საბეჭდავის შესყიდველის სასარგებლოდ: „თუ ქართლიდან და კახეთიდან წითელ ხამს

---

[25] სცსია, ფ. 16, საქ. 333, ფურც. 23.

[26] სცსია, ფ. 2, აღ. I, საქ. 28, ფურც. 49. წყაროში მითითებულია: По откупу за стемпель или за печати собирается пошлины: за стемпель каждому концу бязи $2^1/_2$, а когда бязь сия выбелится то с конца $2^1/_2$; когда же зделана будет выбойка тоже с конца $2^1/_2$; Если оной выкрасят то с пяти аршин $2^1/_2$; со всех бурметей кроме синих с кон. $2^1/_2$ к. ის გარემოება, რომ მხოლოდ შეღებილ ხამზეა მითითებული თოფის მოცულობა 5 არშინი, იწვევს ეჭვს, რომ სხვა დანარჩენ შემთხვევაში ნაგულისხმევია ჩვეულებრივი 10-არშინიანი თოფი, მაშინ შეღებილზე მოსაკრები ორჯერ მეტი გამოდის, ვიდრე შეუღებავზე.

[27] იქვე.

ჩამოიტანენ, ყოველი 10 არშინიდან $7^1/_2$ კაპიკი; ჩითიდან 10 არშინიდან 5 კაპიკი: თუ იქაური ხელსაქმის ნაწარმს ჩამოიტანენ ყოველი 10 არშინიდან 5 კაპიკი ბაჟი აიღება" — ვკითხულობთ 1806 წელს შედგენილ კონტრაქტში[28].

უფრო მოგვიანებით სურათი გარკვეულად იცვლება. ადგილობრივი ხელისუფლება თანდათანობით ერკვეოდა ქართული ეკონომიკის ხასიათში. თურქეთთან და ირანთან ომების პირველი ეტაპის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ მას შეეძლო უფრო მეტი ყურადღება მიექცია სამეურნეო საკითხებისათვის. მას არ მოსწონდა ის ამბავი, რომ არსებული ტრადიციის მიხედვით თუ რაიმე გარეშე მიზეზები (საომარი მოქმედებები, არეულობები, ჭირიანობა და ა. შ.) წარმოებას შეაფერხებდა, შემსყიდველს შეეძლო იჯარაზე უარი ეთქვა ან შესაბამისი თანხის პატიება ეთხოვა, რაც კონტრაქტებში საგანგებოდ იყო აღნიშნული. განსახილველ პერიოდში ამგვარი შემაფერხებელი მიზეზები კი ბევრი იყო, რაც შემსყიდველთა გაუთავებელ თხოვნებს და პრეტენზიებს იწვევდა. სხვა ადგილებში დამზადებული ქსოვილების თბილისში შემოტანის შემთხვევაში ხელმეორედ დაბეგვრა იქ შესაბამისი იჯარის ფასის შემცირებას იწვევდა. იჯარის ფასს ისიც სცემდა, რომ ტრადიციის მიხედვით წარმოების მეთაურთა მნიშვნელოვანი ნაწილი გადასახადებიდან, და მათ შორის საბეჭდავის მოსაკრებიდანაც, განთავისუფლებული იყო და სხვ.

1814 წლიდან ხაზინა ამ უხერხულობების გასწორებას იწყებს. ამ წელს სახაზინო ექსპედიციასა და შემსყიდველ ალადატოვს შორის თბილისის საბეჭდავის მოსაკრების გაცემის თაობაზე დადებულ კონტრაქტში მართალია, აღნიშნულია, რომ „შემსყიდველი თავის სასარგებლოდ იღებს... შემოსავალს, კრეფს რა მას ძველი, ქართველი მეფეების მიერ დადგენილი წესით, ყოველგვარი ცვლილებების გარეშე"[29], მაგრამ როდესაც აღნიშნული მოსაკრების ოდენობაა განსაზღვრული, მითითებულია, რომ შემსყიდველს უფლება აქვს უბრალო ხამის 10-არშინიან თოფზე აიღოს ბაჟი $2^1/_2$ კაპიკის ოდენობით, ხოლო თუ იგი საგანგებოდ გათეთრებული, მოჩითული ან შეღებილია — 10 კაპ.[30], რაც წესით გათვალისწინებულზე ნეტი იყო. ცხადია, ეს ცვლილება მწარმოებლებს შე-

---

[28] სცსია, ფ. 16, საქ. 333, ფურც. 23.

[29] სცსია, ფ. 254, აღ. 1, საქ. 349, ფურც. 45.

[30] იქვე.

უმჩნეველი არ დარჩენიათ, მაგრამ მას სახაზინო ექსპედიციაში შეტანილ საჩივარზე უპასუხებს: მართალია შეგვეშალა, მაგრამ აწი ამ საქმეს არაფერი ეშველებაო[31].

ფაქტიურად არავითარ შეცდომას ადგილი არ ჰქონია, იმავე კონტრაქტში შემსყიდველის სასარგებლოდ მეორე მომენტიცაა შეტანილი, კერძოდ, საბეჭდავის მოსაკრების გადახდა ევალებათ მათაც, „ვინც ყოფილი მეფეების სიგელებით, ეკლესიისა თუ ცალკეულ პირთა სასარგებლოდ აქამდე ამ მოსაკრეფიდან თავისუფალნი იყვნენ"[32]. სამაგიეროდ იმავე კონტრაქტით შემსყიდველს ეკრძალებოდა რაიმე გასამართლებელი მიზეზით იჯარის ფასის შემცრება ან იჯარაზე უარის თქმა და აგრეთვე სხვა ადგილებიდან თბილისში შემოტანილი ქსოვილებიდან ბაჟის აღება[33].

ამავე დროს ადგილი აქვს საბეჭდავის მოსაკრების მოცულობის დაზუსტებას სხვა სამრეწველო ცენტრებში — კახეთში, გორში და ა. შ. 1815 წლის ცნობით, კახეთში დაუმუშავებელ (გაუთეთრებელ, შეუღებავ) ქსოვილზე მოსაკრები აიღებოდა 2 კაპიკის, ხოლო როცა იგი დამუშავებული იყო, 4 კაპიკის ოდენობით[34].

როგორც ჩანს, გორის საბეჭდავის მოსაკრებში ცვლილება არ შეუტანიათ, იგი არ ანსხვავებდა ქსოვილის დამუშავების ხარისხს და თითოეულ თოფზე $2^1/_2$ კაპ. გადასახადს აწესებდა. სამაგიეროდ, გარკვეულად გაზრდილი მოჩანს იგი ცხინვალში. აქ თუ დაუმუშავებელი ქსოვილის ყოველი თოფი $2^1/_2$ კაპ. იბეგრებოდა, დამუშავების შემთხვევაში გადასახადი 5 კაპიკს შეადგენდა[35].

ცხადია, აღნიშნულ ღონისძიებებში ადგილობრივი ხელისუფლების გარკვეული მიზანდასახულობა მოჩანს. აშკარაა, რომ სახაზინო ექსპედიციასა და თბილისის მოიჯარადრეს შორის გარკვეული გარიგება მოხდა. ხაზინამ ნება მისცა მას გაედიდებინა გადასახადის მოცულობა და აეკრიფა იგი იმ პირებიდანაც, ვინც ადრე ამგვარი გამოსაღებიდან თავისუფალი იყო; სამაგიეროდ შემსყიდველს ხელი უნდა აეღო სხვა ადგილებიდან შემოტანილ საქონელ-

---

[31] სცსია, ფ.254, აღ. 1, საქ. 702, ფურც.238—242; იქვე, საქ.959, ფურც. 648—649.

[32] იქვე, საქ. 349, ფურც. 46—47.

[33] იქვე.

[34] იქვე, ფ.16, საქ.1723, ფურც.22—23. სხვა საბუთების მიხედვით, თუ თოფის ზომა ნაკლები იყო, შესაბამისად მცირდებოდა ბაჟის ოდენობაც; სცსია, ფ. 254, აღ.I, საქ. 702, ფურც. 60; იქვე, საქ. 924, ფურც. 49.

[35] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 423, ფურც. 495; იქვე, საქ. 927, ფურც. 615.

ზე ბაჟის მოთხოვნისაგან, რაც მნიშვნელოვნად გააადვილებდა მოსაკრეფის იჯარით გაცემას აღნიშნულ ადგილებში და უნდა დაეთმო ტრადიციული უფლება რაიმე გარეშე მიზეზების გამო წარმოების შეფერხების შემთხვევაში იჯარის ფასის გადასინჯვის თაობაზე, რაც ამ სახაზინო შემოსავლის სტაბილიზაციას უზრუნველყოფდა.

ამგვარი გარიგება შესანიშნავად პასუხობს საქართველოში ცარიზმის ეკონომიკური პოლიტიკის ხასიათს. სახელმწიფო შემოსავლის გადიდებისა და სტაბილიზაციის მიზნით იგი მზად იყო მოიჯარადრეების მიმართ დათმობაზე წასულიყო, მით უფრო, რომ აღნიშნული დათმობა უშუალო მწარმოებელთა ხარჯზე ხდებოდა.

[ამრიგად, სხვადასხვა ავტორების ცნობები საქართველოში საფეიქრო წარმოების ხანგრძლივი ტრადიციის არსებობას ადასტურებენ. ეს დარგი მნიშვნელოვნად განვითარებული იყო XIX საუკუნის პირველ მესამედშიც. განსაკუთრებით მაღალი დონით გამოირჩეოდა ბამბეულის საქსოვი წარმოება. ამ სარეწის განვითარებაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ გადასახადი, რომელიც „საბეჭდავის მოსაკრებად“ ან „ხამხალათის ბეჭდის იჯარად“ იწოდებოდა, საქართველოში სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო. ეს მოსაკრები, როგორც სახელმწიფო შემოსავლის სხვა მუხლებიც, ტრადიციულად იჯარა-შესყიდვის წესით გაიცემოდა. აღნიშნული მოსაკრები გულისხმობდა სხვადასხვა ზომის გადასახადის აღებას საქართველოში დამზადებულ თეთრ და სხვადასხვა ტონალობის წითელი ფერით შეღებილ ბამბეულის სასაქონლო ქსოვილებზე. მაგრამ საქართველოში სხვა ფერის ქსოვილების დამზადებაც წარმოებდა. „საბეჭდავის მოსაკრებში“ მათი გადასახადი არ იგულისხმებოდა. რამდენადაც ეს საკითხი სამღებროებისა და ღებვის საქმეს უკავშირდება, მასზე მომდევნო პარაგრაფში გავამახვილებთ ყურადღებას.

3. სამღებროები და სამღებრო საქმე

ღებვა საფეიქრო წარმოების ერთ-ერთი ძირითადი დარგია. მისი განვითარების დონე საერთოდ საფეიქრო წარმოების განვითარების დონის ნიშანია და მითაა განპირობებული.

XVIII—XIX საუკუნეების საქართველოში სამღებრო საქმის გავრცელების საკითხმა დიდი ხანია მკვლევართა ყურადღება მი-

ეპყრო. მასზე არა ერთი მოსაზრება გამოითქვა[36], მაგრამ რამდენადაც ის მკვლევრები, რომლებიც აღნიშნულ საკითხს XVIII საუკუნის ფარგლებში იხილავდნენ, ბუნებრივია, ამ ეპოქის მასალას ეყრდნობოდნენ, რაც სრულიად არასაკმარისი იყო. ხოლო მკვლევართა ის რიგი, რომელთაც საკითხი XIX საუკუნის ფარგლებში აინტერესებთ, მას ერთგვარად ზედაპირულად შეისწავლიდნენ. ამდენად საკითხის გაშუქება შორსაა დასრულებისაგან.

საკითხის ისტორიოგრაფიაში საგანგებოდ უნდა გამოიყოს ნ. ბერძენიშვილის ნაშრომი „სამღებროების შესახებ XVIII საუკუნის საქართველოში", რომელშიც ავტორმა არა მარტო გააკრიტიკა სამღებროთა რაობის არასწორი გაგება, არამედ ჩვეული მეცნიერული სიღრმით გააშუქა რიგი ბუნდოვანი საკითხი და გაარკვია სამღებროების როლი და მნიშვნელობა ფეოდალური საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში[37]. მიუხედავად ამისა, როგორც მანამდე უცნობ, მრავალრიცხოვან მასალაზე დაკვირვება გვარწმუნებს, აღნიშნული საკითხის დამუშავება ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

რადგან „სამღებროებისა და ღებვის საქმეს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ფეოდალური საქართველოს მეურნეობაში", მისი დეტალური შესწავლის გარეშე შეუძლებელია სწორი წარმოდგენის შექმნა არა მარტო საფეიქრო წარმოებაზე, არამედ საერთოდ განსახილველი ხანის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზეც.

ა) დ ა რ გ ო ბ რ ი ვ ი მ ო ნ ო პ ო ლ ი ა. ამ-დის რა დასტურლა-

---

[36] Г. Натадзе, К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия, История классовой борьбы в Закавказье, с.153—194; მისივე, К термину «Самгеброо» в актах XVIII в. Грузии (ხელნაწერი ინახება ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის განყოფილებაში); ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სამღებროების შესახებ XVIII ს. საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV; П. В. Г у г у ш в и л и, Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., I, Тб., 1957; ვ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801—1864 წწ.), თბ., 1975 და სხვ.

[37] ავტორის განმარტებით, გ. ნათაძის აღნიშნულ საკითხზე არასწორი შეხედულებების კრიტიკის აუცილებლობა იყო „მიზეზი ნაჩქარევად და ნაკლულად დამუშავებული საკითხის საჯაროდ გამოტანისა". იქვე ავტორი გვაუწყებს, რომ მას განზრახული ჰქონია საკითხის შემდგომი მონოგრაფიული დამუშავება, მაგრამ შემდგომში მან ამისთვის, ჩანს, ვეღარ მოიცალა. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, გვ. 311.

მალის განსაზღვრებიდან „სადაც სამღებრო არის ქართლსა თუ საბარათაშვილოში, თუ ყაიყულს, სულ სადედოფლო არის“, ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული დარგი მხოლოდ სადედოფლო მონოპოლიების ფარგლებში იყო მოქცეული თუმცა იქვე განმარტავს, რომ „ეს პრინციპული დებულებაა და სრულიადაც არ ჰგულისხმობს, თითქოს ყველა სამღებრო დედოფლის უშუალო მეურნეობის ობიექტს შეადგენდა“[38]. ნ. ბერძენიშვილის ამ აზრს ეთანხმება ვ. ჩანტლაძეც[39]. პ. გუგუშვილი გარკვეულ სიფრთხილეს იჩენს, ეხება რა სამღებრო საქმის განვითარების საკითხს მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით, აღნიშნავს, რომ „XVIII ს. ბოლოს და ადრეც ზოგიერთ შემთხვევაში იგი შეიძლება ეკლესიისა და სამეფო ოჯახის წევრთა შემოსავლის წყარო იყო“[40].

XVIII საუკუნის და განსაკუთრებით XIX საუკუნის დასაწყისის მასალებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ აღნიშნული დებულება მხოლოდ ნაწილობრივაა მისაღები. XVIII საუკუნის მასალებში სამღებროს იჯარა ზოგჯერ „ლილის იჯარადაც“ მოიხსენიება. გ. ნათაძეს მიაჩნდა, რომ სამღებროს შინაარსი საბაჟოა (საამღებრო), ხოლო თანამედროვე ტერმინ „სამღებროს“ სანაცვლოდ იგი გვთავაზობდა ტერმინს „ლილახანა“, რომელიც XVIII საუკუნის საბუთებში ერთობ ხშირად გვხვდება[41]. ნ. ბერძენიშვილმა სწორად გააკრიტიკა აღნიშნული მოსაზრების ის ნაწილი, რომელიც სამღებროს საბაჟოსთან აიგივებს. მაგრამ ტერმინ „ლილახანის“ გავრცელების მისებური ახსნა დამაჯერებლად არ გამოიყურება. არგუმენტი რომ „მთავარი საღებავი საშუალება სამღებროში ლილა იყო“, გამოუსადეგარია, რადგან ლილა საღებავი საშუალება იყო ლურჯად ღებვის დროს, მაგრამ საქართველოში ხომ არანაკლები რაოდენობით იყენებდნენ სხვა ფერის საღებავებსაც.

XVIII საუკუნის მასალებში ტერმინ „ლილახანას“ ხშირად ხმარება იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ საბუთები ძირითადად იმ სამღებროებს ეხება, რომლებიც სახელმწიფო თუ სხვა მონოპოლიების ფარგლებში იყვნენ მოქცეული (ისინი გაიცემოდა იჯა-

---

[38] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 310.

[39] იქვე, გვ. 280.

[40] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

[41] Г. Н а т а д з е, К термину «Самгебро» в актах XVIII в. Грузии, ხელნაწერი ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის განყოფილების არქივში.

რით, მათზე იყო ვაჭრობა, დავა, მიმოწერა და ა. შ.), ხოლო, როგორც ირკვევა ღებვის მონოპოლია საქართველოში ვრცელდებოდა არა ყოველგვარ ღებვაზე, არა ყველა სამღებროზე, არამედ მის ერთ-ერთ დარგზე,— ლურჯად (და ლურჯი ფერის სხვადასხვა ტონალობით) ღებვაზე, სამღებროებზე სადაც, ამ ფერად ღებვა ხდებოდა. ასე იყო XIX საუკუნის პირველ მესამედში, ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ „რომ ასე იყო ადრეც.

განსახილველი ხანის მასალებში შემონახულია თითქმის ყველა იმ ძირითად სამღებროთა იჯარა-შესყიდვის წესით გაცემის კონტრაქტები, რომელსაც ნ. ბერძენიშვილი აღმ. საქართველოში ჩამოთვლის. არც ერთ მათგანში არ არის მითითება, რომ იქ ღებვა რომელიმე სხვა ფერად ხდებოდა, გარდა ლურჯისა[42]. პირიქით, თითქმის ყველა კონტრაქტში აღნიშნულია, რომ მონოპოლია ეხება ლურჯად ღებვას. მაგალითად, 1803 წლის 22 ივნისით დათარიღებულ საბუთში მითითებულია, რომ თბილისის მარიამ დედოფლისეულ სამღებროში „იღებება ნარმა ლურჯი საღებავით და საფასური შეფერილობის მიხედვით აიღება თოფზე 5-დან 15 კაპიკამდე“[43]. უფრო მოგვიანებით შედგენილ საბუთებში პირდაპირაა მითითებული, რომ თბილისის აღნიშნული სამღებრო ლურჯ ფერად ღებვის საწარმოა[44].

1831 წელს იჯარა-შესყიდვის წესით გაცემულ მუხლებს შორის საბუთში აღნიშნულია თბილისის სამღებრო, „რომელშიც ბამბეულის ქსოვილები იღებება ლურჯი საღებავით“, და „გორის მაზრის სოფელ ცხინვალის სამღებრო, რომელშიც ნაწარმი იღებება ღია ლურჯი და მუქი ლურჯი საღებავებით“[45].

სახაზინო ექსპედიციასა და იჯარის შემსყიდველ ანდრია ზუბალაშვილს შორის 1811 წელს გაფორმებულ კონტრაქტში მითითებულია, რომ შემსყიდველმა ღებვისათვის უნდა აიღოს ფასი ღია ლურჯად და ცისფრად სხვადასხვა ქსოვილებისა და ძაფის შეღებვაზე[46]. იგივე მეორდება უფრო გვიანდელ საბუთებშიც[47].

---

42 მხოლოდ თბილისის სამღებროში 30-იან წლებში ჩნდება შავად შეღებვის ტექნიკა. მაგრამ იგი უკანონოდაა მიჩნეული.

43 სესია, ფ. 254, აღ. 1, საქ. 28, ფურც. 698.

44 იქვე, საქ. 1040, ფურც. 1332—1333.

45 იქვე, საქ. 1207, ფურც. 38.

46 იქვე, ფ. 254, აღ. I, საქ. 257, ფურც. 1019.

47 იქვე, საქ. 755, ფურც. 199; საქ. 481, ფურც. 41.

წყაროებში დუშეთის სახაზინო სამღებრო მოიხსენიება, როგორც საწარმო, „რომელშიაც ღებვა ხდება ლურჯი საღებავით“[48].

კონტრაქტში, რომელსაც შემსყიდველი სახაზინო ექსპედიციასთან დებს 1813 წლიდან კახეთის სამღებროების იჯარით მიღების თაობაზე, აღნიშნულია, რომ შემსყიდველს უფლება აქვს აიღოს ფასი სამღებროებში ღია და მუქ ლურჯად შეღებილ ქსოვილებზე და მითითებულია ფასის ოდენობა[49]. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არც „ბორჩალოს დისტანციისა და გატეხელი ხიდის ზევით მდებარე“ სამღებროები წარმოადგენენ; აქაც მითითებულია, რომ ღებვის ფასს იღებდნენ ლურჯად შეღებილ ქსოვილებზე, ხოლო უფრო გვიანდელ საბუთებში საგანგებოდაა მითითებული, რომ იჯარით გაიცემოდა ლურჯ ფერად ღებვის სამღებროები[50].

ამგვარი მაგალითების მოტანა კიდევ ბევრის შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ ნათელია, რომ სახელმწიფო მონოპოლია ვრცელდებოდა და შესაბამისად იჯარით გაიცემოდა ის სამღებროები, რომლებიც მხოლოდ ლურჯად ღებავდნენ.

XVIII საუკუნეში სამღებროები კანონით საადედოფლო მონოპოლიაში შედიოდა, რაც არ გამორიცხავდა ზოგიერთი მათგანის „შეწირვის“ თუ „წყალობის“ სახით ფეოდალისა თუ ეკლესია-მონასტრის გამგებლობაში მოქცევას[51]. XIX საუკუნის დასაწყისიდან იმის გამო, რომ სამეფო სახლის წევრთა ქონება და პრივილეგიები ხაზინის ხელში გადავიდა, სამღებროთა მფლობელებად ჩანან ხაზინა, ეკლესია და ფეოდალები. ზემოთ მოტანილი მასალით დადასტურდა, რომ ხაზინის მონოპოლია მხოლოდ ლურჯად ღებვის სამღებროებზე ვრცელდებოდა. მაგრამ აქ იბადება ეჭვი იმის თაობაზე, რომ ხომ არ მოხდა ამ მხრივ რაიმე განაწილება და წითლად ღებვა საპატონო ან საეკლესიო პრივილეგიის ფარგლებში არ მოექცა?

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არც ერთ საბუთში, რომელზედაც წინამდებარე ნაშრომის ავტორს ხელი მიუწვდა და რომელიც საეკლესიო ან ფეოდალთა სამღებროებს შეეხება, არ ჩანს, თუ რა ფერად ხდება ღებვა ცალკეულ მათგანში. მიუხედავად ამისა, ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამგვარი

---

[48] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 324, ფურც. 192.

[49] იქვე, ფ. 254, აღ. I, საქ. 326, ფურც. 529—536; საქ. 1203, ფურც. 182.

[50] იქვე, საქ. 1202, ფურც. 121; საქ. 1206, ფურც. 910; საქ. 1209, ფურც. 825 და ა. შ.

[51] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 317.

რამ გამორიცხულია. როგორც აღინიშნა, ეკლესია-მონასტრებსა თუ ფეოდალებს სამღებროები თავდაპირველად დედოფლისგან აქვთ გადაცემული. აქ მონოპოლიის უფლების გადაცემა იგულისხმება და არა კონკრეტული სამღებროსი, ამდენად ღებვის ფერების ცვლა წარმოუდგენელია. მაგალითად, მეჯვრისხევის სამღებრო XVIII საუკუნეში ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ. უნდა ვიფიქროთ, რომ მათ ეს უფლება ოდესღაც დედოფლისგან მიიღეს. მას შემდეგ, რაც ერეკლემ ქსნის ხეობა ერისთავებს ჩამოართვა, აღნიშნული სამღებრო იულონ ბატონიშვილის მფლობელობაში გადავიდა, ე. ი. სამეფო სახლს დაუბრუნდა. რუსეთის ხელისუფლებამ ქსნის ხეობა კვლავ ერისთავებს დაუბრუნა. მათ დაიწყეს ბრძოლა სამღებროს მონოპოლიის აღდგენაზეც. წარმოუდგენელია, რომ ამდენ გადაცემა-გადმოცემაში აღნიშნულ სამღებროში საღებავის ფერს ცვლიდნენ[52].

განსახილველ პერიოდში გაუთავებელი დავაა სახაზინო, საეკლესიო და საბატონო სამღებროების გამგებელთა შორის ამა თუ იმ სამღებროს კანონიერებაზე. ამავე დროს არ არის არც ერთი დავის შემთხვევა ვაჭრის ან სხვა საქმოსნის კუთვნილი სამღებროს თაობაზე, თუმცა ამგვარი სამღებრო ბევრი იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო თბილისში 1826 წელს 18 სამღებროა აღნიშნული. აქედან მხოლოდ ერთი იყო სახაზინო[53]. მაგრამ სახაზინო სამღებროს შემსყიდველს არც ერთხელ არ განუცხადებია პრეტენზია აღნიშნული სამღებროების მხრივ რაიმე შევიწროებაზე. ამავე დროს არაერთი საჩივარი დაწერილა იმის შესახებ, რომ თბილისის სამღებროს შემოსავალზე უარყოფითად მოქმედებს ტაბახმელისსამღებრო, რომელიც ორბელიანებმა დროებით კოდიდან გადმოიტანეს[54], ავჭალაში გურამიშვილების სამღებრო[55] და ა. შ. დასკვნა ერთია: ტაბახმელის (ორბელიანების) და ავჭალის (გურამიშვილების) სამღებროებში ღებვა იმავე ლურჯი საღებავით ხდებოდა, როგორც სახაზინო სამღებროში. აქედან გაჩნდა კონკურენცია. თბილისის დანარჩენი 17 სამღებრო კი წითელი ან სხვა, არალურჯ ფერად ღებავდა და, ამდენად, სახაზინო სამღებროს შემოსავალზე იგი გავლენას ვერ მოახდენდა.

---

52 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 828. ფურც. 129—135.

53 სცსია, 16, საქ. 3503, ფურც. 122—123; საქ. 36116, ფურც. 192—193.

54 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 132, ფურც. 73—74.

55 სცსია, ფ. 1010, საქ. 338, ფურც. 3.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ XVIII და XIX საუკუნის საქართველოში სამღებროს მონოპოლია ითვალისწინებდა ლურჯი საღებავით ღებვის უფლებას, მიუხედავად იმისა, თუ ცალკეულ რეგიონებში ვის ეკუთვნოდა აღნიშნული პრივილეგია— ხაზინას, ეკლესიას თუ ფეოდალებს. ამ დებულების დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ XIX ს. 20-იან წლებში კახეთის სახაზინო და საეკლესიო სამღებროების ზოგიერთი მოიჯარის მხრიდან ადგილი ჰქონდა ცდებს ხელში ჩაეგდოთ მოსახლეობისაგან ენდროს შესყიდვისა და ბაზარზე გაყიდვის მონოპოლია, რითაც მათ საშუალება ექნებოდათ გარკვეული ზეგავლენა მოეხდინათ წითლად ღებვაზეც. მაგრამ აღნიშულ ცდებს დადებითი შედეგი არ მოჰყოლია.

ბ) ღ ე ბ ვ ი ს ფ ა ს ი. ს ა მ ღ ე ბ რ ო ს ბ აჟ ი. წინა პარაგრაფში განხილული მასალის საფუძველზე დადგინდა, რომ „ხამხალათის ბეჟდის იჯარაში“ იგულისხმებოდა გადასახადი თეთრი და წითელი ფერის ბამბეულის ქსოვილებზე. საქართველოში სხვა ფერის ქსოვილებიც მზადდებოდა. საბეჟდავის მოიჯარეები ცდილობდნენ მათზე გაევრცელებინათ აღნიშნული მოსაკრების აღების პრივილეგია. კერძოდ, როგორც აღვნიშნეთ, 20-იანი წლებში დიდი ბრძოლა გაჩაღდა საბეჟდავის მოიჯარეებისა და უშუალო მწარმოებლებს (თუ საწარმოთა მეთაურებს) შორის სხვადასხვაფერად შეღებილ ზოლიან ქსოვილზე, — ალაჯზე მოსაკრების უფლების გავრცელების შესახებ[56]. საქართველოში მეტად დიდი რაოდენობით მზადდებოდა ლურჯი ფერის ქსოვილები, რომლებსაც რაოდენობრივად მხოლოდ წითელი ფერის ქსოვილები თუ გაუტოლდებოდნენ, მაგრამ არასოდეს, არც ერთი არსებული საბუთით, საბეჟდავის მოსაკრების შემსყიდველებს ლურჯ და ცისფერ ქსოვილებზე პრეტენზია არ განუცხადებიათ. პირიქით, როდესაც ალაჯის თაობაზე ზემოთ მოხსენიებული დავა ატყდა და მწარმოებლები იძულებული შეიქნენ აღნიშნული ქსოვილიდან საბეჟდავის მოსაკრების მოთხოვნის უკანონობა დაესაბუთებინათ, ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად ის დასახელეს, რომ ალაჯში სხვა ფერებს შორის ლურჯი ფერიცაა გამოყენებული, ხოლო აღნიშნულ ფერად ჩვენ სახაზინო სამღებროში ვღებავთ ძაფს და შესაბამის თანხასაც ვიხდით, ხოლო ახლა საბეჟდავის მოსაკრებით თუ დაგვბეგრეს, გადასახადის ორჯერ გადახდა მოგვიწევსო[57].

---

[56] სესია, ფ. 254, აღ. I, საქ. 1040, ფურც. 921—922.

[57] იქვე.

ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი, რომლის საფუძველზეც პროფ. გ. ნათაძე სამღებროს „საამღებროდ“ — საბაჟოდ მიიჩნევდა, ის იყო, რომ XVIII საუკუნის საბუთებში ხშირად მოიხსენიებოდა ტერმინი „სამღებროს ბაჟი“[58]. ნ. ბერძენიშვილი ამ გარემოების ასეთ ახსნას გვთავაზობდა: „1. სამღებროები, ოდესმე თავისუფალი სახელოსნოები, მონოპოლიის საგანი შეიქმნა. სამღებროსა და ღებვის საქმის მონოპოლია შეიძლებოდა ორი სახით განხორციელებულიყო უკვე არსებულ „საოჯახო ქარხნებზე“ გადასახადი დაედოთ; ასეთ გადასახადს შეიძლებოდა მხოლოდ „სამღებროს ბაჟი“ წოდებოდა, 2. ან კიდევ ასეთი „ქარხნები“ აეკრძალათ და მათ მაგივრად მთელი ოლქისათვის ერთი სამღებრო შეექმნათ. ოლქის მოსახლეობა ვალდებული იყო ნართი თუ ნაქსოვი ასეთ სამღებროში მოეტანა შესაღებად, სადაც მას ღებვისათვის „საღებავის ფასს“ ახდევინებდნენ... სრულიად ბუნებრივია, ასეთ გადასახადს სახელი ისევ „სამღებროს ბაჟი“ შერჩენოდა. ასეთი გამოთქმის შენარჩუნებას ხელს უწყობდა ამ სამღებროთა მონოპოლიაც: „საღებავის ფასსაც“ ხომ სანახევროდ სავალდებულო გადასახადის სახე ჰქონდა შენარჩუნებული“[59].

ეს განმარტება, როგორც ჩანს, სიმართლესთან ახლოსაა.

XIX საუკუნის დასაწყისის მასალებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ სამღებროს იჯარაში არა მარტო ღებვის ფასი, არამედ ღებვის გადასახადის აკრეფაც იგულისხმებოდა. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი საფეიქრო დარგის ერთი ნაწილის (ლურჯი ქსოვილების დამზადების) გადასახადსაც ითავსებდა. 1807 წლის 11 სექტემბერს თბილისის მაზრის თავადაზნაურობის მარშალი ზაალ ზურაბოვი აღშფოთებულ წერილს წერს საგუბერნიო მარშალს იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო მოხელეები ცდილობენ თბილისის მოქალაქეთა თანაბრად ფულადი გადასახადი დაადონ საბატონო ყმებსაც: „იცის თქვენმა ბრწყინვალებამ — აღნიშნავს ავტორი — თეთრის მახტა სახელმწიფოთ ედვათ მხოლოდ სახელმწიფო ყმათა და ჩვენი ყმანი არასოდეს იმაში არ გარეულან მოქალაქეებთან და არც საკუთრად სთხოებიათ; რაც აზნაურთ ყმათ უწინ ასნაფთან უძლევიათ იმას ახლაც აძლევენ, რომელიც არის თავის შაური, ქეშიკის ასასის ფული და ბეგარა და რასაც ჩასტებსა სთხოვენ იმასაც უცილობლად აძლევენ და სურსათსა კიდევ მეტსა... ამას

---

[58] Г. Натадзе, დასახ. ნაშრომი.

[59] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 345.

გარდა მსგავსად სახელმწიფოთ ყმათა აძლევენ შაურსა, ბეჭდის ფულსა და სამღეროსი. და თუ კიდევ სხვა ხარჯი ეთხოვათ სახელმწიფოდ სწორ სახელმწიფოთა ყმათა მაშინ როგორიღა ჩვენი ყმები იქნებიან"?[60] და სხვ. აშკარაა, რომ კონტექსტში „სამღეროს ფული" სახელმწიფოს სასარგებლოდ გაღებული გადასახადის შინაარსითაა მოცემული, რომელიც ბაჟისა და ბეჭდის რიგშია. თუ წარმოვიდგენთ, რომ სამღეროებში მხოლოდ საკუთრივ ღებვის ფასს იღებდნენ, მაშინ ავტორს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა საბატონო ყმების მიერ ღებვისთვის გადახდილი თანხა სახელმწიფოსათვის დაეყენებინა.

1831 წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამ სახაზინო მუხლების გადასინჯვა განიზრახა და ისინი 4 კატეგორიად დაჰყო. სამღებროების იჯარა საბეჭდავთან, საპნის იჯარასთან და სხვ. ერთ კატეგორიაში მოათავსა და განმარტა, რომ ეს მუხლები „შეადგენენ მრეწველობის გადასახადს..."[61].

ღებვის ფასები აღმოსავლეთ

სამღებროს ადგილმდებარეობა	ძალიან მეტი ლეარი კუბ.	მეტი ლეარი კუბ.	ლეარი კუბ.	ლეარი ლ. კუბ.	ცოტა ლეარი კუბ.	ძალი და ბრეშუმი გარეცხვა კუბ.
თბილისი — ვაჭარი		10		1		
კერძო	20		10		4—5	20—60
კახეთი — ვაჭარი				3		
კერძო	20	—	10		4—5	50
გორი — ვაჭარი				3		
კერძო	20	—	10	—	4—5	50
ბორჩალო — ვაჭარი და		—	6			
გატეხილი ხიდი	15	—	8		2—3	50

წყაროები: სცსია, ფ. 254, აღ. I, საქმე 95, ფურც. 212; ფონდი 254, საქმე 91, 820—822; ფონდი 2, აღ.1, საქმე 355, ფურც.198—201; ფონდი 254, აღ.1, საქმე 200; საქმე 324, ფურც. 192; საქმე 927, ფურც. 620.

[60] სცსია, ფ. 16, საქ. 497, ფურც. 40, ხაზი ჩემია. —მ. ს.

[61] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 1204, ფურც. 820.

სამღებროს იჯარის შესყიდვის კონტრაქტებში თითქმის ყოველთვის მითითებულია, რომ შემსყიდველს უფლება აქვს ღებვისათვის შესაბამისი თანხა აკრიფოს, ზოგჯერ კი საკუთრივ ღებვა და გადასახადის მოკრება ცალ-ცალკეც კია გათვალისწინებული. მაგალითად, თბილისის სამღებროს 1809 წლით დათარიღებულ კონტრაქტში სახაზინო ექსპედიცია, მას შემდეგ, რაც ჩამოთვლის თუ რა ქსოვილის შეღებვაზე რამდენი უნდა იქნას აღებული, საგანგებოდ აფრთხილებს, რომ „აღნიშნული შემოსავლის აკრეფისას, ისევე როგორც ღებვისას“, შემსყიდველებმა მომხმარებელი არ უნდა შეავიწროვოს და სხვ[82].

აღმოსავლეთ საქართველოს სახაზინო სამღებროებში სხვადასხვაგვარი ქსოვილების ღებვის ფასების ქვემოთ მოტანილ ცხრილში (ცხრ. 19), რომელიც საარქივო საბუთების ცნობებიდანაა ამოკრებილი, ყურადღებას იქცევს ფასების განსხვავება, რომელსაც კონტრაქტები საგანგებოდ აწესებდნენ ვაჭრებისათვის და კერძო-

ცხრილი 19

საქართველოს სამღებროებში

თბილისური ფიფაო	ჩვეულებრივ ფიფაო	ლაჟვარდი ფიფაო	ღაბისფერი ფიფაო	მეჩიჩეფერი ფიფაო	ბორჩალოს ლაჟვარდი ფიფაო	ბორჩალოს შავი ღია ფიფაო	ფელტის ძაფი გირვანქა
			80 კ.	70 კ.	1 მ.		
15—20	10	1 მ. 40 კ.		1 მ. 20 კ.	1 მ. 60 კ.		
				1 მ.	1 მ. 20 კ.		
20	10	1 მ. 40 კ.	1 მ. 40 კ.	1 მ. 20 კ.	1 მ. 80 კ.		
				1 მ. 20 კ.			
20	10	1 მ. 40 კ.	1 მ.	1 მ. 80 კ.			
—	—	1 მ. 40 კ.	80 კ.	—	1 მ. 60 კ.	1 მ. 40 კ.	40 კ.

ფურც.167; ფონდი 90, საქმე 21, ფურც. 6; ფონდი 254, აღ.1, საქმე 326, ფურც. 423, ფურც 497, ფონდი 254, აღ.1, საქმე 385, ფურც.39; იქვე,საქმე 655, ფურც-

[82] სესია, ფ. 254, აღ. I, საქ. 349, ფურც. 44—46. ხაზი ჩემია.—მ.ს.

პირთათვის (კონტრაქტებში პირდაპირაა მითითებული, თუ რა ფერად შეღებვაზე ვაჭარმა რამდენი უნდა გადაიხადოს და კერძო პირმა რამდენი). აშკარად ჩანს, რომ ფასები ვაჭრებისათვის გაცილებით დაბალია. ერთ საბუთში გვხვდება ამის ერთგვარი ახსნაც, ვითომ კერძო შემკვეთები უფრო პრეტენზიულები არიან, უფრო მუქად შეღებვას ითხოვენ და ამიტომ მათ ქსოვილზე თითქოს მეტი საღებავი იხარჯება[63], მაგრამ ამგვარი ახსნა არადამაჯერებელია, რადგან შეუძლებელია ღია ლურჯ ფერად შეღებვაზე, რაც ვაჭრებისათვის თბილისის სამღებროში არშინი 1 კაპიკი ღირდა, მეტი საღებავი დახარჯულიყო, ვიდრე ცისფერზე, რომლის შეღებვაც კეძო შემკვეთებს 4—5 კაპიკი უჯდებოდათ.

თითქმის ყველა კონტრაქტში საგანგებო ზომები იყო გათვალისწინებული იმათზე, ვინც სამღებროს მოსაკრებს ნებაყოფლობით არ გადაიხდიდა[64]. ჩვეულებრივ ვითარებაში ამგვარი რამ გაუგებარია, რადგან შემკვეთს საქონელი მიჰქონდა სამღებროში, ღებავდა, იხდიდა ღებვის ფასს და მიიღებდა დამზადებულ საქონელს. სანამ შესაბამის ფასს არ გადაიხდიდა, მას საქონელს არ მისცემდნენ. თითქმის ყველა კონტრაქტში ასევე აღნიშნულია, რომ კერძო შემკვეთებს სამღებროს მოსაკრებს ართმევენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საქონელს სამღებროში მოიტანენ ნებაყოფლობით. ჩვეულებრივი სახელოსნოს პირობებში ამგვარი აღნიშვნა სრულიად ზედმეტია.

ყველა ეს გაუგებრობა თუ შეუსაბამობა მაშინვე იხსნება, თუ წარმოვიდგენთ, რომ სამღებროში ხდებოდა არა საკუთრივ ღებვა (ან არა მხოლოდ ღებვა), არამედ ღებვის გადასახადის აკრეფაც.

ეს რომ ნამდვილად ასე ხდებოდა, არაერთი მითითებაც არსებობს. მაგალითად, კახეთის სამღებროების იჯარით გაცემის კონტრაქტში აღნიშნულია, რომ შემსყიდველს უფლება აქვს „იყოლიოს მუშაკები მთლიანად თავის ხარჯზე, თავისი ფულით შეისყიდოს საღებავები... და აწარმოებს რა ნებადართული საგნების შეღებვას, აღნიშნული სამღებროების მისი გამგებლობაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში შემოსავალიც აკრიფოს მთლიანად თავისთვის“[65]. გორის სახაზინო სამღებროს მიმართ საბუთში

---

[63] სცსია, ფ 2, საქ. 355, ფურც. 199.

[64] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 326, ფურც. 532.

[65] იქვე, ფურც. 573.

პირდაპირაა მითითებული, რომ აქ ხდება „შემოსავლის აკრეფა და ასევე საკუთრივ ღებვაც“[66].

შეიძლებოდა მსგავსი მაგალითი მრავალი მოგვეტანა, მაგრამ ვფიქრობთ, ნათელია, რომ სახაზინო სამღებროებში ერთი მხრივ წარმოებდა საკუთრივ ღებვა, ხოლო მეორე მხრივ, ღებვის გადასახადის აკრეფა[67].

ბ) ღ ე ბ ვ ი ს ა დ ა ღ ე ბ ვ ი ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი ს ა კ რ ე ფ ი ს წ ე ს ი. მრავალრიცხოვან საბუთებზე დაკვირვების შედეგად დგინდება, რომ სამღებროების იჯარის ანუ ლურჯად ღებვის მონოპოლიის საფუძველი ლურჯი საღებავის შეძენის (და შესაბამისად მოხმარების) პრივილეგიურ უფლებაში მდგომარეობდა. აღნიშნული საღებავი, რომელიც ჩვენში უცხოეთიდან შემოჰქონდათ, მხოლოდ მოიჯარეებს შეეძლო შეეძინა. სწორედ ამით უნდა იქნას ახსნილი ის გარემოება, რომ სამღებროების იჯარა XVIII საუკუნეში ზოგჯერ „ლილის იჯარადაც“ მოიხსენიებოდა[68]. არ არის გამორიცხული, რომ ტერმინი „ლილის იჯარა“ წინ უსწრებდა „სამღებროს იჯარას“ და მისი განვითარების, ანუ „სამღებროს იჯარად“ ჩამოყალიბების პროცესი ვარაუდით შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: თავდაპირველად „ლილის“ იჯარადარი შეისყიდიდა რა საღებავს, მას მიჰყიდდა იმ მწარმოებელთ, რომლებიც ხელოსნობაში მიმდინარე შრომის დანაწილების შედეგად ლურჯად ღებვაში იყვნენ დასპეციალებულნი, ან მათ, ვინც საფეიქრო წარმოების საოჯახო ფორმების განვითარების საფუძველზე ოჯახის ფარგლებში ეწეოდნენ ლურჯად ღებვას („საოჯახო ქარხნები“), და ამით იღებდა მოგებას. სასაქონლო მეურნეობის განვითარებისა და ხელოსანთა შორის ქონებრივი დიფერენციაციის ჩამოყალიბების შედეგად „ლილის იჯარა“ შეიძლებოდა მღებავს ან სანახევროდ გავაჭრებულ მღებავს ჩავარდნოდა ხელში. ამგვარი შესაძლებლობა ლოგიკურიცაა, რადგან მღებრის მხრიდან ამის დაინტერესება დიდი იქნებოდა, რათა საღებავის ფასის მომატებული გადახდა და შესაბამისად სხვა მოიჯარის მხრიდან შენიღბული ექსპლუატაციის შესაძლებლობა აეცდინა თავიდან. ამგვარი საქმოსანი ეცდებოდა

---

[66] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 257, ფურც. 216.

[67] მაგალითად, სახელმწიფო საიჯარო მუხლების სიაში მოხსენიებულია «Тифлисская красильная статья... по контракту которым откупщикам дано было право собирать пошлину за окрашивание в синий цвет бязей» (სცსია, ფ.254, აღ. 1, საქ.1040, ფურც. 924).

[68] სცსია, ფ. 2, აღ. I, საქ. 45, 1803 წ., ფურც. 217.

თავისი სამღებრო ჰქონოდა (მას იგი ალბათ უკვე ჰქონდა) და მასში წარმოების პარალელურად საღებავის ზედმეტ ფასებში გაცემიდანაც მიეღო მოგება. ეს უკვე „ლილის ბაჟის“ ერთგვარი ცენტრალიზაციის, სამღებროს ფარგლებში მოქცევის, „სამღებროს ბაჟად“ გადაქცევის პირველი ნაბიჯი იყო. სამღებრო წარმოება საფეიქრო წარმოების დაბასრულებელი ეტაპია. სასაქონლო მეურნეობის პირობებში საფეიქრო წარმოება ვაჭრის გავლენაში ექცეოდა. ვაჭარი შეისყიდდა უშუალო მწარმოებელთაგან ქსოვილებს, რათა შემდეგ ბაზარზე გაეტანა (ეს წარმოებაში ვაჭრის ჩარევის პირველი ნაბიჯია. ამაზე ქვემოთ დაწვრილებით იქნება საუბარი), მაგრამ მანამ იგი უნდა შეეღება. თავდაპირველად ღებვის პროცესი ვაჭარს პერიოდულად სჭირდებოდა, ამიტომ საკუთრად სამღებროს მოწყობას მისთვის აზრი არ ჰქონდა. ამ ვითარებაში ამისათვის, რათა თავიდან აეცდინა ზედმეტი ხარჯები, იგი მიზანშეწონილად მიიჩნევდა დროებით დაექირავებინა საკირო იარაღმოწყობილობა და სპეციალისტი და ასე შეეღება. მეორე მხრივ, ლილის იჯარადარი, რაკი იგი მღებავი იყო და თავისი ხელობის პარალელურად საღებავის გაყიდვასაც ეწეოდა, მოკლებული იყო საშუალებას კონტროლი გაეწია მის ხელში არსებულ მონოპოლიისათვის, აღეკვეთა საღებავის უკანონოდ შემოტანისა და გასაღების შესაძლებლობა. ამიტომ იგი დაინტერესებული იყო ღებვის პროცესის ცენტრალიზაციით. თანდათანობით იგი ამას აღწევდა, მაგრამ საბოლოოდ წარმოების ხელში ჩაგდებას მაინც ვერ ახერხებდა. შეიძლება არც მაინცდამაინც ესწრაფვოდა, რადგან ეს რიგ ახალ კაპიტალდაბანდებებთან იყო დაკავშირებული და ცენტრალური სამღებროს პირობებშიც ძველ ტრადიციას ინარჩუნებდა და მსურველებს ცენტრალურ სამღებროში ღებვის წარმოების უფლებას აძლევდა. მოგებას მასზე გაცემული საღებავის ფასის განსხვავებით იღებდა. ამგვარად, „ლილის იჯარა“ „სამღებროს იჯარად“, სამღებროს ღებვის მონოპოლიად იქცევა. ეს ყველაფერი ვარაუდებია. ჯერჯერობით მათი კონკრეტული მასალით შემაგრების არავითარი დოკუმენტური საფუძველი არ არსებობს.

ფაქტი კი ის არის, რომ „სამღებროს იჯარის“ შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო საღებავის შესაძენი და გასაცემი ფასის განსხვავება იყო. შემსყიდველი სამღებროში საღებავის ფასის მომატებით იღებს მოგებას და ეს დაკანონებულია. ასე უნდა გავიგოთ დ. ბატონიშვილის სამართლის განაწესი: „უკეთუ სამღებროსა შინა ღებვისათვის უზომოდ მომატებული საღებავის ფასი

აიღოს, მსგავსად ქურდისა გარდახდეს"[69]. ესე იგი, ზომიერად მომატებული ფასი კანონიერია. მას იხდიან სახაზინო სამღებროში ღებვისათვის.

თავისთავად დ. ბატონიშვილის სამართალში საღებავის ფასის გამოცალკევება, თუ სამღებროში წარმოებას ჩვეულებრივი ფორმით წარმოვიდგენთ, სრულიად გაუგებარია. ნედლეულის ფასი პროდუქტის ფასის შემადგენელი ნაწილია. შემკვეთი, რომელმაც თერძთან ქსოვილი მიიტანა შესაკერად, იხდის შეკერვის ფასს და არა იმ ძაფის ფასს, რომლითაც ქსოვილი შეკერეს. მდგომარეობას ვერ ცვლის ის ამბავიც, რომ საღებავი ძვირი ღირდა, აქ კი სხვა ვითარება იყო. შემსყიდველს მოგება ეჭით განისაზღვრებოდა, თუ რამდენ საღებავს გასცემდა (დახარჯავდა). ამდენად დახარჯული საღებავის ოდენობა შეიძლებოდა შემსყიდველსა და ხაზინას შორის ანგარიშსწორების საშუალებადაც გამომდგარიყო: გამოთქვამდა რა სამღებროს იჯარის აღების სურვილს, ზ. როხროხოვი ხაზინას ერთიანი საიჯარო თანხის ნაცვლად დახარჯული საღებავის ოდენობის მიხედვით გარკვეულ საფასურს თავაზობდა, ყოველ ბათმან საღებავზე 10 მანეთს[70].

რომ დახარჯული (გაცემული) საღებავის გარკვეულ ოდენობაზე შემსყიდველი გარკვეულ მოგებას იღებდა, ეს კარგად ჩანს ო. არეშოვის მაგალითზე: 1803 წელს იგი სამღებროს იჯარის აღებას ითხოვდა, ხაზინას კი ასეთ პირობას უყენებდა: „რამდენიც სამღებროში საღებავი დასჭირდებოდა იგი თავის ფულით ყიდულობს, ხოლო თანხის იმავე რაოდენობას, რაც აღნიშნული საღებავი ეღირება, ხაზინაში შეიტანს"[71]. ამ ცნობის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოიჯარე საღებავს მის საბაზრო ფასთან შედარებით დაახლოებით ერთისამად მომატებულ ფასში გასცემდა, სხვაგვარად არეშოვის პირობა გაუგებარია, რადგან ფასის ოდენობის თანხა მან ხაზინაში უნდა შეიტანოს და თვითონაც მოგება უნდა დარჩეს.

რომ სამღებროს იჯარის შემოსავალი მღებრებზე (თუ სხვა მრეწველებზე) საღებავის გაცემით განისაზღვრებოდა, ამას შემდეგი ფაქტიც ადასტურებს: 1826 წელს კახეთის სამღებროების

---

69 სამართალი ბატონიშვილი დავითისა, ციტ. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 312.

70 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 131, ფურც. 96—98.

71 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 29, ფურც. 253.

იჯარა გაუცემელი იყო და მას ხაზინა განაგებდა. უშუალო მეთვალყურეობა დავალებული ჰქონდა მთავარ ოსტატს გ. ყარაჯევს[72]. ხაზინასთან სამღებროების შემოსავლის ანგარიშსწორებას იგი დახარჯული საღებავის ოდენობის მიხედვით ახდენდა. მაგრამ ჩქარა ამ დავალებისაგან გაათავისუფლეს, რადგან თურმე „ფულის აკრეფისას, მღებრებზე თავისი საკუთარი საღებავის გაყიდვასაც ეწეოდა“, რაშიც ადრეც ყოფილა შემჩნეული[73]. ყარაჯევის დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ მას სახაზინო სახსრებით ბაზარზე უნდა ეყიდა საღებავი, მომატებულ ფასებში მიეცა მსურველებისათვის, მოგება კი ხაზინაში შეეტანა; თუ იგი ამავე წესით მღებრებს საკუთარი სახსრებით შეძენილ საღებავს მისცემდა, ცხადია, ხაზინის კუთვნილ მოგებასაც თვითონ მიითვისებდა.

ზევით ჩვენ შევეხეთ დავას, რომელიც ალაჯის მწარმოებლებსა და საბეჭდავის მოიჯარეებს შორის გაიმართა ამ ქსოვილზე საბეჭდავის მოსაკრების დაწესების თაობაზე. მწარმოებლებმა აღნიშნული მოსაკრების მოთხოვნის უკანონობის საბუთად ის მოიტანეს, რომ ამ ქსოვილზე სახაზინო გადასახადი უკვე გადახდილია, რადგან მასში ლურჯი ნართიცაა გამოყენებული, „რომელიც თვითონ ოსტატების მიერაა შეღებილი სახაზინო სამღებროში, რისთვისაც მოიჯარადრე ლიტრაზე 1 მანეთს იღებსო“[74].

1825 წელს შულავერის მცხოვრებმა მარტიროს მზითაროვმა სახაზინო ექსპედიციაში თხოვნა შეიტანა; როცა მე ბორჩალოს სახაზინო სამღებროს იჯარადარი ვიყავი, თბილისელ მღებრებს მარკარ ალიხანოვს, გრიქურ მარტინოვს და არაქელ ბაშინჯალოვს აღნიშნულ სამღებროში ბამბეულის სხვადასხვა ქსოვილების შეღებვისათვის ჩემი 552 ჭ. ვალი დაედოთ და ამ თანხის მიღებაში დამეხმარეთო[75].

რაკი მოვალეები თვითონ მღებრები არიან, აშკარაა, რომ სახაზინო სამღებროში თვითონ (თავისი ძალებით) ღებავდნენ საქონელს, ხოლო მოიჯარეს უხდიდნენ გადასახადს, რაც საღებავის მომატებულ ფასში გამოიხატებოდა.

საბუთებში სამღებროს იჯარა ისე სისტემატურად და დაბეჯითებითაა განმარტებული „ღებვის მოსაკრებად“, „სამღებროს ბა-

---

[72] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 925, ფურც. 201—202.
[73] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 962, ფურც. 773.
[74] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 1038, ფურც. 84.
[75] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 869. ფურც. 505.

ეად" ან სამღებროს მოსაკრებად, რომ შეიძლებოდა იგი მხოლოდ ღებვის გადასახადად მიგვეჩნია, იმავე საბუთების მითითებით რომ არ ვიცოდეთ, რომ მოიჯარე საკუთარი სახსრებით ქირაობდა მღებავს, მუშებს, ხშირად სამღებროს შენობას და ინვენტარს და ა. შ. ე. ი. ეწეოდა საკუთრივ ღებვას.

ამრიგად, თითქოს უდავოა, რომ იჯარით გაცემულ სახაზინო სამღებროებში, ერთი მხრივ, წარმოებდა ღებვა თვითონ მოიჯარის ძალებით, რისთვისაც იგი იღებდა ღებვის ფასს, მეორე მხრივ, საკუთრივ ვაჭარ-მწარმოებელთა (შემსყიდველთა) ძალებით, რისთვისაც მოიჯარე მათგან იღებდა ღებვის გადასახადს. ამ ორი ფორმის შეფარდება ყველა რეგიონში ერთნაირი არ ყოფილა, რაზედაც ამ შრომაში სათანადო ადგილას შევაჩერებთ ყურადღებას.

თუ ყველაფერი ეს ასეა და თითქოს არც ერთი არსებული საბუთი ამგვარ გაგებას არ ეწინააღმდეგება, მაშინ ადვილად იხსნება სამღებროთა იჯარის კონტრაქტების თუ სხვა საბუთების ის ერთი შეხედვით გაუგებარი მითითებები, რომლებზედაც ზემოთ იყო საუბარი: ღებვის ფასების განსხვავება ვაჭრებისა და არავაჭრებისათვის იმით იქნებოდა გამოწვეული, რომ პირველნი საქონელს თვითონ, საკუთარი ძალებით ღებავდნენ სახაზინო სამღებროებში და შესაბამისად ძირითადად მხოლოდ საღებავის ფასს იხდიდნენ (რაშიც თავისთავად გადასახადიც იგულისხმებოდა), არავაჭრები კი საქონელს მოიჯარეს აძლევდნენ (ე. ი. ღებვა ხდებოდა მოიჯარეთა ძალებით). შესაბამისად იხდიდნენ ღებვის ფასს, რომელიც, ბუნებრივია, ღებვის გადასახადსაც გულისხმობდა. ამის გამო უკანასკნელნი საბუთებში ხშირად „გარეშე ხალხად" მოიხსენიებიან წინააღმდეგ ვაჭრებისა, რომლებიც ჩანს, აქ შინაურ ხალხად ითვლებოდნენ. რაკი ვაჭრები ღებვას თავის ძალებით ეწეოდნენ, მათ ამის პრაქტიკული საშუალებაც უნდა მისცემოდათ: გარკვეული დროის, გარკვეული ადგილის გამოყოფა და სხვ. ამიტომ კონტრაქტები მოიჯარეებს საგანგებოდ აფრთხილებენ, რომ მათ ვაჭრებს ზიანი არ უნდა მიაყენონ მოცდენით და ა. შ.[76]. ხოლო რადგან არავაჭრის საქონელს მოიჯარე ღებავდა, ამგვარი გაფრთხილება საჭირო აღარ იყო და იგი კონტრაქტებში არც შეჰქონდათ. გასაგებია რატომ შეჰქონდათ კონტრაქტებში საგანგებო შენიშვნა იმაზე, რომ კერძო პირისათვის ღებვის დაწესებული ფასები გამოერთმიათ, თუ ისინი საქონელს სამღებროში ნებაყოფ-

[76] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 349, ფურც. 44—46; იქვე, საქ. 355, ფურც. 23.

ლობით მოიტანდნენ ვინაიდან კერძო პირთა საქონელი მცირე რაოდენობისა იყო, მისი შეღებვა საოჯახო პირობებშიც შეიძლებოდა მოიჯარისაგან შეძენილი საღებავით. ამ შემთხვევაში მოიჯარეს მისთვის ხელი არ უნდა შეეშალა და ამით იგი არ აეძულებინა საქონელი შესაღებად მაინცდამაინც მასთან მოეტანა. ვფიქრობთ, ეველაფერი ნათელია.

*
* * *

მონოპოლიის ფარგლებში მოქცეული ლურჯად ღებვის დადგენილი წესი ზოგიერთი საკითხის განმარტებას მოითხოვს. რაკი სახაზინო სამღებროში არაერთი დამოუკიდებელი მრეწველი ეწეოდა ღებვას, ეს მისი მოცულობის საკითხს უკავშირდებოდა. ე. ი. უნდა გაირკვეს სამღებროთა სიდიდის საკითხი. თუ საღებავის ნობატებულ ფასში გაყიდვა გადასახადის აღების ფორმა და მოიჯარის შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო, უნდა გაირკვეს, როგორ ხდებოდა მისი რეგულირება, როცა საღებავის შეძენის მონოპოლიის უფლებით არაერთი (სახაზინო, საეკლესიო საბატონო) მოიჯარე სარგებლობდა.

დ) ს ა მ ღ ე ბ რ ო ე ბ ი ს მ ო ც უ ლ ო ბ ა. წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა ს ი ა თ ი. განსახილველი ხანის მრავალრიცხოვან მასალაზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ მონოპოლიებში შემავალი (ლურჯად ღებვის) სამღებროები სიდიდით არ გამოირჩეოდნენ, ამდენად სახაზინო სამღებროების მოცულობის შესახებ დღესდღეობით გავრცელებული შეხედულება გადასინჯვას მოითხოვს. აკად. ნ. ბერძენიშვილი, ამოდიოდა რა თბილისის სამღებროს საიჯარო ფასიდან, რომელიც მისი მონაცემებით 520-დან 700 თუმნამდე მერყეობდა, ვარაუდობდა, რომ მისი წმინდა შემოსავალი დაახლოებით 1200 თუმანი უნდა ყოფილიყო; უდარებდა რა მას XIX ს. მიწურულის ყარსის სამღებროს, რომლის წმინდა შემოსავალი 336—504 თუმანი იყო და რომელშიც 10—12 ოსტატი და მუშა მუშაობდა, ასკვნიდა, რომ „ტფილისის სამღებრო XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ყარსის სამღებრო XIX საუკუნის 90-იან წლებში. უკანასკნელი უფრო გორის სამღებროს უახლოვდებოდა“[77]. თუ საიჯარო ფასის მიხედვით

---

[77] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 327.

ვიმსჯელებთ, თბილისის სამღებრო გორისას 4-ჯერ აღემატებოდა, ამდენად ნ. ბერძენიშვილის ვარაუდი საკმაოდ ფრთხილია. წინამდებარე ნაშრომის ავტორმა თავის დროზე ვერ გამოიჩინა ამგვარი სიფრთხილე და სხვადასხვაგვარი მონაცემების შეჯერებით მან მოახერხა საკარაუდოდ „დაედგინა", რომ თბილისის სამღებროში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა 40—60 კაცს აღწევდა[78].

როგორც ირკვევა, თბილისის სამღებრო XIX ს. პირველ მეოთხედში და, ცხადია, XVIII ს. ბოლოსაც გაცილებით დიდი კი არა, გაცილებით პატარა იყო ყარსის ხსენებულ სამღებროზე, მასში შემსყიდველის მეთაურობით სულ დიდი 4—5 კაცი იყო დასაქმებული[79]. ხოლო იმ პერიოდში, როცა სამღებროს იჯარა გაუცემელი იყო და მას ხაზინა უწევდა ექსპლუატაციას, ეს რიცხვი სამ კაცზეც კი ჩამოდიოდა. არ არის გამორიცხული, რომ ამ ხანებში ხაზინის მხრიდან საკუთრივ ღებვა საერთოდ არ წარმოებდა და შემოსავალი სამღებროს გადასახადით განისაზღვრებოდა[80].

---

[78] მ. სამსონაძე, დასახ. ნაშ., გვ. 72—73.

[79] სახაზინო ექსპედიციასთან დადებულ კონტრაქტში საგანგებოდ აღინიშნებოდა, რომ „შემსყიდველმა სამღებროში მუშაკები უნდა იყოლიოს საკუთარ ხარჯზე და ასევე დუქნისათვის, სადაც აღნიშნული სამღებრო იქნება, მეპატრონეს საკუთარი ფული გადაუხადოს" (სცსია, ფ. 254, აღ.I, საქ. 349, ფურც. 32—35). სამღებროს ინვენტარი (ყოველ შემთხვევაში მისი გარკვეული ნაწილი) ხაზინის საკუთრებად მოჩანს. მაგალითად, 1805 წლის ცნობით თბილისის სამღებროში აღნიშნულია სახაზინო ინვენტარი: მომცრო ქვევრი—6, ქვევრი წყლის მოსაკავებლად—1, დოქი საღებავის გადასატანად—1, რკინის ჩამჩა—1, ხის ნიჩაფი—3, სპილენძის ბრტყელი ჯამი—1, დაწული ჩამჩა—1, ხის ჯამი, რომელშიც ნარმას ავლებდნენ—1, სატყეპელი—1. 1806 წელს ამას გარდა აღნიშნულია 5 თიხის ჯამი საღებავის გასალესად, ტილოს ტომარა საღებავის მოსაკავებლად და სხვ. (სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 132, ფურც.247). 1803—1804 წლებში, იმ დროს როდესაც სამღებრო ხაზინის ხელში იყო (ე.ი. როდესაც იგი იჯარით გაუცემელი დარჩა და მის ექსპლუატაციას ხაზინა ეწეოდა) აღნიშნულია სულ 3 თანამშრომელი—1 ოსტატი და 2 მუშა (სცსია, ფ. 254, აღ.I, საქ.34, ფურც.51). აქვე მოსალოდნელია დარაჯის არსებობაც. 1822 წლის ცნობით თბილისის სახაზინო სამღებროს შტატში მოხსენიებულია ზედამხედველი, ოსტატი და მუშა (სცსია, ფ.254, აღ.I, საქ.704, ფურც.178). 1825 წელს მისი შტატი ოთხ კაცამდე გაზრდილი მოჩანს. აღნიშნულია ზედამხედველი (сиделец). მღებარი და 2 მუშა (სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 754, ფურც. 411). ზოგიერთ საბუთში ჩანს „ბერელი", რომელსაც წყლის ზიდვისათვის გარკვეული რაოდენობის გასამრჯელოს უხდიან, მაგრამ სავარაუდოა, რომ იგი შტატში კი არ ირიცხება, არამედ ჩვეულებრივი ქალაქის თულუხჩია, რომელსაც წყლის მოტანისათვის პერიოდულად უხდიან გასამრჯელოს.

[80] ამ აზრს თითქოს ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ სამღებროს იჯარის გაუცემლობის დროსაც მის შტატში მღებავი ((Красильщик) ითვლება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ საბა ტერმინ „მღებარს" ასხვავებს „მღებავისაგან" და პირველს

საიჯარო თანხის მიხედვით თბილისის შემდეგ ყველაზე დიდი ვორის სამღებრო იყო[81]. მაგრამ იმ პერიოდში, როდესაც სამღებროს ექსპლუატაციას ხაზინა საკუთარი ძალებით ეწეოდა, მასში სულ 3 კაცი იყო დასაქმებული— 1 მეთვალყურე და 2 მუშა[82]. ამის გამო, რომ იჯარადარის ხელში აღნიშნულ სამღებროში შემოსავალი ორი გზით შემოდიოდა, საკუთრივ ღებვითა და ღებვის მოსაკრებით (საღებავის გაყიდვით), ხოლო, როგორც დავინახეთ, ხაზინის მიერ სამღებროს ექსპლუატაციის დროს მასში მღებავი საერთოდ არაა მოხსენიებული, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში ხაზინა საკუთარი ძალებით ღებვას არც აქ აწარმოებდა და შემოსავალს მხოლოდ მოსაკრებით იღებდა[83].

შედარებით მოზრდილი საიჯარო თანხით გამოირჩევა, თუმცა გორის და მით უმეტეს, თბილისის სამღებროს გაცილებით ჩამოუვარდება, დუშეთის სამღებრო. 1810 წ. საბუთით მასში 4 კაცია დასაქმებული — 1 შემსყიდველი, რომელიც თვითონ მღებავი იყო და 3 მუშა (სამღებრო 2 კაცს ჰქონდა შესყიდული, მაგრამ წარმოებაში უშუალოდ მონაწილე მღებავი მხოლოდ ერთია)[84]. სამღებრო სახაზინო შენობაში იყო მოთავსებული, მასში 3 ქვევრი იდგა. შემსყიდველები სამღებროს შენობის ხაზინის ხარჯით შეკეთებას და იქ დამატებით 2 ქვევრის დადგმას ითხოვდნენ, რაზედაც ხაზინა თანახმა იყო[85].

მაღალშემოსავლიან სამღებროთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ცხინვალის სამღებროც. 1806 წ. იგი მღვდელ სტეფანე სარქისაშვილის შენობაში იყო მოთავსებული, რისთვისაც შემსყიდველები მას წელიწადში 20 მანეთს უხდიდნენ[86]. არაპირდაპირი მონაცემე-

---

უშუალოდ წარმოებაში მოქმედ პირად კი არა მიიჩნევს, არამედ საღებავის მცოდნე სპეციალისტად, ხოლო ხაზინის ფუნქციაში შედიოდა საღებავის შოვნა და მისი მომხმარებელზე გაცემა და მოსალოდნელია გაზავებაც, მაშინ ამგვარი წინააღმდეგობა მოიხსნება.

[81] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 327.

[82] სცსია, ფ.2, აღ.I, საქ.355, ფურც. 199; იქვე, საქ.1099, ფურც.28.

[83] საბუთი კატეგორიულად ასხვავებს მღებავს ჩვეულებრივი მუშაკისაგან, რაც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთ-ერთი მუშაკის მიერ მღებრის ფუნქციის შესრულება წარმოვიდგინოთ. ამ ფუნქციის შესრულება არ შეეძლო სამღებროს ზედამხედველსაც.

[84] სცსია, ფ.254, აღ.I, საქ.220, ფურც.608.

[85] იქვე, ფურც.609.

[86] იქვე, საქ.132, ფურც.156.

ბით დგინდება რომ მასში სამი კაცი იყო დასაქმებული — 1 მღებავი და 2 მუშაკი[87].

ამავე დროს, ისეთ მცირეშემოსავლიან სამღებროშიც, როგორიც არბოს სამღებრო იყო, ასევე 3 კაცი იყო დასაქმებული. იგი მოთავსებული იყო ქოხში და მის ინვენტარს მხოლოდ ქურა და პატარა ქვევრი შეადგენდა[88].

სრულიად აშკარაა, რომ სამღებროებს შორის საიჯარო ფასების შეტად დიდი განსხვავებულობის პირობებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა არსებითად ერთნაირი იყო და იგი 3—5 კაცს შორის მერყეობდა. ზემოთ მოტანილი მსჯელობის საფუძველზე ამგვარი განსხვავება ადვილი ასახსნელია. რაკი სახაზინო სამღებროებში იჯარის შემოსავალი განისაზღვრებოდა არა მარტო ღებვის ფასით, არამედ ღებვის გადასახადითაც, გასაგებია, რომ უშუალოდ შემსყიდველის ხელში არსებული წარმოება და მისი პერსონალი მხოლოდ ნაწილია სამღებროს საერთო მოცულობის და საერთო პერსონალისა, რომელშიც, როგორც ვნახეთ, ვაჭარი-მრეწველები საკუთარი ძალებით ეწეოდნენ ღებვას. მაგრამ ამ შემთხვევაში განსხვავებული უნდა იყოს თვით სამღებროების მოცულობა, რომლის მთავარი ნიშანი მათში არსებული ქვევრების რაოდენობა იყო. მართლაც, როგორც ირკვევა, ამგვარი განსხვავება არსებობდა: თბილისის სამღებროში იყო 6 ქვევრი, დუშეთისაში — 3; არბოს სამღებროში —1. ეს ასეა, მაგრამ როგორც აღნიშნული სამღებროების მონაცემების 1826—1829 წწ. ქვემოთ მოტანილი შედარება გვარწმუნებს, სამღებროთა მოცულობის (ქვევრების) შეფარდება ერთობ განსხვავდება მათი საიჯარო ფასების შეფარდებისაგან:

ცხრილი 20

სამღებრო	საიჯარო ფასი	დასაქმებული მუშები	ქვევრების რაოდენობა	საშუალოდ 1 მუშაზე	საშუალოდ 1 ქვევრზე
თბილისის	4115	4—6	6	1028—686	686
ბორის	600	3	—	200	—
დუშეთის	320	4	3	80	107
არბოს	8	3	1	27	80

[87] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 132, ფურც. 156.

[88] სცსია, ფ. 90, საქ. 393, ფურც. 24; სცსია, ფ.254, აღ.I, საქ. 869. ფურც. 1059.

თუ წარმოვიდგენთ რომ თბილისის სამღებროს მთელი შემოსავალი (1 ქვევრზე 686 მან.) აღნიშნული სამღებროს ფარგლებში წარმოების შედეგია, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ დუშეთის სამღებრო, სადაც 1 ქვევრზე შემოსავალი სულ 107 მანეთი მოდიოდა, და მით უმეტეს არბოს სამღებრო, სადაც შემოსავალი 1 ქვევრზე 60 მანეთი იყო, შესაბამისად სულ 16% და 14% დატვირთვით მუშაობდა. მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ, როგორც ზემოთ მოტანილი საბუთიდან ჩანდა, დუშეთის სამღებროს შემსყიდველები ხაზინას საწარმოს გაფართოებას და იქ დამატებით 2 ქვევრის დადგმას თხოვდნენ, ხოლო ხაზინა ამაზე დათანხმებულა, იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული სამღებრო გადატვირთული იყო და იგი მოზღვავებული საქონლის დამუშავებას ვერ აუდიოდა. ასეთივე მდგომარეობა იყო თბილისის სამღებროშიც. ამას საგანგებო ახსნა სჭირდება, რასაც მნიშვნელოვნად გაადვილებს სამღებროების იჯარის იმ წესის გარკვევა, რომელიც კახეთსა და ქვემო ქართლში არსებობდა.

ე) სამღებროების იჯარა კახეთსა და ბორჩალოში. კახეთში არსებული ყველა სახაზინო სამღებრო ერთად გაიცემოდა იჯარით. სულ ითვლებოდა 46 სამღებრო — 17 სიღნაღის მაზრაში, 29 თელავის მაზრაში[89]. თუმცა, როგორც ირკვევა, ეს რაოდენობა სრული არასდროს არ ყოფილა. ზოგიერთ საბუთში კახეთის სამღებროს იჯარა მოხსენიებულია როგორც „კახეთის 46 სოფელში აქაური მხარის სხვადასხვა ნაწარმთა ღებვის პრივილეგიისათვის ხაზინის კუთვნილი ბაჟის მოსაკრები“[90]. აღნიშნული იჯარა რუსული ხელისუფლების დამყარებამდე მარიამ დედოფლის მონოპოლიაში შედიოდა, ამიტომ რუსულ საბუთებშიაც იგი ხშირად მარიამისეულად მოიხსენიება[91].

როგორც ითქვა, კახეთის ყველა სამღებრო ერთად გაიცემოდა იჯარით, მაგრამ მთავარი შემსყიდველი ცალკეული მათგანის ექსპლუატაციას თვითონ კი არ ეწეოდა, არამედ თავის მხრივ აღნიშნულ სამღებროებს თითოს, ან ზოგჯერ რამდენიმეს ერთად ცალკეულ პირებზე გასცემდა. თუ როგორი ურთიერთობა მყარდებოდა ხაზინას, მთავარ მოიჯარესა და ცალკეულ მოიჯარეებს შორის, ამაზე პირდაპირი ცნობები ჯერჯერობით არ ჩანს, მაგრამ ამ ურთიერ-

---

89 ხცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 34, ფურც. 19.

90 სცსია, ფ. 2, აღ. I, საქ. 1099, ფურც. 83.

91 სცსია, ფ. 254, აღ. 1, საქ. 54, ფურც. 184.

თობის ხასიათის გარკვევაში შეიძლება წარმოდგენა შეიქმნას იმ ვითარების გათვალისწინებით, რაც მყარდებოდა იმ ხანებში, როცა სამღებროების იჯარა მთავარ მოიჯარეზე გაუცემელი რჩებოდა და მას ხაზინა პატრონობდა.

1822—1826 წლებში აღნიშნული იჯარა 3525 მანეთად იყო გაცემული[92]. 1826 წლიდან შემდეგი საიჯარო ვადის განმავლობაში, რაც ტრადიციით 4 წელს შეადგენდა, იჯარა გაუყიდავი დარჩა და მისი მეთვალყურეობა კახეთის დისტანციის კომისარს დაევალა. იგი შეეცადა ცალკეული სამღებროები სათითაოდ გაეცა იჯარით, როგორც ამას შემსყიდველები აკეთებდნენ, მაგრამ ყველა მათგანის იჯარით გაცემა არ მოხერხდა. როგორც ირკვევა, მთავარ შემსყიდველებს უფლება ჰქონდა სამღებროთა საერთო რაოდენობაში თავისი სურვილისამებრ ცვლილებები მოეხდინა: ზოგი მათგანი შეერთებია, თუ საჭიროდ მიიჩნევდა, ზოგი კი გაეუქმებინა და ა. შ. უნდა განვმარტოთ, რომ გაუქმება აქ (ისევე როგორც საბუთებშიც) პირობითაა ნახმარი. კახეთში ხაზინას არ ჰქონია სამღებროს არც ერთი შენობა და არავითარი ინვენტარი. ყველაფერს ამას შემსყიდველი კერძოდ ქირაობდა[93]. ამრიგად, შემსყიდველს შეეძლო სოფელთა გარკვეული ჯგუფიდან, რომელშიც ტრადიციულად ხაზინას ლურჯი ფერის სამღებროები ჰქონდა, ერთი რომელიმე ამოერჩია და იქ მოეწყო სამღებრო, გასცემდა რა მას ცალკე შემსყიდველზე, ან ზოგიერთ სოფელში საერთოდ არ მოეწყო. ასე მოჭცეულან ის შემსყიდველები, რომელთაც იჯარა 1822—26 წლებში ჰქონდათ და მათ ხელში სიღნაღის მაზრაში არსებული 17 სამღებროს ნაცვლად (არბოშიკის, მირზანის, პრასიანის, მაჩხაანის, ჯუგაანის, სიღნაღის, მაღაროს (ანაგის), ველისციხის, კარდანახის, ბაკურციხის, ჩალაუბნის, ვეჯინის, ფხოველის, ზიარის, კადალის, ...) მხოლოდ 12 სამღებრო მოქმედებდა. საბუთში მითითებულია, რომ არ მოქმედებდა სიღნაღის, მაღაროს, ანაგისა და ველისციხის სამღებროები[94]. არის საფუძველი, რომ აღნიშნული ცნობის სისწორეში ეჭვი შევიტანოთ, რადგან სწორედ აღნიშნულ პუნქტებში საფეიქრო წარმოება ყველაზე მაღალგანვითა-

---

[92] სცსია, ფ. 254 აღ. I, საქ. 925, ფურც. 202.
[93] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 925, ფურც. 198.
[94] სცსია, ფ. 254:, აღ. I, საქ.925, ფურც. 199.

რებული იყო და უნდა ვიფიქროთ, მთავარმა შემსყიდველმა ისინი ცალკეულ შემსყიდველებზე კი არ გასცა, არამედ როგორც ყველაზე შემოსავლიანები, თავის გამგებლობაში დაიტოვა. სწორედ ასე მოიქცა ხაზინაც. საბუთის რწმუნებით ყორღანოვმა აღადგინა აღნიშნული 4 სამღებრო, გარდა ამისა, არბოშიკის, მირზაანის, მაჩხაანის და ჯუგაანის სამღებროები შეუერთა პრასიანის სამღებროს და ისინი (სულ 5 სამღებრო) ხაზინის გამგებლობაში დატოვა. დანარჩენი 7 სამღებრო კი იჯარით გასცა ცალკეულ შემსყიდველებზე[95]. არსებობს არაერთი საბუთი, რომელიც სახაზინო გამგებლობაში დატოვებული ამ 5 სამღებროზე გაწეულ ხარჯებს ასახელებს[96], რაც საშუალებას იძლევა წარმოდგენა შეიქმნას საერთოდ კახეთის სამღებროებზე. ცალკეულ სამღებროში დასაქმებული ჩანს 3—4 კაცი. სამღებროები ნაქირავებ შენობებში იყო მოწყობილი. სამღებროს ძირითადი ხარჯები ასეთია:

ცხრილი 21

სამღებრო	ოსტატის ქირა მან.	ოსტატის ნაშრომის ხარ.	მეშის ქირა მან.	ზედამხედველის (ნოკერის) ქირა	ფასადეულის ქირა
სიღნაღის	60	40	16	72	12
პრასიანის	60	35	15	48	8
მაღაროს	50	25	—	60	10
სიღნაღის	60	40	—	50	5
ეელისციხის	60	—	15	72	8

ამას გარდა, ფასავალში გათვალისწინებული პერსონალის კვების, საღებავისა და სხვა მრავალი ხარჯი. ამავე ხანებში თელავის მაზრის სამღებროებიდან ხაზინამ ცალკეულ შემსყიდველებზე გასცა 15 სამღებრო, აქედან ზოგიერთ სამღებროს ფასი დაჯგუფებულადაა აღნიშნული (ტურისციხის და ჭინჭრიანის — 56 მან.; თელავისა და ორთოზანის — 302 მან.; ენისელის, საბუის და შაქრიანის — 60 მან.), რაც იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ისინი სამმა შემსყიდველმა აიღო ჯგუფ-ჯგუფად. ასე რომ, 15 სამღებროს 10 ცალკეული შემსყიდველი ჰყავდა. იქვე აღნიშნულია,

[95] სცსა, ფ. 254, აღ. I, საქ. 925, ფურც. 199.
[96] იქვე, ფურც.201.

რომ ორი სამღებრო (მატაანისა და ქისტაურის) უმოქმედო ყოფილა[97]. რა ბედი ეწია თელავის მაზრის დანარჩენ სამღებროებს, უცნობია. მაგრამ ამჯერად ეს არ არის მთავარი. მთავარი წარმოების ხასიათის გარკვევაა.

როგორც ვნახეთ, სამღებროს ძირითადი პერსონალი ოსტატი და ნოქარია. თანაშემწემ და მუშაკმა შეიძლება ერთმანეთი შეცვალონ. მაგრამ გარდა ამისა, იჯარაში შემავალი ყველა სამღებროსთვის არსებობდა კიდევ მთავარი ოსტატი, რომელიც ხელფასს სახით 120 მანეთს იღებდა და რომლის მოვალეობასაც თურმე წარმოების საერთო ზედამხედველობა შეადგენდა: „ყველა სამღებროების მთავარი ოსტატი... მოვალეა თავისი ცხენით იაროს სხვადასხვა ადგილებში, რათა გამოასწოროს საღებავი სამღებროებში მისი გაფუჭების შემთხვევაში, იშოვოს საღებავი, საიდანაც რიგია და შეკრიბოს შემსყიდველთაგან თანხა“[98]. აღნიშნული ამონაწერის შინაარსი შეიძლებოდა ისე გაგვეგო, რომ მთავარი ოსტატის ფუნქცია ხაზინის გამგებლობაში დარჩენილი 5 სამღებროს ხელმძღვანელობა (მეთვალყურეობა) და შემსყიდველთაგან საიჯარო თანხის აკრება. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ასე არ ყოფილა. ჩქარა გაჩნდა, რომ აღნიშნული მთავარი ოსტატი (გოგია ყარაჯევი) „ფულის აკრებისას, მღებრებზე საკუთარი საღებავის გასაღებასაც ეწეოდა“, რისთვისაც იგი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლეს[99]. რაკი მთავარი ოსტატის მოვალეობა იჯარით გაცემული ცალკეულ სამღებროთაგან თანხის აკრება იყო, აშკარაა, რომ საკუთარ საღებავს იგი სწორედ იჯარით გაცემული სამღებროების მღებრებზე ასაღებდა. მაგრამ თუ სამღებრო იჯარითაა გაცემული, და მასზე აღებულია მოთხოვნილი ფასი, მაშინ მოიჯარეებს სრული უფლება უნდა ჰქონოდათ საღებავი სადაც სურდათ იქ შეეძინათ. როგორც ჩანს, ეს ასე არ იყო.

1826 წელს, როდესაც ირკვეოდა კახეთის სახაზინო სამღებროების შემოსავლის შემცირების საკითხი, ერთ-ერთი არგუმენტად ის იყო დასახელებული, რომ იჯარით გაცემულ სამღებროებში ეს ორი წელია შავად ღებვა შემოიღეს, რაც სახაზინო შემოსავალს მნიშვნელოვან ზიანს აყენებსო[100]. სხვა საბუთში მითითებულია,

---

97 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 925, ფურც. 199.
98 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 926, ფურც. 982.
99 სცსია, ფ. 254, ღ. I, საქ. 962, ფურც. 373.
100 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 925, ფურც. 199.

რომ შავად ღებვა სამღებროების ყოფილმა მთავარმა შემსყიდველებმა საკუთარი მოგების გაზრდისთვის შემოიღეს და გამოთქმულია აზრი, რომ ამის შემდეგ შავად ღებვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ იმ სამღებროებში, რომლებიც ხაზინის უშუალო გამგებლობაშია[101] (იგულისხმება იჯარით გაუცემელი 5 სამღებრო). როგორც ჩანს, ხაზინა და, შესაბამისად მთავარი შემსყიდველი, როცა სამღებროები მთლიანად იყო გაცემული ცალკეული სამღებროების უშალო მწარმოებლებზე, იჯარით გაცემის შემთხვევაში მას მხოლოდ ღებვის პრივილეგიას გადასცემდა, ხოლო საღებავის გაყიდვის მონოპოლია ხაზინის ან მთავარი შემსყიდველის ხელში რჩებოდა. სწორედ ამიტომ მთავარ ოსტატს (რომელსაც სამღებროების მთლიანად გაცემის შემთხვევაში ძირითადი შემსყიდველი ქირაობდა) ევალებოდა არა მარტო საიჯარო ფულის აკრება, არამედ საღებავის შეძენა და აღნიშნული საღებავით სამღებროების მომარაგებაც. ე. ი. მთავარი შემსყიდველი (ან ხაზინა, როცა გაუცემელი იყო) ცალკეულ შემსყიდველს იჯარით აძლევდა შენობავლის მხოლოდ ერთ ნაწილს, მეორეს კი თვითონ იტოვებდა.

ეს რომ ნამდვილად ასე უნდა ყოფილიყო, ამას შემდეგი ფაქტი ადასტურებს: არის შესაძლებლობა სხვადასხვა საბუთებით მიახლოებით დადგინდეს მთავარი შემსყიდველის მიერ იჯარით ცალკეულად გაცემულ სამღებროთა ფასები, მთლიანად მათი ოდენობა 1824 წელს არ აღემატებოდა 2330 მანეთს, მაშინ როდესაც თვით ძირითად მოიჯარეს ეს სამღებროები ხაზინისაგან 3525 მანეთად ჰქონდა მიღებული. ეს თანხა მას ხაზინაში უნდა შეეტანა, ნაგრამ გარდა ამისა საჭირო იყო უამრავი ხარჯის გასტუნრება და მოიჯარეს მოგებაც უნდა დარჩენოდა. როგორც ჩანს, ამ დეფიციტის დაფარვა სამღებროს იჯარის შემოსავლის მეორე წყაროდან, საღებავის გაყიდვიდან (მომატებულ ფასად გაცემით) ხდებოდა.

ამრიგად, განხილული მასალის საფუძველზე სამღებროს იჯარა კახეთში შემდეგნაირად წარმოგვიდგება: შემსყიდველი (ხშირად ორი-სამი კაცისგან შედგენილი კომპანია) საჯარო ვაჭრობის წესით მიიღებდა აღნიშნულ იჯარას. ხაზინასა და შემსყიდველს შორის ფორმდებოდა კონტრაქტი, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო შემსყიდველის უფლება-მოვალეობები. ამის შემდეგ მთავარი შემსყიდველი სამღებროს ან შეიძლება სამღებროთა ჯგუფს თავის მხრივ იჯარით აძლევდა ცალკეულ შემსყიდველებს, რაც აღნიშნუ-

---

[101] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 926, ფურცუ. 982.

ლი სამღებროს ტერიტორიული მონოპოლიის ფარგლებში ღებვის (მოსალოდნელია სასაქონლო სახის საფეიქრო ნაწარმის) პრივილეგიას წარმოადგენდა, ხოლო მათი საღებავით მომარაგების საქმეს და გარკვეულად ღებვის ტექნოლოგიაში ჩარევის უფლებას (სამღებროებში საღებავის გაფუქების შემთხვევაში მისი გამოსწორება და სხვ.) თავის ხელში იტოვებდა. მიჰყიდდა რა მათ საღებავს „ზომიერად მომატებულ" ფასში, ამით მნიშვნელოვან მოგებას იღებდა, რაც მისი შემოსავლის ძირითადი წყარო უნდა ყოფილიყო. ცხადია, არ არის გამორიცხული აღნიშნული წესიდან ცალკეული გადახვევებიც. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში ცალკეულ მოიჯარეებზე საღებავის გაყიდვის პრივილეგიის გადაცემაც ცალკეული სამღებროს ტერიტორიული მონოპოლიის ფარგლებში. შესაძლებელია ამგვარმა გადახვევებმა 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში იმატა.

ისევე როგორც კახეთის სამღებროები, „ბორჩალოსა და გატეხილი ხიდის ზევით არსებული" სახაზინო სამღებროებიც ერთად გაიცემოდა იჯარით. საბუთებში მითითებულია, რომ იჯარით გაიცემა „ბორჩალოს დისტანციასა და გატეხილი ხიდის ზევით არსებული სახაზინო სამღებროები; სახელდობრ: დიდ მუღანლოში — 1; ბორჩალოში — 2; შულავერში — 1, კოლაგირში — 1 და ბოლნისში —1 და ბორჩალოს დისტანციაში სხვადასხვა მცხოვრებთა— 7"[102]. უფრო მოგვიანებით (1811 წ.) საბუთში ამ რიცხვს დამატებული აქვს კოშაკლისის სამღებრო[103].

სახაზინო სამღებროებში „ბორჩალოს სხვადასხვა მცხოვრებთა 7 სამღებროს" მოხსენიება განმარტებას მოითხოვს. როგორც ირკვევა, კახეთის ვითარებისაგან განსხვავებით, ამ რეგიონში სამღებროთა შენობების და ინვენტარის ნაწილი ხაზინის საკუთრებას შეადგენდა. ეს სწორედ ის სამღებროებია, რომლებიც ცალ-ცალკეა ჩამოთვლილი. ამას კონტრაქტებში შეტანილი შემდეგი საგანგებო მუხლი ადასტურებს მოიჯარემ „სადაც სახაზინო სამღებრო არის მიიღოს აღწერით... და შეინახავს რა მათ გამართულად, შეკეთებაზე დახარჯავს საკუთარ თანხას... თუკი რომელიმე ადგილას სახაზინო სამღებრო არ არის, დაიქირავებს მცხოვრებლებისაგან ნებაყოფლობით ფასად"[104]. აშკარაა, რომ აღნიშნულ საბუთში

---

[102] სცსია, ფ. 2, აღ. I, საქ. 355, ფურც. 217.
[103] იქვე, ფ. 254, აღ. I, საქ. 257, ფურც. 115.
[104] იქვე, საქ. 385, ფურც. 99.

ლაპარაკია კონკრეტულ სამღვბროებზე და არა ღებვის პრივილეგიაზე. რადგან ყველა იმ სოფელში რომელშიც ხაზინას ღებვის პრივილეგია ეკუთვნოდა, მას სამღვბროს შენობა და ინვენტარი არ გააჩნდა, ბორჩალოში კი ამგვარი შენობა ორი ჰქონია. ამდენად, იმ სოფლებში, სადაც ღებვის პრივილეგია აქვს, მაგრამ სახაზინო შენობა არ არსებობს, შემსყიდველმა იგი უნდა დაიქირავოს.

თბილისის, კახეთისა და სხვათაგან განსხვავებით, აქ სამღებროს იჯარის კონტრაქტში არ შეჰქონდათ საგანგებო მუხლი იმის თაობაზე, რომ შემსყიდველმა უნდა შეიძინოს საღებავი, დაიქიროვოს მღებარი, აწარმოოს ღებვა და მიიღოს შემოსავალი და ა. შ. აქ კონტრაქტებში, მას შემდეგ, რაც ჩამოთვლილია თუ სხვადასხვა სახის ქსოვილების სხვადასხვა ტონალობით შეღებვაში რა ფასი უნდა აიკრიფოს, მხოლოდ ისაა მითითებული, რომ შემსყიდველმა უნდა „აიღოს ეს მოსაკრეფი თავისი მუშაკებით, და არ გამორიცხოს ისინიც, ვინც ყოფილი... ქართველი შეფეების სიგელებით... აქამდე თავისუფალი იყვნენ"[105]. ეს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ „ბორჩალოს დისტანციასა და გატეხილი ხიდის ზევით არსებული» სამღებროების ძირითადი შემსყიდველი უფრო მეტად იყო ჩამოცილებული უშუალოდ წარმოებას, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა კახეთის სამღებროებში. ცხადია, ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას (და ამის მაგალითიც არსებობს), რომ ძირითად შემსყიდველს, თავის მხრივ გასცემდა რა ცალკეულ სამღებროებს, ჯარით თავის გამგებლობაში დაეტოვებინა ერთ-ერთი მათგანი და იქ უშუალოდ თვითონ ეწარმოებინა ღებვა.

ძნელია დაბეჯითებით იმის დადგენა, თუ როგორ და რა პირობით ხდებოდა ცალკეული სამღებროების ცალკეულ საქმოსნებზე გადაცემა. როგორც ვნახეთ, კახეთში ეს საიჯარო ფასის გადახდევინებით ხდებოდა. ამგვარი მაგალითები ამ შემთხვევაშიც არის, მაგრამ რატომღაც ყველა საბუთი, რომელიც ამ რეგიონში ცალკეული შემსყიდველის მიერ სამღებროს იჯარით აღებას ადასტურებს, 1831 წლით და მისი შემდგომი ხანით თარიღდება[106]. იქნება ეს გარემოება მასალის სინაკლულის ბრალია, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ამ პერიოდში ტრადიციულად არსებულმა წესმა რაიმე ცვლილება განიცადა. ყოველ შემთხვევაში 1831 წლამდე და შემ-

---

[105] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 385, ფურც. 100.

[106] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 1208, ფურც. 63—64; იქვე, საქ. 1209, ფურც. 228; იქვე, საქ. 1213, ფურც. 322.

ღებაც მთავარი შემსყიდველები ცალკეულ სამღებროებს გადასცემდნენ ცალკეულ საქმოსნებს, რომლებიც თავის მხრივ იღებდნენ სამღებროს კუთვნილ მოსაკრებს და მას (მის ნაწილს?) პერიოდულად ძირითად შემსყიდველს აძლევდნენ. მაგალითად, 1822 წლის ერთ-ერთ საბუთში შემსყიდველები აცხადებენ, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში „შეკრებილი საიჯარო თანხა მათთანაა, ვისაც ბორჩალოს სხვადასხვა მცხოვრებთა სამღებროები უპირავთო“[107]. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ითქვა, იმ ადგილებში, სადაც ხაზინას სამღებროებისათვის საკუთარი შენობები და იარაღი არ ჰქონდა, შემსყიდველი მათ ბორჩალოს სხვადასხვა მცხოვრებლებისაგან ქირაობდა. ასე რომ, მოტანილ ამონაწერში სწორედ მათზეა საუბარი. ამ ამონაწერის მიხედვით შეიძლებოდა წარმოგვედგინა, რომ იჯარით სწორედ ის სამღებროები გაიცემოდა, რომლებსაც საკუთარი შენობა და ინვენტარი არ გააჩნდათ, მაგრამ უფრო გვიანდელ (1831 წ.) საბუთებში, სადაც სამღებროთა ცალკეულად იჯარით გაცემაზეა ლაპარაკი, ამ კატეგორიის სამღებროთა შორის ისინიც მოიხსენიებიან, რომლებიც საბაზინო შენობაში იყვნენ მოთავსებულნი. იმავე ხანების სხვა საბუთში შემსყიდველები ჩივიან ვინმე პეტრუზ მხითაროვზე, რომელმაც, მათი თქმით, „ბოროტად გამოიყენა შემსყიდველთა ნდობა მღებრებისაგან ბაქის აღების თაობაზე და მიითვისა მის მიერ შეკრებილი შემოსავალი“[108]. საქმის შემდეგი შინაარსიდან ირკვევა, რომ აღნიშნული მხითაროვი თავის დროზე პრეტენზიას აცხადებდა „ბორჩალოს... სამღებროების იჯარის“ შესყიდვაზე, მაგრამ საჯარო ვაჭრობაში დამარცხდა. როგორც მისივე განცხადებიდან ჩანს შემდგომში მას მოლაპარაკება გაუმართავს შემსყიდველებთან და მათგან გამოუსყიდია იჯარის ნაწილი, რის საფუძველზეც შულავერის სამღებროში მნიშვნელოვანი საშენებლო სამუშაოები ჩაუტარებია[109]. ამდენად იგი ცალკეულ შემსყიდველად კი არა, უფრო ძირითად შემსყიდველთა კომპანიონად უნდა იქნას მიჩნეული. უფრო გვიან კი მან საერთოდ გამოისყიდა აღნიშნული იჯარა.

აშკარა ის არის, რომ აღნიშნულ სამღებროში ღებვას აწარმოებენ დამოუკიდებელი მღებავები, უფრო სწორად, დამოუკიდე-

---

[107] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 705, ფურც. 532—533.

[108] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 704, ფურც. 561.

[109] იქვე.

ბელი საქმოსნები, რომლებიც შეიძლება მღებავიც იყვეს და ვაჭარი მწარმოებელიც, რომელსაც მღებავი ჰყავს დაქირავებული, რისთვისაც შემსყიდველს სათანადო გადასახადს — ბაჟს უხდიან. ამას, გარდა ცალკეული ხასიათი მინიშნებებისა, აშკარად ადასტურებს ის საბუთი, რომელშიც შემსყიდველი ჩივის 3 თბილისელ მღებავზე, რომლებსაც ბორჩალოს სამღებროებში თავიანთი საქონლის შეღებვისათვის შემსყიდველის ვალი დაედოთ. არსებული მასალა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დადგინდეს თუ კონკრეტულად რა წესით ხდებოდა აღნიშნული ბაჟის აკრეფა, მაგრამ არ არსებობს იმის საფუძველი, რომ ეს წესი პრინციპულად განსხვავებულად წარმოვიდგინოთ კახეთში არსებული ტრადიციისაგან და ეჭვი არ არის, აქაც იგი ძირითადად საღებავის ფასში გამოიხატებოდა.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: 1. კახეთის სამღებროების იჯარაში ურთიერთობის წამყვანი ფორმა იმაში მდგომარეობს, რომ ძირითადი შემსყიდველი სამღებროებს ურიგებს ცალკეულ შემსყიდველებს და მათგან ორმაგ შემოსავალს იღებს: ა) ღებვის პრივილეგიური უფლებისათვის — საიჯარო ფასს და ბ) ღებვის გადასახადს — რაც მათზე საღებავის ჭომატებული ფასით მიყიდვაში გამოიხატება.

2. მოსალოდნელია, რომ თავის მხრივ ცალკეული შემსყიდველები ყოველთვის უშუალოდ თვითონ კი არ აწარმოებენ ღებვას, არამედ სათანადო გასამრჯელოსათვის იჯარით აღებულ სამღებროში ამის ნებას აძლევენ დამოუკიდებელ მღებრებს, ან ვაჭარი მწარმოებლების მიერ დაქირავებულ მღებრებს. აქედან ღებვის ფასის განსხვავება ვაჭარ-მრეწველებისათვის და „გარეშე" პირთათვის, რასაც შეტ-ნაკლები ზომით ადგილი აქვს აღმოსავლეთ საქართველოს ყველა იჯარით გაცემულ სახაზინო სამღებროში.

3. უკანასკნელი მომენტი განსაკუთრებით აშკარად ჩანს ბორჩალოს დისტანციასა და გატეხილი ხიდის ზევით არსებული სამღებროების იჯარით გაცემის წესში. აქ უნდა ვიფიქროთ, წარმოების წამყვანი ფორმა დამოუკიდებელ მღებრებზე (საქმოსნებზე, ვაჭარ-მრეწველებზე) საიჯარო სამღებროში ღებვის უფლების მიცემა იყო. მართალია, დასტურდება მთავარი მოიჯარის მიერ ცალკეული სამღებროს კერძო პირებზე იჯარით გაცემის პრაქტიკაც, მაგრამ არსებული მასალა ამ ფორმის გავრცელებას არ ადასტურებს.

ვ) სამღებროთა ტერიტორიული მონოპოლია და სამღებროთა რაოდენობა. რაკი ასე თუ ისე

გაირკვა კახეთისა და ქვემო ქართლის სამღებროების იჯარით გაცემისა და ეკსპლუატაციის წესი, შეიძლება გაგრძელდეს შეწყვეტილი მსჯელობა სამღებროების მოცულობისა და მათი საიჯარო ფასის შეფარდების შესახებ. როგორც ვნახეთ, ეს შეფარდება ერთობ განსხვავებული იყო: თუ თბილისის სამღებროს 1 ქვევრზე ¢86 მანეთი მოდიოდა, დუშეთში ეს თანხა შეადგენდა 107 მანეთს, არბოში კი 80 მანეთს.

საფეიქრო წარმოების აღმავლობას უნდა გაეძლიერებინა საიჯარო სამღებროთა რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდის ტენდენცია. მაგრამ, როგორც ვნახეთ ლურჯად ღებვის საქმის მონოპოლია რაოდენობრივ ზრდას შეუძლებელს ხდიდა. ცალკეული სამღებროს მოცულობის ზრდას კი აბრკოლებდა აღნიშნული მონოპოლიის არსებული იჯარა-შესყიდვის წესი: მოიჯარე არ იყო დაინტერესებული სამღებროს გაფართოებით, მასზე დამატებითი ხარჯების გაწევით, რადგან იჯარა ფას დროებით ეჭირა, ხაზინას კი სამღებროს შენობები და ინვენტარი უმრავლეს შემთხვევაში საერთოდ არ ეკუთვნოდა და მათ მოწყობაზე თუ გაუჯობესებაზე თავს არც იწუხებდა, რადგან იჯარიდან იგი გარკვეულ შემოსავალს მაინც იღებდა. მაგრამ ამ თითქოსდა დაჩიხული მდგომარეობიდან რაღაც გამოსავალი მაინც უნდა ყოფილიყო, სხვაგვარად ვერ აიხსნება ის უდავო ფაქტი, რომ თბილისის სამღებროს შემოსავალი, რომელშიც, როგორც ვნახეთ. 6 ქვევრი იდგა, გაცილებით მეტი იყო ვიდრე ერთად აღებული კახეთის ყველა სამღებროს შემოსავალი, რომლებშიც სულ ცოტა 46 ქვევრი მაინც იდგა.

საქმე შემდეგშია. როგორც ჩანს, იჯარით გაცემა ითვალისწინებდა არა კონკრეტულ სამღებროს, არამედ გარკვეულ რეგიონში (გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში) ლურჯად ღებვის მონოპოლიას (ან ლურჯი საღებავის მოხმარების მონოპოლიას). ამიტომ მოიჯარე საფეიქრო წარმოების მოთხოვნილების შესაბამისად თვითონ წყვეტდა რამდენი კონკრეტული სამღებრო (დუქანი, საჭელოსნო) იყო საჭირო მისი იჯარის ტერიტორიული მონოპოლიის ფარგლებში და შესაბამისად იმდენს ქირაობდა, ან ზოგჯერ აწყობდა კიდეც მსუბუქი ტიპის ფარდულებს. სიღნაღის მაზრის კაპიტან ისპრავნიკის 1803 წლის 3. ციციანოვისადმი გაგზავნილი პატაკიდან აშკარად ჩანს, რომ მისდამი რწმუნებული მაზრის ზოგიერთ სოფელში მოიჯარეთა გამგებლობაში ზოგჯერ რამდენიმე დუქანი იყო და რომ მოიჯარეს უფლება ჰქონდა თავის სურვილისამებრ 3 დუქნის ნაცვლად ემუშავებინა ერთი ან ერთი დუქნის

ნაცვლად მოეწყო სამი[110]. ზევით მოტანილი მაგალითიდან დავინახეთ, რომ ბორჩალოს სამღებროს მოიჯარემ აქ რამდენიმე დუქანი მოაწყო, რაზედაც მნიშვნელოვანი თანხა დახარჯა[111]. არის ცნობა, რომ გორის სამღებრო ორ დუქანში იყო მოწყობილი[112]. ამგვარი მაგალითი სხვაც არაერთია.

რაკი ვიცთ, რომ სამღებროთა პერსონალი ჩვეულებრივ 3—4 კაცისაგან შედგებოდა, ხოლო ამ ძალებით რამდენიმე სამღებროს ექსპლუატაცია შეუძლებელია, სრულიად ლოგიკურია ვარაუდი, რომ შემსყიდველი, რომელსაც განგებლობაში რამდენიმე კონკრეტული სამღებრო დუქანი ჰქონდა, მათ ღებვის წარმოების მსურველებს ურიგდება გარკვეულ საფასურად. ე. ი. ფაქტიურად იქმნებოდა იგივე ვითარება, როგორც ეს იყო კახეთის სამღებროებში. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ ცალკეულ სამღებროს მონოპოლიის თავისი გარკვეული რეგიონი ჰქონდა (სოფელი, ან რამდენიმე სოფელი), რომელსაც ის ემსახურებოდა[113]. აქ კი იგივე სურათი იქმნება ერთი გარკვეული რეგიონის ფარგლებში. ამ იგივად მოიჯარეს შეეძლო ჰქონოდა ერთი სამღებრო, რომელსაც იგი თავისი ძალებით ამუშავებდა, ხოლო დანარჩენ (ნაქირავებ ან მოწყობილ) დუქნებში იგი სხვებს აძლევდა მუშაობის საშუალებას შუამავად ან პერიოდულად[114], ერთი სიტყვით, აქირავებდა. თუ ყველაფერი ასეა, მაშინ სრულიად ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ მოიჯარე გარკვეული გასამჯელოს საფასურად ცალკეულ მრეწველებს ნებას აძლევდა ლურჯად ღებავ თავიანთ კერძო სამღებროებში ეწარმოებინათ; როგორც ჩანს, ეს ასეც ხდებოდა.

კონტრაქტებში სხვადასხვა ფორმით საგანგებო პუნქტი შეჰქონდათ იმის შესახებ, რომ, თუ სამღებროს ტერიტორიული მონოპოლიის ფარგლებში ადგილი ექნება „რაიმე საგნების უნებართვო ღებვას"[115], მის აღსაკვეთად ხაზინამ საგანგებო ზომები უნდა მიიღოს და ა. შ. ნებართვის მიცემის უფლება კი მოიჯარის კომპეტენციაში შედიოდა. 1831 წელს დუშეთის სამღებროს შემსყიდ-

---

110 სცსია, ფ. 2, აღ. 1, საქ. 51, ფურც. 163.

111 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 704, ფურც. 561.

112 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 655, ფურც. 461.

113 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 257, ფურც. 115.

114 1830—1832 წლებში დუშეთის სამღებრო გაუცემელი დარჩა და ხაზინა შემოსავალს იმით იღებდა, რომ მას თვეობით აქირავებდა მსურველებზე. სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 1208, ფურც. 487.

115 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 257, ფურც. 1019.

ველი სახაზინო ექსპედიციაში ჩივის ახალგორსა და ჭალაში სამ-
ღებროებში ჩემი ნებართვის გარეშე ეწევიან ღებვას, ამის გამო
მე ეზარალობ და ზომები მიიღეთო[116]. მაშასადამე, მისი ნებარ-
თვით ამგვარი რამ დასაშვები იყო.

1807 წელს ა. ხიმშიაშვილი სახაზინო ექსპედიციაში შედის
თხოვნით, რომლის შინაარსი აშკარად ადასტურებს წამოყენებულ
აზრს. აღნიშნულ ა. ხიმშიაშვილს დუშეთის სამღებროს მოიჯარის
ნებართვით ბულაჩაურში სამღებრო მოუწყვია, რის სამაგიერო-
დაც მოიჯარეს 30 მანეთი გადაუხადა. ახლა მას სურს ეს სამღებ-
რო დააკანონოს და სამაგიეროდ დუშეთის სახაზინო სამღებროს
მოიჯარის სასარგებლოდ ყოველწლურად 30 მანეთის გადახდას
კისრულობს[117]. ხაზინამ აღნიშნული თხოვნა არ დააკმაყოფილა,
მაგრამ მთავარი ისაა, რომ საიჯარო ვადის პერიოდში და სამღებ-
როს ტერიტორიული მონოპოლიის ფარგლებში (განხილულ შემ-
თხვევაში ბულაჩაური დუშეთის სამღებროს ტერიტორიული მო-
ნოპოლიის ფარგლებში იყო მოქცეული) შემსყიდველს შეეძლო
ლურჯად ღებვის უფლება მიეცა კერძო სამღებროებისათვის,
ცალკეული საქმოსნებისათვის.

ამრიგად, სახაზინო იჯარის შემოსავალი განისაზღვრებოდა
არა მარტო ამ იჯარაში გაერთიანებული სამღებროების მოცულო-
ბით და მასში მიმდინარე წარმოების პროცესით, არამედ მისი ტე-
რიტორიული მონოპოლიის ფარგლებში საფეიქრო წარმოების დო-
ნით. საქონლის მოზღვავების შემთხვევაში, როდესაც სახაზინო
სამღებრო მის დამუშავებას ვერ აუდიოდა, იგი მას გარკვეული
გასამჯელოს ფასად ცალკეულ კერძო სამღებროებს უნაწილებდა.
მაგრამ მოიჯარესა და ცალკეული სამღებროს მეპატრონეს (საქ-
მოსანს) შორის ურთიერთობა ამით არ მთავრდებოდა. უნდა ვი-
ფიქროთ, რომ იტოვებდა რა თავის ხელში საღებავის გაყიდვის,
ანუ ღებვის გადასახადის მონოპოლიას (როგორც ამას ადგილი
ჰქონდა კახეთის სამღებროს მთავარ შემსყიდველსა და ცალკეული
სამღებროების შემსყიდველებს შორის) სახაზინო სამღებროს მოი-
ჯარე ამით ცალკეული სამღებროებიდან მნიშვნელოვან (შეიძლება
ძირითად) შემოსავალს იღებდა. ამით იყო განპირობებული თბი-
ლისისა და შეიძლება ზოგიერთი სხვა სახაზინო სამღებროს მაღა-
ლი შემოსავალი. თბილისის სამღებრო, ეჭვი არ არის, ზემოაღ-

---

116 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 1208, ფურც. 488.
117 იქვე, საქ. 441, ფურც. 342.

ნიშნული პირობით, ლურჯად ღებვის პრივილეგიას თბილისის არაერთ კერძო სამღებროს უნაწილებდა, რომლებიც, სავარაუდოა, მოცულობით არამცთუ არ ჩამოუვარდებოდნენ მას, არამედ ზოგიერთი მათგანი მნიშვნელოვნადაც აჭარბებდა.

საქართველოში ღებვის მონოპოლია ეკუთვნოდა ხაზინას, ეკლესიას და ფეოდალებს, თუმცა უკანასკნელთა ხვედრითი წილი მასში შედარებით მცირე იყო. ყოველ ცალკეულ სამღებროს (ცალკეულ მონოპოლიას) თავისი დაკანონებული ტერიტორიული საზღვრები გააჩნდა, რომლის ფარგლებში იკრძალებოდა არამცთუ უნებართვოდ წარმოება, არამედ მასში სხვა რეგიონიდან ნაწარმის (ლურჯი ფერის საფეიქრო ნაწარმის) შემოტანა და დასამუშავებელი ნედლეულის გატანაც კი. ამ აზრის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითის მოტანაც საკმარისია: 1811 წელს თიანეთის სამღებროს მოიჯარის მოთხოვნით გააუქმეს ერწოს სამღებრო, რადგან ერწო თიანეთის სამღებროს იჯარის ტერიტორიაში შედიოდა, სამღებრო კი ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვით იყო მოწყობილი და იჯარით გაცემული[118]. 1806 წელს დუშეთის სამღებროს შემსყიდველმა, სახაზინო ექსპედიციაში საჩივარი შეიტანა საიჯარო ფასის დაკლების შესახებ იმ მოტივით, რომ მუჰადიჯვრის სახაზინო სამღებროს შემსყიდველი დუშეთში დამზადებულ ქსოვილებს ღებავს და ამით ზიანს მაყენებსო[119]. ავჭალის, გურამიშვილების სამღებროს შემსყიდველი ყოველწლიურად დადგენილ თანხას უხდიდა თბილისის სამღებროს მოიჯარეს იმის საფასურად, რომ აქ თბილისისა და მის ფარგლებში დამზადებული ქსოვილიც შემოდიოდა შეღებად[120]. შემსყიდველებს შორის კონკურენციის შენელების მიზნით არსებული ტრადიციის საფუძველზე იკრძალებოდა ღებვის დადგენილი ფასების დაკლება. გასული საუკუნის 20-იან წლებში კახეთის სამღებროს შემსყიდველები ჩივიან, რომ საეკლესიო სამღებროების მოიჯარეები „თავისთვის მეტი გამორჩენის და ამით სახაზინო შემოსავლის შეფერხების მიზნით... სხვადასხვა საგნებს შეღებად მნიშვნელოვნად დაბალ ფასებში იღებდნენ"[121]. ამავე ხანებში თბილისის სამღებროს შემსყიდველებმა ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად მიაღწიეს დუშეთის მაზრაში დამ-

---

118 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 257, ფურც. 1083—1087.

119 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 131, ფურც. 223.

120 სცსია, ფ. 1010, საქ. 338, ფურც. 3.

121 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 961, ფურც. 10.

ზადებული და იქ ლურჯ ფერად შეღებილი ქსოვილების თბილისში შემოტანის აკრძალვას[122] ამგვარი მაგალითები მრავალია.

არსებული მასალა მეტად მწირ ცნობებს შეიცავს საეკლესიო და საფეოდალო სამღებრო მონოპოლიების შესახებ: მიუხედავად ამისა, ყველა საფუძველი არსებობს ვივარაუდოთ, რომ ურთიერთობის ხასიათი აქ პრინციპულად არ განსხვავდებოდა იმისგან, რაც სახაზინო სამღებროებში იყო დამყარებული. აქაც მონოპოლია იჯარით გაიცემოდა. ზოგჯერ საეკლესიო და სახაზინო, ან სახაზინო და საბატონო სამღებროები ერთი და იმავე პიროვნების ხელში იყო. ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როცა ცალკეული სამღებროს შემოსავალს ეკლესია და ხაზინა ერთმანეთში იყოფდა. ყველაფერი ეს მათ პრინციპულ ერთგვაროვნებაზე მიუთითებს.

მეტად ცოტა რამ ვიცით დასავლეთ საქართველოს სამღებროების შესახებ. ერთი ცხადია, იქაც, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, აღნიშნულ მონოპოლიას იყოფდა ხაზინა, ეკლესია და ფეოდალები.

სამღებროს შემოსავალი იმერეთის სამეფო შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მუხლი იყო. იგი იჯარა-შესყიდვის წესით და, უნდა ვიფიქროთ, არსებითად იმავე პრინციპებზე გაიცემოდა, როგორც ამას აღმოსავლეთ საქართველოში ჰქონდა ადგილი. არსებობდა ღებვის ჩამოყალიბებული ფასები, რომელიც საღებავის ფასით განისაზღვრებოდა. მაგალითად 8-ადლიანი თოფის „პირველ ყველაზე საუკეთესო ფერად" შეღება 200 ფარა ღირდა, მეორე ხარისხისა 104 ფარა, მესამე — 80 და მეოთხე — 52"[123]. სავარაუდოა, რომ აქ იგულისხმება მუქი ლურჯი, ლურჯი, ღია ლურჯი და ცისფერი. იმერეთის ყველა სახაზინო სამღებრო ერთად გაიცემოდა იჯარით. 10-იან წლებში ამგვარი სამღებრო (ღებვის უფლება?) ექვსი იყო აღნიშნული[124]. უფრო გვიან (20-იან წლებში) — 7. აქ უნდა დამატებოდა შროშის აბაშიძეების ყოფილი სამღებრო, რომელიც ამ ხანებში ხაზინის ხელში გადავიდა და რომლის საიჯარო ფასი 80 მანეთს შეადგენდა[125]. იმერეთის აჯანყებისა და მის მომდევნო პერიოდში სამღებროს, ისევე როგორც სხვა სახაზინო საიჯარო მუხლების შემოსავალი, ერთობ დაცემულია: 1810 წელს

---

[122] სცსია, საქ. 927, ფურც. 618.
[123] იქვე, ფ. 16, საქ. 1604, ფურც. 5.
[124] იქვე.
[125] იქვე, ფ. 90, საქ. 477, ფურც. 77.

ქუთაისის სამღებრო, რომელიც იმერეთის სამღებროში შემოსავლის სიდიდით, როგორც ჩანს, გამორჩეული იყო, 850 მანეთად გაიცა იჯარით[126]. 1813 წელს იმერეთის ყველა სამღებრო ბაეთან ერთად იჯარით გაცემულია 5000 მანეთად, 1814 წელს 8000 მანეთად, 1816 წელს 10 000 მანეთად[127]. როგორც ჩანს, ბაეებისა და სამღებროების შემოსავალი მნიშვნელოვნად მატულობდა, რაც ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების თანდათანობით ნორმალიზაციის შედეგი იყო. 1825 წელს იმერეთის ყველა სახაზინო (7) სამღებრო ერთად გაიცა იჯარით 3490 მანეთად[128].

ამრიგად, ყველა საფუძველი არსებობს იმ ვარაუდის გამოსათქმელად, რომ სამღებროების იჯარის და ღებვის მონოპოლიის წესი დასავლეთ საქართველოშიც ძირითადად იმავე ხასიათისა იყო, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში.

მოტანილი მასალის განხილვის შედეგად მიღებული დასკვნები მოკლედ შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს: სამღებროებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ განსახილველი ხანის საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. ისტორიოგრაფიაში დღეისთვის არსებული სამღებროების შეფასება დაზუსტებას მოითხოვს. ღებვის მონოპოლია ვრცელდებოდა არა ყოველგვარ ღებვაზე, არა ყველა სამღებროზე, როგორც შიჩნეული იყო, არამედ ძხოლოდ ლურჯად ღებვაზე. აღნიშნული მონოპოლია განსახილველ ხანაში ძირითადად ხაზინის, ნაწილობრივ კი ეკლესიის და ფეოდალთა ხელში იყო. სამღებროს იჯარაში იგულისხმებოდა არა საკუთრივ ღებვის ფასი, არამედ ღებვის გადასახადიც რაც საღებავის მღებრებზე თუ სხვა საქმოსნებზე მომატებულ ფასში მიყიდვის პრივილეგიაში გამოიხატებოდა და რაც საფეიქრო წარმოების გარკვეული სფეროს — ლურჯი ფერის ქსოვილების დამზადების გადასახადსაც ითავსებდა. ღებვის მონოპოლია სხვადასხვა ფორმით ხორციელდებოდა: მოიჯარე სახაზინო მონოპოლიის სამღებროში ერთი მხრივ, თვითონ ეწეოდა რეწვას, თავისი ოსტატითა და მუშებით, რაშიაც იღებდა ღებვის ფასს, რომელშიც შედიოდა ღებვის გადასახადიც დახარჯული საღებავის მომატებული ფასის სახით, მეორე მხრივ, პერიოდულად ან პარალელურად ღებვის უფლებას ანიჭებდა ცალკეულ მღებრებს, რომლებიც შეიძლებოდა

---

[126] სცსია, ფ. 2, აღ. I, საქ. 255, ფურც. 166.

[127] იქვე.

[128] იქვე, ფ. 90, საქ. 477, ფურც. 77.

თვითონ ყოფილიყვნენ საფეიქრო წარმოებაში ჩაბმული საქმოსნები (გაკაპიტალისტების გზაზე დამდგარი ხელოსნები, რომლებიც უშუალო მწარმოებლისაგან შეისყიდდნენ ქსოვილებს ნართს, რათა გადამუშავების შემდეგ ბაზარზე გაეტანათ) ან ვაჭარ-შემსყიდველებს, რომლებიც თავის მხრივ ღებვისათვის საჭირო პერსონალს ქირაობდნენ, იღებდნენ რა ამისთვის ღებვის გადასახადს საღებავის მომატებული ფასის სახით. რომელს ენიჭებოდა ამ ორი ფორმიდან უპირატესობა დამოკიდებული იყო ამა თუ იმ რეგიონში საფეიქრო წარმოების დონეზე. საფეიქრო წარმოების მეტი გავრცელების პირობებში უპირატესი ადგილი მეორე ფორმას ეკავა. გამორიცხული არ არის შემთხვევა, როცა ეს ფორმა საერთოდ ერთადერთია. იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული სამღებრო ვერ იტევდა წარმოებას (ამგვარი ვითარება კი, როგორც ჩანს, ხშირად იქმნებოდა, რადგან სახაზინო კონკრეტული სამღებროები, წინაალმდეგ ისტორიოგრაფიაში აქამდე გავრცელებული მოსაზრებისა, ჩვეულებრივ მცირე მოცულობისანი იყვნენ), შემსყიდველს შეეძლო ახალი სამღებრო ფარდულები მოეწყო ან კერძო პირთაგან ექირავა.

შემსყიდველს შეეძლო და, როგორც ჩანს, საფეიქრო წარმოების აღმავლობის პირობებში ამას ხშირად ჰქონდა ადგილი, ლურჯი ღებვის უფლება გარკვეული გასამრჯელოს ფასად კერძო სამღებროებისათვის მიეცა. მაგრამ, როგორც ჩანს, იგი თავის ხელში იტოვებდა საღებავის გაცემის (გაყიდვის) და შესაბამისად, გადასახადის აღების მონოპოლიას. ე. ი. მყარდებოდა ისეთი ურთიერთობა, როგორსაც ადგილი ჰქონდა კახეთის სამღებროებში, როცა შთავარი მოიჯარე ცალკეულ სამღებროებს ცალ-ცალკე გასცემდა იჯარით. ცალკეულ შემთხვევაში არ არის გამორიცხული გადასახადის აღების მონოპოლიის გაცემაც. ყოველივე ამის გამო, კონკრეტულ სამღებროთა რაოდენობა გაცილებით სჭარბობდა იჯარაში მოხსენიებულთ, ვინაიდან უკანასკნელ შემთხვევაში ლაპარაკია ღებვის უფლებაზე და არა კონკრეტულ სამღებროებზე.

ღებვის მონოპოლიების მფლობელთა შორის (რომელიც შეიძლებოდა სახაზინო და საეკლესიო უწყების ცალკეულ ფეოდალთა წარმომადგენლები ყოფილიყვნენ), კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით მყარდებოდა მკვეთრი ტერიტორიული ფარგლები, მოსაკრების მკაცრად განსაზღვრული ოდენობა და ა. შ.

სამღებრო საქმის მონოპოლია დასავლეთ საქართველოში

პრინციპულად არ განსხვავდებოდა აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბებული ინსტიტუტისაგან.

სამღვრო საქმეში გაბატონებული ოჯახურ-შესყიდვის წესი წარმოების ტიპიური ფეოდალური ფორმა იყო. იგი მნიშვნელოვნად აფერხებდა საფეიქრო მრეწველობაში ახალი წარმოებითი ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებას, ამიტომ ეს უკანასკნელი მეტად რთულ ვითარებაში იკაფავდა გზას. ამის აშკარა გამოხატულება იყო XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში სამღვრო წარმოების საქართველოში ჩამოყალიბებული ზემოთ დახასიათებული სისტემა.

4. საფეიქრო საწარმოთა რაოდენობა. წარმოების მოცულობა

წინა პარაგრაფში საუბარი იყო საქართველოში ლურჯი საღებავით ღებვის ჩამოყალიბებულ სისტემაზე. ითქვა, რომ აღნიშნულ მონოპოლიათა ოდენობა არ ემთხვეოდა კონკრეტულ სამღვროთა ოდენობას. არსებული მასალა საშუალებას იძლევა დადგინდეს მონოპოლიათა მიახლოებული ოდენობა. მათ რიცხვს განსაზღვრავდა კახეთის 46 სამღვრო, ბორჩალოსა და გატეხილი ხიდის ზეგით არსებული 14 სამღვრო; გარდა ამისა, სამღვროები: თბილისის, გორის, ცხინვალის, დუშეთის, ანანურის, სურამის, არბოს, ახალქალაქის, ქარელის, მეჯვრისხევის, ალის, ვათაულისჭალის, თიანეთის. ყველა ჩამოთვლილი სამღვრო ხაზინას ეკუთვნოდა. ამრიგად, მათი რაოდენობა მთლიანად 73-ს შეადგენდა (არ არის გამორიცხული, რომ შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად აღნიშნული რიცხვი გარკვეულად გაიზარდოს, შეიძლება მას დაემატოს რამდენიმე სამღვრო, რომლის შესახებაც ჩვენ ჯერჯერობით ცნობები არა გვაქვს). გარდა ამისა, განსახილველი პერიოდის მასალებში დამოწმებულია სხვადასხვა ფეოდალთა 32[129] და 18[130] საეკლესიო სამღვრო. მათი ფაქტიური რაოდენობა შეიძლება გა-

---

[129] სცსია, ფ.254, აღ.I, საქ.131, ფურც. 123; საქ.959, ფურც.29; საქ.132, ფურც.73; საქ.1280, ფურც.123; საქ.293, ფურც.251; საქ. 80, ფურც. 50; საქ. 962, ფურც.592; საქ. 826, ფურც.182; საქ. 927, ფურც. 993; საქ. 754, ფურც. 418; საქ. 924, ფურც. 723; სცსია, ფ. 16, საქ. 2215, ფურც. 6.

[130] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 1208, ფურც. 14; სცსია, ფ. 2, აღ. I, საქ. 216; ფურც. 251; სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 152, ფურც. 142; საქ. 959, ფურც. 159; საქ. 1039, ფურც. 671; საქ. 40, ფურც. 69.

ცილებით მეტი იყოს; ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა საქართველოს კათალიკოსის 1803 წლის ცნობა იმის შესახებ, რომ საეკლესიო სამღვდელო არსებობს ყველა საეკლესიო სოფელში[131]. ანალოგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლურჯი ფერით ღებვის პრივილეგიათა რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოში 120-130-ის ფარგლებში მერყეობდა. კახეთის ყველა იმ სოფელში, რომელშიც პრივილეგია არსებობდა, კონკრეტულად ღებვა არ წარმოებდა, რაც საფეიქრო წარმოების ერთგვარი ცენტრალიზაციის, ცალკეულ სავაჭრო-სამრეწველო პუნქტებში თავმოყრის პროცესით უნდა იქნას ახსნილი. სამაგიეროდ იმ პუნქტებში, სადაც საფეიქრო წარმოება მაღალ განვითარებას აღწევდა (თბილისი, გორი, ცხინვალი და ა. შ.), კონკრეტულ სამღებროთა რიცხვი მნიშვნელოვანად აჭეტებდა პრივილეგიათა რიცხვს, ცალკეულ გეოგრაფიულ პუნქტში რამდენიმე სამღებრო ეწყობოდა. ამის გამო კონკრეტულ სამღებროთა რაოდენობა შეიძლება კიდევ უფრო გაზრდილად წარმოვიდგინოთ.

ლურჯად ღებვა სამღებრო წარმოების მხოლოდ ერთი დარგი იყო. საქართველოში დამზადებულ სხვადასხვა ტონალობის წითელი ფერის ქსოვილები რაოდენობით ლურჯ ქსოვილებს თუ არ აჭარბებდნენ, ცალკეულ შემთხვევაში, არც ჩამოუვარდებოდნენ. საქართველოში მზადდებოდა ყვითელი, მწვანე, შავი და სხვა ფერის ქსოვილები. იმის გამო, რომ წითელი და სხვა ფერად ღებვა მონოპოლიის ფარგლებში არ იყო მოქცეული, იგი თავისუფალი იყო და ამიტომ მათ შესახებ მასალა თითქმის არ არსებობს. მაგრამ სწორედ წარმოების თავისუფლება, საღებავი მასალის (ენდროს და სხვ.) ადგილზევე მოპოვების შესაძლებლობა და მისი სიიაფე, აღნიშნული დარგის სამღებროების გავრცელების კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას ქმნიდა. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სამღებროთა საერთო რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოში 250-ზე ნაკლები არ შეიძლება ყოფილიყო. ცხადია, ეს მხოლოდ მიახლოებითი რიცხვია. არსებული მასალა მეტი სიზუსტის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ეს რიცხვი თავისთავად ბევრისმთქმელია. იგი ერთგვარად შემცირებული თუ არაა, ყოველ შემთხვევაში გადაჭარბებულად არ უნდა მოგვეჩვენოს.

---

[131] «Во всех наших селениях в Мцхете и прочих есть красильни принадлежащие нам»—სცსია, ფ. 254, აღ. 1, საქ. 40, ფურც. 6.

გაცილებით ცოტა რამაა ცნობილი დასავლეთ საქართველოს სამღებროების რაოდენობის შესახებ. მაგრამ საფეიქრო წარმოების განვითარების პირობებში მათი რაოდენობა აქაც მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. მართალია, დასავლეთ საქართველოში ბამბეულის საფეიქრო წარმოება ჩამორჩებოდა აღმოსავლეთ საქართველოს, მაგრამ სამაგიეროდ აქ მეტად განვითარებული იყო აბრეშუმისა და სელის წარმოება. სამღებროთა მნიშვნელოვანი რაოდენობაა საკარაუდო გურია-სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმში და ა. შ. იმერეთში, როგორც ითქვა, ღებვის სახაზინო პრივილეგია 7 გეოგრაფიულ პუნქტში არსებობდა. გარდა ამისა, არსებობდა საეკლესიო და საფეოდალო პრივილეგიები, სხვა ფერად ღებვის სამღებროები და ა. შ.

ამრიგად, მართალია მთლიანად საქართველოში სამღებროთა საერთო რაოდენობის დადგენა არსებული მასალის საფუძველზე არ ხერხდება, მაგრამ ამ დარგის საწარმოთა მეტად მნიშვნელოვანი გავრცელების ვარაუდს სრულიად რეალური საფუძველი აქვს.

ადგილობრივი რუსული ხელისუფლება საიმპერიო მთავრობაში ყოველწლიურ ანგარიშებს ადგენდა და მათ სხვა მასალებთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ე. წ. „მანუფაქ-

ცხრილი 22

„მანუფაქტურა-ქარხნების" უწყისების მონაცემები სამღებროებისა და საჩითავების რაოდენობის შესახებ 1813-1827 წწ.

		ქალაქები						მაზრები									
		თბილისი	გორი	დუშეთი	სოღანლუღი	თელავი	ს ე ნ ი	თბილისის	გორის	დუშეთის	სოღანლუღის	თელავის	ბორჩალოს	ს ე ნ ი	ერთად	მთლიანად	%
1813	სამღებრო	1					1	3	5					8	9	67	100
	საჩითავი		13				13		45					45	58		
1817	სამღებრო	5					5		5					5	10	73	109.5
	საჩითავი	3	13				16		45					45	61		
1821	სამღებრო	3	9	3	1	1	17	8	8	2	26	14		58	75	100	149,3
	საჩითავი	5	4	2	2	1	14		7	2		2		11	25		
1824	სამღებრო	13	5	1	3	1	23	11	13	1	23	14		62	85	111	165,7
	საჩითავი	5		1	1	1	8	3	2	1	10	2		18	26		
1827	სამღებრო	18	1	1	3	1	24	12	11	1	23	14		61	85	117	174,6
	საჩითავი	7	3		1	1	12	5	1	2	10	2		20	32		

ტურა-ქარხნების უწყისებს“ ურთავდა. ამ უწყისებში შეჰქონდათ საფეიქრო საწარმოთა რაოდენობის აღმნიშვნელი ცნობებიც. ამ დარგის სხვადასხვა წლების მონაცემების შედარება შემდეგ სურათს იძლევა (ცხრ. 22).

ცხრილში შეტანილი მონაცემები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. გაუგებარია რა პრინციპით დგებოდა ცნობები სამღებროებისა და საჩითავების რაოდენობის შესახებ. სავარაუდოა, რომ, მასში ძირითადად ლურჯად ღებვის მონოპოლიის ფარგლებში მოქმედი სახაზინო სამღებროები შედიოდა. ამაზე თითქოს უშუალოდ მიუთითებს ზოგიერთი ცნობა, რომლებშიც აღნიშნულია, რომ სამღებროებში ღებვა ლურჯი საღებავით წარმოებდა[132]. მაგალითად, თელავის უწყისებში აღნიშნულია „სამღებროები, რომლებშიც ლურჯი ფერის საღებავებით ხამი იღებება“[133]. ამავე დროს ცალკეულ რეგიონში არსებული სამღებროების შესახებ, საბუთების არაპირდაპირი მინიშნებით მათში სხვა ფერად ღებვაც არაა გამორიცხული. მაგალითად, ერთ-ერთ უწყისში აღნიშნულია, რომ „სამღებროებში ნაწარმის შესაღებად ლაჟვარდად წოდებულ საღებავს თბილისში ყიდულობენ სხვა ფერებისათვის იხმარება მოსახლეობის მიერ ქართლშივე მოპოვებული სხვადასხვა მცენარეულობა“[134]. გორის 1817 წლის უწყისი კი პირდაპირ მიუთითებს, რომ მასში შესული სამღებროები სახაზინოა[135]; ხაზინას კი, როგორც ვიცით, მხოლოდ ლურჯად ღებვის სამღებროები ეკუთვნოდა. რადგან, როგორც თავის ადგილას გაირკვა, მოიჯარის ნებართვით ლურჯად ღებვა კერძო სამღებროებშიაც დასაშვები იყო. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ უწყისებში შეჰქონდათ ყველა სამღებრო, რომელშიც ამა თუ იმ წესით ლურჯად ღებვას ჰქონდა ადგილი; მაშინ გასაგებია ერთსა და იმავე რეგიონში რამდენიმე სამღებროს აღნიშვნა, ე. ი. ლაპარაკია არა ღებვის პრივილეგიაზე, არამედ იმ კონკრეტულ საწარმოებზე, სადაც ეს პრივილეგია ხორციელდებოდა. მაგრამ აქ ერთი სერიოზული დაბრკოლება ჩნდება. უწყისებში, სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო, არ შეჰქონდათ რიგი სამღებროებისა, რომლებიც ლურჯად ღებვის პრივილეგიით სარგებლობდნენ, კერძოდ, არაა აღნიშნული ქვემო ქართლის სამღებროები.

---

132 სცსია, ფ.16, საქ.495, ფურც.34; საქ.1352, ფურც.6; საქ.1447, ფურც.168.

133 სცსია, ფ. 16, საქ. 820, ფურც. 144.

134 სცსია, ფ. 16, საქ. 3723, ფურც. 178.

135 სცსია, ფ. 16, საქ. 3272, ფურც. 19; იქვე, საქ. 2722, ფურც. 150.

ერთი სიტყვით, ცხადია, რომ მოტანილი ცხრილი სამღებროთა რაოდენობის დასადგენად არ გამოდგება. მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ მათი რაოდენობრივი განვითარების ხასიათის გასარკვევად. ამ თვალსაზრისით გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს საქსოვი საწარმოების რაოდენობრივი განვითარების მონაცემები (ცხრ. 23). ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ 1813—1827 წლებში სამღებროების საერთო რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოში 174,6% გაიზარდა. განვითარების ტემპი უფრო მაღალია საქსოვი საწარმოების რაოდენობის ზრდაში: 1819—1827

ცხრილი 23

„მანუფაქტურა-ქარხნების უწყისების" მონაცემები ბამბეულის საქსოვი საწარმოების რაოდენობის შესახებ 1813-1823 წწ.

წლები	ქალაქები						მზრები							ერთად	%
	თბილისი	გორი	დუშეთი	სოღანადი	თელავი	სულ	თბილისის	ვერის	დუშეთის	სოღანადის	თელავის	ბორჩალოს	სულ		
1813	7	43				50								50	
1819	52	30		29	25	126	120	93	36	39	30	36	354	480	100
1821	127	40		29	22	218	25	502	49	31	212	35	854	1072	223,3
1824	150	52	10	76	23	311	44	601	46	31	212	37	971	1282	267,1
1827	339	54	21	76	23	513	51	660	45	31	212	39	1038	1551	323,1

ცხრილები შედგენილია შემდეგი საარქივო მასალების მონაცემების საფუძველზე: სცსია, ფონდი 16, საქ. 155, ფურც. 18; საქ. 1747, ფურც. 147; საქ. 2046, ფურც. 107; საქ. 2420, ფურც. 197; საქ. 2652, ფურც. 310; საქ.12722, ფურც. 246; საქ. 3112; ფურც. 201; საქ. 3272, ფურც. 216; საქ. 3614, ფურც. 192; საქ.3503, ფურც. 213.

წლებში მატებამ 323,1% შეადგინა. განვითარების ასეთი მაღალი ტემპი საფეიქრო წარმოების სწრაფი აღმავლობის შედეგია. იგი ცხადყოფს, რომ, საფეიქრო მრეწველობის აყვავების ვითარებაში, ფეიქრობის საოჯახო ფორმები საქონელწარმოების სისტემაში ექცევიან. საფეიქრო მრეწველობის პროდუქციაზე მოთხოვნილების ზრდა, რაც საგარეო ვაჭრობის გაფართოებაშიც გამოიხატა, მოსახლეობის სულ უფრო და უფრო მეტ ნაწილს აშორებს სასოფლო სამეურნეო საქმიანობას და მას სამრეწველო საქმიანობაში ითრევს. ის გარემოება, რომ ამავე პერიოდში სამღებროებისა და საჩითავების ზრდის ტემპი გაცილებით ნაკლებია და, როგორც ითქვა, შეადგენს სულ 174,6%. იმათზე მიუთითებს, რომ აქ რაოდენობ-

რივი ზრდის პარალელურად ადგილი აქვს უფრო ინტენსიურ თვისებრივ ზრდას, რაც ცალკეულ საწარმოთა გაფართოებაში მდგომარეობდა.

განმარტებას მოითხოვს უწყისებში საჩითავების ცალკე გამოყოფა. საქმე იმაშია, რომ სხვა ხასიათის მასალებში საჩითავები თითქმის არსად მოხსენიებული არ არის. ამავე დროს დასტურდება მოჩითული ქსოვილების მნიშვნელოვანი ოდენობით წარმოება. როგორც ითქვა, საბეჭდავის მოსაკრები წითელი ფერით მოჩითულ ქსოვილებზე საგანგებო გადასახადს ითვალისწინებს. თავისთავად ქსოვილი შეიძლება წითელი ფერის საღებავით ყოფილიყო მოჩითული, შეიძლება სხვა ფერითაც. იმის გამო, რომ სამღებროთა იჯარა ლურჯი ფერის საღებავის შეძენის, გასაღებისა და გამოყენების მონოპოლიაზე იყო დაფუძნებული, საჩითავების ცალკე გამოყოფის აუცილებლობას არ მოითხოვდა. სავარაუდოა, რომ ქსოვილის მოჩითვა უპირატესად სამღებროშივე ხდებოდა, როგორც მღებრობისაგან გამოყოფილი წარმოების ერთ-ერთი ოპერაცია. „მანუფაქტურა—ქარხნების უწყისებში" საჩითავების დიდი რაოდენობით აღნიშვნა იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ეს უწყისები ცენტრიდან მიღებული საგანგებო ფორმის მიხედვით დგებოდა. რაკი ეს ფორმები საჩითავების შესახებ ცნობებს მოითხოვდნენ, მათში თვითნებურად შეჰქონდათ იმ სამღებროთა ნაწილი, რომლებშიაც ეს პროცესი წარმოებდა. ამიტომ უწყისებში სამღებროები და საჩითავები აშკარად ერთმანეთში იყო არეული, მაგალითად, 1813 და 1817 წლის უწყისებით ბორში 13 საჩითავია აღნიშნული, სამღებრო კი არც ერთი, 1821 წელს კი 9 სამღებრო და 4 საჩითავი; ე. ი. საერთო რაოდენობა კვლავ 13-ს უდრის. თბილისში 1817 წელს აღნიშნულია 5 სამღებრო და 3 საჩითავი, 1821 წელს კი 3 სამღებრო და 5 საჩითავი და ა. შ.

საფეიქრო საწარმოთა რაოდენობრივ ზრდას ლოგიკურად უნდა გამოეწვია შესაბამისი გადასახადების მოცულობის ზრდაც, რაც სამღებროებისა და ბეჭდის იჯარის ფასების ზრდაში უნდა გამოხატულიყო. მართლაც, განსახილველ პერიოდში ადგილი აქვს სახაზინო სამღებროთა საიჯარო ფასის გარკვეულ ზრდას, რაც აშკარად ჩანს ქვემოთ მოტანილი მონაცემებიდან[136].

---

[136] ცნობები ამოკრებილია შემდეგი წყაროებიდან: სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 95, ფურც 212; იქვე, საქ. 91, ფურც. 167; იქვე, საქ. 257, ფურც. 75; იქვე, საქ. 295, ფურც. 29; იქვე. საქ. 255, ფურც. 123; იქვე, საქ. 349, ფურც. 32—35; იქვე, საქ. 520, ფურც. 676; იქვე, საქ. 823, ფურც. 1301; იქვე, საქ. 1207, ფურც. 1224.

როგორც ვხედავთ, მართალია, სახეზეა საიჯარო ფასის მნიშვნელოვანი ზრდა, მაგრამ აღნიშნული ზრდის ტემპები გაცილებით ჩამორჩება საფეიქრო საწარმოთა ზრდის ტემპებს, რომლებიც 1819—1826 წლებში 304% შეადგენდა; სამღებროთა საიჯარო ფასის განვითარების 1819—1826 წლების დინამიკის მონაცემების მიხედვით ადგილი ჰქონდა ფასის ერთგვარ დაკლებასაც კი (8117 მან. წინააღმდეგ 8153 მანეთისა).

ცხრილი 24

სახაზინო სამღებროს საიჯარო ფასი	1807	%	1814	%	1820	%	1824	%	1826	%	1830	%
თბილისის	2085	100	2850	136,7	3600	172,7	(3600)	172,7	3475	166,7	4115	197,4
გორის	421	100	475	112,8	688	163,4	688	163,4	346	82,2	406	96,4
კახეთის	2160	100	2110	97,7	3500	162,0	3525	163,2	3976	184,1	3120	144,4
დუშეთის	130	100	(200)	153,8	365	280,8	410	315,4	320	246,2	320	246,2
ს უ ლ	4796	100	5635	118,9	8153	170	8223	171,5	8117	169,3	7961	166,0

დაახლოებით მსგავსი ვითარება იყო საბეჭდავის მოსაკრების საიჯარო ფასის განვითარების საქმეშიც. აღნიშნული მოსაკრების საიჯარო ფასების შედარება გარკვეულ სირთულესთანაა დაკავშირებული, რადგან იგი სხვადასხვა პუნქტებში უპირატესად სხვა იჯარებთან ერთად გაიცემოდა და ამდენად, მისი გამოცალკევება ზოგჯერ შეუძლებელიცაა. მაგალითად, ამგვარი გამოცალკევება კახეთის საბეჭდავისა, რომელიც ჩვეულებრივ კახეთის ბაეებთან ერთად გაიცემოდა იჯარით, არ ხერხდება, ამიტომ პირობით უნდა მივიჩნიოთ, რომ საიჯარო ფასის ნახევარი ბეჭედზე მოდიოდა, ნახევარი კი ბაეზე, რაც, ცხადია, ერთობ მიახლოებითია. ვინაიდან სხვადასხვა ადგილების მიხედვით აღნიშნული იჯარის შესახებ მეტ-ნაკლებად სისტემატური ცნობები მხოლოდ 1809 წლიდან გვაქვს, იძულებული ვართ შედარება 1809—1832 წლების ფარგლებში მოვახდინოთ. ამრიგად, საქართველოს სხვადასხვა ცენტრებში საბეჭდავის მოსაკრების ოდენობის დინამიკა შემდეგ სურათს იძლევა:[137]

[137] ცხრილის შედგენისას გამოყენებულია: სცსია, ფ. 254, აღ.I, საქ. 28, ფურც. 600; იქვე, ფ. 2, აღ. I, საქ. 355, ფურც. 45, 73, 202; სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 348, ფურც. 46; იქვე, საქ. 701, ფურც. 309; იქვე, საქ. 960, ფურც. 1033; იქვე, საქ. 1037, ფურც. 224; იქვე, საქ. 29, ფურც. 13; იქვე, საქ. 91, ფურც. 483; იქვე,

როგორც ვხედავთ, საქსოვი და სამღებრო საწარმოების ზრდის მაღალი ტემპის პარალელურად აშკარაა საიჯარო ფასის მატების მნიშვნელოვნად დაბალი ტემპი, ხოლო გარკვეულ პერიოდში მისი დაკლებაც კი, რაც სხვადასხვა გარემოებებითაა განპირობებული. მართალია, იჯარის ფასს წარმოების მასშტაბი განსაზღვრავდა, მაგრამ მასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა სხვა ფაქტორებიც:

ცხრილი 25

	1804—1807	%	1809—1813	%	1814—1818	%	1822—1826	%	1828—1832	№
თბილისი	4633		4207	100	3000	71,3	4600	109.3	3100	73,7
კახეთი	/1350/		/2252/	100	/1057/	46.9	2763	122,7	3050	135,4
გორი			770	100	571	74,2	760	98,7	/760/	98,7
ცხინვალი			800	100	/800/	100	611	76,4	811	101,4
			8029	100	5428	67,6	8734	108,8	7721	96,2

ქვეყნის საერთო პოლიტიკური მდგომარეობა, მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობა, რაც მნიშვნელოვანწილად ზემოქმედებდა ნედლეულის შემოზიდვისა და ნაწარმის გასაღების პერსპექტივებზე, საერთო საკაჭრო ეკონომიკური განვითარების ხასიათი და ზედმეტი მოგების პერსპექტიულობა ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში და ა. შ. ამასთანავე ერთად, როგორც ითქვა, 1812—1814 წლებში მთავრობის მიერ იჯარა-შესყიდვის წესში ზოგიერთი ცვლილების შეტანამ, რაც შემსყიდველთაგან რისკის ფაქტორს მნიშვნელოვნად ზრდიდა, ამ ხანებში მექანიკურად დასცა იჯარების ფასები. მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა აგრეთვე იმ ფაქტსაც, რომ მთელს განსახილველ პერიოდში უშუალო მწარმოებლები და ვაჭარი-მრეწველები გააფთრებულ ბრძოლას აჩაღებდნენ იჯარა-შესყიდვის ფეოდალური სისტემის წინააღმდეგ, რაც არალეგალური წარმოებისა და გასაღების გავრცელებაში, ნაწარმის ასორტიმენტის ცვლაში და სხვა ღონისძიებების გატარებაში გამოიხატებოდა. მრავალრიცხოვანი საბუთები აშკარად მიუთითებენ, რომ სწორედ ამ წინააღმდეგობის გამო მოიჯარეებს ღღითი-

---

საქ. 326, ფურც. 529; სცსია, ფ. 2, აღ.I, საქ. 1099, ფურც. 74, 83; ფ. 254, აღ. I, საქ. 872, ფურც. 1455; იქვე, საქ.1209, ფურც. 362; იქვე, საქ. 131, ფურც. 48, სცსია, ფ. 2, აღ. I, საქ. 502, ფურც. 348; იქვე, საქ. 324, ფურც. 592, იქვე, საქ. 423, ფურც. 381.

დღე უძნელდებოდათ გათვალისწინებული შემოსავლისა და მოგების მიღება.

არსებული მასალა არ შეიცავს ცნობებს საქართველოში ან მის ცალკეულ რაიონებში დამზადებული საფეიქრო ნაწარმის ოდენობის შესახებ. მაგრამ არაპირდაპირი მონაცემების შეჯერება ამ მიმართულებით ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა: მას შემდეგ, რაც დადგინდა საბეჭდავის მოსაკრების საიჯარო ფასები, შესაძლებელი ხდება წარმოდგენა ვიქონიოთ იმ პროდუქციის ოდენობაზე, საიდანაც ის მოსაკრები აიღებოდა.

მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ აღნიშნული გადასახადის აკრება დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული. შემსყიდველი საქმის ორგანიზაციისათვის საგანგებო მეთვალყურეთა და აგენტთა მთელ შტატს ქირაობდა, რაც ხაზგასმით იყო მითითებული შესაბამის კონტრაქტებში. აღნიშნული შტატის სიდიდე დამოკიდებული იყო საფეიქრო წარმოების დონეზე და იმ რეგიონის სივრცეზე, რომელსაც ესა თუ ის იჯარა მოიცავდა. იგი შეიძლებოდა ხშირად 8—10 და ზოგჯერ (თბილისში, კახეთში და ა. შ.) მეტი თანამშრომლისაგანაც კი შედგებოდა. მაგალითად, მას შემდეგ, რაც 20-იან წლებში აღნიშნული მოსაკრები ქვეყნის გარეთ გასატანად დამზადებულ ძაფსაც დაადეს, საჭირო შეიქნა საგანგებო მეთვალყურის დაყენება თბილისის ყველა კარში, რაც კიდევ უფრო ზრდიდა მოსამსახურე შტატის ოდენობას[138]. ერთი სიტყვით, იჯარის ორგანიზაცია დიდ მატერიალურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და მის შემოსავალს უნდა დაეფარა არა მარტო ის თანხა, რომელსაც მოიჯარე ხაზინას უხდიდა, არამედ გაესტუმრებინა მეტად დიდი ხარჯები და მისი ორგანიზატორისათვის მოგებაც მიეცა, რაც იმხანად საქართველოში შექმნილი ვითარების პირობებში (ვაჭრობის გაფართოება, შეღავათიანი ტრანზიტი და ა. შ., რის გამოც კაპიტალი მეტად დიდად ფასობდა და მოგების მაღალ შესაძლებლობას იძლეოდა) მეტად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. ერთი სიტყვით, ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომ იჯარის ფაქტიური შემოსავალი ერთისამად ჭარბობდა მის სახაზინო ფასს, შეიძლება გარკვეულად შემცირებულიც კი ყოს. ამრიგად, თუ 1809 წლისათვის თბილისის საბეჭდავის საიჯარო ფასი 4207 მანეთს უდრიდა (იხ. ცხრ. 25). ფაქტიურად მისი შემოსავალი დაახლოებით 13—14 ათასი მანეთი უნდა

---

138 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 827, ფურც. 224.

ყოფილიყო. როგორც ითქვა, მოსაკრები სხვადასხვაგვარად დამუშავებულ ბამბეულის ქსოვილებზე სხვადასხვა ზომის იყო. თბილისში თეთრი ქსოვილის 10-არშინიან თოფზე გადასახადი უდრიდა $2^1/_2$ კაპიკს, შეღებილ ქსოვილზე 5 კაპიკს, მოჩითულზე 7,5 კაპიკს. მაშასადამე, საშუალოდ 10-არშინიანი თოფი ქსოვილის გადასახადი დაახლოებით 5 კაპიკს უდრიდა. ამრიგად, იმისათვის, რათა შემსყიდველს 13—14 000 მანეთი შემოსავალი მიეღო, გადასახადით უნდა დაებეგრა სულ ცოტა 267—280 ათასი თოფი ანუ 2 მილიონ 670 ათასი — 2 მილიონ 800 ათასი არშინი ქსოვილი. აქ გასათვალისწინებელია რამდენიმე მომენტი: ჯერ ერთი, დამზადებული პროდუქციის ასორტიმენტში უპირატესი ადგილი მაინც თეთრ ქსოვილებს ეჭირა. გარდა ამისა, მეტად დიდი იყო უნებართვოდ დამზადებული ქსოვილების რაოდენობა[139]. ბოიჯარეები საიჯარო ვადის ბოლო თვეებში, იმისათვის, რათა მწარმოებლები დაეინტერესებინათ და მათ დამზადებული საქონელი არ შეენახათ, მოსაკრების ფასს მნიშვნელოვნად აცემდნენ[140]. ამის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ თბილისში და მის გარეუბნებში დამზადებული იმ ქსოვილებისა თუ ძაფის ოდენობა, რომელიც საბეჭდავის მოსაკრებით დაბეგვრას ექვემდებარებოდა, დაანგარიშებულზე მნიშვნელოვნად მეტი იყო. სავარაუდოა, რომ იგი დაახლოებით 4—4,5 მილიონი არშინი მაინც უნდა ყოფილიყო.

მსგავსი მსჯელობა შეიძლება გავრცელდეს აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებზეც. მაგალითად, იმავე 1809 წელს კახეთის საბეჭდავის საიჯარო ფასი დაახლოებით 2252 მანეთი უნდა ყოფილიყო. შესაბამისად მისი ფაქტიური შემოსავალი დაახლოებით 7 ათასი მანეთის ფარგლებში შეიძლება ვივარაუდოთ. კახეთში საბეჭდავის მოსაკრები მნიშვნელოვნად დაბალი იყო. იგი შეუღებავი ქსოვილის 10-არშინიან თოფზე 2 კაპიკს უდრიდა, შეღებილზე კი 4 კაპიკს[141]. მაშასადამე, საშუალოდ 10-არშინიან თოფზე 3 კაპიკს თუ ვივარაუდებთ, გამოდის, რომ 7000 მანეთი შემოსავლის მისაღებად შემსყიდველს დაახლოებით 2 მილიონ 333 ათასი არშინი ქსოვილი უნდა დაებეგრა. თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემოთქმულს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კა-

---

139 სცსია, ფ. 1010, საქ. 344; სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 1096, ფურც. 47 და სხვ.

140 სცსია, ფ.254, აღ.I, საქ.131, ფურც.555.

141 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 702, ფურც. 60; იქვე, საქ. 924, ფურც. 49; სცსია, ფ.16, საქ. 1723, ფურც.22.

ხეთში დამზადებული იმ ქსოვილების ოდენობა, რომელიც საბეჭდავის მოსაკრებით დაბეგვრას ექვემდებარებოდა, დაახლოებით 3—3,5 მილიონი არშინი იქნებოდა.

კიდევ უფრო დაბალი იყო საბეჭდავის მოსაკრები გორში. აქ ჩვეულებრივ არ ანსხვავებდნენ შეღებილ და შეუღებავ ქსოვილებს და 10-არშინიან თოფზე 2,5 კაპიკს იღებდნენ[142]. მაშასადამე, რაკი გორის საბეჭდავის საიჯარო ფასი ამ წელს 770 მანეთს უდრიდა, ხოლო ფაქტიური შემოსავალი შეიძლება დაახლოებით 2500 მანეთამდე ვივარაუდოთ, გორში და მის მიდამოებში დამზადებული შესაბამისი ქსოვილების ოდენობა 1,5—2 მილიონი არშინი უნდა ყოფილიყო.

მსგავსი საეარაუდო გამოანგარიშებით ცხინვალში და მის ახლომახლო სოფლებში დამზადებული ქსოვილების რაოდენობა დაახლოებით 1—1,5 მილიონი არშინის ფარგლებში იქნებოდა[143].

ამრიგად, საფეიქრო წარმოების ოთხ დასახელებულ პუნქტში 1809 წლის მონაცემების მიხედვით დამზადებული თეთრი და სხვადასხვა ტონალობის წითელი ფერის ქსოვილების საეარაუდო რაოდენობა დაახლოებით 10—11 მილიონი არშინი უნდა ყოფილიყო. მაგრამ საბეჭდავის მოსაკრები ხომ სხვა პუნქტებშიც მოქმედებდა: ახალაქალაქში, ალში, ქარელში და ა. შ., რომელთა მონაცემების გათვალისწინების საშუალება ჩვენ არა გვაქვს. ეს აღნიშნული რიცხვის კიდევ უფრო გაზრდილად წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

იმის გამო, რომ სამღებროს იჯარაში ბამბეულის ქსოვილებთან ერთად შედიოდა შალისა და აბრეშუმის ქსოვილებიც, მასში ერთმანეთშია გადახლართული ღებვის ფასი, საღებავის ფასი და გადასახადი, ხოლო მონოპოლია განაწილებული იყო ხაზინას, ეკლესიასა და ფეოდალებს შორის, უკანასკნელთა ხელში არსებული მონოპოლიების საიჯარო ფასების შესახებ კი ჩვენ ცნობები არა გვაქვს, ლურჯი ფერის ქსოვილების ოდენობის მიახლოებით დადგენაც კი არ ხერხდება. ერთი რამ კი ცხადია, რომ ლურჯი ფერის ქსოვილები ნაკლები მზადდებოდა, ვიდრე თეთრი და წითელი ფერისა. მაგრამ იმ დროს საქართველოში სხვა ფერის ქსოვილებიც ხომ მზადდებოდა (წავი, ყვითელი, ჭრელი, ალაჯი), რომლებზედაც ჩვეულებრივ მოსაკრებს არ იღებდნენ, რის გამოც მათ

---

142 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 423, ფურც. 495; იქვე, საქ. 927, ფურც. 615.

143 ცხინვალში საბეჭდავის მოსაკრები შეუღებავ ქსოვილებზე უდრიდა 2,5 კაპიკს, შეღებილზე 5 კაპიკს. იქვე, საქ. 1096, ფურც. 728.

დამზადებას მეტი სტიმული და პერსპექტივები ჰქონდა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში 1809 წ. დამზადებული ბამბეულის ქსოვილების საერთო რაოდენობა დაახლოებით 20—22 მილიონ არშინს აღწევდა. როგორც ზემოთ მოტანილი მასალიდან ვნახეთ, შემდგომ პერიოდში ბამბეულის საფეიქრო წარმოება მნიშვნელოვნად იზრდება: „მანუფაქტურა ქარხნების უწყისების" მონაცემებით 1813—1827 წწ. სამღებროთა და საჩიეართა რაოდენობა 174,4% გაიზარდა; 1819—1827 წლებში საქსოვი საწარმოების ზრდამ 323,1% შეადგინა. როგორც აღინიშნა, ამავე პერიოდში ადგილი აქვს შესაბამის საწარმოთა გაფართოების ტენდენციას. მიუხედავად იმისა, რომ 1812—1814 წლებში ადგილი ჰქონდა სამღებრო და საბეჭდავის იჯარების ფასების ზრდის მექანიკურ შეფერხებას, 1807—1827 წლებში ეს ფასები მაინც მატულობს შესაბამისად 171,4% და 108%. ყველაფერი ეს კი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ 1807—1827 წლებში ბამბეულის საფეიქრო წარმოების გამოშვებული პროდუქცია სულ ცოტა ერთიორად გაიზარდა.

აღნიშნული წარმოების გამოშვებული პროდუქციის ზრდამ მისი მნიშვნელოვანი ოდენობით ქვეყნის გარეთ გატანაშიც იჩინა თავი. როგორც ვნახეთ, მარტო 1811 წლიდან 1815 წლამდე საქართველოდან გატანილი და მოზდოკის კარანტინში გატარებული ბამბეულის ქსოვილების ოდენობა 390,5% გაიზარდა.

ერთი საბუთით ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში თბილისში მარტო ერევნიდან 70000 ფუთი ნედლი ბამბა შემოჰქონდათ[144], რისგანაც 21 მილიონი არშინი ქსოვილი მზადდებოდა. XIX საუკუნის დასაწყისიდან ბამბეულის საქსოვი წარმოების გაფართოებისა და ვაჭრობის აღმავლობის პირობებში ნედლი ბამბის შემოტანა მატულობს. ამავე დროს ბამბის მოყვანას მნიშვნელოვანი მოცულობით ადგილი ჰქონდა საქართველოშიც. ბამბა შემოჰქონდათ მეზობელი სახანოებიდანაც[145]. ყოველივე ეს კი ადასტურებს, რომ დაშვებული ვარაუდი საფუძველს მოკლებული არ არის. მართალია, ჩატარებული გამოანგარიშება ზოგადი და მიახლოებითია და მომავალმა კვლევა-ძიებამ შეიძლება მასში გარკვეული კორექტივები

---

[144] М. К. Рожкова, Экономическая политика царского правительства на Среднем Востоке во второй четверти XIX века и русская буржуазия, М., 1949, с. III.

[145] სცსია, ფ. 2, აღ. I, საქ. 51, ფურც. 11.

შეიტანოს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ მან მიღებული ოდენობის შემცირებულად წარმოდგენა გამოიწვიოს.

მასალის სიმცირე საშუალებას არ იძლევა გაანგარიშება ვაწარმოოთ დასავლეთ საქართველოს მიმართ. შეიძლება მხოლოდ ის აღინიშნოს, რომ საქართველოს ამ რეგიონშიც ადგილი აქვს საფეიქრო წარმოების განვითარებას. თუ ქვეყნის გარეთ გატანილი პროდუქციის რაოდენობის მიხედვით ვიმსჯელებთ, აქ წამყვანი ადგილი მაინც აბრეშუმისა და სელის საფეიქრო წარმოებას ეკავა, რომელიც ძირითადად ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობდა.

5. მუშახელი საფეიქრო წარმოებაში

გამოუშავებული პროდუქციის დიდი რაოდენობა მუშახელის შესაბამის სიჭარბეზე მიუთითებს, რადგან მსხვილი ინდუსტრიის გაჩენამდე სწორედ იგი განსაზღვრავდა წარმოების მოცულობას. იმის გამო, რომ არ შემოგვრჩა თუნდაც აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის არც ერთი მეტ-ნაკლებად სრული აღწერა, საფეიქრო წარმოებაში ჩაბმული მუშახელის მიახლოებითი რაოდენობის დადგენაც კი არ ხერხდება. ცალკეული მაზრებისა თუ სოფლების მონაცემებზე დაკვირვება კი წარმოების ამ დარგში მოსახლეობის ჩაბმის მეტად საგულისხმო მასშტაბებზე მიუთითებს. მაგალითად, 1804 წლის აღწერით მუკუზნის 40 ოჯახიდან 16 ძირითადად საფეიქრო საქმიანობაში იყო ჩაბმული, რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის 40% შეადგენდა[146]. 1817 წლის აღწერით სოფ. ველისციხეში ბამბეულის ქსოვა ძირითადი საქმიანობაა მოსახლეობის საერთო რაოდენობის 22,5%-სათვის[147]. იმავე აღწერით ანაგის საბატონო გლეხთა 195 ოჯახიდან 28 ოჯახი, ანუ საერთო რაოდენობის 14% თავს ფეიქრობით ირჩენდა[148]. ფხოველში ფეიქრობა ძირითადი შემოსავალი იყო მოსახლეობის 18%-სათვის[149] და ა. შ. არაერთი ფაქტით დასტურდება, რომ ცალკეული სოფლების გარკვეული კატეგორიის მოსახლეობა მთლია-

---

[146] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 75, ფურც. 371.
[147] იქვე, საქ. 499, ფურც. 220.
[148] იქვე, ფურც. 14.
[149] იქვე, ფ. 254, აღ. I, საქ. 481, ფურც. 114.

ნად საფეიქრო წარმოებაში იყო ჩაბმული და ეს დარგი ხშირად მათი შემოსავლის ერთადერთი წყარო იყო. მაგალითად, სოფ. ბაკურციხეში გიორგი XII-ის ყოფილი ყმები მხოლოდ საფეიქრო საქმიანობას ეწეოდნენ[150]. ანანურის მაზრის სოფ. ახალგორის საბაზინო გლეხების (მთლიანად 89 ოჯახი) სამეურნეო საქმიანობა 1821 წლის აღწერაში ასეა განმარტებული: „გლეხებს არავითარი ბენა-თესვა არ აქვთ, არამედ ეწევიან ქსოვას, ვაჭრობას და სხვადასხვა ხელსაქმეს"[151]. გორის მაზრის სოფ. ატოცის საეკლესიო გლეხებს (მთლიანად 25 ოჯახი) სამეურნეო საქმიანობაში აღნიშნული აქვთ მხოლოდ ტილოს ქსოვა და ვაჭრობა[152].

როგორც ითქვა, კამერალური აღწერები ოჯახების ხელოსნურ საქმიანობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიუთითებენ, როცა იგი ოჯახის შემოსავლის ერთადერთი ან, იშვიათად, ძირითადი წყაროა. ამ აზრს უეჭველად ადასტურებს ის ფაქტი, რომ კამერალურ აღწერაში მქსოველებად ან საფეიქრო წარმოების სხვა დარგში ჩაბმულ მწარმოებლებად მიჩნეულ ოჯახებს ჩვეულებრივ ან საერთოდ არა აქვთ დასაბუშავებელი მიწა, ან მის მეტად უმნიშვნელო ოდენობას ფლობენ. მაგალითად, 1804 წლის აღწერით, ანაგის 223 ოჯახიდან ფეიქრობას და მჩითაობას 42 ოჯახი ეწევა, აქედან მხოლოდ 1 ოჯახს გააჩნია მცირე ბალი[153]. ვეჯინში მქსოველთა 13 ოჯახს არავითარი მიწა არა აქვს.[154], და ა. შ. ამ ფაქტზე ზევით უკვე იყო საუბარი. აქ მხოლოდ ის უნდა აღინიშნოს, რომ საფეიქრო მრეწველობაში (საპაქონლო წარმოებაში) ჩაბმული ოჯახების ფაქტიური რაოდენობა გაცილებით მეტია კამერალურ აღწერებში აღნიშნულზე. ამას ისიც ადასტურებს, რომ რიგი სოფლების საერთო სამეურნეო დახასიათებაში ქსოვა აღნიშნულია როგორც მოსახლეობის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი, მაშინ როცა ცალკეული ოჯახების საქმიანობაში ქსოვა (მქსოველები) მითითებული არ არის[155]. ეს იმთ უნდა აიხსნას, რომ იგი ცალკეულ გლეხურ მეურნეობაში დამატებითი შემოსავლის (დამატებითი საქმიანობის) წყაროა.

გორის, თელავის, თბილისისა და სხვა მაზრების მოსახლეობის

---

150 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 499, ფურც. 261.
151 იქვე, საქ. 689, ფურც. 321.
152 იქვე, საქ. 76, ფურც. 13.
153 იქვე, საქ. 75, ფურც. 382.
154 იქვე, ფურც. 389.
155 იქვე, ფურც. 248—252.

კამერალურ აღწერებში ოჯახების მეტად მნიშვნელოვანი რაოდენობას შემოსავლის ერთ-ერთ, ხშირად კი ერთადერთ წყაროდ აღნიშნული აქვთ „მუშაობა“ ან „სამუშაოები“ (работы), „გამომუშავება“, „დღიური მუშაობა“ ან „რეწვა“ (промысел).

„მუშაობა“ ან „სამუშაოები“ მოხსენიებულია გორის მაზრის სოფლების სამეურნეო დახასიათებებშიც როგორც მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი. ის გარემოება, რომ კონტექსტში „სამუშაოები“ უპირისპირდება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას (მაგალითად, 1818 წლის აღწერით გორის მაზრის სოფ. რუიჩის მოსახლეობის საქმიანობის დახასიათებაში მითითებულია მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და სამუშაოები[156]) იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული ტერმინის ქვეშ ხელოსნური (დამმუშავებელი) წარმოება იგულისხმება და იგი გაგებული უნდა იქნას, როგორც პროდუქციის დამზადება.

კახეთის სოფლების სამეურნეო საქმიანობის დახასიათებაში ჩვეულებრივ ტერმინი „სამუშაოები“ არ იხმარება; იქ, ისევე როგორც ხშირად ქართლის სოფლებში, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გვერდით პირდაპირაა მითითებული დამმუშავებელი წარმოების ის დარგი, რომელიც ამ სოფელშია განვითარებული. უმრავლეს შემთხვევაში, ცხადია, მითითებულია საფეიქრო წარმოების ცალკეული დარგები. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ კონკრეტულად ცალკეულ ოჯახს ხელოსნური საქმიანობის ნაცვლად მიწერილი აქვს „მუშაობა“ («работы»). მაგალითად, 1804 წლის სოფ. ჩალაუბნის მცხოვრებთა სამეურნეო საქმიანობის დახასიათებაში აღნიშნულია, რომ ქართველები მისდევენ მიწათმოქმედებას, სომხები კი ტილოს ქსოვას[157]. ამავე დროს 7 სომხურ ოჯახს მიწერილი აქვს, რომ თავს ირჩენენ „სამუშაოთი“. ამგვარი ვითარებაა სოფ. ბაკურციხეშიც[158] და სხვ. სრულიად ბუნებრივია, რომ ამ „სამუშაოებში“ სწორედ ქსოვა იგულისხმება.

გორის მაზრის სოფ. ხელთუბნის 1818 წლის აღწერაში კი შებრუნებითაა, სამეურნეო დახასიათებაში მითითებულია „სამუშაოები“, ცალკეულ ოჯახებს კი მითითებული აქვთ ხელოსნობის სხვადასხვა დარგები (უპირატესად ქსოვა)[159].

---

156 სცსია, ფ. 254 აღ. I, საქ. 54, ფურც. 182.
157 იქვე, საქ. 75, ფურც. 210.
158 იქვე, ფურც. 297.
159 იქვე, ფ. 254, აღ. I, საქ. 541, ფურც. 253.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე აშკარაა, რომ აღნიშნული ტერმინის ქვეშ იგულისხმება ხელოსნური საქმიანობა — ძირითადად საფეიქრო წარმოების სხვადასხვა დარგი. სავარაუდოა, რომ მასში აისახა დამმუშავებელი წარმოების ის ფორმა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის პარალელურად არსებობდა როგორც დამატებითი შემოსავლის წყარო და რომელიც სასაქონლო წარმოების განვითარების საფუძველზე თანდათანობით შინამრეწველობის ფორმით ყალიბდებოდა. აქ გათვალისწინებული უნდა იქნას ერთი არსებითი მნიშვნელობის გარემოება: კამერალური აღწერების მონაცემებით სოფლის მოსახლეობაში მეტად იშვიათადაა გამოყოფილი მწარმოებელთა ის კატეგორია, რომელიც საფეიქრო წარმოების მოსამზადებელ ოპერაციებში — რთვასა და პენტვაში ჩაბმული. ამავე დროს, აღნიშნული დარგები განსაკუთრებით განვითარებული იყო სოფლად, ისე რომ იგი არაბუთუ მთლიანად აკმაყოფილებდა ადგილობრივი (სოფლის) საფეიქრო წარმოების მოთხოვნილებას, არამედ ნედლეულზე გაცვლის ფორმით თუ სხვა გზით მნიშვნელოვანწილად ქალაქურ მრეწველობასაც უზრუნველყოფდა ნახევარფაბრიკატით. ამრიგად, არ არის გამორიცხული, რომ ამ ტერმინის ქვეშ უპირატესად სწორედ საფეიქრო წარმოების მოსამზადებელი ოპერაციები იგულისხმებოდეს.

იგივე უნდა იგულისხმებოდეს იმ შემთხვევაშიც, როცა „მუშაობა", როგორც საქმიანობა ცალკეულ ოჯახებს აქვთ აღნიშნული.

რაც შეეხება ტერმინებს „გამომუშავება" და „დღიური მუშაობა", ისინი აშკარად დაქირავებული შრომის სხვადასხვა ფორმებს გამოხატავენ, ხოლო ის ფაქტი, რომ ამგვარი კატეგორიის ოჯახები განსაკუთრებით ბევრია იმ პუნქტებში, სადაც საფეიქრო წარმოება იყო განვითარებული, და ხშირად საფეიქრო საქმიანობის მონაცვლე ტერმინებადაც იხმარებიან, იმას უნდა მიუთითებდეს, რომ საფეიქრო წარმოებაში ადგილი აქვს დაქირავებული შრომის გამოყენებას.

თუ ეს ასეა, მაშინ განუზომლად იზრდება საფეიქრო წარმოების განვითარების მასშტაბები და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი სხვადასხვა ფორმითა და დარგებით მეტ-ნაკლებად გავრცელებული იყო ქვეყნის თითქმის ყველა პუნქტში.

ამრიგად, საფეიქრო სასაქონლო წარმოებაში მეტ-ნაკლებად

ჩაბმული იყო ქვეყნის ბარის მწარმოებელი მოსახლეობის დიდი ნაწილი.

რთვა და ქსოვა თავისი ბუნებით სოფლური სარეწია. იგი ნატურალური მეურნეობის პირობებში მის პროდუქტებზე დიდი მოთხოვნილებისა და წარმოების მარტივი ხასიათის გამო, რომელიც დიდ ხელოსნურ გაწაფულობას არ საჭიროებდა, გლეხურ ოჯახებში დამატებითი საქმიანობის ფორმით გავრცელების დიდ პერსპექტივებს შეიცავდა. პირიქით, სააქონლო მეურნეობის პირობებში, როგორც დამოუკიდებელი სამრეწველო დარგი, იგი დიდ გავრცელებას აღწევს ქალაქებში. უფრო მეტიც, იქცევიან რა საქონელგაცვლისა და სასაქონლო მეურნეობის ცენტრებად, ქალაქები ამავე დროს საქონელბრუნვის ორბიტაში მოქცეული და უფრო მაღალ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე ასული საფეიქრო წარმოების ცენტრებად გვევლინებიან.

განსახილველ პერიოდში საქართველოს ქალაქებში ადგილი აქვს საფეიქრო წარმოების გაფართოებას. აღნიშნული სარეწის განვითარების ტემპები ქალაქებში გარკვეულად აჭარბებს მისი განვითარების ტემპებს სოფლად. ყოველ შემთხვევაში, „მანუფაქტურა-ქარხნების უწყისების“ მონაცემებით 1819 წლიდან 1827 წლებში საქსოვ საწარმოთა ოდენობა ქალაქებში 407,1% გაიზარდა (იხ. ცხრ. 23). იმავე პერიოდში სოფლად საწარმოთა რიცხვი 354-დან 1038-მდე გაიზარდა. მატებამ შეადგინა 293,2%. თავისთავად სოფლური სარეწების სიჭარბე არ ემთხვევა საერთოდ წარმოებაში მათ ხვედრით წილს, რადგან ცალკეულ საწარმოთა მოცულობის გაფართოების ტენდენცია ქალაქებში გაცილებით მეტია. მეორე მხრივ, უწყისებში ქალაქებად მხოლოდ სამაზრო ქალაქებია მიჩნეული. ამიტომაც სოფელთა რიცხვში ბევრი ქალაქის ტიპის სავაჭრო-სამრეწველო ცენტრია ნაგულისხმევი, მათ შორის ცხინვალი, სურამი, ახალქალაქი და ა. შ.

განსაკუთრებით მაღალგანვითარებული იყო საფეიქრო წარმოება თბილისში. აქ 1808 წლის მონაცემებით საქსოვ და მასთან დაკავშირებულ სხვა დარგებში ჩაბმული იყო 186 ოჯახი. 1824 წლისათვის ამ რიცხვმა 277-ს მიაღწია. ე. ი. მატებამ შეადგინა 150%. მაგრამ როგორც საბუთებზე დაკვირვება მოწმობს, საფეიქრო წარმოებაში ჩაბმულად უნდა იქნას მიჩნეული ოჯახების ის კატეგორიაც, რომელთა შემოსავლის წყაროდ აღწერებში „ხელსაქმეა“ დასახელებული. თუ აღნიშნული კატეგორიის მონაცემებსაც გავითვალისწინებთ, მაშინ მატება კიდევ უფრო მეტი იქნება და

იგი დაახლოებით 162,5% შეადგენს. მიუხედავად მატების მაღალი ტემპისა, იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთოდ საქსოვი საწარმოების რიცხვის ზრდას. საყურადღებოა, რომ 1824 წლისათვის საფეიქრო წარმოების ხვედრითი წილი ქალაქის საერთო ხელოსნურ წარმოებაში გარკვეულად ეცემა. 1808 წლის ცნობით საფეიქრო წარმოებაში ჩაბმული ოჯახები შეადგენდა ქალაქის ხელოსნური ოჯახების 29,9%, 1824 წლის მონაცემებით კი — 23,5%. საფეიქრო წარმოების საერთო აღმავლობის ვითარებაში ამგვარი მოვლენა ორი გარემოებით უნდა აიხსნას: ჯერ ერთი, ხელოსანთა ფაქტიური რიცხვი არ უდრის მასში ჩაბმული ოჯახების რიცხვს, რადგან ოჯახს საქმიანობა მიწერილი აქვს ბინის მეთაურის ხელობის მიხედვით, გამორიცხული არ არის, რომ იმ ოჯახების რიგითი წევრები (განსაკუთრებით ქალები), რომლებიც სხვა ხელობაში არიან ჩაბმულნი, საფეიქრო წარმოებასთან იყვნენ დაკავშირებული. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში (ისევე როგორც ბევრ სხვა ქალაქში) მეტად დიდი იყო იმ ოჯახების კონტინგენტი, რომელთა შემოსავლის ერთადერთი წყარო ხელსაქმე იყო, ხოლო ხელსაქმეში, როგორც ითქვა, უპირატესად საფეიქრო წარმოების სხვადასხვა ოპერაციები იგულისხმებოდა. ამავე დროს ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ხელსაქმეში მთლიანად ქალები იყვნენ ჩაბმული და არც ერთ ოჯახში (1808 წლის ცნობით ამგვარი ოჯახები თბილისში 107-ია, ხოლო 1824 წელს — 199), რომელსაც იგი შემოსავლის წყაროდ ჰქონდა აღნიშნული, არც ერთი შროშისუნარიანი მამაკაცი არ ყოფილა. აქედან დასკვნა: ხელსაქმე თბილისელი ქალების საქმიანობის ატრიბუტი და შეესაბამისად ოჯახის შემოსავლის დამატებითი წყარო ყოფილა, ხოლო ძირითად წყაროდ იგი მაშინ იქცეოდა, როცა ოჯახს მარჩენალი მამაკაცი არ ჰყავდა. მეორე გარემოება, რომელმაც განაპირობა საფეიქრო წარმოების ხვედრითი წილის გარკვეული შემცირება, ის უნდა ყოფილიყო, რომ კაბერალური აღწერები აღრიცხავდნენ ქალაქის მკვიდრ ოჯახებს, ხოლო საფეიქრო წარმოებაში განსაკუთრებით დიდი იყო მწარმოებელთა იმ კატეგორიის მონაწილეობა, რომლებიც აქ ახლომახლო სოფლებიდან ჩამოდიოდნენ.

მსგავსი ვითარება იყო გორშიც. 1804 წლის მონაცემებით საფეიქრო წარმოების სხვადასხვა დარგებში ჩაბმული იყო 49 ოჯახი, ანუ საერთოდ ხელოსნური ოჯახების 39,2%, 1818 წლისათვის ითვლებოდა საფეიქრო წარმოებაში ჩაბმული 65 ოჯახი.

მატებამ შეადგინა 132,7%. მაგრამ ამავე დროისათვის საფეიქრო წარმოებაში ჩაბმული ოჯახების ხვედრითი წილი საერთო ხელოსნურ ოჯახებში 35,5%-ზდე დაეცა, ამ მოვლენის ახსნაც იგივეა.

ასევე მაღალი იყო საფეიქრო წარმოებაში ჩაბმული მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა საქართველოს სხვა ქალაქებშიც. სახელდობრ, 1804 წლის ცნობით სიღნაღში საფეიქრო წარმოებაში ჩაბმული იყო 120 ოჯახი, ანუ ხელოსნური ოჯახების საერთო რაოდენობის 59,1%; 1821 წლის ცნობით დუშეთში საფეიქრო წარმოებაში ჩაბმული იყო 56 ოჯახი, ანუ ხელოსნური ოჯახების საერთო რაოდენობის 71,8% და ა. შ.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ საქართველოს რიგი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებისა ე. წ. მცირე ქალაქებისა (ახალქალაქი, ცხინვალი, ახალგორი და სხვ.) და უფრო მცირე ზომის სავაჭრო-სამრეწველო დაბების (ანაგა, ველისციხე, ხელთუბანი და ა .შ.) არსებობა, რომლებიც თავის დროზე შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე ყალიბდებოდნენ, განსახილველ პერიოდში სწორედ საფეიქრო წარმოების განვითარებასთან და მისი პროდუქციით ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარად ჩანს, რომ საფეიქრო წარმოებაში ჩაბმული იყო ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის მეტად დიდი ნაწილი, რაც ამ სარეწის მეტად ფართო გავრცელების შედეგი იყო.

*
* *

ფეოდალურ-ბატონყმური ქვეყნისათვის მწარმოებელთა ამგვარი მასობრივი ჩაბმა დამმუშავებელ მრეწველობაში საგანგებო განმარტებას მოითხოვს, მით უმეტეს, რომ ეს საკითხი საშინაო ბაზრის ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემის შემადგენელი ნაწილია და, ამდენად, ამოსავალია ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის ფორმირების პროცესის გარკვევაში.

დასამუშავებლად ვარგისი მიწების სიმცირე, რასაც არა მარტო ნიადაგის ხარისხი და შორწყვის პრობლემა, არამედ მნიშვნელოვანწილად ისიც განსაზღვრავდა, თუ რამდენად იყო იგი დაცული მეზობელ მთიელი ფეოდალების მძარცველური თავდასხმებისაგან, და დამმუშავებელ სასაქონლო წარმოებაში ჩაბმის სიმარტივე, რასაც ფეიქრობის საოჯახო ფორმების არსებობის ხანგრძ-

ლივი ტრადიციებიც აადვილებდა, საფეიქრო ნაწარმზე მოთხოვნილების ზრდის პირობებში უშუალო მწარმოებლებს ამ საქმიანობისაკენ იზიდავდა.

ბატონყმური ურთიერთობის მოშლა, ყმური შრომის რენტაბელობის დაცემა და ამის საფუძველზე შრომამიგებითი ბეგარის ხვედრითი წილის შემცირება, ხოლო მეორე მხრივ, სასაქონლო მეურნეობის განვითარება და ცხოვრების ყაიდის ცვლა, რაც გაბატონებული კლასის წარმომადგენლებს ფულადი შემოსავლის ძიების აუცილებლობის წინაშე აყენებდა, კარნახობდა მათ არაუცთუ არ შეეჩერებინათ მწარმოებელთა ამგვარი მისწრაფებები, არამედ კიდევაც წაექეზებინათ ისინი.

ნებატონეები არათუ ურიგდებოდნენ ყმა-გლეხების საწარმოო საქმიანობაში ჩაბმას ადგილზე, არამედ ხელსაც კი უწყობდნენ მათ გადაადგილებას სამრეწველო ცენტრებში. ზემოთ მოტანილი იყო საბუთი, თუ როგორ თავგამოდებით იცავდა თბილისში დროებით ჩამოსულ და მრეწველობაში ჩაბმული თავის ყმების ინტერესებს თავადი ზაალ ზურაბოვი[160]. მუხრანბატონის ყმა ხელოსანთა არაერთი ოჯახი ცხოვრობდა თბილისში მებატონის ნებართვითა და ხელშეწყობით, ხოლო როცა ადგილობრივი ხელისუფლება მათ უკან გადასახლების საკითხს აყენებდა, ისინი ამაზე სასტიკ პროტესტს აცხადებდნენ[161]. თავადი ელიზბარ ფალავანდიშვილი თავისი ყმების 8 ოჯახს, რომელთაგან სამი ვაჭრობდა, ხუთი კი — ფეიქარი იყო, სოფელ ძაგანიდან ცხინვალში ასახლებს[162]. ქალაქებსა და დაბებში სამრეწველო-საქმიანობაში ჩაბმის მიზნით სახაზინო გლეხთა მოძრაობის ინტენსიურ პროცესს კარგად ახასიათებს გასული საუკუნის 10-იან წლებში შედგენილი ერთი ოფიციალური საბუთი: „სახაზინო უწყების ბევრი გლეხი რეწვისათვის ქალაქებსა და დაბებში ცხოვრობს, რომლებზედაც სახაზინო ექსპედიციაში ყოველ საათს შემოდის მათი სოფლების მცხოვრებთა თხოვნები მათ მიერ გადასახადების გადაუხდელობი-

---

160 სცსია, ფ. 16, საქ. 497, ფურც. 40.

161 იქვე, საქ. 429, ფურც. 3.

162 А. Я. Панцхава, Вопросы аграрной истории Грузии, I пол. XIX века, Тб., 1960. ამ და სხვა სახის მასალებზე დაყრდნობით ავტორი ასკვნის «В условиях крепостного права внутреннее передвижение крепостного населения было ограничено. Но экономическое развитие страны и разложение феодалных отношений не могли остановить этого передвижения и даже усиливали его», с. 60.

სა და ბეგარისაგან თავის არიდების თაობაზე"[163]. მებატონეთა დასტურით დასავლეთ საქართველოს გლეხური მოსახლეობის მოძრაობაზე მიუთითებს მ. სელეზნიოვი. მისი ცნობით, „კოლხიდის მცხოვრებლები, რომლებსაც თავის გამოსაკვებად არაფერი აქვთ გარდა ტყის ნაყოფისა, უკიდურესად ღარიბები არიან, ეს მათ აიძულებთ მიატოვონ სამშობლო, ფაიფანტონ ამიერკავკასიის სხვადასხვა ოლბექში, ჩაებან მძიმე ხელობებში... გამომუშავებულ ფულს ისინი თავიანთ ოჯახებს უგზავნიან, რათა გადასახადების გადახდის საშუალება მისცენ"[164].

მაჰმადიანური ქვეყნების რაკლში მოქცეული ქრისტიანული საქართველო მეზობელი სახელმწიფოების ერთმორწმუნე მოსახლეობის მნიშვნელოვანი დასაყრდენი და თავშესაფარიც იყო. რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს როლი კიდევ უფრო განმტკიცდა. რუსეთი კავკასიაში ქრისტიანობის დაცვის დროშით შემოდიოდა. მახლობელი მაჰმადიანური ქვეყნებიდან ერთმორწმუნე ლტოლვილების საქართველოში მოზიდვა და მათი მფარველობა მისი პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო[165]. ამის გამო აღნიშნული ქვეყნებიდან საქართველოსაკენ მოისწრაფოდნენ ეროვნულ და რელიგიურ ჩაგვრას გამოქცეული ქრისტიანული მოსახლეობის მნიშვნელოვანი მასები. 1805 წელს ერევნის სახანოდან თბილისში ჩამოსახლებულთა რიცხვი 1500 სულს უდრიდა[166]. 1807—8 წლებში გარეთუბანსა და ავლაბარში ჩამოსახლებული სომხური ოჯახების რიცხვი 338 ოჯახს (1906 სულს) ითვლიდა[167]. მეტად დიდი იყო ქრისტიანული მოსახლეობის ლტოლვა ახალციხის საფაშოდან. ერთი ცნობით, მარტო 1812 წელს ჯავახეთიდან ქართლში 171 ოჯახი გადმოსახლდა[168]. 1808 წლის ცნობით, თბილისის მოსახლეობაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი ყოფილა იმ ოჯახების რაოდენობა, რომლებიც სხვადასხვა დროს ჯავახეთიდან გადმოსულან[169]. ახალციხიდან გადმოსახ-

---

163 სცსია, ფ. 16, საქ. 858, ფურც. 2.

164 Руководство к познанию Кавказа Михаила Селезнева, кн. 2, СПб., 1841, с. 81—82.

165 სცსია, ფ. 16, საქ. 1274.

166 სცსია, ფ. 1010, საქ. 175, ფურც. 21.

167 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 185, ფურც. 254—259.

168 სცსია, ფ. 16, საქ. 1462.

169 სცსია, ფ. 16, საქ. 495, ფურც. 30.

ლებულთა რაოდენობა ნიშვნელოვანი იყო გორის მაზრაში[170], განსაკუთრებით ბევრი იმერეთში და ა. შ.

განსახილველი ხანა კლასობრივი ბრძოლის არნახული გაქანებით ხასათდებოდა, რომლის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა ყმების გაქცევაში გამოიხატებოდა. ეს პროცესი საქართველოს ყველა კუთხეში შეინიშნებოდა, მაგრამ განსაკუთრებით ძლიერი იყო იგი დასავლეთ საქართველოში. ერთი მხრივ, ბატონყმური ურთიერთობის განსაკუთრებით მძიმე ფორმები, ხოლო მეორე მხრივ, სამრეწველო და სავაჭრო საქმიანობის განვითარების შედარებით მაღალი დონე აღმოსავლეთ საქართველოში, განაპირობებდა იმ ფაქტს, რომ დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთში გლეხთა გამოქცევის პროცესი ძალზე ინტენსიური იყო. დასავლეთ საქართველოდან გამოქცეულ ყმა-გლეხთა თავმოყრის ადგილები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ცენტრები იყო, სადაც მათ არა მარტო სამუშაოს შოვნისა და თავის გატანის, არამედ თავის შეფარების, მებატონეთა ძიებისაგან გადარჩენის, დამალვის შესაძლებლობაც მეტი ჰქონდათ. მეტად დიდი იყო გამოქცეულ გლეხთა ლტოლვა სიღნაღის მაზრისაკენ, სადაც ჯერ კიდევ ერეკლეს დროიდან მოქმედებდა წესი, რომელიც XVIII საუკუნეში ამ მეტად მნიშვნელოვანი ფორპოსტის მოშენებისა და გაძლიერების მიზნით იქნა შემოღებული და ქიზიყში დასახლებული კაცის აყრას კრძალავდა.

თუ რამდენად დიდი იყო გამოქცეული ყმა-გლეხების კონტიგენტი საქართველოს სხვადასხვა სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში, ამაზე აშკარად მეტყველებს შემდეგი ფაქტი: როცა 1804 წელს რუსულმა ხელისუფლებამ სცადა მიეკვლია და დაეზუსტებინა იმერეთიდან თბილისსა და მის მაზრაში უნებართვოდ ჩამოსახლებულ პირთა რაოდენობა, ამ კატეგორიის 3000 სულს მიაკვლია[171]. ცხადია ყველას მიგნება ვერ მოხერხდებოდა, ხოლო ვისაც მიაკვლიეს, უპირატესად შრომისუნარიანი მამაკაცები იყვნენ. ამ რიცხვის მასშტაბი რომ წარმოვიდგინოთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ თბილისში იმ დროს სულ 20 000 მცხოვრები იყო, რომელთაგან შრომისუნარიანი მამაკაცი სულ 5 000 თუ იქნებოდა. მიუხედავად რუსული ხელისუფლების არაერთი ხელისშემშლელი ღო-

---

[170] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 220, ფურც. 233; საქ. 840, ფურც. 151 და ა. შ.

[171] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 757, ფურც. 593—594.

ნისძიებისა, მებატონეთა აქტიური ბრძოლისა და ა. შ., ეს პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობდა მთელი განსახილველი პერიოდის მანძილზე. განსაკუთრებით გაძლიერდა იგი 1812 წლის შიმშილობის პერიოდში[172].

ამგვარად, მოსული ელემენტი მეტად მნიშვნელოვანი იყო არა მარტო ისეთ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში, როგორიც თბილისი, გორი, სიღნაღი, თელავი და დუშეთი, ცხინვალი იყო. არამედ უფრო მცირე მნიშვნელობის დაბებშიც (რუისი, ქარელი და ა. შ.)[173].

მოსული ელემენტის საქმიანობის შესახებ წარმოდგენას იძლევა შემდეგი ფაქტი: როცა 1817 წელს სცადეს დაედგინათ ქალაქებში მოსული ოჯახების რაოდენობა, გაირკვა, რომ იმ 73 ოჯახიდან რომლებსაც საბუთში საქმიანობა მიწერილი ჰქონდათ, თითქმის ყველა ვაჭრობა-ხელოსნობაში იყო ჩაბმული, აქედან 29 ოჯახი, ანუ საერთო რაოდენობის 39,7% ფეიქრები იყვნენ[174].

სავაჭრო-სამრეწველო აღმავლობის ვითარებაში, როგორც ჩანს, საქართველოს სამრეწველო ცენტრებში საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო მოსაშოვრე ხელოსანთა ლტოლვა მეზობელი ქვეყნებიდანაც. 1826 წელს თბილისელი ფეიქრების საჩივრის გამო ხაზინამ შეამოწმა და დაადგინა, რომ ამ წელს თბილისში თურქეთისა და ირანის სხვადასხვა ქალაქებიდან დროებით გადმოსული 150-ზე მეტი ფეიქარი საქმიანობდა[175].

[illegible]თი იყო ის წყაროები, რომლითაც დამმუშავებელ მრეწველობაში მუშახელის ნაკადი მოდიოდა. წინამდებარე ნაშრომის შეზღუდული მოცულობა საშუალებას არ იძლევა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ეს თავისთავად მეტად საინტერესო და არსებითად შეუსწავლელი პროცესი. მაგრამ ნათქვამიდან აშკარაა, რომ საერთოდ დამმუშავებელ მრეწველობაში და, კერძოდ, ფეიქრობაში მუშახელის მეტად მნიშვნელოვანი რაოდენობის ჩაბმას ჩვენში რეალური საფუძველი ჰქონდა.

* * *

ამრიგად, საფეიქრო წარმოებაში ჩაბმული იყო ქვეყნის სოფლის მოსახლეობის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი. კამერალური

---

172 სცსია, ფ. 254, აღწ. I, საქ. 757, ფურც. 593—594.
173 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 542, ფურც.
174 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 216, ფურც. 39.
175 სცსია, საქ. 923, ფურც. 1178—1179.

აღწერები სხვადასხვა კუთხეში საფეიქრო წარმოებაში ჩაბმული ოჯახების მეტად მნიშვნელოვან პროცენტს ადასტურებენ. იმის გამო, რომ კამერალური აღწერები სამრეწველო საქმიანობას სოფლის მეურნეობის რაიონებში მხოლოდ იმ შემთხვევაში აღნიშნავენ, როცა იგი უპირატესად გამოყოფილია სოფლის მეურნეობისაგან, საფეიქრო წარმოებაში ჩაბმული მოსახლეობის ხვედრითი წილი ფაქტიურად გაცილებით დიდია, ვიდრე ეს იმ მონაცემებიდან ჩანს. კამერალურ აღწერებში ოჯახების ის კატეგორია, რომლისთვისაც სამრეწველო (უპირატესად საფეიქრო) საქმიანობა დამატებითი შემოსავლის წყაროა, აღნიშნულია ტერმინით „თავს ირჩენს მუშაობით". იმის გამო, რომ ამგვარი აღნიშვნა ცალკეულ სოფლებთა სამეურნეო საქმიანობის დახასიათებისას მეტად ხშირია (ქართლში იგი სოფლების აბსოლუტურ უმრავლეობას აქვს აღნიშნული), შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ საფეიქრო წარმოებასთან დაკავშირებული იყო საქართველოს თითქმის ყველა სოფელი. საფეიქრო წარმოება მეტად ფართოდ იყო გავრცელებული ქალაქებში, განსაკუთრებით თბილისში, რასაც მოწმობს საფეიქრო წარმოებაში ჩაბმული ოჯახების მაღალი პროცენტი. როგორც ირკვევა, საფეიქრო წარმოებაში უპირატესად ჩაბმული იყო ქალაქის მოსახლეობის ის კატეგორია, რომლებიც კამერალურ აღწერაში „ხელსაქმით" მომუშავეებადაა მოხსენიებული.

სამრეწველო და, კერძოდ, საფეიქრო წარმოებაში ჩაბმული მუშახელის მაღალი კონტინგენტი ივსებოდა იმ ყმური მოსახლეობით, რომლებიც მებატონეთა სურვილითა და ხელშეწყობით ებმებოდნენ აღნიშნულ საქმიანობაში, მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნებიდან ლტოლვილი ქრისტიანული მოსახლეობით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან კლასობრივი ბრძოლის საფუძველზე გამოქცეული ყმა გლეხებით, მეზობელი ქვეყნებიდან დროებით გადმოსული მოსაშოვრე ხელოსნებით და ა. შ.

6. პირველი ცვლილებები წარმოებით ურთიერთობებში

წარმოების გაფართოება, მასში მშრომელთა მნიშვნელოვანი მასების ჩაბმა, არაიძულებითი შრომის გამოყენების ტრადიციები და მასშტაბები, საწარმოო ძალთა განვითარების ხასიათი, სასაქონლო მეურნეობის გავრცელება, საშინაო ვაჭრობის გაფართოება და საქონლის მნიშვნელოვანი ექსპორტი, მრეწველობის ისეთ რე-

ვოლუციურ დარგში, როგორიც ფეიქრობაა, წარმოებითი ურთიერთობის თვალსაზრისით თვისებრივი ძვრების ძიების საფუძველს იძლევა. მარქსი და ენგელსი გარკვევით აღნიშნავენ, რომ „ფეიქრობა, რასაც მანამდე მისდევდნენ სოფელში სხვათა შორის გლეხები, რათა თავიანთთვის გაეკეთებინათ აუცილებელი ტანისამოსი, იყო პირველი სახე შრომისა, რომელმაც ვაჭრობის გაფართოების შეიხებით მიიღო ბიძგი შემდგომში განვითარებისაკენ"[176]. მარტივი საქონელწარმოების კაპიტალისტურ საქონელწარმოებად გადაქცევის პროცესში ვაჭრის როლი განმსაზღვრელია. „ვაჭარი იყო რევოლუციური ელემენტი ამ საზოგადოებაში, სადაც უწინ ყველაფერი სტაბილური იყო, სტაბილური, ასე ვთქვათ, შემკვიდრეობის გამო,... და აი, ამ სამყაროში შეიჭრა ვაჭარი, რომელიც მისი გადატრიალების ამოსავალი პუნქტი უნდა გამხდარიყო"[177]. კ. მარქსის მითითებით, „ვაჭრობას მეტნაკლებად დამშლელი ზეგავლენა აქვს წარმოების იმ არსებულ ორგანიზაციებზე, რომლებიც ყველა თავის ფორმაში უმთავრესად სახმარი ღირებულების წარმოებისადმია მიმართული"[178]. მაგრამ ეს პროცესი თანდათანობით, ეტაპობრივად ხორციელდებოდა: „საკაჭრო კაპიტალი დასაწყისში მხოლოდ მოსაშუალე მოძრაობას წარმოადგენს კიდურებს შორის, რომლებსაც იგი არ არის დაუფლებული და ამ წანამძღვართა შორის, რომელთაც იგი არ ჰქმნის" თანდათანობით, „იგი წარმოებას სულ უფრო დაუქვემდებარებს საცვლელ ღირებულებას... ამით იგი იწვევს ძველი ურთიერთობის დაშლას, ადიდებს ფულის მიმოქცევას. იგი ხელთ იპყრობს არა მარტო წარმოების ნამეტს, არამედ თანდათან ნთქავს თვით წარმოებას და თავისთავზე დამოკიდებულს ხდის წარმოების მთელ დარგებს"[179].

კონკრეტულად ეს პროცესი სხვადასხვა გზით მიმდინარეობდა: „ფეოდალური წარმოების წესიდან გადასვლა ხორციელდება ორგვარად. მწარმოებელი ხდება ვაჭარი და კაპიტალისტი... ეს არის ნამდვილად რევოლუციის მომზდენი გზა. ანდა ვაჭარი ეუფლება

---

[176] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგია, ციტირებულია წიგნიდან „მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი ტექნიკის შესახებ", თბ., 1936, გვ. 53—54.

[177] ფ. ენგელსი, „კაპიტალის" მესამე ტომის დამატებანი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, თბ., 1959, გვ. 548—549.

[178] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, თბ., 1950, გვ.418.

[179] იქვე, გვ. 418.

უშუალოდ წარმოებას"[180]. გადასვლის პირველი გზა ერთობ მძიმე და ხანგრძლივი პროცესი იყო. იგი სახელოსნოს თანდათანობით გაფართოებასა და ნედლეულის დამოუკიდებლად შეძენასთან იყო დაკავშირებული, რაც გარკვეული თავდაპირველი მინიმალური კაპიტალის თვით ხელოსნობაშივე თანდათანობით დაგროვებას გულისხმობდა.

განსახილველი ხანის დოკუმენტური მასალა ცალკეული ხელოსნის მიერ პარალელურად ვაჭრობის წარმოების არაერთ ფაქტს ასახელებს. ამგვარ ფაქტებს ადგილი ჰქონდა საფეიქრო დარგის ხელოსნებშიც. ზოგჯერ აღნიშნული ხელოსნები პარალელურად ვაჭრობასაც ეწეოდნენ საკვები პროდუქტებით, როგორც ამას აკეთებდნენ სიღნაღის მაზრის ფეიქარი გლეხები — ნერსეს აფრიამაშვილი და ზურაბ მარტირუზაშვილი[181]. ამგვარი ფაქტები გვხვდება ანანურის მაზრის 1804 წლის აღწერაშიც, კერძოდ, მქსოველი გრიგოლ ნელიქოვი პარალელურად ვაჭრობდა საკვები პროდუქტებით[182]. ამ შემთხვევაში არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ხელოსანი (ფეიქარი) პარალელურად ეწევა იმ პროდუქტების გასაღებას, რომელიც მას თავისი ნაწარმის გაცვლის შედეგად აქვს მიღებული. ამგვარ შესაძლებლობას თითქოს ემხრობა ის, რომ აღწერის შემადგენელთა ცნობით, ფეიქრებს (იგულისხმება ბამბეულის დამამზადებელი ხელოსნები) „თავიანთი ნაწარმი ზოგჯერ მიაქვთ სოფლებში, სადაც მას ყიდიან ფულზე და ცვლიან მაუდზე და სხვაზე"[183]. მოსალოდნელია, რომ ამ „სხვაში" სწორედ საკვები პროდუქტები იგულისხმებოდეს. მეორე მხრივ, იმ ხელოსნებს, რომლებიც პარალელურად საკვები პროდუქტებით ვაჭრობას ეწევიან, მითითებული აქვთ შესაბამისი კაპიტალი, რაც აღნიშნული პროდუქტების გაცვლით მიღების შესაძლებლობას თითქოს გამორიცხავს. მაგალითად, ანანურის აღწერით ამგვარ კატეგორიაში 7 ოჯახი იყო მოქცეული, რომელთაც ვაჭრობის სხვადასხვა საბრუნავი თანხა ჰქონდა აღნიშნული[184]. გოგია არუშანოვი კი, შემდგენელის ცნობით, მჩითავია, მაგრამ დროებით ნასესხები ფულით ვაჭრობს საკვები პროდუქტებით. იმავე საბუთით ანანურში აღნიშნულია 17 დუქანი, „რომლებშიც ქსოვენ ტილოს და ვაჭრობენ. ამი-

---

180 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, თბ., 1950, გვ. 423.

181 А. Я. Панцхава, დასახ. ნაშ., გვ. 55.

182 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 77, ფურც. 4.

183 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 77, ფურც. 2.

184 იქვე.

სათვის ერევნიდან (მოტანილი) ნედლი ბამბით, და მათშიც... დროებით ვაჭრობენ ხაკვები და სასმელი პროდუქტებით"[185]. ვაჭრობის დროებითი ხასიათის ხაზგასმა დაკვირვებას მოითხოვს, მაგრამ ჯერჯერობით ამაზე გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია.

თავისთავად ხელოსნის ჩაბმა ისეთი საქონლით ვაჭრობაში, რომელიც მისი ხელობის პროდუქტი არ არის, ერთობ მნიშვნელოვანია საერთო ეკონომიკური და, კერძოდ, სასაქონლო ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს კაპიტალისტური ურთიერთობის დასაწყისს, რადგან ხელოსანი სცილდება მეურნეობის იმ სფეროს, რომელშიც იგი გაწაფული და კომპეტენტურია; არ არის გამორიცხული, რომ, როდესაც ვაჭრობაში გარკვეულ კაპიტალს დააგროვებს, იგი მეურნეობის იმ სფეროს დაუბრუნდეს, საიდანაც მან მოღვაწეობა დაიწყო. მაგრამ ეს უკვე კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვის სულ სხვა გზა იქნებოდა. ეს იქნება ვაჭრის მიერ წარმოების თანდათანობით დაპყრობა. ამაზე ქვემოთ დაწვრილებით იქნება საუბარი. ახლა კი უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი ხანის საბუთებში არაერთი მაგალითია იმისა, როცა სპეციალისტი ფეიქარი ვაჭრობდა იმ ნაწარმით, რომელსაც ამზადებდა, ან იმ ნედლეულით, რომელიც მას სჭირდებოდა.

იმავე ანანურის მაჩრის 1804 წლის აღწერით მქსოველი ივანე ვარდანაშვილი ერთდროულად ტილოთი და ბამბით ვაჭრობდა, მქსოველი გიორგი დავითაშვილი კი ბამბით. გიორგი ფშაველიშვილი და ივანე ბეჟანიშვილი მქსოველები იყვნენ და ამავე დროს ვაჭრობდნენ მოქსოვილი ტილოთი და ბამბით[186]. გორის მაზრის 1814—1818 წწ. აღწერებში ხელოსნობასთან ერთად ვაჭრობას მისდევდა მქსოველთა 9 ოჯახი, აქედან ერთი ოჯახი ვაჭრობდა ხილით, დანარჩენი კი ბამბეულით, ქსოვილებით და წვრილმანი საქონლით[187]. იმის გამო, რომ „წვრილმან საქონელში" იგულისხმებოდა სხვადასხვა თავსაფრები, ზონრები, ძაფები, მოქსოვილი სარტყლები და სხვა მისთანანი, შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა დანარჩენი რვა მქსოველი თავისი წარმოების საქონლითა და ნედლეულით ვაჭრობს. ამგვარი მაგალითები ბევრია.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხელოსანი მისი ხელობის პროდუქ-

---

185 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 77, ფურც. 7.

186 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 77, ფურც. 2-4.

187 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 540, 541, 542.

ტებითა და ნედლეულით ვაჭრობდა, განვითარების თვისებრივად განსხვავებული პერსპექტივა შეიძლებოდა დასახულიყო, რადგან ფეოდალური ურთიერთობიდან გადასვლის პირველი „ნამდვილად რევოლუციის მომხდენი გზა“ იმით იწყება, რომ „მჭსოველი ოსტატი ნაცვლად იმისა, რომ მატყლი ვაჭრისგან მიიღოს თანდათან ცოტ-ცოტაობით და მისთვის თავისი ქარგლების დახმარებით იმუშაოს, თვითონ ყიდულობს მატყლს ან ნართს და ვაჭარს მიჰყიდის თავის მაუდს“[188]. მაგრამ აქ ჯერ მხოლოდ პერსპექტივა ისახება და როგორ განვითარდება და რა სახეს მიიღებს იგი, ეს მომავლის საქმეა. სულაც არ არის აუცილებელი ყველა ხელოსანი, რომელმაც ეს ნაბიჯი გადადგა, საბოლოოდ კაპიტალისტი გამხდარიყო. პირიქით, ამგვარი საშუალება მრავალთაგან მხოლოდ ცალკეულებს ეძლეოდათ. ახალოსნოს გაფართოებისათვის გარკვეული მინიმალური კაპიტალია საჭირო. ეს კაპიტალი კი ხელოსნობაში მეტად ნელა და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თუ შეიძლება დაგროვდეს. აქ გარკვეულად დადებითი, დამაჩქარებელი როლი უნდა ეთამაშა საოჯახო კოოპერაციას, რასაც ჩვენს პირობებში დიდი ოჯახის შემორჩენილი ტრადიციის არსებობა უწყობდა ხელს.

არსებული მასალა საშუალებას იძლევა დავადგინოთ არაერთი შემთხვევა, როცა ერთ ოჯახში რამდენიმე მოწიფული მამაკაცი ერთ ხელობას ან ერთი დარგის სხვადასხვა ოპერაციას ასრულებს. მაგალითად, 1810 წლის ცნობით, თბილისელი გრიქურაშვილების ოჯახში სამი მოწიფული, ცოლშვილიანი ძმა იყო გაერთიანებული. ოჯახი 16 სულისაგან შედგებოდა და სამივე ძმა მღებრობას მისდევდა. ოჯახი საკმაოდ შეძლებული იყო, რასაც ის გარემოება მოწმობდა, რომ მასზე მახტა 10 მან. 50 კაპ. იყო გაწერილი[189]. ეფლისციხის 1817 წლის აღწერით დათია გიქჩაშვილის ოჯახში 4 ცოლშვილიანი ძმა იყო გაერთიანებული და ყველა ფეიქრობას მისდევდა. ამგვარივე ვითარება იყო დათია პაპაშვილის ოჯახშიც. საყურადღებოა, რომ აღნიშნულ ოჯახებს საკუთარი დუქნებიც ჰქონდათ[190], რაც ერთი მხრივ, მათ შეძლებულებას მიუთითებს, მეორე მხრივ კი, წარმოების გაფართოებისა და ვაჭრობაში ჩაბმის პერსპექტივებს. იმავე აღწერით არუთინ მეზვრიშვილის ოჯახში 7 მოწი-

---

188 კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი“, ტ. III, ნაწ. I, თბ., 1950, გვ. 425.
189 სცსია, ფ. 254, აღ.I, საქ. 1424, ფურც. 721.
190 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 499.

ფული ძმა იყო და ყველა საფეიქრო წარმოებაში ჩანს ჩაბმული[191]. გეო ღარიბაშვილის ოჯახში 3 მოწიფული ძმა იყო, რომლებიც მჩითავებად არიან მოხსენიებულნი. ასეთივე ვითარება იყო დათო გევურქაშვილის ოჯახში[192]. საბუთებში არაერთი იმის მაგალითიც გვხვდება, როდესაც ცალკეულ ოჯახებში საფეიქრო წარმოების ბეთელი პროცესი მიმდინარეობდა ნედლეულის პირველადი დამუშავებიდან პროდუქტების საბოლოო გაფორმებამდე. მაგალითად, გურჯაანელი ძმების აჯიმამუდაშვილების ოჯახი, რომელიც 11 სულისაგან შედგებოდა, ტილოს ქსოვდა და ღებავდა[193]. ვაქირელი სარქისაშვილების ოჯახში 3 მოწიფული ძმა ცხოვრობდა, რომლებიც, წყაროს ცნობით, ტილოს ქსოვდნენ და თვითონვე მჩითავები იყვნენ[194]. ამგვარი მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ფეიქრობა მეურნეობის ის დარგია, რომელიც ყველაზე ადვილად იტანს ქალებისა და ბავშვების შრომას და ხშირად მას გარკვეულ უპირატესობასაც კი ანიჭებს. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რომ ჩამოთვლილ ოჯახებში, და ბევრ სხვაშიც, წარმოებაში ფაქტიურად ჩაბმული მუშახელის რაოდენობა მნიშვნელოვნად ჭარბობდა მოწიფულ მამაკაცთა რიცხვს და იგი ხშირად 10—12 და შეიძლება მეტ სულსაც აერთიანებდა. ერთი სიტყვით, ყალიბდებოდა საოჯახო კოოპერაცია. მწარმოებელთა ამგვარი თავმოყრა ერთ ოჯახში, ერთ ჭერქვეშ, რომელთა მეცადინეობა ერთგვაროვანი პროდუქციის წარმოებისკენ იყო მიმართული, მნიშვნელოვნად აადვილებდა და აიაფებდა წარმოებას (შრომის დანაწილების ჩანასახები, შრომის იარაღების რაციონალური გამოყენება, ნედლეულით მომარაგების გაადვილება და ა. შ.), ამაღლებდა შრომისნაყოფიერებას და ამცირებდა წარმოების ხარჯებს. ყოველივე ამის გამო აქ კაპიტალის დაგროვებისა და წარმოების შემდგომი გაფართოების პერსპექტივები განუზომლად მაღალი იყო. სასაქონლო მეურნეობის პირობებში ამგვარი კოოპერაცია ახალი წარმოებითი ურთიერთობების პროტოტიპია და ამიტომ ვ. ი. ლენინი გარკვევით მიუთითებდა, რომ „ოჯახური კოოპერაცია კაპიტალისტური კოოპერაციის საფუძველს წარმოადგენსო“[195].

---

191 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 499.

192 იქვე.

193 იქვე.

194 იქვე.

195 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ.3, გვ. 407.

საოჯახო კოოპერაციას რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფეოდალური ურთიერთობიდან გადასვლის აღნიშნული გზის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, იქიდანაც ჩანს, რომ იმ ხელოსანთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ვაჭრობაში ებმებოდა მრავალრიცხოვანი ოჯახისა და შესაძლოა, საოჯახო კოოპერაციის წარმომადგენელი იყო. ასეთი იყო, მაგალითად, სიმონ ტატანაშვილი, რომლის ოჯახი 13 სულისაგან შედგებოდა (5 მოწიფული მამაკაცი)[196], სურამელი შალომა დავარაშვილი, რომლის ოჯახი 11 სულისაგან შედგებოდა[197], იოსებ ჯინჯიხაშვილი, რომლის ოჯახი 14 სულისაგან შედგებოდა და ა. შ.[198].

სახელოსნოს გაფართოებისა და შესაბამისად ხელოსნის ვაჭრობაში ჩაბმის, ანუ ფეოდალური წარმოების წესიდან გადასვლის გზა მარტო საოჯახო კოოპერაციაზე არ გადიოდა.

შრომის ხელოსნური დანაწილების პირობებში, ერთი პროდუქტის დამზადების ცალკეულ ოპერაციებში, რომლებიც ხელოსნობის ცალკეულ დარგებად იყოფა, წამყვან ადგილს ერთი რომელიმე პროცესი (ხელოსნური დარგი) იკერს. ეს უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ ტრადიციულად მომხმარებელთან (თავდაპირველად შემკვეთთან. შემდეგ მყიდველთან) კონტაქტის საშუალება ერთ ხელოსანს აქვს, ვთქვათ იმას, ვინც ხმლის მოზარნიშებას აწარმოებს. თავის მხრივ. აღნიშნული ოსტატი უკვე თვითონ ამყარებდა კავშირს იმ ხელოსნებთან (მეკედელთან, რომელსაც ხმლის პირი უნდა გამოეკედა, სარაჯთან, რომელსაც ქარქაში და სხვა მოწყობილობა უნდა დაემზადებინა და ა. შ.), რომლებთაც ცალკეული ოპერაციები უნდა შეესრულებინათ. ამგვარ ვითარებაში ძირითადი ხელოსანი პრივილეგიურ მდგომარეობაშია, რადგან დანარჩენი ხელოსნები თანდათანობით მასზე დამოკიდებულნი ხდებოდნენ. აქედან მომდინარეობდა წარმოების გაფართოების პერსპექტივაც.

უპირატეს შემთხვევაში ამგვარი პრივილეგიური მდგომარეობა ექნებათ პროდუქტის დამზადების ცენტრალური ან დამსრულებელი ოპერაციის დარგის ხელოსნებსაც. საფეიქრო წარმოებაში ამგვარი ოპერაციებია საკუთრივ ქსოვა, ღებვა და მოჩითვა. ამდენად, სახელოსნოს გაფართოების შესაძლებლობა ძირითადად ამ

---

196 სესია, ფ. 254, აღ. I, საქ. 541.

197 იქვე, საქ. 542, ფურც. 605.

198 იქვე.

დარგებში არსებობდა. უკანასკნელ შემთხვევაში ამის პერსპექტივა მეტი იყო, რადგან ღებვა და მოჩითვა თვით წარმოების ტექნოლოგიისა და მოწყობილობების გარკვეულად რთული ხასიათის გამო თავიდანვე გულისხმობდა რამდენიმე მაწარმოებლის ერთად მუშაობის აუცილებლობას.

იმ თავში, სადაც სამღებროების მონოპოლიაზე იყო საუბარი, აღინიშნა სახაზინო სამღებროებში დასაქმებულ მწარმოებელთა შეზღუდული ოდენობა — 3—5 კაცი. თავისთავად ჩვეულებრივი შუასაუკუნეობრივი სახელოსნოსათვის ეს მცირე ოდენობა არ არის. მაგრამ როგორც აღნიშნული იყო, მწარმოებელთა შეზღდულ ოდენობას ის გარემოება განაპირობებდა, რომ მოიჯარე არ იყო სამღებროს მესაკუთრე, იგი მას დროებით ფლობდა და შესაბამისად მასზე კაპიტალდაბანდებისაგან თავს იკავებდა. ყველა საფუძველი არსებობს ვივარაუდოთ, რომ კერძო სამღებროებში ამ მხრივ სულ სხვა მდგომარეობა იყო. საფეიქრო წარმოების ამაღლების პირობებში სამღებროების გაფართოების ტენდენცია საკმაოდ ძლიერი უნდა ყოფილიყო. მართლაც. ვაჭრობაში ჩაბმულ ხელოსანთა მნიშვნელოვანი ნაწილი მღებრები ან მჩითავები იყვნენ. ასეთი იყო 1812 წლის ცნობით ვინმე ტატო მჩითავი[199], 1824 წლის ცნობით ისაი პოლოსაშვილი, შაქარა ბელანიეს შვილი გეურქა[200], ერისთავების ყმა ყაზარა და ა. შ.[201].

ამრიგად, აშკარაა, რომ განსახილველი ხანის საფეიქრო წარმოებაში შეინიშნება ფეოდალური წარმოების წესიდან გადასვლის ის გზა, როდესაც „მრეწველი ხდება ვაჭარი და უშუალოდ აწარმოებს დიდი მასშტაბით ვაჭრობისათვის...“ (მარქსი). მაგრამ ის, რაც ჯერჯერობით აღნიშნულ საკითხზე ითქვა, ამ გზის მხოლოდ დასაწყისია. თუ როგორი განვითარება მიიღო მან შემდეგში, ამაზე, ქვევით იქნება საუბარი. ამჟამად კი უნდა აღინიშნოს, რომ საფეიქრო მრეწველობაში ადგილი ჰქონდა გადასვლის მეორე გზასაც, „როდესაც ვაჭარი ეუფლება უშუალოდ წარმოებას“, რომელიც თუმცა თავისთავად ნაკლებად რევოლუციური გზაა, მაგრამ როგორც გარდამავალ საფეხურს, მას მაინც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

---

199 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 858, ფურც. 30.
200 იქვე, ფურც. 674.
201 იქვე, ფ.254, აღ. I, საქ. 856, ფურც. 144.

7. სავაჭრო კაპიტალი საფეიქრო წარმოებაში. პროდუქციის ნედლეულზე გაცვლის წესი

ქართული ბამბეულის საქსოვი წარმოება მნიშვნელოვანწილად შემოტანილ ნედლეულს იყენებდა. მისი პროდუქციის გასაღების არე კი მნიშვნელოვნად სცილდებოდა არამცთუ ვიწრო ადგილობრივ ბაზარს, არამედ საერთო ქართულ და კავკასიურ ბაზარსაც. ამდენად, ერთი მხრივ, ნედლი მასალის შესყიდვისა და პროდუქციის გასაღების სირთულე, მეორე მხრივ კი „მწარმოებელთა დაქსაქსულობა, განცალკევებულობა, მათ შორის სამეურნეო მეტოქეობისა და ბრძოლის არსებობა"[202] შემსყიდველთა გაჩენის ობიექტურ პირობას ჰქმნიდა. თუ როგორ ისახებოდა შემსყიდველთა გაჩენის პროცესი საქართველოს საფეიქრო წარმოებაში, ამის წარმოდგენა შეიძლება ანანურის მაზრის მაგალითით XVIII—XIX სს. მიჯნაზე. ამ დროს, როგორც ჩანს, საქართველოს მთიანი რაიონის ეს ცენტრი ჯერ კიდევ საფეიქრო მრეწველობის განვითარების საწყის საფეხურზე იდგა, ამიტომ 1804 წლის ცნობით ანანურის „საერთოდ ყველა ფეიქარი ეწევა ბამბის ტილოების ქსოვას; ყიდულობენ (ე)რევნიდან ან საიდანაც მოხვდებათ ნედლ ბამბას, ქსოვენ ტილოს (და) ყიდიან მას სოფლებიდან მოსულებზე, ამასთან ზოგჯერ ბამბაც მიაქვთ, სოფლებში ყიდიან მას ფულზე ან ცვლიან მაუდზე და სხვაზე"[203]. ამრიგად, თუ მოტანილი ციტატი ზუსტად ასახავს არსებულ ვითარებას და იგი ტრადიციულად არსებული წესის ანარეკლი არ არის, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში სახეზეა სასაქონლო წარმოების მხოლოდ საწყისი სტადია. „რაც უფრო ფართოვდება ბაზარი, მით უფრო შეუძლებელი ხდება ასეთი წვრილი დაქსაქსული გასაღება... დიდ ბაზარზე გასაღება დიდი, მასობრივი უნდა იყოს, და აი, წარმოების წვრილი ხასიათი შეურიგებელ წინააღმდეგობაში ვარდება მსხვილ საბითუმო გასაღების აუცილებლობასთან"[204]. ამის გამო თანდათანობით „შეძლებული უმცირესობის წარმომადგენლებმა ხელთ იგდეს გასაღება, მოახდინეს მისი კონცენტრაცია". ე. ი. პერსპექტივაში ისახება იმ ურთიერთობის დამყარების აუცილებლობა, რომელიც დიდი ხანია არსებობდა საქართველოს

---

[202] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ.3, გვ.419.
[203] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 77, ფურც. 2.
[204] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 419—420.

ბარის რაიონებში და რომელიც ჩქარა აღნიშნულ მაზრაშიც ჩამოყალიბდა.

ზემოთ არაერთი მაგალითია მოტანილი იმის დასასაბუთებლად, თუ როგორ ებმებოდნენ საფეიქრო წარმოების რიგი სპეციალისტები აღნიშნული პროდუქციით ვაჭრობაში, რაც სახელოსნოების თანდათანობით გაფართოების გზით უნდა მომხდარიყო. არსებული მასალა იმის ფაქტებსაც მრავლად შეიცავს, როცა ტექსტილური ნაწარმით ვაჭრობას არასაფეიქრო წარმოშობის გავაჭრებული ხელოსნებიც ეწეოდნენ[205]. აღნიშნულ საქმიანობაში განსაკუთრებით დიდი იყო იმ ძირძველი ვაჭრების ხვედრითი წილი, რომელთა არც ხელოსნური წარმოშობის დადგენა ხერხდება და არც ის, თუ როდიდან მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი. ერთი სიტყვით, საფეიქრო პროდუქციით ვაჭრობაში, როგორც ეს აღინიშნა წინამდებარე ნაშრომის შესაბამის თავში, ჩაბმული იყო ქვეყნის სავაჭრო კაპიტალის მეტად Ძნიშვნელოვანი ნაწილი. ამგვარი ვითარება სრულიად ლოგიკურია, რადგან საფეიქრო მრეწველობის პროდუქციას განსახილველ ხანაში გაბატონებული ადგილი ეჭირა როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე ქვეყნის გარეთ გატანილ საქონელს შორის, ხოლო „ბაზრისთვის მომუშავე წვრილ წარმოებასა და სავაჭრო კაპიტალის ბატონობას შორის აუცილებელი მიზეზობრივი კავშირი არსებობს“[206]. ამრიგად, ისახებოდა ფეოდალური წარმოების წესიდან გადასვლის მეორე გზა, რომელიც სავაჭრო კაპიტალის მიერ წარმოების თანდათან დამორჩილებაში მდგომარეობდა. ეს პროცესი თანდათანობით მიმდინარეობდა და რამდენიმე ძირითად ფორმაში ვლინდებოდა: „პირველსა და ყველაზე უფრო მარტივ ფორმას წარმოადგენს ვაჭრის (ან მსხვილი სახელოსნოს მეპატრონის) მიერ წვრილ საქონელმწარმოებლისაგან ნაწარმის შესყიდვა“...[207] „მეორე ფორმა არის მისი შეერთება მევახშეობასთან... მესამე ფორმას წარმოადგენს ნაწარმის ფასში საქონლის მიცემა... ამ ფორმის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის ახასიათებს არა მარტო წვრილ სარეწებს, არამედ საზოგადოდ სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის ყველა განუვითარებელ სტადიას“[208]. დაბოლოს, „სავაჭრო კაპიტალის მეოთხე

---

[205] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 808; იქვე, საქ. 540; იქვე, საქ. 803.

[206] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 421.

[207] იქვე, გვ.428.

[208] იქვე, გვ. 429.

ფორმა არის ვაჭრის მიერ ანგარიშის გასწორება სწორედ იმგვარი საქონლით, რომელიც სჭირდება „შინამრეწველს“ წარმოებისათვის (ნედლი ან დამხმარე მასალები და სხვ.)“[209]. ახალი ურთიერთობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით სწორედ ამ მეოთხე ფორმას აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგან იგი ამზადებს ნიადაგს თვისებრივი ხასიათის ცვლილებისათვის: „თუკი ნაწარმის შემსყიდველი იწყებს ანგარიშის გასწორებას იმ ნედლი მასალებით, რომლებიც „შინამრეწველს“ ესაჭიროება, ეს ნიშნავს მეტად დიდ ნაბიჯს კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებაში. მას შემდეგ, რაც შემსყიდველმა წვრილი მრეწველი მოსწყვიტა მზა ნაწარმთა ბაზარს, ახლა იგი მას სწვეტს ნედლეულის ბაზარს და ამით საბოლოოდ იმორჩილებს შინამრეწველს“[210].

ამრიგად, ვ. ი. ლენინის მითითებით, ურთიერთობის ის ფორმა, როდესაც ვაჭარი უშუალოდ მწარმოებლისაგან პროდუქციას იღებს არა ფულადი, არამედ ნედლეულით ანაზღაურებით, რაც ფაქტიურად პროდუქტის ნედლეულზე გაცვლას წარმოადგენს, უშუალო მწარმოებლის („შინამრეწველის“) საბოლოო დამორჩილებას ნიშნავს. განსაბილველი ხანის საქართველოს სინამდვილეში ამგვარი ფორმის არსებობას და მის გავრცელებას არაერთი საბუთი ადასტურებს. თუ რამდენად გავრცელებული იყო აღნიშნული ფორმა, იქიდანაც ჩანს, რომ იგი ასახულია საქართველოში არსებულ ბაჟებში; სახელდობრ, ჩელიექის ბაჟის ნიხრით გათვალისწინებულია „როცა ერევნიდან ბამბას ჩამოიტანენ ბაჟი საპალნიდან 30 კ. აიღება. თუ იგივე მეპატრონე, რომელმაც ბამბა ჩამოიტანა, მოისურვებს ნ ა რ თ ზ ე გ ა ს ა ც ვ ლ ე ლ ა დ ქართლში ან სხვა სოფლებში (წაიღოს), გაშვებისათვის საპალნეზე კიდევ 1 კაპიკს იხდის. სოფელში თუ ნართზე გაცვლის და ჩამოიტანს, ლიტრიდან 10 კ. ბაჟს იხდის, თუ ნ ა რ მ ა ზ ე გ ა ც ვ ლ ი ს და ჩამოიტანს, არაფერს არ იხდის; თუკი იგივე მეპატრონე (იგულისხმება ვინც ერევნიდან ბამბა შემოიტანა — მ. ს.) კახეთში წაიღებს კიდევ დამატებით იხდის 1 კ. თუ იქიდან ნართს წამოიღებს (უნდა ვივარაუდოთ, რომ გაცვლის წესით, თუმცა არ არის გამორიცხული ბამბის გაყიდვისა და ნართის ყიდვის შესაძლებლობაც), მაშინ ბაჟი ლიტრაზე 10 კ. აიღება, თუკი ნარმას ჩამოიტანს, მაშინ ისევე როგორც ზევით ითქვა ბაჟს არ იხდის“[211]. როგორც ვხე-

---

[209] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 429.

[210] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 430.

[211] სცსია, ფ. 16, საქ. 333, ფურც. 23. ხაზი ჩვენია. — მ. ს.

დავთ, გათვალისწინებულია გაცვლის მრავალგვარი შესაძლებელი ვარიანტი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ წესს დიდი ხნის ტრადიცია აქვს, იგი კარგადაა დამუშავებული.

ჩელიექის ბაჟი თბილისში მოქმედებდა. როგორც მოტანილი საბუთიდან ჩანს, არსებობდა შესაძლებლობა თბილისიდან ბამბის გასაცვლელად წაღებისა არა მარტო ქართლის, არამედ კახეთის სოფლებშიც. გაცვლის წესი ასახულია კახეთის ბაჟებშიც. როგორც ზევით აღინიშნა, კახეთის ბაჟები და საბეჭდავი ერთად გაიცემოდა იჯარით და საბუთებში ერთად „საბეჭდავის მოსაკრებად" მოიხსენიება. საბუთში ვკითხულობთ: „შემსყიდველთან დადებული კახეთის საბეჭდავის კონტრაქტით, სხვათა შორის, მათ უწინდელი დებულებს თანახმად უფლება ეძლევათ თელავისა და მის მაზრაში ჩამოტანილ და გაყიდულ ბამბაზე აიღონ ბაჟი (საპალნიდან 1 მანეთი და ბეჭდის დასმისათვის 4 მანეთი); ხოლო სიღნაღში, მაზრასთან ერთად, ჩამოტანილ და შემდეგ სხვადასხვა ძაფზე გაცვლილ, ან წვრილად გაყიდულ ბამბაზე, საპალნეზე 3 მანეთი"[212]. როგორც ვხედავთ, სიღნაღის მაზრაში სახეზეა პროდუქციის ნედლეულზე გაცვლის წესი. თელავში შედარებით სხვა ვითარება იყო, რაზედაც სათანადო ადგილას საგანგებოდ შეეჩერდებით. ამგვარი საბუთი მრავალია.

ი. შახგუბატოვის ზევით მითითებულ „საქართველოს საშინაო მდგომარეობის აღწერაში" დამოწმებულია არა მარტო პროდუქციის ნედლეულზე გაცვლის წესის არსებობა, არამედ კონკრეტულადაა მითითებული, თუ როგორი პირობებით (რა შეფარდებით) ხდებოდა ეს ოპერაცია: „ვაჭრები, რომლებიც შალის, ბამბის და ხელის ქსოვილებით ვაჭრობას ეწევიან, ბაზაზებად იწოდებიან. ისინი შეისყიდიან საპალნეების დიდ რაოდენობით ერევნიდან შემოტანილ ბამბას და ფასს ერთდროულად მთელ თანხას ან ნაწილ-ნაწილ იხდიან; ცვლიან მას ნართზე, აძლევენ რა წმინდაში ბამბის ორმაგ წონას, საშუალოში 1 მთელს და სამ მეოთხედს, ხოლო ეზეშში ერთნახევარს" და სხვ[213].

ამრიგად, სრულიად უდავოა სავაჭრო კაპიტალის წარმოებაში ჩარევის იმ ფორმის ტრადიციული არსებობა და მისი გავრცელება, როდესაც „ნაწარმის შემსყიდველი იწყებს ანგარიშის გასწორებას იმ ნედლი მასალით, რომელიც „შინამრეწველს" ესაჭი-

---

212 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 702, ფურც. 60. ხაზი ჩვენია.—მ. ს.

213 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ROS d 110.

როება. ეს კი „ნიშნავს მეტად დიდ ნაბიჯს კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებაში... ამ ფორმიდან ერთი ნაბიჯია რჩება სავაჭრო კაპიტალის იმ უმაღლეს ფორმამდე, როცა შემსყიდველი პირდაპირ ურიგებს მასალას „შინამრეწველებს“ განსაზღვრულ ფასებში დასამუშავებლად. შინამრეწველი de facto ხდება დაქირავებულ მუშად, რომელიც მუშაობს კაპიტალისტისათვის თავის სახლში; აქ შემსყიდველის სავაჭრო კაპიტალი იქცევა სამრეწველო კაპიტალად. იქმნება კაპიტალისტური შინ მუშაობა“[214]. თუ როგორ მიმდინარეობდა ჩვენში ეს პროცესი, შემდეგ პარაგრაფებში იქნება განხილული.

8. ცვლილებები პროდუქციის ნედლეულზე გაცვლის ტრადიციულ წესში

ჩელიექის ბაჟის, 1804 წელს შედგენილ, ნიხრში პროდუქციის ნედლეულზე გაცვლის წესის დადასტურება და ამ გზით მიღებულ ნართზე ასაღები ბაჟის ოდენობის დეტალური განსაზღვრა, ამ წესის არსებობის ხანგრძლივ ტრადიციაზე მიუთითებს. 1820 წელს შედგენილ საბუთში აღნიშნულია, რომ ნედლეულზე გაცვლის წესი არსებობდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. მასში იმაზეა საუბარი, რომ „ქართველი მეფეების დროს არსებული ჩვეულების მიხედვით კახეთის საბეჭდავის მუხლის ყოფილი შემსყიდველები ყოველთვის იღებდნენ ბაჟს ძაფზე გაცვლის მიზნით შემოტანილ ბამბაზე“[215]. ჩელიექის ბაჟი შესულია „დასტურლამალში“, მაგრამ იქ პროდუქციის ნედლეულზე გაცვლის წესი არ ჩანს[216]. მაშასადამე, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში აღნიშნული ფორმა ყოველ შემთხვევაში იმდენად გავრცელებული არ იყო, რომ იგი სახელმწიფო კანონში დაეფიქსირებინათ.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ეს წესი საქართველოს საფეიქრო წარმოებაში ჩამოყალიბდა არა უგვიანეს XVIII საუკუნის შუა ხანებისა. მაშასადამე, განსახილველი პერიოდისათვის ამ წესს სულ ცოტა ნახევარი საუკუნის ისტორია ჰქონდა, რაც საკმარისზე

---

214 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 430.

215 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 960, ფურც. 693.

216 ქართული სამართლის ძეგლები.., ივ. სურგულაძის გამოცემა, თბ., 1970, გვ. 540—541.

მეტი დროა იმისათვის, რომ მასში თვისებრივი ხასიათის ცვლილება მომხდარიყო. მაგრამ მაშინ ასახსნელია, თუ რატომ არ აისახა ეს ცვლილება შესაბამის საბუთებში.

ჯერ ერთი, საჭიროა განმარტოს, რომ ჩვეულებრივ სხვადასხვა მომიჯნავე ფორმათა შორის არ არსებობდა რაიმე მკაცრი, გარეგნულად თვალში საცემი ზღვარი. ახალი ფორმა ძველისაგან წარმოიშვება და ამიტომ ისინი ერთი შეხედვით შეიძლება არც კი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ნაწარმის შემსყიდველის მიერ ანგარიშის გასწორება იმ ნედლი მასალით, რომელიც „შინამრეწველს“ სჭირდება, ანუ ის ფორმა, რომელსაც ჩვენ სიმარტივისათვის „გაცვლის წესს“ ვუწოდებთ, იმაში მდგომარეობს, რომ ვაჭარი უშუალო მწარმოებელს აძლევს, ვთქვათ 2 კილოგრამ ბამბას, რაც საჭიროა 1,5-კილოგრამიანი წმინდა ნართის დასამზადებლად, მისგან კი სანაცვლოდ იღებს 1 კილოგრამ ნართს. მაშასადამე, უშუალო მწარმოებელი თავის შრომის საზღაურად იღებს იმდენ ბამბას, რამდენიც საჭიროა 0,5 კილოგრამი ნართის დასამზადებლად. ამ წესის განვითარება კი შედეგად იძლევა ურთიერთობის ისეთ სახეს, როცა ვაჭარი მწარმოებელს აძლევს 2 კილოგრამ ბამბას და მისგან იღებს 1,5 კილოგრამ ნართს, ე. ი. ზუსტად იმდენს, რამდენიც 2 კილოგრამი ბამბის გადამუშავების შედეგად გამოვიდა. ერთი შეხედვით, ამ ორ ფორმას შორის დიდი განსხვავება არ არის. ორივე შემთხვევაში ფაქტიურად გაცვლას აქვს ადგილი. მაგრამ ერთ შემთხვევაში შრომის ანაზღაურება ხდება ნედლი მასალით— ბამბით, მეორე შემთხვევაში კი ფულად. პოლიტეკონომიური თვალსაზრისით კი აქ თვისებრივი ნახტომი (ტრანსფორმაცია) ხდება. რადგან მას შემდეგ, რაც შრომის ანაზღაურება იწყება ფულის გადახდით, უშუალო მწარმოებელი ფაქტიურად ვაჭრის დაქირავებულ მუშად იქცევა, ვაჭარი კი მრეწველ კაპიტალისტად. იმის გამო, რომ ამგვარი გადასვლა ხდება არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით, ხოლო ერთი შეხედვით გარეგნული განსხვავება დიდი არ არის, ურთიერთობის ფორმის ცვლა შეიძლება გარეშე თვალისათვის კარგა ხანს შეუმჩნეველი დარჩეს. ყოველ შემთხვევაში, ბაეების ნიხრში ამგვარი განსხვავების აღნიშვნას არავითარი აზრი არა აქვს, რადგან იქ ფიქსირდება არა ის, თუ როგორ ანაზღაურდება უშუალო მწარმოებლის შრომა, არამედ ის, თუ რამდენი ბამბა იქნა გაბატანილი და რამდენი შემოიტანეს ნართი, რაზედაც

იღებენ შესაბამის ბაჟს[217]. სწორედ ამის გამო მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში კახეთის ბაჟის იჯარა-შესყიდვის კონტრაქტები ზუსტად იმეორებენ გაცვლის იმ წესს, რომელიც მათივე რწმუნებით ჯერ კიდევ ქართველი მეფეების დროს იყო დადგენილი[218].

მ ე ო რ ე ც. საბუთებზე დაკვირვება ნათელს ხდის პროდუქციის ნედლეულზე გაცვლის წესის ტრანსფორმაციის ხასიათს და მეტად საინტერესო სურათს გვიხატავს. ზემომოტანილ საბუთში კახეთის ბაჟების შესახებ დადასტურებულია თელავში ბამბის გაყიდვა, ხოლო სიღნაღში გაცვლა ან წვრილად გაყიდვა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გაცვლა ხდებოდა არა წვრილად, არამედ ბითუმად (ამგვარი საბუთი არაერთია, მაგრამ აქ მათ მოტანას აზრი არა აქვს, რადგან, როგორც ითქვა, აღნიშნულ წესს ისინი ზუსტად ერთნაირად ასახავენ). ამგვარივე ვითარება შეიმჩნევა გორის მაზრის ზოგიერთი სოფლის სამეურნეო დახასიათების ცნობებითაც. მაგალითად, 1803 წლის საბუთით მეჯვრისხევში „გლეხები ნაწილი შეძლებული, ნაწილი კი ღარიბებია... ხომბები ვაჭრობას ეწევიან თბილისში, გამომუშავებული ტილოები მიაქვთ და ბამბაზე ცვლიან, ხოლო ქართველები ეწევიან ტილოს ქსოვას, ძაფის რთვას და ღებვას"[219]. რაკი პროდუქცია ვაჭარს მიჰქონდა, ცხადია, იგულისხმება, რომ ადგილი აქვს ბითუმად გაცვლას.

ყველა მოტანილი საბუთით გაცვლის ოპერაციაში მონაწილე მხარეები ერთი ადგილის მკვიდრნი არ არიან: ან ცენტრიდან ბამბა ჩააქვთ პერიფერიაში (ასეა კახეთის ბაჟის ნიხრის მიხედვით, ასეა ჩელიექის ბაჟის ნიხრის მიხედვით), ან პირიქით, პროდუქცია ჩააქვთ ცენტრში ბამბაზე გასაცვლელად, როგორც ეს მეჯვრისხევის მაგალითზე ჩანს. ყოველივე ამის საფუძველზე აშკარაა, რომ გაცვლა ხდებოდა არა ვაჭარსა (შემსყიდველს) და უშუალო მწარმოებელს („შინამრეწველს") შორის, არამედ ერთი მხრივ ქალაქელ (ან ქა-

---

[217] რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ბაჟი გათვალისწინებული არ არის შემოტანილ ქსოვილზე, რაც ჩელიექის ბაჟის ნიხრშია ასახული, ამას გაცვლის ფორმასთან არავითარი კავშირი არა აქვს, რადგან ქვეყნის შიგნით დამზადებული ქსოვილები, როგორც თავის ადგილზე იყო განმარტებული, ადგილზე იბეგრებოდა შესაბამისად საბეჭდავის მოსაკრებით და სამღებროს იჯარით და მასზე ბაჟს აღარ იღებდნენ.

[218] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 693, ფურც. 691; იქვე, საქ. 702, ფურც. 60; იქვე, საქ. 924, ფურც. 49, და ა. შ.

[219] სცსია, ფ. 2, აღ. I, საქ. 51, ფურც. 80.

ლაქში მოღვაწე) და მეორე მხრივ, პროვინციელ ვაჭარ-შემსყიდველს შორის.

ამგვარი ურთიერთობა სრულიად ლოგიკური და გასაგებია. იგი იმითაა განპირობებული, რომ ბამბის პენტვა და რთვა,—საფეიქრო წარმოების მოსამზადებელი ოპერაციები, უმეტესად გლეხის ოჯახში დამატებითი (დამხმარე) საქმიანობის სახით სრულდებოდა და ამდენად, პერიფერიებში მეტად იყო განვითარებული. ყოველ შემთხვევაში, სოფლებში ეს პროდუქცია მეტი მზადდებოდა, ვიდრე მას ადგილობრივი საქსოვი წარმოება მოიხმარდა. პირიქით, სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში საფეიქრო წარმოების საერთო აღმავლობის ვითარებაში იზრდებოდა მოთხოვნილება ამ წარმოების ნახევარფაბრიკატზე, რასაც ადგილობრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებდა.

ამ ორი ტენდენციის არსებობა განსაზღვრავდა პროვინციებში შემსყიდველთა გაჩენის ორ გზას. საფეიქრო პროდუქციის (ძაფი, ქსოვილი) შორეულ ადგილებში გასაღების აუცილებლობა და მისი ნედლეულით მომარაგების სიძნელეები ადგლობრივ „შინამრეწველთაგან" თანდათანობით წარმოშობდა მას. მეორე მხრივ, საფეიქრო წარმოების გაფართოება ცენტრებში „უბიძგებდა ვაჭრებს, რათა პროვინციებში შინამრეწველთაგან თავიანთი აგენტები გაეჩინათ, რომლებსაც, უგზავნიდნენ რა ბამბას, ავალებდნენ ადგილზე ეწარმოებინათ გაცვლის ოპერაციები და რომლებიც თანდათანობით თვითონ იქცეოდნენ ვაჭარ-შემსყიდველებად.

ამრიგად, ყველა განხილულ საბუთში გაცვლა ხდება ქალაქელ ვაჭარსა და ადგილობრივ შემსყიდველს შორის. მაგრამ საინტერესოა იმ ურთიერთობის გარკვევა, რომელიც მყარდებოდა შემსყიდველსა და უშუალო მწარმოებელს შორის. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში ურთიერთობა უპირატესად ნედლეულის დარიგებით ხდებოდა განსაზღვრულ ფასში დასამუშავებლად; ე. ი. უშუალო მწარმოებელი, ფაქტიურად შემსყიდველის დაქირავებული მუშა იყო. რასაკვირველია, არ შეიძლება იმ შესაძლებლობის გამორიცხვაც, რომ, ვთქვათ, შემსყიდველი ქალაქელი ვაჭრისგან იღებდა ბამბას, აღნიშნულ ბამბას უცვლიდა შინამრეწველებს ნართზე, აღნიშნული ნართის ნაწილს თავისთან იტოვებდა გასამრჯელოდ, ნაწილს კი ქალაქელ ვაჭარს აძლევდა გასაცვლელი ბამბის საზღაურად, ხოლო მოგების სახით მიღებულ ნართს თავის მხრივ ურიგებდა მქსოველებს, რათა მისთვის ქსოვილები დაემზადებინათ ბაზარზე გასატანად, ან ნართი პირდაპირ გაჰქონდა ბაზარზე.

მაგრამ ამგვარ დამოკიდებულებას ბევრი წინააღმდეგობა ეღობებოდა და მისი განხორციელება პრაქტიკულად მეტად რთული იყო. ერთ-ერთი ძირითადი დაბრკოლება იმაში იყო, რომ ამ შემთხვევაში უშუალო მწარმოებელი დაინტერესებული უნდა ყოფილიყო ნედლეულზე პროდუქციის გაცვლაში.

ნედლეულზე გაცვლას უშუალო მწარმოებლისთვის მაშინ აქვს აზრი, როცა სარეწი ჯერ კიდევ განუვითარებელია, როდესაც მზა ნაწარმის გასაღების არხები მას მთლიანად დაკეტილი არა აქვს. დავუშვათ, „შინამრეწველი“ 1 კგ ნართს ცვლიდა იმდენ ბამბაზე, რამდენიც საჭირო იყო 2 კგ ნართის დასამზადებლად, ე. ი. შრომას ინაზღაურებდა ნედლეულით: ამზადებდა 2 კგ ნართს და მას ცვლიდა იმდენ ბამბაზე, რამდენიც საჭირო იყო 4 კგ ნართის დასამზადებლად... სადამდე შეიძლება გაგრძელდეს ამგვარი ზრდა. შემსყიდველისგან ნედლეულის მიღება პროდუქციის სანაცვლოდ მაშინ იყო გამართლებული, თუ იგი აღნიშნული ნედლეულით უკვე ბაზრისთვის, გასაყიდად ამზადებდა პროდუქციას. ე. ი. განსახილველ შემთხვევაში „შინამრეწველი“ მრთველთან ერთად მქსოველიც უნდა ყოფილიყო. მაგრამ თვით შემსყიდველის გაჩენის ფაქტი ხომ იმის შედეგია, რომ უშუალო მწარმოებელი მოწყვეტილი იყო ნედლეულის ბაზარს და გასაღების ბაზარს, ამიტომ გაცვლის წესი მეტად ჩქარა იცვლებოდა უშუალო მწარმოებელთათვის სამუშაოს პირდაპირ დარიგებით. სწორედ ამის გამო ვ. ი. ლენინი პირდაპირ მიუთითებდა, რომ „ამ ფორმდან ერთი ნაბიჯია რჩება სავაჭრო კაპიტალის იმ უმაღლეს ფორმამდე, როცა შემსყიდველი პირდაპირ ურიგებს მასალას „შინამრეწველებს“ განსაზღვრულ ფასებში დასამუშავებლად“[220] და ამით მრეწველ-კაპიტალისტად იქცევა, უშუალო მწარმოებლებს კი მის დაქირავებულ მუშებად აქცევს.

რიგი არაპირდაპირი საბუთებისა აშკარად ადასტურებს ამგვარი ტრანსფორმაციის ფაქტს. არაერთი საბუთის მითითებით ვაჭარ-მრეწველები განხილული არიან როგორც ძაფის დამამზადებელნი, რაც იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ აქ იგულისხმება სარეწის მეთაურობა დაქირავებული მუშის ყოლით და არა უშუალო გაცვლა[221]. 1825 წლის ცნობით თბილისის საბეჭდავის იჯარადრი სახაზინო ექსპედიციაში საიჯარო ფასის შემცირებას ითხოვდა იმ მოტივით, რომ „მრეწველები, რომლებიც ბამბისაგან ნართს ამზა-

[220] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 3, გვ. 430.

[221] ხცსა, ფ. 254, აღ. I, საქ. 827, ფურც. 224—225.

დებენ თბილისიდან და მისი მაზრიდან წავიდნენ ახლომახლო სოფლებში და არ ანებებენ რა თავს თავის საქმიანობას, წარადგენენ თავიანთ გამომუშავებულ ნართს იქაურ საბაჟოში იარლიყის ასაღებად და თავს არიდებენ რა შენსყიდველის სასარგებლოდ გადასახადს, თავის საქონელს ჩუმად ატარებენ სხვადასხვა ადგილებში, სადაც შეუძლიათ უფრო მომგებიანად გაჰყიდონ"[222]. მოტანილ ამონაწერში მრეწველებად რომ ვაჭარ-შენსყიდველები იგულისხმებიან, ეს უდავოა. მათ ევალებოდათ საბეჭდავის ნოსაკრების გადახდა, მათ შეეძლოთ საქონლის სხვადასხვა ადგილებში გასასყიდად ტარება და სხვ. მაგრამ აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ლაპარაკია მრეწველების მიერ გამომუშავებულ ძაფზე, რაც მათი დაქირავებული მუშების მეშვეობით დამზადებას უნდა ნიშნავდეს; წინაალმდეგ შემთხვევაში საუბარი იქნებოდა არა მათ მიერ „გამომუშავებულ", არამედ მათ მიერ „გაცვლილ" ძაფზე. არაერთი საბუთი ძაფის დამზადებაში და ქსოვაში შემსყიდველსა და მწარმოებელს შორის ურთიერთობის იდენტურობაზე მიუთითებს. ამავე დროს სხვა საბუთებით აშკარად ჩანს, რომ (ამაზე ქვემოთ იქნება საუბარი) ქსოვაში გაბატონებული იყო არა პროდუქციის ნედლეულზე გაცვლის, არამედ სამუშაოს დარიგების წესი.

* * *

ამრიგად, საქართველოს სინამდვილეში ნართის დამზადებაში პროდუქციის ნედლეულზე გაცვლის წესის ჩამოყალიბება ხდება არა უგვიანეს XVIII საუკუნის შუა ხანებისა. განსახილველ პერიოდამდე მას ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა და ბუნებრივია, რომ ეგი არსებით ცვლილებებს განიცდდა.

განხილული მასალა ადასტურებს, რომ აღნიშნული წესი მოქმედებდა არა შემსყიდველსა და „შინამრეწველებს" შორის, არამედ ცენტრისა და პერიფერიების ვაჭარ-შემსყიდველებს შორის.

შემსყიდველებსა და „შინამრეწველებს" შორის ურთიერთობა დამყარებული იყო იმ ფორმაზე, როდესაც უკანასკნელთ ურიგდებოდათ ნედლი მასალა განსაზღვრულ ფასში დასამუშავებლად, რაც მათ ფაქტიურად შემსყიდველთა დაქირავებულ მუშებად აქცევდათ.

---

[222] სცსიაა, ფ. 380, საქ. 39, ფურც. 81—82.

9. შემსყიდველის გადაქცევა მრეწველ კაპიტალისტად

წინა პარაგრაფში მოცემული იყო ცდა ნართის დამზადებაში პროდუქციის ნედლეულზე გაცვლის წესის ტრანსფორმაციისა და იმის დადგენისა, რომ განსახილველ ხანაში შემსყიდველსა და „შინამრეწველს“ შორის ურთიერთობა ნედლეულის დარიგებაზე და ნართის განსაზღვრული ფასით დამუშავებაზე იყო დამყარებული. პენტვა და რთვა ერთი რიგის საქმიანობაა. ორივე საფეიქრო წარმოების მოსამზადებელი დარგია, ორივე უპირატესად ხდება არა სახელოსნოში, არამედ მწარმოებლის სახლში, როგორც მეურნეობის დამატებითი ან ხშირად ძირითადი დარგი. ორივე უფრო მეტად განვითარებული იყო პერიფერიებში.

ამდენად სავარაუდოა, რომ ურთიერთობა შემსყიდველსა და ამ ორი დარგის „შინამრეწველებს“ შორის არსებითად ერთნაირი იყო. ერთ-ერთ შედარებით მოგვიანებით შედგენილ საბუთში კი ვკითხულობთ, რომ ბამბის პენტვა „თბილისში ძველი დროიდან არსებობს და მანქანების გაჩენამდე ცალკე ხელობას შეადგენდა, რომელშიც მრავალი ხელი იყო დაკავებული და რომელიც ბევრ ღარიბ ოჯახს ცხოვრების საარჩოს აძლევდა... (მპენტავი) ჩვეულების მიხედვით მიიღებდა ნედლ ბამბას მისი გამყიდველისაგან, გაპენტდა და გაწმენდდა თავის მშვილდზე (მეტად მარტივი აპარატი, რომელიც მშვილდზე გაჭიმული სიმისაგან შედგება) უბრუნებდა მას, იღებდა რა ერთობ მცირე გასამრჯელოს 25—40 კაპიკს დღეში“[223]. სრულიად ნათელია, რომ საბუთში მოხსენიებული „ნედლი ბამბის გამყიდველი“ იგივე შემსყიდველია, რომელიც „შინამრეწველს“ ნედლეულს ურიგებს განსაზღვრულ ფასში დასამუშავებლად. უკანასკნელს განსხვავებული ინტენსივობით დატვირთვისა და განსხვავებული უნარის შესაბამისად შეეძლო დღეში 25-დან 40 კაპიკამდე გამოემუშავებინა. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება გარკვეულად ჩაითვალოს თუ როგორ მიმდინარეობდა საფეიქრო წარმოების მოსამზადებელი ოპერაციები.

1823 წელს საბეჭდავის შემსყიდველი პეტრე ზუბალოვი ჩივის, რომ იგი ზარალობს იმის გამო, რომ უფლება არა აქვს ბაჟი აიღოს გატანილ ნართზე, მრეწველები კი მას პირდაპირ ასაღებენ ისე, რომ მას არ ურიგებენ მქსოველებს, ნარმის გამოსაყენებლად, ძველი ქართული ჩვეულებისამებრ, რაზედაც მან ბაჟი უნდა აიღოს, რომ ბამბის პენტვა ქირით (დაქირავებით) ხდებოდა, ამას

---

[223] სცსია, ფ. 240, აღ. I, საქ. 1292, ფურც. 4.

პირდაპირ მიუთითებს ი. შახგუბატოვი თავის ზემოთ დამოწმებულ ნაშრომში.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ საფეიქრო წარმოების ძირითადი ოპერაცია—ქსოვა შემსყიდველის ფაქტიურად დაქირავებული მუშების მეშვეობით ხდებოდა. ი. შახგუბატოვი დამოწმებულ ნაშრომში მიუთითებს, რომ ვაჭრები ნართს „ურიგებენ ქსოველებს ალაჯის (ქრელი ქსოვილის სახეობა), ქალების უბრალო ჩადრად მოსახმარი განიერი ტილოების და სხვადასხვა ხარისხის ნარმის დასამზადებლად“[224]. უდავოა, რომ ნართის დარიგება განსაზღვრული ჭირით დამუშავებას გულისხმობდა, მაგრამ ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაზე აშკარად მეტყველებს ერთი საინტერესო საბუთი, რომელიც ამ თვალსაზრისით პერიფერიაში არსებულ ვითარებას ახასიათებს: 1831 წელს სახელმწიფო ყმის მანუჩაროვის ქვრივმა მართამ არზა მიართვა „გორის უეზდის სტრაფის უფალს ღუბერსკი სეკლატარს უფალს დიმიტრი თურქიტსანს!

სოფელსა რუისსა მცხოვრებმა გიორგი დავითაშვილმა გამართო ერთი ცალი ბანბა გარდაცვალებულსა ქმარსა ჩემსა პეტრე მანუჩაროვსა, რომელსაც უნდა გაეცვალა, მოექსოვა და ქმარსა ჩემსა ქულუჩაში 2 მინალთუნი უნდა მიეცა. და იმ გიორგი დავითაშვილმა ნაცვლად ესრეთის კეთილისა 7 ქულუჩა თავის ვალში მისცა მოვალეთა, რადგან ნათელმირონი იყო, იმისთვის წერილი გამოართვა ქმარმა ჩემმა, რომ იმ შვიდს ქულუჩას ორს თვეზე მოგცემო, რომელიც ქულუჩა ყოველთვის დღესაც იყიდება 15 მინალთუნად და შეადგენს შვიდი ქულუჩა ათს თუმანს და ნახევარს“[225] და სხვ.

საბუთიდან არ ჩანს, თუ როგორ პირობებში უნდა გაეცვალა ბამბა ნართზე დავითაშვილს. მოსალოდნელია, რომ არა მარტო პერიფერიებში, არამედ თვით სამრეწველო ცენტრებშიც ყალიბდებოდა საქმოსანთა ტიპი, რომელიც ძირითადად ბამბის ნართზე გაცვლის ოპერაციაში სპეციალდებოდა. ამდენად გაცვლის ოპერაცია შესაძლებელია ხდებოდა არა მხოლოდ პერიფერიებისა და ცენტრების შემსყიდველთა შორის, არამედ ერთ რეგიონში მოღვაწე საქმოსანთა შორისაც. ამის საფუძველია საქსოვი წარმოების განვითარების ფაქტი პერიფერიებში და სართავი წარმოების არსებობის ფაქტი ცენტრებში. თუმცა მოტანილი საბუთი არც იმის

---

[224] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Ros d 110, ფურც. 11.

[225] სცსია, ფ. 90, საქ. 814, ფურც. 12.

შესაძლებლობას გამორიცხავს, რომ დავითაშვილმა ბამბა გაცვალა არა საკუთრივ ცხინვალში (სადაც იგი მოღვაწეობდა როგორც საბუთის შემდეგი შინაარსიდან ირკვევა), არამედ სადმე ახლომახლო სოფელში, ვთქვათ რუისში, რომლის მკვიდრიც ის იყო. ყოველ შემთხვევაში, გაცვლის ოპერაციაში იგი გამოდის არა როგორც დამოუკიდებელი პირი, არამედ შემსყიდველის აგენტი[226].

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს დავითაშვილის, როგორც მქსოველი ოსტატის დამოკიდებულება მანუჩაროვთან, როგორც ვაჭარ-შემსყიდველთან. ეს დამოკიდებულება სრულიად აშკარაა: შემსყიდველი მას აძლევს ნედლეულს, ხოლო მისგან უნდა ჩიიღოს მზა ნაწარმი. 1 ცალ ბაბბაში 7 ქულუჩა, ხოლო მისი შრომა ფულად ანაზღაურდება, ქულუჩაში მიიღებს 2 მინალთუნს, 7 ქულუჩაში 14 მინალთუნს. თავის მხრივ, ვაჭარი-შემსყიდველი მქსოველის მიერ დამზადებულ პროდუქტს ჰყიდის 15 მინალთუნად, ე. ი. 7 ქულუჩაში იღებს 10 თუმანს და ნახევარს. თუ 1 ცალი ბაბბა ღირდა 60 მანეთი, რაკი მუშახელზე მან დამატებით დახარჯა 14 მანეთი, ამ ოპერაციიდან იგი 31 მანეთს სუფთა მოგებას მიიღებდა. აქრიგად, ვაჭარ-შემსყიდველი ფაქტიურად გამოდის მრეწველ-კაპიტალისტად, ხოლო „შინამრეწველი" მისი დაქირავებული მუშაა.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, არც ერთ საბუთში, რომელზედაც წინამდებარე ნაშრომის ავტორს ხელი მიუწვდა, მინიშნებაც კი არ არის იმაზე, რომ საფეიქრო წარმოების ცენტრალურ ოპერაციაში — ქსოვაში ვაჭარ-შემსყიდველსა და უშუალო მწარ-

---

[226] თავისთავად დავითაშვილის მაგალითზე შეიძლება წარმოვიდგინოთ უშუალო მწარმოებელთაგან დამოუკიდებელი შემსყიდველის გაჩენის სავარაუდო პროცესი. როგორც საბუთის შემდეგი შინაარსიდან ირკვევა, დავითაშვილი მანუჩაროვის ახლობელი, სანდო კაცია; იგი მისი ნათესმრონია. იგი დაახლოებით 1820 წელს (14 წლის წინათ) სოფელ რუისიდან ცხინვალში გადასახლებულა და მანუჩაროვის სახლში ცხოვრობდა. იგი ნედლეულის ნართზე გაცვლის ოპერაციაში შემსყიდველის აგენტად გამოდის. ცხადია, ამგვარ ნდობას, შემსყიდველი ყველა მასზე დამოუკიდებელ მქსოველს ვერ გამოუცხადებდა. ამგვარი აგენტი მას შეიძლება ერთეული ჰყავდა. ამგვარ ვითარებაში დავითაშვილს საშუალება ჰქონდა ურთიერთობა დაემყარებინა უშუალო მწარმოებელთანაც (მრთველებთან) და თანდათანობით გახდის რა მათ მასზე როგორც შემსყიდველის აგენტებზე დამოკიდებულებად, თანდათანობით დაიმორჩილოს ისინი. დავითაშვილი, როგორც მოტანილი საბუთიდან ჩანს, უკვე დამოუკიდებელი ოპერაციებისკენ მიისწრაფვის, იღებს ვალს, ვალში აძლევს მოქსოველ „ქულუჩებს" და ა. შ. მისი შემდგომი ბედი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ფხას, როგორ ნიკს გამოიჩენს აღნიშნულ საქმეში.

მოებელს შორის დამოკიდებულება პროდუქციის ნედლეულზე გაცვლის ან სხვა უფრო დაბალ ფორმაში გამოიხატებოდა. პირიქით, მეტად მრავალია იმ საბუთთა რიცხვი, რომლებშიც პირდაპირაა მითითებული თუ მინიშნებული, რომ ეს დამოკიდებულება ნედლეულის დარიგებასა და პროდუქციის განსაზღვრულ ფასად დამზადებაში გაფოიხატება, რაც ამგვარი წესის გაბატონებულ მდგომარეობაზე მიუთითებს.

საფეიქრო წარმოების შემდეგი (დამსრულებელი) ოპერაციებია: ღებვა, მოჩითვა, გათეთრება, გაპრიალება და ა. შ. ი. შახგუბატოვის მითითებით, ზემოაღნიშნული წესით ფეიქრების მიერ მოქსოვილი ნაწარმიდან „მჩითავები აკეთებენ სუფრებს, საფარებლებს, ჩითებს, თავსაფრებს, რომლებსაც მთის და სოფლის მცხოვრებლები ყიდულობენ"[227]. იმავე პერიოდის სხვა საბუთით მჩითავები ვაჭრებისათვის ნარმისაგან ამზადებენ მოჩითულ ქსოვილებს სუფრების, ფარდების, პატარა მოსახვევებისათვის[228] და სხვა.

წინამდებარე ნაშრომის შესაბამის პარაგრაფში საკმაოდ დაწვრილებით იყო საუბარი ძველთაგანვე ჩამოყალიბებულ იმ წესზე, რომლითაც ვაჭრების კუთვნილი ქსოვილების შეღებვა ხდებოდა სახაზინო თუ ღებვის მონოპოლიის სხვა სამღებროებში. იქ სრულიად ზუსტად იყო განსაზღვრული ის ხელფასები, რომელსაც ვაჭარი ამა თუ იმ სახის ქსოვილების სხვადასხვა ფერად შეღებვაში უხდიდა მწარმოებელს. იქვე აღნიშნული იყო (ამაზე ქვემოთაც იქნება საუბარი) რომ ვაჭარ-შემსყიდველები ხშირად საკუთარი სამღებროების მეპატრონეებადაც გამოდიან. მათ შორის განსაკუთრებულად შეძლებულ ვაჭარ-შემსყიდველს ორაერთი სამღებრო აქვს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საფეიქრო წარმოების ყველა ცალკეულ ოპერაციაში, ფაქტია შემსყიდველთა პირდაპირი მონაწილეობა, ჩარევა. აქცევენ რა უშუალო მწარმოებლებს თავიანთ დაქირავებულ მუშებად, შემსყიდველები საბოლოოდ იმორჩილებენ წარმოებას და მრეწველ-კაპიტალისტებად იქცევიან.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ წარმოების მაღალი ფორმების ჩასახვა-განვითარება და თვით გაბატონებაც კი არ ნიშნავს შედარებით დაბალი

---

[227] ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ros d 110, ფ. 12.
[228] სცსია, ფ.16, საქ.495, ფურც.38.

ფორმების გაქრობას; ისინი პარალელურად არსებობენ, წარმოიშვებიან და ვითარდებიან. თვით მსხვილი მრეწველობის ეპოქაშიც არსებობენ წვრილგლეხური სარეწები, რომლებიც ვითარდებიან და ტრანსფორმაციის ოგივე პროცესს გადიან. წარმოების ფორმათა განსაკუთრებული მრავალფეროვნება, სიჭრელე და, რაც მთავარია, ერთმანეთში შერევა (გადახლართვა) დამახასიათებელია გარდამავალი ეპოქებისათვის.

10. საკაჭრო კაპიტალის გატონობა საფეიქრო წარმოებაზე. მანუფაქტურა

ჩვენამდე მოღწეული საბუთების ავტორებს შესანიშნავად ჰქონდათ შეგნებული, რომ საფეიქრო წარმოების მეთაურები ვაჭარ-შემსყიდველები არიან. თბილისისა და ზოგიერთი სხვა ქალაქის პოლიცმეისტერების წლიურ ანგარიშებში სისტემატურად, თითქმის ტრაფარეტულად მეორდება განმარტება: „წარმოებს გამომუშავება ბუზმენტებისა, ტილოების ანუ ნარმებისა, ჩითებისა და სხვა ქსოვილებისა, რომელიც სხვადასხვა მოვაჭრეთა ხელშია“[229]. პოლკოვნიკ კოცებუს მიერ 1826 წელს შედგენილ საქართველოს აღწერაში ხაზგასმულია, რომ „თბილისელი ვაჭრები აკეთებენ ალაჯს (ტრელი ქსოვილის სახეობა), ამზადებენ სუფრებს, გადასაფარებლებს, თავსაფრებს და ა. შ.“[230]. იმავე ავტორის შენიშვნით, ვაჭრები, რომლებიც „ყაზაზებად“ იწოდებიან... ქსოვენ ოქროსა და ვერცხლის თასმებს, ძახავენ და ღებავენ აბრეშუმს“[231]. ცხადია, ყველა მოტანილ საბუთში იგულისხმება, რომ ვაჭრები ამ სარეწის მეთაურები არიან, საკაჭრო კაპიტალი გაბატონებულია წარმოებაზე.

საბეჭდავის მოსაკრების კონტრაქტების შემდგენელებმა კარგად იცოდნენ, რომ ვაჭრები საფეიქრო წარმოებას განაგებდნენ, ამიტომ აღნიშნული მოსაკრების გადახდას, რაც ფაქტიურად წარმოების გადასახადი იყო, სწორედ ვაჭრებს აკისრებდნენ. შემდგენლებმა იცოდნენ, რომ მქსოველები და მღებრები შემსყიდველთა ფაქტიური დაქირავებული მუშები არიან, ამიტომ ისინი წარმოებისთვის არავითარ გადასახადს არ იხდიან, კანონით მათ

---

229 სესია, ფ.16, საქ.1447, ფურც.2.
230 ЦГВИА, Ар.ВУА, д.1841.
231 იქვე.

მხოლოდ ევალებათ, რომ დამზადებული ქსოვილების ოდენობა აცნობონ იჯარის შემსყიდველებს, რათა წარმოების მეპატრონეებს (ვაჭარ-შემსყიდველებს) საშუალება არ მიეცეთ თავი აარიდონ გადასახადს. ამგვარი წესი გათვალისწინებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში, სადაც კი საბეჭდავის მოსაკრები იყო დაწესებული[232]. ამის გამო სწორედ ვაჭრები და არა უშუალო მწარმოებლები იბრძვიან აღნიშნული მოსაკრების შემცირებისათვის, ან მისი შემდგომი დამძიმების წინააღმდეგ[233].

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ სავაჭრო კაპიტალის მიერ საფეიქრო წარმოების დაპყრობა, ვაჭრების მიერ წარმოების მეთაურობა, სავაჭრო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალად გადაქცევა განსახილველი პერიოდისათვის არის არა ცალკეული შემთხვევა, არამედ ქვეყანაში გავრცელებული დაკანონებული მოვლენა და, რაც მთავარია, იგი ჩამოყალიბებულია ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში. თითქმის ყველა საბუთში, რომელიც კი შესაბამის საკითხს შეეხება, საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ყველა მოქმედი წესი შემოღებულია ჯერ კიდევ ქართველი მეფეების დროს და ახალ ხელისუფლებას მასში არავითარი ცვლილება არ შეუტანია[234].

როგორც ეს ნაშრომის მეორე თავში აღინიშნა, ქართული საფეიქრო ნაწარმის გასაღების არე მეტად ფართო იყო. იგი მოიცავდა ადგილობრივ ბაზარს, კავკასიას, შეზობელ მაჰმადიანურ სახელმწიფოებს და რუსეთის შიდა გუბერნიებსაც კი. ასეთ ვითარებაში წარმოების გაძღოლა და საკუთრივ ვაჭრობის წარმოება ერთად, ცხადია, შეუძლებელი იყო. ეს საქმე, ერთი მხრივ იმით გვარდებოდა, რომ იქმნებოდა კომპანიები, რომლებშიც რამდენიმე ვაჭარი შედიოდა, რომელთაგან ნაწილი ადგილზე განაგებდა საქმეს, ნაწილი უშუალოდ ვაჭრობას ეწეოდა.

ამასთან, როგორც ჩანს, წარმოებაზე გაბატონების შესაბამისად ვაჭარი შემსყიდველები (ან ვაჭარი მრეწველები) თანდათან სცილდებოდნენ საკუთრივ ვაჭრობის სფეროს და ტიპიურ მრეწველ-კაპიტალისტებად იქცეოდნენ, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ

---

232 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 1211, ფურც. 886; სცსია, ფ. 2, აღ. I, საქ. 502, ფურც. 321 და სხვ.

233 სცსია, ფ. 254, აღ I, საქ. 702, ფურც. 254; იქვე, საქ. 220, ფურც. 272.

234 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 960, ფურც. 693; იქვე, საქ. 756, ფურც. 354; იქვე, საქ. 655, ფურც. 495.

წარმოებას, ამზადებდნენ საქონელს და მას ადგილზეევ ჰყიდდნენ ბითუმად.

1803 წელს თბილისის საბეჭდავის შემსყიდველმა ი. არეშოვმა საიჯარო თანხის პატიება ითხოვა იმ მოტივით, რომ სავაჭრო რიგებში დიდი ხანძარი მოხდა და ამის შედეგად დაიწვა დიდძალი ქსოვილი, როგორც მისი, ისევე სხვა მრეწველისა (промышленник), იმის გამო, რომ აღნიშნული მრეწველები მხოლოდ მაშინ იხდიან გადასახადს, როდესაც ქსოვილების გარკვეულად დიდ პარტიას დაადგრევებენ, მან (შემსყიდველმა) გადასახადის აკრეფა ვერ მოასწრო და ამის გამო იზარალა[235]. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მრეწველები (промышленники) სწორედ ის შემსყიდველები არიან, რომლებიც ძირითადად წარმოებას ხელმძღვანელობდნენ, ვაჭრობას კი ბითუმად ეწეოდნენ დამზადებული საქონლით. ამგვარი ვარაუდი რომ საფუძვლიანია, ამას შემდეგი საბუთი ადასტურებს: 1821 წელს ცხინვალის სამღვბროს, საბეჭდავისა და ბაეის მოიჯარემ იოსებ მურადოვმა სახაზინო ექსპედიციაში საჩივარი შეიტანა იმის თაობაზე, რომ სტეფანე შერმაზანოვმა გასასყიდად მოამზადა 254 ცალი დაუბეჭდავი ბიაზი და რომ ამას წინათაც მან შერმაზანოვის დუქანში 156 ცალი ამგვარი ქსოვილი აღმოაჩინა[236]. ამას მოჰყვა ორმხრივი საჩივრების სერია. მოიჯარე შერმაზანოვს საბეჭდავის კონტრაქტის პირობის დარღვევას აბრალებდა (მასში ხომ საგანგებოდ იყო გათვალისწინებული, რომ ვაჭრებმა არ უნდა შეინახონ დაუბეჭდავი ქსოვილები), უკანასკნელი კი მას უკანონო მოქმედებაში დებდა ბრალს—დუქანში შეჭრა, ვაჭრის კუთვნილი ქსოვილების კონფისკაცია (ერთ-ერთი ამგვარი გამოხდომის დროს მურადოვს 3000 თოფი სხვადასხვა ქსოვილი წაუღია), დუქნის დანგრევა და ა. შ.[237]. საქმეში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ჩაერივნენ. დაჰკითხეს მოწმეებს, რომლებმაც აჩვენეს, რომ მურადოვი შერმაზანოვის მტერია და რითაც შეუძლია ავიწროებს მას, „ნებას არ აძლევს თავის დუქანში იქონიოს დაუბეჭდავი ქსოვილები, მაშინ როდესაც ყველა სხვა ცხინვალელი მრეწველი ამ, ჯერ კიდევ ქართველი მეფეების დროიდან შემოღებული წესით სარგებლობს მანამ, ვიდრე აღნიშნული საქონლის მყიდველები მოვიდოდნენ“[238]. საბოლოოდ დაად-

---

235 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 28, ფურც. 700.
236 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 655, ფურც. 490.
237 იქვე, ფურც. 492.
238 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 655, ფურც. 495.

გინეს, რომ მურადოვის პრეტენზიები უსაფუძვლოა, რადგან შერ-მაზანოვი ისევე იქცევა, როგორც ყველა სხვა ცხინვალელი ვაჭარი ანუ მრეწველი, რომლებთაც ამგვარი ბიაზი დიდი რაოდენობით აქვთ[239] ვითარება სრულიად ნათელია: ვაჭრები ანუ მრეწველები, როგორც ეს საბუთშია მითითებული, ამზადებენ დიდი რაოდენობით ქსოვილებს და მათ მანამდე ინახავდნენ, სანამ მყიდველები არ მოვლენ. ცხადია, აქ ბითუმად მყიდველები იგულისხმებიან. მათი დამოკიდებულება ვაჭრობასთან ზუსტად ისეთივეა, როგორც შეიძ-ლება იყოს კაპიტალისტური საწარმოს მეპატრონის დამოკიდებულე-ბა, იგი აწარმოებს საერთოდ ვაჭრობისათვის და თავის პროდუქ-ციას ვაჭარს მიჰყიდის ერთიანად, ბითუმად.

იმისათვის რათა დასრულდეს მსჯელობა საფეიქრო წარმოე-ბაზე სავაჭრო კაპიტალის ბატონობისა და ამ სფეროში სავაჭრო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალად გადაქცევის შესახებ და შე-ფასდეს ამ მოვლენის მნიშვნელობა, საჭიროა ერთხელ კიდევ მთლიანობაში წარმოვიდგინოთ წარმოების მთელი პროცესი: 1. ვაჭარი შეისყიდდა ნედლ ბამბას, რომელიც დიდი რაოდენობით შემოდიოდა თბილისში და სხვა სამრეწველო ცენტრებში. ან ამ მიზნით კომპანიის (თუ ასეთი არსებობდა) ერთ-ერთი წევრი სპე-ციალურად მიემგზავრებოდა ერევნის ოლქში. ვაჭარს შეეძლო ნედლი ბამბა ადგილზეც შეეძინა ბითუმად (როგორც სავარაუდოა, ეს ხდებოდა თელავის მაზრაში) ან მიეღო იგი ნართზე ბითუმად გაცვლის წესით (როგორც ამას ადგილი ჰქონდა სიღნაღის და ს/ჩ. მაზრებში);

2. ნედლი ბამბა ურიგდებოდა მპენტავებს, განსაზღვრულ ფასში დასამუშავებლად. მპენტავები უპირატესად თავიანთ სახ-ლებში საქმიანობდნენ, ზშირად დამატებითი სარეწის ფორმით. აგიტომ აგვარი „შინამრეწველის“ დღიური გამომუშავება, რო-გორც ვნახეთ, 25—40 კაპიკს შორის მერყეობდა;

3. გაპენტილ ბამბას აძლევდნენ მრთველებს, უპირატესად განსაზღვრული ფასით დასამუშავებლად, თუმცა არ შეიძლება გამოირიცხოს ნედლეულზე გაცვლის წესის არსებობაც, გადმონაშ-თის სახით. იმის გამო, რომ პენტვა და რთვა პროვინციებში უფ-რო გავრცელებული იყო, საქმის გამარტივების მიზნით ქალაქელი ვაჭრები ადგილობრივ მრთველებზე დარიგებასთან ერთად ბამბას პირდაპირ აგზავნიდნენ პროვინციებში, რათა ადგილობრივ შემს-

---

[239] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 655, ფურც. 495.

ყიდველებთან ნართზე გაეცვალათ. გაცვლის ამგვარი ოპერაციით ერთნაირად დაინტერესებული იყო ორივე მხარე, იმის გამო, რომ პროვინციებში ბამბის ნედლეულით მომარაგების საკითხი შედარებით რთული იყო და იქაურ შემსყიდველს თუ ბამბას გაცვლის სახით არ მიიღებდა, უპირატესად იგი ქალაქში ან უფრო შორეულ პროვინციებში უნდა შეეძინა. გაცვლის შედეგად მიღებული ზედმეტი ნედლეული ადგილობრივ შემსყიდველს შეეძლო თავის მხრივ საფეიქრო სარეწში დაებანდებინა, ან ადგილობრივ თუ მახლობელ ბაზარზე გაეტანა. საკარაუდოა, რომ პროვინციებში იმ შემსყიდველთა პარალელურად, რომლებიც საერთოდ საფეიქრო წარმოების მთელ სისტემას მეთაურობდნენ, ყალიბდებოდა საქმოსანთა ტიპი, რომელიც მხოლოდ ნართის დამზადების პროცესს განაგებდა და ძირითად მოგებას მისი ფასების მეშვეობით იღებდა;

4. სხვადასხვა წესით მიღებულ ნართს ვაჭარი-მრეწველები ურიგებდნენ მქსოველებს განსაზღვრულ ფასში დასამუშავებლად, რომლებიც მათთვის აშზადებდნენ სხვადასხვა ხარისხისა და დანიშნულების ქსოვილებს;

5. უკანასკნელი, დამასრულებელი ოპერაციები (შეღებვა, მოჩითვა, გაპრიალება, გათეთრება) სამღებროებში სრულდებოდა. როდესაც საქმე ეხებოდა ლურჯი ფერის სხვადასხვა ტონალობით ღებვას ან მოჩითვას, ეს ხდებოდა სახაზინო (საბატონო, საეკლესიო) მონოპოლიურ სამღებროებში, სადაც ამ პროცესს ვაჭარი მწარმოებელი საკუთარი ძალებით, დაქირავებული მუშებით აწარმოებდა, ან კერძო სამღებროებში, იჯარა შემსყიდველის ნებართვით. დანარჩენი ფერებზე შეღებვა ან მოჩითვა საკუთარ სამღებროში სრულდებოდა;

6. ანით სრულდებოდა წარმოების პროცესი. მას შემდეგ, რაც ვაჭარი მრეწველი დაგროვებდა პროდუქციის გარკვეულად მნიშვნელოვან რაოდენობას, მას (კომპანიონის, ამხანაგის, აგენტის ხელით) აგზავნიდა სხვადასხვა საკარეო ცენტრში, ან თავისთან ინახავდა მანამდე, სანამ მის შესაძენად საკუთრივ ვაჭრები არ ჩამოვიდოდნენ, რათა მათთვის ბითუმად მიეყიდათ.

წარმოების ყველა ცალკეულ ოპერაციებში ვაჭარ-შემსყიდველს დამორჩილებული ჰყავდა უშუალო მწარმოებელი, ისინი ფაქტიურად მისი დაქირავებული მუშები იყვნენ. იქმნება წარმოების მთელი სისტემა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში გაფანტული (დანაწევრებული) მანუფაქტურის სახელითაა ცნობი-

ლი. ვაჭარი მრეწველი ამ სისტემის მეთაურია. იმის გამო, რომ მას უხდება კონტაქტის დამყარება სულ სხვადასხვა ადგილას მოღვაწე და სხვადასხვა დარგის მრავალრიცხოვან „შინამრეწველებთან“, აგგვარი მეთაურობა ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული. იგი მოითხოვს დამხმარე პერსონალის გარკვეულ შტატს, რომლის გარეშეც წარმოების გაძღოლა შეუძლებელია. ამიტომ სხვადასხვა სამრეწველო ცენტრების კამერალური აღწერებით ცალკე გამოიყოფა გარკვეული კატეგორია ხალხისა, რომლებიც აღნიშნული ვაჭარ-მრეწველების დაქირავებული მუშები არიან და რომლებიც სოფლებში საქონელს (ნედლეული, ნართი) დაატარებენ, როგორც ეს ჩანს სილნაღის მაზრის აღწერებში, ან სამუშაოს დარიგებას აწარმოებენ, როგორც ამას გორის მაზრის აღწერაში აქვს ადგილი[240].

ამრიგად, სახეზეა „შემსყიდველთა სრულიად განუყრელი კავშირი წარმოებასთან, — წარმოებაში მათი პირდაპირი მონაწილეობაც კი, „მონაწილეობა“ როგორც დაქირავებულმუშებიანი სახელოსნოების მეპატრონეებისა... შემსყიდველთათვის მუშაობა არის სწორედ წ ა რ მ ო ე ბ ი ს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ფ ო რ მ ა, წარმოებაში ეკონომიური ურთიერთობის განსაკუთრებული ორგანიზაცია, ორგანიზაცია,.. რომელიც უშუალოდ წვრილი სასაქონლო წარმოებიდან აღმოცენდა... შემსყიდველისათვის მუშაობა, რაც უშუალოდ ემეზობლება კაპიტალისტურ სახელოსნოს დაქირავებული მუშებით და ხშირად წარმოადგენს მხოლოდ მის გაგრძელებას ან ერთ-ერთ მის განყოფილებას, ფ ა ბ რ ი კ ი ს უ ბ რ ა ლ ო დ ა ნ ა მ ა ტ ი ა, თუ ამ უკანასკნელ გამოთქმას გავიგებთ არა მეცნიერული, არამედ მისი სალაპარაკო ნნიშვნელობით. მრეწველობის ფორმათა მეცნიერული კლასიფიკაციის მიხედვით კი, ამ ფორმათა თანმიმდევარი განვითარების პროცესში შემსყიდველისათვის მუშაობა უმეტეს ნაწილად კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ ა ს ეკუთვნის, ვინაიდან იგი: 1) დაფუძნებულია ხელით წარმოებასა და წვრილ საწარმოთა ფართო ბაზისზე; 2) ამ საწარმოთა შორის შეაქვს შრომის დანაწილება, ავითარებს რა მას სახელოსნოს შიგნითაც; 3) წარმოების სათავეში აყენებს ვაჭარს, როგორც ეს ყოველთვის ხდება ხოლმე მანუფაქტურაში, რომელიც გულისხმობს წარმოებას ფართო მასშტაბით, ნედლეულის ბითუმად შე-

---

240 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 542, ფურც. 81; იქვე, საქ. 75, ფურც. 354 და სხვ.

სყიდვასა და პროდუქტის გასაღებას; 4) მშრომელებს აქვეითებს დაქირავებულ მუშათა მდგომარეობამდე, რომელნიც მეპატრონის სახელოსნოში ან თავიანთ სახლში მუშაობენ. სწორედ ამ ნიშნებით ხასიათდება, როგორც ვიცით, მეცნიერული ცნება მანუფაქტურისა, როგორც კაპიტალიზმის განვითარების „განსაკუთრებული საფეხურისა მრეწველობაში"[241].

როგორც განხილული მასალიდან გამოჩნდა, წარმოების სტრუქტურა საქართველოს ბამბეულის საფეიქრო წარმოებაში ზუსტად პასუხობს ყველა იმ ნიშანს, რომლითაც მანუფაქტურა ხასიათდება, ამდენად შეიძლება ვილაპარაკოთ მანუფაქტურის არა მარტო არსებობის ფაქტზე, არამედ ამ ფორმის საგულისხმო გავრცელებაზე.

11. მანუფაქტურის ფორმები

ნაშრომის იმ პარაგრაფში, სადაც ფეიქარი ხელოსნების ვაჭრობაში ჩაბმაზე იყო საუბარი, ჩვენ ამ პროცესის საფუძველზე ახალ, კაპიტალისტურ ურთიერთობაზე გადასვლის ტენდენციის არსებობა ვივარაუდეთ და ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯებიც აღვნიშნეთ, რაც ცენტრალიზებული კაპიტალისტური წარმოების წარმოშობის პერსპექტივას სახავდა. ახლა, როცა დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს კაპიტალისტური წარმოების ჩამოყალიბების მეორე გზის არსებობა და ამის საფუძველზე გაფანტული მანუფაქტურის წარმოშობა და გავრცელება, საჭიროა დავუბრუნდეთ პირველ საკითხს და გავარკვიოთ, შემდგომში როგორი განვითარება მიიღო ამ პროცესმა.

როგორც ეს არაერთხელ აღვნიშნეთ, განსახილველი ხანის მასალა არ იძლევა პირდაპირ ცნობებს საწარმოთა მოცულობის დასადგენად, მაგრამ არაპირდაპირ მონაცემებზე დაკვირვება საშუალებას იძლევა საფეიქრო წარმოებაში რიგი საკმაოდ ფართო საწარმოთა არსებობა წარმოვიდგინოთ. აკად. გულდენშტედტი საქართველოში „მცირე ფაბრიკების" არსებობაზე მიუთითებს; ს. დ. ბურნაშოვი „ხელის ფაბრიკებს" ასახელებს; რუსულ ოფიციალურ საბუთებში ხშირია მითითებები „საქსოვი ფაბრიკების" და „მანუფაქტურების" არსებობაზე. ანონიმური ავტორის 1829

---

[241] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 533—534.

წელს გამოცემულ ნაშრომში აღნიშნულია, რომ საქართველოს „ფაბრიკებში შზადდება შალის, ბამბის, აბრეშუმის და ნახევარაბრეშუმის ქსოვილები“, და რომ „თბილისში არის ბამბის და ნახევრად აბრეშუმის ფაბრიკები, ზარაფხანა ვერცხლის ქართული ფულის მოსაჭრელად“[242]. ჩვენ შორის ვართ იმ აზრისაგან, რომ წყაროთა ფრაგმენტული ცნობები უკრიტიკოდ მივიღოთ და მათ საფუძველზე საქართველოში ფაბრიკების (ამ ტერმინის არა მეცნიერული, არამედ თუნდაც სალაპარაკო მნიშვნელობით) არსებობა დავიჯეროთ, მაგრამ უკანასკნელი ცნობა მაინც მეტად საეჭვოდ გვეჩვენება და აი რატომ: იმ პერიოდისათვის თბილისში 2000-ზე მეტი ხელოსანი ითვლებოდა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი 500-მდე სახელოსნოში ეწეოდა საქმიანობას. აქედან 150 (ზოგიერთი ცნობით 339) მარტო საქსოვი ფარდული იყო, ავტორი კი ახსენებს რა საქსოვ ფაბრიკებს, აშკარად ეტყობა, რომ ამ უზარმაზარი რიცხვიდან იგი ზოგიერთს გამოარჩევს და, რაც მთავარია, მათ განიხილავს თბილისის ზარაფხანის რიგში, რომელიც, როგორც ეს დადგენილია საისტორიო ლიტერატურაში, მანუფაქტურის ტიპის საწარმო იყო და მასში 40-მდე დაქირავებული მუშის არსებობა ივარაუდება[243]. არ შეიძლება ყურადღებით არ მოეკიდო ტუჩკოვის ცნობას, როცა იგი თბილისში საგანგებოდ მოიხსენიებს „სამლებროებს და ფაბრიკებს, სადაც სხვადასხვა ბამბეულის ქსოვილები შზადდებოდა“[244], რადგან ავტორი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოღვაწეობდა საქართველოში, ეკავა მაღალი თანამდებობები და საერთოდ საქმეში ჩახედული კაცი იყო.

წინამდებარე ნაშრომში საკმაოდ დაწვრილებით იყო საუბარი ხელოსანთა შორის ქონებრივ დიფერენციაციაზე, დაქირავებული შრომის გამოყენებაზე, სახელოსნოების გაფართოების ტენდენციაზე. ყველა ეს პროცესი განსაკუთრებით რელიეფურად სწორედ საფეიქრო წარმოებაში იჩენდა თავს.

ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობა უფრო კონკრეტული ხასათის დასკვნების საშუალებასაც იძლევა. მაგალითად, ირკვევა,

---

242 Подробное описание Персии, также Грузии, ч. 2, М., 1829, с. 78, 81—82.

243 ვ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. II, 1956, გვ. 3.

244 Тучков, Сочинения, т. IV, с. 185.

რომ გასული საუკუნის 20-იან წლებში ბამბეულის ზოლიან ქსოვილს— ალაჯს თბილისში 10 სახელოსნოში ამზადებდნენ. აღნიშნული პროდუქცია თვეში 2000 არშინი გამოდიოდა. ამზადებდნენ თუ არა ამ სახელოსნოებში სხვა სახის ქსოვილებს—არ ვიცით, მაგრამ 10 სახელოსნოზე წელიწადში 240 000 არშინი ქსოვილი საკმაოდ შთამბეჭდავი მოცულობაა. დგინდება აგრეთვე, რომ ამ სახელოსნოებში 39 საქსოვი დაზგა იდგა[245]. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთ დაზგას ჩვეულებრივ 2 კაცი ემსახურებოდა, გამოვა, რომ 10 სახელოსნოში სულ ცოტა 78 კაცი მუშაობდა. რადგან სახელოსნოები ერთი მოცულობისა არ იქნებოდა და შესაბამისად მუშათა რაოდენობაც მათში განსხვავებული იქნებოდა, შეიძლება ზოგიერთი მათგანი საკმაოდ მოზრდილ საწარმოებად წარმოვიდგინოთ. არაფერი არ ეღობება წინ იმ ვარაუდს, რომ ისინი ემყარებოდნენ რა შრომის სისტემატურ დეტალურ დანაწილებას, მანუფაქტურის მასშტაბამდე იყვნენ ამაღლებული. ამგვარი ვარაუდის საფუძვლიანობას ზოგიერთი სხვა ცნობაც ამაგრებს. სახელდობრ, როდესაც დავა ატყდა ალაჯზე საბეჭდავის მოსაკრების დაწესების თაობაზე, აღნიშნული სახელოსნოების სახელით 4 კაცი იბრძოდა[246], რაც აშკარად იმაზე მიუთითებს, რომ მათ ამ წარმოებაში წამყვანი (გაბატონებული) პოზიცია ეჭირათ, სწორედ ისინი იყვნენ განსაკუთრებით ფართო წარმოებათა მეპატრონეები. ერთ-ერთი მათგანია გიკო სარქისოვი, რომელიც ჯერ კიდევ 1808 წლის თბილისის აღწერით საკმაოდ მდიდარ მქსოველ ოსტატად ითვლებოდა[247]. 1829 წლის ცნობით მას და არაქელ არუთინოვს საბეჭდავის მოიჯარემ სახელოსნოში 70 000 არშინი დაუბეჭდავი ქსოვილი აღმოუჩინა[248]. ჰქონდათ თუ არა მათ დაბეჭდილი ქსოვილებიც, ამაზე საბუთში არაფერია მითითებული. სამაგიეროდ, საბუთში მითითებულია, რომ ზოგიერთი სახელოსნოს მეპატრონე სახაზინო სამღებროში თავისი ძალებით აწარმოებს ნართის ლურჯ ფერად შეღებვას აღნიშნული ქსოვილისათვის. ამავე დროს ისინი ერთდროულად მქსოველებადაც იხსენიებიან და მღებრებადაც და, რაც მთავარია, თავიანთ პროდუქციას თვითვე ასაღებენ. ერთი სიტყვით, ყველა პირობაა იმისათვის, რომ ისინი მანუფაქტურის ტიპის საწარმოს მეთაურებად წარმოვიდგინოთ.

---

[245] სესია, ფ. 254, აღ. I, საქ. 1040, ფურც. 927.

[246] იქვე.

[247] სესია, ფ.254, აღ.I, საქ.1096, ფურც.47.

[248] სესია, ფ. 254, აღ. I, საქ. 1038, ფურც. 84.

არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ სახელოსნოთა მოცულობის შესახებ ცნობების საერთო სიმცირის (უფრო სწორი იქნება არ-არსებობის) ვითარებაში, აღნიშნულ რამდენიმე სამღებროზე თუნდაც არაპირდაპირი და ფრაგმენტული ცნობები იმიტომ კი არ შემოგვრჩა, რომ ისინი სხვა სახელოსნოთაგან რაიმეთი გამოირჩეოდნენ, არამედ იმიტომ, რომ 20-იან წლებში საბეჭდავის მოსაკრების მოიჯარეებმა ამ ქსოვილზე (ალაჯზე) გადასახადის აღება მოითხოვეს, რამაც საწარმოს მეპატრონეთა პროტესტი გამოიწვია. ამას მოჰყვა ორმხრივი საჩივრები, მიმოწერა და ა. შ. ამდენად უეჭველია, რომ თბილისის სინამდვილეში ამგვარი და ამაზე მოზრდილი საწარმო სხვაც არაერთი იყო, მაგრამ მათზე ჩვენ ცნობები არა გვაქვს, რადგან მათ ცხოვრებაში ამგვარ საგანგებო შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

დაბოლოს, არ შეიძლება არ გავიმეოროთ ერთი, არსებითი მნიშვნელობის ფაქტი, რაც ადრეც აღინიშნა. ესაა გასული საუკუნის 20-იან წლებში თბილისის საფეიქრო დარგში ამქრობის მოსპობა, რადგან სწორედ მანუფაქტურაა მრეწველობის ის სოციალურ-ეკონომიკური ფორმა, რომელიც ამქრობას კატეგორიულად ვერ ეთავსება. ეხებიან რა მანუფაქტურის გაჩენას და იმ ზემოქმედებას, რაც ამ ისტორიულ ფაქტს ჰქონდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათზე, მარქსი და ენგელსი აღნიშნავენ: „ვაჭრობამ და მანუფაქტურამ შეჰქმნეს მსხვილი ბურჟუაზია; საამქროებში თავი მოიყარა წვრილმა ბურჟუაზიამ, რომელიც ახლა უკვე აღარ ბატონობდა უწინდებურად ქალაქებში, არამედ იძულებული შეიქნა ქედი მოეხარა მსხვილი ვაჭრებისა და მანუფაქტურისტების ბატონობის წინაშე. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ *საამქროები მანუფაქტურასთან პირველი შეხებისთანავე დაიშალა*“[249].

ამრიგად, განსახილველი ხანის საქართველოს საფეიქრო მრეწველობაში ცენტრალიზებული მანუფაქტურის ტიპის საწარმოთა არსებობის ფაქტი ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მაგრამ კლასიკურ ფორმამდე მის განვითარებას და მნიშვნელოვანი მასშტაბით გავრცელებას ბევრი არსებითი ხასიათის დაბრკოლება ეღობებოდა.

ეს დაბრკოლებები ქვეყნის საერთო სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობით იყო განპირობებული: მანუფაქტურას თა-

---

[249] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგია, წიგნიდან „გერმანული იდეოლოგიიდან“, თბ., 1948, გვ.70 (ხაზი ჩემია. მ.ს.).

ეისუფალი მუშახელი სჭირდება, საქართველო კი ბატონყმური ქვეყანა იყო. გამოქცეულ გლეხს მუდამ თან სდევდა მებატონის მიერ მიგნებისა და უკან დაბრუნების შიში. ეს საშიშროება განსაკუთრებით ძლიერდებოდა, თუ გამოქცეული რაიმე საქმიანობაში ფეხს მოიკიდებდა და ეკონომიურად სულს მოითქვამდა. ამიტომ ვითარება მას კარნახობდა არა მარტო თვითონ დამალულიყო და გათქვეფილიყო ადგილობრივ მკვიდრთა მასებში (რჯულის გამოცვლა, ეროვნების დამალვა), არამედ განსაკუთრებით გულმოდგინედ დაემალა თავისი ეკონომიკური შეძლებულობა. საუჭრო-სამრეწველო საქმიანობაში ჩაბმული ყმების დიდი ნაწილი თავიანთ მებატონეებთან დამოკიდებულებას ინარჩუნებდა. მათ საბატონო ვალდებულებებს ისინი განსაზღვრავდნენ. ყოველგვარი გადაადგილება მებატონესთან შეთანხმებით უნდა მომხდარიყო. ვაჭრობა-მრეწველობაში ჩაბმულ ყმათა ის ნაწილი, რომელიც ამ საქმეში რაიმე წარმატებას მიაღწევდა, პირველ რიგში ცდილობდა ეს წარმატებები მიეჩქმალა, რადგან ფეოდალთა დრომოჭმული კლასის წარმომადგენლები თავგამოდებით ებრძოდნენ ვახტანგის კანონებიდან თვითნებურად ამოგლეჯილი და თავის სასარგებლოდ ინტერპრეტირებული დებულების — „...ყმისა ყველა ბატონისა არის" ცხოვრებაში დამკვიდრებისათვის. არაერთი საბუთი აშკარად ადასტურებს, რომ ვაჭრობა-მრეწველობაში ჩაბმული ყმა-გლეხი მწვავე კლასობრივი ბრძოლისა თუ შეხლა-შემოხლის ობიექტი იყო[250].

ყოველივე ზემოთქმული წინ ეღობებოდა და აფერხებდა მნიშვნელოვან მასშტაბებამდე წარმოების გაფართოების ტენდენციას — დიდ კაპიტალდაბანდებებს, მწარმოებელთა ფართო მასების თავმოყრას ერთ ადგილას (ერთ ჭერქვეშ). ამას კი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობაც ემატებოდა. მთიელ მეზობელთა

---

[250] 1816—1817 წლებში თ. ნიკოლოზ ამილახვარსა და საეკლესიო უწყებას შორის მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ზურაბ მეჩითიშვილის შვილების კუთვნილების თაობაზე. მხარეები მასზე პრეტენზიას აცხადებენ. თვით ბრძოლის ობიექტი საეკლესიო უწყებისაკენ მიიწევს, რადგან იქ ბატონყმური ვალდებულების სიმძიმე ნაკლებია. გიორგი მეჩითიშვილი ერთობ შეძლებული კაცია; ჩაბმულია ვაჭრობაში, სავარაუდოა საფეიქრო წარმოებაშიც. ახლო ურთიერთობაშია იმ დროის საკმაოდ ცნობილ და გავლენიან ვაჭარ-საქმოსნებთან. „ყავს მოჯამაგირეები, რომლებსაც სოფლებში გზავნის (მასალის დასარიგებლად?). მისი წარმოშობა აშკარად ხელოსნური, მამამისი მეჩითე იყო, თვითონ კი საკმაოდ გავლენიანი კაცია (სცსა, ფ. 480, საქ. 469, ფურც. I, 2,18, 26—27, 48, 50).

თარეშები, რომელიც ასე ხშირი და გამანადგურებელი იყო XVIII საუკუნეში, არც გასული საუკუნის დასაწყისში აღკვეთილა. მათი თავდასხმები პირველ რიგში, ბუნებრივია, იმ ობიექტებზე იქნებოდა მიმართული, სადაც მატერიალურ ფასეულობათა დაგროვება მეტი იყო. ამ ძალის წინააღმდეგ ბრძოლა და სამრეწველო საწარმოთა დაცვა სამეფო კარსაც კი უჭირდა (გავიხსენოთ, რომ ვერცხლის სახელმწიფო სარეწები არაერთხელ იქნა დარბეული ლეკთა შემოსევების გამო). ამიტომ იმ შემთხვევაში, როცა წარმოების ტექნოლოგია და მოწყობილობის ხასიათი მეტნაკლებად გაფართოებული წარმოების შექმნის აუცილებლობას ითხოვდა, მისი მოწყობისას, როგორც ჩანს, პირველ რიგში მტრის შემოსევებისგან დაცვის საკითხი დგებოდა. ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული ის ამბავი, რომ სამლებროები უპირატესად ციხესიმაგრეების ფარგლებში იყვნენ მოთავსებული[251]. ამის გამო შედარებით მსხვილი საფეიქრო საწარმოების არსებობა უმეტესწილად თბილისში და შედარებით ნაკლებად სხვა ქალაქებშია სავარაუდო.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით გაბაგებია, რომ ფეოდალური წარმოების წესიდან გადასვლის ორივე კლასიკური გზა ჩვენში უპირატესად დანაწევრებული მანუფაქტურის წარმოქმნას იწვევდა, რადგან იგი თუმცა მისი მეთაურისათვის უფრო შრომატევადი ფორმა იყო, მაგრამ სამაგიეროდ არ ითხოვდა დიდ კაპიტალდაბანდებებს შენობებისა და სხვათა სახით, ნედლეულისა და პროდუქციის ერთ ადგილას თავმოყრის აუცილებლობას და, რაც მთავარია, მასების კაპიტალისტური ექსპლუატაციის საშუალებას იძლეოდა თვით ფეოდალური ურთიერთობის (ბატონყმური დამოკიდებულების) ჩარჩოებშიც.

---

[251] ზასსი—ავტორი ნაშრომისა „კავკასიის აღწერა საქართველოს მოკლე სტატისტიკური აღწერით", რომელიც პეტერბურგში 1805 წელსაა გამოცემული და უეკველია XVIII ს. მიწურულს საქართველოს სინამდვილეს ასახავს, აღნიშნავს, რომ „საქართველოში არ შეიძლებოდა ყოფილიყო ხელსაქმეობა (მრეწველობა?—მ.ს.), რადგან ყოველი მოქალაქე არასოდეს არ ფლობდა უშიშრად თავის საკუთრებას და ყველაზე ბეჯითი შრომობდა არა თავისთვის, არამედ იმისთვის, ვისაც საშუალება ჰქონდა მისთვის მისი საქმიანობის ნაყოფი წაერთმია". ავტორი, როგორც ვხედავთ, სწორად აფასებს სამრეწველო საწარმოთა მოწყობის სირთულეს, თუმცა საღებავებს ერთგვარად ამუქებს დაეს რომ ასეა, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ იგი თვითვე მიუთითებს თბილისში „რამდენიმე ფაბრიკაზე", რომელებშიც მაუდი და ბამბის ქსოვილები მზადდება", გვ. 211.

რაც შეეხება იმ გაფართოებულ საფეიქრო საწარმოებს, რომელთა არსებობა და მანუფაქტურის დონემდე ამაღლება ზემოთ შეძლებისდაგვარად იყო დასაბუთებული, ისინი, როგორც ჩანს, უპირატესად გაფანტული მანუფაქტურის სისტემაში ცენტრალური სახელოსნოების როლს ასრულებდნენ.

12. დანაწევრებული მანუფაქტურის ცენტრალური სახელოსნო

ცენტრალური სახელოსნო, რომელიც სათავეში უდგას (გაფანტულ) დანაწევრებულ მანუფაქტურას, მას დასრულებულ სახეს აძლევს. ერთი კაპიტალის მეთაურობით მოქმედი გაფანტული წარმოება მანუფაქტურის ხასიათს ატარებდა, ან მას უახლოვდებოდა ცენტრალური სახელოსნოს არსებობის გარეშეც. ნიჟნინოვგოროდის გუბერნიის სემიონოვკის მაზრის კოვზის სარეწის შესახებ ვ. ი. ლენინი შემდეგს შენიშნავს: „... სარეწი თავისი ორგანიზაციით კაპიტალისტურ მანუფაქტურას უახლოვდება; მართალია აქ არაა მსხვილი სახელოსნოები, რომლებიც წვრილ სახელოსნოთა მასისაგან განირჩეოდნენ და მათზე ბატონობდნენ, მაგრამ სამაგიეროდ აქ ვხედებით ღრმად დამკვიდრებულ შრომის დანაწილებას და მედეტალე მუშათა მასის სრულ დამორჩილებას კაპიტალისადმი“[252]. მაგრამ ცენტრალური, მსხვილი საწარმოს არსებობის ფაქტი ახლებურ მნიშვნელობას ანიჭებს გაფანტულ მანუფაქტურას თვით წარმოების წესის თვალსაზრისით: „წვრილ სარეწებში სავაჭრო კაპიტალი, როცა თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს, მწარმოებელს უკვე აყენებს დაქირავებული მუშის მდგომარეობაში, რომელიც სანარდო საზღაურად ამუშავებს სხვის ნედლეულს. თუ შემდგომში განვითარება იწვევს იმას, რომ წარმოებაში შემოაქვთ შრომის სისტემატური დანაწილება, რომელიც გარდაქმნის წვრილი წარმოების ტექნიკას, თუ „შემსყიდველი“ გამოიყოფს ზოგიერთ დეტალობრივ ოპერაციას და დაქირავებული მუშების საშუალებით აწარმოებს მათ თავის სახელოსნოში, თუ შინ სამუშაოს დარიგებასთან ერთად და მასთან უშუალოდ დაკავშირებით ჩნდება შრომის დანაწილებაზე დამყარებული მსხვილი სახელოსნოები (რომლებიც ხშირად იმავე შემსყიდველს ეკუთვნის), მაშინ ჩვენს წინაშეა კაპი-

---

[252] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 468.

ტალისტური მანუფაქტურის აღმოცენების სხვაგვარი პროცე-, სი"[253].

საქართველოს საფეიქრო წარმოებაში ამგვარი სახელოსნოს როლი უნდა დაკისრებოდათ ცენტრალური (საქსოვი) ან დამსრულებელი (ღებვა, მოჩითვა) ოპერაციების სახელოსნოებს.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ხშირად ამ ფუნქციას ასრულებდნენ ის გამხვილებული საფეიქრო საწარმოები, რომლებიც ზოგჯერ ცენტრალიზებული მანუფაქტურის მასშტაბებამდეც კი იყვნენ ამაღლებული. მეორე მხრივ, და შეიძლება უპირატესადაც, გაფანტული მანუფაქტურის სახელოსნოებად სამღებროები გამოდიან.

მღებრობა საფეიქრო მრეწველობის ის დარგია, რომელიც, როგორც ჩანს, ყველაზე ადრე მოექცა სავაჭრო კაპიტალის ინტერესების სფეროში, რადგან ღებვა არ განეკუთვნება სოფლური ტიპის სარეწთა რიცხვს და მისი წარმოება სასაქონლო მნიშვნელობით ოჯახის ფარგლებში გამორიცხულია. ხელოსნობის ეს დარგი მნიშვნელოვან ხელოსნურ გაწაფულობას მოითხოვს; მას საქართველოში ხანგრძლივი ტრადიციები ჰქონდა და მაღალგანვითარებულიც იყო, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ განსახილველ პერიოდში აქ ახლომახლო ქვეყნებიდან და რუსეთიდანაც კი საგანგებოდ შესაღებად და მერე უკანვე გასატანად შემოჰქონდათ სხვადასხვა ქსოვილები[254]. საკმარისია თუნდაც იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ღებვის ქართული ტექნოლოგიისადმი გამული საუკუნის 40-იან წლებში აბრეშუმის ფრანგი მეფაბრიკეებიც კი იჩენდნენ დაინტერესებას[255]. სამღებროს მოწყობა მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებს მოითხოვდა. ამდენად უბრალო ხელოსნისათვის ეს საქმე საკმაოდ რთული იყო. ამასთან ღებვა საფეიქრო წარმოების სხვა დარგებთან შედარებით გაცილებით ნაკლებად შრომატევადია, აქ რამდენიმე ხელოსანს შეეძლო ათეულობით და ასეულობით მპენტავის, მრთველისა და მქსოველის ერთობლივი პროდუქტის საბოლოოდ დამუშავება. ამიტომ სავაჭრო კაპიტალის მიერ საფეიქრო წარმოებასთან დაკავშირების პირველი ნაბიჯების პირობებშიც კი, როცა ურთიერთობა ჯერ მხოლოდ პროდუქციის შესყიდვით განისაზღვრებოდა, ვაჭარი ცდილობდა დაუფ-

---

[253] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 450.

[254] სცსია, ფ. 380. საქ. 240—241.

[255] შ ე ვ ა ლ ი ე გ ა მ ბ ა, მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში, კერძოდ ამიერკავკასიის პროვინციებში, პარიზი, 1848, მ მგალობლიშვილის თარგმანი, ხელნაწერი, გვ. 111.

ლებოდა სამღებრო საქმეს და სამღებროთა მეპატრონედ ან მოიჯარედ გვევლინებოდა. მეორე მხრივ, როგორც სათანადო ადგილას აღინიშნა, სახელოსნოს შემდგომი გაფართოების საშუალება ღებრობასა და მჩითაობაში მეტი იყო და ხშირად ამ ხელობის წარმომადგენლები ვაჭრობაში ებმებოდნენ და იმეორებდნენ საფეიქრო წარმოების თანდათანობით დაპყრობის კლასიკურ გზას უკვე არსებული გაფართოებული (სამღებრო, საჩითავი) სახელოსნოების საფუძველზე.

ამ ორი ტენდენციის (შესაძლებლობის) ანარეკლად მოჩანს ქალაქების „მანუფაქტურა-ქარხნების" ოფიციალურ უწყისებში საფეიქრო წარმოების შესახებ შესული ტრაფარეტული განმარტება, რომელიც 1807—1815 წლის ამგვარ საბუთებში გვხვდება: „ტილოს საგანგებო ფაბრიკები არ არის, მაგრამ ბამბისაგან ნარმა მზადდება სახლებში საკუთარი საჭიროებისა და მჩითავებისაგან მათი შესყიდვისათვის, რომელთა მოსაჩითავად არის დუქნები"[256] და სხვ. როგორც ვხედავთ, აქ შემსყიდველი მჩითავთანაა გაიგივებული, რაც საჩითავი სახელოსნოს მფლობელ ვაჭარს ან გაფაჭრებულ მჩითავ-ხელოსანს უნდა გულისხმობდეს.

იმის გამო, რომ ლურჯად ღებვა მონოპოლიის ფარგლებში იყო მოქცეული, ბუნებრივია, შემსყიდველთა ის ნაწილი, რომელიც ლურჯი ფერის ქსოვილების დამზადებასთან იყო დაკავშირებული, შეეცდებოდა საკუთრივ, ან თავისი აგენტების მეშვეობით დაკავშირებოდა სამღებროების იჯარას. მართლაც, არაერთი საბუთი მიუთითებს სამღებროს მოიჯარეთა საფეიქრო წარმოებასთან მჭიდრო კავშირს: გასული საუკუნის 20-იანი წლების ერთი საბუთით ცხინვალის სახაზინო სამღებროს მოიჯარე იქ თავის კუთვნილ ქსოვილებს ღებავდა და უამრავი ქსოვილი ჰქონდა დამზადებული[257]. 1821 წელს თბილისის სამღებროს მოიჯარეებმა სახაზინო სამღებროში იჩივლეს, დუშეთის სამღებროს მოიჯარეები ხელოსნებისაგან დიდი რაოდენობით ქსოვილებს ყიდულობენ, თავიანთ (სახაზინო) სამღებროში ღებავენ, შემდეგ კი მზა ნაწარმი თბილისში შემოაქვთ და აქ ყიდიან, რითაც ზარალს გვაყენებენო[258]. საყურადღებოა, რომ დუშეთის სამღებროს მოიჯარეებმა თავი

---

[256] სცსია, ფ. 16, საქ. 495, ფურც. 38; საქ. 1352, ფურც. 6; საქ. 1747, ფურც. 77 და სხვ.

[257] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 1279, ფურც. 178.

[258] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 927, ფურც. 620.

იმართლეს, რომ მარტო ჩვენ კი არა, სამღებროს ყველა შემსყიდველი ჩვენამდეც ასე იქცეოდაო[259]. აქედან დგინდება, რომ ამგვარი წესი ახალი შემოღებული არ იყო, იგი კარგახნის დაკანონებული იყო. მსგავსი ვითარება შეინიშნებოდა თბილისის, თიანეთის, კახეთისა და სხვ. იჯარა-შესყიდვის წესით გაცემულ სამღებროშიც.

როგორც ითქვა, ხახაზინო სამღებროები განსაკუთრებული სიდიდით არ გამოირჩეოდნენ. ამის მიზეზი ის იყო, რომ ხაზინას მათზე კაპიტალდაბანდებებისათვის არ ეცალა და არც სურვილი ჰქონდა, რადგან ისინი, ასე თუ ისე, განსაზღვრულ მოგებას მაინც იძლეოდნენ, მოიჯარისათვის კი მათზე ხარჯის გაწევას აზრი არ ჰქონდა, რადგან საღებრო მას დროებით ეკავა.

სულ სხვა ვითარება იყო კერძო სამღებროებში, რომლებშიც მონოპოლიისაგან თავისუფალი ფერებით ღებვა წარმოებდა. მოსალოდნელია, რომ საფეიქრო წარმოების მნიშვნელოვანი განვითარებისა და ამაღლების პირობებში ისინი გაფართოების მნიშვნელოვან სტიმულს იღებდნენ და, ეჭვი არ არის, ბევრი მათგანი, რომლებიც ქალაქებში ან სხვა გამაგრებულ ადგილებში იყვნენ მოწყობილნი და ვაჭარ-შემსყიდველებს ეკუთვნოდა, განვითარების საკმაოდ საგულისხმო მასშტაბებს აღწევდნენ.

ადგილობრივი წარმოების ქსოვილები ბაზარზე გადიოდა სხვადასხვა ფერად შეღებილი, მოჩითული, საგანგებოდ გათეთრებული და გაწმენდილი. როგორც ითქვა, იყვნენ ამ ოპერაციების ცალკეული დარგის ოსტატები: მღებავები (მეწითლეები და მელურჯეები), მჩითავები, გამთეთრებლები და გამპრიალებლები. მაგრამ არ ჩანან შესაბამისი სახელოსნოები. მაგალითად, საჩითავი სახელოსნოების არსებობაზე მითითება მხოლოდ ერთი ტიპის საბუთებში გვაქვს, ე. წ. „მანუფაქტურებისა და ქარხნების უწყისებში“. ამასთან ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ როგორც ითქვა, უწყისის შემდგენლები საჩითავ და სამღებრო დუქნებს აშკარად ერთმანეთში ურევენ: ერთი წლის უწყისში, ვთქვათ, აღნიშნულია 2 საჩითავი და 12 სამღებრო, მეორე წელს— 12 საჩითავი და 2 სამღებრო, ისე რომ მათი საერთო რიცხვი ლოგიკურია (განვითარების, მატების გათვალისწინებით). ეს კი იმ ვარაუდს ბადებს, რომ უპირატესად ეს ორი ოპერაცია ერთ სახელოსნოში სრულდებოდა და უწყისების შემდგენლები მათ რაოდენობას მექანიკურად ყოფდნენ, რათა სრულად შეევსოთ უწყი-

---

[259] სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 927, ფურც. 620.

სის ზემოდან მიღებული და რეკომენდებული ფორმა. სახელოსნოები, სადაც სხვა ოპერაციები უნდა ჩატარებულიყო (გათეთრება, გაწმენდა, გაპრიალება) არც ერთ საბუთში მოხსენიებული არ არის. ეს აშკარად მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ ისინი სხვა სახელოსნოებში, უპირატესად სამღებროებში სრულდებოდნენ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ხშირად ხახაზინო სამღებროს მოიჯარეები სამღებროს მეპატრონე ვაჭარ-შემსყიდველებს საკუთარ სამღებროებში გარკვეული საფასურით ლურჯად ღებვის ნებას რთავდნენ, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ის სამღებროები, რომლებიც ვაჭარ-შემსყიდველებს ეკუთვნოდათ და რომლებიც „ფანტული შანუფაქტურის ცენტრალური სახელოსნოს" როლში გამოდიოდნენ, საკმაოდ ფართო მასშტაბის წარმოებები იყვნენ, რომლებშიაც შრომის დანაწილების საფუძველზე წარმოებდა სხვადასხვა ფერად ღებვა, მოჩითვა, გათეთრება, გარეცხვა, გაწმენდა-გაპრიალება, გაუთოება და, ბუნებრივია შეფუთვაც.

ამგვარი ტიპის წარმოებად მოჩანს „სამღებრო ქარხანა", რომელსაც 1841 წელს თბილისში აღა ყორჩიბაშევი აწყობს[260]. იგი საკმაოდ მოზრდილი საწარმოა. აქ უშუალოდ წარმოებაში 33 კაცი მონაწილეობდა. ის ფაქტი, რომ მის ძირითად ინვენტარს შორის მოიხსენიება ქვაბები (ქვევრები?) და სატეიფრავები[261], იმის მაჩვენებელია, რომ მასში, გარდა საკუთრივ ღებვისა, მოჩითვაც და ალბათ სხვა ოპერაციებიც წარმოებდა. დაქირავებულ მუშათა საგულისხმო რაოდენობა და სხვადასხვაგვარი ოპერაციების შესრულება შრომის დანაწილების აუცილებლობაზე მიუთითებს.

20-იან წლებში თავისი სამღებროს გაფართოება განიზრახა არუთინ კრასილნიკოვმა და საამისოდ ხახაზინო მიწის ნაკვეთის გამოყოფა ითხოვა[262]. საქმეში დაცულია საწარმოს პროექტი. ეს არის ვეებერთელა შენობა, რომლის ფასადი 70 მეტრზეა გადაჭიმული, რაც ჩვეულებრივი სამღებროსათვის მეტად დიდია. მთავარი კი ის არის, რომ პროექტი სამღებროდ კი არ არის მოხსენიებული, არამედ „საქსოვ ფარდულად". ამავე დროს კრასილნიკოვი მღებარია და სამღებროს გაფართოებას ითხოვს[263]. ერთი სიტყვით, ერთი და იგივე წარმოება ხან სამღებროდ მოიხსენიება,

---

[260] სცსია, ფ. 16, საქ. 6351, ფურც. 26—28.

[261] იქვე.

[262] სცსია, ფ. 209, საქ. 57, ფურც. I,

[263] იქვე, ფურც. 7.

ხან კი საქსოვ დუქნებად, რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ იგი საფეიქრო წარმოების დამსრულებელი ოპერიაციების წარმოებისათვის არის განკუთვნილი, სადაც შესაძლებელია ზოგიერთი სხვა ოპერაციაც წარმოებდა.

სხვა მასალა აღნიშნული სამღებროს შესახებ არა გვაქვს. ამიტომ ჩვენ არ ვიცით რა გზა გაიარა მისმა მომწყობმა და თვით წარმოებამ, სანამ ამ დონეს მიაღწევდა. სამაგიეროდ რამდენიმე ფრაგმენტული ცნობის საფუძველზე მსგავსი პროცესი შეიძლება ასატურ როსტომაშვილის მაგალითზე წარმოვიდგინოთ. იგი 1808 წლის თბილისის აღწერაში შეტანილია როგორც მელაინე (ლურჯი ფერით მღებავი) და მახტის სახით 3 მან. 60 კაპ. იხდის[264]. ეს თანხა საშუალოზე მეტია, მაგრამ არც ისე დიდი ფადასახადია, რადგან იმავე აღწერით მღებავი დავით იედიგაროვი 38 მანეთითაა დაბეგრილი[265]. როგორც ჩანს, საფეიქრო მრეწველობის აღმავლობის პირობებში ასატურ როსტომაშვილი აქტიურად ერევა წარმოებაში, ხდება ვაჭარი-შემსყიდველი, თანდათანობით ეუფლება წარმოებას და 1821 წელს იგი ერთ-ერთ აქტიურ მონაწილედ გვევლინება იმ ბრძოლაში, რომელსაც რამდენიმე ვაჭარ-შემსყიდველი საბეჭდავის მოსაკრების მოიჯარეებთან აწარმოებდა, ქვეყნის გარეთ გასატანად დამზადებული ბამბის ძაფიდან გადასახადის შემოღების წინააღმდეგ. როგორც ჩანს, იგი საკმაოდ შეძლებული და გავლენიანი ვაჭარ-შემსყიდველია[266]. 1824 წლის თბილისის აღწერაში კი მოიხსენიება ასატურ როსტომაშვილი მელაინე (მისი ხელოსნური წარსული დავიწყებული არ არის) და მისი ძმები არუთინა და სტეფანე, რომელთაც „აქვთ სამღებრო ქარხნები და მნიშვნელოვანი ვაჭრობა იარმუკებზე“[267]. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ სამღებროს „ქარხნად“ მოხსენიება საბუთებში მეტად იშვიათია, რაც რაღაც თვისებრივ განსხვავებას უნდა აღნიშნავდეს. ზემოთ ჩვენ ვნახეთ, თუ რას წარმოადგენდა ყორჩიბაშევის „სამღებრო ქარხანა“. თუ ამას გავითვალისწინებთ, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ როსტომაშვილი საკმაოდ მსხვილი და, რაც მთავარია, არაერთი სამღებრო ქარხნის მეპატრონეა. ხოლო რაკი მას შენარჩუნებული აქვს კავშირი ვაჭრობასთან, შეიძლება ვივარაუდოთ,

---

264 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 185, ფურც. 248.
265 იქვე, გვ. 178.
266 სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 702, ფურც. 238.
267 იქვე, საქ. 858, ფურც. 12.

რომ იგი გაფანტული მანუფაქტურის ორგანიზატორია. თუ ეს ასეა, მაშინ ბუნებრივია ამ მანუფაქტურის ცენტრალური სახელოსნოს ფუნქციას სწორედ მისი „სამღებრო ქარხნები" შეასრულებენ. იარმუკებზე ვაჭრობა კი მას შეუძლია ძმებს მიანდოს.

განსახილველ ხანაში ჩვენ მრავალი მაგალითი გვაქვს იმისა, რომ ფართლეულის ვაჭრობასთან დაკავშირებული საქმოსნები ერთდროულად სამღებროების მეთაურებადაც გამოდიან[268] და თუმცა ცალკეული მათგანის კონკრეტული საქმიანობის შესახებ სხვა ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი საერთო სურათის ფონზე უფლება გვაქვს მათი ნაწილი ვაჭარ-შემსყიდველებად, ნედლეულის დამრიგებლებად და, ბოლოს, დანაწევრებული მანუფაქტურების მეთაურებად გამოვაცხადოთ, ხოლო მათი კუთვნილი სამღებროები ამ მანუფაქტურების ცენტრალურ სახელოსნოებად წარმოვიდგინოთ.

ვფიქრობთ ნათელია, რომ ბამბეულის საფეიქრო წარმოებაში გაფანტული მანუფაქტურების ცენტრალური სახელოსნის როლში შეეძლოთ გამოსულიყვნენ და გამოდიოდნენ კიდეც ის საქსოვი სახელოსნოები, რომლებიც თანდათანობით გაფართოების გზით ზოგჯერ ცენტრალიზებული მანუფაქტურების მასშტაბებამდეც კი ვითარდებიან.

მეორე მხრივ, უფრო ხშირად ამგვარ ფუნქციას ასრულებდნენ ვაჭარ-შემსყიდველთა კუთვნილი სამღებროები, რომელთა გარკვეული ნაწილი შინაარსობრივად შორს სცილდებოდა ამ ტერმინის მიღებულ გაგებას და ფაქტიურად იმ საწარმოებად გვევლინებიან, სადაც საფეიქრო მრეწველობის დამსრულებელი ოპერაციები (საკუთრივ ღებვა, მოჩითვა, გათეთრება, გაპრიალება, შეფუთვა და ა. შ.) მიმდინარეობს. ამის გამო მოცულობით ისინი გაცილებით სჭარბობენ ჩვეულებრივ, შუასაუკუნეობრივ სამღებროებსა და მათში ადგილი ჰქონდა შრომის სისტემატურ და დეტალობრივ დანაწილებას, რაც მათ თვითონ აძლევდათ მანუფაქტურის ხასიათს.

განხილული მასალა ვფიქრობთ, თვალნათლივ გვიჩვენებს იმ მნიშვნელოვან ძვრებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა XIX ს. პირველი მესამედის საქართველოს საფეიქრო მრეწველობის განვითა-

---

268 მაგალითად, მატუზაშვილების ოჯახზე წყაროში მითითებულია, რომ „მამას აქვს დიდებული (დიდი-) სამღებრო საწარმოები, შვილები კი ორივე ფართლეულით ვაჭრობენ"—სცსია, ფ. 254, აღ. I, საქ. 541, ფურც. 10 და სხვ.

რებაში. მრეწველობის კაპიტალისტური ფორმების მრავალფეროვნება (კაპიტალისტური კოოპერაცია, დანაწევრებული მანუფაქტურა, ცენტრალიზებული მანუფაქტურა) და გავრცელება არა მარტო სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში, არამედ პერიფერიებშიც, მათში მწარმოებელთა ერთობ საგულისხმო მასების მონაწილეობა, გამოშვებული პროდუქციის მოცულობა და წარმოებითი კაპიტალისტური ურთიერთობების ასახვა იურიდიული ხასიათის დოკუმენტურ და საკანონმდებლო მასალებში, იმის მაჩვენებელია, რომ წარმოების კაპიტალისტურ ფორმებს მრეწველობის ამ დარგში გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ.

საფეიქრო წარმოების დახასიათებისას ჩვენ ძირითადად ბამბეულის საქსოვი წარმოების განხილვით შემოვიფარგლებით, რადგან იგი წამყვანი იყო არა მარტო საფეიქრო არამედ საერთოდ განსახილველი ხანის საქართველოს დამმუშავებელ მრეწველობაში. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს სხვადასხვა სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებსა თუ რაიონებში განვითარებული იყო საფეიქრო წარმოების სხვა დარგებიც (აბრეშუმის, შალის, სელის) თუმცა მათი ხვედრითი წილი საერთოდ საკმაოდ მოკრძალებული იყო. წინამდებარე ნაშრომის შეზღუდული მოცულობის გამო ჩვენ საშუალება არ გვაქვს მათზე ყურადღება შევაჩეროთ.

ამავე მიზეზით და ცნობების საერთო სინაკლულის გამოც, ზემოთ მოტანილი დასკვნები ჩვენ უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ამსახველი მასალების ანალიზის საფუძველზე მივიღეთ. ამავე დროს, თუმცა განსახილველ ხანაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით აღმოსავლეთ საქართველოს წამყვანი მდგომარეობა სრულიად უეჭველია, ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ განვითარების ხასიათი დასავლეთ საქართველოშიც პრინციპულად იდენტური იყო და ამდენად მიღებული დასკვნების ამ რეგიონზე გავრცელება არსებითად გამართლებულად და მეცნიერულად მისაღებად მოსჩანს.

მოკლე დასკვნები

XIX საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური (ვაჭრობა, მრეწველობა) განვითარების შესწავლა საშუალებას იძლევა გაირკვეს მისი მიმართულება და თავისებურებები: ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარების ურთიერთგანმაპირობებელი ხასიათი, მრეწველობის ფორმათა მრავალფეროვნება და თანმიმდევრული ცვლა, მრეწველობის კაპიტალისტური ფორმების ჩასახვისა და ჩამოყალიბების გზები; დადგინდეს ქვეყნის საერთო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სურათი.

განსახილველ ხანაში მიმდინარე პროცესები უშუალოდ აგრძელებენ იმ ტენდენციას, რომელიც უკვე წინა საუკუნეში ჩამოყალიბდა; საქართველოს რუსეთთან შეერთების ობიექტურმა პროგრესულმა შედეგებმა მნიშვნელოვნად დააჩქარეს იგი. დადასტურდა საქართველოს ვაჭრობის რევოლუციური როლი სასაქონლო მეურნეობის ჩამოყალიბებისა, და ამის საფუძველზე, ძველი ფეოდალური ურთიერთობის დაშლისა და ახალი (კაპიტალისტური) ურთერთობის ჩამოყალიბების პროცესში.

განსახილველი ხანისათვის საქართველოს დამმუშავებელ მრეწველობაში უკვე არსებობდა სასაქონლო წარმოების გარკვეული ტრადიციები, რაც სასაქონლო ურთიერთობის ხანგრძლივ განვითარებას ემყარებოდა. საქართველოს ვაჭართა კლასი სულ უფრო და უფრო აქტიურად ებმებოდა ქვეყნის შინავაჭრობაში, რის შედეგადაც თანდათანობით ფართოედებოდა ვიწრო ადგილობრივი ბაზარი. ვაჭართა კლასის აქტივობა და სავაჭრო კავშირურთიერთობის გაძლიერება ერთმანეთს აკავშირებდა ადგილობრივ ბაზრებს და ამ კავშირურთიერთობის გაფართოების საფუძველზე ერთიანი ქართული ბაზრის ჩამოყალიბებას განაპირობებდა. ამ პროცესში არსებითი როლი შეასრულა შედარებითი მშვიდობიანობის დამყარებამ და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეების რუსეთის იმპერიის ფარგლებში გაერთიანებამ.

ერთიანი ქართული ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბების პროცესი უფრო ადრე (ყოველ შემთხვევაში XVIII საუკუნეში) დაიწყო და გაცილებით გვიან — XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასრულდა, მაგრამ განსახილველ ხანაში (XIX საუკუნის პირველ მესამედში) მან არსებითი ბიძგი მიიღო.

საშინაო ბაზრის გაფართოება და საქონელწარმოების შემდგომი ამაღლება განაპირობებდა ვაჭართა კლასის რაოდენობრივ და თვისებრივ ზრდას. ვაჭრობაში ჩაბმულ პირთა კონტინგენტი სწრაფად ფართოვდებოდა და იგი საზოგადოების სულ სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებით ივსებოდა. ამ პროცესში მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სავაჭრო კრედიტის ჩამოყალიბებას, სავაჭრო ამხანაგობებს და ვაჭრობის მაღალი ორგანიზაციის არსებულ ტრადიციებს.

სავაჭრო კავშირურთიერთობების არსებული დონე, სასაქონლო წარმოების ტრადიციები და მიმდინარე პროცესი, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს შორის სამეურნეო სპეციალიზაციის ჩამოყალიბების საფუძველი ხდებოდა. შრომის გეოგრაფიული განაწილების ადრეულ ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეების გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების განსხვავებულობაც.

ქვეყნის გარეთ გატანის მიზნით წარმოება ახალი კაპიტალისტური ურთიერთობის ჩამოყალიბების მასტიმულირებელია. XIX ს. პირველი მესამედის საქონელწარმოებისა და საქონელგაცვლის მაღალი დონე ფართო გატანითი ვაჭრობის განვითარების საშუალებას იძლეოდა. საქართველო ტრადიციულად ვაჭრობას აწარმოებდა არა მარტო მეზობელ სახანოებთან და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან, არამედ მახლობელი აღმოსავლეთისა და აზიის მთავარ სახელმწიფოებთან და ევროპასთანაც. ამ ვაჭრობაში მნიშვნელოვანი იყო ქართული ნაწარმის, კერძოდ, დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის როლიც.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოსათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ვაჭარობა რუსეთთან და მისი მეშვეობით ევროპასთან. გატანილ პროდუქციაში თანდათანობით უპირველეს ადგილს ქართული საფეიქრო პროდუქცია იჭერდა, რომლის ექსპორტი XIX საუკუნის პირველ მესამედში რამდენჯერმე გაიზარდა.

საქართველო თანდათანობით აქტიურად ებმებოდა რუსეთის საერთო საიმპერიო საქონელბრუნვაში.

როგორც ითქვა, ზემოაღნიშნული მოვლენები და პროცესები განპირობებული იყო დამმუშავებელ მრეწველობაში სასაქონლო მეურნეობის არსებული დონით და, თავის მხრივ, დადებით ზეგავლენას ახდენდა მასზე. განსახილველ პერიოდში დამმუშავებელ მრეწველობაში ჩაბმული მოსახლეობის ზრდის ტემპი გაცილებით სჭარბობდა მოსახლეობის საერთო ზრდის ტემპებს. მრეწველობაში ჩაბმული მუშახელის მატების პროცესი განსაკუთრებით ძლიერია ქალაქებში: მაგრამ მას ადგილი აქვს სოფლებშიც. ამავე დროს შეინიშნება ამ კატეგორიის მოსახლეობის ლტოლვა ქალაქებისა და დაბებისაკენ. ამრიგად, ქალაქური ხელოსნობა სოფლური სარეწების შემცირების ხარჯზეც იზრდებოდა. ამასთან ერთად, სოფელში უპირატესად ვრცელდებოდა დამმუშავებელი წარმოების ის დარგები, რომლებიც ადვილად ეგუებიან დამატებითი საქმიანობის სახით არსებობას—რთვა და ქსოვა („სოფლური სარეწი"), განსაკუთრებით პირველი.

ხელოსნობაში შეჭრილი სასაქონლო წარმოება თანდათანობით მკვეთრ ქონებრივ დიფერენციაციას, დაქირავებული შრომის გამოყენების ზრდას და სახელოსნოების გაფართოების ტენდენციის გაძლიერებას იწვევდა. ეს ტენდენცია ემყარებოდა ხელოსნობაში საწარმოო ძალთა განვითარების არსებულ დონეს, რაც უპირატესად შრომის იარაღების გაუმჯობესებასა და ხელოსნური შრომის შემდგომი დანაწილების (სპეციალიზაციის) გავრცელებაში გამოიხატებოდა.

ყველაფერი ეს განაპირობებდა ხელოსნების, როგორც მრეწველობის ფორმის ტრანსფორმაციას და მის ადგილს თანდათანობით წვრილი სასაქონლო წარმოება იპყრდა.

ამ პროცესის შემდგომ განვითარებას მრეწველობის უკვე კაპიტალისტური ფორმების ჩასახვა-ჩამოყალიბებამდე უნდა მივეყვანეთ.

განხილული მასალა ადასტურებს ამ შესაძლებლობის რეალობად ქცევის ტენდენციის არსებობას: დაქირავებული შრომის გაგამოყენების ზრდა, ხელოსანთა შორის მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაცია და ამის საფუძველზე ხელოსნური წარმოშობის ბურჟუაზიათა თუ საქმოსანთა ხელში მნიშვნელოვანი კაპიტალის თავმოყრა, რომლებიც სახელოსნოების გაფართოების თუ გაფართოებული სახელოსნოების მოწყობის ინიციატორებად გამოდიან, ამ სახელოსნოებში ხელოსნური იერარქიის არსებობის ფაქტი, უფროსი ოსტატებისა და ზედამხედველების ინსტიტუტის ჩამოყალი-

ბება, სახელოსნოებში შრომის დანაწილების არსებობის დადგენა, რიგ სახელოსნოში 15—30 და ზოგჯერ მეტი დაქირავებული მუშის არსებობის დადასტურება და ამ ტენდენციის გავრცელების დასაბუთებული ვარაუდი, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოს დამმუშავებელ მრეწველობაში, რომელიც ქალაქური ხელოსნობის ბაზაზე ვითარდებოდა, ადგილი ჰქონდა მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციისა და მანუფაქტურების ჩამოყალიბების პროცესს.

ქართული ამქრული წყობა, რომელიც ხასიათით აღმოსავლურ ამქარს უახლოვდებოდა და ევროპულისაგან მეტი სირბილით, შეზღუდვათა და რეგლამენტაციათა ნაკლები სიმკაცრით გამოირჩეოდა, მის შიგნით მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესის საფუძველზე. გარკვეულ დონემდე, ეგუებოდა ახალ კაპიტალისტური ფორმების ჩამოყალიბებას; ხოლო მრეწველობის იმ დარგებში, სადაც განვითარება მაღალი მანუფაქტურული ფორმების ჩამოყალიბებას იწვევდა (ფეიქრობა), ამქრობა ინტენსიურად იშლებოდა და ბოლოს, განსახილველი ხანის შუა წლებში (XIX ს. 10—20-იან წლებში), საერთოდ ისპობა.

ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბების ტენდენცია, გზები და ხასიათი განსაკუთრებით რელეფურად ჩანს საფეიქრო წარმოების მაგალითზე. XIX საუკუნის პირველ მესამედში მის განვითარებას საოჯახო წარმოების რღვევა და ხელოსნობაში მიმდინარე ცვლისა და ტრანსფორმაციის ინტენსიური პროცესი განსაზღვრავდა.

საქართველოში საფეიქრო წარმოების დიდი და ხანგრძლივი ტრადიციები და განსაკილველ ხანაში მისი არნახული განვითარება, რაც, როგორც შესაბამისი საწარმოებისა და მასში ჩაბმული მუშახელის მეტად სწრაფ ზრდაში, ისე ქვეყნის გარეთ გატანილი პროდუქციის საგულისხმო მოცულობაში და თანდათანობით მატებაში გამოიხატებოდა, მასში მრეწველობის მაღალი სოციალურ-ეკონომიკური ფორმების არსებობას მიგვანიშნებს.

მოტანილი მასალა საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ, ერთი მხრივ, საოჯახო წარმოების, ხოლო მეორე მხრივ, ხელოსნობის ჯერ წვრილ სასაქონლო, ხოლო შემდეგ კაპიტალისტურ წარმოებად თანდათანობით გადაქცევის პროცესს და მასში საავაჭრო კაპიტალის რევოლუციურ როლს. სახეზეა ყველა ძირითადი ფორმა, რომელსაც საავაჭრო კაპიტალი წვრილ საარეწვებში იღებს, ხოლო მისი უმაღლესი, მეოთხე ფორმა როდესაც ნაწარმის შემსყიდვე-

ლი იწყებს ანგარიშის გასწორებას იმ ნედლი მასალებით, რომ-ლებიც „შინამრეწველს“ ესაჭიროება და რომელიც „ნიშნავს მე-ტად დიდ ნაბიჯს კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება-ში“, საქართველოს სინამდვილეში ჩამოყალიბდა არა უგვიანეს XVIII ს. შუა ხანებისა. ამგვარად, განსახილველი პერიოდისათვის (XIX ს. პირველი მესამედი) ამ ფორმას ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდა და, მაშასადამე, საკმარისზე მეტი დრო იყო იმისათვის, რათა გადადგმულიყო ის უკანასკნელი (ერთი) ნაბიჯი, როდესაც „შემსყიდველი პირდაპირ ურიგებს მასალას „შინამრეწველებს“ განსაზღვრულ ფასში დასამუშავებლად“, რითაც საბოლოოდ იმო-რჩილებს მათ, აქცევს დაქირავებულ მუშებად და სავაჭრო კაპი-ტალი სამრეწველო კაპიტალად იქცევა. განხილულმა მასალამ და-ამტკიცა, რომ ეს პროცესი აღებულ ხანაში იყო არა ცალკეული შემთხვევა, არამედ გაბატონებული ტენდენცია, — პროცესი, რო-მელიც წარმოების მთელი დარგის განვითარებას განსაზღვრავდა. სავაჭრო კაპიტალის ბატონობა საფეიქრო წარმოებაზე, ანუ ბისი სამრეწველო კაპიტალად გადაქცევა აშკარა ფაქტი იყო.

საქართველოში ახალი, კაპიტალისტური წყობის ჩასახვა-ჩა-მოყალიბების პროცესი მეტად რთულ ვითარებაში მიმდინარეობ-და. აქ, თითქოს საგანგებოდ, მოიყარა თავი ყველა წინააღმდეგო-ბამ, რომელიც ამ მხრივ ევროპაში, რუსეთსა თუ აღმოსავლეთში ძრსებობდა. აქ იყო ბატონყმური ურთიერთობის მძიმე ფორმებიც, გლეხის მიწაზე მიმაგრების სიმტკიცეც, ამქრული წყობაც, ქვეყ-ნის სამეფო-სამთავროებად დაშლა-დაქუცმაცებულობაც, სათავა-დოთა სისტემაც, საუკუნეების მანძილზე გაგრძელებული მძიმე პოლიტიკური ვითარებაც, რაც დამპყრობთა განუწყვეტელ შე-მოსევებში, დამოუკიდებლობის მთლიანად თუ ნაწილობრივ და-კარგვაში, მთიელი მეზობლების გაუთავებელ და გამანადგურე-ბელ თავდასხმებში და სხვ. გამოიხატებოდა და ა. შ.

ყველა ეს სირთულე იყო იმის მიზეზი, რომ საქართველოს სინამდვილეში, მიუხედავად წარმოების ფეოდალური წესის ქვე-დაღმავალი გზით განვითარების ხანგრძლივი და ინტენსიური პროცესისა, ახალი წყობის ჩამოყალიბება უჩვეულოდ გვიან და-იწყო და ერთობ მძიმედ მიმდინარეობდა. იმავე მიზეზის გამო, ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის გზებიდან, საქართვე-ლოს სინამდვილეში მეტი გავრცელება მიიღო ნაკლებად რევოლუ-ციურმა გზამ, რომელიც სავაჭრო კაპიტალის მიერ წარმოების თანდათანობით .დაპყრობას გულისხმობდა და კაპიტალისტური

წარმოების შედარებით დაბალი სოციალურ-ეკონომიკური ფორმის, — გაფანტული მანუფაქტურის ჩამოყალიბებაში გამოიხატებოდა.

მიუხედავად ამისა, ახალი, კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობების ჩასახვა-ჩამოყალიბება განსახილველი ხანის საქართველოში გვევლინება ერთიან, თანდათანობით, ორგანულ პროცესად, რომელიც თანმიმდევრულად გაივლიდა ყველა ფორმას, ყველა საფეხურს. იგი სტიქიური პროცესის სახით მიმდინარეობდა და ისე თანდათანობით ყალიბდებოდა, რომ ხშირად შეუმჩნეველი რჩებოდა არა მარტო ამ პროცესის მეთვალყურეების, არამედ თვით მონაწილეებისთვისაც კი. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წიაღში ახალი ურთიერთობისათვის ნიადაგი დიდი ხანია მომზადებული იყო და ამისი გაფურჩქვნა შესაფერისი პირობების შექმნასთან იყო დაკავშირებული. ეს პირობები XIX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა და უპირატესად ქვეყნის ერთიანი იმპერიის ფარგლებში (საერთიანებაში, შედარებით მშვიდობიანობის დამყარებაში, ფეოდალური შეზღუდულობის თანდათანობით შესუსტებაში და თვალუწვდენელი რუსეთის ბაზრებთან დაკავშირებაში) გამოიხატებოდა.

ის მოვლენები და პროცესები, რომლებიც აშკარად დგინდება განსახილველი ხანისა და, ნაწილობრივ, მისი წინა პერიოდის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში: სასაქონლო მეურნეობის გაფართოება, ამის საფუძველზე შინავაჭრობის შემდგომი განვითარება და საერთო-ქართული ბაზრის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების პროცესის ინტენსიური მიმდინარეობა, საგარეო გატანითი ვაჭრობის გაფართოება; საქალაქო ცხოვრების გაძლიერება და არასამეწარმეო მოსახლეობის ზრდა სამეწარმეო მოსახლეობის შემცირების ხარჯზე; ცვლილებები მრეწველობის წინაკაპიტალისტურ ფორმებში: ხელოსნობის განვითარება და თანდათანობითი ტრანსფორმაცია, ხელოსანთა შორის მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაციის გავრცელება, დაქირავებული შრომის გამოყენების, სახელოსნოების გაფართოების ტენდენციის გაძლიერება და ამ ნიადაგზე კაპიტალისტურ მასშტაბებამდე ამაღლების ფაქტები; ამქრული წყობის რღვევის გაძლიერება და მისი გაქრობა მრეწველობის ისეთ რევოლუციურ დარგში, როგორიცაა ფეიქრობა; სავაჭრო კაპიტალის წარმოებაში ჩარევა, მრეწველობის ზოგიერთ დარგზე მისი გაბატონება, ამის საფუძველზე სავაჭრო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალად გადაქცევა, გაფანტული მა-

ნუფაქტურის ტიპის საწარმოო ორგანიზაციების ჩამოყალიბების პროცესის ინტენსიური მიმდინარეობა და საფეიქრო წარმოებაში მრეწველობის ამ ფორმის აშკარა გაბატონება, ცენტრალიზებული მანუფაქტურის ტიპის საწარმოთა აღმოცენების ფაქტები მრეწველობის სხვადასხვა დარგებში და რიგი სხვა ფაქტორები ადასტურებენ, რომ ქვეყანაში ყალიბდება და მტკიცდება ახალი კაპიტალისტური წყობა.

ამ პროცესის დასაბუთებას ჩვენ უპირატესად ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის ორი ძირითადი გზის (ა) მწარმოებელი ხდება ვაჭარი და კაპიტალისტი და ბ) ვაჭარი უშუალოდ ეუფლება წარმოებას) დახასიათებისა და ანალიზის საფუძველზე შევეცადეთ.

განსახილველ და მის წინა პერიოდში გარკვეული მნიშვნელობა მოიპოვა გადასვლის ამ გზამ, რომელიც ვაჭრებისა თუ სხვა საქმოსნების მიერ შესხვილი კაპიტალისტური საწარმოების უშუალოდ მოწყობის (დანერგვის) პრაქტიკაში გამოიხატებოდა. ამ გზით XIX საუკუნის პირველ მესამედში ისევე როგორც ადრეც და მის შემდგომ პერიოდშიც არაერთი მნიშვნელოვანი კაპიტალისტური ტიპის საწარმო აღმოცენდა. მის გავრცელებას ხელი შეუწყო საქართველოში და საერთოდ კავკასიაში რუსული და უცხო ელემენტის გაძლიერებამ, სამხედრო და სამოქალაქო ჩინოვნიკების გამრავლებამ, სამხედრო ნაწილების შემადგენლობის ზრდამ, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ყაიდისა და გემოვნების თანდათანობითმა ცვლამ, სამრეწველო ცენტრებში და შემდეგ თანდათანობით პერიფერიებშიც ევროპული ყოფის ელემენტების შეჭრამ. თაყუაშვილის დენთის ქარხანა, ყორლანოვის ზეთსახდელი წარმოება, სარაჯიშვილის ტყავის წარმოება, იმერლიშვილის ალკოჰოლიანი სასმელების ქარხანა, ზუბალაშვილის არყის წარმოება, კასტელას აბრეშუმის ფაბრიკა, შავერდოვების ბამბის წარმოება და ბევრი სხვა, სწორედ ამ გზით აღმოცენებულ საწარმოებად მოსჩანან. წინამდებარე ნაშრომში ამ პროცესზე ყურადღება არ გაგვიმახვილებია. აღნიშნული გზით წარმოშობილ საწარმოთა უმრავლესობა სამეცნიერო ლიტერატურაში შემჩნეული და აღწერილია. აქ მხოლოდ იმ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი, რომ, რადგან ამ გზით დანერგილი საწარმოები უპირატესად შესაბამისი რუსული და ევროპული საწარმოების მაგალითითა და მიბაძვით ეწყობოდნენ, ხოლო ევროპაში სამრეწველო რევოლუცია ძირი-

თადად დასრულებული, რუსეთში კი დაწყებული იყო, ამ საწარმოებში ხელის შრომასთან ერთად ადგილი აქვს მანქანების გამოყენების ჩასახვას და თანდათან გავრცელებას. აღნიშნული გზით კაპიტალისტური საწარმოების აღმოცენების ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა განსახილველი ხანის შემდგომ პერიოდში.

საქართველოში კაპიტალისტური წყობის ფორმირება მიმდინარეობდა კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემად ჩამოყალიბების ეპოქაში; იმ ხანებში, როცა ევროპის მოწინავე ქვეყნებში სამრეწველო რევოლუცია ძირითადად დამთავრებული, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით შედარებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის რუსეთშიც, კარგა ხნის დაწყებული იყო. ეს ის ეპოქაა, როცა მსოფლიო კავშირურთიერთობების განვითარების საფუძველზე ერები ერთიმეორესთან საკონკურენციო ურთიერთობაში შევიდნენ და თვით ყველაზე განვითარებული ქვეყნების, მათ შორის ინგლისის „მანუფაქტურა მუდმივად დაცული იყო შინაურ ბაზარზე მფარველობითი ბაჟებით, კოლონიურ ბაზრებზე — მონოპოლიებით და უცხოეთის ბაზრებზე — შეძლებისამებრ დიფერენცირებული ბაჟებით"[1].

ანგვარ მფარველობას მოკლებულ ქართულ მრეწველობას განვითარების საფუძველს მსოფლიო გზებიდან დაშორება, მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებთან კავშირურთიერთობის სირთულე, კავკასიის რეგიონის ერთგვარად ჩაკეტილი მდგომარეობა და ამ რეგიონში საქართველოს მოწინავე სოციალურ-ეკონომიკური პოზიცია უქმნიდა. მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთში აკრძალვითი ბაჟების არსებობას, რომელიც აქ ევროპული საქონლის მოზღვავებას აკავებდა[2]. ეს ღონისძიება რუსეთის საფეიქრო წარმოების აყვავებას ისახავდა მიზნად და ამ მხრივ მართლაც დიდი როლი შეასრულა. მაგრამ პირველ ხანებში რუსეთის ახალგაზრდა ბამბეულის წარმოება ვერ ახერხებდა თვალუწვდენელი ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რაც რუსეთის ბაზრებზე ქართული საქონლის შეჭრას და აქ მნიშვნელოვანი შეღავათებით სარგებლობას იწვევდა.

ყველაფერმა ამან XIX ს. პირველ მესამედში საქართველოს

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „გერმანული იდეოლოგიიდან", თბ., 1948, გვ.72.

[2] И. В. Мешалин, Текстильная промышленность крестьян Московской губернии в XVIII и первой половины XIX века, М., 1950, გვ. 16, 33.

საფეიქრო წარმოების აყვავება და მასში მრეწველობის კაპიტალისტური (გაფანტული მანუფაქტურის) ფორმების გაბატონება განაპირობა.

მაგრამ „მანუფაქტურას საერთოდ არ შეეძლო ოლად წასვლა დაუცველად, ვინაიდან მცირეოდენი ცვლილებებიც კი სხვა ქვეყნებში საკმარისია იმისათვის, რომ მან ბაზარი დაკარგოს და განადგურება განიცადოს; რამდენიმედ ხელსაყრელ პირობებში მისი შემოღება რომელიმე ქვეყანაში ადვილი იყო, მაგრამ სწორედ ამიტომ ადვილი იყო მისი დანგრევაც“[3].

XIX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულისათვის საქართველოში, შემოღებული შეღავათიანი ტრანზიტის საფუძველზე, უცხოური საფეიქრო ნაწარმის მოზღვავება აღინიშნა. ამავე პერიოდისათვის საკუთარი ბამბეულის საფეიქრო წარმოების განვითარების შედეგად ქართული ქსოვილები რუსეთის ბაზრებიდან თანდათანობით იდევნება. ყველაფერ ამას არ შეეძლო ქართული საფეიქრო წარმოების განვითარება არ დაებრკოლებია, რაც საბოლოოდ მისი დაცემა მოჰყვა.

„შეღავათიანი ტრანზიტი“ ამიერკავკასიაში ცარიზმის ეკონომიკური პოლიტიკის გატარების მოსამზადებელი ღონისძიება იყო. 30-იანი წლებიდან ეს პოლიტიკა აქტიურად ხორციელდებოდა. ამ პერიოდიდან მოყოლებული რუსეთი აქტიურად იწყებდა კავკასიის ეკონომიკურ ათვისებას, რამაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ახალი გეზი მისცა.

20-იანი წლების მიწურულსა და 30-იანი წლების დასაწყისში სრულდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთი ეტაპი. 30-იანი წლების დასაწყისიდან ახალი ეტაპი იწყება.

---

[3] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, დასახ. ნაშრ., გვ. 72.

СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОЕ РАЗВИТИЕ ГРУЗИИ В ПЕРВОЙ ТРЕТИ XIX ВЕКА

(торговля, промышленность)

Резюме

Первая треть XIX в. явилась эпохой политического присоединения Грузии (и всего Закавказья) к России, «экономическое завоевание» (В. И. Ленин) ее осуществилось позже. Следовательно, социально-экономическое развитие Грузии в данный период все еще шло прежними путями, однако прогрессивный исторический акт присоединения Грузии к России принес в страну мир и открыл возможности относительно свободного развития экономики, что проявилось в развитии торговли и обрабатывающей промышленности.

Грузия к тому времени располагала многовековой традицией торговли, а в XVII—XVIII вв. здесь сформировался многочисленный класс купцов, игравший весьма значительную роль в переднеазиатской торговле и благодаря этому даже в период крайне бедственного политического состояния Грузии сохранявший большие экономические возможности.

Уровень общественного разделения труда и степень развития торговли и купечества создали предпосылки для расширения узкого местного рынка и заложили основу для складывания общенационального рынка.

Имеющийся материал со всей убедительностью свидетельствует о том, что уже в первой четверти XVIII в. начался процесс формирования единого общегрузинского рынка. Этот процесс, закончившийся значительно позже, к концу XIX в., в рассматриваемый период получил серьезный толчок к развитию. Расширение торговых связей и рост товарного производства, ускоряли процесс складывания хозяйственной специализации отдельных районов и провинций Грузии в зависимости от природно-климатических особенностей страны. Во внутреннюю торговлю были втянуты и, следовательно, в той или иной мере принимали участие в процессе формирования единого грузинского рынка все провинции

Грузии, в том числе и отдаленные горные провинции, и провинции, отторгнутые от Грузии политически.

В Грузии по традиции торговля не являлась привилегией какого-либо одного общественного слоя. Правда, в ней больший удельный вес приходился на «мокалаке» (привилегированный слой горожан), однако юридически это узаконено не было. В условиях формирования единого национального рынка данное обстоятельство способствовало включению в торговлю представителей разных слоев общества. Особенно возросло число купцов из крепостных, церковных и государственных крестьян.

Детальное изучение документального материала показывает безосновательность утверждения ряда авторов о том, что грузинское купечество в рассматриваемый период располагало малым капиталом. Вместе с тем, в связи с быстрым увеличением общего числа торгующего элемента и невиданным прежде размахом внешней и внутренней транзитной торговли происходила глубокая имущественная дифференциация среди торгующих. Часть лиц начинала заниматься торговлей с весьма незначительным денежным капиталом, а порой взятым в долг, чему способствовали разнообразные формы кредита и древние традиции торговых товариществ, которые оказывались эффективной формой вовлечения в торговлю новых общественных слоев.

Торговля в Грузии в рассматриваемый период отличалась весьма сложной организацией: она включала торговые и кредитные товарищества разного характера, систему предложения и транспортировки товаров и т. д. Перевозка товарной продукции являлась развитой отдельной отраслью хозяйства.

Развитию внешнеторговых связей Грузии способствовало ее географическое положение. Грузия вела оживленную взаимовыгодную торговлю с центрами Ирана и Турции, а через них и с другими странами Ближнего Востока, а также и с Европой. Вывозилась разнообразная продукция местного производства, а также широкий ассортимент завозных товаров. Из иранских городов ввозились разнообразные изделия, но особенное место в импорте занимал хлопок и синяя краска, являющаяся необходимым сырьем для местной текстильной промышленности.

В больших масштабах велась торговля и с различными торгово-ремесленными центрами Турции, однако она носила двоякий характер: Восточная Грузия вывозила на турецкие рынки как местную, так и привозную продукцию, а импортировала товар как собственно турецкого, так и азиатского и

европейского производства. Таким образом, для Восточной Грузии торговля с Турцией имела позитивное значение, в Западной же Грузии, ввиду нестабильности политического положения и еще сохранившейся варварской традиции торговли пленными, она играла роль негативного фактора.

В конце XVIII — начале XIX вв. Грузия окончательно вышла из сферы политического влияния Ирана и Турции, однако сохранила с ними торговые связи.

В течение многих веков формировались экономические связи Грузии и с народами Северного Кавказа. Торговля с равнинными областями представляла жизненную необходимость для горских народов, что в свою очередь создавало основу экономического влияния на жителей гор. Расширение товарообмена и начавшийся процесс складывания общегрузинского рынка способствовали постепенному вовлечению в единый процесс товарообмена и соседних народов Северного Кавказа.

С тех пор как в результате установления турецкого господства в Передней Азии Грузия оказалась в мусульманском окружении, особое значение для страны стали приобретать экономические связи с Россией, которая постепенно и энергично приближалась с севера под флагом православного христианства и европейской цивилизации.

В конце XVIII — начале XIX вв. торговля с Россией имела важнейшее значение не только в силу жизненно необходимого для Грузии импорта (русского и, через Россию, европейского), но и благодаря широкому экспорту в Россию и на Северный Кавказ местной, в основном текстильной продукции. Так, например, сохранившиеся материалы моздокского карантинного ведомства дают возможность установить, что только за 1803—1815 гг. количество вывезенного этим путем различного текстиля возросло в пять раз. По предварительным подсчетам к 1815 году через Моздок и Кизляр было вывезено около 2,5—3,5 млн. аршин разных, в основном, бумажных тканей. Как свидетельствуют документы, объем вывозимой текстильной продукции неуклонно возрастал почти до конца 20-х годов XIX столетия. Текстиль был в основном местного производства и через Моздок и Кизляр поступал не только в окраинные провинции, но и на рынки внутренних губерний. В торговле с Россией активно участвовали все провинции Грузии, в том числе и Западной Грузии.

Русско-грузинская торговля в основном осуществлялась за счет грузинского купеческого капитала.

Введенный в 1821 г. льготный транзит в Грузию, явившийся элементом колониальной политики царизма, открыл

широкий доступ европейским товарам, что к концу 20-х годов привело к значительному сокращению текстильного производства и торговли с Россией.

Развитие вывозной торговли обусловливалось высоким уровнем товарного хозяйства и стимулировало его дальнейшее развитие.

В рассматриваемый период отмечается качественный и количественный рост грузинского ремесленничества ,имеющего многовековую традицию. Так, например, по переписи 1808 года, в г. Тбилиси насчитывалось 930 семейств, занимающихся ремеслом 52 видов, а в 1823—1824 гг. было уже 2472 семьи и 67 отраслей ремесла. В г. Гори в 1804 г. зафиксирована 121 семья, занимавшаяся 21 видом ремесла, а в 1818 г. число различных практиковавшихся ремесел увеличилось до 33 при 186 семьях ремесленников.

Рост численности горожан значительно опережал темпы роста сельских жителей, что приводило к повышению удельного веса промышленного населения за счет уменьшения сельского населения.

Процесс распада и трансформации средневекового ремесла, начавшийся еще в XVIII в. и выразившийся в проникновении в него товарного хозяйства и в резкой имущественной дифференциации ремесленников, на основе которого появлялись расширенные мастерские, использующие наемный труд, в рассматриваемый период приобретал все больший размах. На этой основе возникали капиталистические предприятия типа простой кооперации и даже мануфактуры.

Цеховая организация, отличавшаяся менее жесткими формами регламентации и ограничений, на первых порах (до определенного момента) не противоречила зарождению новых капиталистических форм производства, однако по мере интенсификации процесса становления новых производственных отношений конфликт между цехами и внецеховым производством, вставшим на капиталистический путь развития, все больше обострялся и нередко выливался в ожесточенную классовую борьбу. Сама цеховая организация постепенно также претерпевала определенную трансформацию, а в наиболее революционной отрасли — в текстильном производстве — она распалась при первом же столкновении с мануфактурой.

Характер развития и протекающие изменения наиболее четко можно проследить на примере текстильного производства — самой распространенной отрасли промышленности Грузии в рассматриваемый период.

Ткацкое производство Грузии, ведущее место в котором

занимала обработка хлопка, отличалось сосуществованием докапиталистических и капиталистических форм (домашнее производство, ремесленничество, кустарное производство, простая кооперация, мануфактура). Вместе с тем, ввиду того, что текстильное производство в основном пользовалось привозным сырьем, удельный вес домашнего производства (в его чистом виде) в нем был сравнительно незначительным, и оно находилось в процессе распада.

О высоком уровне развития выработки тканей из хлопка в рассматриваемый и предшествующие периоды свидетельствует тот факт, что налог на производство красных тканей различного оттенка («бечдис иджара») был одной из основных статей государственного дохода Грузии.

О высоком уровне ткацкого производства говорит и большое число ткацких мастерских. По официальным данным, число их за 1819—1827 годы с 480 возросло до 1551, т. е. прирост составил 323%.

В системе ткацкого производства и во всей экономической жизни страны анализируемого периода важное место занимали красильни и красильное дело, оценка которого, принятая в настоящее время в грузинской историографии, требует уточнения. Выясняется, что государственная монополия распространялась не на всякое крашение, как это считалось прежде, а только на окраску в синий цвет. Она охватывала не отдельные красильни, а определенные регионы, имела форму территориальной монополии (привилегии). Число регионов колебалось от 120 до 130, число же отдельных конкретных красилен было значительно больше. В это число не входят красильни, где окрашивание велось в другие цвета, которые не входили в монополию. Таким образом, число красилен только в Восточной Грузии, по всей вероятности, превышало 250—300 единиц.

Анализ и сопоставление данных разного рода показывает, что к 1809 г. (именно для этого времени возможны подсчеты) в Восточной Грузии изготовлялось примерно 20—22 млн. аршин хлопчатобумажной ткани, а в последующий период, по крайней мере до конца 20-х годов, производство неуклонно возрастало. Есть все основания предполагать, что в 1825—1827 гг. оно удвоилось и достигло 40—45 млн. аршин. Рост производства сказался и на экспорте. Существующие документы показывают, что в 1811—1815 гг. объем текстильной продукции Грузии, прошедшей через моздокский карантин, увеличился на 390%.

Рост производства, естественно, был невозможен без увеличения числа занятых в нем работников. В условиях

крепостничества потребность в свободной рабочей силе покрывалась из различных источников. В результате нерентабельности разваливавшегося феодального сельского хозяйства часть крестьян с разрешения помещиков официально включилась в обрабатывающую промышленность. Еще интенсивнее было отходничество в результате классовой борьбы (в особенности из Западной Грузии). Бежавшие от непрестанно усиливавшейся эксплуатации крепостные крестьяне в основном укрывались в городах и торгово-промышленных центрах Восточной Грузии и включились в обрабатывающую промышленность в качестве свободной рабочей силы. Сюда же включался и многочисленный христианский элемент из соседних стран, бежавший от национального и религиозного угнетения и т. д. В результате всего этого в стране складывался определенный контингент свободной рабочей силы.

Масштабы ткацкого производства и рост товарного хозяйства явились предпосылкой зарождения капиталистических отношений в данной отрасли промышленности. В нем прослеживаются оба классических пути перехода от феодализма к капитализму: 1) ремесленный производитель становится купцом и непосредственно производит большую массу продукции на продажу; 2) купец непосредственно подчиняет себе производство.

Имеющийся документальный материал дает возможность установить не один пример возникновения капиталистических форм производства первым из указанных путей, приводившим к появлению централизованных мануфактур; однако политическое и социальное положение страны во второй половине XVIII века и частично в начале XIX в. (крепостной строй, политическая нестабильность, нашествия агрессивных соседних государств и набеги горских феодалов) обусловили появление капиталистических промышленных предприятий вторым путем, ведущим к формированию в основном рассеянной (разрозненной) мануфактуры.

В рассматриваемый период рассеянная мануфактура стала основной формой капиталистического производства в Грузии. Централизованные же предприятия являлись центральными мастерскими в системе рассеянной мануфактуры.

Развитие товарного хозяйства, характер внутренней и внешней торговли, расширение узких внутренних рынков и интенсивный процесс складывания общенационального рынка, разложение феодальных форм производства и вторжение в них новых капиталистических отношений, упадок и порой полное исчезновение цехов, господствующая роль рассеянной мануфактуры наиболее распространенной отрасли

промышленности (текстильной) и ряд других факторов наглядно свидетельствуют о том, что в первой трети XIX в. в промышленности Грузии протекал процесс становления и укрепления капиталистического уклада.

Это чрезвычайно важное явление нашло отражение в политической, социальной и культурной жизни страны, что привело к небывалому обострению классовой борьбы, подорвало экономическое положение господствующих классов и побудило часть их представителей включиться в торгово-ремесленную деятельность; возникла антикрепостническая, антифеодальная идеология, нашедшая отклик в литературе, в частности в литературе нарождавшегося критического реализма и т. п.

შინაარსი

შესავალი 3

I. საშინაო ვაჭრობის განვითარება . . . 15

1. ვაჭრობის განვითარების ტრადიციები 15
2. საეკლესიო ბერეუეაზიის ჩამოყალიბების პროცესის თავისებურებები 22
3. ადგილობრივი ბაზრის გაფართოება. ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბების დასაწყისი 31
4. სხვადასხვა კუთხეებს შორის საქონელგაცვლა და სამეურნეო სპეციალიზაციის ჩასახვა 44
5. ვაჭრები, რაოდენობრივი ზრდა და სოციალური შემადგენლობა . . 57
6. ვაჭართა ქონებრივი მდგომარეობა. ვაჭრული კაპიტალი . 68
7. კრედიტი და საეკლესიო ამხანაგობები 77
8. ვაჭრობის ორგანიზაცია 86

II. საგარეო ვაჭრობა XIX ს. პირველ მესამედში . 93

1. ვაჭრობა ირანთან და თურქეთთან 93
2. კავკასიის მთიანეთთან საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობის ხასიათი 107
3. რუსეთთან საეკლესიო კავშირურთიერთობის ზრდა 121
4. საქონლის გატანა. გატანილი პროდუქციის მოცულობა . 129
5. გატანილი საქონლის სადაურობა 143
6. შეღავათიანი ტრანზიტი და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე 152

III. ცვლილებები ქართულ ხელოსნობაში XIX ს. პირველ მესამედში 169

1. ხელოსნობის განვითარების ხასიათი 170
2. სასაქონლო წარმოების ჩამოყალიბება . . . 187
3. ქონებრივი დიფერენციაციის გაჩენა ხელოსნობაში . . 194
4. სახელოსნოთა გაფართოების ტენდენციის ზრდა . 203
5. დაქირავებული შრომის გამოყენების გავრცელება . 208
6. შრომის დანაწილება სახელოსნოში. მანუფაქტურა . . . 211
7. ამქრული ორგანიზაცია და მისი გავლენა ხელოსნობის განვითარებაზე 226

IV. საქართველოს საფეიქრო წარმოება XIXს. პირველ მესამედში . 239

1. საოჯახო წარმოების რღვევა 239
2. საფეიქრო წარმოების განვითარების ტრადიციები . 244
3. სამღებროები და სამღებრო საქმე 250
4. საფეიქრო საწარმოთა რაოდენობა. წარმოების მოცულობა . 286
5. მუშახელი საფეიქრო წარმოებაში 298
6. პირველი ცვლილებები წარმოებით ურთიერთობებში 309
7. საეკლესიო კაპიტალი საფეიქრო წარმოებაში. პროდუქციის ნედლეულზე გაცვლის წესი 317
8. ცვლილებები პროდუქციის ნედლეულზე გაცვლის ტრადიციულ წესში 321
9. შემსყიდველის გადაქცევა მრეწველ კაპიტალისტად 327
10. საეკლესიო კაპიტალის ბატონობა საფეიქრო წარმოებაზე. მანუფაქტურა 331
11. მანუფაქტურის ფორმები 337
12. დანაწევრებული მანუფაქტურის ცენტრალური სახელოსნო . 343

მოკლე დასკვნები 351

Социально-экономическое развитие Грузии в первой трети XIX века (торговля, промышленность). Резюме. 360